ISSN 0132-6023

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ცისკარი

9

1988

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ცისკარი

374
გამოცემის ოცდამეთერთმეტე წელი

9

სექტემბერი
1988
თბილისი
საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა

ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

საქართველოს ალკა ცენტრალური კომიტეტისა და მწერალთა კავშირის ორგანო

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# შ ი ნ ა ა რ ს ი

## პროზა და პოეზია

3. ზურაბ კანდელაკი — ბევრი რამ ხდება, ჰორაციო... მოთხრობა. გაგრძელება.
38. ვახტანგ ხარჩილავა — ლექსები
42. ჯანო ჯანელიძე — ლექსები
46. იმედი ჯახუა — ლექსები
48. მერი ბარნაბიშვილი — ლექსები
50. მზია ბედიაშვილი — ასე მგონია, შინა ვარ. მოთხრობა. დასასრული
71. დავით ჩიხლაძე — ლექსები
75. აპოლონ ადონია — ლექსები
79. ნოდარ შამანაძე — ლექსები
81. ჯემსი კეპულაძე — კოხინჯრობა. მოთხრობა
92. ვიქტორ კახნიაშვილი — ლექსები
95. ამირან ახობაძე — ლექსები
97. როსტომ ბიბაური — ლექსები
98. არჩილ ბიჭაშვილი — ლექსები
99. ცისანა უტარაშვილი — ლექსები

## ახალი თარგმანები

100. ჰერბერტ უელსი — თანამედროვე რომანი. ინგლისურიდან თარგმნა **ეთერ ბალიაშვილმა**

## აქტუალური საკითხი

110. ვლადიმერ კორტავა — პიროვნების მორალურ შესაძლებლობათა რეალიზაცია

## პ უ ბ ლ ი კ ა ც ი ა

115. ედუარდ კოდუა — ერის საზრისის საკითხები ოციან წლებში
117. ნიკოლოზ მიწიშვილი — ფიქრები საქართველოზე
122. გრიგოლ რობაქიძე — საქართველოს ხერხემალი

## წ ე რ ი ლ ე ბ ი

126. ვაჟა ხორნაული — „რიწა“ მკითხველის იმედს ამართლებს
132. ამირან გომართელი — რუსული ფილოსოფიის გამოძახილი უახლეს ქართულ პროზაში
136. გიორგი მჭედლიშვილი — საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოს პრობლემა

## ხ ე ლ ო ვ ნ ე ბ ა

149. ცისანა კუხიანიძე — პოეტური ხილვების სამყაროში
153. გია ბუღაძე — რამდენიმე მოსაზრება გოეთეს „ფერთა თეორიის“ მხატვრობაში პრაქტიკული გამოყენებისათვის

## რ ე ც ე ნ ზ ი ა

158. ტრისტან მახაური — „ხალხური სიტყვიერება „აკაკის კრებულში“
160. ქრონიკა

მთავარი რედაქტორი
ჯანსუღ ღვინჯილია

სარედაქციო კოლეგია:
გივი ალხაზიშვილი
თედო ბექიშვილი
(მთავარი რედაქტორის მოადგილე)
გივი გეგეჭკორი
გურამ გეგეშიძე
გიორგი გუგლია
თეიმურაზ დოიაშვილი
მერაბ ელიოზიშვილი
მედეა კახიძე
შოთა ნიშნიანიძე
გურამ ფანჯიკიძე
მორის ფოცხიშვილი
ნუგზარ შატაიძე
ავთანდილ ჩხიკვიშვილი
(პასუხისმგებელი მდივანი)
სოსო ცინცაძე
გოგი წერეთელი
გიორგი ჭანტურია
ტარიელ ჭანტურია
ბადრი ჭოხონელიძე
მაკა ჯოხაძე

ზურაბ კანდელაკი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბევრი რამ ხდება, ჰორაციო...

მოთხრობა

ასე იყო ყოველ დღე, არა და არა, არ თავდებოდა ეს „მალე“. მას კი უნდოდა, ძალიან უნდოდა აქედან გასვლა. მაგრამ არ უშვებდნენ, ნემსებს უკეთებდნენ და ატყუებდნენ, მალე, მალე გაგიშვებთო. ყველა ატყუებდა და როცა მიხვდა, მატყუებენო, გაქცევაზე დაიწყო ფიქრი. წარმოსახვაში გეგმებს აწყობდა, მისი ფანჯარა საავადმყოფოს ეზოს გადაჰყურებდა, ეზოს რკინის დიდი ჭიშკარი ჰქონდა, ზედ ვერ გადაძვრებოდა, რადგან მაღალი იყო, არადა, ეს ჭიშკარი იზიდავდა, მხოლოდ ეზოდან შეიძლება გაპარვა, სხვაგან ყველგან დარაჯები დგანან და იმათ ვერ გავექცევიო, ასე ფიქრობდა და უყურებდა ჭიშკარს, უყურებდა... ბოლოს მაინც აღმოაჩინა რაც უნდოდა, იქ, იმ ადგილზე, სადაც ჭიშკრის ორი ნახევარი ერთდებოდა, მიწა ცოტათი ამოღრუტნული იყო და თუ როგორმე მოახერხებდა ეზოში ჩასვლას. იმ ამოღრუტნულში თავისუფლად გაძვრებოდა და მერე მშვიდობით საავადმყოფოვ! და დაიწყო ფიქრი, წარმოიდგინა, როგორ გაძვრებოდა იმ ამოღრუტნულში, როგორ დააღწევდა თავს გაუთავებელ ნემსებს, როგორ გამოეცხადებოდა ბიჭებს მოულოდნელად, ფეხბურთის თამაშის დროს, როგორ ეტყოდა, მეც მათამაშეთო, როგორ შეეხვეწებოდნენ ჩვენკენ იყავი, ჩვენკენო, ის კი მხრებს აიჩეჩავდა და იტყოდა, როგორც გინდათ, ჩემთვის სულ ერთია, თუგინდ კენჭი ყარეთო, ყრიდნენ კენჭს და იმ გუნდს უხაროდა ვისკენაც იყო, რადგან იცოდნენ, რომ მოიგებდნენ, აუცილებლად მოიგებდნენ, ისიც იმედს არ უცრუებდათ და გაჰქონდათ ბურთები, უამრავი ბურთი, მაგრამ ხშირად უამრავი ბურთის გატანაზე უარს ამბობდა, მაინც გადამწყვეტი ბურთის გატანა სჯობიაო და გადამწყვეტი ბურთი გაჰქონდა, ხუთით ხუთზე, მეექვსე ბურთს აგდებდა, ხან მოწინააღმდეგის მთელ გუნდს ატყუებდა და ისე, ხან აულებელ ბურთს ურტყამდა მარცხენა ფეხით, ხან კი... და ასე გრძელდებოდა დაუსრულებლად, ოცნებობდა და ოცნებაც შველოდა, უკვე ისე აღარ აწუხებდა ნემსების ჩხვლეტა, უკვე ხმის ამოუღებლად თანხმდებოდა ყველაფერზე, აღარც იმას კითხულობდა მალე წავალთო. დედას უკვირდა, ასე რამ შეცვალაო და უფრო მეტად ეფერებოდა, რა ჭკვიანი ბიჭი მყავსო, ექიმებსა და ექთნებს კი არ უკვირდათ, ასეთებიც ენახათ და ისეთებიც; იმათ ის უკვირდათ, რომ ვერ დაედგინათ, თუ რისგან ჰქონდა ასე გაუთავებლად სიცხეები, ის კი მხოლოდ გაქცევაზე ოცნებობდა, ფულიც ჰქონდა, ჩუმად შენახული, ტკიცინა მანეთიანების დასტა, ბიძამისის ნაჩუქარი, ფულიც ხომ საჭიროა გაქცევის დროსო და საგულდაგულოდ ინახავდა, მალავდა ამ ფულს. ოცნებობდა გაქცევაზე და თან იცოდა, რომ ვერ გაიქცეოდა და მაინც დაუსრულებლად ფიქრობდა, ფიქრობდა, ახალ-ახალ გეგმებს აწყობდა, ეტყობა, უკვე ხვდებოდა, რომ მხოლოდ წარმოსახვაში, როდესაც გაქცევაზე ფიქრობდა, მაშინ

---

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ცისკარი“ № 8.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იყო ბედნიერი და მაშინ ავიწყდებოდა ნემსის ჩხვლეტით გამოწვეული ტკივილები და, ალბათ, იმასაც გრძნობდა ქვეცნობიერად, რომ მერეც, კარგა ხნის მერეც, ბევრ რამეს, ძალიან ბევრ რამეს დაივიწყებდა. ბევრნაირ ტკივილს გაიბრუებდა წარმოსახვაში.

რა იყო ეს? ჯილდო მისთვის ბოძებული თუ წყევლა?! წყევლა თუ ჯილდო?!

და ისე იყო ერთმანეთში ჩახლართული ნამდვილი და მოგონილი, ოცნება და სინამდვილე, რომ ეშმაკიც ვერ გაარჩევდა, სად იწყებოდა ერთი და სად მთავრდებოდა მეორე, ახლაც, უყურებდა თონეში ახლად გამომცხვარ კახურ პურს, ნასვრეტებიდან ერბოჩამოღვენთილ თუშურ ყველს. მაძღარ კაცსაც ნერწყვს რომ მოჰგვრიდა ისეთს, და ჭამის სურვილით კბილებაკაწკაწებულს ვერ გაებედა მაცდურად შებრაწული პურის ყუის მოტეხაც კი, რადგან ისევ ეშინოდა წარმოსახვისა, ვაითუ, ისევო!.. ვაითუ, მაშინაცო... ნუთუ ყველაფერი ჩემი ფანტაზიის ნაყოფი იყოო... ის დღეც?!. ზაფხულის ის ძალიან ცხელი დღეც?!. ნუთუ სულ ასე იქნებაო?!

ამასობაში ქორჟმა სუფრის გაწყობა მოამთავრა და ილიკოს ღვინით სავსე ჭიქა მიაწოდა — აბა ღვინო დააჭაშნიკეო. — ილიკომ გაუბედავად ჩამოართვა ჭიქა და ხელში სიმძიმე იგრძნო თუ არა, გაუხარდა, ნამდვილია, ეტყობა, ნამდვილიაო, მაგრამ რადგან ჯერ კიდევ აწვალებდა ეჭვის ჭია, ფრთხილად მიიტანა ჭიქა პირთან, მხოლოდ ერთი ყლუპი მოსვა, მოსვა და მერე კი... ო, რა საოცრად კარგი იყო, გემრიელი! — ჰა, როგორი ღვინოა?— სახეგაბრწყინებული მიაჩერდა ქორჟი, თუმცა ილიკოს ისეთი ნეტარი ღიმილი ეფინა სახეზე, რომ უთქმელადაც ყველაფერი ნათელი იყო. ქორჟმა პურის ყუა მიაწოდა და ისევ შეავსო ჭიქები. — ახლა ერთ ამბავს მოგიყვები, დიდი ხნის წინანდელ ამბავს, ეს ამბავი მე შემემთხვა და იცი, რატომ უნდა მოგიყვე?.. მინდა დაგარწმუნო ჩემს სიმართლეში. ხომ გახსოვს, რომ გითხარი, წარსულშიც ვარსებობთ და მომავალშიც ვიარსებებთ-მეთქი? მოდი, მე, ანუ შენ და შენ, ანუ მე გაგვიმარჯოს! — ქორჟმა სულმოუთქმელად დასცალა ჭიქა და ნასიამოვნებმა, თეთრ, თამბაქოსაგან ოდნავ შეყვითლებულ ულვაშებზე ხელი ჩამოისვა, ილიკომაც დალია, მეორე ჭიქა უფრო ესიამოვნა, ისეთი შეგრძნება ჰქონდა, თითქოს დიდი ხნის წინ გაციებული, გაყინული სისხლი გაუთბა და, მართლაც, ძარღვებში, სასიამოვნოდ, ჟრუანტელის მომგვრელად აუჩქეფდა სისხლი. ახლა უკვე თვითონვე მოიტეხა პური და ყველი, მწვანილიც დააყოლა და ამოლესილი, ნიგვზიანი ლობიოც. — მაშ ყური მიგდეო — და ქორჟმა დაიწყო იმ ძველი ამბის მოყოლა...

ქორჟმა იმ ძველი ამბის მოყოლა დაიწყო მაშინ, როდესაც ილიკოს ძარღვებში სასიამოვნოდ, ჟრუანტელის მომგვრელად აუჩქეფდა სისხლი, ცოტა ხნით ადრე კი, მან ზაფხულის ერთი დღე გაიხსენა, გახსოვთ, ალბათ, — ეჰ, რა მშვენივრად დაიწყო ყველაფერი, რა კარგადო! — ასე რომ გაიფიქრა, ჰოდა, ადვილი შესაძლებელია, ღვინისაგან ოდნავ გაბრუებულმა ილიკომ, გულისყურით ვერ მოუსმინოს ქორჟს და თავის ფიქრებში წავიდეს, ის დღე გაიხსენოს და ყველაფერი დაწვრილებით აღადგინოს მეხსიერებაში. ჩვენც მივყვეთ მის ფიქრებსა და მოგონებებს, ჩვენთვისაც, ალბათ, საინტერესოა გავიგოთ, რა მოხდა, რატომ თავდაპირველად? მერე?.. თუ მართლა კარგად დაიწყო, ეჰ, სევდიანი ეჰ, რა შუაშია?

## 5

196. წლის ივნისში თბილისში ძალიან ცხელოდა. სხვა, იმ წლის იმ თვეში, ღირსშესანიშნავი ან თუნდაც

საინტერესო არაფერი მომხდარა, ეს იყო მხოლოდ, რომ იპოდრომზე ერთ-ერთი დოღი, ყველასათვის მოულოდნელად, მოიგო ცხენმა „გენამ“ და ამით, ერთადერთი მომგებიანი ბილეთის პატრონს ათას ორასი მანეთი მოაგებინა. მართალია, იმ ათასი დოღის მოყვარულისათვის, ყოველ კვირა დღეს რომ იკავებდნენ ადგილს იპოდრომის ტრიბუნებზე, ეს ღირსშესანიშნავი მოვლენა იყო, მაგრამ საერთო ჯამში ეს არაფერს ნიშნავდა, აბა რა არის რაღაც ათასი კაცი მილიონიან ქალაქში! ჰოდა, რადგან საინტერესო და ჭორის აღმძვრელი არაფერი მომხდარა, ყველა აუტანელ სიცხეზე ლაპარაკობდა. ამ მხრივ, არც 25 ივნისი ყოფილა გამონაკლისი, თუმცა თუ იმდროინდელ ამინდის ბიუროს ცნობებს გადავათვალიერებთ, დავინახავთ, რომ ჰაერის მაქსიმალური ტემპერატურა სწორედ 25 ივნისს ყოფილა აღნიშნული და ეს ფაქტორი, ამ დღეს, სხვა დღეებთან შედარებით, მცირე, მაგრამ მაინც რაღაც უპირატესობას ანიჭებდა. მაქსიმალური ტემპერატურაც საქმეა! ასე იყო! მხოლოდ აუტანელი სიცხით იყო აღსანიშნავი ეს ივნისი უმრავლესობისათვის და ვისაც კი შეეძლო, მიისწრაფოდა სიგრილისაკენ, გარბოდნენ მთაში, ზღვაზე, წყნეთში, კოჯორში, კიდევ სხვაგან ახლომახლო, დანარჩენები კი სიცხისაგან თავს იცავდნენ ცივი შხაპით ან უბრალო ცივი წყლით, მაცივრებით, ჩაციებული ღვინით, ლუდით, თბილისის ზღვით და ლისის ტბით. ამ უამრავ, სიცხით გათანგულ ხალხში იყვნენ ისეთებიც, ვისთვისაც ეს ივნისი და თუგინდ, კერძოდ, 25 ივნისი, მხოლოდ აუტანელი სიცხით არ იქნება აღსანიშნავი, მათ ეს დღე მთელი ცხოვრების მანძილზე ეხსომებათ, ზოგს ამ დღეს მოვლენილი დიდი სიხარულის, ზოგს კი, პირიქით, დიდი მწუხარების გამო. ზოგიერთებისთვის კი, შეიძლება სხვებისთვის თვალშისაცემი ისეთი არაფერი მოხდა, მაგრამ თავისთვისაც კი, შეუმჩნეველი ამბავი — იმ წუთში ვითომ უბრალო შემოხედვა. გაღიმება, თითქოს შემთხვევითი, ან სიზმარი, ან უცბად, დილით, მოულოდნელად, გახარებულს რომ გეღვიძება და ადრე ძნელი წარმოუდგენლად ძნელი, ძაან იოლი გეჩვენება და სხვა, კიდევ მსგავსი ამბები, არასოდეს დაივიწყონ, რადგან ყოველივე ეს მერე შეიძლება გადაიქცეს საწყისად, როგორც სიხარულისა, ასევე, ღმერთმა დაგვიფაროს და, შემდგომ, იმ სიხარულით გამოწვეული მწუხარებისა, და ამის გამო, დიდი ხნის შემდეგ რომ დაფიქრდებიან, როდის დაიწყო ყველაფერიო, იმ, ივნისის ცხელ დღეს გაიხსენებენ, 25 ივნისს, ყველასათვის ჩვეულებრივს,მხოლოდ ჰაერის მაღალი ტემპერატურით აღსანიშნავს, სინამდვილეში კი...

დიახ, 25 ივნისი იყო...

ეს დღე გაიხსენა ილიკომ და ამ დღეზე გაიფიქრა, ყველაფერი კარგად დაიწყოო... მაგრამ ასე იყო?.. ნუთუ მართლა ასე იყო? იმ დღეებში, მერეც, სულ ფიქრობდა, მაინც რა მოხდა, რა იყო მიზეზი? როგორ, რანაირად გადაიქცა უბრალო სიახლოვე, ისეთი, რომელმაც თითქოს კვალი არ უნდა დატოვოს, ნელ-ნელა ყველაფრის დამთრგუნველ ძალად, რატომ მოხდა, რომ ადრე თითქმის შეუმჩნეველი ღიმილი, მერე ყველა ღიმილზე საოცარი გახდა! სხვა დროსაც ხომ ჰქონია მსგავსი შემთხვევები, მაშინ რატომ არ მოხდა ასეთი რამ? რომელმა რომელი გამოიწვია? — რაღაცის შექმნის დიდი სურვილით გათამამებულმა იმედმა გააღვიძა ის გრძნობა, თუ პირიქით, იმ გრძნობიდან დაიწყო ყველაფერი და ის გახდა მისი იმედის მძლავრი მოკავშირე და იმან ჩააგონა, გააკეთებ, ყველაფერს გააკეთებ, ყველაფერს შეძლებო! ან იქნებ ბედნიერი დამთხვევა იყო, სხვა არაფერი, თუმცა, განა ამას მნიშვნელობა ჰქონდა? რომელი წვეთი დაეცა უფრო ადრე პირამდე ავსებულ ფიალას?! მთავარი ის იყო, რომ სავსე ფიალა არსებობდა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

უკვე წარმოუდგენლად ძნელი იყო ცხოვრება. არა, გარეგნულად არაფერი ემჩნეოდა, ისევ ისეთი იყო, ისევ მეგობრებში ტრიალებდა, იცინოდა, ხუმრობდა და ბევრს, ვინც კარგად არ იცნობდა, და განა მარტო მათ, ახლობლებსაც უკვირდათ და ოდნავ კიდეც შურდათ — აი, უდარდელი, ფეხებზე ჰკიდია ყველაფერიო, ის კი არ იცოდნენ, რაოდენ მძიმე იყო უდარდელი კაცის ნიღბის ტარება, რა მტკივნეულად განიცდიდა ამას და რა ზიზღს ჰგვრიდა, უკვე თითქმის ყველაფრის დამყოლ არსებად გადაქცეული საკუთარი თავი. უკვე აღარაფერს აკეთებდა, სიზარმაცეს აბრალებდა, მომბეზრდა, მეზარებაო, სინამდვილეში კი რაც ხდებოდა, არავის ეუბნებოდა, მხოლოდ საკუთარ თავს უმხელდა, ისიც ხანდახან, ყოველთვის არა — გამოფიტული, დაცლილი იყო! და ნელ-ნელა მთელ მის არსებას იმორჩილებდა საკუთარი უუნარობის შეგრძნების მეტად საშიში ძალა და ემსგავსებოდა ბევრ სხვას, ძალაგამოცლილებს, იმედწართმეულებსა და ხელჩაქნეულებს. მერე კი, ალბათ, უნდა დამდგარიყო უფრო საშინელი დრო, ქირქილის, სხვისი გაქილიკების დრო, ეს კი უკვე დასარული იქნებოდა! მაგრამ ეტყობა, მას კიდევ გააჩნდა წინააღმდეგობის გაწევის უნარი და ძლივძლივობით, მაგრამ მაინც აკავებდა, უკან აბრუნებდა, სამოქმედოდ გამზადებულ ამ საშინელ ძალას, ალბათ, ამიტომაც ამღერდა სიზმარში, ამიტომაც გამოიღვიძა რაღაცნაირად აღტყინებულმა, აღტაცებულმა და ალბათ, ამიტომაც დაიბადა ის შეგრძნება იისფერთოვლსანთლიანი ველისა და ცას აკრული ღვთისმშობლის ხატისა და რომ არ დაკარგულიყო ეს შეგძნება, რომ როგორმე ბოლომდე მიეყვანა, განეხორციელებინა დიდი ხნის ნაოცნებარი, ხელიდან არ გაეშვა, რაც ბოლო დროს ხშირად ემართებოდა — ღამით ნაფიქრალი დილით უკვალოდ ქრებოდა, რადგან დილით, ის, ღამით, უძილობის დროს გაღვიძებული იმედი აღარ არსებობდა — რაღაც ბიძგი სჭირდებოდა, მხარდაჭერა და ეს მხარდაჭერა მოულოდნელად გამოჩნდა. იმ უეცრად დაბადებული სიყვარულის სახით, თუმცა მაშინ ილიკო ვერაფერს ხვდებოდა. მისი სიზმრის დღეს, ეს გრძნობა ჯერ კიდევ შეუცნობი იყო, უფრო ფიზიკურ ლტოლვას, მისი კიდევ ერთხელ დაუფლების სურვილს ჰყავდა შეპყრობილი და როდის გაჩნდა ის სხვა გრძნობა, ნამდვილი, ვერ გაიგო და არც დაფიქრებულა ამაზე, რადგან ყველაფერი თავისთავად, თითქოსდა ძალიან უბრალოდ მოხდა, ჩუმად შეეპარა გულში და ისეთი ძალით მოუფათურა ხელი, რომ ყველაფერი დაავიწყა, რეალურს მოსწყვიტა და გადააგდო შორს, თავის თავში და ის დღე, მაშინაც კარგი, გულის ამაძგერებელი, გადაიქცა ბევრად უფრო კარგ დღედ, ამაღლებულად, პოეტურად და ის ბაღიც, სანაპიროს ბაღიც, საოცარ ბაღად იქცა, თვითონ ქალიც, ჩვეულებრივი, ოღონდ ლამაზთვალებიანი და საოცარი ღიმილის პატრონი, გარდაისახა უფრო ლამაზთვალებიანად და უფრო საოცარი ღიმილის პატრონად.

და უხაროდა ილიკოს, დადიოდა აღტაცებული, რადგან მასში არსებობდა ორი სიხარული — შემოქმედებითი აღმაფრენით და სიყვარულით გამოწვეული, ეჰ, ისე კი, იცოდა, გრძნობდა, რომ ამ სიხარულის ბედნიერებად ქცევას, ოჰ, რამდენი, რამდენი რამე უნდოდა!

და ვერც აქცია!..

ჩაკლეს, თავები წააწყვიტეს!..

მანამდე კი...

ილიკოს, იმ დღეს, ქალის სანახავად რომ გავარდა, ჯერ ისევ ეგონა, კიდევ ერთხელ მინდა მასთან ყოფნა, სიახლოვეო, მხოლოდ ამისთვის მივდივარ და მერე აღარასოდესო, თორემ... და არ იცოდა, რომ თორემ უკვე არ არსებობდა! სამაგიეროდ ქალმა იცოდა, იგრძნო, ალბათ, ქალურმა ალღომ

უკარნახა და ისარგებლა ამით, კი არ ისარგებლა, უბრალოდ ქალი იყო და გამარჯვებულად წარმოიდგინა თავი, გამარჯვებულები კი, ოდითგანვე დამარცხებულებს ისე ექცევიან, როგორც მოესურვებათ და მანაც, მასთან მისულ ილიკოს ასე უთხრა: არა, აღარა ღირს ჩვენი შეხვედრა, ყველაფერი სისულელეა, სისულელეო! — ამას კი არ მოელოდა ილიკო, ასე ეგონა, ქალი, ალბათ, ჩემზე ფიქრობს, მელოდებაო, რადგან მაშინ, სამი დღის წინ... ხომ... და მოულოდნელი უარით გაოგნებული კედელს მიეყრდნო, რა უნდოდა აქ, რისთვის მოვიდა? იდგა უაზროდ, კედელს მიყუდებული და ბოლოს როცა მიხვდა, რომ ქალის თვალში სასაცილოდ გამოიყურებოდა, კარისაკენ წალასლასდა, მაგრამ ასე წასვლაც არ იქნებოდა, განურჩევლობის ნიღაბი უნდა აეფარებინა, უნდა რამე ეთქვა, დამცინავი და თქვა კიდეც: — კარგი, ქალბატონო, როგორც გენებოთ, თქვენ თუ არ გნებავთ, ძალს ხომ ვერ დაგატანთ, — თქმით კი თქვა, ოღონდ კილო ვერ დაიცვა დამცინავი, სიტყვებს სიმართლე აკლდა, სიმტკიცეც, ვერც ნიღაბი დაეხმარა, იხტიბარი მაინც არ გაიტეხა და ირწმუნა, რომ ამით ქალს სამაგიერო გადაუხადა, გააწბილა, მარტო დატოვა — ასე უნდა, დამიწყო აქ თავის დაფასებაო, — მაგრამ ცდებოდა, ქალი არ გაწბილებულა, არც მარტო დარჩენილა, რადგან ილიკო, წასულიც კი მასთან დარჩა და თანაც როგორ! სამუდამოდ! ისევ არა სტყუოდა ქალის ალღო, მიხვდა ყველაფერს და უარყო, უკუაგდო თავისი სურვილი, ილიკოსთან ყოფნის მძაფრი სურვილი — არა უშავს რა, წავიდეს, მაინც აქ მოვა, ჩემთან მოვა, დაბრუნდებაო, მაგრამ ყოველ შემთხვევისთვის თავი დაიზღვია და გააყოლა თავის ღიმილი, ჩაუტენა, ჩაუკუჭა, გულში ჩაუკუჭა, თავის თვალების ძალაც იხმარა, მისი მზერაც მიაყოლა გულში ღიმილჩაკუჭულს, ოღონდ ახლა ის თვალები წყნარ ზღვასავით გამჭვირვალე როდი იყო, ღელვის შემდეგ აჭრილ ზღვასავით ამღვრეული, საოცრად წააგავდა კატის თვალებს. და ზეიმობდა გამარჯვებას, სულ პატარას, მაგრამ მაინც გამარჯვებას და არ იცოდა, ვერ იგძნო, აქ კი, ვეღარ უშველა უტყუარმა მისმა ალღომ, რომ გამარჯვება ხანდახან დიდი დამარცხების წინამორბედია... ეჰ, ან ნეტა რისთვის იყო საჭირო ეს ყველაფერი?! ვისთვის?! გამარჯვება... დამარცხება...

ქალისაგან წამოსული ილიკო, ძაან ნაწყენი, გულში ერთი და იგივეს იმეორებდა — არ უნდა და ნუ უნდა, დიდი ამბავი! — ამით თითქოს თავის თავს უმტკიცებდა, ჩემთვის ყველაფერი სულ ერთიაო, მაგრამ მაინც ვერ მშვიდდებოდა — როგორ? რანაირად? ნუთუ მაშინ, სამი დღის წინ, შემთხვევითი კაცი ვიყავი და ჩემს ადგილზე ვინც უნდა ყოფილიყო, მისთვის სულ ერთი იქნებოდაო?! — ეს აზრი აცოფებდა და თავის თავს ისევ უმტკიცებდა, — კარგი, კარგი, ახლა მიყუროს მე მაგანო! — და ვერ ხვდებოდა, რომ რადგან იმ წუთში არ დაივიწყა, ისე, როგორც ადრე სხვებს ივიწყებდა, სხვა რამ მიზეზი არსებობდა და ასე იოლად და უბრალოდ, მიყუროს მე მაგანო, ვერ გამოუვიდოდა. ახლა კი, გაბრაზებულ-გაცოფებულს ეზიზღებოდა ქალი ამის გამო და მიდიოდა მისგან ვითომ საბოლოოდ, მაგრამ ისევ იმაზე ფიქრობდა, სამი დღის წინანდელ ამბავს იხსენებდა.

22 ივნისსაც ძალიან ცხელოდა. წინადღით გადაწყვიტეს, ხვალ ყველაფერი თორმეტი საათისათვის დავამთავროთ და სადმე წავიდეთო, სად? სად? და აიჩემეს, ქალაქგარეთო. ერთი დამწყები მსახიობი ეპატიჟებოდათ, მარნეულის გზით წავალთ და იქვე, თბილისთან სულ ახლოს არის ჩემი სოფელი, სიგრილეც არის მშვენიერი და სახლშიც პურმარილი დაგვხვდებაო. ილიკოს იქ წასვლა მაინცდამაინც არ უნდოდა, როდის ჩავალთ, როდის დავბრუნდებითო, თანაც ხუთ საათზე საქ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მე ჰქონდა, თბილისში რომ წავსულიყავით სადმე, აჯობებდაო, მაგრამ ბოლოს მაინც გადაწყვიტა წასვლა იმ განზრახვით რომ ხუთი საათისათვის აუცილებლად დაბრუნებულიყო თბილისში. ჯერ იყო და, წასვლაზე იწვალეს ბევრი, ტრანსპორტს ვერ მოუხერხეს ვერაფერი, სამი ტაქსი სჭირდებოდათ ან ავტობუსი. რამდენჯერმე გადაწყვიტა, აღარ წავალო, მაგრამ რაღაც აკავებდა, არ უშვებდა. ნუთუ უკვე მაშინ გრძნობდა რამეს? მერე, როცა ადგილზე ჩავიდნენ, იქ მოუმზადებლები დახვდნენ, თანაც ჯერ ყველა არ იყო ჩამოსული, მათ შორის არც ის, მაგრამ ამისთვის დიდი ყურადღება არ მიუქცევია, თუმცა მერე, როცა ამ დღეს იხსენებდა, თავის თავს გამოუტყდა, რომ თურმე, არც ასე ყოფილა საქმე და გზისკენ მალიმალ მარტო კონიაკების გამო არ იყურებოდა, ისე კი, ვითომ კონიაკებისთვის ღელავდა.

სამი საათი სრულდებოდა, ილიკო ხშირად იყურებოდა საათზე, ერთ საათში უნდა წავიდეო, თავის თავსაც უმეორებდა და სხვების გასაგონადაც ამბობდა. ირაკლიც ნერვიულობდა, სად არიან ამდენ ხანს, დროა უკვე, ქეიფის დაწყების დროაო. ირაკლი სამოცს მიღწეული იყო, უკვე შვილიშვილები ჰყავდა, მაგრამ გულით ახალგაზრდა იყო და ძალიან უყვარდა ახალგაზრდებთან ყოფნა, იმათაც უყვარდათ, რადგან განათლებულიც იყო და სიმპათიურიც, ქეიფიც უყვარდა და თუ შემთხვევა მიეცემოდა, არც პატარ-პატარა სასიყვარულო ინტრიგებზე ამბობდა უარს. ირაკლი, მიუხედავად იმისა, რომ შიოდა და სუფრასთან დაჯდომა ეჩქარებოდა, მაინც ეხუმრებოდა ილიკოს. — რა, გენაცვალე, ხუთზე მიდიხარ? — ილიკო თავს უქნევდა და შორს, მთის ფერდობზე შეფენილ ხეებს შეჰყურებდა, ლამაზი იყო მწვანით შემოსილი ეს მთა, უფრო შორს კი, სხვა მთის წვერზე, პატარა საყდარი მოჩანდა და ის, სხვა მთა, უფრო ლამაზი იყო. ირაკლი არა და არა, არ ასვენებდა — უკვე დროა, რაღას უცდი? — ჰო, წავალო, და რადგან მომსვლელები არ ჩანდნენ, მართლა წავალო გაიფიქრა, მაგრამ არ წავიდა, არც ხუთ საათზე ამდგარა სუფრიდან, რადგან უკვე მის გვერდით იჯდა და სასმელსაც საკმაოდ მაგრად ჰყავდა შეჯანჯღარებული, არადა მაშინ რომ წასულიყო, შეიძლება მერე არაფერიც არ მომხდარიყო.

ისინი თითქოს არც კი აქცევდნენ ერთმანეთს ყურადღებას, მაგრამ დაკვირვებული კაცი შეამჩნევდა, რომ რაღაც ძაფი მათ შორის უკვე გაბმული იყო. კარგა ხნის შემდეგ ქალის ამხანაგმა ილიკოს უთხრა. თავიდანვე ძალიან მოსწონდიო და ამით დაუდასტურა ის, რასაც თვითონაც ხვდებოდა, მაგრამ უკანასკნელ დღეებამდე, როგორც ქალს, ისე არ უყურებდა. იცოდა შვილი რომ ჰყავდა და ქმრიანი ეგონა, სხვისი ქალების ხელის ხლებას კი, ვერ იტანდა, თუმცა როცა გაიგო, ქმარს გაცილებულიაო, არც მაშინ გამოუჩენია მის მიმართ განსაკუთრებული ყურადღება, თითქოს სხვები უფრო აინტერესებდა. მაგრამ რაღაც შეუცნობი, შინაგანი ლტოლვა ქალის მიმართ უკვე ისახებოდა მასში, ახლა კი, სუფრასთან, ეს ლტოლვა უფრო გამოიკვეთა და მერე, ცეკვის დროს, საბოლოო, ჩამოყალიბებული სახე მიიღო. პირველი ცეკვა უცხოებივით იცეკვეს, ხაზგასმით უგულოდაც, მერე ვითომდა იმის დასამტკიცებლად, არაფერი არ არის ჩვენ შორისო, სხვებთან იცეკვეს, ისევ თითქოს რაღაცას მალავდნენ, თუმცა ორივე კარგად გრძნობდა, რომ დასამალი უკვე აღარაფერი ჰქონდათ, სხვებთან ცეკვავდნენ, მაგრამ მაინც ერთმანეთთან იყვნენ.

ირაკლი, რამდენიმე ბიჭთან ერთად სუფრიდან არ დგებოდა, რამდენჯერმე გასძახა ოთახში მყოფთ: ვცეკვავთ, ძვირფასებო, ყავა ხომ არ გნებავთ?— ირონიის ოსტატი იყო, ვითომ სუყვე-

ლას მიმართავდა. მაგრამ სინამდვილეში ეს სიტყვები მხოლოდ ილიკოსთვის იყო განკუთვნილი.

ცეკვის ნამდვილმა მოყვარულებმა, ჩქარი, რიტმული მუსიკა დაუკრეს მაგნიტოფონზე და რადგან ილიკო ცეკვის დიდი მოყვარული არ იყო, არც იცეკვა, ფანჯრის რაფაზე ჩამოჯდა და იქიდან ადევნებდა თვალს, თან ელოდა, როდის შეიცვლებოდა ეს ჩქარი მუსიკა შესაფერისით, ბოლოს მობეზრდა ლოდინი და თვითონ მოძებნა ის, რაც უნდოდა. ეზოში შესულ ცეკვის მოყვარულებს ცოტათი კი ეწყინათ, მაგრამ ვერაფერი უთხრეს, ხათრი ვერ გაუტეხეს და ოდნავ სევდიანმა საყვირმა, კვლავ მოუხმო მათ ერთმანეთისკენ. ახლა უკვე აღარ იტყუებდნენ თავს, მკლავებზე მოხვია ხელები, მხრებთან ახლოს, საოცარ მხრებთან, უფრო მიიზიდა და იგრძნო, მთელი სხეულით იგრძნო მისი მკერდის სირბილე.

იყო და არა იყო რა...

ქალი იღიმებოდა, მას უღიმოდა, კამკამა, ლურჯი ზღვის გაღიმებას ჰგავდა ეს ღიმილი, ო, რა ძალა ჰქონდა ამ ღიმილს, რა ძალა! მხარზე აკოცა ილიკომ. ქალი კი ისევ ისე უღიმოდა, ისევ აკოცა, ახლა უკვე ცოტა ზემოთ, ყელთან და უფრო მაგრად მიიხუტა, ქალიც მიჰყვა, თავის დამყოლი სხეულით მიჰყვა და იდგნენ ასე, ჩახუტებულები, იმ სევდიან საყვირს მინდობილები, ვითომ ცეკვავდნენ! მერე სხვა მელოდია შემოიჭრა, უფრო მხიარული, სწრაფი, მაგრამ მათთვის მხოლოდ ერთი მელოდია არსებობდა, მათი მელოდია... და იცვლებოდა ერთი რიტმი მეორეთი, მეორე მესამეთი და...

ირაკლი უკვე ეზოში იყო შესული, ყანწით სვამდა, ვიღაც უცნობებს ადღეგრძელებდა, ეტყობა, სახლის პატრონის მეზობლებს. ილიკოს გამოჩენა გაუხარდა, ოღონდ ჩვევას ვერ უღალატა, ირონიით გაუმასპინძლდა:

— მარტო ხარ, გენაცვალე? ყავა ხომ არ მოგართვათ, ა? — და ყანწი მიაწოდა. ილიკომ დალია, რამდენიმე ჭიქაც დასცალა ზედიზედ. ცეკვის მოყვარულები უკვე მაგიდასთან ისხდნენ, მარტო ის აკლდათ. — რატომ არ მოდისო, გაიფიქრა ილიკომ და ისევ მოუნდა მისი ნახვა.

ღვთის უკეთესი რა იქნებოდა...

ფანჯრის რაფაზე დაყრდნობილი, ფიქრებში წასული ქალი, სადღაც შორს იყურებოდა, მაგნიტოფონიდან კი მოისმოდა „იყო და არა იყო რა“... ჰო, ნამდვილად ეს სიმღერა იყო. „ივერია“ მღეროდა. ფანჯარაში გადაყუდებულს ილიკოს შემოსვლა არ გაუგია, ან შეიძლება გაიგო და ფიქრებს ვერ გამოეხსნა. ფეხაკრეფით მიუახლოვდა ილიკო და ხელი მოხვია. ქალი არ განძრეულა, ილიკომ თავისკენ შემოაბრუნა... ქალი ტიროდა...

ღვთის უკეთესი რა იქნებოდა...

და იხილა საოცრება — ქალის ზღვისფერი თვალები! ოჰ, რომ იცოდეთ, რა იყო ეს! და ილიკოს საოცრად მოუნდა ყველას გასაგონად დაეყვირა — გინახავთ ვინმეს სადმე ასეთი რამ! — მართლა ასე იყო! რარიგ ბრწყინავდა ჩამავალი მზის შუქზე მისი ცრემლებით დანამული თვალები, რარიგ იცვლებოდა მათი ფერი და, რა ფერები იყო რომ იცოდეთ! აუცილებლად დაიყვირებდით. ყველა დაიყვირებდა, ყველა, ვისაც ოდნავ მაინც გააჩნდა მშვენიერების აღქმის უნარი — გინახავთ ვინმეს სადმე ასეთი რამ! — და ილიკომაც დაიყვირა, მთებს, ხეებს, გზას, ყველას, მიმავალსა თუ მომავალს, ყველას გასძახა:

— გინახავთ ვინმეს სადმე ასეთი რამ!

პატარა რომ იყო, დიდხანს უყურებდა კედელზე დაკიდებულ, შავ ჩარჩოში ჩასმულ მამის სურათს. აღმოჩენა გააკეთა პატარამ, თუ დიდხანს, ძალიან დიდხანს თვალს არ მოაცილებდა მამის თვალებს, ტკივილამდე თუ გაუძლებდა, საოცრება ხდებოდა, სურათი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცოცხლდებოდა და გაცოცხლებული მამა თბილად უღიმოდა, ხანდახან კი, ხუმრობით, თვალსაც უპაჭუნებდა. ასე გაჩნდა იმედის მომცემი ოცნება, ხომ შეიძლება მართლა გაცოცხლდეს მამაჩემი, ხომ შეიძლებაო! თანაც მეზობლების ლაპარაკსაც მოჰკრა ყური, ერთი კაცია, გვარად ბოშიანი, ამერიკიდან ჩამოსული სომეხი და ისეთი წამალი მოიგონა, მკვდრებს აცოცხლებსო. არა, რა თქმა უნდა, ისინი, ალბათ, ასეთ რამეს არ იტყოდნენ, მაგრამ პატარამ რაღაც მსგავსს მოჰკრა ყური, შეიძლება ხუმრობით ნათქვამსაც და დაიჯერა ეს ამბავი. ძლიერი იყო ეს იმედის მომცემი ოცნება, ძალიან ძლიერი! და ახლა ბოშიანს ხედავდა წარმოსახვაში, ემუდარებოდა, ეხვეწებოდა, მამა გამიცოცხლეო, ბოშიანი წამალს აძლევდა, თან არიგებდა, ერთი ჭიქა უნდა დალიოს ყლუპ-ყლუპითო, ბალახების ნახარშია და ძაან მწარეა, ბალღამივითაა, მაგრამ არა უშავს, დალიოს, აიტანოს სიმწარე და აუცილებლად გაცოცხლდება მამაშენიო. რითი უნდა გადაეხადა პატარას მისთვის მადლობა, ფული არა ჰქონდა, აბა, საიდან უნდა ჰქონოდა, ძალიან უნდოდა ეთქვა, მამა რომ გაცოცხლდება, ის მომცემს ფულს და მერე მოგიტანთო, მაგრამ ხმას ვერ იღებდა, ყელში რაღაც ეჩხირებოდა, უბრალო მადლობასაც ვერ ეუბნებოდა სასწაულთმოქმედს, მხოლოდ მზერით უხდიდა მადლობას, სიხარულის ცრემლებით დანამული თვალებით შესცქეროდა, შესციცინებდა — წადი, ბიჭიკო, წადი და იცოდე, მუდამ გახსოვდეს რომ მკვდრების გაცოცხლება შეიძლებაო! — ეუბნებოდა ბოშიანი და თავზე უსვამდა ხელს, ეფერებოდა. კარგი კაცი იყო ბოშიანი, კეთილი! და გამორბოდა გახარებული, წამალს ასმევდა მამას, უფრო სწორად კი მამის სურათს, დილით, როცა მარტო რჩებოდა, როცა დედა მიდიოდა მაშინ, მოულოდნელად უნდოდა დედის გახარება, და სვამდა წამალს მამის სურათი. ცოცხლდებოდა და სურათიდან გადმოდიოდა. მაღალი და ლამაზი, გულში იხუტებდა და კოცნიდა, ჩემო ვაჟკაცო, ეუბნებოდა და სულისშეხუთვამდე მაგრად კოცნიდა. რა კარგი იყო, მხოლოდ მამის ულვაშები ჩხვლეტდა ცოტათი, მაგრამ მერე რა, ამას ვერ გაუძლებდა?! და ოცნებობდა დაუსრულებლად, გაცოცხლებულ მამაზე ოცნებობდა, გაჭირვების დასასრულზე და ეს ოცნება ყველაზე კარგი, ყველაზე ნაღდი მაშინ ხდებოდა, სიზმარში რომ გადადიოდა. აი, მაშინ იყო ბედნიერი, ყველაზე ბედნიერი და მერეც, სიზმრის შემდეგ, ცხადშიც, ბედნიერება მასთან იყო, ათასნაირ გეგმებს აწყობდა და ოცნებობდა... ოცნებობდა... გავიდა წლები და ნელ-ნელა გაქრა ეს ოცნება და ეს სიზმარიც, უკვე სულ სხვა სიზმრები ესიზმრებოდა, მაგრამ ერთხელ, კარგა ხნის შემდეგ, მაინც ნახა ის, ბავშვობისდროინდელი ოცნების სიზმარი და იმ სიზმარში ისე ცხადად დაინახა ყველაფერი, რომ მთელი ცხოვრების მანძილზე ახსოვდა მაშინ ნანახი: ახლად გამომცხვარი კახური პურის სურნელებით გაბრუებული მამამისი მაგიდასთან იჯდა და პურის ყუის მოტეხასაც ვერ ბედავდა, არადა იქვე, პურის გვერდით ნასვრეტებიდან ერბოჩამოღვენთილი თუშური ყველი იდო, ისეთი, მაძღარ კაცსაც ნერწყვს რომ მოჰგვრიდა, ის კი, დიდიხნის მშიერი, სულ ახლახან გაცოცხლებული, იჯდა და ხელს ვერ ჰკიდებდა ვერაფერს, ვერ დაეჯერებინა, რომ ყველაფერი ნამდვილი იყო. ილიკოს უკვირდა, რატომ იქცევა ნეტა ასეო, ფიალები ღვინით შეავსო — ეს შენ გაგიმარჯოს, შენ დაბრუნებას გაუმარჯოსო! — და ფიალა დასცალა. მამამისი ისევ ისე გაუნძრევლად იჯდა. — ნუ გეშინია, მამი, დალიე, არ გაწყენს, სუფთა ღვინოა, ნამდვილი, ახლავე ცხელი მჭადიც გვექნება და შენ რომ გიყვარს ისეთი ლობიო, ნიგვზიანი, ამოლესილი და მერე, თითო შუშას რომ დავც-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლით, მწვადიც შემოგვისწრებს, წალამზე შემწვარი, მიდი, ნუ გეშინია, ყველაფერი ნამდვილია, ყველაფერი ცხადში ხდება, შენ უკვე ცოცხალი ხარ! — და მამამისმაც დაიჯერა, პურს ყუა წაატეხა და ნეტარებით დალეჭა, შემდეგ ღვინით სავსე ფიალას დასწვდა — გმადლობთ, შვილო, მოდი, შენ გაგიმარჯოს და მეც გამიმარჯოს, ხომ იცი, შენ მე ხარ და მე შენ ვარ! — ღვინო გამოსცალა და თვალცრემლიანი, დიდხანს, ძალიან დიდხანს შესცქეროდა შვილს. — ამ დროს გაეღვიძა, მაგრამ სასწრაფოდ დახუჭა თვალები, სიზმრის გაგრძელება მოუნდა, ისე როგორც ადრე, ბავშვობაში და როცა ისევ გაგრძელდა სიზმარი და სიზმარში კი, საოცრად ბედნიერები, უკანასკნელ ჭიქას სცლიდნენ, აი მაშინ, ამ სასწაულის ერთადერთმა, საკუთარი თვალით მხილველმა, მთელი ხმით დაიყვირა: გინახავთ ვინმეს სადმე ასეთი რამ?! — და თავისივე ყვირილმა საბოლოოდ გამოაფხიზლა, გაქრა სიზმარი, მაგრამ გამქრალიც არ სცილდებოდა, მასთან იყო და ეგონა, ნამდვილად მოხდა ყველაფერიო, ალბათ, ამიტომაც იმ სიტყვებს ვერ ელეოდა, ვერ ივიწყებდა, ვისაც ხვდებოდა, დიდს თუ პატარას, ყველას ეკითხებოდა, უმიზეზოდ, გამარჯობის შემდეგ, ხან კი გამარჯობამდეც — გინახავთ ვინმეს სადმე ასეთი რამ?! —და გიჟი რომ არ ჰგონებოდათ, თავის გასამართლებლად უმატებდა — „გინახავთ სული ჯერაც უმანკო, მხურვალე ლოცვით მინაზებული...“ — და იღიმებოდა — ბარათაშვილს ვკითხულობდი მთელი ღამეო — ამითაც იმართლებდა თავს.

ეს იყო და ეს, მერე აღარ დასიზმრებია ბავშვობისდროინდელი ოცნების სიზმარი.

და ახლა ქალის ცრემლებით დანამული თვალების დანახვაზე, კვლავ ის სიტყვები, სიზმარში ნათქვამი, თითქოსდა დაულაგებელი სიტყვები გაიმეორა.

ის თვალებიც ისეთივე სასწაული იყო!

ქალი ტიროდა... ილიკომ ცრემლებით დანამულ თვალებში აკოცა, ჯერ ერთ თვალში ამოუშრო ცრემლი, მერე მეორეში, თავზე ხელი გადაუსვა და როგორც უმიზეზოდ ატირებულ ბავშვს ეკითხებიან, ისე შეეკითხა — რა გატირებსო, — მაგნიტოფონიდან კი ისევ მოისმოდა „იყო და არა იყო რა... ზღაპარი სიყვარულისა...“ — ამ სიმღერას ვუსმენდით მაშინ, როცა ხრამში გადავიჩეხეთ... იქ, ფასანაურთან... ჩემი ყველაზე კარგი ამხანაგი დაიღუპა, დანარჩენები გადავრჩით... ის იჯდა საჭესთან... ეს სიმღერა უყვარდა... სწორედ მაშინ ჩართო მაგნიტოფონი... შეიძლება ამის გამოც გადავიჩეხეთ... — და ცრემლებამომშრალი თვალები ხელმეორედ დაენამა. ილიკომ ვერაფერი უთხრა, ვერც სანუგეშო, ვერც სხვა რამ, მხოლოდ ყველაზე სულელური შეკითხვა მისცა, ის რაც, ალბათ, ყველაზე მეტად აინტერესებდა, მაგრამ ახლა, ნამდვილად სულელური იყო ეს შეკითხვა — ქმარს რატომ დასცილდიო? — ქალმა მხრები აიჩეჩა, არ ვიციო, და მცირე პაუზის შემდეგ დაუმატა: ალბათ, არ მიყვარდა, ან იქნებ იმას არ ვუყვარდი!.. ვინ იცის?! — ცრემლები მოიწმინდა და ოთახიდან გავიდა, ილიკოც გაჰყვა. უმიზნოდ იღვრებოდა ცარიელ ოთახში ქალისა და კაცის მიბნედილი ხმები — „იყო და არა იყო რა, რა იქნებოდა რა...“

ზღვაზე იყო. გაოგნებული იდგა, ერთი საათი, შეიძლება ორი, ან უფრო მეტ ხანს იდგა. გემების მძიმე ლანდები უკვე ჩაიკარგა ჩაშავებული ზღვის უფსკრულში. ის მაინც იდგა. ზღვა კიდევ ერთხელ გაიზმორა და შორეულმა შიშის მომგვრელმა სიმშვიდემ დაისადგურა და თითქოს არ ეწერა დასასრული არც სიშავეს და არც ამ შიშის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მომგვრელ სიმშვიდეს, მაგრამ უეცრად სადღაც შორს, ცაზე ელვა დაიკლაკნა და ჩაშავებული ზღვა ერთი წამით ისევ გაალურჯა, უფრო შორს კი, ძალიან შორს, გაისმა საშინელი კივილი, მერე ისევ ის შიშის მომგვრელი სიმშვიდე დაეუფლა ირგვლივ ყველაფერს და მხოლოდ ხანდახან აფორიაქებდა ამ სიმშვიდეს ტკივილისაგან გამწარებული ფიჭვის კვნესა.

სადღაც წვიმდა, კოკისპირულად წვიმდა.

— ვინ იქნება ჩვენგან პირველი, ვინ? ვინ წავა იქ ყველაზე ადრე? — ხუმრობით ამბობდნენ, რადგან ეგონათ, რომ ჯერ კიდევ ძალიან შორს იყო მათგან იქ წასვლა, ამიტომ ხუმრობდნენ, თუმცა დროდადრო, სერიოზულადაც სვამდნენ ამ კითხვას, ნუთუ გრძნობდნენ, რომ შორეული ხშირად მოულოდნელად გვიახლოვდება, ახლოს მოდის ჩვენთან, ძალიან ახლოს!

საშინელებაა!

სულ მთლად დაიწრიტა ღამე. ის ისევ ისე იდგა და შორეულის სიახლოვეზე ფიქრობდა... რატომ?.. რატომ?.. რისთვის?.. ეჰ, თუმცა რა მნიშვნელობა აქვს, მთავარი ხომ... იყო და არა იყო რა!

სადღაც კი ისევ წვიმდა, კოკისპირულად წვიმდა.

ირაკლის განსხვავებული სასმისი ეჭირა და სადღეგრძელოს ამბობდა: — ჩემო კარგებო, დღეს 22 ივნისია, თქვენთვის, ალბათ, ერთი ჩვეულებრივი, რიგითი დღე, ხოლო ჩვენთვის, ჩვენი თაობისთვის, ეს საშინელი დღე იყო და ასეთად დარჩება სამუდამოდ! — პაუზა გააკეთა და ჩაფიქრდა, ასე ემართებოდა ყოველთვის, როდესაც ომს იხსენებდა. თვითონ ჩვიდმეტი წლისა წავიდა ფრონტზე და ბოლომდე იბრძოდა, ბევრი ენახა და გადაეტანა, ალბათ ამიტომ ცდილობდა ახლა, მაშინდელი დანაკარგის ანაზღაურებას, მას ხომ ახალგაზრდობა არ უგრძვნია, სიჭაბუკიდან პირდაპირ კაცობაში შედგა ფეხი და ახლა, უკვე სიბერეში შესული, ცდილობდა ახალგაზრდობის დაბრუნებას. — მოდით, ჩემო კარგებო, იმ საშინელ დღეს ვინც წავიდა ფრონტზე და ვერ დაბრუნდა, იმათი ხსოვნისა დავლიოთ, იმათ გაუმარჯოს! დე, ღმერთმა ასეთი ცუდი დღე ჩვენთვის აღარასოდეს გამოიმეტოს! — ყველამ დალია, მთელი გულმოდგინებით შესვეს სადღეგრძელო. ილიკო ჭიქას ჩაჰყურებდა და ისევ და ისევ იმეორებდა, იყო და არა იყო რა... აი, რა არის თურმე ეს ცხოვრება, წავიდნენ ბიჭები და იყო და არა იყო რა! უხმოდ დალია. ისევ შეავსეს ჭიქები, ილიკოს მეტის დალევა აღარ უნდოდა, თანაც გავლა მოუნდა სუფთა ჰაერზე, ქალთან ერთად, თუგინდ იქვე ეზოში, სულ ერთი იყო. — ეზოში ჩავიდეთო, — უთხრა. — პირი დავიბანოთ, ცოტათი გამოვფხიზლდებითო. — თანხმობას არ დაელოდა, ხელი მოჰკიდა და დაბლა ჩაიყვანა. ჭა იქვე იყო, ეზოს კუთხეში, მასპინძელს შეეშინდა, ჭაში არ ჩაცვივდნენო და უკან გამოჰყვა. ილიკოს არ ესიამოვნა — ვინ დაგტოვებს მარტო, ვინ? — გაიფიქრა და ხასიათი გაუფუჭდა, მაგრამ რას იზამდა, მაინც მივიდნენ ჭასთან. მასპინძელმა წყალი ამოიღო და იქვე მდგომ პაწაწინა ვედროში ჩაასხა, თვითონ კი შორიახლოს გაჩერდა, გრძნობდა, ზედმეტი ვარო, მაგრამ ჭასთან მათი მარტო დატოვებისა მაინც ეშინოდა. ქალმა ხელები დაისველა, შუბლზე მოისვა სველი ხელი, გაიგრილა, შემდეგ ვედრო გამოართვა, ახლა მე დაგისხამო და გამოართვა თუ არა, შიგ დარჩენილი მთელი წყალი მოულოდნელად ილიკოს ზედ გადაასხა. მასპინძელი შეცბა, უხერხულად იგრძნო თავი — ეს რა ჰქნაო თავისთვის ფიქრობდა, მაინც პატივსაცემი კაცი იყო მის თვალში. ილიკოს კი ესიამოვნა, ძალიან ესიამოვნა, რადგან სულ სხვა რამეს მიხვდა. თავით ფეხებამდე გაწუწული იყო, მასპინძელმა პერანგის

გამოცვლა შესთავაზა, მაგრამ უარი უთხრა, მშვენივრად გავგრილდი და ასე უფრო კარგად ვგრძნობ თავსო, სუფრასთან რომ დაბრუნდნენ, გაწუწულის დანახვაზე ყველას სიცილი აუტყდა, იცინეს, იცინეს და მერე ისევ ღვინოს მიუბრუნდნენ, ილიკო მიხვდა, რომ მეტს ველარ დალევდა და მასპინძელს სთხოვა, პირობისამებრ, აბა შენ იცი, გაგვამგზავრეო. — კი ბატონო, მანქანა აქ იცდის, ისე კი, თუ კიდევ დარჩებით, კარგს იზამთო, — ირაკლი ადგომას არ აპირებდა, ალბათ, კიდევ დიდხანს გააგრძელებსო, — მასპინძელს მადლობა გადაუხადა და გარეთ გამოვიდა. ქალი უსიტყვოდ გამოჰყვა, კიდევ ორნი წამოვიდნენ მათთან ერთად. წინ არ დაჯდა, უკან დაჯდა, იმის გვერდით, უფრო სწორად, ორთა შუა. მძღოლი იმ სოფლელი იყო, ეტყობა, მაინცდამაინც არ ეხალისებოდა თბილისში წასვლა, მაგრამ, ხათრით თუ რაღაც სხვა მიზეზით, მეზობლებს უარი ვერ უთხრა, წავედითო, ჩაიბურტყუნა და მანქანა დაძრა. მძღოლს მთელი გზის განმავლობაში ხმა არ ამოუღია, მიუხედავად იმისა, რომ წინ მჯდომი გოგო გაუთავებლად ელაპარაკებოდა, მხოლოდ თბილისთან მიახლოვებისას ამოღერღა, უკან დროზე უნდა დავბრუნდეო. ისინი გარინდებულები ისხდნენ, ორივე ერთი და იგივეს ფიქრობდა, მორჩა, ჩავალთ ახლა თბილისში, დაგვარიგებს მანქანა სახლებში და ყველაფერი დამთავრდებაო. ბედად, მძღოლი ძალიან უჟმური აღმოჩნდა და ლენინის მოედანთან, ლესელიძის ქუჩის კუთხეში გააჩერა მანქანა, მორჩა, იქით ველარ წავალო და ოთხივე მანქანიდან გადმოსვა. ერთი იქვე დაშორდათ, მეტროსთან, მეორე, ახლოს ცხოვრობდა და სახლისკენ გაუხვია. მარტო რომ დარჩნენ, ილიკომ გაიფიქრა, ხანდახან თურმე უზრდელებიც კარგები არიანო და უზრდელი უჟმურები ხომ მით უფროო!

ნელა დაუყვნენ რუსთაველს, ქაშუეთთან ჩაუხვიეს, ეკლესიაში უნდოდათ შესვლა, მაგრამ დაკეტილი იყო, ცხრა საათი ხდებოდა. ალექსანდრეს ბაღში დასაჯდომი ადგილი არ იყო, დაბლა ჩავიდნენ და სანაპიროს ბაღში ძლივს აღმოაჩინეს ერთი სკამი, მართალია, არცთუ ისე შესაფერის ადგილზე, მაგრამ ამას ვინღა აქცევდა ყურადღებას, გული ველარ უთმენდათ, ან რანაირად უნდა მოეთმინათ, რანაირად უნდა დაემორჩილებინათ ის დიდი ძალა, ყველაფრის მომრევი, უძლეველი! ხელებშეკრულებს, ერთმანეთით ხელებშეკრულებს რითი ეჯობნათ?!. არა და არა, არ ღამდებოდა, თურმე ხანდახან ცუდი ყოფილა ზაფხულის ეს ძაან გრძელი დღე! მაგრამ ღამე მაინც ხომ უნდა მოსულიყო, სხვა გზა არ იყო და ნელ-ნელა, მათთვის საოცრად ნელა ბინდდებოდა...

ძლიერი იყო ერთმანეთის ნდომის სურვილი!..

იყო და არა იყო რა...

...ნისლიდან მოსული და მერე ისევ ნისლში გაუჩინარებული...

მაგრამ ვის სჭირდებოდა ეს?.. ვის?.. კიდევ ერთი ზღაპარი სიყვარულისა?

ნუთუ მხოლოდ სანაპიროს ბაღი იყო და სხვა არაფერი?!

როცა სახლში მიაცილა, გამომშვიდობებისას ეს უთხრა, რა სულელი ყოფილა შენი ქმარი, ამნაირი ქალის ხელიდან გაშვება იქნებაო?! — და გულში უხაროდა, სულელი რომ იყო მისი ქმარი.

ეჰ, თავიდან ყველაფერი მართლა მშვენივრად მიდიოდა. მის იმედს ძლიერი მოკავშირე ჰყავდა, ის ზღვისფერი თვალები და დაიწყო კარგი დღეების ციდან ცვენა, მოფრინავდნენ მისთვის განკუთვნილები, ერთმანეთს მისდევდნენ, ერთმანეთს ავსებდნენ და ეგონა, მუდამჟამს ასე უნდა ყოფილიყო — ყოველდღე რაღაც ახლის სურვილი, ახალი იმედის გაღვიძება! ოღონდ არ გეგონოთ, რომ ყოველთვის ყველაფერი ნათელი იყო, გარკვეული, ხანდახან ისეთი ბურუსით იყო მოცული, ისეთი გაურკვევლობა სუ-

ფევდა ციდან ჩამოცვენილ იმ კარგ დღეებში, შეიძლებოდა კაცს ეფიქრა, სისულელეა ყველაფერიო. არც ის თვალები უღიმოდა ყოველთვის, ხან ისე იმღვრეოდა, რომ ემსგავსებოდა თაგვს მომლოდინე კატის ჭრელ თვალებს, ხან კი ისეთი ცივი იყო, არაფრის მთქმელი, რომ ეშმაკიც დაიბნეოდა და ვერაფრით ვერ მიხვდებოდა, თუ რას ფიქრობდა ან საერთოდ რა უნდოდა ამ თვალების პატრონს, მაგრამ რადგან იმედი არსებობდა, არ ადარდებდა ილიკოს, არც ბურუსი და არც იმ თვალების ასე ხშირი ცვალებადობა, და მისი სიხარული სწორედ მაშინ უნდა გენახათ, როცა ბურუსი იფანტებოდა, როცა ამღვრეული იწმინდებოდა და ლურჯად მოკამკამე სექტემბრის ზღვასავით თბილი ხდებოდა ქალის თვალები!

დადიოდა ასე მომლოდინე, ალტაცებული და ბურუსშიც კი ეძებდა, მისხალ-მისხალ პოულობდა...

6

„არის ადამიანის ცხოვრებაში: შორდები ქვეყანას, რომელიც გძულს, ძალიან გძულს, არა, უფრო მეტი: გეზიზღება! კიდევ უფრო მეტი: ცდილობ საჩქაროდ წახვიდე, რადგან გეშინია, გძულს, გეზიზღება და კიდევ უფრო მეტი: გეშინია, გეშინია, გეშინია. აი, რა არის თავიდათავი.“

ვარდისფერი გზა... „გაყინულია შიშით უცებ შემკრთალი ღამე...“ მთელი ცხოვრება ემზადებოდა იმ ნახტომისთვის, დიდი ნახტომისთვის, ვიღაცებს მაღლიდან დაბლა რომ ეგონათ, სინამდვილეში კი!.. გაბედა, მოხუცებულმა გაბედა, საოცრად ლამაზმა, როდესაც უკვე არავინ ელოდა, დაწრეტილი ეგონათ, გამოფიტული, ყველასაგან დავიწყებული — აბა რა, ქუჩაში ნახულობენო მთვრალს, ფეხარეულს, ეგ რაა, მიგდებულსაც ნახულობენ, ჭუჭყიანს, ჩამოფლეთილს, ვინ სცემს აბა პატივს? ჭიქა ღვინოს აჩეჩებენ სარდაფებში, იაფფასიან სასადილოებში, ოღონდ ჩქარა მოიშორონ ლოთი მაწანწალაო. — ზოგი კი სულ სხვანაირად ფიქრობდა — ღმერთია, ღმერთი! ღმერთი დააბიჯებს ჩვენს გვერდით, ღმერთიო! — ცოტანი იყვნენ? როგორც ამბობენ, არც ისე ცოტანი, მაშინ ახალგაზრდები იყვნენ, რა კარგია, რომ ახალგაზრდები იყვნენ, რა კარგია, რომ ჯერ არაფერი გააჩნდათ, რომ ჯერ არ ჰქონდათ შეგრძნობილი სავარძლის სითბო და, ალბათ, არც კი ფიქრობდნენ თბილ სავარძლებზე და ამიტომაც აღიქვამდნენ ღმერთად, მის ჭიქას ჰკოცნიდნენ, მის ხელშევლებულ ჭიქას ჰკოცნიდნენ! ის კი, დიდი პატარა ბავშვი ცრემლმორეული შეჰყურებდა და უხაროდა, ამ სიხარულით კი ძალას იკრეფდა, რომ მერე, მარტოდ დარჩენილს, თავის თავთან და თეთრ ქაღალდთან მარტოდ დარჩენილს, თავი ეგრძნო იმად, რაც იყო და ეთქვა არა, დიდი არა, იმათთვის ვინც მუდამჟამს, ყოველთვის, მთელი ცხოვრების განმავლობაში უკიჟინებდნენ: «Примирись с судьбой, будешь по братски жить!» ბედს შეურიგდი! ბედს, შეურიგდიო! გაჰყვა ეს წყევლად მთელი ცხოვრება და იყო ჭიდილი, საოცარი დიდი ბრძოლა — ერთი, ორი! ერთი, ორი! ერთი, ორი! — ყვიროდნენ გაუთავებლად — ჩვენსავით, იყავი , იარე ასე, ერთი, ორიო! შენ რა, რითი ხარ ჩვენზე მეტი, თუ ჩვენ დავდივართ, შენ ვითომ რაო! ერთი ფიქრობდა: მე ძმა მომიკლეს ერთადერთი, ალბათ, ჩემზე უფრო ჭკვიანი და დიდი კაცი და მე მაინც იმ ულვაშებს ვფიცულობ და იმ დედას ვლოცავ, რძე რომ აწოვა და ეგ ვინ არისო! — თუმცა იცოდა, კარგად იცოდა, ვინც იყო! იცოდა და სხვა რომ ამბობდა, ვიღაც უვიცი, ვინც მართლა არ იცოდა იმისი ფასი — ეგ ლოთია, სხვა არაფერიო, — ხმას არ იღებდა, აღშფოთებული არ ყვიროდა, ამას რას ამბობ, როგორ, როგორ არა გრცხვენიაო! — ამის ნაცვლად,

ეროვნული ბიბლიოთეკა

სხვასთან ერთად, ვისაც საუკეთესო მეგობარი უგზო-უკვლოდ გადაუკარგეს, ან იმასთან, მამა რომ მოუკლეს საკუთარი და კიდევ სხვებთან, ვითომ გადარჩენილებთან ერთად, თავს იმართლებდა, ვიღაცის ბრძანებაზე, ერთი, ორიო! ერთი ორის ბრძანებაზე სიარულს ამართლებდა. ასე ამბობდნენ: რა ვქნათ, ჩვენ გვწამს, გვიყვარს, გვჯერა მისი, რადგან ჩვენია, გვეამაყება, ულვაში ხომ მაინცა აქვს ჩვენებურიო! — თითქოს ულვაში, თუნდაც მსგავსი, ფრანგს არ ჰქონოდა, ან ესპანელს, იტალიელს, თუგინდ ებრაელს, ან კიდევ სხვებს. რა, არ იცოდნენ? იცოდნენ ეს, კარგად იცოდნენ, მაგრამ ამით თავიანთ დიდ შიშს ნიღბავდნენ, ვითომ ასე კი არა ისეო... აქაც აჯობათ, ეშინოდა და თავის შიშს არ მალავდა, ღვინოს ამოეფარა, დაწერა კიდეც რაღაც-რაღაცები, ოღონდ არაფერი გამოუვიდა, აი აქ კი, ნამდვილად სჯობდნენ ისინი და გაისმოდა ყველგან, ყოველ ნაბიჯზე — რატომ არ ჩამოდიხარ... და იყვნენ ასე, წინ საანგარიშო ედოთ და ნაბოძები ხალათი!.. იმან კი მხარი არ აუბა, უფრო მეტიც, ვერ მოითმინა და დაწერა, ჩუმად, თვისთვის, უთარიღოდ, იმათზე დაწერა, ნაბოძებხალათიანებზე, „ჩოთქზე“ მოანგარიშეებზე, „პოეტი კი არა — ეს არის ჯალათი!“, ვის გულისხმობდა? ერთს, ორს თუ იქნებ ყველას? არა! არა! ღმერთმა გვაშოროს! მაშინაც ბევრი იყო წესიერი, ნაღდი პოეტი, იმათაც ბილწავდნენ ხალათის მათხოვრები, იმ მათხოვრებს გულისხმობდა და ისინი განა ამას აპატიებდნენ?! და ცდილობდნენ, ყოველმხრივ ცდილობდნენ მიეჩქმალათ, დაემცირებინათ, გული ეტკინათ, მაგრამ მაინც, ხალხი ყველაზე მეტად აფასებდა, ორდენიც მისცეს სხვაზე ადრე, იუბილეც გადაუხადეს, ყველამ იცოდა დიდი რომ იყო, თვითონაც გრძნობდა, სჯეროდა თავის სიდიადისა, მაგრამ გული ისევ ისე სტკიოდა, ვიღაც-ვიღაცების მიერ დაჭრილი, დაკოდილი გული! რატომ? რისთვისო? ნეტა რა დავუშავე იმ ვიღაც-ვიღაცებსო? ნუთუ ყველაფერი იმის ბრალია, რომ მე ისეთი არა ვარ, როგორც ყველაო?! სტკიოდა გული და არ ამხელდა, იმათ ხომ არ გაუმხელდა და სწორედ ამ დროს ამოხეთქავდა ნატკენი გულიდან, „თვალში მიყურე... ნურაფერს მეტყვი, მე არ მინდა არავის ნანა“. არადა უნდოდა, როგორ არ უნდოდა, შიშით გაყინული შემკრთალი ღამის გასათბობად უნდოდა, მაშინაც უნდოდა როდესაც ისინი, ნაბოძებხალათიანები, სცენაზე მდგომს დასცინოდნენ, ერთი მათგანი კი, იმ დროს თვითონაც სცენაზე მყოფი, ვითომ ხუმრობდა და ხალხს ჟესტებით ანიშნებდა — ნახეთ, ნახეთ თქვენი გენიოსი, ნახეთ რა დღეშია, ღვინისაგან ველარ აზროვნებსო. — ის კი, ამ დროს ლექსს კითხულობდა და ტიროდა, ცრემლები ღაპაღუპით ჩამოსდიოდა და მთლიანად ლექსს მინდობილი, ვერ ამჩნევდა იმ სულელის, დიდი დამპალის დამცინავ ჟესტს ვერ ამჩნევდა, მაგრამ ყველაფერი დაფარა ხალხის ალტაცებამ და დარჩა ჰაერში გამოკიდებული ის ხუმარა, ხალხმა ფეხებზე დაიკიდა იმისი ჟესტები და სხვა რა გზა ჰქონდა, ტაში შემოჰკრა და გადაკოცნა კიდეც უსირცხვილოდ. ხალხი კი, ველარ ფარავდა აღფრთოვანებას, გარეთ გამოსულებიც ელოდებოდნენ, უნდოდათ ხელში აეყვანათ და აიყვანეს კიდეც და ასე ხელში ატატებული მიიყვანეს თავის სახლამდე მეფე გვირგვინოსანი, პოეზიის დიდი მეფე! ეს ასე იყო! და თუ არა, ასე უნდა ყოფილიყო! სხვანაირად განა შეიძლებოდა?! ოჰ, ისე კი, რა კარგი იქნებოდა, რომ იმათ, ვინც შეამჩნიეს ეს, ვითომ ხუმრობა, (და რომ შეამჩნიეს, ეს ხომ იქიდან სჩანს, რომ მერე გაიხსენეს ასე იყოო.), მაშინ ცხვირ-პირი ჩაენაყათ იმ ხუმარასთვის. ვინ იცის, ეგებ ასე სჯობდა, ეგებ ეს უფრო საჭირო იყო, ვიდრე მისი ხელში ატაცება?! ან მაშინ რატომ არ გამოჩნდა არავინ, მათთვის ძირს დანარცხებუ-

ლის, სინამდვილეში კი ცაში აფრენილის, ერთხელ კიდევ შეურაცხყოფას რომ ლამობდნენ ის ვიღაც-ვიღაცები, მაშინ რატომ არ დაჩეჩქვეს, არ დაასისხლიანეს, ნუთუ მარტო იმისთვის ნაბოძებხალათიანები რომ იყვნენ?! ყალბი ცრემლები რატომ არ ჩამორეცხეს, რატომ არავინ არ შეაფურთხა, თუმცა იმათ სხვისი შეფურთხება რად უნდოდათ, საკუთარ თავს შეაფურთხეს და თანაც როგორ, სამუდამოდ! იმისი სიკვდილიც შეშურდათ, სიკვდილითაც აჯობა, კიდევ ერთხელ დაუმტკიცა, რომ სხვა იყო, ღმერთების ტოლი! ნეტა რას ფიქრობდნენ ისინი, ნაბოძებხალათიანები, იმ ზღვა ხალხის დანახვაზე, თვალცრემლიანები რომ მიაცილებდნენ მარადისობაში გაფრენილს, დიდი მთისაკენ, წმინდა მთისაკენ! ისევ შურდათ? — რა თქმა უნდა, შურდათ, მაგრამ რაღას იზამდნენ და დაიწყეს, ეს ვინ იყოო, რა კაცი იყო ჩვენს გვერდით, ჩვენი ძმაკაცი, ძვირფასიო და ასე აგრძელებდნენ დაუსრულებლად, დროს არ ჰკარგავდნენ, წუთს, წამს და ისევ, ამასაც კი, საკუთარი თავის სადიდებლად სჩადიოდნენ.

ღვინომ აუშალა ფიქრები ილიკოს, უზიარებდა ჟორჟს გულის ნადებს, რომ არ ეთქვა, არ იქნებოდა, თუ არ იტყოდა, თუ არ დაიცლებოდა ამ უეცრად აშლილი ფიქრებისაგან, ალბათ, გული გაუსკდებოდა, ჟორჟიც გრძნობდა ამას და უსმენდა გულისყურით, მასაც გადაედო ილიკოს ალელვება, ისიც აღელვებო — მერე, მერეო?! — შეეკითხა ილიკოს, როდესაც მან თავის სათქმელი დაასრულა. — მერე... —თქვა ილიკომ და ხელი ჩაიქნია, — მერე ის, რომ... — და აღარ დააცადა ჟორჟმა, — მერე ის, რომ საუბედუროდ, კიდევ არიან დარჩენილები, იმ დიდი დამპლების პატარა ნაშიერებიო, პაწაწინები, ძალიან პაწაწინები, დამპალუკები, ისინი მხოლოდ პაწაწინა სკამებს ებღაუჭებიან, მხოლოდ პაწაწინა ნაბოძებ ხალათებს თხოულობენ, სხვა არაფერი უნდათ, არც არაფერი შეუძლიათ, თორემ ჯანდაბას, დიდ სავარძელს რომ ებღაუჭებოდნენ, დიდ ნაბოძებ ხალათს რომ თხოულობდნენ, შეიძლება როგორმე მოუძებნო მათ საქციელს რამენაირი გამართლება, თუნდაც ისეთი, ისინი, ადრინდელები რომ იმართლებდნენ თავს: სამაგიეროდ, ეს საშუალებას გვაძლევდა, სხვა, ბევრი სასარგებლო საქმე გვექეთებინაო. — მაგრამ არა, ესენი ახლანდელები, ამასაც ვერ იტყვიან, ამითაც ვერ გაიმართლებენ თავს, რადგან უმაქნისები არიან, მლილები, მუცელს გადაყოლილებიო!

და ისევ აჰყვა ილიკო აშლილ ფიქრებს...

ჯერ, მხოლოდ ორნი მოვიდნენ, ისე, ვითომ სხვათა შორის, სხვის სახელს ამოფარებულები — ჩვენ არაფერი გვეკითხება, ჩვენ რა შუაში ვართ, ჩვენგან არაფერი გეწყინოსო, — და მსგავსი გამოთქმების კორიანტელი დააყენეს. ისეთი დიდი სურვილი ჰქონდათ თავის მართლებისა, რომ ზედმეტი მოუვიდათ და უნებლიედ გაიყიდნენ, მაგრამ შეცდომა უმალვე გამოასწორეს — თუმცა რატომ უნდა გეწყინოს, წყენა რა შუაშია, ფუი, ფუი ეშმაკს, შორს იყოს წყენა, ჩვენ ხომ ჩინოვნიკები არა ვართ, ყველაფერი გვესმის, ყველაფერს გავიგებთ, იცოდე, ჩვენ შენს მხარეზე ვართო! — მაგრამ მიუხედავად ამდენი მიკიბ-მოკიბვისა, ამდენი მობოდიშებისა, დასხდნენ თუ არა, იმწამსვე დაიწყეს ყველაფერი და მნიშვნელოვანსახიანები გახდნენ, სხვანაირად არ შეეძლოთ, სხვანაირად არ შეიძლებოდა, მათთვის აკრძალული იყო, ისინი მნიშვნელოვანსახიანები უნდა ყოფილიყვნენ, ამას ასწავლიდნენ, უჩიჩინებდნენ დღედაღამ, ამისკენ მიისწრაფვოდნენ თვითონაც, შეიძლება ამის გამო მაინც გვიბოძონ ხალათიო და არ იცოდნენ იმ ცალტვინებმა, რომ ვერ მიაღწევდნენ ვერაფერს, მნიშვნელოვანსახია-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნები მნიშვნელოვანები ვერ გახდებოდნენ, ისინი ხომ ბერწები იყვნენ, დასაჭურისებულები, არაფერი შეეძლოთ, გარდა ქირქილისა, სხვისი გაბაიბურებისა და კიდევ ერთი რამე იცოდნენ კარგად, ენის მიტანა, აქ მათ ვერავინ შეედრებოდა, აი, ეს იყო ნიჭი! ჩვენ ხომ ჩინოვნიკები არა ვართო!?

— მოდი, ჩემო ილიკო, უანგარობას გაუმარჯოს! — ჟორჟმა ჭიქა გამოსცალა და განაგრძო: — არიან ისეთი ადამიანები, ყველაფერს რომ მუშტრის თვალით უყურებენ, ყველაფრის ყიდვისთვის რომ არიან მზად, მაგრამ ამ არასაპატიებელზე უფრო არასაპატიებელია იმათი საქციელი, ხელოვნებას რომ უყურებენ მუშტრის თვალით, გამორჩენის მიზნით, ხალათს რომ ელიან, თუ ხალათი უნდათ იმ დალოცვილებს, სხვა რამე აკეთონ, ბოლოს და ბოლოს ერთი ძაფი მოაკლონ მოსაქსოვ ხალიჩას და იმით იყიდონ ნაბოძი ხალათი, მაგრამ ეს ხომ უფრო ძნელია, უფრო საშიშიც, არა სჯობია ისევ ლაქუცი, მაამებლობა, სხვისი გაქირდვა და სხვის სულში ხელის ფათური, ასე არ არის?! ისინი შიშითაც სჯობიან ამათ, იმათი შიში უფრო დიდია, შეიძლება თავიც წააგონ, ხოლო ამათ, ამ პატარა დამპალუკებს, მხოლოდ სკამის დაკარგვისა ეშინიათ, თუმცა რა სკამის, სკამი სადა აქვთ, ძალიან პატარა სკამუკაზე სხედან, თანაც რიგრიგობით და ერთმანეთს ეჭვის თვალით უყურებენ, მეორემ, მესამემ ან მეოთხემ არ წამართვას, არ მიისაკუთროს ეს სკამუკაო!.. საცოდავები არიან, არა? — მოულოდნელი შეკითხვა დაუსვა ილიკოს და თვალები უცნაურად აუელვარდა.

— ჰო... საცოდავები არიან, — დაეთანხმა ილიკო, არც დაფიქრებულა ამ შეკითხვის მნიშვნელობაზე, არც ჟორჟის უცნაურად აელვარებული თვალებისათვის მიუქცევია ყურადღება, ისე, ზრდილობის გამო დაეთანხმა. — რა ბრძანეთო?! — უეცრად აენთო ჟორჟი და ისეთი ძალით დაჰკრა მაგიდას მუშტი, რომ ილიკოს სანახევროდ დალეული ჭიქა ლამის ხელიდან გაუვარდა. — გაიმეორეთ, გაიმეორეთ! — ოდნავ ზიზღნარევი ხმით მიმართა. ილიკო ვერაფერს მიხვდა და გაკვირვებულმა ისევ გაიმეორა — ჰო, საცოდავები არიან, საცოდავებიო. — მერე უნდოდა ეთქვა, მე სულ სხვა რამეს ვგულისხმობო, მაგრამ ვინ აცადა, აღელვებული ჟორჟი მაგიდას მოშორდა და ილიკოს სათქმელი პირზე შეაყინა. ამ ცოდომ, ცოდომ დაგვღუპა და კიდევ ვერ ვსწავლობთ ჭკუას! არა, არ არიან საცოდავები! არა! ათჯერ არა! ასჯერ არა! ათასჯერ, ასიათასჯერ, მილიონჯერ არა! და იცით რატომ? —ილიკო მისთვის უკვე აღარ არსებობდა, სადღაც შორს, სივრცეში იყურებოდა, სივრცესვე მიმართავდა და ჰქუხდა მისი ხმა, ვერ ეტეოდა პატარა ფაცხაში, ეძებდა უხილავ მსმენელებს, ურწმუნოები უნდა დაერწმუნებინა, ბრმებისათვის თვალი უნდა აეხილა, ყველას, ყველას უნდა სცოდნოდა სიმართლე!

— აბა გაიხსენეთ, იმათი ბედი გაიხსენეთ, დიდების, ძალიან დიდების ბედი გაიხსენეთ! რამდენს, რამდენს გამოსწოვეს სისხლი! გნებავთ ჩამოთვლა? შორს წავალთ, ძალიან შორს!.. რამდენი, რამდენი მიიყვანეს იმ უკანასკნელ ნახტომამდე, იმ დამპლებმა, ხალათის მაძიებლებმა, სისხლით გაბერილმა ბაღლინჯოებმა! მერე კი ამბობდნენ, გიჟი იყო, ლოთი იყო, უცნაური იყო, ბატონოო და სიამოვნებისაგან ხელებს იფშვნეტდნენ, იცინოდნენ, ასეა, ეგენი ყველანი ცოტათი გიჟები არიან, აბა სიგიჟის გარეშე, განა შექმნი რამესო?! და ხითხითებდნენ, უხაროდათ, რომ ხტებოდნენ ფანჯრიდან, ხტებოდნენ წყალში, თოკით იხრჩობდნენ თავს, ტყვიას იხლიდნენ შუბლში ან გიჟდებოდნენ, არა, ისე არა, ისინი რომ სიგიჟეს აბრალებდნენ, მართლა, ნამდვილად გიჟდებოდნენ და

ამთავრებდნენ დიდ სიცოცხლეს საგიჟეთში, ან კიბის ქვეშ, უპატრონოები, მიგდებულები, ან კიდევ სხვა ქვეყანაში, ობლად, სატრფოს დაუტირებლად!..

ხმა უკანკალებდა ყორჯს, თვითონაც ცახცახებდა, ცრემლები ღაპაღუპით ჩამოსდიოდა, ყელში მობჯენილი ბოღმა ლაპარაკს უშლიდა, ხელი ჩაიქნია, თავისთვის ჩაიბურტყუნა, ყველაფერი სულ ერთიაო და ილიკოს შეხედა, ილიკო გაოცებული მიშტერებოდა, ილიკო უსმენდა! ილიკოსთვის არ იყო სულ ერთი! არა, ბოლომდე უნდა ეთქვა სათქმელი, ახლა შეიძლება მართლა ყველასათვის ყველაფერი სულ ერთი იყო, მერე რა... ილიკო ხომ... თანაც მისი ხმა ხომ უკვე დანავარდობდა უკიდეგანო სივრცეში, სამყაროში ხომ არაფერი იკარგება, ერთი ბგერაც კი, მისი ხმაც იფრენდა, იფრენდა დაუსრულებლად და ბოლოს, ალბათ!.. ოდნავ დამშვიდდა, თვალები ხელისგულებით მოიმშრალა ღრმად ჩაისუნთქა და განაგრძო:

— „სატრფოს ცრემლის წილ მკვდარსა ოხერსა დამეცემიან ციურნი ცვარნი“!.. ასეა, ასე!.. ვიღაცა კი ამ დროს ჩინ-მედლებს ეზომებოდა, რა, განა მათ არ შეეძლოთ, მათ ხომ იცოდნენ, გრძნობდნენ თუ რა ელოდათ!.. რა, არ შეეძლოთ დამორჩილება?! მათ ხომ მხოლოდ თავის დაქნევას სთხოვდნენ, სხვას არაფერს, რა, ნუთუ იმ გაყიდულ გენერლებზე ცუდი გენერლები იქნებოდნენ? მაგრამ არა, არა და არა! თავის თავს ვერ აკადრეს, თავის ნიჭს ვერ აკადრეს!.. და მიჰქროდა მერანი, ჩვენი მერანი, სხვა მერანიც!.. „მაშ, გარეკე ეგ ცხენები, სადმე შორს, შორს წაიყვანე, გამაქანე, გამაქანე!“ ისინი კი... ისინი კი, ისევ ისე ხითხითებდნენ, უცნაური ხალხია, აბა როგორ გინდათო?! და გრძელდებოდა ერთი და იგივე, გრძელდებოდა დაუსრულებლად, დუელშიც ჰკლავდნენ, ზოგს იჭერდნენ და ისე ჰკლავდნენ, ზოგს ამცირებდნენ, ზოგს კი, დაუმორჩილებლებს, ვინც არ ტყდებოდა, ვინც ძალიან ძლიერი იყო, ვისაც არ ელოდა არც გაგიჟება და არც თავის დახრჩობა, იმას უსაფრდებოდნენ, ხალხს ქირაობდნენ და ქურდულად, ყაჩაღურად ტყვიას ახლიდნენ, შემდეგ ყველაფერს სხვას აბრალებდნენ, იმათ მოკლესო, იმათ არ აწყობდათო — გესმით, სხვებმა მოკლესო! ერთი მკვლელი კი, მაშინ შემთხვევით გადარჩენილი, გადახვეწილი სხვა ქვეყანაში, როცა დაბრუნდა კარგა ხნის შემდეგ, ისე, ისე გათავხედდა, რომ... ოჰ, მე მაგისი!.. ჯილდო ითხოვა, დიდი ჯილდო, მე ხომ დიდი დამსახურება მაქვსო!? მე ხომ ის მოვკალი!? თვითონ ისო!? და რომ არ მომეკლა, ვინ იცის, რა მოხდებოდა, რა იქნებოდაო!? არ იცოდა იმ ცოდვით სავსემ, რომ სხვა დრო იყო და როცა გაიგო, რაც ჩაიდინა, როცა გაიგო კი არა, როცა ძალიან შეეშინდა, ალბათ, მეც მომკლავენ, მოხუცებულობას რას დაგიდევენო, მაშინ ატირდა, აბღავლდა, რა ვიცოდი, ხალხო, ბნელი ვიყავი, ბნელი კაციო, რომ მცოდნოდა, ვის ვკლავდი, განა ამას ჩავიდენდიო და თხოულობდა პატიებას, მაპატიეთ, გეხვეწებით, გემუდარებით, მაპატიეთ, მე მეგონა, კარგ საქმეს ვაკეთებდიო... მაგრამ ასეთ ცოდვას განა ვინმე აპატიებდა?!. ამ დროს კი, სხვას, ამ საქმის ერთ-ერთ მოთავეს, როგორც ამბობენ, შიშით გული უსკდებოდა, ნუთუ მახსენებსო და თუ მახსენებს, ნუთუ გამწირავენ, მეც გამწირავენო და იმის შიშით არ მახსენოსო, არ გამწიროსო, თქვენ წარმოიდგინეთ, იმას, წყეულმა გულმა, მილიონჯერ წყეულმა გულმა უღალატა და გაიჩეხა, შუაზე გაიპო, თავისით, თვითონ, პატრონის დაუკითხავად! მსგავსი ამბები, ალბათ, ხშირად მომხდარა, მაგრამ არასდროს, არც ერთ ერს!.. არა!.. არა!.. ვეღარ ვიტყვი!.. ჩვენ ხომ თვითონ!.. ჩვენ თვითონ!.. — მუხლებზე დაეცა ილიკო, ყორჯს დაუჩოქა, მუხლი მოიყარა მის წინაშე, ყორჯი კი — რატომ, რატომო?! — მაღლა მიეპყრო მზერა, თითქოს იქ

ეროვნული ბიბლიოთეკა

უნდოდა ჭეშმარიტების დადგენა და ჩურჩულით იმეორებდა ერთსა და იგივეს, მისთვის წყევლად მოვლენილს, გონებისა და გულის ამფორიაქებელ სიტყვას — რატომ?! რატომ?! — და ილიკოც რომ შეეკითხა, მართლაც რატომ, ვინ დაგვწყევლა ასეო, უეცრად გამოერკვა, ილიკო ფეხზე წამოაყენა და უკვე სრულიად დამშვიდებულმა უთხრა — არ ვიცი, მე არაფერი არ ვიცი... ეჰ, შორს წავედით, ძალიან შორს, ჩვენ ხომ იმათზე დავიწყეთ ლაპარაკი, იმ პატარა სკამუკების მოყვარულებზე, დამპალუკებზე... თუმცა ლოგიკურია ყველაფერი, ყველაფერი ცუდი, მაინც მათგან იწყება, იმიტომ რომ ბევრნი არიან, ძალიან ბევრნი, არა, არა, მათი შენდობა არ შეიძლება, ჩემო ილიკო! დიდი, დიდი ცოდვები იწყება მათგან... ახლა კი წავიდეთ, ერთი ღამე კიდევ გაათიე ჩემს ქოხში და ხვალიდან კი შენს გზას დაადექი, მეც მივხედავ ჩემს თავს, ეგების მეძებენ კიდეც, ვინ იცის? — ვინ? ვინ გეძებსო? — შეეკითხა ილიკო. — ბევრი რამ ხდება, ჰორაციო, ამ ქვეყანაზე... — ყორყმა თავი აარიდა პასუხს.

დაღამდა. ილიკოს სახლში მოუნდა წასვლა, მართალია, არავინ ელოდებოდა, ალბათ, არც არავინ მოიკითხავდა ამ დღეებში, მაგრამ მაინც მოუნდა სახლში, ძალიან მოუნდა, რბილი ლოგინი მოენატრა, თავის წიგნები, ფირფიტები, ბრამსის კონცერტს მოვუსმენ, დავჯდები მაგიდასთან, ავიღებ ქაღალდს და დავწერ. დავწერ ყველაფერს, რაც გადამხდა, ყორყის შესახებ დავწერ, თუმცა ვინ დამიჯერებს? ასეა, სიმართლე არავის სჯერა, არავისო და უცბად თვითონვე შეეპარა ეჭვი, ნუთუ მართალია ყველაფერი, ნუთუ სიმართლეა, ყველაფერი ეს სინამდვილეში მოხდა, თუ... იქნებ სანაცვლოს ეძებდა, დაკარგულის, წართმეულის შევსებას ლამობდა? იქნებ ეს მართლაც ღმერთის მიერ ბოძებული წყალობა იყო, დიდი წყალობა! შეიძლება ეს ყველაფერი შეთხზულია, მხოლოდ ჩემს თავში, ჩემს ტვინში ხდება ყოველივე? სად იწყება და სად მთავრდება სინამდვილე!

უმთვარო ღამე იყო. ილიკო პირველი გამოვიდა ფაცხიდან, ისევ ინატრა სახლი, მაგრამ ყორყი? ყორყს ხომ ვერ მიატოვებდა, ხომ სთხოვა, ერთი ღამე კიდევ გაათიე ჩემს ქოხშიო... ბევრი რამ ხდება, ჰორაციო... ნეტა რა... რა აწუხებს ყორყს?.. ვინ ეძებს?.. ვინ არის?.. თითქოს ადრეც ენახა ეს კაცი სადღაც... გონება დაძაბა, სად?.. სად?.. ღმერთო ჩემოო!.. და ვერაფრით ვერ გაიხსენა ყორყის გარეგნობა. უკან მიიხედა, სიბნელეს ჩააცქერდა და გააჟრჟოლა — შეიძლება ყორყი არ არსებობს! შეიძლება მეც არ ვარსებობ!.. — სწორედ ამ დროს ყორყის შეხება იგრძნო — ფრთხილად ილიკო, ფეხი არაფერს წამოჰკრაო, — ყორყის ხმა დაეხმარა, ვერაფერს ვერ ხედავდა, მაგრამ მაინც დაინახა ყორყი, თითქოს წარსულის მოგონებიდან ამოტივტივდა, ნამდვილად ენახა ადრე სადღაც... არა, არა, შეუძლებელიაო და გაახსენდა რომ ყორყი არ უდღეგრძელებია — დავბრუნდეთო, — შეეხვეწა — ერთი სადღეგრძელო მინდა დავლიოო. — კარგიო, — დაეთანხმა ყორყი, — მაგრამ რომ ბნელა?. აქ მომიცადე, ლამპას გამოვიტან ქოხიდან, ისე, ილიკო, გენაცვალე, სადღეგრძელოებს რა გამოლევსო, — და სანამ ილიკო რამეს იტყოდა, სიბნელეში გაუჩინარდა.

ილიკოც მიჰყვა, ეუხერხულა ყორყის მარტო გაშვება, მაგრამ ორიოდე ნაბიჯი გადადგა თუ არა, ფეხი რაღაცას წამოჰკრა და კინაღამ წაიქცა. შეჩერდა, უჭირდა სიბნელეში სიარული, ალბათ, ყორყმა აქ ყველაფერი ზეპირად იცის, სად გდია ქვა, სად ხის კუნძიო, სჯობია, აქ მოვუცადო, თორემ კისერს მოვიტეხ ამ სიბნელეშიო. ხელის ფათურით მოძებნა ხის კუნძი და ზედ ჩამოჯდა. იქვე, სულ ახლოს, ჭრიჭინობელა ჭრიჭინებდა, შორიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

კი მდინარის ბუტბუტი ისმოდა. — მდინარე ვერე! რა სასიამოვნო ხმა ჰქონია! —იჯდა ილიკო, ელოდა ჟორჟს და ყურს უგდებდა მდინარისა და ჭრიჭინობელას ღამეულ საუბარს, ცოტა ხნის მერე საიდანღაც ძაღლიც შეეხმიანათ, იმასაც, ალბათ, რაღაცის თქმა უნდოდა, მაგრამ არ მიაქციეს ყურადღება, არ შეწყვიტა საუბარი მდინარემ და ჭრიჭინობელამ, გაბრაზდა ძაღლი და უფრო ძლიერად აყეფდა, მაინც არ მიაქციეს ყურადღება და ბოლოს დადუმდა, ეტყობა, ჭკვიანი იყო, მიხვდა, რომ ყეფით ვერაფერს გახდებოდა, ან იქნებ მასაც სიამოვნებდა ეს წყნარი, იდუმალი ბუტბუტი? — რა კარგია, ნეტა ყოველთვის ასე იყოსო, — და ისევ ჟორჟზე დაიწყო ფიქრი, ისევ ამოუვარდა მეხსიერებიდან მისი გარეგნობა, რატომ, რატომ მავიწყდებაო, თავს ძალა დაატანა, მაგრამ მაინც ვერ გაიხსენა, ასეა, თავს ძალას თუ დაატან, ვერასოდეს ვერ გაიხსენებ იმას, რაც გავიწყდება, მხოლოდ მერე, მოულოდნელად ამოტივტივდება დავიწყებულიო და უეცრად ზღვისფერი თვალები დაინახა, იმ თვალებს, ალბათ, ვერასოდეს დავივიწყებო და სიბნელიდან ქალმა გაუღიმა თავის ღიმილით, ისევ ისე, ადრინდელივით უნდოდა მისთვის გულში ჩაეტენა, ჩაეკუჭა თავის ღიმილი... იყო და არა იყო რა... — ეჰ, რა სისულელეა ყველაფერი, ზღაპარი სიყვარულისა, არაფერი არ არსებობს, მხოლოდ ეს ცა არსებობს, ღრუბლებით დაფარული ცა, ღრუბლებს მიღმა კი ვარსკვლავებია და მთვარე, ეს კუნძიც არსებობს, მდინარეც და ჭრიჭინობელაც, ჭრიჭინობელა სადღაც ზის და თავისთვის ჭრიჭინებს, აბა იპოვონ თუ ბიჭები არიან, აბა ის იპოვონ, იმას აუკრძალონ ჭრიჭინი, ან მდინარეს აუკრძალონ ბუტბუტი!.. ინდიკო, ინდიკოო — რატომღაც ის ლოყებღაჟღაჟა კაცი გაახსენდა, იმ ეზოში რომ ცხოვრობდა, სადაც მათი ფანჯარა გადიოდა, მაშინ იქ რომ მუშაობდა — ინდიკო ერქვაო, მის შვილსაც, სოფლიდან ჩამოყვანილ ზონზროხა ბიჭსაც ინდიკო ერქვა — ინდიკო შვილი ინდიკოსი! ნეტა რას აკეთებს ახლა, ის კაცი თუ ცოცხალიო, თუ ცოცხალია, ალბათ, შვილიშვილები ჰყავს, კეთილი პაპა იქნება, ეგენი მერე კეთილი პაპები ხდებიან, შვილიშვილსაც, ალბათ, ინდიკო ერქმევა, თუ სხვა სახელი ჰქვია, მერე რა, მაინც ინდიკოდ გაიზრდება, ინდიკოდ გაზრდისო, ასეა, ასეო, შენ მე და მე კი შენო, ტყუილად კი არა თქვა ჟორჟმა.

— ილიკო!.. ილიკო!.. — მოესმა ჟორჟის ხმა, — მოვდივარო! — ჟორჟს ხელში ანთებული ლამპა ეჭირა და როდესაც სულ ახლოს მოვიდა, ილიკომ თვალებში ჩახედა — სადღაც მინახავს, ნამდვილად მინახავს ეს თვალებიო... ბევრი რამ ხდება ჰორაციო!..

ფაცხაში შევიდნენ და ჭიქები შეავსეს.

— მაპატიე, რომ შეგაწუხე, მაგრამ სხვანაირად არ შემეძლო, შენი სადღეგრძელო არ დამილევია, კარგად იყავი... მადლობთ!.. მადლობთ ყველაფრისათვის!.. დიდი მადლობაო! — ილიკოს უნდოდა გამოეთქვა ის, რაც ადრე ვერ თქვა, ვერ მოახერხა, მაშინ ვერ შეძლო, მაშინ არ შეიძლებოდა ხმის ამოღება, ახლა კი, უკვე მთვრალს, ჰქონდა ამის უფლება, ჟორჟიც ხომ მთვრალი იყო და სწორედ ასეთ დროს იხსნება გული და ითქმება სათქმელი, ასეთ დროს სიამოვნებს ადამიანს ქება. ჟორჟსაც სიამოვნებდა იმის მოსმენა, რაც იცოდა, რასაც გრძნობდა, მაგრამ სიტყვებით გამოთქმული სულ სხვა იყო, თუმცა ხანდახან მაინც ეუბნებოდა ილიკოს — არ გინდა, აბა რად გინდა, ჩემო ილიკოო. — და როდესაც ილიკომ კიდევ ერთხელ გაიმეორა — შენა ხარ ჩემი გადამრჩენი, ჩემი მხსნელიო, — ჟორჟმა ჭიქა მიუჭახუნა, — კარგი, ილიკო, შენც ჩემთან ერთად გაგიმარჯოს, ისე კი, მე რატომ მიხდი მადლობას? ხომ

გითხარი, ამ დალოცვილმა მიწამ გადაგარჩინა, მიწას ეკუთვნის ჩვენი მადლობაო! — არა, არა, სიმართლისათვის გიხდი მადლობას, ჩემი სათქმელის თქმისათვის გიხდი მადლობას, ახლა მჯერა, ახლა დავიჯერე, რომ... — და ილიკომ მეტი ვერაფერი თქვა, ყორყის გამჭოლმა მზერამ დაადუმა.

— ბიჭო, მოგზავნილი ხომ არა ხარ?!. ა.?!. იქნებ?!. — ამის მოსმენას მიწის გასკდომა ერჩია ილიკოს, რა უნდა ეთქვა?! და მიხვდა ყორყი, გუმანით მიხვდა, როგორ აილეწა ილიკო, როგორ აუფართხალდა გული, როგორ შეიკუმშა, მერე ისევ სწრაფად როგორ გაიშალა და ძალუმად დაიწყო ფეთქვა, მიხვდა და შეეცოდა ილიკო, თვითონაც შერცხვა, თავზე ხელი მოუთათუნა ილიკოს — რა ვიცი, ყველაფერი ხდებაო... — ბაბუას ხმით უთხრა, ზუსტად ისე, ის რომ ამბობდა მაშინ, დედა რომ ახსენებდა, ხომ იცი, იქ ვინ ცხოვრობსო.

ასე გამოისყიდა ყორყმა თავისი დანაშაული!

— მიხვდი, ილიკო?! ყველაფერს მიხვდი?!. ხომ ხედავ, რა ცუდია უნდობლობა! ღმერთო ჩემო, ადამიანი ადამიანს როგორ არ უნდა ენდობოდეს?! მერე რა, თუ ვიღაც უკუღმართი დაგაბეზღებს, ცილს დაგწამებს! ვიღაცა ყველა ხომ არ არის! თუ იქნებ?!. რატომ უნდა გვეშინოდეს ერთმანეთის?! იქნებ უკვე ბევრნი არიან!.. იქნებ მართლა უნდა გვეშინოდეს ერთმანეთის?!.. რას იტყვი, ილიკო?.. იქნებ მართლა?.. ჰა?.. — ჩაფიქრდა ილიკო, ყორყიც გაჩუმდა, ცოტა ხანს ისხდნენ ასე მდუმარედ, ისვენებდნენ მოწოლილი ფიქრებისგან, დაისვენეს და ძილი მოერიათ, ადგნენ და ქოხისაკენ წავიდნენ.

ყორყმა ისევ ტახტზე დააწვინა ილიკო, თვითონ ტყაპუჭი ამოიდო თავქვეშ და იქვე, ღუმელთან მიწვა, პირდაპირ იატაკზე, არაფრით არ ქნა, არ დაწვა ტახტზე, შენ ხომ სტუმარი ხარო და სხვა რა გზა ჰქონდა, დაემორჩილა ილიკო. ქოხში ისევ ისეთი, მწარე, დაგუბული სუნი იდგა, ისევ ისე ანათებდა ქოხის კედლებს ლამპის შუქი, ისევ დაუწყო ძებნა ილიკომ სარკმელს, ისევ მიიპყრო მისი მზერა რკინის ჯოხებმა და გაახსენდა ისევ ის დღე, ისევ მოესმა მათრახის ტყლაშუნი, ისევ მოსჭრა ყური იმ ამაზრზენმა „ლ"-მ, ისევ გააყრუოლა სიბრაზისაგან, ისევ მოკუმა მუშტები, ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო! ვინ, ვინ მასწავლის ჭკუას! რა უფლება აქვთ, რა უფლებაო! და ბრაზობდა ილიკო, თავის უმწეობაზე ბრაზობდა, იცოდა, კარგად იცოდა, რომ მთელი ცხოვრება არ მოასვენებდა ეს „ლ", არ მოსცილდებოდა, ცხოვრებას გაუმწარებდა! რა ექნა? სამაგიერო გადაეხადა? მაგრამ ვისთვის? რამდენისთვის? როგორ? რანაირად? შეძლებდა კი? —შევძლებ, შევძლებო! ისე მოვკლავ, რომ ხელი არ ამიკანკალდება! — მოულოდნელად წამოიყვირა და თვითონვე შეკრთა თავის ყვირილზე, შერცხვა კიდეც, რადგან გულის სიღრმეში არა სჯეროოდა, რასაც ამბობდა, მაგრამ ინერცია აღებული ჰქონდა და ამიტომ, ისევ გაიმეორა — მოვკლავ! მოვკლავო! — და ამით თითქოს თავი გაიმხნევა, კიდევ ერთხელ დაიმშვიდა სიცრუით გული. — საშინელებაა, საცოდავზე საცოდავია უმწეო კაცი-... ყოფნა არ ყოფნა?! ვაი ჩვენ!.. ვინ დამწყევლა ასეო! — და ცდილობდა განედევნა ეს უაზრო ფიქრი, მოსახდენი მაინც მოხდებაო, მაგრამ წარმოსახვას მიჩვეული, ღამის ოცნებას მიჩვეული ფიქრი განა ასე ადვილად შეეშვებოდა? — გაგთელავენ, ოთხში ამოგიღებენ, თუ ოდნავ მაინც შეეხე მათ კეთილდღეობას, ან შემთხვევითაც კი, თუ წინ გადაუდექი!.. დიდსულოვნება... დიდსულოვანი... ისე გაგთელავენ, როგორც დიდოელი ლეკი ნაბადსო!. — წვალობდა ილიკო და ვერ იძინებდა, არადა, უნდოდა ძილი, ძილში ყველაფერი დაავიწყდებოდა, შეიძლება ის სიზმარიც დასიზმრებოდა, კარგი სიზ-

მარი, წამოიმღერა კიდეც — „ო, მშვენიერო აიდა!“ — არაფერი გამოუვიდა, ვერა და ვერ დაიძინა, სხვაგან დაბორიალებდა მისი ფიქრი — ვიცოდი, რომ როდისმე მომაკითხავდნენ, მაგრამ ასე ჩქარა?.. მაგრამ რატომ? მე ხომ მოვშორდი ყველაფერს... მე ხომ თვითონ დავთმე... — ნეტა რას იზამდა ილიკო, ისევ რომ შეხვედროდა იმათ, ოღონდ იარაღიანი უიარაღოებს, ან თვითონ ცხენზე ამხედრებული ყოფილიყო და ის კი, მაშინ ცხენზე მჯდომი ილიკოსავით გდებულიყო მოხნულ მიწაში!.. აპატიებდა?!. ნუთუ?!. არა! არა!.. სულს ამოხდიდა მათრახის ცემით, ცხენს მიუშვებდა ზედ, გულ-მუცელს ჩაუთეთქვავდა!.. მაგრამ მაშინ ხომ... ღმერთო ჩემო!.. მაშინ ხომ იმათნაირი იქნებოდა, მაშინ ხომ იმათ ლაშქარში ამოჰყოფდა თავს!.. ნუთუ ეს უნდა?.. ნუთუ უნდა და არ შეუძლია?! დედა, როდის წავალთ აქედან, როდის?.. გინახავთ ვინმეს სადმე ასეთი რამ!.. ზღაპარი სიყვარულისა... მამა... ბოშიანის წამალი... სადღაც კი წვიმდა... კოკისპირულად წვიმდა... უჟმურებს გაუმარჯოთ!.. ვის?.. ვის სჭირდება?.. დედაო ღვთისავ... ვის?.. ლ... ლ... ლ... ვის?.. მზეო... სჭირდება?.. ვის სჭირდება... დიდსულოვანი!... ლაშქარში ყოფნა-.. როგორმე ზამთარს თუ გადავურჩი... დიდსულოვანი... დიდსულოვანმა... დიდსულოვანს... დიდსულოვანის... დიდსულოვანის!.. დიდ... — და ის-ის იყო უნდა ჩასძინებოდა, რომ ქორჟის ხმა მოესმა — ერთი ეს მითხარი, ილიკო ჩემო, ის ზღვისფერთვალება ქალი სად არისო?! — ქორჟსაც არ ეძინა თურმე, ისიც ფიქრობდა, ილიკოზე ფიქრობდა, იმათზეც! აღარ უნდა ეფიქრა ილიკოს, თორემ... თორემ იმათ უკვე ვეღარ გადაურჩებოდა! იმათ, ქალსაც უკავშირებდა რატომღაც, ამიტომაც შეეკითხა, ის ზღვისფერთვალება ქალი სად არისო? — არ უპასუხა ილიკომ, თავი მოიმძინარა, ქორჟიც აღარ ჩაეძია, იმანაც მოიმძინარა თავი. ორივენი ჩუმად იწვნენ, ფიქრთა ბურუსში გახვეულები და როდესაც მამლის ყივილის დრო მოვიდა, მხოლოდ მაშინ თქვა ილიკომ — ეჰ, ყველა კახპა როდია მანონ ლესკოო! — მცირე პაუზის შემდეგ კი დაუმატა, — არც დე გრიეობა ყოფილა ადვილიო! — და კედლისაკენ გადაბრუნდა.

ქორჟმა ახლად ჩაძინებული ილიკო არ გააღვიძა. ისე წავიდა რომ, არ დაემშვიდობა, მხოლოდ პატარა ბარათი დაუტოვა. აი, რა ეწერა ამ ბარათში:

„ფრთხილად იყავი! ყველა ცხენი წმინდა სისხლისა არ იქნება! თუ ძალიან მოგინდება ჩემი ნახვა, ცისფერ სახლში მომძებნე“.

ქორჟი.

7

— იღბალი უნდა ყველაფერს, იღბალი! წამოიყვირა ერთდროს იღბლიანმა დოღის მოყვარულმა და ტოტალიზატორის ბილეთების მთელი გროვა შორს მოისროლა.

— იღბალი უნდა, აბა რა! — დაეთანხმა მეორე იღბალუკუღმაშემობრუნებული, — როგორ კაცო, რანაირად? შულეპოვს როგორ აჯობა სამედროვმა? — და ნაკუწებად აქცია ბილეთები, სადაც აღნიშნული იყო, რომ დოღს აუცილებლად შულეპოვი მოიგებდა.

— იღბალი რა შუაშია? ჟულიკები არიან, ჟულიკები!.. ამდენ ხანს ვერ გაიგეთ? — თქვა მესამემ და უამრავ ბილეთში სასოებით გამოარჩია ის ბილეთი, რომელშიც, როგორც თვითონ აღნიშნა, გაითვალისწინა რა ჟოკეების „ჟულიკობა“, პირველ ადგილზე სამედროვი დააყენა. მართალია, ერთი, მაგრამ სამაგიეროდ კარგი ბილეთი დაიჭირა, ამიტომ, სხვებივით არ მოისროლა, არც ნაკუწებად აქცია და ისედაც დანაგვიანებული ტრიბუნები უფრო რომ არ დაენაგვიანებინა, წაგებული ბილეთები ურნაში ჩაყარა, ის მომგებიანი ბილეთი კი, გულისჯიბეში შეინახა, თანაც აქეთ-იქით მიმოიხედა, ნეტა ვინმეს თუ აქვს კიდევ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასეთი ბილეთიო. ნაღდ მოთამაშეებში ასეთი ბილეთი არავის ჰქონდა და, მიუხედავად იმისა, რომ უკვე ყველაფერი გარკვეული და გადაწყვეტილი იყო, ისე გაოცებულები იჩეჩავდნენ მხრებს, გეგონებოდათ, არა და არა, არ სჯერათ საკუთარი თვალით ნანახისო, მაგრამ, მათდა საუბედუროდ, ყველაფერი სინამდვილე იყო და როცა საბოლოოდ ირწმუნეს ეს, დოღის პერიპეტიების გარჩევას შეუდგნენ, თუმცა ისევ დროდადრო მაინც გაისმოდა გაკვირვებული შეძახილები —როგორ? რანაირადო? — ზოგი ამბობდა, ჩაწყობილი დოღი იყოო, სხვები არ ეთანხმებოდნენ, კალინინის პრიზის ჩაწყობა სად გაგიგიათ, ნახეთ რა დრო ანახა, 1, 39, 8 თბილისის იპოდრომისთვის ბრწყინვალე დროაო. ისინი, ვინც ამტკიცებდა ჩაწყობილი იყოო, თავის აზრს იცავდნენ — აბა ვნახოთ ერთი, რა მოგებას გასცემენ, მერე კიდევ იტყვით რამეს, კიდევ არ დაიჯერებთო? — ამ დავაში მხოლოდ ერთი რამ იყო ცხადი, უმრავლესობისათვის იღბალს ეღალატა და ის, ჯერჯერობით ერთადერთი მომგებიანი ბილეთის პატრონი გულის ფანცქალით ელოდა, თუ რას გამოაცხადებდა დიქტორი, რა მოგება ხვდებოდა წილად მის ბილეთს. ამასობაში კიდევ ხუთი კაცი გამოჩნდა, რომლებსაც აგრეთვე თითო მომგებიანი ბილეთი ჰქონდათ. გამოდიოდა სულ ექვსი ბილეთი სამიათასამდე გაყიდულ ბილეთში, ასეთ შეფარდებას კი, კარგი მოგება უნდა მოეტანა, სულ ცოტა, სამას მანეთს ელოდებოდნენ, ამაზე ნაკლები არ იქნებაო, მაგრამ ცდებოდნენ, კიდევ ერთი იღბლიანი იჯდა იპოდრომის ტრიბუნაზე, იღბლიანი, თანაც როგორი იღბლიანი, მას ათი მომგებიანი ბილეთი ჰქონდა! და ეს იღბლიანი, არ გაგიკვირდეთ, ილიკო იყო! დიახ, ილიკო, რომლის იღბალზეც, მერეც ძალიან დიდხანს ლაპარაკობდნენ. აბა რა, მთელი სეზონის განმავლობაში არ წაუგია „სატურნს“ და მთელ იპოდრომს სჯეროდა მისი მოგებისა. მათ რწმენას კი უფრო ამტკიცებდა ის, რომ „სატურნზე“ შულეპოვი იჯდა, თვით ნასიბოვის მხედარი, მოსკოვის დერბის მომგები, საერთაშორისო კლასის ჟოკეი! იმ დანარჩენი ექვსი ბილეთის მფლობელებმა მხოლოდ შემთხვევითობის გამორიცხვის გამო დააყენეს „სატურნი“ მეორე ადგილზე, ილიკომ კი ათი ბილეთი იყიდა. უკანასკნელი თუმანი გადაიხადა ამ ბილეთებში, არც დაფიქრებულა ისე, რადგან იცოდა, სწამდა, რომ „პეტროპოლისი“ აუცილებლად მოიგებდა, „სატურნზე“ შულეპოვი კი არა, თუგინდ ლესტერ პიგოტი მჯდარიყო (ჟორჟი ტყუილად ხომ არ ელაპარაკა ამდენს ამ ცხენის შესახებ, თანაც ის ხომ მისი მხსნელი იყო და ჯაგლაგიც რომ ყოფილიყო, ილიკო ვალდებული იყო, მაინც პირველ ადგილზე დაეყენებინა.)

— ასეა, ხომ გაგიგია, ბედი მომე და თუგინდ სანეხვეზე გადამაგდეო! — ისევ არ ცხრებოდა, ისევ იმართლებდა თავს ერთ-ერთი წაგებული, მეორე კი, ცხენებში უფრო გათვითცნობიერებული, იღბალს კი არა, უკვე თავის მიუხვედრელობას აბრალებდა ყველაფერს — როგორ ვერ მიხვდი, რომ ასეთი ცხენი არ წააგებდა, დაიჩემა ყველამ შულეპოვი, შულეპოვი... შულეპოვი რა შუაშია... რატომ ავყევი სხვებს, სხვა თვალით რატომ არ შევხედე ამ ცხენსო. —აქაიქ კიდევ გაისმოდა სიტყვები: იღბლიანი, ჟულიკი, აფერისტი და სხვა მსგავსი გამოთქმები, მერე, როგორც ხდება ხოლმე, ყველა შეეგუა მომხდარს, დროებით გადაივიწყეს იღბლიანებიც, უიღბლოებიც და ახალ თავსატეხს შეეჭიდნენ, ახლა მათ მხოლოდ ერთი რამე აინტერესებდათ, ვინ მოიგებდა დერბის: „ხორსაში“ თუ „აგეპსტა“. ჩვენც შევეშვათ მათ, თავი დავანებოთ, ჩვენთვის მთავარი ხომ ის დოღი იყო, „პეტროპოლისმა“ რომ მოიგო, რა დოღი იყო!

მოსკოვიდან და პიატიგორსკიდან ჩამოიყვანეს მწვრთნელებმა მხედრები. შულეპოვის შესახებ უკვე მოგახსენეთ, არც სხვა ჟოკეებს დაიწუნებდა კაცი: „სმექსტანზე“ პიატიგორსკელი ჩუიკო იჯდა, „ხალისზე“ — კაპუშევი, „საგაზე“ — ჩვენი თაბაგარი, „ზამიაზე“ — უფროსი ბოჩკლოვი, „მილოსზე“ კი, ერთ დროს ძალიან ცნობილი ხ. ხ. ედიკოვი. ამ ჟოკეებთან შედარებით სამედოვი არაფერს წარმოადგენდა, მას ჯერ ჟოკეის წოდებაც კი არა ჰქონდა და მხოლოდ იმიტომ დასვეს „პეტროპოლისზე“, რომ მწვრთნელ ნურიევს გამოსავალი არა ჰქონდა. წინა დღეს დათვრა, თუ ეგებ დაათვრეს, კაცმა არ იცის, მისი ჟოკეი ოლხოვიკი და მთვრალმა ისეთი დებოში ასტეხა, რომ დაჭერას მხოლოდ გაქცევით გადაურჩა. ოლხოვიკი კარგი ჟოკეი იყო და ამიტომაც არ მოელაპარაკა ნურიევი სხვა ჟოკეებს. შეშინებული ოლხოვიკი დოღის დღესაც არ გამოჩნდა და დარჩა „პეტროპოლისი“ ჟოკეის გარეშე. ნურიევს ცხენის მოხსნა არ უნდოდა, აქ, ამ დოღში უნდა მიეღო ნამდვილი ნათლობა მის ცხენს და ვინაიდან თავისუფალი ჟოკეი უკვე აღარ იყო, სამედოვს ანდო ცხენი. სამედოვი კარგად იცნობდა „პეტროპოლისს“, ხშირად ასეირნებდა და ვარჯიშზეც ხშირად აჭენებდა. მაგრამ ერთია ვარჯიში და მეორეა დოღი, თანაც ასეთ ჟოკეებთან პაექრობა, გაუჭირდება სამედოვსო, ფიქრობდა ნურიევი და გუნებაში ოლხოვიკს უკანასკნელი სიტყვებით ლანძღავდა, აგინებდა, რაღა ახლა მოუნდა დათრობა, ის რომ მჯდარიყოო... და მაინც იმედი ჰქონდა მწვრთნელს, შეიძლება სამეულში შევიდესო, და სამედოვს ყველას გასაგონად ეუბნებოდა — უნდა მოხვდე სამეულში, აბა შენ იციო, — და ამას რომ ამბობდა, გულის სიღრმეში პირველ ადგილზე ოცნებობდა, იმიტომ რომ კარგად იცოდა ამ ცხენის ფასი, ტყუილად კი არ დასტრიალებდა თავზე დღედაღამ.

— ცხენს მიენდე, დროზე ადრე არ მიუშვა, თვითონ იგრძნობს, თვითონ მოგცემს ნიშანს და მაშინ მიუშვიო. — დოღის დაწყების წინ ერთსა და იმავეს ჩასჩიჩინებდა სამედოვს. სამედოვი თანხმობის ნიშნად თავს უქნევდა და ცხენს ეფერებოდა, „პეტროპოლისი“ კი ადგილზე ცმუკავდა და უკვირდა, ნეტა რატომ ღელავენ, ნუთუ ჩემი ფასი არ იციან, მორჩა, დღეის შემდეგ თბილისში ჩემი მომგები ცხენი არ იქნებაო!

სტარტიდანვე გაიჭრა წინ „სატურნი“, გამოცდილ შულეპოვს თავიდანვე სურდა მოწინააღმდეგეების გატეხა — თუ ტემპში ამყვნენ, ალბათ, ვერ გამიძლებენ და თუ არა, საკმაო მანძილს მოვიგებ და მერე უკვე ვეღარ დამეწევიანო — მაგრამ დანარჩენებიც ფხიზლობდნენ, ორას მეტრში დაეწივნენ წინ წასულს და „სმექსტანმა“ კიდეც გადაასწრო, წინ ჩაუდგა და ტემპი შეანელა. ამით ისარგებლა „მილოსმა“ და ლიდერებს წამოეწია, დანარჩენებიც შორიახლო მიჰყვებოდნენ, ერთმანეთს დარაჯობდნენ გამოცდილი ჟოკეები, მარტო სამედოვს არ აგდებდნენ არაფრად. შულეპოვი გრძნობდა, რომ ფინიშის სწორზე ჩამოიტოვებდა ჩუიკოსაც და ედიკოვსაც, ამიტომ მიიღო მათი შემოთავაზებული ტემპი, მომენტს ელოდებოდა, მოულოდნელად უნდა მიეშვა ცხენი, მოსახვევის დასასრულს, ამით ორიოდ მეტრს მაინც მოიგებდა და სხვაზე ადრე გავიდოდა ფინიშის სწორზე, უკანასკნელ სამას მეტრში კი, თანაც თუ სხვაზე წინ იქნებოდა, „სატურნს“ და მას შულეპოვს, ვერავინ აჯობებდა. მაგრამ სწორედ ამ დროს მისცა „პეტროპოლისმა“ სამედოვს ნიშანი, მიმიშვიო და უმალ მიუხვდა მხედარი ცხენს, ერთი წამითაც არ დააყოვნა, მიდიო, მხოლოდ ხელი წაუტყაპუნა და მთელი ტანით, მთელი არსებით ცხენს შერწყმული, მიენდო მას და წამოვიდა „პეტროპოლსი“, წამოვიდა. მაგრამ რა წამოვიდა, რაღაც წამებში დაეწია

წინწასულებს. შულეპოვს უკან არ მოუხედია, ამის დრო უკვე აღარ ჰქონდა, ალღოთი იგრძნო, რომ ვიღაც სხვა წამოვიდა, ისინი არა, ვისაც თავის მეტოქეებად სთვლიდა და თუმცა მისი გაგებით ჯერ დრო არ იყო, მანაც მიუშვა ცხენი, რადგან იცოდა გამოცდილებით, რომ ასეთ დროს წამიერი შეყოვნებაც კი გამარჯვებას ხელიდან გამოაცლიდა, იცოდა, მაგრამ ოდნავ მაინც დააგვიანა და ის წამი, მოულოდნელობის წამი დაკარგა და ვერ მოიგო ის ორიოდ მეტრი, რომლის იმედიც ასე ჰქონდა — ფინიშის სწორზე „სატურნის" გვერდით უკვე მოჰქროდა „პეტროპოლისი". არ მოელოდნენ დანარჩენები დოღის ასეთ მოულოდნელ შემობრუნებას, ჩამორჩნენ და ყველასათვის ნათელი გახდა, რომ მესამე ადგილზე წინ ვერც ერთი მათგანი ვერ გავიდოდა. „პეტროპოლისი" და „სატურნი" კი კვლავ ერთად მიჰქროდნენ ფინიშისაკენ, ვერა და ვერა, ვერ მოახერხა შულეპოვმა წინ გაჭრა, წინ კი არა, უკანასკნელი ძალების დაძაბვით ინარჩუნებდა წონასწორობას. ო, რა ხდებოდა იპოდრომზე. დაბლა, წინა რიგებში ჩაცვივდა ხალხი, ყვიროდნენ, ხელებს იქნევდნენ. ნურიევს ერთი რამისა ეშინოდა მხოლოდ, დროზე ადრე ხომ არ მიუშვა ცხენი, ვაითუ, ძალა აღარ ეყოსო და უეცრად სისხლი მოაწვა თავში, სუნთქვა შეეკრა, ოდნავ გავიდა წინ შულეპოვი, მერე კიდევ ოდნავ და მეტი ველარ შეძლო, მაგრამ მაინც წინ იყო, სულ ერთი თავით, მაგრამ მაინც წინ და დაწყნარდა ნურიევი, მიხვდა ნაცადი მწვრთნელი, რომ ეს „სატურნის" უკანასკნელი გაბრძოლება იყო. „პეტროპოლისი" კი ისე ლაღად, თავისუფლად მოჰქროდა, რომ ცოტა კიდევ, სულ ცოტა და უკვე პირველი იქნებოდა.

— დროა, დროა, რაღას უცდი!.. მიდი!.. მიდი... — მთელი ხმით ყვიროდა ნურიევი და გაიგონა „პეტროპოლისმა" მისი ძახილი, გაიგონა და ფრთები შეისხა, გაფრინდა ცხენი... რამდენიმე მეტრიღა იყო დარჩენილი ფინიშამდე, სულ ცოტა კიდევ და... სდექ! ჩვენს მიზანს არ შეადგენს, დოღის პერიპეტიების აღწერა არადა, როგორ გვინდა! მარტო იპოდრომზე მისული ხალხი რად ღირს! ვის არ შეხვდებით, მოხუცსა და ახალგაზრდას, ხანში შესულ აფერისტებს და ჯერ კიდევ ახალბედებს, ცხენების ნამდვილ მოყვარულებსაც ნახავთ და იმათაც, ვისაც წარსულს აგონებს იპოდრომი, ზოგიერთი მათგანი ახალგაზრდობაში დიდუბის იპოდრომზეც დადიოდა, ზოგს კაპიტონ ნაჭყებია ახსოვს და ძველ დროზე ოცნებობს, ზოგი მოსკოვშია ნაცხოვრები და იქ შეუყვარებია დოღი და ტოტალიზატორი. ზოგი გაგებაში არ არის, რა ხდება, ზოგი... მარტო პატარა ლევანი რად ღირს, დროზე ადრე დაბრძენებული მოთამაშე, ცხენისა და დოღის ყველა საიდუმლოს დიდი მცოდნე; ან თბილისელთა უმრავლესობისათვის ნაცნობი, კოლორიტული კოკოშა, ერთხელ რომ მოიგო და მერე, რამდენიც არ უნდა წააგოს, მაინც რომ ამბობს, საბოლოო ჯამში მოგებული ვარო, ან კიდევ, მთელ იპოდრომზე ერთადერთი შლაპიანი, დოღისა და რბოლის მართლა კარგი მცოდნე, ოღონდ სულ უკმაყოფილო, სულ რომ ემუქრება მთავარ მსაჯს, მე მაგას ვაჩვენებ, დავწერ მაგის შესახებო, ან ყოფილი მხატვარი, ახლა კი მანქანების ცნობილი მღებავი და კიდევ უამრავი უსაქმური და საქმიანებიც, რომლებიც ისე ახერხებენ, რომ კვირა დღეს არავითარი საქმე არ ჰქონდეთ და ელიან, დიდი მღელვარებით ელიან ზაფხულის ყოველი კვირა დღის გათენებას, რათა დილიდანვე დაიჭირონ თადარიგი, განეწყონ, კიდევ ერთხელ გადაათვალიერონ წინა დღეს შეძენილი პროგრამები. ოჰ, საინტერესოა, ძალიან საინტერესოა, ვინ როგორ თამაშობს, რომელ ცხენზე, რომელ მხედარზე, რატომ? ფსიქოლოგისთვის სადისერტაციო თემაა, ჩვენც სიამოვნებით ჩავუღრმავდებოდით ამ ხასიათ-

ებს, მაგრამ ამჟამად სხვა მიზანი გვაქვს და მხოლოდ ფაქტები გვაინტერესებს, ფაქტი კი ასეთია — კალინინის სახელობის პრიზი მოიგო „პეტროპოლისმა“, მეორე იყო „სატურნიმ“, თითო მომგებიან ბილეთს ოთხმოცი მანეთი მოგება ხვდა წილად, ილიკოს კი, ვინაიდან ათი ბილეთი ჰქონდა — რვაასი მანეთი (დროებით უმუშევარისთვის ეს კარგა გვარიანი თანხა იყო).

ილიკომ მოგებული ფულით, თავის ორ ნაცნობთან ერთად, რომლებიც შინაურ კაცებად ითვლებოდნენ იპოდრომის თავლებში, ჟოკეი და ცხენის მწვრთნელი დაპატიჟა. იქვე, თავლასთანავე გაშალეს პურ-მარილი. ხორცი, თუშური ყველი, კიტრი, პამიდორი და საზამთრო მოატანინეს ბაზრიდან მეჯინიბე ბიჭს, დასხდნენ მწვანეზე და გიყვარდეს, მოილხინეს. უკვირდა სამედოვს, ბევრს მოუგია იპოდრომზე ფული, მაგრამ ჩვენთან არ მოსულან, არ დაუპატიჟივართ, დიდი-დიდი ფული მოუციათ, რომ ცხენი არ გაგვეშვა, დაგვეჭირა და სხვა, სუსტი ცხენი მისულიყო პირველიო, უკვირდა და უხაროდა, რომ დააფასეს, წამდაუწუმ ეკითხებოდა თათრული აქცენტით მწვრთნელს — ხოროში პარენ, პრავდა, და? — ნურიევი თავს უქნევდა, ნაცნობებმა კი სულ ცაში აიყვანეს, ეს ის არისო, ის თუ გინახიათო, და უსახელებდნენ ილიკოს ნამუშევრებს, იმათ, რა თქმა უნდა, არ ენახათ, მაგრამ თავს უქნევდნენ და სამედოვი ისევ იმეორებდა იგივეს — ხოროში პარენ, ხოროში! მერე თავლაში შევიდნენ, „პეტროპოლისი“ მოინახულეს. მოესიყვარულა ილიკო ცხენს. თავისი ხელით აჭამა თივა, ნურიევმა კი შუბლში აკოცა ცხენს. ილიკოს ეტყობოდა, რომ ძალიან უნდოდა ცხენზე შეჯდომა, ნურიევი მიუხვდა და ილიკოს უთხრა — ახლა არა, ახლა არ შეიძლება, ნაჭენებ ცხენზე შეჯდომა არ იქნება, გამარჯვებულზე ხომ მით უფროო, მოდი დილით ადრე და გაგასეირნებინებ ცხენს, ჯერ ასე მიეჩვიე და მერე ვნახოთო — ილიკომ მადლობა გადაუხადა ნურიევს, აუცილებლად მოვალო, დაპირდა, „პეტროპოლისსაც“ გადაუხადა მადლობა, ამ მოგებისთვის კი არ გიხდი მადლობას, შენ იცი რისთვისაცო! თავი დაუქნია ცხენმა — ვიცი, ვიციო!

თვეზე მეტი იყო გასული იმ დღის შემდეგ. ვერსად ვერ მიაგნო ილიკომ იმათ ასავალ-დასავალს, ხშირად ეკითხებოდა ნაცნობებს — გახსოვთ, სამთითა რომ დადიოდა პლეხანოვზე, მგონი ბუხუტი ერქვა, ხომ არ იცით, სად არისო? — ყველა მხრებს იჩეჩავდა, წარმოდგენა არა გვაქვს ვინ არისო. იპოდრომზეც იკითხა, იპოდრომიდანაც ახსოვდა თითქოს, იქაც ისევე იჩეჩავდნენ მხრებს, არავის ახსოვდა სამთითა ბუხუტი, ეძებდა ილიკო, თუმცა დარწმუნებული იყო, რომ გინდ მიეკვლია, მაინც ვერაფერს გახდებოდა და უკეთეს შემთხვევაში, ისევ თვითონ დარჩებოდა გალახული, უარესში კი, ეჰ, უარესში, ვინ იცის, გადაურჩებოდა იმათ კიდევ ერთხელ? ალბათ, ვერა, იმათ კიდევ ერთხელ ვინღა გადაურჩებოდა!!. იცოდა ეს, გრძნობდა ამას, მაგრამ მაინც ეძებდა, რადგან სხვანაირად არ შეეძლო, სხვანაირად არ შეიძლებოდა, არ უნდა შინებოდა მათი, ფიქრებშიც კი არ უნდა შინებოდა და თავს იმხნევებდა, ეგებ თავსაც იტყუებდა, ვინ არიან, მაგათი ძალა ხომ ჩვენ შიშშიაო. ასე უნდა მოქცეულიყო, სხვა გზა არ იყო, თორემ თუ საბოლოოდ ირწმუნებდა მათ ძლიერებას, მაშინ ვერაფერი უშველიდა, ვეღარ იხსნიდა ვეღარც ცხენი წმინდა სისხლისა და ვერც ჟორჟი, კეთილი ჟორჟი.

ჟორჟის ყოველ გახსენებაზე ილიკოს გული ეწურებოდა, რატომ არ ვკითხე მისამართი, ან ჩემი მისამართი რატომ არ დავუტოვეო? მე ხომ მისი არც გვარი ვიცი და, მგონი, არც ნამდვილი სახელიო. კიდევ უფრო იმაზე სწუხდა, რომ მეხსიერებიდან ისევ

ამოუვარდა მისი გარეგნობა, იქნებ ვხვდები სადმე, იქნებ ყოველდღეც ვხედავ და მე კი, როგორც უცნობს ისე ვუყურებ, ვაი სირცხვილოო, და რცხვენოდა ილიკოს, თავის სინდისის წინაშე რცხვენოდა, რამდენი ოხერმუდრეგის გარეგნობა მახსოვს, ყორყისა კი რამ დამავიწყაო და წვალობდა, ცდილობდა როგორმე აღედგინა მისი გარეგნობა, დაახლოებით მაინც წარმოედგინა, მაგრამ სულ სხვადასხვა სახეს ღებულობდა ყორყი მის წარმოსახვაში, ხან ვის ჰგავდა და ხან ვის. ასეთ დროს, ილიკო ხანდახან ფიქრობდა, ყორყი სინამდვილეში არ არსებობს და ყველაფერი, იპოდრომის ღამეც და სამთითა ბუხუტიც, ერვანდიც და დანარჩენებიც, ყველაფერი მხოლოდ ჩემს მეოცნებე გონებაშია აღმოცენებულიო და ყორყის დატოვებული ბარათი რომ არა, ნამდვილად ირწმუნებდა ამას.

ცისფერი სახლი! ნეტა სად იყო ცისფერი სახლი? სად?! ნეტა სად გაქრა ყორყი? რატომ ჰკიდია ქოხის კარს ვებერთელა ჟანგიანი ბოქლომი? თავდაპირველად თითქმის ყოველდღე ადიოდა ილიკო ყორყის ქოხში და შორიდანვე ეჩხირებოდა თვალებში, ის, ზომაზე დიდი ბოქლომი. ო, რა გამომწვევად, რა ჯიბრით უყურებდა ეს ბოქლომი! ნეტა სად იშოვა? თვითონ დაკეტა თუ იქნებ?.. და ამ საშინელი ბოქლომის დანახვაზე, ილიკოს ყორყის სიტყვები ახსენდებოდა, ვინ იცის, ეგებ მეძებენ კიდეცო... ვინ? ვინ ეძებდი? ბევრი რამ ხდება, ჰორაციო... შეიძლება უჭირს ყორყს, შეიძლება სწორედ ახლა სჭირდება ჩემი დახმარება და მე კი ვერ ვეხმარებიო. რა უნდა ექნა? რითი უნდა დახმარებოდა? როგორ? მერე ნელ-ნელა ჩაცხრა ყორყის გაუჩინარებით გამოწვეული სიმძაფრე, ცუდზე რატომ უნდა ვიფიქროთ, ხომ შეიძლება ყორყი სახლში დაბრუნდა, თავისიანებთან, ალბათ, იმათ გულისხმობდა, რომ ამბობდა, მეძებენ კიდეცო და დაიჯერა, არაფერი უჭირს ყორყსო. ბოლო დროს, მხოლოდ ერთხელ ავიდა ქოხში და იმ ბოქლომმა უკვე ისე აღარ გააღიზიანა, არც ისეთი დიდი ეჩვენა. უკვე აღარ ღელავდა, არა უშავს, ადრე თუ გვიან გამოჩნდებაო, ეს იყო მხოლოდ, რომ მის ყოველ გახსენებაზე სინდისის ქენჯნას გრძნობდა და როგორც აღვნიშნეთ, გული ეწურებოდა. ახლაც ასე დაემართა, როგორმე უნდა ენახა ყორყი — შეიძლება ღამით ამოდის ქოხში, აქამდე როგორ ვერ მივხვდი, ერთხელ მაინც რატომ არ ავედი ღამითო, — თავის თავს უსაყვედურა და გადაწყვიტა, ამაღამვე გამოესწორებინა შეცდომა — ახლავე ავალ, მოკლეზე მოვჭრი გზას, ისევ იმ გზით წავალ, მაშინდელი გზითო. ძალიან მოუნდა ყორყის ნახვა, სხვა თუ არაფერი, ვალდებულიც იყო, ყორყი რომ არა, რამდენ რამეს ვერ გაიგებდა, ჯერ ერთი, სულ უბრალო მიზეზით — ცოცხალი არ იქნებოდა, და მეორე, გინდ გადარჩენილიყო, ხომ არ ეცოდინებოდა, რომ „პეტროპოლისმა“ დაინდო, არც ის, რომ წმინდა სისხლისა არასოდეს ჩაიდენს უკადრისს. — კიდევ კარგი ჯაგლაგი არ ჰყავდათ გამოყვანილი, თორემ ის რას დაგიდევდა, ყველაფერს იკადრებდა, ოღონდ თავი გამოეჩინა! — გაუხარდა, თითქოს ახლა მიხვდა ამ ჭეშმარიტებას — ინდიკო შვილი ინდიკოსი! აი, რატომ არიან ძლიერები! წმინდა სისხლის ცხენის გამოყვანა ძალიან ძნელია, პაპის პაპასაც კი არ უნდა ჰქონდეს შერეული სხვა სისხლი, ამიტომაა ცოტა ნამდვილი ჯიშიანი ცხენები. გამოყვანაა ძალიან ძნელი, გაფუჭება კი ადვილია, ძალიან ადვილი, ინდიკო, ინდიკო კი... — და ისევ ყორყზე დაიწყო ფიქრი. დღესდღეობით რომ ფულიანი კაცი იყო, ესეც ხომ ყორყის წყალობა იყო! ეს ხომ იმან შთააგონა, „პეტროპოლისის“ მომგები ცხენი ჩვენ იპოდრომზე არ იქნებაო, ამიტომაც სჯეროდა ილიკოს „პეტროპოლისის“ გამარჯვებისა, ამიტომაც

უგულებელყო შულეპოვიც და სხვა ქოკეებიც, თორემ ისე, სხვების მსგავსად ისიც ლოგიკას დაემორჩილებოდა და დარჩებოდა ჯიბეგაფხეკილი. რა უნდა ექნა მაშინ? არა, რა თქმა უნდა, დაღუპვით არ დაიღუპებოდა, სანამ მუშაობას დაიწყებდა, რამეს მოახერხებდა, ვინ დატოვებდა უფულოდ, ასეთ დროს ნამდვილად იციან ჩვენში დახმარება, ბოლოს და ბოლოს, წიგნებს გაყიდდა და ამით გაიტანდა ცოტა ხნით თავს. ახლა კი უკვე აღარ ემუქრებოდა ეს უსიამოვნო პერსპექტივა, რა, არ იყო ჟორჟი მადლობის ღირსი და განა მარტო მადლობის?! და ილიკოს გაახსენდა, რომ ჟორჟს, ამ პაპანაქება ზაფხულში ტყაპუჭი ეცვა და მისი ბლუზა-შარვალიც საკმაოდ შელანძღული იყო. ეს მაშინვე შეამჩნია ილიკომ, როგორც კი სუფრას მიუსხდნენ, ჰო, გაუკვირდა, ასე ჩაცმულმა კაცმა ასეთი სუფრის გაშლა როგორ მოახერხაო, მერე ყველაფერი მის უცნაურობას დააბრალა და აღარც გახსენებია ჟორჟის ჩაცმულობა, ერთი წუთითაც არ უფიქრია, ჟორჟს შეიძლება ჩასაცმელი არა აქვს, რცხვენია ასე სიარულის და იმიტომ არ ჩანსო. აქამდე როგორ ვერ მივხვდიო და ვინაიდან ახლა, შეძლებულ კაცად თვლიდა თავს, გადაწყვიტა, ჟორჟს კოსტიუმი უნდ ვუყიდოო, ამაღამ თუ ვნახავ, ხვალვე წავიყვან მაღაზიაში, ან არა, ზომასა ვკითხავ, ისე, სხვათა შორის, ვუყიდი და მოულოდნელად მივუტანო და თუ ვერ ვნახავ ამაღამ, ფულს გადავინახავ მის სახელზეო. კარგ ხასიათზე დადგა ილიკო, რადგან სიკეთის არა თუ გაკეთება, მისი ჩაფიქრებაც კი სიამაყით ავსებს ადამიანს, კეთილ ადამიანს, რადგან ყოველი ასეთი საქციელი კიდევ ერთხელ არწმუნებს, რომ ადამიანის დანიშნულება, მიუხედავად ყველაფრისა, მაინც სიკეთის კეთებაა. ასეა! ამიტომ გადარჩა ილიკო იმ საშინელ ღამეს!

თითქმის ისეთივე ნათელი მთვარიანი ღამე იყო, როგორც მაშინ. ყველას დაემშვიდობა ილიკო და... გულში მაშის ნაპერწკლებმა გაჰკრა, ვაითუ ისევო! ოდნავ შეყოვნდა, მტკივნეულად გაახსენა თავი იმ საშინელმა ღამემ, მაგრამ ჩქარა დასძლია მოულოდნელად აღმოცენებული შიში და დაადგა იმ მოკლე გზას.

უკან არ იყურებოდა ილიკო, ისეთი შეგრძნება ჰქონდა, თითქოს ძაღლი აედევნა, ასეთ დროს კი, როგორც ვიცით, არ უნდა შეჩერდე, არც ფეხს აუჩქარო, არც უკან უნდა მოიხედო, არ უნდა აფიქრებინო ძაღლს, ჩემი ეშინიაო, თორემ თუ ეს იგრძნო, განსაკუთრებით ავმა, უზნეო ძაღლმა, იმ წუთას გეცემა და ბევრს თუ არაფერს, შარვალს მაინც გამოგაგლეჯავს. მიდიოდა ილიკო და თითქოს ვიღაცების მზერას გრძნობდა, მიყურებენ და ელიან, როდის ავუჩქარებ ნაბიჯს, ან უკან მოვიხედავ შეშინებული, რომ მეცნენ, დამგლიჯონ, ნაკუწებად მაქციონო, მაგრამ უფრო დაცინვისა ეშინოდა, ისევ არ ამიწიონ ყური, ისევ არ დამიწყონ ჭკუის სწავლება, ისევ არ მითხრან შორი გზა მოიარეო! — არა, ბატონებო! თუმცა ბატონებო რა შუაშია — თავისთვის ლაპარაკობდა — ბატონებო კი არა, ვირიშვილებო! არ მოგანიჭებთ ასეთ სიამოვნებას, არაფრისდიდებით არ მოგანიჭებთო! — და ცდილობდა მტკიცე ნაბიჯით ევლო, დინჯად, აუჩქარებლად, ისე კი უცნაურად იყო აწყობილი მისი ცხოვრება, სულ რაღაცას ნანობდა, მაშინ, ამ გზაზე მომავალი, უცნობების მიერ გზაგადაჭრილი, იმას ნანობდა, რაღა ამ შუაღამისას მომინდა მოკლეზე სიარულიო, ახლა კი ნანობდა — რატომ გავყიდე ბაბუას ნაჩუქარი პარაბელუმიო, ხომ მითხრა, კარგად შეინახე და როდესმე აუცილებლად გამოგადგებაო, მე კი მეცინებოდა, რაში გამომადგებაო, არადა, საჭირო ყოფილა, საჭირო. — თავისთავის იმედი ჰქონდა ილიკოს, ოღონდ მხოლოდ ერთს, ან უკანასკნელ შემთხვევაში ორს თუ შეხვდ-

ებოდა სადმე, ჰო, მათ ცალ-ცალკე გაუსწორდებოდა, მაგრამ ვაითუ ისინი ცალ-ცალკე არასოდეს დადიოდნენ?! ვაითუ იცოდნენ, რაშიც იყო მათი ძალა?! და ილიკოსა და მისი მსგავსებისაგან განსხვავებით, სულ ერთად დადიოდნენ! მაშინ?! მაშინ საჭირო იყო პარაბელუმი, მართლა ბრძენი ყოფილა ბაბუა, როდის მიხვდა ამას! რამდენი ხნით ადრე!.. ეჰ, თუმცა სად იყო ამდენი პარაბელუმი და ერთი მშვენიერი ფილმის ფინალი გაახსენდა — განა რამდენი ლიფტი უნდა შეაკეთონ გერმანიაში! — ამ ფიქრებში გართულმა გადაიარა მთელი მინდორი და იმ ლოჟასთან აღმოჩნდა, სადაც მათრახიანმა ცხენოსანმა გადაუჭრა გზა. ფრთხილად მიმოიხედა აქეთ-იქით, ისევ გაახსენა შიშმა თავი, ახლა გამოჩნდებიანო, თუ ისინი არა, მათრახიანი ცხენოსანი მაინცო და მხოლოდ მაშინ ამოისუნთქა თავისუფლად, გზაზე რომ გავიდა. საოცრად ნასიამოვნები იყო, გაუხარდა თავის თავს რომ აჯობა, თავის შიშს რომ აჯობა, მითხრან, კიდევ მითხრან, შორი გზა მოიარეო! „მთებში უმოკლესი გზა მწვერვალიდან მწვერვალზე გადის, მაგრამ ძმებო, ამისთვის გრძელი ფეხებია საჭირო“ — და თუმცა ილიკომ მშვენივრად იცოდა, რომ ის არ იყო გაჩენილი მწვერვალიდან მწვერვალზე სასიარულოდ, მაინც გაიხარა, ისეთი შეგრძნება დაეუფლა, თითქოს ერთი ფეხი ანაპურნაზე ედგა, მეორე კი კანჩენჯანღაზე, აბა რა, მან ხომ იმ ღამეს გამარჯვება მოიპოვა, მართალია უმნიშვნელო, პატარა, მაგრამ გამარჯვება გამარჯვებაა და არავინ უწყის, რომელი გამარჯვებაა დიდი და რომელი პატარა!

ყორყის ქოხისაკენ მიმავალ გზას უკვე თამამად გაუყვა, ისე კი, წესით და რიგით, ეს გზა უფრო საშიში იყო, ჯერ ერთი, უამრავი უპატრონო და იქნებ პატრონიანი ძაღლი დაძრწოდა იმ მიდამოებში და მეორე, თუ ისინი, ღამის მოყვარულები, რაიმეს აპირებდნენ, აქ, ამ პატარა ტყეში უფრო იოლად განახორციელებდნენ თავის განზრახვას.

ქოხში ისევ არავინ დაუხვდა, ყორყის კვალიც კი არ ჩანდა.

8.

მიდიოდა დრო. ილიკო უკვე აღარ იყო უმუშევარი, უსინათლოთა დრამწრეს ხელმძღვანელობდა, მათთან კარგად გრძნობდა თავს, სასარგებლო საქმესაც აკეთებდა, დროებით მაინც უნდა დაევიწყებინა ბედით დაჩაგრულთათვის ის დიდი უსამართლობა, რაც განგებამ, თუ, ვინ იცის, რაღაც სხვა ძალამ დაატეხათ თავს. ერთი სიტყვით, თავის მოვალეობას პირნათლად ასრულებდა, თავისუფალ დროს კი იპოდრომზე ატარებდა. იქ ახალი ნაცნობ-მეგობრები გაიჩინა, ძველი მეგობრები ჩამოსცილდნენ, ოღონდ არც კი იცოდა, ჩამოსცილდნენ თუ თვითონ ჩამოსცილდა, არც აინტერესებდა და არც დაფიქრებულა ამაზე, ყველაფერი თავისთავად მოხდა. იმის შემდეგ, რაც ორი კვირით გაუჩინარებული არავინ მოიკითხა, სხვანაირად არც შეიძლებოდა, თუმცა, რაღა თქმა უნდა, სხვა მიზეზიც არსებობდა, ფარული, ილიკოს უფრო მეტად ის სწყინდა, რომ არავის აწუხებდა მისი ტკივილი, გულით არავინ ეკითხებოდა, რაა მიზეზი, რატომ აღარ აკეთებ არაფერს, რისთვის შეგაჩერესო? ხომ იცოდნენ მისმა ახლობლებმა, რომ ეს მისთვის მეტად მნიშვნელოვანი საკითხი იყო! იცოდნენ და სდუმდნენ, ჰოდა, ეს დუმილი სტკენდა გულს, თორემ ღვინოს და არაყს იპოდრომის ძმაკაცებთანაც კარგად სვამდა. მერე, დრო რომ გავიდა, ისე მტკივნეულად უკვე აღარ განიცდიდა ამ ამბავს, ყველას თავისი გასაჭირი აქვს, ყველას თავისი პრობლემა აწუხებს და, ალბათ, მეც ასე ვიქცევი სხვების მიმართ, ყველას გვინდა, რომ მხოლოდ ჩვენდამი იყვნენ ყურადღებიანები და სხვასაც თუ სჭირდება ყურადღება არა ვფიქრობთო. ამიტომ, ძველ მე-

ეროვნული

გობრებთან შეხვედრისას, ნამცეცა საყვედურიც კი არ დასცდენია, მაგრამ უსიტყვოდაც ყველაფერი ნათელი იყო, მათ დამოკიდებულებაში სიცივე მბრძანებლობდა და ამ სიცივის უფსკრულის ამოვსება შეუძლებელი იყო.

და იცვლებოდა ყველაფერი, მასში და მის ირგვლივაც, ასე ყოფილა დასაბამიდან და ასე იქნება, ყოველთვის, მუდამ. ხშირად ფიქრობდა ილიკო ამ მუდმივ სახესხვაობაზე და ამ ფიქრის დროს, რატომღაც, სოფლიდან ჩამოყვანილი ზონზროხა ბიჭი ახსენდებოდა, იმისი შვილი, მაშინ იქ რომ მუშაობდა, ინდიკო შვილი ინდიკოსი. ის, ალბათ, არ შეიცვალა, თორემ ასე როგორ მომრავლდებოდნენო? არა, ისინი არ იცვლებიან, არა!.. და ინდიკოებთან დაკავშირებით, ილიკოს ერთი ამბავი აგონდებოდა. ეს იმ დროს მოხდა, როცა ღამღამობით ლეიბის ქვეშ დამალულ, ფურცლებგაცრეცილ წიგნს კითხულობდა. ერთხელ პატარა ინდიკომ სადღაც ზეთის საღებავი იშოვა და ეზოს საერთო საპირფარეშოს კარს დიდი, ძალიან დიდი, აცაბაცა ასოებით დააწერა: „ინდიკო“, თანაც დიდი ძახილის ნიშანიც მიახატა. და მაშინ პირველად იხილეს დიდი ინდიკოს გაცოფება — ვიროო! — დაუღრიალა შვილს და ერთი ისეთი წამოუთაქა თავში თავის მემკვიდრეს, რომ ყველას ძალიან გაუკვირდა, ნეტა ბიჭს თავი მხრებზე როგორ შერჩაო. ილიკოს ბაბუამ კი თავისთვის ჩაილაპარაკა, ეს თუ თავის შვილს ასე, სხვას როგოროო! და ახლა, დიდი ხნის შემდეგ, უკვე ილიკოს აინტერესებდა როგოროო, ყველაფერი თუ იცვლება, ისინი რატომ არ იცვლებიან, როგორ ახერხებენო?! ბევრი რამ ხდება, ჰორაციო... ეჰ, სად არის ჟორჟი, ნეტა სად არის? ის ამიხსნიდა, ალბათ, ყველაფერსო, მაგრამ არა და არა, არ ჩანდა ჟორჟი, გამქრალიყო და რჩებოდა კითხვა ჰაერში გამოკიდული, ბევრი სხვა კითხვაც, ვერ პოულობდა პასუხს ილიკო და ადრინდელივით აღარ ბრაზობდა. თავს იმშვიდებდა. მოვა დრო და ყველა უპასუხო კითხვას გაეცემა პასუხიო. მანამდე კი...

უფრო და უფრო ხშირად ნახულობდნენ იპოდრომის თავლებთან, ახლა უკვე მთელ თავისუფალ დროს იქ ატარებდა. ჟოკეებს, მწვრთნელებს და მეჯინიბეებს შინაურ კაცად მიაჩნდათ, მაგრამ ილიკოს მხოლოდ „პეტროპოლისი“ აინტერესებდა. ცხენის გენეალოგია გულდასმით შეისწავლა, ყველაფერს დაწვრილებით ეკითხებოდა ნურიევს, თუ სად, რომელ დოღში, რომელ ქალაქში მოუგია პრიზები მის მშობლებს, პაპებს და დიდ პაპებს, „პეტროპოლისის“ მამა ძირითადად თბილისში გამოდიოდა, თუმცა პიატიგორსკშიც ჰქონდა მოგებული რამდენიმე პრიზი, დიდი პაპა კი თურმე ლონდონშიც ყოფილა. ცნობილი ცხენი იყო, ძალიან ცნობილიო, ეუბნებოდა ნურიევი, თანაც უკვირდა, ნეტა ასე რატომ აინტერესებსო, კიდევ ის უკვირდა, რომ ილიკოს არასოდეს უკითხავს სხვა ცხენების შესახებ და არც წინასწარი პროგნოზის გაკეთება უთხოვია. ან რატომ უნდა ეთხოვა, იპოდრომზე გამდიდრებას არ აპირებდა და გინდ დაეპირებინა, რა გამოვიდოდა? განა ვინმეს უნახავს იქ გამდიდრებული კაცი? ილიკო მხოლოდ „პეტროპოლისზე“ თამაშობდა და თანაც იმიტომ, რომ ცხენს არ ეფიქრა, არ მენდობაო, თამაშობდა და როგორც წესი, ყოველთვის იგებდა. „პეტროპოლისი“ თბილისის იპოდრომზე უკვე ფავორიტად ითვლებოდა და მოგებული თანხა მცირე იყო, მაგრამ ილიკოს ეს დიდად არ აღელვებდა, პირიქით, სიამოვნებდა, მისი მეგობრის ძალა ყველამ რომ ირწმუნა, უხაროდა რომ ასეთი მეგობარი ჰყავდა, ლამაზი, ძლიერი, წმინდა სისხლისა და ეს მეგობრობა წართმეულს, დაკარგულს ავსებდა, „პეტროპოლისის“ ყოველი გამარჯვება იმედს უღვივებდა ილიკოს, რომ რაც უნდა მომრავლე-

ბულიყო ჯაგლაგთა რიცხვი, წმინდა სისხლისა მუდამ მაინც წმინდა სისხლისა იქნებოდა!

სისხამ დილით მოდიოდა ილიკო, ყოველთვის ჰქონდა ცხენისთვის შაქარი, ოღონდ გამასპინძლებამდე ნურიევისაგან იღებდა ნებართვას. მოსწონდა ეს ნურიევს, ილიკოც მოსწონდა, მისი ზრდილობაც და თუ ცხენს პრიზისათვის არ ამზადებდა, ნებას რთავდა „პეტროპოლისი" სასეირნოდ გამოეყვანა, ენდობოდა მათ, ცხენებში ჭიპმოჭრილი მწვრთნელი გრძნობდა, რომ ერთად ყოფნისას არც ერთს არ ელოდა საშიშროება. ეფერებოდა ცხენს ილიკო, შაქარს აჭმევდა, ისიც მადლობის ნიშნად თვინიერად უშვერდა ზურგს და ერთმანეთით კმაყოფილები სასეირნოდ გამოდიოდნენ. ამ დროს ილიკოს ყველაფერი ცუდი ავიწყდებოდა და ფიქრობდა მხოლოდ კარგზე, რომ ჯერ ადრე იყო ხელის ჩაქნევა, რომ წინ ბევრი, ძალიან ბევრი კარგი საქმე ელოდა და არ ახსოვდა არც ისინი და არც ინდიკოები, აღარც ის ქალი, ზღვისფერთვალება და არც ღალატით ნატკენი გული სტკიოდა. იშვიათად კი, როდესაც ნებას აძლევდა ნურიევი, ცხენი გააჭენეო, მაშინ, ო, მაშინ მძლეთამძლედ მიაჩნდა თავი და ცხენს მინდობილი მეშვიდე ცაზე დაფრინავდა.

და მიედინებოდა ცხოვრება თავისთვის, თითქოს ყველაფერი რიგზე იყო, თითქოს, ოღონდ სევდა მაინც ხშირად ახსენებდა თავს, განსაკუთრებით რუსთაველზე ყოფნის დროს ეძალებოდა სევდა, გაუთავებელ ნაკადად მოჰქროდა მისკენ მოგონებათა დიდი ლაშქარი. რამდენი, რამდენი კარგი დღე ახსოვდა, ის დღეები, როდესაც ცოცხალი იყო ნამდვილი იმედი, როდესაც ყველაფერი წმინდაზე წმიდაა და რომ გგონია, ვერაფერი, ვერავითარი ძალა ვერ შებღალავს ამ სიწმინდესო, ეჰ, ახლა კი?!.. ახლა იდგა ოპერის ბაღთან და გული გამალებით უძგერდა, უკვე აღარ არსებობდა ეს შეგრძნება, არსებობდა მხოლოდ წარსული და ამ წარსულის დაკარგვით გამოწვეული სევდა, მაგრამ ეს სევდა იმწამსვე იხევდა უკან, როცა ხილვები წარსულში აბრუნებდა და ხედავდა თავის თავს, აქ, ამ ბაღის პარაპეტზე ჩამომჯდარს და ახსენდებოდა ის კამათი, მაშინდელი, დაუსრულებელი კამათი, მესხი სჯობდა თუ მეტრეველი. ვინ იცის, რამდენჯერ შესულან ოპერაში „აიდას" პირველი მოქმედების ბოლოს, რომ მოესმინათ ის დიდებული არია, ან აბესალომის „ვეძებდი ბედსა..." და იდგა ილიკო ადრინდელივით, იდგა და ელოდა ბიჭებს, მოვიდოდნენ და დაიწყებოდა კამათი ხვალინდელ მატჩზე, მაგრამ ეტყობა, იგვიანებდნენ და როგორც მაშინ, ახლაც საათისაკენ იხედებოდა, იხედებოდა და... აღარსად იყო ის საათი ადრინდელი, მრგვალი საათი, ვერცხლისფერი სვეტის თავზე აღმართული, ახლანდელი კი, ოთხკუთხედი, უსახო, ისეთი ძალით, ისე სწრაფად სწყვეტდა წარსულს, რომ ილიკო ვერ ასწრებდა, ვერ ახერხებდა, იმ მხნელ ხილვებში დაბრუნებას და ისევ მობრძანდებოდა, დროებით უკუგდებული, ის, ძლევამოსილი, მისი აღმატებულება, ბატონი სევდა! — ეჰ, ის ძველი საათი, შავცისფერბლატიანი, ზოგჯერ ადამიანივით მითანაგრძნობდაო, ეს კი... — და ილიკო პირველსავე ტროლეიბუსში ჯდებოდა, ნომერს არც უყურებდა, სულ ერთი იყო, ოღონდ სწრაფად გასცლოდა იქაურობას, მაგრამ ის ბატონიც თან მიჰყვებოდა, არ ეშვებოდა და უკვე თითქმის მოშუშებულ იარებს ფრჩხილებით მოურიდებლად პოტნიდა. სტკიოდა ილიკოს დაპოტნილი იარები, ძალიან სტკიოდა და ტკივილი მხოლოდ ძილში უამდებოდა, მეორე დილით კი, უთენია იღვიძებდა და ძილში დაამებულ ტკივილს ისევ რომ არ გაეხსენებინა თავი, იპოდრომისკენ გარბოდა და საბოლოოდ, ის წინადღის ტკივილი, მხოლოდ ცხენზე შემჯდარს ავიწყდებოდა. სწორედ

ერთ ასეთ დილას გაიცნო ნატალი, ისე კი, სიმართლესთან უფრო ახლოა, კი არ გაიცნო, არამედ „პეტროპოლისმა“ გააცნო. ნატალი ლიტველი იყო, მამამისს ჩორთმავალი ცხენების განყოფილება ჰყავდა ჩამოყვანილი, ნატალიც ხანდახან მონაწილეობდა რბოლებში და როცა მის სარბოლო ეტლში „პიგმალიონი“ იყო შებმული, თითქმის ყოველთვის იმარჯვებდა. უცნაურად იქცეოდა იმ დილით „პეტროპოლისი“, ილიკოს არ უნდოდა მისი გამოყვანა სარბენ ბილიკზე, მაგრამ არაფრით არ დაემორჩილა ცხენი, ბილიკზე ძალით გამოვიდა და პირდაპირ „პიგმალიონისკენ“ გაემართა, რომელიც ნატალის რატომღაც ძალიან ადრე გამოეყვანა სავარჯიშოდ. „პეტროპოლისს“ არ უყვარდა სხვა ცხენის წინ გაშვება, ახლაც ასე მოიქცა, გადაასწრო „პიგმალიონს“, ოღონდ სულ მცირე მანძილით, და ასე, დაახლოებით ნახევარი კორპუსით წინ გასული, ამაყად, თამაშ-თამაშით მიმავალი, არ სცილდებოდა მას. „პიგმალიონმა“ ფეხი აურია, ეტყობა, არ სიამოვნებდა სხვა ცხენის სიახლოვე. ნატალი გაუწყრა, მაგრამ გაწყრომამ უფრო ააღელვა ცხენი და ჩორთიდან ჭენებაზე გადავიდა. ილიკოც გაუწყრა „პეტროპოლისს“, ხელიც წამოარტყა გავაზე, სხვა დროს, ხელის ოდნავ შეხებაზეც კი, ადგილს მოსწყდებოდა ცხენი, მაგრამ ახლა აინუნშიც არ ჩააგდო არც ხელის შეხება და არც ილიკოს გაბრაზება. ნატალიმ ცხენი შემოაბრუნა და ახლა საწინააღმდეგო მხარეს წაიყვანა, თანაც ილიკოს მწყრალად შეხედა, ილიკომ მხრები აიჩეჩა, რა ვქნა, ვერაფერს ვახერხებო, და იმის დასტურად, რომ ილიკო არაფერ შუაში იყო, „პეტროპოლისი“ საწინააღმდეგო მხარეს სწორედ იმ დროს შემობრუნდა, როცა ილიკო თავს იმართლებდა. ისევ გადაასწრო „პიგმალიონს“ მცირე მანძილით და კვლავ გამომწვევად ჩაუდგა წინ. ნატალიმ ისევ შემოაბრუნა ცხენი და უმალ „პეტროპოლისმაც“ იგივე მანევრი გაიმეორა. ბოლოს ქალმა ცხენი გააჩერა და დაბნეულ-გაბრაზებულ ილიკოს დანახვაზე სიცილი აუტყდა. „პეტროპოლისიც“ გაქვავდა ადგილზე და ილიკოსაც გაეცინა. მერე, როცა სიცილი შეწყვიტეს, უხერხული დუმილი ჩამოვარდა. — ასეთი ნაზი ქალი როგორ იმორჩილებ ცხენებსო? — ამ დუმილის დასარღვევად შეეკითხა ნატალის. — რა ვიცი, მიმეჩვივნენ, ჩემგან ძალას არ თხოულობენ, ოდნავი ნიშანიც კი საკმარისია და მემორჩილებიანო, — თავი დახარა ქალმა, გეგონებოდათ თავის ნათქვამის რცხვენიაო და ლოყები აუვარდისფრდა, — მე ხომ ბავშვობიდან სულ ცხენებთან ვარო... — და ეს ისე თქვა, რომ მიხვდა ილიკო, მარტო იყო ქალი, ლამაზი ქალი და ეს ოხერი სევდა მისთვისაც არ იყო უცხო ხილი. ასე შეხვდნენ ერთმანეთს და მოხდა ის, რაც მრავალჯერ მომხდარა ცხოვრებაში, როდესაც ორი ადამიანი უსიტყვოდ უგებს ერთმანეთს. ჰოდა, გაუგეს ერთმანეთს, გაუგეს და ერთმანეთის დახმარებით ცდილობდნენ ამოევსოთ ის სიმარტოვის უფსკრული, რომელშიც დროდადრო ორივენი იძირებოდნენ. ხშირად მოდიოდა ნატალი ილიკოსთან, დღისითაც, როდესაც ილიკო სახლში არ იყო, სახლს ულაგებდა, ურეცხავდა, ხანდახან საჭმელსაც უკეთებდა, მერე ფირფიტებს უსმენდა და ილიკოს ელოდებოდა. ერთხელ, ილიკო ისე შემოვიდა სახლში, რომ ნატალის არაფერი გაუგია, შოპენის ბალადებს უსმენდა, და გაოცდა ილიკო, ნატალის ცრემლებმა გააოცა — საიდან, საიდან ასეთი გრძნობა, საიდან? მან ხომ მთელი ცხოვრება მეჯინიბეებში და ჟოკეებში გაატარა!.. თუმცა.. თუმცა სისხლი მაინც თავისას აკეთებსო! — და გაახსენდა, რომ ნატალის ბებია პოლონელი ჰყავდა, გრაფის ასული, სურათი ჰქონდა ნანახი, ლამაზი ქალი, რომელიც საოცრად ჰგავდა ნატალის, ცხენზე იჯდა, ხოლო იქვე, მის გვერდით, სანადირო კოსტიუმში გამო-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

წყობილი მაღალი კაცი იდგა. — ძალიან ჰგავხარ ბებიასო, — უთხრა სურათის ნახვისას ილიკომ და ახლა სწორედ ეს სურათი გაახსენდა. ნატალი კი შორს იყო, ძალიან შორს. მუსიკას მინდობილს, ვინ იცის, ეგებ მასაც ბებია მოაგონდა, იქნებ სამშობლოს დიდი სიყვარულით შექმნილმა მუსიკამ აუფორიაქა სული, იქნებ მშობლიური მიწის სურნელი იგრძნო, იქნებ აუხდენელი ოცნებები გაახსენდა, ან თავისი პირველი სიყვარული, ან ბავშვობა, ბავშვობისდროინდელი ოცნებები, ბებიას რომ ჰბაძავდა, გრაფის ასულად რომ წარმოედგინა თავი, ან იქნებ დედა მოენატრა, ან უბრალოდ, თავზე ხელის გადასმა მოუნდა, ნაზად, ალერსიანად, ბავშვობაში რომ ეფერებოდნენ ისე და ფეხისწვერებზე შემდგარი ილიკო, ფრთხილად, ძალიან ფრთხილად მიუახლოვდა, ნაზად შეახო ხელი ჩამოშლილ თმაზე და როგორც ბავშვს, ისე მოეფერა. ნატალი არ განძრეულა, თითქოს ვერ იგრძნო ვერაფერი და მხოლოდ მაშინ გამოერკვა, მუსიკა რომ დამთავრდა, დაბრუნდა შორს წასული და უთხრა ილიკოს, არ დაუმალა — არყის ქალა მომენატრაო! — უსიტყვოდ მივიდა ილიკო თაროებთან, წიგნებში ი. ივაშკევიჩის „არყის ქალა" მოძებნა და წიგნი ქალს მიაწოდა. ნატალიმ დახედა წიგნის ყდაზე დახატულ არყის ქალას და სიხარულისაგან თვალები გაუბრწყინდა, წიგნი სასოებით ჩაიკრა გულში და... ისევ ისე ჩაიძირა თავის ფიქრებში, ჩაიძირა და წავიდა სახეტიალოდ, არყის ქალაში სახეტიალოდ. — აი, სოკო იპოვა ხის ძირას, თეთრი, ქათქათა სოკო, ჯერ ერთი, მერე მეორე, მესამე და გაავსო მთელი კალათა — ნატალი, ნატალი! — ეძახის დედა — შორს არ წახვიდე!.. დაიკარგები... დაიკარგები და მგელი შეგჭამს! — ღმერთო, ნუთუ მართლა შეჭამს მგელი?! ნუთუ მართლა?! — მამა, როგორია მგელი?.. — მამა კი ხატავს, ხელები საღებავებითა აქვს მოთხვრილი, არყის ქალას ხატავს — მამა, მართლა შემჭამს მგელი? — არ ეშვება. — მამა, რა ლამაზი არყის ქალაა, რა ლამაზი! ბოლოს მაინც გააქვს თავისი, მამა თავს ანებებს ხატვას და ხელში აჰყავს — თუ კიდევ შემიშლი ხელს, მაშინ შეგჭამს, აუცილებლად შეგჭამს! — მერე ნაკვერცხალზე სოკოებს წვავენ, რა გემრიელი სოკოებია, რა გემრიელი! და ბედნიერია სამივე, უხარიათ, რომ ერთად არიან, უხარიათ, რომ ასე გემრიელ სოკოს ჭამენ, რომ ასე ლამაზია არყის ქალა, რომ ასე კარგად ხატავს მამა, რომ... რომ...

უყურებდა ილიკო მოგონებებით გაბედნიერებულ ნატალის და ცდილობდა შეეღწია მის ფიქრებში, ცდილობდა... მერე?.. მერე?.. განა როდემდე გაგრძელდებოდა ასე?.. — მერე დედა ავად ხდება, ვერ შველიან, ვერაფრით ვერ შველიან და მამა უკანასკნელ სურათს ხატავს, ხატავს ნატალის, დედასთან ერთად, არყის ქალაში, დედას გულში ჰყავს ჩახუტებული ნატალი, იქვე, დაბლა კი, სოკოებით სავსე კალათა დგას... მერე მამა ფუნჯს მოისვრის, აღარ, აღარ შეუძლია მეტი!.. მერე სმას იწყებს... მერე ცხენები... მერე იწყება ხეტიალი... გაუთავებელი ხეტიალი... და ესმის ნატალის დედის ძახილი — შორს არ წახვიდე!.. შორს არ წახვიდე! მგელი შეგჭამს!.. მგელი შეგჭამს!..

ასეა? ნუთუ ასეა?.. — ფიქრობდა ილიკო და უკვე სულ სხვა თვალით უყურებდა, სულ სხვანაირად აღიქვამდა ნატალის, რომელიც ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინ მისთვის მხოლოდ ქალი იყო, კარგი ქალი და სხვა არაფერი, თურმე კი...

„არყის ქალა" აჩუქა ილიკომ, სამახსოვრო წარწერა გაუკეთა: „მუდამ გახსოვდეს მშობლიური არყის ქალა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და მეც არასოდეს დამივიწყო! თბილისი. იპოდრომი და ჩვენ." შუბლზე აკოცა ნატალიმ, უთქმელად გამოხატა თავისი მადლიერება, უხაროდა, რომ გაუგეს, რომ გაუშვეს არყის ჭალაში სახეტიალოდ და ტიტინებდა მთელი ღამე, იხსენებდა, ყვებოდა, ილიკოს თვალებში შესციცინებდა, გესმის, ილიკო, ხომ გაიგე, ხომ გამიგეო და ისევ ყვებოდა, იხსენებდა ყველაფერს თავის პირველი სიყვარულიც გაიხსენა, პირველი კოცნა... მერე დედა და დედის გახსენებაზე ისევ დაენამა თვალები, დედა!.. და ილიკოსაც უხაროდა რომ არსებობდა ადამიანი, რომელსაც ასე ძლიერ ენატრებოდა არყის ჭალა, ენატრებოდა და თავის გრძნობებს არ მალავდა, არა რცხვენოდა და არც თამაშობდა, ზოგიერთებივით არ თამაშობდა. — ყველაფერი სისულელეა, სისულელე! — ჩაესმა ყურში და შერცხვა ილიკოს, ნატალის შერცხვა, რომ მასთან მყოფსაც კი ისევ ის გაახსენდა...

ეჰ, მაინც ხშირად ფიქრობდა მასზე!.. ზღვისფერთვალება...

9

არა და არა, არ ავიწყდებოდა ილიკოს ის ღიმილი, გულში ჩატენილ-ჩაკუჭული ღიმილი, არ ავიწყდებოდა და ბრაზდებოდა თავის თავზე — არავის არასოდეს არ უნდა მიანიჭო ის თვისებები, რაც არ გააჩნია, კახპას კახპასავით უნდა მოექცეო! —მან კი, სიმართლეს თვალი აარიდა და საკუთარ წარმოსახვათა ტყვეობაში აღმოჩნდა, წარმოიდგინა და დაიჯერა, თავისივე შეთხზული დაიჯერა, ზღვისფერთვალება... სინამდვილეში?.. ეჰ, სინამდვილეში მხოლოდ სანაპიროს ბაღი იყო, მხოლოდ სანაპიროს ბაღი და სხვა არაფერი! და მაინც, მიუხედავად ყველაფრისა, ხანდახან, ადრინდელივით მძაფრი ხდებოდა მისი ნახვის სურვილი და ის თვალები, სექტემბრის ზღვასავით თბილი თვალები, ისევ ისე აკარგვინებდა განსჯის უნარს. ღმერთო, როგორ უნდოდა ამ დროს მასთან ყოფნა! რას არ მისცემდა, არაფერს დაიშურებდა, თვით სიცოცხლესაც, ოღონდ კიდევ ერთხელ დამტკბარიყო იმ სხეულის გამაბრუებელი სურნელებით, კიდევ ერთხელ განეცადა ის ნეტარი სიმსუბუქე, კიდევ ერთხელ!.. და ოცნებაში გადავარდნილი, გეგმებს აწყობდა, წყვდიადში ჩაფლულ უღრან ტყეში ბილიკს ეძებდა, მასთან დასაბრუნებელ ბილიკს, მაგრამ ბილიკის საპოვნელად აუცილებლად უნდა ერწმუნა, რომ ყველაფერი, რასაც ამბობდნენ და რაც მან თვითონ კარგად იცოდა, ტყუილი იყო, თორემ თუ ამას არ ირწმუნებდა, სულ სხვა მხარეს წავიდოდა და მერე, ალბათ, ქაჯსაც კი გაუჭირდებოდა მისი გამოყვანა იმ უღრანიდან. და რწმუნდებოდა, იჯერებდა, დროებით, მაგრამ მაინც იჯერებდა, ყველაფერი სხვებმა მოუგონეს, ცილი დასწამესო. უამრავ წვრილმანსაც იხსენებდა მის გასამართლებლად, შურის ბრალია, შურმა აიძულათო და უნდოდა, მართლა შურის ბრალი ყოფილიყო, მართლა მოგონილი ყოფილიყო, ძალიან უნდოდა!

რატომ, რატომ დავიჯერე სხვების ნათქვამი... არა, არა, შეუძლებელია! შეუძლებელი!.. როგორ, როგორ უნდა იფიქრო ცუდი იმ თვალებზეო?! — და ისევ ბრწყინავდა ჩამავალ მზის შუქზე ცრემლებით დანამული თვალები და ისევ უნდოდა დაეყვირა ილიკოს, ყველას გასაგონად დაეყვირა, მაშინდელივით — გინახავთ ვინმეს სადმე ასეთი რამ?! — და ცოცხლდებოდა ის თვალები, ისევ იძენდა ადრინდელ ძალას, თავის ღიმილსაც იშველიებდა, ყასაბის დანასავით ბასრს და ღიმილმომარჯვებული უფრო ადვილად, უფრო თამამად მიიკვლევდა გზას. —მე არა ვარ დამნაშავე, შენც კარგად იცი, არა ვარ, დამიჯერე, დამიჯერეო! — თავს იმართლებდა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

უღიმოდა, იმ ღიმილით უღიმოდა, ადრინდელით, ილიკო კი, ვერ აგდებდა, ვერ ეუბნებოდა, მომშორდიო, თუმცა იცოდა, მაცდური იყო ის ღიმილი, კარგად იცოდა, მაგრამ ვერაფერს ახერხებდა, უჯერებდა, მაინც უჯერებდა და ყველაფერს თვითონ იბრალებდა — მე, მე არ გამაჩნია, ალბათ, სიყვარულის უნარი, ალბათ, დაწყევლილი ვარ, რომ ასე ვიყო, არავინ მიყვარდეს ნამდვილი სიყვარულით, თორემ, როგორ? რანაირად? სხვებს როგორ დავუჯერებდიო? — და ნატრობდა, ნეტა დე გრიე ვიყო, ნეტა შემეძლოს ისეთივე სიყვარულიო, ნატრობდა და ივიწყებდა სინამდვილეს, უარყოფდა სიმართლეს, რაღაც წამებით უარყოფდა და იმ წამებში, დე გრიედ გრძნობდა თავს, მხოლოდ იმ წამებში, რადგან სიმართლე, მაინც იმათ მხარეზე იყო, რაღაც-რაღაცებს რომ ამბობდნენ, თანაც სასტიკი იყო, დაუნდობელი და ის წამები რომ გადიოდა, ნიღაბსა ხდიდა იმ მაცდურ თვალებს და ილიკოს გონებაში მის ადგილს უმალ იკავებდა შალიკაძის თვითკმაყოფილი, ყეყეჩი სახე, რის მანონი და რის დე გრიე! ყველაფერი სინამდვილის ულმობელ კანონს ემორჩილებოდა, კახპა კახპად რჩებოდა ისევ! — იმასთან, იმ ყეყეჩთან როგორ წავიდაო! — და კინწისკვრით აგდებდა, იცილებდა, ივიწყებდა იმ ზღვისფერი თვალების ღიმილს. და ის თვალებიც, მსწრაფლ კარგავდა იმ თავის ზღვისფერს, ემსგავსებოდა კატის თვალებს, თაგვის მომლოდინე კატის ჭრელ თვალებს და კუდამოძუებული მიიძურწებოდა, ერთ დროს თავის უძლეველობაში დარწმუნებული და თითქოს ილიკოს გულში მუდმივად ჩატენილ-ჩაკუჭული. მერე კი, დრო რომ გადიოდა, ყველაფერი მეორდებოდა, ისევ ბრუნდებოდა გაძევებული, ისევ ახერხებდა ილიკოს ფიქრებში შეჭრას და ისევ აძევებდა ილიკო, ისევ ეხმარებოდა შალიკაძის ყეყეჩი სახე.

და კიდევ მერე, ისევ მეორდებოდა ყველაფერი, მართალია, უფრო და უფრო იშვიათად, მაგრამ მაინც მეორდებოდა. რა იყო ეს? რისი ბრალი იყო? სიყვარულის? ან იქნებ?.. ან იქნებ სულ სხვა რამე აცოცხლებდა ათასგზის დაწყევლილსა და ათასგზის გაძევებულ იმ ღიმილს? იქნებ?! ბევრი რამ ხდება, ჰორაციო...

დრო კი, მიდიოდა!..

ეჰ, მართლაც რომ ბევრი რამ ხდებოდა ამქვეყნად!.. და ეს ბევრი რამ, მძლეთა მძლე გოლიათის მიერ გაპობილი ხის კუნძის ნაფოტებივით იყო მიმოფანტული, მთლიანი დანაწევრებული იყო და ეძებდა ილიკო მიმოფანტულს, მისხალ-მისხალ აგროვებდა, მოგროვებულ ნატეხებს ერთმანეთს უსადაგებდა, აწებებდა, ისევ უნდა გაემთელებინა დანაწევრებული და თითქმის უკვე გამთელებულს, საბოლოოდ მაინც ვერ ამთელებდა, ყველაფერი ისევ იშლებოდა, იფანტებოდა, რადგან შემაკავშირებელი რგოლი აკლდა, მთავარი რგოლი, ჯაჭვიდან ამოვარდნილი, ოდესღაც დაკარგული, ან, ვინ იცის, იქნებ მოპარული, შეუმჩნევლად მოპარული, ან წართმეული, ძალით წართმეული, ხელიდან გამოგლეჯილი და ამ რგოლის ძებნას აზრი არ ჰქონდა, ვერ მიაგნებდა ვერ იპოვნიდა და გინდაც რომ მიეგნო, მერე რა, ცხრაკლიტურში გამოკეტილს როგორ დაიბრუნებდა? წიქარა იყო თუ რა? ან წიქარაც რომ ყოფილიყო და ცხრავე კარი რომ შეელეწა, განა იმ ცხრა კარის ფხიზლად მოდარაჯეებთან რამეს გახდებოდა?! მიხვდა ამას და სიზიფის რომ არ დამსგავსებოდა, გადაწყვიტა, თვითონვე მოექსოვა სანაცვლო — აბრეშუმის ნაზი ძაფით ნაქსოვით უნდა შეეცვალა ჯაჭვიდან ამოგლეჯილი რგოლი და ილიკოც ქსოვდა მოთმინებით, ფრთხილად ნასკვავდა დაწყვეტილ ძაფებს, გამძლე უნდა ყოფილიყო შემცვლელი რგოლი, უნდა გაეძლო სიმძიმისთვის, დროებით მაინც უნდა გაეძლო და, თქვენ წარმოიდგინეთ, უძლებდა, რა-

დგან ილიკო მარტო არ იყო, მასთან იყო ნატალი და „პეტროპოლისი“, კიდევ ბევრი სხვა, ვისაც მასავით დაკარგვოდა მთავარი რგოლი და კიდევ, მასთან იყო ყორყის სიკეთე და კიდევ, რაც მთავარია, ის, დიდი ტანჯული, მისი სიტყვა, მისი გაძლება და ამ მხარდაჭერით ფრთაშესხმული ილიკო, საოცარი იყო, მაგრამ მიწაზე დააბიჯებდა, ფრთები ესხა და მიწაზე დააბიჯებდა! თითქოს ხელმეორედ სწავლობდა სიარულს, უარყოფდა, თამამად უარყოფდა ბევრ რამეს, შორდებოდა ადრინდელს და მიიწევდა წინ, თუმცა არ იცოდა, წინ რა ელოდა, არც უნდოდა წინასწარ სცოდნოდა — გრძნობდა, რომ სანამ ის რგოლი, შემცვლელი რგოლი, არ გაწყდებოდა, გაუძლებდა, ასე ივლიდა და მერე, მერე, ვინ იცის, საით დაუბერავდა ქარი, საით გასტყორცნიდა ბედისწერა, მანამდე კი...

მანამდე კი, ყველაფერი ისე საოცრად მარტივი ეჩვენებოდა, ისე საოცრად უბრალო, რომ უკვირდა ილიკოს, სად ვიყავი აქამდე, რატომ ვერ ვხედავდი, რაში მჭირდებოდა ამ რთულ ლაბირინთებში ხეტიალი? ხომ დღესავით ნათელია, რომ ფუჭ ოცნებათა ღრუბლებში ფრენა ვერაფერს მოგცემს, ზღვისფერთვალება!.. რა საჭიროაო?.. არა სჯობია, უბრალოდ გიყვარდეს, ჩვეულებრივი ქალი, იქნებ არც თუ ისე ლამაზი, მაგრამ შენთვის საოცრად კარგი, რომელსაც ეყვარები, მოგივლის, შვილებს გაგიჩენს, შენც გეყვარება, შენც მოუვლი და როდესაც არყის ჭალა მოენატრება, გაუშვებ იქ სახეტიალოდ, შენც წაჰყვები, ერთად აავსებთ კალათს, თეთრი ქათქათა ქამა სოკოთი.. სჯობია, სჯობიაო! და კმაყოფილი იყო ილიკო იმით, რაც გააჩნდა, აღარ ეპოტინებოდა აუხდენელს, აღარაფერს ელოდა და მშვიდად ისუნთქავდა მისთვის განკუთვნილ ჰაერს, ახლა თავისუფალი იყო და უხაროდა, ახლებურად სულ სხვა, წყნარი სიხარულით უხაროდა და მართლაც, განა რამე შეედრებოდა, ალიონზე, იმ დღეს ჯერ ფეხდაუკარებელი მიწის სუნთქვის მოსმენას და ამ მიწაზე „პეტროპოლისის“ ჭენებას?!. იმუხტებოდა ილიკო მიწიდან მიღებული ენერგიით, იმუხტებოდა ცხენიც და მიჰქროდნენ თავდავიწყებას მიცემულები, მიჰქროდნენ და ამ ქროლვაში პოულობდნენ სიამეს, სულ სხვა სიამეს, რადგან არავის ეჯიბრებოდნენ და არ ხიბლავდათ სხვისი მარცხით გამოწვეული სიხარული. მიეჩვია ილიკო ცხენის ჭენებას, გამოცდილ ჟოკეივით იჯდა ცხენზე და ესეც ახარებდა, ოღონდ ახლა, მხოლოდ მასში არსებობდა ეს, თავის სიმარჯვით გამოწვეული სიხარული, ადრე კი, ადრე, ალბათ, აუცილებლად მოუნდებოდა სხვასაც დაენახა, თუ რა კოხტად იჯდა ცხენზე, ეგ კი არა, ზოგჯერ, ხომ მხოლოდ იმაზე ფიქრობდა, როგორ მოეწონებინა სხვებისთვის თავი, ალბათ, ეს იყო მიზეზი, რომ ხანდახან თავისი საქციელებისა რცხვენოდა და უკვირდა, როგორ ჩავიდინე ასეთი რამო. ნუთუ არასრულფასოვნების კომპლექსის გამო იქცეოდა ასე? ნუთუ ამ გზით ებრძოდა ამას? სინამდვილეში კი, ეჰ, სულ სხვა რამე ყოფილა საჭირო, სულ სხვა რამე!

ღმერთო, რამდენი ყალბი სიხარული გვიზიდავს, რამდენი?! და ისე ვამთავრებთ ამ ოხერ სიცოცხლეს, რომ ერთხელაც კი ვერ ვიგემებთ ნამდვილ სიხარულს, რაღაცა გვინდა, რაღაც გვგონია, თავს ვიტყუებთ, სხვასაც ვატყუებთ, თავს ძალას ვატანთ და გვინდა, გვინდა, ვითომ დიდის შექმნა გვინდა და არ ვიცით, ვერ ვხვდებით, რომ ნაძალადევად არაფერი გამოვა, არც არასოდეს გამოსულა და თუ მართლა გაქვს უნარი შექმნა ღირსეული რამ, თუ მართლა არის შენში რაღაც დიადი, ის დიადი თავისით ამოხეთქავს, აუცილებლად ამოხეთქავს და ამოჰყვება მას შენი სული, სისხლისაგან დაიწრიტები, აღარაფერი დაგრჩება, არც ერთი წვეთი და მაშინ, მხოლოდ მა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შინ. დიდი ტკივილის გასაბრუებლად დაიკივლებ — „მას გახელილი დარჩა თვალები...“! მაგრამ, მაღალო ღმერთო! ეს რომ შეძლო, მიწიდან ამოტყორცნილი მთა უნდა იყო, დიდი, მაღალი, მიუწვდომელი, ჯომოლუნგმაზე უფრო მაღალი! მაშ, რატომ ხდება, რომ ზოგჯერ ისინი, ვინც ბორცვამდეც ვერ მაღლდებიან, წვეთ სისხლსაც კი არ იმეტებენ და ისე უნდათ, ტკივილის გარეშე უნდათ მიიღონ ის, რაც არ ეკუთვნით და ფოფხავენ, ბობღავენ, ენით ლოკავენ თავიანთ ნაფურთხს, არაფერს არ ერიდებიან, ოღონდ მიიღონ, ოღონდ აიღონ, მიისაკუთრონ, სხვას წაართვან, ფეხის წვერებზე იწევიან, სხვაზე მაღლები რომ გამოჩნდნენ, ჯანდაბას ყველა! თვითონ, თვითონ, მხოლოდ თვითონ!.. ო, ეს სიყალბე, ყველაფრის ამტანი სიყალბე! — მეც ხომ ამ სიყალბის მორევში ვიყავი ჩაძირული, მე ხომ შემთხვევითა ვარ გამორიყული, მე ხომ წიხლი მკრეს, არ მიმიღეს, მხოლოდ იმიტომ არ მიმიღეს, რომ ნამეტანი ფოფხვა-ბობღვა არ მინდოდა, თორემ თავის დაკვრით ხომ ვეთანხმებოდი და ჩემი სიჩუმითაც ხომ ვუჩოქებდი, იქნებ ჩემი გალიზიანების მიზეზი მხოლოდ ის იყო, ისინი თავიანთ რიგებში რომ არ მიღებდნენ, იქნებ ისევ ველი მოწყალებას, იქნებ ისევ მინდა მათთან ყოფნა, მე კი სულ სხვა რამე მგონია! — და ამის გაფიქრებაზე შიშის ჟრუანტელი უვლიდა ილიკოს, რადგან ბოლომდე კიდევ არა სჯეროდა, ნუთუ გადავრჩი, ნუთუ თავი დავაღწიეო!

რატომ?

ეჰ?!. ეგებ თავის თავის იმედი არა ჰქონდა? ვინ იცის? — ეგებ! ან?.. და შეუმჩნევლად მისდევდა დღეებს დღეები.

დასასრული შემდეგ ნომერში

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ვახტანგ ხარჩილავა

* * *

მშვენიერია დრო კერპთა მსხვრევის,
მშვენიერია მუსიკა ნგრევის.
ბზარი აჰყვება სამყაროს სხეულს,
ბზარში შიშველი შიშინებს ნერვი.

მშვენიერია მშფოთვარე კაცი,
მშვენიერია ეს განრისხება.
მოაფრიალებს გრიგალში ხანძარს,
რომ შელახული იხსნას ღირსება.

გაცთუნებს „ჰოს“ და „არას“ შუამყოფს
შენ მორჩილების ტკბილი ნაყოფი,
მშვენიერდები, როცა უარყოფ,
რა დიადია დრო უარყოფის.

„არა!“ — იგივე დასტური ახლის,
უუმტკიცესი ფუძე და ძირი,
რაღაც დიადის და რაღაც მაღლის,
უბიწო ქვეყნის, ნორჩის და ჩვილის.

მშვენიერია დრო გზათა ძველთა
დათმობის, როცა მშვიდი და სუფთა
ჩაგესმის ახლოს, სულ ახლოს, გვერდით,
ახალშობილი სამყაროს სუნთქვა.

* * *

მე დაგამარცხე სიყვარულით,
სიყვარულის გალიაში ჩაგსვი და
ტყვედ წამოგიყვანე.
მე დაგამარცხე სიყვარულით
და შენს გალავანს,
სიძულვილის ქვა-ღორღით ნაშენებს,
სიძულვილის დუღაბით შეკრულს,
ბზარი გაუჩნდა და ჩამოინგრა.
მე დაგამარცხე სიყვარულით
და მოთმინებით,
რადგან ვიცოდი, რომ არსებობს წამი,
როდესაც
მტერიც კი უყვართ!
აი, იმ წამს უნდა მიუსწრო,
იმ წამს უნდა დაუდარაჯდე,
როგორც უეცრად გაღებულ კარებს,
რომ მოასწრო და შიგ შეხვიდე,
სანამ კარებს კვლავ ჩაგმანავდნენ.

მე დაგამარცხე სიყვარულით,
სხვა ლაშქარი მე არ მყოლია.

* * *

ისე მშვიდად და ისე უბრალოდ
დამთავრდა დღე და ღამეც მოვიდა,
რომ ვერც გავიგე,
თითქოს უფალმა
წამით დაგვხედა ცის სიშორიდან
და კვლავ ჩასთვლიმა.
ბოლოს თანდათან
ირგვლივ მწუხარე ბინდმა იძალა.
იცოცხლა ამ დღემ,
მერე ჩათავდა,
მაგრამ ამქვეყნად რა შეიცვალა?
კვლავ ის წვიმა ცრის,
ის ქარაშოტი,
კვლავ იმას ვნაღვლობ, რასაც
ვნაღვლობდი.
დრო მიდის, მაგრამ მე რას დავშორდი,
დრო მოდის, მე რას მივუახლოვდი?

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

„— მე არა ვარ ხალხის საყვარელი
პოეტი,
მე ვერ დავწერ ყველასათვის,
ვერც ყველასთვის ვიცოცხლებ
და ვერც ყველასთვის მოვკვდები.

მე არა ვარ ხალხის საყვარელი პოეტი,
ჩემი სიმღერა ორი ჩონგურისთვისაა
დაწერილი,
ორი გულისთვის და
ორი მდინარისთვის.

მე არა ვარ ხალხის საყვარელი პოეტი,
ჩემი რიტმები
დაფდაფების რიტმს ვერ შეერწყმის
და მოედნებზე ვერ იგუგუნებს.

მე არა ვარ ხალხის საყვარელი პოეტი,
ამ ჩემს სტრიქონებს
ტაშსა და ტაშს შუა ვერ ჩააფენ,
ვით ბურბუშელას,
ვერც დროშასავით წაიმძღვარებ,
ვერც ხმლად იშიშვლებ,
მოყვარეს იმით ვერ დალოცავ,
მტერს იმითი ველარ დასწყევლი.

მე არა ვარ ხალხის საყვარელი პოეტი,
არც პოეზიაა საყოველთაო რწმენა,
ის ორის შეთქმულებაა:
სანთლებით ნახევრად განათებულ
საყდარში
ორი მლოცველი ილოცება,
მესამე კი კარზე აკაკუნებს.

მე არა ვარ ხალხის საყვარელი პოეტი,
მე სიზმრების ამხსნელი ვარ:
ორს რაც ცალ-ცალკე ესიზმრება,
ერთად უნდა ვნახო
და ორივეს ერთად მოვუყვე.

მე არა ვარ ხალხის საყვარელი პოეტი
და არც ხალხია ქვეყნის მთელი
მოსახლეობა!“
— ასე მითხრა ჩემმა მეგობარმა
და ხალხის ტალღას შეერია.
მიდიოდა თავდახრილი, უცხო, უცნობი
და მისი შავი ხალათი
ჭრელ მორევში დატრიალებული
ფოთოლივით
თანდათან პატარავდებოდა და
უჩინარდებოდა...

* * *

ჩემო მფარველო, ჩემო მტანჯავო,
ისევ ცრუობს და ტყუის სოფელი.
მკაცრი იქნება ბოლოს სამსჯავრო,
მკაცრი, სასტიკი და ულმობელი.

მე ადრე წავალ და იქ დაგიცდი,
სადაც სიწყნარე და სიმშვიდეა.
შეუნდე იმათ, ვინც გზა არ იცის
და არ უწყიან საით მიდიან...

* * *

არა ხარ, მაგრამ მერე რა მოხდა,
დიდი ამბავი თუ კი არა ხარ,
აი, ახლავე გამოგიგონებ
რომ ყველამ შესძლოს შენი დანახვა.

აი, ახლავე შეგთხზავ და შეგქმნი,
გაჩუქებ თვალებს, რომ დაინახო,
ხელებსაც მოგცემ, რომ მოეფერო
და ხმასაც მოგცემ, რომ დაიძახო,
სმენასაც მოგცემ, რომ გაიგონო.

ცოტაც მაცალე, აი, ახლავე,
ახლავე მოგქსოვ შუქით უხრწნელით.
დაბერდებიან სხვები თანდათან,
შენ კი დარჩები მარად უცვლელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე შენ გაცხოვრებ დროის გარეშე,
განცვიფრდებიან, როცა გნახავენ
და გაახუნებს შენი მშვენება
სხვა საუკუნის მზეთუნახავებს.

გაჩუქებ თვალებს, რომ დაინახო,
ხელებსაც მოგცემ, რომ მოეფერო

და ხმასაც მოგცემ, რომ დაიძახო,
სმენასაც მოგცემ, რომ გაიგონო

და შენ იქნები ყველასთვის, მაგრამ
მე ერთს ვერ მნახავ და ვერ მიხილავ,
რადგან მე შეგქმენ და როგორც ღმერთი
მუდამ უცნობი დავრჩები შენთვის...

* * *

ისე ვიცხოვრე, როგორც უგნურმა,
ისე ვიცხოვრე, როგორც შეშლილმა,
მივდივარ, მაგრამ მე შენს გუგუნში,
შენს სინათლეში და შენს მზეში ვარ.

შენში ვარ, შენში დავრჩი და გავდნი
და არაფერი არ შემრჩა თვითონ.
მე ლანდად ვიქეც და განა ლანდის
მხრებს ძალუძთ კაცის ტვირთი რომ
ზიდოს?

ვინ ვიყავ? — მწირი, მღილი და მკილი,
მკვდარი ქარი და უსიტყვო ბორგვა.
მე შენი ბნელი საშოდან ვკივი,
რომ ვერ დამბადე და ისე მომკალ.

ვინ ვიყავ? ვინ ვარ? — ათასთა მსგავსი,
დამარცხებული და დაჯაბნილი.
იცით რა მრჩება? — უნიჭო ფარსი —
ქაღალდი, სისხლით გადაჯღაბნილი...

## პესიმისტური ლექსი

შორს დგას, მაგრამ ახლოს ხედავს
სოფლის გნიასს კაცი ბრძენი.
წარსულიდან უჭვრეტს მყოფადს,
თვალზე უბრჭყვიალებს ცრემლი.

ბედმა ვალად დააკისრა
ცრემლი ცრემლზე ასაკინძად.
დედამიწის ხნისა არის,
მთლად სამყაროს ასაკისა.

კარგად იცის: ქვეყანაზე
არაფერი არ იცვლება.

ამაოა ჩათვლემილი
კაცთა მოდგმის გაღვიძება.

რაც სიმართლედ გეჩვენება,
ძველისძველი სიზმრებია.
არაფერი არ იცვლება,
მხოლოდ დრონი იცვლებიან.

შორს იდგეს და ახლოს ჭვრეტდეს
სოფლის გნიასს კაცი ბრძენი.
იჯდეს ბნელში და მორჩილად
საკუთარი წუროს ცრემლი.

* * *

არჩილ ფირცხალავას ხსოვნას

ეს სნეულება მე არ გამივლის,
გარეთ, წვიმაში გამდგით ახლავე.
მოვა, ამლოკავს ქარი ნამივით,
დილით ცარიელ საწოლს ნახავენ.

ეს ღამე იყო ჩემი საცოლე,
მან მიმკურნალა ცრემლით და დარდით.
გამოიტანეთ ჩქარა საწოლი
და ამ ნაცრისფერ მთვარისქვეშ
დამდგით.

აქ, გარეთ დამდგით, სამყაროს თვალწინ,
თავს მედგას მთვარის მიმცხრალი მზერა.
ეს სარეცელი თითქოს ვარცლია
და შიგ სნეული წყალივით ვწევარ.

და მაჭანჭყარებს, მანჯღრევს დრო-ჟამი,
გარშემო შავი ქარი გუგუნებს.
ამან მომწამლა, ამან მომშხამა —
უგუნურების ამ საუკუნემ.

დამდგით ხეთა და ბალახთა გვერდით,
აქ, გაჩენიდან სადაც ვესახლე,
სადაც ჩემს ბოლო სტრიქონებს ვწერდი
სიყვარულის და ღამის შესახებ.

ჩემი კუთვნილი ცრემლების გარდა
მე არაფერი არ მინდა სხვისი.
მგზავრი ვიყავი და გზაზე დამდგით,
სად წამიყვანოს გზამ თვითონ იცის...

* * *

„ხალხი და მხოლოდ ხალხი..."
გალაკტიონი

როცა ეგონათ გადაივიწყა,
რაც ტკივილი და ტანჯვა იწვნია,
მაშინ თქვა სწორედ: — მე არაფერი,
მე არაფერი არ დამვიწყნია!

როცა ეგონათ, დაჩაჩანაკდა,
დაუძლურდა და უკვე იძლია,
მაშინ შესძახა: — მე არაფერი,
მე არაფერი არ დამვიწყნია!

მაღალ დროშებს რომ ასდით ალმურად
უანკარესი მისი სისხლია.
— ნუ გეშინია, ჩემო მამულო,
მე არაფერი არ დამვიწყნია!

არ შეიძლება გახდეს ბეჩავი,
ვინც ისტორიის მეკვლედ გვიცვნია.
— თქვენ არაფერი არ შეგეშალოთ,
მე არაფერი არ დამვიწყნია!

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ჯანო ჯანელიძე

* * *

ჩასახლებულა ლოდინი შენში,
დედის უბეში, როგორც ნაყოფი,
მარგალიტებით სავსე გაქვს პეშვი
და გასაფრენად სივრცე არ მყოფნის,

სავსე ღვთისმშობლის კრძალვით და ეშხით
მიჰყვები ბილიკს, ჩუმი, ვით ნისლი
და გატოტვილი ტოტივით მკერდში
შენი კოლხური იმღერის სისხლი.

შენ შემიფარე კალთით ცისფერით,
დედაო ღვთისავ, წმინდავ მარიამ,
რამეთუ მე შენ ისე გისმენდი,
როგორც თიბათვის მთვარე ქარ-ნიავს.

გისმენდი და თვით ჩემივე ცრემლით
გალუმპულია სიზმრები ლურჯი,
ცრემლით და სისხლით სტრიქონებს ვწერდი
და სისხლს და ცრემლებს ვერ გადავურჩი.

და ვარ მწუხარი და მოკამკამე,
ვით ბეთანია გალობის ხმებით,
საკუთარ მხრებით ცის თაღს ვიკავებ
და ვინც მიყვარდა, მას ვეთხოვები.

### დიდების ნაცვლად

ვინ თქვა, თითქოს ყველა ბრძოლა მაქვს წაგებული?!..
ისევამც ჯანყობს მგოსნის სისხლი, სისხლი ბებრული.

მიწავ მშობელო, უცხო ქუსლით კვლავ იბეკნები,
გვირგვინის ნაცვლად ისევ, ისევ მწარე ეკლები.

უკაცურ კაცთა კვლავ დაცინვას და ქილიკს ვისმენ,
ხმალი ვადაში გადამტყდარი ისევ და ისევ.

ისევ დუელი, ისევ ღალატი და ისევ ჯვარცმა,
საფლავი ისევ დაკარგული დიდების ნაცვლად.

* * *

სახელით სახელითა, ძითა, მამითა,
ღმერთო, დაიცავ თვალთაგან ბოროტთაგან,
თუკი გადარჩეს, ის სახელს გაითქვამს,
თუ არა, მსხვერპლად დაედოს მართალს.

წმინდაო მარიამ, შენ იცი უკეთ,
ო, თვალთა შენთა მოჰფინე სხივი,
ნათელი გზათა შენ გაუშუქე
ჭეშმარიტების წამიერ ხილვით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ვიღაც მესამე

მივალ, მომყვება იგი მდუმარედ,
ვერ იქნა, გვერდი ვერ ავუარე,

ვერ განვერიდე მე მის ბილიკებს,
მომყვება, მომდევს და მაქილიკებს.

რაღას ქილიკებს, რა უნდა ნეტავ,
რად აღმართულა წამების სვეტად?!

წადი, შენს კუთვნილს გაჰყევ
ბილიკებს,
ვიღაც მესამე შენც გაქილიკებს.

* * *

წმინდა ღვთისმშობლის ნისლოვანებით
ცისკენ მიაპყრო მზერა,
ო, ბედნიერი ოდეს თვალები
ახლა რას შესთხოვს ზენას?!.

გადარაზული სახლის კარები
აღარ მოელის წასულს,
ო, მაცქერალი ცისკენ თვალები
რაზე ლოცულობს, რა სურს?!.

## შეგილოცავენ შემდეგ ნათვალევს

აქეთ — ცხადი და იქეთ — სიზმარი,
რასაც ვნატრობდი, სწორედ ის არის!..

სწორედ ის არის, ის არის, ისა,
უკანასკნელად ის დამცემს ისარს!..

ის დამცემს ისარს და გამათავებს
და დასასრული შეცვლის სათავეს.

შეგილოცავენ შემდეგ ნათვალევს
და ეს სიზმარი ცხადად ჩათვალეთ.

## ...და იქვე დასასრული

ლერწმით არა,
თასმით არა
და არც სასმელ-სასმურით,
სევდიანო ჩემო თვალავ,
შენით ვარ გათასმული.

ტყეთა არა,
კლდეთა არა,
შენ ხარ სიზმრის ასული,
განთიადზე ჩუმად, წყნარად
ზეცისაკენ წასული.

მდინარისპირ შენ ხარ ნისლი,
როგორც ამბობს რამსული,
ჩემი ყოფნის დასაწყისი
და იქვე დასასრული.

დამაწყვილე შენს ღამესთან,
გამკარ ფრთა მონიავე,
მაზიარე შენს ბაგეთა
ცხელ და ღია იარებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ბილიკი ხვალის

დ. დ-ს.

უკვე წასულა ის დრო, ის ხანი,
თოლიები რომ ფრენდნენ გუნდებად,
თოვლს დაუნისლავს მწვერვალი
ხვალის,
ვით სიძულვილის გამობრწყინება.

ნუ შეგაშფოთებს სევდის ტაძარში
პოეტის სული მოხეტიალე
და დავიწყების წიგნს რომ გადაშლი,
ის დაგიშუშებს წყლულს და იარებს.

და სიყვარულის ლამაზ იგავებს
ისევ აანთებს ალი ალმურის,
მაგრამ არასდროს აწ არ იგალობს
ბაგედამსკდარი ის სალამური.

მაინც მადლი ჰქენ და გაიხსენე
ის მშვენიერი დღეთა რბოლები,
ჩაფიქრებით რომ ვსერავდით სერებს
და ცას გავცქერდით ამაოებით.

თეთრ კლავიშებზე ვხედავ მაგ თითებს
და ცა ცისფერი სარკმელს ასკდება,
გული ამომჭრეს,
გული დაფლითეს
და ახლა კვნესის უკანასკნელად.

და შენც შემინდე ჩემი ცოდვებით,
ჩემი სისუსტით და კაპრიზებით,
გწამდეს, ჩვენ ისევ განვმეორდებით
იმ სევდიანი ერთი წლის გზებით.

უკვე წასულა ის დრო, ის ხანი,
თოლიები რომ ფრენდნენ წყვილებად,
არავის ახსოვს ბილიკი ხვალის,
ზეგ სისხლისფრად რომ
გამობრწყინდება.

## მარათონი

(აღმოსავლურ მოტივებზე)

სულ ამაოა ამა ქვეყნად ღვინოც, ქალებიც,
სევდას გულისას რითაც ვკლავდი და ვიქარვებდი.

სულ ამაოა, ამაოა დარდიც, ნაღველიც,
რითაც წამიერ ხან ვეცემი და თან ვმაღლდები.

ბევრი დიდების და ზეიმის მე ვარ მნახველი,
უცბად რომ დაჭკნა, გაფერმკრთალდა, როგორც ძახველი.

მეფეთ ცხოვრებას მე ნელ-ნელ ვფურცლავ, ვკითხულობ,
ზოგი ბრძანებლობს, ზოგი წყრება, ზოგი დიდგულობს.

ზოგი დაეცა, ზოგი აღსდგა გზის გამართლებად, —
ყველაფერს ამას სჯობს მაგ თვალთა ერთი ნათება.

დაღდასმულია ყველაფერი წამის იერით,
რა ბედენაა მეფე ყრმა თუ მეფე ხნიერი?!.

და მაინც ვიბრძვით, მაინც ვწვალობთ, მაინც ვკამათობთ,
შეჭიდებულნი წუთისოფლის გზას და მარათონს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ცისკრის ფურცელი

მეც მელოდება ალბათ ხვალისთვის
დასალიერი ბედის მისნობის
და გაცრეცილი, როგორც დაისი,
შრიალებს შენი კაბა-ქისონი.

სად არის ელვა თეთრი მკლავების
და ყრუანტელის დაფენა ცეცხლად?!.
მე მირჩევნია გზას უკვდავების,
შენს მცივან ზეცას შემოვრჩე
მერცხლად.

ქარს ცისკენ მიაქვს ცისკრის ფურცელი
და სადც არის, კიდევ იელვებს
და წარსულს ისევ სევდით ვუცქერი,
როგორც საფლავის სიცარიელეს.

* * *

რამდენს ვმღეროდი ქალზე, ეთერზე,
რამდენჯერ შევძარ ცა და მიწანი,
თურმე რამდენჯერ შემომეფეთე
და ერთხელაც კი ვერ შეგიცანი.

წვიმა მეგონა, ვკოცნიდი შენს თმებს,
თოვლი მეგონა, თურმე შენ დნები,
მე უბედური ვტიროდი ბედზე
და ვერ შევაღე კარი ედემის.

კიდევ გამიხსნის ბევრჯერ იარებს
მტვერი საფლავის,
მტვერი მაგიდის,
როგორც უეცრად გაიშრიალე,
როგორ უეცრად გამინაპირდი.

სუყველაფერი ჟამმა გალალა,
ყრმობის დამჭკნარა დეკა და ღვია,
ია-იების მოვა ამალა
და შენს საფლავზე ცრემლებს
დაღვრიან.

## ხარ ბედნიერი

შენ ერთი წმინდა სამების ტაძარს,
ვით უსახელო ლოდი და ღორღი
და მოთმინებით იმ გმირებს ბაძავ,
იქვე რომ სძინავთ ბრძოლებით
მოღლილთ.

და როგორ გინდა, წვიმა და ქარი
შენც ფრესკასავით გწერდეს და
გშლიდეს,
შენც დედასავით ცრემლით ფიქალით
დასტირი გზებზე დაცემულ შვილებს.

და დაქანცული ღმერთს ისევ ვედრი,
ვიდოდე გზებით მწირით, მეფურით
და ბოლოს კენჭის მოგელის ბედი,
სადღაც რომ გდია მივიწყებული.

ჯერ კი ნათელი სამების გნათლავს
ოდნავ მღიმარი ღმერთის იერით
და მრავალს, მრავალს აკვირვებს
ალბათ,
რომ უსახელოდ ხარ ბედნიერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# იმედი ჯახუა

* * *

პურმა ჩემმა ვერ იპურა,
ვერც ზედაშემ იზედაშა,
გულმა ჩემმა ვერ იგულა,
წყაროც ჩემი ისე დაშრა...

მწყურვალი ვერ დავარწყულე,
მშიერი ვერ დავაპურე,
სისხლი ღარში გადავწურე,
დოლაბი ვერ დავაბრუნე...

ვაი, ჩემო დედას პურო,
ვაი, ცრემლო მზისფერ მტევნის!..
გამეტებულს საერთგულოდ
ორგულობა ისევ მდევნის...

ვაი, ულვთოდ ჭანგგაკრულო
გულო, ყორნის სათრეველო!
ვაი, გზაკვალდაკარგულო
ჩემო სანთელ-საკმეველო!

* * *

ამ გზათა მიღმა
უსასრულო გზები ფეთქავენ...
ჩვენი ჯერია,
ჩვენც დავტოვებთ მალე ერთმანეთს...

ამ გზათა მიღმა
სივრცეები უკვე გველიან...
ვტოვებთ ერთმანეთს,
რადგან უკვე ჩვენი ჯერია...

ამ ცათა მიღმა
იდუმალი მხარე მდუმარებს
და მოლოდინი იდუმალის
გამაოგნები...

ჩვენი ჯერია,
რადგან ბოლოს ყველა სტუმარი
მოხარულია
შინისაკენ გზის გამოკლების...

## გარდუვალობა

რა დღეს, რა ხვალ,
უნდა ითქვას
ყელთან მობჯენილი სიტყვა!
უსიკვდილოდ პასუხს ითხოვს
ცალად მოწრიალე კითხვა!

ყველაფერი უკან დარჩა...
გზა გაკემსა ბეწვის ხიდმა...
ხან დუმილმა ულვთოდ გტანჯა,
ხან ხმაურმა გაგარინდა...

ზოგჯერ ეჭვმა დაგიურვა,
ზოგჯერ — ღვთის თუ კაცის რიდმა...
ზოგჯერ — დიდმა სიხარულმა,
ზოგჯერ — ურვამ უფრო დიდმა...

მოგატარა ეს ქვეყანა
გულმა — განუყრელმა გიდმა,
გვიან აგეხილა თვალი,
გვიან მოდის ცოდვის კითხვა...

სით მოსული აწ სით წახვალ,
რა გზას დაადგები, მითხარ?..
ვისმა შეგიფაროს სახლმა,
ღვთისად მოიმედედ ვით ხარ?..

ჟამი დის და გიხმობს ზარი,
ქარი ქარს და დღე დღეს მიჰყვა...
კვნესის სული განაბზარი:
„— გულმა როგორ გამაბრიყვა?!."

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხმა, სიცოცხლის სისხლს რომ გითბობს,
ხმა სიკვდილის ძვალ-რბილს გიხრავს...
ყრუ და გაუმჭვირვალ კედლებს
სივრცე შენი მოუტიხრავს...

არსით ხსნა და არსით შველა,
მინდობიხარ ბედს და იღბალს...
მაინც გჯერა უეჭველად:
მოვა, ვინც უსაზღვროდ გიყვარს!..

იმ ერთი და ერთადერთი
დღის რწმენით და იმედით ხარ...
გწამს, რომ აგიცხადებს ღმერთი,
რაც შენს შუბლზე წაუკითხავს...

ბედი შენი სხვისას არ ჰგავს,
არ გაჰყვება გვალვა დიდხანს!..
შენს ზვარსა თუ ნათეს-ნარგავს
ცით ცვარ-ნამი გადახვითქავს!..

შენი ბაღიც დამწიფდება,
შენი ყანაც გვირგვინს იდგამს...
ვიდრე გათოვ-გაწვიმდება,
რთვლობის კვირაც მოგაკითხავს...

გაწყვეტილი გაგიკემსა
გზა რამდენჯერ ბეწვის ხიდმა!..
გამწყდარ სიმის მწარე კვნესაც
ისევ ლექსად ამოითქვა...

ვინ დაგბადა ხატად თვისად,
არ დაგაგდებს განუკითხავს...
რადგან ერთხელ უნდა ითქვას
გულთან მობჯენილი სიტყვა!..

რადგან ერთხელ უნდა გატყდეს
ნავსიც, პურიც, ციხეც, თვით ქვაც!
რადგან ერთხელ უნდა აღდგეს,
ვინც ცოდვა-მადლს განიკითხავს!

რადგან ერთხელ უნდა დაწდეს
წყალიც, სისხლიც, მოთქმა-მითქმაც...
რადგან ერთხელ უნდა გაწყდეს
და გიმუხთლოს ბეწვის ხიდმაც!..

რადგან ერთხელ უნდა უხმოს
სულსაც უეცარმა ცით ხმამ...
და ცალს თვისას შეეულლოს
ცალად მოწრიალე კითხვა!..

* * *

ათასში ერთხელ,
სულ უმიზეზოდ,
ისე ლამაზი დღე გათენდება,
თითქოს საფლავზე ამოენთო
ცისკრის ყვავილი...

* * *

შენ ახლა უფრო უცხო ხარ ჩემთვის,
ვიდრე გაცნობის დღემდე იყავი...
მივჩერებივარ უხილავ წერტილს...
მშვენიერია შენი ნიღაბი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მერი ბარნაბიშვილი

* * *

წუხელის ღამისმთევლებთან გახლდი,
ტაძრის ეზოში დავდევდი უფალს
და ტკივილისგან მგმინავი ხალხი
სამოსს მაწვდიდა თეთრსა და სუფთას.
წუხელის ღამისმთევლებთან გახლდი,
ვის გულს ვუთვლიდი, ვის კიდევ
სუნთქვას,
ენატრებოდა თვითეულს სახლი
და უგუნურთა გონი და სრულქმნა.
და ვეზიარე წუხელის ჯვარცმას,
შუბლს ვუგრილებდი გვემულთ
და მკვნესართ,
ზოგს მაგიური ბალახის ნაცვლად
სიტყვამ უშველა, სიტყვამ და ლექსმა.

* * *

მე დამავიწყდი იქნებ იმიტომ,
რომ შემხვედროდი და ისევ მეცნე,
და რაც ილოთე ან იჯირითე,
რაც გაატანე წყალსა და მეწყერს,
რაც წარმადობის ჯინზე აკეთე,
რაც გეშზე სდიე ტყე-ღრეში ნიავს,
რაც შენ მშვენიერ შუბლს და
საფეთქლებს
ის ჟამი სტკივა, ეს სივრცე სტკივა,
გამეგო ისე, სიტყვა არ მეთქვა,
არ მომეძია აწმყო ან ნამყო,
მეკითხა, რარიგ გიცქერის ზეცა,
ან თუ გიტოვებს მზე სითბოს სამყოფს.

## გელათში

არ შეიძლება, არ მოსულიყო,
აქ ყველა მეფე საქართველოსი,
ვის შეხვდებოდი ნეტავ ურიგოდ,
ვის რა უთხარი ტაძრის ჩეროში.
ვინ წაიღებდა ნეტავ მარჯვენას
დასტურქმნილსა და შენგან
შელოცვილს,
როგორ გვჭირდები სულის
სარჩენად,
შენ ახლაც იღვწი საქართველოსთვის.

* * *

გრძელი პაუზა ჩამოდგა მეტად,
სანამდე გასტანს, არ იცის კაცმა,
სიამოვნებით მოგისმენდი,
ნეტავი გეთქვა,
შემენახა თუ ტყის ფერადებს
ვუბოძო, რაც მაქვს.
გრძელი პაუზა ჩამოდგა მეტად,
ტყის ფერადებთან ინატრებდი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამოსის გაცვლას,
ხელმოცარული კაცის შურით
გიყვარდი მე და
შურიც შეგინდე, სიყვარულიც
აქ ყოფნაც, წასვლაც.
თავს ყველაფერი დაგატყდა ერთად
და მშველელი არავინ გყავდა,
შეგინდე, რადგან ბედნიერი
გეგონე მე და
მარტო არავინ არ გეგონა,
ქვეყნად შენს გარდა.
შენი არყოფნა იგრძნობა
მკვეთრად,
გრძელი პაუზა ჩამოდგა
მეტად,
სიამოვნებით მოვისმენდი,
რაც გინდა გეთქვა.

* * *

თურმე გათავდი.
ღვინომ გიქნა თუ
იმპერატორი დააჩრჩო
ჯავრმა,
შენს სრულყოფაში რაც
ღმერთს დააკლდა
დაე შეავსოს ჩემსავით
ქალმა.
კლდეს ფიქალები ატყდება ასე,
ტკივილი ასე იქცევა წამლად,
რასაც ამდენი წელი ვერ ავსებს
დაე, შეავსოს ხანდახან წამმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მზია ბედიაშვილი

# ასე მგონია, შინა ხარ

(წერილები ჩემ დას)

მოთხრობა

## 8. ბალადა გვირილაზე, ანუ „კიდევ ერთი გულუბრყვილო ზღაპარი“

მოქმედი პირნი და შემსრულებელნი:

ცა
მზე
გვირილა — ცისა და მზის შვილი
სხივი — გადია
წვიმა — მუსიკის მასწავლებელი
ჩიტი — მთქმელი

ცის სასახლე.

ღრუბლის ვარდისფერ სავარძელზე ჩამომჯდარი მზე ცხვირსახოცს ქარგავს. ალმასებით მოსევადებული ზანდუკი ოქროს ძაფებით აუვსია. იქვე, გადია და გვირილა სხედან. გადიას კალთაზე თავთავები უწყვია. ხორბლის მარცვლებს არჩევს და თან ქათქათა კაბაში განაბულ გვირილას ებუტბუტება ხმადაბლა. — ერთხელ, თურმე ღმერთმა, მოიხმო ანგელოზი და უბრძანა, წადი და რაც ამქვეყნად ყველაზე ძვირფასი იყოს აქ მომიტანეო. ანგელოზმა იარა, იარა, იარა... ცხრა მთა და ცხრა ზღვა გადაიარა და ბოლოს პაწაწინა ცრემლი მიართვა უფალს, — ცასა და დედამიწას შორის, ცრემლის ფასი არაფერი ყოფილა! — ბრძანა ჩაფიქრებულმა უფალმა, სიხარულთან ერთად დარდიც გადააყარა ქვეყნიერებას და გაშალა ბედისწერის წიგნი... ისმის მუსიკის მასწავლებლის ეტლის წკრიალი. გვირილა, ელვით განათებულ ბილიკზე გარბის შესაგებებლად. წვიმს...

ქორო — წვიმის ხმა აქვს ცამდე ასულ ფერად მოლოდინს, ზარების გუგუნს, უხმო ძახილს, მონატრებას და მწველ სურვილს, ქარში გაქცევის, შენამდე მოსვლის, შენამდე მოსვლის...

ჩიტი-მთქმელი — იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა. იყო შაშვი მგალობელი, ღმერთი ჩვენი მწყალობელი. და კიდევ იყო კეთილშობილი უფლისწული, რომელიც უდიდეს სამეფოს განაგებდა, ვერცხლისფაფარა მფრინავი რაშებიც ჰყავდა. ერთ მშვენიერ დღეს, უფლისწულმა თვალი მოჰკრა ზღვათა ხელმწიფის ასულს, ოქროსნაწნავებიან ცისფერ გოგონას და შეუყვარდა. თავის სიცოცხლეზე მეტად შეუყვარდა. ცისფერი გოგონა ისეთი უმწეო იყო, ისეთი უმწეო, ზღვასავით ბედნიერებისა შეეშინდა და ვაჟს უარი უთხრა. უფლისწულმა თავი მოიკლა. დილით, ცამ დაინახა ოქროსნაწნავებიანი გოგონა, მდინარისკენ რომ გარბოდა დასახრჩობად და გვირილად გადააქცია. დიახ, ცამ მოულოდნელად გვირილად გადააქცია ოქროსნაწნავებიანი ცისფერი გოგონა და მზეს აჩუქა. მზემ, მზეთუნახავის ქათქათა კაბა თავის ხელით მოუქარგა, სხივებით შეუმკო და ნიავსაც აღარ აკარებდა. მხოლოდ ხანდახან უშვებდა ხოლმე მინდორში, გადიასთან ან მუსიკის მასწავლებელთან ერთად.

ჭირი იქა, ლხინი აქა, სითბო, სიკეთე და სიხარულიც აქა!

ტაში. პაუზის შემდეგ.

ჩვენი თეატრის მთავარმა რეჟისორმა მთხოვა, სპექტაკლის დაწყებამდე ეს პატარა ზღაპარი მეამბნა თქვენთვის, მაშ ასე, დარბაისელნო! მცირე ანტრაქტის შემდეგ, გეპატიჟებით პრემიერაზე ყველას, ყველას, ყველას!

## 9. პირველი დილა

— გაწვიმებულა!

— ჰო.

— გესმის?

— რა?

— გემები ბრუნდებიან ნავსადგურში.

— თუ გინდა, ჩვენც წავიდეთ სადმე, შორს, შორს...

— რა კარგია-ა! ოღონდაც, გეხვეწები კარაველით, ნამდვილი ესპანური კარაველით წავიდეთ. ღმერთო, რა კარგია! როგორ მიხვდი, რომ გამეხარდებოდა?

— თვალებზე შეგატყვე.

— კიდევ?

— რა კიდევ.

— კიდევ რა შემატყვე-მეთქი, თვალებზე.

— პატარა, დაუდგრომელი მხეცი რომ ბრძანდებით.

— ხოდა, ნურც ეცდებით მოთვინიერებას, მილორდ!

— ვბრაზობთ?

— გამიშვი.

— ვტირით კიდეც!

— არაფერიც! გამიშვი...

— აბა ეს პაწაწინა წვეთი საიდან გაჩნდა?

— ციდან!

---

დასასრული. დასაწყისი იხ. „ცისკარი“ № 8.

— მოდი, თუ გინდა ნურსადაც ნუ წავალთ. აქ ერთმანეთის გარდა არავის ვიცნობთ და ორივეს გვიხარია.

— ხო, ნუ წავალთ... იცი...

— ხმა ამოიღე, რა გატირებს.

— მეშინია.

— რისი?

— მალე მოვკვდები, ანდა ჭკუაზე შევიშლები.

— რატომ?

— აგერ იმ ზღვისოდენა სიხარულს ვერ გადავიტან, ალბათ.

— „გადატანილი“ სიხარული, უკვე აღარ არის სიხარული.

— ხოდა მოვკვდები.

— არა, შენ უნდა იცოცხლო. ი-ცო-ცხლო!

— ასე ცოტათი ჭკუაზე შეშლილმა?

— ხო. მე ასეთი მირჩევნიხარ. და „შენც ჩემი ხარ და პარიზიც ჩემია...“ გესმის?

— მაინც არაფერი მესმის. გეხვეწები, სხვა დროს ამიხსენი. შენ რომ იცი ხოლმე ისე, ჭკვიანურად და მშვიდად.

— აბა, თვალებში შემხედე. ო, აი ახლა გადასარევი გოგო ხარ. ყველაზე უკეთესი, მთელი ქვეყნის გოგოებს შორის. და აღარც მტირალა.

— გინდა, თმა მოვიჭრა?

— არავითარ შემთხვევაში!

—მომბეზრდა.

— მე არა...

— ოი ნელა, საყურეს გამოედო...

— გეტკინა?

— ცოტათი. შეჭრილი რო მქონოდა...

— ხოდა, სულაც მოიხსენი, ეგ შენი წვიმის წვეთივით საყურე... ასე...

— იცი, როგორ მომწყურდა?

— ნუ ჩურჩულებ, გარკვევით მითხარი.

— მომწყურდა-მეთქი.

— მოგიტან!

— ო, არა. მე თვითონ ავდგები.

. . .

სარკმლიდან ზღვა მოჩანდა და იალქნები, თითქოს ქარს მიმოუფანტავსო ტალღებზე.

— შუქურები, წუხანდელი შუქურები გაპარულან!.. — დაიწკრიალა გოგომ და ფეხისწვერებზე აწეული გაიქცა კვლავ კაცისკენ.

2 აპრილი. სამშაბათი

ანას

დილით მივიღე შენი წერილი. გამიხარდა, კარგად რომ ხარ. ეგეც გამიხარდა „ბანანა“ შარვლები რომ გიყიდია. ზღვაზე გამოგვადგება. იმ უჯრედებიანი ქვედატანით, ზამთარში რომ გამომიგზავნე, გოგოებს ვაგიჟებ ხოლმე სუფთა შოტლანდიური შალია-მეთქი. თუ ზნო აქვთ იცნონ, თუ არა და კენკონ საკენკი. რა მენაღვლება. ტრაბახა! ნეტავი მართლა რამე მაინც შემეძლოს. თმა ასე მეტიჩრულად რატომ მაქვს? რა ვიცი, გოგოებმა, გიხდებაო. ცხენისკუდივით შეკრული უკეთესია? უზ[illegible]ლოდ, შენ იმაზე გაქვს თვალი მიჩვეული. მიჩვევა კი, ხომ იცი, დიდი რამ არის.

როგორც იქნა გავიდა ქარებით, თოვლით, იებით, დაბადების დღეებით ასი ათასი დარდითა და ჩემი თავზეხელაღებული სიყვარულით პირთამდე სავსე მარტი. ერთადერთ ნუგეშად ისღა მრჩება, ორიოდე კვირაში რომ იასამანი აყვავდება.

გუშინ გაჩერებაზე ქალბატონი ტასო შემხვდა. დიდი ამბით გადამკოცნა. შენც მოგიკითხა, როდემდე უნდა იყოს იმ სიშორეზეო. — ნათია?! ღმერთო ჩემო, როგორ გაზრდილხარ, დაქალებულხარ. გათხოვებაზე არც იფიქრო. არა ბატონო, არა. სადღა არიან კაცები. განსაკუთრებით ახლა, ნერვულ სტრესებად ქცეულ ამ გამაოგნებელ საუკუნეში. ადრე კიდევ რა უჭირდა. უჭირდა კი არა, ადრე სულ სხვა იყო, გენაცვალე. ჭეშმარიტი რაინდები, მუხლმოდრეკილნი სთხოვდნენ ქალს ხელს ერთგულების ფიცით. ეჰ, დღეს ყველაფერი ისეა გამარტივებული და გაუკულმართებული, მებრალებით ლამაზი გოგოები. აფსუს? მე შენ გეტყვი და არ მოგიხდებოდა, სვეტიცხოველში ქათქათა კაბით დგომა. ა, თუ არ გჯერა ჩემი. გახედე ამ გაზიმზიმებულ ქუჩას და ერთს დაადე ხელი, ერთს თუ ამოარჩევო.

— თქვენ ხუმრობთ, რა თქმა უნდა, ქალბატონო ტასო. — ვიცინი მე.

— არავითარ შემთხვევაში. როგორ გეკადრებათ! უი, რვა ნომერი. აბა, კარგად გენაცვალე, როდისმე გამოიარე, ზინ მესტუმრე, ზინ ვისაუბროთ.

ეგეც შენი იასამანი, ნათია ძვირფასო!

კლიმაქსით გაოგნებული ქალისაგან, უკეთესს რას მოისმენს ადამიანი. რატომ მაქვს მწარე ენა. ის კარგი იყო, ამოდენა მზესავით ბიჭები, ყველა ერთად რომ წყალს გაატანა?!

იმ დღეს ბაიას დედა მეუბნება, სულ არ იცვლები, ისევ ისე გამოიყურები, როგორც პირველ კურსზეო. მე კი მინდა, რომ საქმიან, გამჭრიახ, დარბაისელ, ჭკვიან, დახვეწილ ქალს ვგავდე და არა გიჟმაჟურ სიცოცხლეს მოწყურებული, მშფოთვარე საზოგადოებას დანატრებულ თავქარიან გოგოს. მითხარი ანა, ხომ ვგავარ, ა?.. მაშინ ჩვიდმეტისანი ვიყავით. ღმერთო, რამოდენა დრო გავიდა — ა! ასე მგონია, მთელი ცხოვრება-მეთქი. განა „მთელი ცხოვრებაა“, თითებზე ჩამოსათვლელი წლები? პირველი კურსის საგაზაფხულო გამოცდები რომ დავამთავრეთ, ხევსურეთში წავედით. სამი დღე დავრჩით შატილში. ღამეებს კარავში ვათევდით. ისეთი კარგი, ისეთი დაუვიწყარი საღამოები იყო... ცის ქვეშ აგიზგიზებული ცეცხლი, უბელო ცხენები, კამკამა ხეობები ბატონი ნოდარი და ირგვლივ სულ მთები, მთე-

ბი. იქიდან ჩამოტანილი სიპის ნატეხი ახლაც შინა მაქვს, პაწაწინა, ქვიშისფერი ნატეხი. ყველაზე კოლორიტული, რაც მაშინ ჩვენმა თამადამ ბრძანა, ზათარეკა ჭინჭარაულის ახულის, მზიან სადღეგრძელო იყო.

გინდა, პინკ ფლოიდი მოგასმენინო? ზაზამ მაჩუქა ახალი ჩანაწერი. აბა ყური დაუგდე... ისე მომწონს, ლამის ვიტირო. გესმის ჭაჭვებით დაბმული გემის ჭრიალი... დილაა... ახმაურებული პორტი...

როგორ მეზვევა თავბრუ!. გაზაფხულმა იცის? ხოდა, შინიდან ფეხსაც არ გავადგამ, მორჩა და გათავდა. იცი ანა, ბოლ დილანი თბილისში იყო სტუმრად ამერიკელ პოეტებთან ერთად. მწერალთა კავშირში მოუწყეს შეხვედრა. საწყალ ზაზას, დიდ ნაცარში ჩაუვარდა კოვზი. ინტერვიუზე უარი უთხრეს. ეტყობა, ვარსკვლავებს უყვართ ზოგჯერ, კაპკაპა ჭირვეულობა. აბა რა გეგონა, ცხრამეტი საუკუნისო სიმღერის ფირფიტას მოგართმევდნენ ავტოგრაფით და პირველი სართულის ჰოლშიც სულ მხარზე ხელის თათუნით ჩამოგაცილებდნენ-მეთქი? ცეცხლზე ნავთი გადავასხი გაცოფებულს. კინაღამ მომკლა. ნოველები? მართლა არ მოგეწყინა? მე კი ხანდახან ისეთ ხასიათზე ვდგები, ამაზე მოყირჭებულად სენტიმენტალური! მოსაწყენი და აუტანელი არა მგონია რა. თუმცა, ზაზას სულ იმას ვეტრაბახები, წერა ჩემი სანუკვარი საქმეა-მეთქი (მართლა სანუკვარია და რა ვქნა). დიდი ამბავი. თვითონაც აკლებული ვყავარ. კარატისტებსაც ვერევი და ერთი ამოსუნთქვით მტკვარსაც გადავცურავო. ტრასაზე ასოცით რომ მივერეკები, ენაჩავარდნილი ინსპექტორები შიშით ხმას ვერ მცემენ. თუ არ გჯერა, მცხეთისკენ წაგიყვან და თვითონ ნახეო. რაღა შენ და რაღა კლერფე-მეთქი. თუმცა, ზაზას სტილში მართლაა მსგავსი სიგიჟეები. საერთოდ კი ჰგონია, რომ ხშირად უფლისწულივით უჭირავს თავი. მე კი მგონია, რომ სიკვდილის პირამდე სულ უნდა ვწერო, ვწერო...

## 10. აჰა, შენ შოკოლადი.

—ღრმა ნაფაზი არც ჭირდება, პირდაპირ ფილტვებში მიდის.

— ტიპიური ხულიგანი ხარ, რა აღარ ამოგივა პირიდან.

— აბა, ასე წვიმახავით რომ იხსამ მაგ „დუხს“, კრისტიან დიორი შენი დაქალი ხომ არ არის.

— ენა გააჩერე-მეთქი. დაქალი კი არა, მოსკოვშიც ველარაფერი ვიშოვე.

— პარიზული რამე-რუმეები? დიდი ამბავი. სამაგიეროდ ციმბირული კვერნის ქურქი ხომ დაითრიე მუქთად.

— სამი ათასი მუქთი გგონია?

— შენთვის კი.

—ღმერთო, როგორი თავხედია ეს ბავშვი. ამ პომადას მოვიშორებ.

— აფსუს?!

— ძალიან საზეიმოა. ცირკში მივდივარ, ბალზე ხომ არა. კუთხეში რომ დევს, ის მომაწოდე.

— ვაიმე—ე! გამომცემლობა „მერანის“ გვერდით, პარფიუმერიის საფირმო მაღაზიაშიც კი არ ექნებათ ამოდენა რამე. აჰა, დაიჭი. ახალი მოკრეფილი მარწყვის სუნი აქვს.

— რას არ მოიგონებ ხოლმე.

საამური ფერია. ეგ უფრო მოგიხდა ბშკარად.

— წაისვი თუ გინდა.

— ორმოცდაათისა რომ გავხდები, მაშინ წავისვამ.

— ძალიან დიდხანს მოგიწევს ლოდინი.

— არაფერია. მოვითმენ.

— მითხარი, არავინ გიყვარს?

— კი.

— იმას?

— არა.

— სტყუი!

— ვინ გითხრა?

— რა თქმა მინდა. როგორ შეიძლება, შენ კაცს არ უყვარდე.

— ვითომ, რატომ?

— იმიტომ, რომ პატარა ფისოს გავხარ. ელვარეთვალებიან ველურ ფისოს. თინიკო, ჯერ სვიტრი ჩაიცვი დედა, მერე თმა აგეწეწება. თმა, თმა აგეწეწება-მეთქი. ამისმა ცირკმა ხომ სულ მომსპო. ჭკუას კარგავს ისე მოსწონს. მოდი და ნუ წაიყვან.

— მართლა, ელზა როგორღა გყავთ.

— გმადლობთ, კარგად. აჰა, მოწიე თუ გინდა.

— ამას ეკვლევინები?

— რა ჭირს?

— სამეფოა!

— მომეცი აქ სანთებელა. ღირსი არა ხარ.

— ელზას ისევ უყვარს, მამაშენი?

—სულ ერუანტელი უვლით ორივეს. რაჰ მოგაგონა ნეტავ, ის კრეტინი ელზა. ამ ზაფხულს, სუფთა თეთრეულისთვის ჩამოვედი წყნეთიდან და აქ არ დამიხვდა, იმ გაგანია სიცხეში. აუზიც ახალთახალი, კამკამა წყლით აევსოთ...

— რამოდენა ფუფუნება-ა! მერე?

— მერე მამაჩემმა, ამ მარად უბერებელმა ლოველასმა გარაჟიდან გააპარა. მართლა ჯოჯოხეთივით მაგარია. გადააგდე, ნუ ამოიხრჩვე თავი. ისე გააპარა, მე ვითომ არაფერი დამინახავს. კიდევ კარგი, გურამი და რამაზი არ დაადგნენ თავზე.

— როგორი ტყიური ძმები გყავს.

— მაგათ ხელში, რომელი გოგო გაძლებს არ ვიცი. ცხრათავიანი დევები.

— შენ დარდი ნუ გაქვს. აბა ის გინდა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყელზე ბაფთა ეკეთოთ და დილ-დილობით კარაქიან გოგლიმოგლს ყლაპავდნენ?

— ერთი შენ მყავხარ კიდევ ანგელოზი. როგორ გიხდება ცისფერი. ახალია? მაინც სად იყავი დაკარგული მთელი ზამთარი, სულ რომ არ მოადგი ფეხი.

— შინ!

— რას აკეთებდი?

— კედლებს ვაწყდებოდი.

— წელანაც ხომ გითხარი, ხულიგანი ხარ. მეთქი.

— ნახე თუ არ გჯერა, რამდენა კოპი მაჩნია შუბლზე.

— ჭკუით მოიქეცი. ველარ ვნახე დედაშენი, რომ ცოტათი მოგარჯულოს. შენოდენას, თინიკო მყავდა უკვე.

— რამდენი წლისაა, თინიკო?

— თორმეტის.

— ლამაზი გოგო იქნება. მამამისი აკითხავს ხოლმე?

— კი, როცა დალევს. მთვრალს ვახსენდებით, რომ ცოლ-შვილი ვყავართ.

— გახსენება შენ პატარა რამე ხომ არ გგონია.

— მეტიჩარა! ჭკუასაც რომ მარიგებს. სხვა თუ არაფერი, დედად გეკუთვნი. თინიკო, დროზე! ვაიმე, ტაქსის მეტი მგონი აღარაფერი გვიშველის. მოიცა, ფანჯარა არ დამრჩეს ღია, თორემ დალეწავს აქაურობას. წამოდი რა, შენც. მართლა გეუბნები, წამოდი. ზედმეტი ბილეთი იქ ექნება ვისმე. ლომები გამოდიან, თურმე იტირებ.

— ერთი ლომი ვიოლინოზე უკრავს.

— ვინ გითხრა?

— წუხელ მესიზმრა. იქ აფრიკაში, ანტილოპებზე ნადირობისას... მე ვითომ, მერი უელში ვიყავ...

— ფირმა სიზმარი გინახავს. აჰა, შენ შოკოლადი და ჭკუით იყავი.

## 11. შუადღე

ბუხარი, ჭალები, ფიანდაზებით მოფენილი ხის ვიწრო კიბე. კედლებზე ბრწყინავ სარკეებშიც ძველთაძველი, მოწითალო ხის ათინათი კიაფობდა. მაღლა რომ აიხედა, ისეთი განცდა დაეუფლა. თითქო გემბანზე ადიოდა. თითქო, ზღვის შორეული ხმაურიც მოესმა... მერე კიბე დაირწა და მოაჯირს მოკიდა ხელი.

სწრაფად გაიარა პატარა, თეთრი დერეფანი. წამით შეყოვნდა კართან. არა, კი არ შეყოვნდა, მონუსხულივით შედგა. ისეთი გაჩქარებით უცემდა გული, უნებურად ხელი მიიფარა მკერდზე. შეეშინდა, კარს იქით არ გაეგონათ, ნარბენივით რომ სუნთქავდა. ნარბენივით?! დამფრთხალ ჩიტივით...

— მერე პირობა?!

— პირობა?

— ხო. ისე მოვიქცევი, ინგლისის დედოფალსაც კი შეშურდესო.

— თავი დამანებე!

კაცი ფეხზე წამოდგა, ღიმილით შეეგება. აკოცა კიდეც. (ინგლისის დედოფალს კი არა, ვის არ შეშურდებოდა!) მუქი ლურჯი პერანგი და ნაცრისფერი კოსტუმი ეცვა. გოგომ თვალი აარიდა, სარკმლისკენ გაიხედა. ბედად, ტელეფონმა დარეკა. პირველივე ზარზე უპასუხა. მოკლე, საქმიანი საუბარი ჰქონდა. ყურმილი რომ დადო, „მე წავალ!“-ო, ძლივს გასაგონად დაიჩურჩულა და ორივე ხელი სკამის ზურგს მოკიდა. ეგონა, წავიქცევიო. კაცმა კვლავ გაუღიმა. მსუბუქმა თრთოლვამ გადაურბინა ბაგეზე. „მამხნევებს!“ გაიფიქრა გოგომ და რაც ძალი და ღონე ჰქონდა შეიკავა ცრემლი. მერე, „მე წავალ!“-ო, ისევ დაიჩურჩულა და მხარზე გადაკიდული ჩანთა მოინაცვლა. წონასწორობა შეიმოწმა. მოეჩვენა, გული აღარ მიცემსო. „კარგი, გენაცვალე“! — უცბად მშრალად თქვა კაცმა და კარებამდე მიაცილა. მის თვალებში ვერავითარ ღელვას ვერ ამოიკითხავდი. „გზაში“, წამით მკლავზე მოკიდა ხელი. გრძელსახელოებიანი ქათქათა კოფთა ეცვა...

ფეხით გაუყვა ქუჩას. ნელა მიდიოდა. ნაბიჯ-ნაბიჯ.

„რატომ არიან ცრემლები ასეთი პაწაწინები, რატომ?!“

— უკაცრავად, თქვენ ხომ არ იცით...

— რა ბრძანეთ?

— თქვენ ხომ არ იცით...

— დახმარება ხომ არ გჭირდებათ?

— ო, არა. გმადლობთ!

— მაშინ, ნუ ტირით.

— ვინ გითხრათ, რომ ვტირი.

— რა თქმა მინდა. თქვენ მგონი ცუდად ხართ. გნებავთ, ტაქსი გავაჩერო?

— ო, არა! ფეხით მირჩევნია.

— სწორია. ახლა, ნამდვილად დანაშაულია მანქანით სიარული.

— დანაშაული?

— ისეთი კარგი შუადღეა... როგორ გითხრათ, შვების მომგვრელი. ლაღად რომ ამოისუნთქავს კაცი.

— ნახვამდის!

რა კარგია, რა კარგია ლაღი სუნთქვა.

გარეთ კი, თებერვლის დღის ბურუსში ტრაგედია ტრიალებს, — პაწაწინა ჩიტს ფრთები მოსტეხია... — სადღაც ამოკითხული ფრაზა გაახსენდა ლიფტში შესულს და ათრთოლებული ხელით მოძებნა „მეოთხე“.

## 13 აპრილი. შაბათი

### ანას

სარკმლიდან გავყურებ ქარს და მონუსხულივით ვატრიალებ ჯიბეში კალამს. დღეს,

„ხსოვნის დღეა“. ანა საგანგებოდ დაწესებული, მოსაფერებელი დღე. „თოვლივით თეთრ სუდარაში, ჩვენ იგი გამოვახვიეთ, ლამაზი ყვავილებით მოვრთეთ და უხვად ცრემლიც ვაფრქვიეთ...“ ამ სიმღერას ნოდარ დუმბაძის გარდაცვალების შემდეგ ვამბობთ ხოლმე გოგოები. უკანასკნელად, გაზაფხულის მიწურულს ვნახე. უფრო ზუსტად ტაქსიდან დავინახე მაჩაბლის ქუჩაზე. ნაწვიმარი დღე იყო. ერთ ღირსეულ კაცს ელაპარაკებოდა. იქ ხომ სულ მუდამ რაღაცნაირი, ძველებური სივიწროვეა და მანქანებიც ისე ნება-ნება აივლიან ხოლმე, გეგონება ეტლში ზიხარო. ხელის გაწვდენაზე იდგა. ისეთი გამომეტყველება ჰქონდა, იფიქრებდი, ნეტავი ვლადივოსტოკიდან აქამდე ფეხით ხომ არ უვლიაო. რამოდენიმე ხნის შემდეგ გარდაიცვალა კიდეც. 20 სექტემბერი, მისი დაკრძალვის დღეა. ო, რა სიხარულით დავთმობდით ასეთ ბოლმიან დღეებს ყველანი, ჩვენი ნება რომ იყოს.

ვდგავარ სარკმელთან. გავყურებ ქარს და მონუსხულივით ვატრიალებ ჯიბეში კალამს. ანა, მოდი და იმ 20 სექტემბრის დღეს მოვუყვები... მერე რა მოხდა. როგორ და სულ უბრალოდ, ჩვეულებრივად მოვუყვები, ცოცხალივით. და ვითომ მისმენს.

* * *

სოლოლაკიდან ვაკემდე ქუჩები ისე გაივსო ხალხით, ოთხი საათისათვის ორმოცდამეხუთემეტე სკოლასთან უკვე სუნთქვაც კი ჭირდა. „ქალაქის კარიბჭესთან“ დგომა აგვიკრძალეს, შესასვლელი გზა თავისუფალი უნდა იყოსო. სწორედ ისე, როგორც ზღაპრებში, მეფეების შინ დაბრუნებისას. მხოლოდ ეგ იყო, თქვენ მობრძანებამდე ცოტა ხნით ადრე, როცა ორი მანქანა, ზღვისოდენა ყვავილები მოიტანეს, (ო, რა მალე დაგფარავთ ისინი!) თეთრი მიხაკები დაიპნა ბილიკზე... მერე, მილიციის მოხელემ თოკი გამოხსნა და თავაზიანი ჟესტით საგანგებოდ „დაგვაბა“ ჭადრების მიღმა, ყველანი ერთდროულად რომ არ გამოვქცეულიყავით შესაგებებლად. ეტყობოდა, გუმანით იგრძნო, დიდი სიყვარული რომ არასოდეს დაგიდევთ ქცევის სალონურ ნორმებს.

მერე, ფეხისწვერებზე ავიწიეთ...

მერე, ბიჭები სახურავზე ავიდნენ...

ღია სარკმლები და აივნები, პირთამდე გაჭედილი იყო...

და გელოდით,

გელოდით.

გელოდით!

სადღაც, ფოთლებში შეყუჟული რეპროდუქტორიდან, ცაში მოულოდნელად გაწყვეტილი სიმივით გაიჟღერებს თქვენი ხმა... „იავნანა“... შოპენი...

ოთხი, ხუთი, ექვსი, შვიდის ხუთ წუთზე გამოჩნდით.

რამოდენა დრო დაგჭირდათ, მაჩაბლიდან „შინ“ დაბრუნებამდე, ბატონო ნოდარ! [illegible] დინჯად, ალბათ თქვენ სიცოცხლეში არ ამოგივლიათ რუსთაველზე და ალბათ, არც თქვენს გასაცილებლად ერთდროულად თავშეყრილი ამოდენა უცნობი და ნაცნობი გინახავთ როდისმე.

მოხუცი მანდილოსნის ხმა:

— ნეტავი შენ დედას შვილო, ამ დღეში რომ ვერ გხედავს!

მერე გოგონების ჩურჩული წვდება სმენას — გაზაფხულზე, პირველი იასამნები ჩვენ მივუტანოთ! — და ალუბლის ქათქათა რტოები-მეთქი, გულში გავიფიქრე.

მერე... მერე ყველაფერი ისე დამთრგუნველად, ჩვეულებრივად მოხდა:

P. S. თქვენ მუსიკასავით ისმოდით ხალხში და ჩვენც, ახალგაზრდობას, მხნელივით გვიყვარდა ის უზენაესი სათნოებით და სინათლით სავსე ხმა. სამრეკლოს გუგუნივით თავისუფალი, კეთილშობილი და მართალი. გვიყვარდა, რადგან გვწამდა. რა დაგვავიწყებს, რა დაგვავიწყებს ბავშვობისდროინდელ იმ ხელუხლებ სიხარულს, ზურიკოს გაცნობამ რომ მოგვანიჭა პირველად.

.თქვენი სიკვდილი არ შეიძლება, ბატონო ნოდარ!

ჩვენ სულის შესაბერადაც არ გვემეტებით ბატონო ნოდარ!

და გვგონია, სულ გვგონია, რომ სიცოცხლის პაწაწინა, კაშკაშა სხივებით მზეს შეუერთდით...

ჩვენ არ გემშვიდობებით, ბატონო ნოდარ!

ჩვენ მოვალთ ყოველ გაზაფხულზე თქვენ ნაფერებ ქალაქში და ალუბლის პირველ ქათქათა რტოებს, პირველ იასამანს მოგართმევთ მუდამ.

* * *

ტრიბუნაზე გამომდგარმა რომ უნდა წაიკითხო, ისეთი გამომივიდა არა, ანა? დედას გეფიცები, უფრო უბრალოდ, სხვანაირად მინდოდა. მაგრამ ყველაზე ძნელი — კარგად რამის თქმა ყოფილა. არადა, იმას ხომ არ მოვუყვებოდი, ერთი ღირსეული კაცის ცოლი, თვითონ მშვენიერი პოეტი, როგორ ემუდარებოდა „ქალაქის კარიბჭესთან“ ჩამომდგარ ჩინოსან მცველებს, შიგნით შეეშვათ, რომ ქალს ვერავინ ცნობდა და ატირებას ალარაფერი უკლდა. ნუთუ, ეს ხალხი ტელევიზორს მაინც არ უყურებს-მეთქი. აქეთ მე ვიხრჩობოდი ბრაზით. მერე გოგოებმა ერთმანეთი დავკარგეთ. მერე ტერფების დასადგმელიც ისე „შემიმცირეს“ ჭადართან, ფეხისწვერებზე ავიწიე. გამოჩნდა ცისფერი ქალბატონი. მედეა. კარიბჭის მცველნი მოწიწებით ხსნიან გზას და ქალების ასოთხმოცდაცხრამეტ პროცენტს ჩუმად შურს გულში (ასეთი რამეები შეიძლება ამხანაგთან მოუყვე).

ეროვნული ბიბლიოთეკა

სექტემბრის მიწურულის ისეთი ნაზი, ისეთი ოქროსფერი საღამოა, სიმწრით გულ-მუცელი გეთუთქება. — ნუთუ შეიძლება, ახლა ვინმე მიწით დაიფაროს. ნუთუ შეიძლება... მერე ვერავის შეხედვა ვერ შევძელი, ვერც მიცვალებულის და ვერც ცოცხლის. არ ვიცი რა დამემართა. სახეზე ხელი ავიფარე და უკან დავიწიე. მომეჩვენა, რომ დავიწიე, თორემ სინამდვილეში ჩიბიჩის გადასადგმელიც არსად იყო.

ყველაფერმა ჩუჩუმრად ჩაიარა.

ფეხით გავუყევი „დაცარიელებულ" ქუჩას. მაღაზიებში შესვლა ხომ სულ არ მეხატება გულზე და მაინც და მაინც მაშინ შევბორიალდი საფუნთუშეში. ...მივუყვებოდი გზას, (ცოტა ხნით უნივერსიტეტის ბაღში ჩამოვჯექი, სულის მოსათქმელად). ხელში ჭვავის პაწია, თბილი პური მეჭირა და შინ მიმქონდა. ისეთი კრიალა, ისეთი ოქროსფერი, ისეთი შემაძრწუნებლად ნაზი სექტემბერი იდგა, გული მეწურებოდა და მინდოდა სადღაც შორს, ტრიალ მინდორში გადავკარგულიყავ ქარში.

## 12. იათოს საქორწინო ვარდები

იანვრის სუსხიანი საღამოა. უქმე. ენციკლოპედიის ქვემოთ, გურამიშვილის ქუჩაზე, ხუთი გოგონა დგას გაჩერებასთან. მოვლილები, დავარცხნილები, კამკამები. ერთს ვარდების თაიგული უჭირავს. წითელი, ხასხასა თაიგული.

— ამ ყვავილებს რა ვუყოთ ახლა, ა?

— მოიცა, მოვიფიქრებთ რამეს.

— როდის? გავითოშეთ უკვე.

— შენმა სინაზემ ხომ სულ მომიღო ბოლო და გამათავა.

— ფეხები აბაკუნე და გათბები, ვითომ ცეკვავ.

— ასე იდიოტურად ქორწილში წასვლა კაგონილა?

— ოო, დაიწყეთ ახლა თავიდან.

— მაიკო, გეხვეწები გაანძრიე ტვინის უჯრედები, თორემ ვიკივლებ.

— არ შემიძლია, ვოცნებობ!

— ნუ გადამრიე, რაზე?

— ბებიას გამომცხვარ ვაშლის ღვეზელზე. ღრუბელივით ფუმფულა, თბილს, ტკბილსა და სურნელოვან ღვეზელზე!

ხარხარი.

ინტელიგენტური გარეგნობის, უზადოდ ჩაცმული მამაკაცი დაყინებით, ცნობისმოყვარედ შესცქერის გოგონების გუნდს. კაცს ყველაფერზე ემჩნევა, რომ ამქვეყნიურ სიამეთაგან არაფერი დაუკლია, ალბათ.

— ეს ტიპი ნახეთ, რა?!

— ჩუმად, მაყუთა ბიძაა.

— რა იცი?

— თვალებზე ეტყობა.

— კიდევ რა ეტყობა?

— ცუგრუმელა გოგოები რომ მოსწონს.

— არაფერიც. მშვენივრად უჭირავს თავი, ლორდივით.

— შენ ეგრე გგონია? ნახავთ ახლა. ვარდები, ვარდები! ვარდები გასაყიდი, ვარდები-ი!..

— ჩუმად, გაგიჟდი?

კაცს ღიმილი გაუკრთა თვალებში.

— იყიდეთ ვარდები! იყიდეთ ვარდები! სულ ახალთახალი ვარდები-ი!...

— სირცხვილია, ნუ აიწყვიტე.

ცარიელი ტაქსი ჩერდება. კაცი იმავ ღიმილით ჯდება მანქანაში და სოლიდარობის ნიშნად, ორივე ხელს უწევს გოგონებს.

— ეგეც შენი უმდიდრესი კრეზი.

— აბა? ერთი ყვავილიც კი ვერ შევატყუეთ.

— ეტყობა, მუქთად უნდოდა.

— ნორმალური ხარ? მაგას ჭამდა სწორედ.

— ჩემი ბრალია, ვარდები გასაყიდი კი არ უნდა მეძახა, „ქალი ვარდებით!"-მეთქი, ნაზად უნდა დამეჩურჩულა, ნახავდით მერე, თუ ჩავიჭრებოდი.

— გეყოფათ მასკარადი, ქვეყანა გვიყურებს.

— აგერ ტროლეიბუსიც, მე წავედი ხალხნო.

— ფეხსაც ვერ მოიცვლი!

— რა ხდება?

— რაღაც მოვიფიქრე. ტაქსი!.. ტაქსი!.. გამარჯობათ!

— იცოცხლე, გენაცვალე!

— ცოტა დროზე, დროზე გამოიქეცით.

— საით გაგიწევიათ ძვირფასებო, ამ ყინვაში.

— „მზიურთან" მიგვიყვანეთ!

— კეთილი და პატიოსანი.

—ვაიმე, როგორ თბილა-ა!

— მანქანა რომ არ არსებულიყო, ალბათ მე გამოვიგონებდი, ისე ძალიან მომწონს.

— გენიალური გოგო ხარ, ნინიკო.

— ისე, რა.

— ზოგჯერ, მართლა იმისთანა კარგ რამეს მოიფიქრებ, ტირილს მოანდომებ ხოლმე კაცს. როგორ გაეხარდებოდა ეს ვარდები...

— ახლაც გაეხარდება.

— თუგინდ მომკალით, მაინც არ მჯერა, რომ ის ადამიანი საფლავში წევს. თანაც ამ ყინვაში.

— სექტემბრის შუა რიცხვები იყო. ერთი კვირის წასულები ვიყავით ბიჭვინთაში. სანაპიროზე გავიგეთ მისი გარდაცვალების ამბავი. გულით მინდოდა ჩამოსვლა, მაგრამ დედაჩემის სცენების თავი არ მქონდა და მოვითმინე. რა დროა?

— ცოტა წინ წაიწიე, კარგად ვერ ვხედავ. მგონი რვა ხდება. ხო, რვას ათი აკლია.

— სიძე-პატარძლის სადღეგრძელო ახლა უკვე ჩათავებული უნდა იყოს.

— რატომ, სიძე-პატარძალი, როცა ხალხმა

მათ უმაღლესი სახელმწიფო ტიტული, მეფე-დედოფალი უწოდა.

— აუ ბიჭო, მგონი რას გრიალებენ, ახლა?

— ქორწილიდან გამოიპარეთ?

— რა ბრძანეთ?

— ქორწილიდან გამოიპარეთ-მეთქი?

— პირიქით, ქორწილში მივედით და შინ არავინ დაგვხვდა.

—ეგ როგორ კაცო, ეგეთი რამე გაგონილა? ქართველმა კაცმა სტუმარი დაპატიჟოს და შინ არ დაუხვდეს, თანაც ქორწილში? ეგ როგორ, დალოცვილო. არ გეწყინოთ და მაგას ვერ დამაჯერებთ. ან ხუმრობთ, ან რაღაც გეშლებათ.

— სწორი ბრძანდებით, ბატონო! ჩვენ შეგვეშალა რიცხვი. ქორწილი გასულ შაბათს ყოფილა, თურმე.

— აგაშენათ ღმერთმა. ძლივს შვებით არ ამოვისუნთქე? (მცირე პაუზა). მაშ უთქვენოდ ყოფილა ქორწილი, ჰა?

—კი. ქორწილიც ყოფილა და ჩვენი იათო დედოფალი სამოგზაუროდაც გაუცილებიათ, კარის მეზობელმა გვითხრა.

— აფსუს?! თანაც ეს ამოდენა ვარდები. თანაც ამ შუა ზამთარში. მაგრამ ეგ არაფერი. ეგეთ უბრალო რამეზე გული არ უნდა დაიწყვიტოთ. თქვენ ჯერ ისეთი ახალგაზრდები ხართ. ვინ იცის, რამდენი ნამდვილი დარდი, რამდენი ტკივილი გელოდებათ ცხოვრებაში. ფრთხილად, შენი... გიჟია, ვიღაცა. აქ გადასწრება შეიძლება? საჭეს ანგლობა არ უყვარს ლიფსიტებო, არა. ოცდახუთი წელია ამ საქმეს ვემსახურები და თვალებიც რომ დავხუჭო, ასიანია, წკიპურტს არავის წავარტყამ, მაგრამ წესი წესია. თვალები დავხუჭო რა, როიალთან ვზივარ, კაცო? მე თვალები დავხუჭო, იმან თვალები დახუჭოს. თქვენ ვიღა გაგიფრთხილდეთ, დალოცვილო. ჩემ შვილიშვილს ვეუბნები, გვანცას. მუსიკალურში სწავლობს, მეცხრეში. ბაბუა, ოღონდ ისე ისწავლე, ტელევიზორში რომ გამოდიან და დაკვრისას, კლავიშების მაგიერ ან ჭერს შესცქერიან, ან თვალებს ხუჭავენ და მთხოვე რაც გინდამეთქი. ის ჩემი მატრაკვეცა კიდევ მეუბნება, მაგას ბაბუ, „ერარის“ ფირმის ელვარე როიალი ჭირდებაო. რაზე მოვყევი ეს ამბავი? ხო, თვალების დახუჭვაზე. მუსიკას უხდება, მაგრამ საჭეს? ამ ლაპარაკში, მოვსულვართ კიდე-ეც.

— სკოლასთან გაგვიჩერეთ.

— ცოტა წინ გირჩევნიათ. აი აქ, მიწისქვეშა გადასასვლელთან. კიბეს ჩაირბენთ და მორჩა. „მზიურში“ მივდივართო, წელან ეგრე არ მითხარით?

ტკაც! გაიტკაცუნა ფოლადის ორმა პაწაწინა ბურთულამ ნინიკოს მუხლებზე, ვარდებთან.

— ინებეთ!

— თქვენი იათო დედოფალი, ღმერთმა სულ განათებული ატარა. მე ვიცი, ვის საფლავზეც მიგაქვთ ეგ ვარდები და პატარა ოჩო[illegible] მისრულეთ. მგზავრობის საფასურში, ერთი ვარდი ჩემ სახელზე მიართვით ამ ნათელხსენებულ კაცს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ოქვენ..

— აბა, ზედმეტი სიტყვა არ გამაგონოთ.

— !!!

— იცოცხლეთ გენაცვალე, გაიხარეთ!

სიცივე მოსძალებოდა ირგვლივ ყველაფერს. საღამოს ბინდში ლურჯად ბრწყინავდნენ გათოშილი ქვაფენილები, ბილიკები... უხმოდ, უჩუმრად დასცქეროდნენ გოგონები. შექირხლული საფლავის თოვლზე გამონათებულ ხასხასა ვარდებს. სულში კი, იმოდენა სინაზე ენთოთ. აისბერგებსაც რომ გაალღობდა უნაპირო ოკეანეში.

* * *

ქარიც უკვე ჩამდგარა, ანა.

მარტო მისი ნაფეხურებილა ატყვია ქუჩას. ცოტას გავივლი. კარგი? რა ვიცი. აბა სად. ბედის საძებრად, „ლონგ აილენდზე“. რამდენი ხანია, გარეთ არ გამიხედავს. დამაცადე. წყალს გადავივლებ და წუთში მზად ვიქნები.

ესეც ასე. მოგწონს, ჩემი უმაღლესი კატეგორიის ფრანგული „კალგოტკები“ ახალთახლები, ნაცრისფერები. სულ სრიალ-სრიალით მიდის ფეხზე. აპლიკაციებიან კოფთას ჩავიცვამ, კარგი? გულთან რომ პაწაწინა ჯიბე აქვს. სტვირი რაღად მინდა. თბილა. ახლა, თმა. დაუდევრად გადაივარცხნი, მაინც თავის ნებაზე იფანტება, მერე ტკაც, და წამში შეკრავ თითო „ბანანით“, ხო. ნახევარი წვეთი „ელიპსიც“; საყურეს უკან და მორჩა. ყველა ურთულესი კოსმეტიკური ოპერაცია ამოწურულია ვირტუოზულად. „ელიპსი“, დეიდა ნანულიმ მაჩუქა და პირობა ჩამომართვა, რომ აუცილებლად ვიხმარდი. დროა, ცოტა „სენტიმენტალური სურნელი“ გიდიოდესო. მე წვიმისა და მინდვრების სურნელი მირჩევნია-მეთქი. კინაღამ გაგიჟდა. საოცრად საყვარელი, ხალისიანი ქალია. დაატარებს ამოდენა ტურისტებს აღმადაღმა და საამური ფრანგულით ღუღუნებს საქართველოს ისტორიას. „საფარის მონასტრის შენობათაგან ყველაზე უძველესია X საუკუნეში აგებული მიძინების ეკლესია. ეს არის უგუმბათო, კამაროვანი გადახურვის მქონე დარბაზი, რომელსაც აღმოსავლეთით აქვს საკურთხეველი. ეკლესია შეაკეთეს და მთლიანად მოხატეს სამცხის ათაბაგის, ბექა ჯაყელის შვილების თაოსნობით XIV საუკუნის პირველ ნახევარში... ანდა, „მუხრან-ბატონთა საფეოდალოს ისტორია, ფაქტიურად 1512 წელს აგებული ქსნის ციხით იწყება. აქ იყო მათი პირველი რეზიდენცია...“ ყვება და ყვება მოუბეზრებლივ. ხო, ზოგჯერ მეც მიყვავარ ხოლმე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღმერთო, როგორ ნიავგივითაა ეს ქურთუკი, რომელიც დამოვერცხლისფრო. ისეთი მსუბუქია, ასე მგონია ჰეფრინდები-მეთქი. რას ამბობ ანა, რაღა დროს ჩექმაა თბილისში. ორ კვირაზე მეტია, უკვე „სანდალებით" დავაბაკუნებთ. გახსოვს, შარშან ზღვაზე რომ დავკარგე ლურჯები და რომაელი პატრიციასავით ამაყად დავბრძანდებოდი „შლოპანცებით", გავიქეცი ახლა. ბედის საძებრად-მეთქი. დანარჩენს მერე მოგიყვები. ონკანი დაკეტილი. სინათლე გამორთული, — კარგია! საძინებელ ოთახში ფანჯარაა ღია. ნუ გეშინია, არ დამრჩება. შენ თვალში მუდამ დაუდევრობის ნიმუში უნდა ვიყო? ოი, ვიღაც ზარს რეკავს. ვნახოთ, „ვის უხმობს, ზარი"! ვის უხმობს...

— გამარჯობათ!

— მობრძანდით!

— ნათია, გენაცვალე, რაღაც მინდოდა მეთხოვა. სულ ერთი წუთით...

— მობრძანდით, ქალბატონო დოდო.

— მგონი მიდიოდი, არა?

— მერე რა მოხდა.

— ლალაა ჩემთან მოსული.

— ლალა?! დაბრძანდით.

— ხო, მეზობელი სადარბაზოდან, ლალაუავაში რომ იხედება.

— ჰო!

— ერთი მოხარშვა უნდა მასესხო. მთელი ქილა მაქვს „პელე", მაგრამ უნალექოა.

— კი ბატონო, სესხება რა საკადრისია.

— არ შეგაწუხებდი ჩემი გოგო, თემო მივლინებაშია და ისეთ არეულ სიზმრებს ვხედავ, ლამისაა ჰკუაზე შევიშალო.

— ნუ გეშინიათ, სიზმრებს უჯერებთ?

— ოი, ამდენი არ მინდოდა.

—ბევრჯერ ჩაახედეთ.

— დიდი მადლობა, გენაცვალე. როგორ გიხდება ეგ ქურთუკი. „ნეკერმანიდან" გადმოსულს გავხარ. ანა რას იწერება, ასე უნდა, თბილისის მიტოვება? დიდი მადლობა. რა ვიცი; რა ვიცი, ისეთ არეულ სიზმრებს ვხედავ, ლამისაა ჰკუაზე შევიშალო. არადა, როგორ ჩავაკითხო იმსიშორეზე.

— ნუ გეშინიათ, ნათელ ჰიქას გისურვებთ.

გესმოდა, ანა? აბა შენ თუ იქნები ასეთი უსათნოესი ცოლი (ღმერთო, მეოხ ეყავ!) ჩემზე უკვე ალარაფერს ვამბობ. რატომაც არა? ბრავო, ანა! გავიქეცი ახლა. სანამ გადამიფიქრები.

გკოცნი, გკოცნი, გკოცნი.

ნათია

30 აპრილი. სამშაბათი.

ანას

ჩემო კარგო ანა, ჩემო ჰკვიანო ანა, ჩემო ლამაზო ანა, მიყვარხარ!

ძალიან, ძალიან, ძალიან...

და მენატრები!

ძალიან, ძალიან, ძალიან...

ხვალვე ვიყიდი ფრთებს და გადმოვფრინდები. არ გჯერა? გაზაფხულზე თბილისში ფრთები იყიდება ხოლმე. ოღონდ, ზღაპრულად ძვირი ღირს და ათასში მხოლოდ ერთი თუ აზერხებს შეძენას. როგორ თუ რატომ. შიშველი ხელისგულით მიტანილ გიზგიზა ცეცხლზე ცვლიან იმ ფრთებს, ანა.

...ის კი ცხრა ზღვის გაღაღმა, ერთ პაწაწინა, ნამცეცა კუნძულზე ცხოვრობს და მისი სული, თურმე ენძელას ფურცლებში კი არ ყოფილა ჩაბუდებული. როგორც მე ვფიქრობდი, დევებით სავსე ქუდში. წოვლენ მერე კეთილი დევები და სწორედ ენძელასფერ თოვლს მოიტანენ მუჰებით. მთელ ქალაქს მქრქალი ფერებით გაავსებენ, ნაზად შეგიბერავენ მის სულს და მოგირჩენენ დამწვარ ხელისგულებს... და უკრავს, უკრავს უნატიფეს სილურჯეში განფენილი თოვლისფერი კაპელა თავდავიწყებით.

ანა, ძალიან გთხოვ არეულდარეული არაფერი იფიქრო. ვეცადე ცოტაოდენი პოეზია მაინც შემეტანა ჩვენს ეპისტოლარულ მემკვიდრეობაში და რთული, ფერადი კონტრაპუნქტი შემექმნა. ეს აუცილებელია ხანდახან. როცა „თაყვანისცემა", „მისალბუნება", „მტლად დადება" აზრს კარგავს, როცა „ნაცარს, დამწვარი ჩიტის და სტვირის" თვალებში გაყრის ქარი...

გუშინ მთელი დღე წვიმდა. სად ვიქნებოდი ნეტავ, შინ, ისე გაავდარდა, ისე გაავდარდა, გეგონებოდა ცა ჩამოიქცაო. მაცინებს და ადრე, უფრო „თავზეხელაღებული" რომ მეთქმოდა, ასეთ თავსხმაში აუცილებლად წავიცელქებდი ხოლმე. მზრუნველ დედასავით გულგახეთქილი დავურეკავდი და შევამოწმებდი, გარეთ არ იყოს გასული, ავად არ გახდეს-მეთქი. როგორც კი ხმას გავიგონებდი, შვებით ამოვისუნთქავდი და იმწამსვე ვკიდებდი ყურმილს. ანდა, როცა ძალიან მომენატრებოდა. ახლა? ახლა ვერ მატყობ, როგორ კატასტროფულად სერიოზული გავხდი. ქვეყანა მე დამნატრის. სხვათაშორის, რამდენჯერმე ჩემი იქ ყოფნისას იგივე „ავანტიურას" რომ შევესწარი, (ეტყობა მთელი საქალეთი მისი ხმის მოსმენას ოცნებობს). ბანალურობად ჩავთვალე და მკაცრად ავიკრძალე მსგავსი თავქარიანული რამეები.

ანა, გინდა გითხრა, პირველად მზის სინათლეზე, სივრცეში რომ ვნახეთ ერთმანეთი. (რომ მახსენდება, მეტირება). მე უჰკუოს, ყოვლად წარმოუდგენელ ამბად მიმაჩნდა, რომ ერთ მშვენიერ დღეს, შეიძლებოდა ქუჩაში ფეხით მიმავალს გადავყროდი. და აი, ის დღეც დადგა. შემოდგომაა, შუადღე. ნაზი, ხავერდივით ამინდი. სწორედ ისეთი, მხოლოდ

თბილისში რომ იცის ამ დროს. ქუჩა ზღვაზე გარუჯული ლალი გოგო-ბიჭებითაა სავსე. ის იყო ამოვირბინე მიწისქვეშა გადასასვლელის კიბე პირველ საშუალო სკოლასთან და ძახილი შემომესმა. იმ ადგილას, დღესაც არანორმალურად მეძახება ხოლმე სმენა. ორჯერ დამიძახა. მოვტრიალდი. მზის სინათლეზე, სივრცეში, პირველად ვხედავდით ერთმანეთს... გული შემიტოკდა და წამით თვალები დავხუჭე. ჭადართან გავჩერდით. მაჯაზე მომკიდა ხელი. რაღაცას უყვებოდა. ვიღიმებოდი და თავს ვუქნევდი. გულს ისეთი ბაგი-ბუგი გამქონდა, ისეთი, ერთი სიტყვაც არ მესმოდა წესიერად, მე რა ვიცი რა დამემართა. ასე მეგონა, ავფრინდები-მეთქი. პირველად მგონი მაშინ მივხვდი, თუ კი საერთოდ შეიძლება ასეთ რამეზე დროის დაკონკრეტება, რომ სიცოცხლესავით დაუთმობელი სიხარული, დარდი, ელდა, თუ რაღაც ყოვლისმომცველი, ძვირფასი და წამლეკავი „საშინელება“ დამტყდომოდა თავს. მსგავს გრძნობას შეჩვეული არ ვიყავი და კინაღამ წავიქეცი. ერთი სული მქონდა, მარტო როდის დავრჩებოდი. ისე დავემშვიდობე, გეგონება პარლამენტის სხდომაზე მაგვიანდებოდა.

იმ უეცარმა შეხვედრამ სამუდამოდ დამიტოვა განცდა, რომ ჩემს ცხოვრებაში რაღაც არაჩვეულებრივად მნიშვნელოვანი, დაუვიწყარი მოხდა. ის დღე ყველაზე კარგი დღე იყო. კრიალა, კრიალა, კრიალა დღე.

მანამდე?

მანამდე ჩვენი ურთიერთობა მხოლოდ სიხარულის, სიხალისის, სინათლის მომნიჭებელ ძალად მიმაჩნდა. ზოგჯერ კი საღამოობით გული ისეთი ნაზი ლტოლვით მევსებოდა, ტირილი მინდებოდა და მეორე დღესვე გავრბოდი სულმოუთქმელად (ნეტავი სად ეცალა ჩემთვის). დაფეთებული გავრბოდი ქარსა და წვიმაში ასი ათასი ტყუილი და მართალი „საქმეებით“ დატვირთული.

ერთხელ დავუსკუპდი ცხვირწინ და ვეუბნები, სტიუარდესობა მინდა-მეთქი. გაეცინა. მე უფრო უარესს ველოდი, მაგას კიდევ არაუშავს, მოევლებათ. ეტყობა, იმ გენიალურ უაზრობად ჩათვალა, რომელიც მხოლოდ ჩემგან იყო მოსალოდნელი. ხშირად თუ გიწევს ფრენა-მეთქი. მაინტერესებდა, როგორი იქნებოდა ცაში ჩვენი ერთად ყოფნა. სავარძელი, რომელზედაც მიყვარდა ჯდომა, „ჯადოსნური“ კარადის გვერდით იდგა. საკმარისი იყო ოდნავ შეხებოდი კარადას და ჭრრრ... იმწამსვე თავისით იღებოდა კარი. რა ჩემი ბრალი იყო, მაინცდამაინც რომ აქ ჩამოვჯდებოდი ხოლმე, ეხუმრები იმსიმაღლეზე გულის ფრიალით ასვლას. ღმერთო, რა კიბე იყო! შევიდოდი და ყველაზე მარჯვედ ის სავარძელი იდგა. როდის-როდის ვითქვამდი სულს. თვითონ, ვითომც არაფერი, შესაშური სიმშვიდით აგვარებდა საქვეყნო საქმეებს/ იმწუთებში რომელიღაც პატარა, მოუთვინიერებელი მხეცივით მიყვარდა. სარკმლის გარედან სულ მტრედებით იყო სავსე. ეგენი აქ ცხოვრობენო, ამიხსნა ერთხელ, სანამ წყალს დამალევინებდა. ცალ ხელში სურა ეჭირა, მეორეთი სარკმელი გამოაღო და ჭიქას გამონავლები წვეთები, კარგი წვეთები იყო ღმერთმანი, ონავარი ბიჭივით გადაუშვა ძირს. ორივეს გაგვეცინა, შეთქმულებივით უხმოდ.

ისე ნაზად მეპყრობოდა, ისე ნაზად... და ჩემგან ყოველთვის უფრო მეტს ითმენდა, ვიდრე სხვისგან. მერე ყველაფერი აირია. („ბუნებას სძულს ხანგრძლივი სასწაულები.“) ტელევიზორის ეკრანზე კადრს რომ ვერ გაასწორებ ფოკუსში და წვალობ.

სამუშაო რომ გამოიცვალა, სარკმლიდან მოპირდაპირე სახლის რიკულებიანი, პაწია აივანი მოჩანდა მარტო. მტრედები აღარ ცხოვრობდნენ. იქ უკვე იშვიათად დავდიოდი. მხოლოდ ათასში ერთხელ.

ზოგჯერ მეჩვენებოდა, სამყარო დაინგრამეთქი. მაგრამ ყველაფერი ისევ ისე ფეთქავდა, ცოცხალი იყო და ყოველწუთს, ყოველწამს, ყოველდღე, კვლავ აუტანლად მენატრებოდა. „მენატრებოდა?“ თითქო ახლა სხვაგვარად იყოს.

სტიუარდესობა მინდა-მეთქი, როცა გამოვუცხადე, იმ ვიზიტიდან, ერთი კვირის შემდეგ შევხვდით ერთმანეთს. მას ალბათ უკვე ცაში ვეგონე, მე თეატრალურ ინსტიტუტთან ვიდექი გაჩერებაზე. მოულოდნელად გამოჩნდა. ეტყობა, ან თეატრიდან გამოვიდა, ან ინსტიტუტიდან. ღმერთო, როგორ გამეხარდა! ასე მეგონა, გული აღარ მიცემს-მეთქი. კინაღამ გავიქეცი და კისერზე ჩამოვეკიდე. ყინვაში ფეხით სეირნობა, მის ხელწერას არ ესადაგებოდა და ამან სულ შემშალა ჭკუაზე. ლალ, ამრევ ბიჭს გავდა თავშიშველი. პალტოგახსნილი... ზეგ პრემიერააო, ღელავდა. თეატრი ქვეყანას ერჩია. ვიღაც გოგოები მიესალმნენ. ეგენი საპრემიერო სპექტაკლში მღერიანო. ჩემი „საფრენოსნო“ საქმეებიც შემახსენა. არ მიმიღეს-მეთქი, ხელი ჩავიქნიე. ასეც ვიცოდი, აქ გირჩევნია ჩვენთან, მიწაზე გირჩევნიაო, ცოტათი მომეფერა და შული ნაბიჯით გაუყვა შეჭირხლულ ქუჩას. მანქანა, ალბათ ოპერის პატარა ბაღთან უცდიდა. თვალის გაყოლება ვერ შევძელი. შემოვბრუნდი და კინაღამ ტირილი მოვრთე. უფროსები დღესასწაულზე რომ გაგეპარებიან და მარტოს მიგატოვებენ შინ, ისეთი რაღაც დამემართა და კინაღამ ხმამაღლა ავტირდი შუა ქუჩაში. ყინავდა. მეორე დილით, ძველი ახალი წელი თენდებოდა. ძველი ახალი წელი და ქართული თეატრის დღე. ფერადი აფიშები, პაწაწინა ციცინათელებივით ანათებდნენ იქაურობას და უჩ-

ვეულო სიხარულით, შვებით მივსებდნენ გულს.

აი ხომ ხედავ, ანა. შენ კიდევ აგიჩემებია მარტოობა, მარტოობაო. როცა ერთგულებისა და მონატრების ამოდენა სხივები კიაფობენ, როცა... არა, არ ვტირი. ნუ გეშინია, ყველაფერი მოგვარდება. ყველაფერი კარგად იქნება. აბა, ასეთი სიცოცხლესავით დაუთმობელი, გაუქარვებელი რამეები რომ არ არსებობდეს ქვეყნად, რითი გინდა, ისულდგმულო ადამიანმა; ნუ გეშინია-მეთქი. განწყობილებაც კარგი მაქვს და მაჯისცემაც. შაბათს კინომსახიობთა თეატრში ვიყავით გოგოები. „ჩვენი პატარა ქალაქი“ ვნახეთ. ო, ამინდებს ნულარ იკითხავ. კამკამა დღეებია. ეხუმრები, აპრილი იწურება.

ანა, გეხვეწები ჩემზე არაფერი იდარდო, კარგი? მოგიკითხეს გოგოებმა. გკოცნი.

ნათია

## 13. ნუ გაბრაზდებით, ზევახ!

მატრაბაზმა მეგიმ, გინდა თუ არა, თოვლში მინდა დაბადების დღე, ჩვენ აგარაკზე ავიდეთო. რაც იქ ცეცხლის დანთებაზე ვიწვალეთ. მთელი საღამო თოვდა კიკეთში და სარკმლიდან ყველაფერი მთვარით განათებულს გავდა — აივანიც, ცაც, მიწაც, ხეებიც. გურამმა მოგვიანებით ამოგვაკითხა. მეგის უფროსმა ძმამ. თან ერთი კალათბურთელივით მაღალი ტიპი ახლდა. ეს სასიამოვნო ჯენტლმენი ჩემი მეგობარი გახლავთო და ტყიდან მოსულივით ეტაკა სუფრას. ტაში და ემოციები საჭირო არ არისო, აგვიხსნა სტუმარმა და თვითონაც ჩელად მოშინაურდა. ცოტათი სული რომ მოითქვეს, გურამმა ისე უცებ აიფარა თვალებგანთებული მგლის ნიღაბი, უნებურად ყველამ შევკივლეთ. — ნუ ფრთხებით მხდალებო წითელქუდას ზღაპრიდან ნამცეციც არ მახსოვს!-ო, გაიცინა და ახლა თოვლივით ყურცქვიტას ნიღაბი შეათამაშა ხელში. გამაგებინეთ, კარნავალია თუ ჩემი დაბადების დღეო, პირგამეხებული მგლის დანახვით დაფეთებულ ბაჭიას გულში იხუტებდა მეგი და ცეკვავდა. ყველანი ვიცინოდით და ვცეკვავდით.

„და როცა სუფრას აღარ შერჩა ერთი კაციცა, როცა ლავაშით დახურული ხეფაც დაიქცა, როცა დაიმსხვრა სასმურები და დაილია, მაშინ გულბაათ ჭავჭავაძე გადაირია...“ გრგვინავდა ბოლოს გურამი და შამპანურის ცარიელი ბოთლები ბზრიალ-ბზრიალით ცვიოდა თოვლში. „ბატონიშვილო, ეს ჭინჭილა გადაგრჩათ მარტო!“ — წაიმღერა მეგიმ და თიხის მოჭიქული, პატარა ხურა მიაწოდა. ლოთიფროთმა თამადამ ჯერ მეგის აკოცა, მერე ხურას, მერე ყველას სათითაოდ მოგვესიყვარულა და ზევახის კოპწია „ყინულმჭრელმა“, როგორც იქნა აუშვა ღუზა — ხრული ხვლით, თბილისისაკენ! უკან ხუთნი ვისხედით და გურამი სულ გინებით იკლებდა ინსპექტორებს. ეროვნული ბიბლიოთეკა წაფეებივით სათითაოდ ჩამოგვარიგეს სახლებში. იმ ღამით, ქალაქშიც თოვდა და არაჩვეულებრივად ლამაზი იყო იქაურობა.

მერე ზევახმა, რამდენჯერმე კინოში დაგვპატიჟა გოგოები. რაც მართალია მართალი, მუდამ პრინციპით ეჭირა თავი. ერთ მშვენიერ საღამოს კი საგანგებო პატივი მხვდა წილად, „ოტელოს“ პრემიერაზე მიმიპატიჟა. სიამოვნებით წამოვიდოდი, მაგრამ თეატრი არ მიყვარს, საერთოდ ვერ ვიტან თეატრს-მეთქი, ვიცრუე უსინდისოდ. არ ვიცი, დამიჯერა თუ არა, მაგრამ მას შემდეგ აღარსად გამოჩენილა. ამასობაში ზამთარიც მიიწურა და ერთ დილით თვალი რომ გავახილე, უკვე ძალამოსილი გაზაფხული ციმციმებდა სარკმელში. შინ რა გამაჩერებდა. ღმერთო ჩემო, რაღა გამაჩერებდა შინ, როცა ქვეყნად ამოდენა სიხარული იყო.

დეიდა ნანულისგან მოვდივარ. ზოგჯერ, ხეტიალით როცა დავიღლები, თუ შინ დამხვდება, სულს იქ მოვითქვამ ხოლმე. ნანულისგან მოვდივარ, პერგამენტში გახვეული „სინაზე“ მიჭირავს და ტაქსს ვეძებ. აბა რა სახალისოა ქუჩაში ნამცხვრით სიარული. თან გაზაფხულია, თან გული ათასი კარგი რამით გაქვს განათებული. ნანულიმ კი, შინ თუ არაფერი გაგატანა, ავად გახდება, იმ ღამით არ დაეძინება. ხოდა ჩამოვდივარ პეტრიაშვილის დაღმართზე, თვალით ტაქს ვეძებ და ვნატრობ... ო, არა, არ შეიძლება... გაზაფხულო, არ გათვალო ჩემი სიხარული! ... ჭადრებთან როგორც მივედი, ძახილი შემომესმა. სიფრიფანა, მოხუცი ქალი გადმომდგარიყო ღია სარკმლიდან. ეტყობოდა, ფეხისწვერებზე იდგა. ვარდისფერი „ჩეფჩიკი“ ეხურა და შუბლზე აწეულ სათვალეს ცალი ხელით იმაგრებდა. მკრთალად მოჩითულ ფანელის ხალათში იდაყვამდე მოუჩანდა გამხდარი მკლავი. — შვილო, შენ გახარებას, რა დღეა და რა რიცხვია მითხარი გენაცვალე, თორემ სულ ამერ-დამერია ყველაფერიო. 28 აპრილია ქალბატონო, ორშაბათი-მეთქი. მოულოდნელად, ვიღაც ფრთხილად შემეხო მხარზე. მოვტრიალდი, — ზევახ?! — ძმაკაცთან ვიყავი ღვინის ქარხანაშიო. იმ ფანჯარაში, ერთი მოხუცი, მარტოხელა ქალი ცხოვრობს და ლამის ავაკითხო-მეთქი. — ფანჯარაში ცხოვრება არ შეიძლებაო, გამანათლა და თავისი მანქანისაკენ გადამიყვანა ჭადარქვეშ. მერე რამდენიმე უმნიშვნელო ფრაზა ვთქვით. რა საშინელებაა, როცა ადამიანთან მხოლოდ მოდასა და ამინდზე შეგიძლია ილაპარაკო-მეთქი, გავიფიქრე გულში და ის იყო წასვლა დავაპირე, რომ უცბად, ეს თითქმის უცხო და ყიჩაღივით მოულოდნელად გზადშემოყრილი კაცი, ყოველგვარი უვერტიურის გარეშე მეუბნება, ცოლად გამომყევითო (ღმერთო, მაინც რა

წამლეკავი ძალა აქვს გაზაფხულს). კინაღამ გამეცინა. მკაცრი მასწავლებლის ინტონაცია ჰქონდა. კეთილშობილ ქალთა სასწავლებლის დასჯილ მოწაფეს რომ მიმართავს დირექტორი, დაახლოებით ისეთი. ცელქობის გუნებაზე დავდექი. რაც შემეძლო სერიოზული გამომეტყველება მივიღე და ნაზად, ამაყად განვაცხადე — სამწუხაროდ, დაგაგვიანდათ ბატონო ჩემო, უკვე გავთხოვდი-მეთქი. სტყუითო, არ დამიჯერა. ტყუილი რა საკადრისია-მეთქი და უნებურად, ისეთის კაცის გვარი და სახელი წამომცდა, ელდით კინაღამ მე თვითონ წავიქეცი. ბედზე, საქარე მინა იყო გამოღებული და იმ ციცქნა „რაფას" დავეყრდენი. რას მეუბნებით, აქამდე რატომ არ გამიგიათ, აშკარად ტყუილად გაიკვირვა.

— დიახ და ჩვენ, ძალიან გვიყვარს ერთმანეთი. — უკან დახევა უკვე აღარ შეიძლებოდა.

— ერთმანეთი და „სინაზე", არა? — აქეთ გადმოვიდა იერიშზე. „სინაზე" წეღან შევთავაზე და ახლა ისარგებლა.

— ო, არა. ჩემი ქმარი ტკბილეულს ვერ იტანს. თქვენ არ იფიქროთ, რომ დიაბეტიკია. უბრალოდ, ვერ იტანს. კაცია და გუნება. დიდი-დიდი, საახალწლოდ ერთი ბეწო გოზინაყი მოციცქნოს. აი ფორთოხალი კი ძალიან უყვარს.

— კიდევ? — ის სიცილს ძლივს იკავებდა. მე ცრემლს.

— ა?

— კიდევ? — ის სიცილს ძლივს იკავებდა, პიკულ, უკაცრავად, ეგზოტიკურ ქმარს ნინიკო, გენაცვალე?

— შინ რომ დროზე ვბრუნდები. ჩვენ ერთად ყოფნა ქვეყანას გვირჩევნია. — რაც ძალა და ღონე შემწევდა, ვითომც გულის გასახეთქ რამეებს ვიგონებდი. — გავიქეცი ახლა, თორემ ძალიან დამაგვიანდება.

— დაჯექით, მიგიყვანთ, სხვათაშორის, ვიცი თქვენი ქმრის ბინა, ჩვენი პროექტია. (წამდაუწუმ ამ „ქმრის" ძახებამ ხომ, სულ მომიღო ბოლო. მეტის ღირსი ვარ. რატომ უარესი არ დამემართა).

— იცით...

— დაჯექით, დაჯექით. ხუთიოდე წუთში შინ იქნებით.

— არ გეწყინოთ და მანქანით მგზავრობა არ მიყვარს. ალერგია მემართება ხოლმე.

—ალბათ, განსაკუთრებით მაშინ, როცა თვალსაც არ ახამხამებთ, ისე აფრქვევთ ფერად-ფერად ტყუილებს არა?

— ვინ მოგახსენათ, ტყუილები! — ატირებას აღარაფერი მაკლდა.

— ჩუმად, ხმა აღარ გამაგონოთ! — (კვლავ მკაცრი მასწავლებლის ინტონაცია). — ბოლოს და ბოლოს, ჩემთან ბავშვი ხართ და ასეთი რამ არ უნდა გეკადრათ. სხვა დროს განახავთ, შინ განახავთ და იქ მოგელაპარაკებით პატარა, ცრუპენტელა ქალბატონო. — ღიმილით გამომიწოდა ხელი და სწრაფად ჩაჯდა მანქანაში. უკან, უცხოური ჟურნალები და სამგზავრო აფთიაქის პაწაწინა, თეთრი ყუთი იდო.

გავიდა ერთი კვირა.

გაცხარებულ დიასახლისობანაში ვარ. ტახტზე, თავდაყირა შეყრილი სკამები, აბაზანაში — სარეცხი. მტვერსასრუტი, იატაკის საპრიალებელი, მაგნიტოფონი და ათასი ეშმაკი, სულ ჩართულ-აზუზუნებული. ზარის ხმა ძლივს გავიგონე იმ არაჩვეულებრივ პოლიფონიაში. ვიფიქრე, რომელიმე მეზობელი ავიკელი და საყვედურისათვის ამომაკითხეს-მეთქი. სანამ კარს გავაღებდი, პირჯვარი გადავიწერე. მე რომ გატიალებული იღბალი მაქვს, ტყუილია. კინაღამ ბრაზით დავიხრჩვე. მოდი ახლა და, თუ შნო გაქვს ნარნარად გაიღიმე. ჭეშმარიტი მასპინძლის თავაზიანობით გაიღიმე. მობრძანდით! — ისე წავიბუტბუტე, მე ძლივს გავიგონე ჩემი ხმა. ძალიან იდილიურ კადრებს ნახავთ და ყურადღებას ნუ მიაქცევთ-მეთქი, ნანატრი სტუმარი წინკარშივე გავაფრთხილე, სანამ მიხაკებს მომაწვდიდა. სკამები სასწრაფოდ ჩამოვდგი ტახტიდან, დასაჯდომი ადგილი მოვცალე. მერე პატარა, დაბალი მაგიდა საბეჭდი მანქანიანად და ათასი წვრილმანიანად ტახტთან მივაჩოჩე და ყავის ფინჯანი მოვარბენინე. ცოტათი რომ დავამსგავსე იქაურობა სახლს, მიხაკებიანმა ლარნაკმა ხომ სულ გაგვანათა, ერთი წუთით-მეთქი. ვითხოვე ნებართვა და წისქვილი ჩავრთე სამზარეულოში. ბოლომით გული თუ არ გამისკდებოდა, არ მეგონა. ჩვენ იმდღევანდელ შეხვედრას საგაზაფხულო ხუმრობად ვთვლიდი, ეს კიდევ... მოდი ახლა და როგორი გოგო ხარ უთხარი — იცით, ამქვეყნად არსებობს ადამიანი, რომელიც სიცოცხლეს, თავს მირჩევნია და სანამ მირჩევნია, სხვა ყოველივე უმნიშვნელოა ჩემთვის. — ეხუმრებით, ასეთი რამის ხმამაღლა გამოცხადებას. ნახევარი ყავა გადმომივიდა.

— მიირთვით!

— გმადლობთ! ნინიკო!...

— ბატონო?

— ...შეიძლება, მოვწიო?

— რა თქმა უნდა. — საფერფლე მივურბენინე.

— აგიკელით.

— რას ბრძანებთ.

— !!!

აბოლებულ სიგარეტს მოხდენილად ფერფლავს. შაჰ-აბასის „ოქროს ქოშის" ჭვინტზე.

— შირლი ვერეტი მოგასმენინოთ?

— არა!

— იშხნელები?

— ნინიკო! ..

ორივენი უნიჭო მსახიობებს ვგავართ. ეტყობა მაშინ, მელვინე ძმაკაცმა რაღაც „ჭოჭო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხეთური“ დაალევინა. თუმცა, ნაკლებად არც მე გავკრეფილვარ ენად. ახლანდელ ქცევას, ფამილარობის ნატამალიც აღარ ეტყობა. საშინელ დაქანცულობას ვგრძნობდი. ზედმეტად როცა ვიძაბები, მაშინ მემართება ხოლმე.

— ნინიკო!

— ბატონო?

— გამომყვებით ცოლად, თუ არა?! — ო, როგორ განსაცვიფრებლად ზვიადი ფრაზა იყო.

— შეიძლება, ერთი თხოვნა შემისრულოთ?

— რა თქმა უნდა.

— მარტო დამტოვეთ და აღარასოდეს მოხვიდეთ აქ.

კარი რომ მივხურე, იქვე ჩავჯექი იატაკზე. ნიკაპით მუხლებს დავეყრდენი და თვალდახუჭული შეგეხვეწეთ, გულში შეგეხვეწეთ, — ნუ გაბრაზდებით, ზევახ!

## 16 მაისი. ხუთშაბათი.

### ანას

ასე მგონია, მთელ თბილისს იასამნის სურნელი უდის-მეთქი. ყოველ ნაბიჯზე დააფრიალებენ და მაშ რა იქნება. და კიდევ, მარწყვის. რძეში გარეცხილი მარწყვის.

წლევანდელა საპირველმაისო დღესასწაული, მე და შენი საკუთარი დღესასწაული იყო, ანა. ღმერთო, როგორ მოულოდნელად დამადექი თავზე. სხვათაშორის, ექიმმა მაგდენი კი უნდა იცოდე, რომ ასე შეიძლება, სიხარულით გული გაუსკდეს ადამიანს. ვარდის ლიქიორიც ხელუხლებლადაა და საწოლთან ჩამოკიდებული ფერადი ბურთებიც. როგორც აეროპორტში წასვლის წინ დავტოვეთ. რას უნდა ვაკეთებდე. მთელი კვირაა, სტრიქონი არ დამიწერია. ამ სკოლელმა გოგოებმაც ხომ, სულ აიკლეს აქაურობა. ჯერ იყო და, მარტი დადგა თუ არა, ჰაიჰარა დაიხადეს ჭრელ-ჭრელი „გამაშები“ და თვალში ნაზამთრალი, დაფეთებული კვიცებით აბაკუნეს სალამურა ფეხები. ახლა ეს ფერად-ფერადი ნიავა ქურთუკები, ქათქათა წინსაფრები და მაქმანიანი საყელოები ხომ სულ აგირევს თავგზას. ისეთი კარგები არიან, გინდა რომ ყველას მიეფერო, რაღაც სასიხარულო უთხრა.

კინოთეატრ „რუსთაველთან“ ვდგავართ. გავიხედეთ და ჩანთების ფრიალ-ფრიალით მოდიან ხუთნი. ეტყობოდა, პირველსკოლელთა დასი იყო. ხუთივენი კოხტა გოგოები ჩანდნენ. აფიშას დაუწყეს თვალიერება. „ქირვეულის მორჯულება“ გადიოდა. ბილეთებზე ბაია გვყავდა შეგზავნილი. ერთმა მოულოდნელად ხტვენა წამოიწყო. ყური მივუგდე. ძლივსძლივობით გამოჰყავდა მელოდია. მაინც ჯიუტად უსტვენდა. მერე თმაშეკრეჭილი წამოეშველა. მართლა გვარიანად წამოეშველა და გამოუვიდათ კიდეც. „ლუქსემბურგის ბალს“ უსტვენდნენ. ეშხიანი სანახავები იყვნენ. წავედითო, ბელადივით სხარტად დაიძახა უცებ ცისფერშარფიანმა და ლაღად გაუყვნენ ქუჩას. კინაღამ უკან გამოვედევნე იმ პატარა, მოხეტიალე „მუსიკოსებს“. თან სალექ რეზინას ინაწილებდნენ გზადაგზა. ახლა მზეში მორიალებული ამოდენა წყვილები?! სუნთქვაშეკრულები, თავბრუდახვეულები, ატკრციალებულები... ერთი სული მაქვს გავიქცე ქალაქის მთავარ მოედანზე და მოპასანის არ იყოს, ხმამაღლა, ყველას გასაგონად ვიყვირო: — მოქალაქენო, ფრთხილად! ფრთხილად, ფრთხილად, ფრთხილად, გაზაფხულია! გუგუნებს, გუგუნებს, გუგუნებს გაზაფხული! შენ კიდევ მეკითხები, რას აკეთებო. როგორი გოგო ხარ, დაჯექი ახლა შინ და იმუშავე. უსინდისოდ ვთაღლითობ, ანა. თუმცა, შენ თვალში არც არასოდეს ვყოფილვარ კორექტულობის ნიმუში.

## 15. დიალოგი სარკესთან

— მოხვედი, ნინიკო?

— მოვედი.

— დაიღალე?

— რა დამღლიდა, მე ხომ ფრთები მაქვს.

— აბა, კაბას რატომ არ იცვლი?

— ცოტა ხანს ვიქნები ასე.

— რა ცხელი შუბლი გა-აქვს ... მომეყრდენი, მომეყრდენი. ნუ გეშინია, არაფერი მომივა.

მოულოდნელად უკრავენ მოცარტს ... უნაზეს პროფილს, მარაოს მკრთალი ჩრდილი ეცემა ... „ნუთუ ამ სულის წადილსაც, რქვა სიყვარული სხვათაებრ ...“

— ნინიკო!

— ა ?!

— გეყოფა მატრაბაზობა. მარაო და დუელი მომინდომა, ქალბატონმა.

— კარგი დაუნდობელი ვიღაცა ხარ.

— დაგავიწყდა, დაშაქრული მარწყვი რომ გელოდება.

— მოიცა, ჯერ წყალს გადავივლებ.

— გამხდარი მხრები კი გაქვს, მაგრამ საოცრად გიხდება, ეგ საპლიაჟე ხალათი.

— ნუ მაქებ, თორემ გავთამამდები.

— ო, შენც ახლა ურთულესი ავანტიურა არ შემისრულო ვირტუოზულად.

ნუ მენატრები, ნუ მენატრები, ნუ მენატრები... გეხვეწები, ნუ მენატრები!

## 9 ივნისი. კვირა

### ანას

საღამო მშვიდობისა, ჩემო ქალბატონო!

შენმა წერილმა დაიგვიანა, რატომ?! შემატყობინე როგორ ხარ, თორემ დარდით მოვკვდები. მე ჩვეულებრივ ვცხოვრობ. გოგოებიც კარგად არიან. მაიკო მგონი თხოვდება. ერთი ბიჭია, დაჩი, ფსიქოლოგიის კათედრის ასპი-

რანტი და იმას მიყვება. რა ვიცი, ალბათ მოწონთ ერთმანეთი. ჩოგბურთის კორტებზე დადიოდნენ ორივენი. დედამისმა გიყვარდეს, სცენები მართა. ჩემი შვილია გენაცვალე უჭკუო, თორემ ცხვირმოუხოცავ ასპირანტს ამ მასკარადზე როგორ დათანხმდებაო. ამხელა გოგომ იმდენი კი უნდა იცოდეს, ქალის ბედნიერებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ქმრის ტიტულს და ჯიბეს რომ აქვს. ბაზარში, ერთ ყვავილს რომ ვერ იყიდის დაუფიქრებლად, მერე მიხვდება ყველაფერს და გვიან იქნებაო. საწყალი, ნომენკლატურულ ფენებზე ოცნებობდა და ხომ წარმოგიდგენია რა დღეშიც იქნება. მაიკომ, მსგავს მეშჩანურ აზრებს ანგარიშს ვერ გავუწევო და სულ ღიღინ-ღიღინით ემზადება დუნაისპირეთში სამოგზაუროდ. დაილაპარაკებს თუ არა, იმწამსვე მიხვდები, როგორი გახარება და სილაღე აქვს ხმაში. აბა დედამისის აუტანელ პრანჭვას თუ ყური უგდო მუდამ რაღაცას უნდა უხადოს ხარკი. — ჩვენი ახალი მანქანა ადრიატიკის ზღვის ფერია, გენაცვალე! — ვიღაცა დუდანას ეტრაბახებოდა იმდღეს ტელეფონით ქალბატონი ნანა, გიჟდება, მასთან ყველა რომ ქვეშევრდომულ დამოკიდებულებაშია. მაიკოს შერცხვა და მთელი ხმით აუწია მაგნიტოფონს.

ხო, მართლა, კინაღამ დამავიწყდა, ბაიას სტუმარი ყავდა ტალინიდან, ელინორე. განსაცვიფრებლად თბილი, კარგი გოგო. სამი დღე დარჩა. სულ ნაბიჯ-ნაბიჯ მოვატარეთ აქაურობა. გვინდოდა, რაც რამე სანახავი იყო, ყველაფერი ენახა. აბა რა, მთაწმინდაზეც ავიყვანეთ და მეტეხზეც. მეტეხის გადმოსახედიდან ის ადგილიც კი დავანახვე რიყეზე, უწინ ჩვენი სახლი რომ იდგა, მთელი ბავშვობა რომ ვცხოვრობდით. (ახლა კი როგორი აუტანელია, ის უნიჭოდ გაშენებული „სოფელი“). ქარვასლაც ვაჩვენეთ, მარიონეტებიც, სიონიც, ორბელიანთუბანიც. „სიხარულის“ სასახლე, კამკამა უნივერსიტეტი, ყავახანა, აღმოსავლური საშაქარლამე, ლაღიძის წყლები. ყველგან შევახედეთ, ყველაფრის გემო გავასინჯეთ. ჩემი არ იყოს, მასაც ჩიტივით ციცქნა ულუფა ყოფნიდა. „დედაენისა“ და „ბალადის“ მნახველმა, კინაღამ იტირა. არ ვიცი, როგორ უნდა მოეფეროო ერს, წიგნს და ლექსს რომ ძეგლებს უგებსო. ბალადის შინაარსი რომ მოვუყევით, მართლაც, დედამიწის ზურგზე, თუ მოიძებნება მეორე ქალი, შვილის მკვლელის დედასთან მიდიოდეს სამძიმარზე, გვთხოვა, თუ შეგიძლიათ ქართულად წამიკითხეთო. ბაიას მეტი უნდოდა? იქვე სულ ზეპირად ჩამოარაკრაკა მთელი „ვეფხვი და მოყმე“. ისე შეიჭრა როლში, ნესტანის წერილის წაკითხვაც დააპირა. მთლად თათია ხაინდრავობას ნუ მოინდომებ-მეთქი, შევეხვეწე. „ან თავსა კლდეთა ჩავიქცევ, ანუ მოვიკლავ დანითა“, მანამდე უშეცდომოდ იცის, მაგრამ მერე წამდა-უწყუმ შეხსენება ჰირდება ხოლმე. ადრე მეც მეშლებოდა, ახლა ერთ[illegible] სუნთქვით ვამბობ. ზაზა არ იყო ქალაქში, თორემ ჯვარს და საგურამოსაც ვაჩვენებდით ჩვენს სტუმარს. ხმამაღლა ნათქვამად ნუ ჩამომართმევთ და ყველანი ძალიან მიყვარხართო, აეროპორტში გვითხრა ელინორემ. კიდევ ის გვითხრა, ოღონდ აეროპორტში კი არა, უნივერსიტეტის წინ, პატარა კაფეში, თქვენი თბილისი მართლა თბილი და არაჩვეულებრივია, ცოტა ყვავილები და შადრევნები რომ არ აკლდესო. გეგონება ჩემ გულში მჯდარიყოს. შემდეგი სტუმრობისას, არიზონის შტატში, „შადრევანთა ბორცვზე“ რომ 170 მეტრიანი შადრევნები ჩქრიალებენ, ისეთს დაგახვედრებთ მთავარ მოედანზე-მეთქი, ხუმრობით დავაიმედე და ფორთოხლის წვენით სავსე ჭიქები მივაჭახუნეთ დარდიმანდულად.

შენ მენატრები, ანა. და კიდევ — ზღვა. ერთი სული მაქვს, როდის დადგება სექტემბერი. აუცილებლად ისეთ სასტუმროში დავბინავდეთ, ყველა სარკმლიდან ზღვა მოჩანდეს და ტალღების ხმაური ძილშიც კი ჩაგვესმოდეს, კარგი? ღმერთო, რა სიხარულია.

მომწერე ახალი ამბები. გკოცნი.

## ნათია

## 16. აფთიაქარი

შვიდ ათეულ წელზე მეტს, ბევრი ვერაფერი დაუკლია, ბატონი ჯუანშერ გელოვანის მხნე აღნაგობისა, ხალასი სიბრძნისა და ნათელი იუმორისათვის. ჭეშმარიტი ქართული თავაზიანობით შემოგეგებებათ. ფაქიზად, სადად ჩაცმული. ლორდივით დახვეწილი მანერებით.

... ფაიფურის ლარნაკში თეთრი ტიტები აწყვია. ლურჯი შორენკეცებით მოპირკეთებული ბუხრის თავზე, მკრთალად შეფეთქილ სახატე ნიშში რამოდენიმე პორტრეტი მოჩანს. მასპინძლის პირმშვენიერი მეუღლე, როდამ გელოვანი, დავით აღმაშენებელი, ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილი. სარკმლის მოპირდაპირედ მდგარ მაგიდას, იაგუნდებამოქარგული ზღვისფერი სუფრა ამშვენებს. იქვე „ვეფხისტყაოსანი“ გაუშლიათ. წიგნები, წიგნები, წიგნები... იატაკიდან ჭერამდე, კედლიდან კედლამდე, მოვლილი, ნასათუთები სართულები. მსოფლიო საგანძურის უიშვიათესი, უნიკალური გამოცემები.

მოვერცხლილი ზარის გაწკრიალებაზე, ათიოდე წლის „პატარა უფლისწული“ ჩნდება ზღურბლთან, ზღაპრიდან მოსულივით. — ორი ყავა, თორნიკე ბატონო! — ადმირალივით ზვიადად ბრძანებს მასპინძელი და უთბილეს ღიმილს დაადევნებს კარს იქით გაუჩინარებულ ნათელთვალება ბიჭს. — მესამე სი-

ცოცხლეა! — იტყვის ამაყად და ფიქრიან მზერას მიაპყრობს მუსლინის ფარდებს მიღმა ახმაურებულ ქუჩას. თავისი საქმის ნამდვილი ოსტატი, ათასის ტკივილის მტლად დამდებელი, მოსალბუნე და მოჭირისუფლე.

## 28 ივნისი. პარასკევი.

### ანას

გუშინ მივიღე შენი წერილი, ანა. იცი, როგორ გამეხარდა? სიხარული! — მართლა, რა კარგი სიტყვაა. გეგონება პაწაწინა ციცინათელა ციმციმებს სულშიო. და როგორ ნამცეც-ნამცეც გვეძლევა იგი.

კონვერტი რომ გავხსენი, მომეჩვენა, ასოები ერთმანეთში ირევიან და ჭერისკენ გარბიან-მეთქი. მერე ჭერმა და კედლებმაც დაიწყეს რწევა. გაუხდელი მივწექი ტახტზე. ისეთი გრძნობა მქონდა, თითქო ქარიშხლიდან გარიყული, სადღაც შორს, უკაცრიელ კუნძულზე ვიყავ. რა უნდა მომხდარიყო. ო, არაფერი. ახლა ჩვეულებრივზე ჩვეულებრივი დილაა. ვზივარ უსმელ-უჭმელ-უძინარი, ვგევარ სტიქიურ უბედურებაში მოყოლილს და შენთან ლაპარაკით ვიოხებ გულს. აივანთან მდგარი თუთის ხე კი, ანა კალანდაძის ლექსის უზუსტესი და უცოცხლესი დეკორაცია, ისე მოილტვის ჩემი სარკმლისაკენ, ლამისაა მართლა სახლში შემოიჭრას. საყვარელი ასოციაციების პოეტია, არა? ნუ გეშინიამეთქი, რა უნდა დამმართოდა ნეტავ. ნუთუ შეიძლება, მე კიდევ რამე დამემართოს, ანა.

რამდენჯერ მინატრია, ღმერთო, წამით მონაკვრევინე თვალი იმ ქალისათვის, მას რომ უხარია-მეთქი. დარწმუნებული ვიყავი, ეჭვი და წვრილმანი გრძნობები ჩემთვის უცხო იყო. თურმე, რამოდენა ტკივილი კი ყოფილა — დოლაბივით მძიმე. მხოლოდ წამით შევავლე მზერა. ერთადერთი, რაც დამამახსოვრდა, ცხენისკუდივით შეკრული თმა იყო. თეთრი „ბანანით" შეკრული. სწორედ ისე, მე რომ ვიკეთებ ხოლმე. სასაცილოა, არა? ჩემი და იმ მანდილოსნის გემოვნება, ზოგიერთ „უმნიშვნელო" ამბებში, ეტყობა განსაცვიფრებელი სიზუსტით ემთხვევა ერთმანეთს. არა, მე ეჭვი გულშიც არ გამივლია. მხოლოდ შემშურდა. ო, როგორ შემშურდა! კინაღამ იქვე ავტირდი ხმამაღლა. ამაყად გაიარა. ზედაც არ შემოუხედავს. ანდა, რატომ უნდა შეეხედა ვიღაც ჩვეულებრივი გოგოსათვის, როცა ღმერთივით კაცი ახლდა გვერდით.

ესეც ასე, ანუკი. („გრიგალი რაა, ამომძირკვავს ნერვებიც ქროლა").

უხმოდ, უჩუმრად მიირწევიან დღეები. საითაც არ უნდა გაიხედო, საიმედოს ვერაფერს ხედავ და ზოგჯერ იმდენს ფიქრობ, ფიქრობ, თვალებიც კი გტკივა, ფიქრით. და მაინც, კარგი და განსაცვიფრებელია სიცოცხლე.

განსაცვიფრებელია აბა რაა. მწყურვალს პირთან მიტანილი ჭიქა ჰაერში რომ გიშეშდება — ნეტავ, ხომ არ სწყურია?! ანდა როცა ზამთარში, ლურჯად შეჭირხლულ ქვაფენილებზე, გათოშილ მავთულებზე შეყუყულ ჩიტებს გაჰყურებ სარკმლიდან, უნებურად ხელისგულით მოსინჯავ რაფის გასწვრივ თბილ რადიატორს და მოულოდნელად გულუბრყვილო, სასაცილო დარდით აგიწრიალდება გული — ნეტავი, ხომ არცივა მათთან. სწორედ ორი დღის წინ არ იყო, სამზარეულოში რომ იჯექი მობუზული გაზქურის იმედად და ონკანიდან ჩამოსულ წვეთების გაბმულ მელოდიას რომ უგდებდი ყურს მთელი საღამო. ვითომ გაზაფხული მოსულიყო და ყინულის ლოლუები მღეროდნენ სახურავზე. უჰკუო, ასე მხოლოდ დედამ შეიძლება იდარდოს შვილზე. გაგონებაც არ გინდა. შუბლით ეყრდნობი სარკმელს. ათასი კარგი რამის მოლოდინით გიფრთხიალებს გული და შენი აჩქარებული სუნთქვა, პაწაწინა ლაქად აჩნდება მინას. მერე? მერე, მოწაფეური ასოებით გამოყვანილი მისი სახელით იფარება სარკმელს შერჩენილი ის თბილი სუნთქვა. ო, როგორ გიხარია სიცოცხლე! მზადა ხარ, თუგინდ ფეხშიშველა გავარდე გარეთ. ფიფქებს მოეფერო, ქარსაც მოეფერო, გათოშილ ჩიტებს, ხეებს, ყველაფერს მოეფერო, გულში ჩაიკრა. ო, როგორ გიხარია, რომ შენ, ერთ ჩვეულებრივ გოგოს, შეგიძლია გიყვარდეს თავზე, თავი რაა, სიცოცხლეზე მეტად — უხმოდ, უჩუმრად, უხმაუროდ. მერე რა მოხდა, თუკი ზოგჯერ წაიფორხილებ. თუკი ზოგჯერ მოსაწყენი, დარდიანი დღეების გრძელი რიგი დგება. აი, გუშინდელი დღისნაირი. ნუ მაგონდები, ნუ მაგონდები, ნუ მაგონდები... გეხვეწები, ნუ მაგონდები. ამ დროს, ყოველი თვალის გახელისას ვნატრობ გულში. მაგრამ ეს ჩემი დილის „ლოცვა", მხოლოდ ყალბი გაჟღერებაა და მეტი არაფერი. ორკესტრიდან ამოვარდნილი ყალბი ნოტა. იგი ციდან ხელისგულზე დაცემული ნამცეცა ფიფქივით თვალის ერთ დაფახულებაში ქრება უმალვე და რომელიღაც ღვთიური ძალის წყალობით კვლავ იმ პირველი, ყოვლისგამთიშავი ელდით და მღელვარებით ვარ სავსე. საოცარია, არა? შენ ამბობ, პათოლოგიააო. ექიმი ხარ და გეპატიება. (სხვათაშორის, ზოგჯერ მეც ვამბობ). და კიდევ, მანიაკალურ-დეპრესიული ფსიქოზიო. იცი ანა, ზოგჯერ შიში მაკრთობს და ვფიქრობ, ნუთუ შესაძლებელია, სხვა რომელიმე გოგოსაც დაემართოს-მეთქი ასეთი რამ, ჭკვიანს და გონიერს, არავითარ შემთხვევაში! — სწრაფად გამომაქვს ლოგიკური, სადი დასკვნა და იმ წუთში გულწრფელად, ვნატრობ— ღმერთო, დამიფარე, მაკმარე, გადამარჩინე, გამანთავისუფლე ამ უმძიმესი ბედნიერებისაგან-მეთქი. და ისეთი „ბოროტული" ზრახვანი აბობოქრდებიან ხოლმე გულში, შიშით თვალებს ვხუჭავ. მერე ჩემი მკრეხელური

ფაქრების გამო სირცხვილით ვიწვი და ასი ათას ბოლიშს ვიხდი კრძალვით ყველა რწმუნადაუკარგავი გოგოს წინაშე.

მოდი გეხვეწები, ამაზე ნულარ ვილაპარაკებთ. მთელი დასტა ცარიელი ფურცლები მიწყვია მაგიდაზე. სასთუმალთანაც. თუ შევძელი, მართლა ფუტკარივით უნდა ვიმუშაო. მე ჩემს თავს, ძალ-ღონით სავსე ადამიანად ვთვლი. ერთს დავისვენებ და ჩავუჯდები.

„მინდორში ქალი გამოჩნდა, კარვისკენ მოდიოდა. ბრიჯი ეცვა და ხელში თოფი ეჭირა. უკან ორი ბიჭი მოსდევდა, ქურციკისთვის ჯოხი გაეყარათ და მხარზე გაედოთ. ისევ შერჩა ძველი მომხიბვლელობა, გაიფიქრა კაცმა, საამური ტანი აქვს...“ თუ შნო გაქვს ასე უნდა წერო, თუ არა და, ამნაირი ნაგვით, ვის აალღვებ — „მოგისმენია როდისმე, დამსხვრეული, უმშვენიერესი ფაიფურის წკრიალი? მათი ამბავი, დაახლოებით ამდაგვარი წკრიალია. ეს სევდიანი ხმა წარმოუდგენელი დაუნდობლობით ფარავს ყველაფერს. ყველაფერს, გარდა იმ სინათლისა, ერთადერთ ნუგეშად რომ უნთია სულში. და რომლის სხივებშიც სიცოცხლის შემდეგ, ალბათ „საფლავებს გადაანათებს“. მსგავსი ფრაზები სხვისგან რომ მომესმინა, ბრაზით დავიხრჩობოდი და კარგა ხანს აღარც გუნება გამომიკეთდებოდა. რა ეშმაკმა დამაწერინა ასეთი აბდაუბდა-მეთქი და ნაფლეთებად ვაქციე მთელი სამი ფურცელი.

ნახვამდის, ჩემო ძვირფასო.

ძალიან მენატრები.

## ნ ა თ ი ა

19 ივლისი. პარასკევი

## ა ნ ა ს

თბილისში, უკვე ასი ათას სანთლიანი ჭაღივით ანთია მზე და ქვაფენილსაც ალმური უდის, ანა. გუშინ ორი არხანგელსკელი ბიჭი გავიცანი გაჩერებასთან. მთელი ნახევარი საათი დააგვიანა სამოცმა ნომერმა ავტობუსმა. შემატყვეს, მოწყენილობისგან სულს რომ ვლაფავდი, მოვიდნენ და შინაურულად გამომელაპარაკენ. ძალიან გვაინტერესებდა თქვენი დედაქალაქი და გადავწყვიტეთ, შვებულება აქ გავატაროთო. ყველაზე მეტად რა მოგეწონათ-მეთქი. ქალებიო, გაიცინეს გულიანად. მე სერიოზულად გეკითხებით-მეთქი. ჩვენც სერიოზულად ვამბობთ, ყველანი უცნაურად ლამაზები ხართ. უცნაურად კი არა, აი თქვენ, ღვთისმშობელივით ხართო. მშვენიერ ხასიათზე ხართ-მეთქი. მოდი ანა, ამ მეთქი-მეთქის ძახილს, პირდაპირ დიალოგს მოგიყვები.

— ხომ სოფიკო გქვიათ?

— ვინ გასწავლათ, ეგ სახელი.

— სოფიკო ჭიაურელს ვიცნობთ.

— კიდევ ვის იცნობთ?

— ნანი ბრეგვაძეს, ბუბა კიკაბიძეს, [illegible] ტუტაშხიას და სტალინს.

— როგორ, სხვას არავის იცნობთ?

— მაინც ვის უნდა ვიცნობდეთ, ძვირფასო!

— დავით აღმაშენებელს, შოთა რუსთაველს, ვაჟა-ფშაველას, გალაკტიონს, ბექა ოპიზარს, ზაქარია ფალიაშვილს, ნიკოლოზ ბარათაშვილს, ექვთიმე თაყაიშვილს...

— ეგენი ვინ არიან?

— ისინი არიან, ქართველებმა, წმინდანივით ხატზე რომ უნდა დავიფიცოთ მათი სახელი.

— რა ლამაზი სახელები გაქვთ. ისეთი მუსიკალურია, სხვა თქვენსავით ვერ გაიმეორებს. აბა ქალებიც ჩამოთვალეთ, ასე სასიამოვნოდ ჟღერს?

— ეკატერინე ჭავჭავაძე, მანანა ორბელიანი, ნინო ჭავჭავაძე, ნატო გაბუნია, მაიკო ორბელიანი, მერი შერვაშიძე, ნატო ვაჩნაძე, ელენე ახვლედიანი...

— ბრავო!

როგორია?

— როგორც სიმღერა.

— აბა გაიმეორეთ რომელიმე.

— ასე არაფრით არ შეგვიძლია. აი გიტარა რომ გვქონოდა, სიმღერით უფრო მოვახერხებდით.

— არხანგელსკი?!

— ო, არხანგელსკი ჩრდილოეთის თეთრი პატარძალია.

— ზღვა და გემები მიყვარს.

— ხოდა, გპატიჟებთ. ჩვენ ნავსადგურთან ახლოს ვცხოვრობთ. ჩამოხვალთ?

— მოვიფიქრებ.

— თბილისის გარდა, კიდევ რისი ნახვა შეუძლია კაცს საქართველოში.

— უთვალავი რამის. ჯერ ტაძრები გვაქვს, მარტო შორიდან დანახვაც „ავად“ გაგხდით.

— შეუძლებელია!

— სცადეთ. გრემი, ალავერდი, უბისა, გელათი, ნიკორწმინდა, ყინწვისი, ჯვარი, სვეტიცხოველი...

— ეგენი რაღას ნიშნავს?

— იმას ნიშნავს, ყველა ქართველმა რომ უნდა ეფეროს, ესათუთოს და მათი აღმაშენებლის და გადამრჩენლის სახელი ევედროს განგებას.

— როგორ, ტრადიციაა თქვენში ასეთი?

— არა, კანონი! სრულიად საქართველოს უპირველესი და უსათნოესი კანონია ჩვენში ასეთი.

ამ დროს მხატვრის სახლთან, გამოყო კიდეც თავისი ყვითელი ხორთუმი ნანატრმა სამოცმა ნომერმა. ხალისიანი დასვენება ვუსურვე ჩრდილოელ სტუმრებს, მხიარული ხმაურიანი ბიჭები ჩანდნენ და ავტობუსისკენ გავიქეცი. კინოსტუდიაში მყავდა ერთი ადა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიანი სანახავი და შეიძლება ვერსად ვერც კი მიმესწრო ადგილზე. ასეა, როცა სალაღობო თავგადასავლებს გამოეკიდები კაცი. არა, მაინც რა დიდაქტიკური ტონი ამიტყდა იმ პაპანაქებაში, ნეტავ.

## 25 აგვისტო. კვირა

### ანას

მარტო იმის გაფიქრებაც ჰკუაზე მშლის ანა, სექტემბერში ზღვაზე რომ ვიქნებით. სარაფნები, კოფთები, მაისურები, ყველაფერი მზადა მაქვს უკვე. რაღაც იუგოსლავური კრემიც ვიყიდეთ. გოგოებმა, ისე სუფთად მუშაობს, სხივის ნამცეცს არ აგაცილებსო. ხელად მოგვეკიდება მზე ჯანსაღად და ბრინჯაოსფრად. რა სანახავია არა, სხივებზე მოელვარე სხეული, რეზინის საპლიაჟე ქუდს შინ დავტოვებ. რაში მჭირდება, ნეტავ. ო, მეც ახლა სტამბოლამდე არ გავცურო. დაწნულ თმას სარჭით დავიმაგრებ კეფაზე და მორჩა. დიდი ამბავია, თუკი ცოტათი დამისველდება.

ახლა რას ვაკეთებ? ვკლავ, აგვისტოს ამღვრეულ, დამომდებულ კვირადღეს. თუმცა, შემეძლო დარდიმანდულად მეგრიალა. ამ დილით ზაზა იყო. უთენია დამადგა. პიკნიკზე მიმიპატიჟა. წავყევი კი არა, მგონი იმათაც ჩაეშალათ. აბა რა ვიცი, ზაზას სიგიჟეებს ვერაფერს გაუგებს კაცი. არა, ისეთი არაფერი მომხდარა. არც ღირს-მეთქი მოსაყოლად. ო, შენმა ცნობისმოყვარეობის წყურვილმა ხომ სულ ამიკლო. დაწყნარდი ბატონო, ერთ ნამცეცს არაფერს გამოვტოვებ.

— ზაზა?! შემოდი, შემოდი.

— ქალო, ისეთი თეთრი ხარ, როგორც საყდარში კირით, ღამისღამ მომაგონდები, წამოვჯდები და ვტირით.

— ხალხურ სიზმრებს ხედავ, უკვე? რა იყო, ტოტზე გეძინა, თუ შინიდან გამოგაგდეს დილაადრიან.

— დილა გეგონოს ქალბატონო. დახედე ჩემ „ბიგ-ბენს“, საცაა თორმეტს ჩამოკრავს.

— გასწიე ხელი, კვამლით ნუ ამომახრჩევ. იმას არ კითხულობ, რომელზე დავიძინე?

— ჰმ! ... პილარ ჰემინგუეი! ბიძის მემკვიდრეობას აწესრიგებდით ალბათ, ძვირფასო მისს. გამომშივდა ლიტერატურული ელიტის უთვალსაჩინოესი წარმომადგენელი. ერთბაშად, სრულიად საქართველომ არ მოგისმინოს, აი.

— ფუსინდისო!

— ხოდა, მოეშვი, სიზიფს ლოდის თრევას. გაიგე, გაიგე, რომ რაც სათქმელი და დასაწერი იყო, შენზე უფრო ჭკვიანმა ხალხმა დიდი ხანია თქვეს და დაწერეს კიდეც, აბა ახალი რაღა უნდა გააკეთო.

— შენც მეყოფი, „ჰონორას კაუზა“-ს მფლობელი. მგონი ოქსფორდში მოგანიჭეს, არა?

— ჩემი და იყო, გემრიელად გფერთხავდი ახლა.

— მიდი მერე, ვითომ ვარ.

—გაისწორე გოგო თმა და მაგ იდიოტურ ხალათსაც მოუხერხე რამე.

— აჰ, უკაცრავად, საბალმასკარადო კაზმულობით რომ ვერ შეგეგებეთ, მილორდ! მოგეხსენებათ, დღეს კვირაა და ჩემ სეფექალებსაც, ბეკისა და ფიბის, გამოსასვლელი უქმე დღე აქვთ. უქმე დღეს, თვით ინგლისის პარლამენტიც ისვენებს, ძვირფასო. ერთად ხომ არ გვესაუზმა? ათასი დელიკატესი მაქვს მაცივარში გადანახული.

— დროზე ჩაიცვი და წამოდი.

— სად?

— სიღნაღში!

— სიღნაღში რა დაგვრჩენია.

— წამოდი და გაჩვენებ, რაც დამრჩენია.

— კრამიტით გადახურული უმშვენიერესი ქართული სახლები, კოპწია აივნები, მოკირწყლული ვიწრო შუკები, გალავნები... ფოლკლორს დანატრებული გაევროპელებული საზოგადოება და ნელი, ნატიფი კავალკადა. დიდებული კადრია, ღმერთმანი.

— ენად ნუ გაიკრიფე. საღამოს, თუ მოვასწარით, გრემზე ავალთ და მზის ჩასვლას ვუყურებთ. ხო მართლა, სალომესაც მოვუსმენთ. ელუარს კითხულობს ფრანგულად. გაგაგიჟებს.

— აჰა, ხომ ვთქვი.

— დროზე ჩაიცვი. გველოდებიან.

— ვინ?

— თათია, ვაჟა, კოკა და სალომე.

— ქვემოთ, შენ მანქანაში?

— არა, ანტარქტიდაზე.

— „ბახტრიონს?“

— რაა?

„ბახტრიონს“ რომელი კითხულობს, ალბათ ის ბითური კოკა, არა?

— კოკა მაგარი ბიჭია.

— გადასარევი! მრგვალ ბალთან დგომასა და ლაყბობაში შეუდარებელი. ვაიმე, რა კარგად უსტვენ ზაზა. მასწავლე, გეხვეწები.

— მოდიხარ, თუ არა?!

— არა! მასწავლე რა, ეგ სტვენა.

— არა?

— არა-მეთქი. რამდენჯერ გაგიმეორო?

— რატომ?!

—გაბლენძილი მატრაბაზია ეგ შენი კოკა. პერსონა, „ნონ გრატა!“ მორჩა და გათავდა. დიდი გეოლოგი! ამბობენ, ვაკეში ყავას ამოუხეთქავსო, ჰკითხე ერთი, ეცოდინება.

— სხვას რას ბრძანებთ, უფრო ელეგანტურსა და საინტერესოს?!

---

მზია ბედიაშვილი

ასე მგონია, შინა ვარ



ეროვნული ბიბლიოთეკა

— პიერონია ეგ შენი კო...

— ლაწ. ტუჩებში!

ზუსტი, უნაკლო მოძრაობა იყო.

— !!!

— წყალი დამალევინე! შენ მარტო თქვი, თუ რამე გაწყენინა და მერე, აი ამ ფანჯრიდან მიუურე.

— წადი ზაზა, გელოდებიან.

— „გელოდებიან!“ ტაქსის გაჩერებასთან მივაბრძანებ ოთხივეს.

— გაგიჟდი? გინდა, თათიამ და სალომემ სახლ-კარიანად გადაგწვან.

— აუ ბიჭო, რა მხეცური კადრები ჩაშალე?! მართლა დაუნდობელი პერსონა ხარ, ღმერთმანი.

— „პერსონები“ ქვემოთ, შინდისფერ კარეტაში მოიკითხე.

ძახილი: — ზა-ზაა!

— გესმის?

— აბა ყრუ კი არა ვარ.

— ხოდა, ნუ ამიკელით ამ დილაადრიან. არ მცალია.

— რა ცალები გკიდია, ქალბატონო.

— ვოცნებობ!

— აჰ, ოცნებობთ, არა? ცეცხლს გავატან შენს სამყოფელს, შენს სიყვარულს, ქარს...

— ზაზა, ლაყბობას თავი დაანებე. გითხარი, არ მცალია-მეთქი.

ძახილი: — ზა-ზაა!

— ჩახედე, სანამ ბრეიდ-ვიმპელი ამიფრიალებია ფანჯარაში.

— გადავყვები თან. სულაც დაუქცევიათ მთელი კორპუსი. ნუ ხარ უგზო-უკვლოდ განათლებული და მოეშვი, წიგნებიდან დამახსოვრებული სიტყვების კორიანტელს. ვერ ვიტან.

— რა დაგემართა, მთვრალი ხომ არა ხარ. აჰა, წყალი.

— წყალი, მთვრალი, ნათია, თათია!

— მიდი, მიდი დაამტვრიე და გაგივლის.

— წავედი!

ლიფტს არ დალოდებია.

კოკას რაღას ვერჩი? არც არაფერს. მადლობა ღმერთს, მხოლოდ თითებზე ჩამოსათვლელს ვიცნობ მაგისთანა გაბღენძილ „პრიმა“ ვაჟბატონებს. ხო, კიდევ კარგი, გეოლოგიური დაამთავრა და არა კემბრიჯის სამეფო კოლეჯი. მაგრამ ქალაქიდან ცხვირი მაინც არ გაუყვია. მთებისა და ველების ეგზოტიკა თუ უხსენე, ისე შეგხედავს, როგორც დეკლასირებულსა და პროვინციულად მოაზროვნეს. სამაგიეროდ სტრადივარიუსის ვიოლინოზე, ჟაკ ივ კუსტოს აკვალანგებზე, ანჯელ ფოლზის ჩანჩქერზე, მარადონას ექსტრავაგანტურ საყვარლებზე, „ტაიტისა“ და „საქსის“ უნივერმაღებში შეძენილსა და შემდეგ ცეცხლის ფასად გადაყიდულ სამოსზე ისე დაიწყებს ლაპარაკს, თავი შეგეცოდება. რემბრანდტი, ბოტიჩელი, იტალიური ოპერა. ფრანკო კორელი ხომ სულ წამდაუწუმ პირზე აკერია. იმედის ვარაზისხევთან შემხვდა. სად მიდიხარ? ჯერ ზოოპარკში, მერე იქიდან ცირკში-მეთქი. შენ ნორმალური ხარო, დაუსტვინა, თითქო თვითონ მსოფლიო ავტორიტეტი მყავდეს ბირთვული ფიზიკის დარგში. სინამდვილეში, ტელევიზიაში ვაპირებდი ასვლას, ბაიასთან. როგორ არა, ყველამ იცის მაგისი ბითურობა, მაგრამ ინდობენ ხოლმე ბიჭები. სალომეც კარგი მატრაბაზია. რომ კითხო, სულ იმას გაიძახის, ვერ ვიტანო და ხათრით ხელგადახვეული სიარული არ გამიგონია. ერთნაირები არიან ორივენი ღმერთი იყოს იმათი შემწე.

ანა, აუცილებლად შემატყობინე როდის მოფრინავ და დაგხვდები.

გე-ლო-დე-ბი! გაუნელებელი სიხარულით გელოდები, ანუკი. გკოცნი. ნათია.

## 16. თეთრი დერეფანი

“ქალი ცის ნახევარია“.
ჩინური სიბრძნე

კაცს ქალი და ტყე ერთნაირად უყვარდა.

უყვარდა კი არა, ეს ცოტაა, არც ერთის გარეშე შეეძლო სიცოცხლე. მაღალი არ ეთქმოდა. ღონიერი იყო. სპორტული აღნაგობის. მშვენიერი ბრინჯაოსფერი თმითა და ნათელი თვალებით. ვეება ჩექმებით დააბოტებდა და წვიმაგაუმტარი, უხეში ქურთუკი ეცვა სულ.

სახლი ტყის განაპირას ედგათ. დაკრიალებული ოთახები ზაფხულობით მზით და სინათლით ჰქონდათ სავსე, ზამთარში — ცეცხლის გუგუნით და შეშის საამო სურნელებით. რაფაზე, კოპწიად მოვლილი ქოთნები ჩაემწკრივებინათ. სახლწინ პატარა, მთლად ხელისგულისოდენა ბაღჩა მოჩანდა. ეოლოს ბუჩქების გასწვრივ, გრძლად გაწოლილ კვალს, პიტნა და ზაფრანა მოსდებოდა. ქალი ხშირად აყენებდა პიტნაგარეულ ჩაის. ისეთს, ნაზად მკრთალი სიმწვანე რომ დაჰკრავდა გამჭვირვალე ჭიქებში. კაცს მოწონდა ასეთი ჩაი. მოწონდა კი არა, უყვარდა კიდეც, სურნელოვანი, ქაფქაფა ორთქლი საამურად რომ სცემდა სახეში. ოღონდ, გარეთ აუცილებლად ყინვა, ქარბუქი და გრძელი ღამე უნდა მდგარიყო.

თეთრეულის გაფენას რომ მორჩა, ცალ მხარეს ქმრის პერანგები გაკიდა გასაშრობად. ეხალისებოდა, საოჯახო საქმესაც რომ თვითონ უძღვებოდა და კაცსაც უვლიდა. ნიავი წამდაუწუმ უფრიალებდა თავსაფრის ბოლოს და მბზინავი თმა მოუჩანდა მზეში. სახესა და მკლავებზეც ნამზეური, ჯანსაღი ფერი ედო. ქათქათა ქალი ოდნავ რომ გაოქროსფერდება ზღვაზე, ისეთი. ელვარე თვალები კი მუდამ ცინცხალი გზნებითა და მოლოდინით ჰქონდა სავსე. მეორე წელია ერთად იყვნენ. პირველად

ცოტა უძნელდებოდა ასე ცხოვრება. მერე შეეჩვია. თანაც, გულით უყვარდა კაცი. ქმარმა თოფის სროლა, ცხენზე ჯდომა, მდინარეში ცურვა ასწავლა. სხარტი, უზადოდ მოქნილი იყო და ხელად ითვისებდა ასეთ რამეებს. ისე ზუსტად ახვედრებდა ნიშანში, კაცს სიამაყით გული ებერებოდა. ზაფხულობით, რცხილნარში ჩაკარგულ, ისლით გადახურულ ქოხში ათევდნენ ღამეებს, მდინარის პირას და წყალს სულ ლურჯად გაჰქონდა ხოლმე კამკამი. ქალს მოწონდა ქოხში ცხოვრება. იქაურობაც მოწონდა და კაცი მოფერებით „კალდუნიას" ეძახდა. კუთხეში კერა ჰქონდათ და მიწური, გრილი იატაკი. პაწაწინა სარკმელთან მიდგმულ ტახტზე ნიავივით მსუბუქი პლიოფი ეფინა. კედელზე, ნადირის ტყავსა და „ვინჩესტერს" გაუდიოდა ბზინვა. კაცი უთენია დგებოდა. თვითონ, როცა ხასხასა ფოთლებს შორის შემოპრილ მზის ირიბი სხივები აუციმციმდებოდა თვალებთან. ერთხანს ასე იწვა, სხივებქვეშ განაბული. თან თითქო ახსოვდა და აღარ ახსოვდა, ღამღამობით, ქმრის მკერდს მიხუტებულს, რა უცნაური რამეები ესიზმრებოდა „ხმამაღლა", — თვითმფრინავები... ზღვები... კარაველები... შორეული მოგზაურობა... ჩუ, დაიძინე, თხოვდა კაცი. აუცილებლად, აუცილებლად წავალთ, სულ ერთად შემოვივლით ქვეყნიერებასო. კვირაობით, ზოგჯერ ქალაქში დაყავდა. ქალაქი სულ ახლოს, ორ ნაბიჯზე იყო. ჩაჯდებოდნენ თავიანთ სპორტულ, რემარკის გმირებისდროინდელ მანქანაში და წუთში იქ იყვნენ. ქალს თეატრი ქვეყანას ერჩია. კაცი პირიქით, ვერ იტანდა. სული მეხუთებაო. ახლა გაახსენდა, აქ, შუაგულ ტყეში ჩაკარგულ პაწაწინა ქოხში მწოლარეს მოულოდნელად გაახსენდა, დიდ მსახიობობაზე რომ ოცნებობდა ხოლმე და ხმამაღლა გაეცინა. ნამდვილ, ხმაურიან დიდებაზე, „ოსკარზე" ან „გრან-პრიზე" ოცნებობდა და ვივიენ ლის სურათს დაატარებდა სკოლაში ჩანთით. მსახიობი ვერ კი გახდა, მაგრამ უცხო ენას დაეუფლა და გვარიანი მუსიკალური განათლებაც მიიღო. განა ეს ცოტა იყო?! ცოტა?!... ყრუ, უხილავი ტკივილი იგრძნო მკერდთან. ძუძუზე მიიფარა ხელი. იფიქრა, გამიყუჩდებაო. ერთხანს ასე იწვა. მერე წამოდგა, სარკმელს მიეყრდნო. სულ ერთი ბეწოთი, სულ ერთი ბეწოთიც კი აღარ ჰირდებოდა ახლა ქალს, აღარც უზადო ფრანგულის კეთილხმოვანება და აღარც შოპენის მთრთოლვარე გამები. ფენოლოგიით გატაცებულ კაცს, — მითუმეტეს. ცრემლი მოერია და ისევ იგრძნო ყრუ ტკივილი მკერდთან.

მერე, სექტემბრის ერთ მშვენიერ საღამოს, მოულოდნელად მოგრიალდნენ ვიღაც უცხო კაცები და ისეთი ფორტეპიანო გადმოუციმციმეს მანქანიდან, კინაღამ იტირა. ქმარი აივანზე იდგა „გაკვირვებული" და ხმას არ იღებდა. სიტყვები რაში ჰირდებოდათ ეტავ. და მარტო რომ რჩებოდა, სულ უკრავდა. რა მოხდა, თუკი ერთი მსმენელიც არ ყავდა „სუნთქვაშეკრულ" დარბაზში, თუკი ხავერდის გრძელი კაბა არ ეცვა ღრმა დეკოლტეთი და მღელვარებით თავბრუდახვეული, თეთრ მიხაკებში არ მალავდა სახეს. სამაგიეროდ, გული იმოდენა სინათლით ჰქონდა სავსე, იმოდენა სინათლით, ქვეყნიერებას გადასწვდებოდა, დაფარავდა.

როგორც კი ტყეს გამოსცდებოდით, დიდი, სწორი შარაგზა იწყებოდა. იქ ახლოს, სამხედრო ნაწილი იდგა და წამდაუწუმ ჯარისკაცები მიდი-მოდიოდნენ ხოლმე. გზის ორივე მხარეს ალვები იყო ჩამწკრივებული. შემოდგომით, მთლად ოქროსფერი ხდებოდა იქაურობა, ხოლო ზამთარში, როცა ყველაფერს თოვლი ფარავდა, გრძელ, თეთრ დერეფანს ემსგავსებოდა გზა. თან ოდნავ მოცისფრო გადაკრავდა. ო, როგორ ძალიან მოწონდა მაშინ იქ გავლა. დერეფანს ჩაათავებდი და აეროდრომიც იქვე იყო. მინდვრიდან სულ ერთთავად თვითმფრინავების გუგუნი ისმოდა. ქალს უყვარდა ის ხმა. ისეთი განცდა ეუფლებოდა, თითქო თვითონაც ფრთების ნაწილი, მათი გაგრძელება იყო.

— გინდა, გაფრენას ვუყუროთ! — ხმადაბლა თქვა კაცმა და საჭე შეატრიალა ცალი ხელით მართავდა საჭეს, მარცხენათი სიგარეტი მიჰქონდა პირთან.

...თბილი, ნათელი, კრიალა რესტორანი. ციმინანქრებულ ლარნაკში თოვლივით ქრიზანთემები აწყვია. იქვე, მშვენიერი ფორთოხლები და ქათქათა ხელსახოცები. გარეთ, ნოემბრის ცივი, წვიმიანი საღამო. სიბნელეში ციცინათელებივით აკიაფებული ასაფრენი ბილიკები და მგზავრები, მგზავრები, მგზავრები... ქალი შამპანურით სავსე ჭიქას სწევს მაღლა, თან რაღაცს უყვება გატაცებით. კაცი სიგარეტის კვამლს ხელით ფანტავს და ღიმილით შესცქერის ცოლს. მერე მოულოდნელად დგება, ახლავე მოვალ და გასასვლელისკენ მიდის. ქალს ხმა არ ამოუღია, უჩუმრად გააყოლა თვალი. ნელნელა წრუპავდა შამპანურს. სარკეშ ვიღაც ახალგაზრდა წყვილი აირეკლა. გოგოს ყელიანი ტუნლულა სვიტრი ეცვა და სულ ფისოს გავდა. ბიჭი კალათბურთელივით მაღალი იყო.

ის გაზაფხული გაახსენდა, პირველად რომ იცხოვრეს ერთად და უნცაური, ნაზი, ნაღველი შემოაწვა გულზე. კოპწია სასტუმრო იყო. ვრცელი, ნათელი ჰოლითა და ვარდებით. ღმერთო, რამოდენა ვარდი ყვაოდა. აირნაირები, მთლად ხასხასები. თავი შირაზი პრინცესა

ეგონა. აივნიდან ნავსადგური და ხომალდები მოჩანდა. სასტუმროს თავზე ბარი იყო და საღამოობით იმ ხომალდების განათებულ გემბანს ემსგავსებოდა იქაურობა, თან ნიავს ახლადმოხარშული ყავის, თამბაქოს, მაგნოლიების და კიდევ, რაღაც უჩვეულოდ საამური, მათრობელა სურნელი მიჰქონდა. ზღვისპირა ქალაქებს რომ უდით ხოლმე. მოძცრო, ვერცხლისფერი მაშით, ქირურგიულს რომ გავდა, ბარმენი ოსტატურად იღებდა ყინულის პაწაწინა, ოთხკუთხა კუბიკებს და წკრიალით ყრიდა ტოლჩებში. სანამ ჩაყრიდა, სულ თეთრი კვამლივით ორთქლი ბოლავდა იმ კრიალა კუბიკებზე და ეს მოწონდა ძალიან. ყველაზე მეტად კი გულით ის უხაროდათ, მთელ სასტუმროში ერთმანეთის გარდა რომ არავის იცნობდნენ. სასტუმროს წინ, პატარა სკვერში შადრევნებს გაუდიოდა ქათქათი. ლამპიონების შუქზე საღამოობით, სულ ვერცხლისფრად ელავდნენ ის კამკამა ჭავლები და სანაპიროც მთვარით განათებულს ემხგავსებოდა შინიდან გამოპარული ზარეჩნაია თოლიას რომ თამაშობდა, ალბათ ასეთი შუქით იყო იქაურობაც განათებული". რას არ მოვიგონებ ხოლმე, — გაეღიმა ქალს და ისევ მოსვა შამპანური. მოულოდნელად, ვიღაც შეეხო მხარზე. ხელის მოძრაობაზე, მაშინვე იცნო. უნებურად, მაინც შეკრთა. — ადექი! — ღიმილით უთხრა კაცმა. ქალი წამოდგა. ოდნავ დაეხვა თავბრუ. — ვიცეკვოთ! — დაიჩურჩულა და ხელები კისერზე მოხვია ფეხისწვერებზე აწეულმა. — ვიცეკვოთ, ოღონდ აქ არა, „ვირუში!" — ხმადაბლა თქვა კაცმა და ორი ბილეთი გაუწოდა შეფრთხიალებულს.

თვითმფრინავი, ორმოცი წუთის შემდეგ მიფრინავდა ტალინში.

## 17. წვიმა

მაგიდაზე ტელეფონი, საბეჭდი მანქანა და შუშის ციცქნა სურა დგას. სურას წითელი თავსახურავი აქვს. აივანზე გამავალ შემინულ კარს მიღმა ცის პაწია კაბადონი, ტელევიზიის ანძა და „ეშმაკის ბორბალი" მოჩანს.

კაცმა კარი გამოაღო. შეყვითლებულ ფოთლებზე, წვიმის წვეთებს დაუწყო ყურება. წვეთებმა გოგონა გაახსენეს. წვიმდა მაშინაც და შინ შეიფარა. სადარბაზოში კიბის საფეხურზე ჩამომჯდარი... თხელი, წითელი სანდლები ეცვა, თეთრ სარაფანში მზით ატკრეცილი, ხრიალა, მხრები მოუჩანდა, მღელვარებისგან, ოდნავ აუდ-ჩაუდიოდა მკერდი და ხელში, მინდვრიდან მოტანილი გვირილების კონა ეჭირა. — ახე მგონია, წვიმასა და ფოთლებს, ერთმანეთი უყვართ! — თქვა გოგონამ უხმოდ. — როცა მარტო დარჩენილი ფოთლები მოიწყენენ და ხმის გამცემი მოენატრებათ, ციდან მხსნელივით ჩამოდის წვიმა. — სულზე მოგვისწარი, ძვირფასო! — ჩურჩულებენ განაბული ფოთლები და ნეტარებისგან პაწაწა ცრემლები სცვივათ.

ჩუმად, უხმოდ თქვა გულში თავისთვის და როგორც კი გადაიდარა, გაიქცა.

კაცი ოთახში შებრუნდა. იტრიალა, მერე უნებურად, იმ ადგილზე გადაუსვა ხელი მაგიდას, გოგონას წასვლის შემდეგ გვირილები რომ ელაგა, სანამ ლარნაკში ჩააწყობდა. ჩელისგულმა წამით, თითქო კვლავ იგრძნო ნაზი ფურცლები ყვავილებისა და უეცარი სიხარულით შეუტოკა გული.

. . .

ცოტახანს სადარბაზოს წინ იდგა. მერე ნელი ნაბიჯით აუყვა აღმართს. გზაზე გავიდა. ფეხით გავლა მონატრებოდა. წამით შეჩერდა. მოულოდნელად, რამოდენიმე წლის შემდეგ დღეს პირველად და მოულოდნელად დაინახა, როგორ მკაფიოდ „აჩნდა" ქუჩას იმ წითელსანდლება გოგოს პატარა ნაფეხურები... თითქო, ველის კამკამა თოვლზე გადაურბენიაო ისეთი და ელდით, კინაღამ სუნთქვა შეეკრა.

წვიმას გადაეღო.

მხოლოდ პაწაწინა გუბეები ბრწყინავდა აქა-იქ.

## 18. დედა

— მე ვერასოდეს გამოვფენ, ასე თოვლივით ქათქათა თეთრეულს, დედა! და ვერც ფაიფურს დავაკამკამებ მსგავსად ვერასოდეს.

არც ის შემიძლია, „გადარეულ" ქმარშვილს უხმო ერთგულებით ვეფოფინ-ვესალბუნო ასე შენსავით.

— სტყუი!

— რა იქნა, შენი შინდისფერი პომადა, დედა?!

— ! ! !

— ანდა, ის ნიაღარასავით შლაპა, დედოფლური ხავერდის ღვთაებრივად მსუბუქ ნაოჭებს, ბუმბულის პაწია ფრთა რომ უყრიდა თავს, ერთ დროს.

— მუქი, მუქი, მუქი მწვანე პალტო?!—ინგლისური შალიაო, — ბებიას სიცილით რომ წაეტრაბახე ქმრის „პრესტიჟი".

— ! ! !

— გახსოვს, საახალწლო მეჯლისზე, ლექსი რომ წაიკითხე გაბდღვრიალებულ ნაძვისხესთან.

— ვალანსიენის მაქმანით მორთული ვარდისფერი ატლასის კაბა გეცვა.

— კითხვა ჯერ დამთავრებული არ მქონდა და „მშვენიერი მეტიჩარა!"-ო, „ბრავო!"-ს



ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაცვლად მომაძახა ვიღაცამ დარბაზიდან. კინაღამ ტირილი მოვრთე. გაღიმებული რომ დაგინახე, გულზე მომეშვა და ისე ვირტუოზულად დავაგვირგვინე ჩემი საშემსრულებლო ოსტატობა, ტაშმა ლამის ჭერი ჩამოაქცია. მერე გამოვიქეცი და მოგეხუტე. ზურმუხტის გულქანდი გეკეთა. ერთადერთი სამკაული. ზურმუხტს შენ ეძახდი ხუმრობით, თორემ სინამდვილეში, ბროლის პაწაწინა ქვების ბალჩა იყო. მთლად ზურმუხტისფრად ჩახჩახა. ახლაც სირცხვილით ვიწვი, რომ მახსენდება, რა დღეც დააყარეს ბოლოს, იმ ჩემმა უტიფარმა ქალბატონებმა. ყოველკვირა გაუთავებელი მეჯლისები, ბალები, საქველმოქმედო საღამოები... ხუმრობა ხომ არ იყო, მათი მორთვა-მოკაზმვა. ბებიას მზითვისდროინდელი ზანდუკები, სკივრები, ზარდახშები, უკვე დიდი ხნის დარბეული ჰქონდათ, დიბა-ატლასითა და ფარჩა-ხავერდით შემოსილებს. და ერთ მშვენიერ საღამოს, შენი გულქანდის ჯერიც დადგა. ღმერთო, როგორი სამკვდრო-სასიცოცხლო, სისხლისმღვრელი დავა ატეხეს. საქმეში ბაბუა ჩაერია.

— ექვსი წლის იყავ და „წითელქუდას" მაგივრად, ავთანდილის ანდერძს გიკითხავდა.

— უფროსებისადმი მოკრძალებას, სათნოებას, გულისხმიერებას გვასწავლიდა ბაბუა. გემოვნების, სიფაქიზის, სიკეთის გრძნობას გვიხვეწდა „გაველურებულ, პატარა პრინცესებს". (მისი საყვარელი გამოთქმა!) — ყველას თანაბრად გავუნაწილოთ! — მეჭურჭლეთუხუცესივით ბრძნულად ბრძანა მაშინ ბაბუამ გაალმასებულ განძთმაძიებლებზე და მშვიდობაც დამყარდა ჩვენ სახლში. იმ საღამოს, საშობაო მეჯლისზე, ოთხივეს ციცინათელებივით უბრწყინავდათ მკერდზე პაწაწინა მწვანე ნაპერწკალი.

— რაც ჩვენ თითები დავიჩხვლიტეთ ნემსის წვერით.

— აქაოდა სადედოფლო სამკაულებით მოვიკაზმეთ, სახელებიც საკადრისი უნდა გვერქვასო, თეატრალური ჩურჩულით წაიჭორ-წამოიჭორავეს ერთმანეთში ფიფქიამ, ცისიამ, მზისიამ და დილით ტატა, იდა, ირკად გამოგვეცხადნენ. ვიღას ჭირდებოდა, შენი ზღაპრები ჩიტებზე, ფიფქებზე, მზის სხივებზე... სულ უფლისწულები აბოდებდათ ძილღვიძილში. ისე აგვიკლეს, ისე აგვიკლეს, მე კი არა, ალბათ ოთხმოცდაათ გადიასაც აღარ შეეძლო იმათი მოთვინიერება. და სწორედ ჩემი პირველი „ორიანის" დღეს, გაზაფხულის მიწურულს შესდგა საოჯახო პარლამენტისა და უმაღლესი სასამართლოს ერთობლივი სხდომა. ლორდ-თავმჯდომარე, რა თქმა უნდა, ბაბუა იყო. სრულ სამ კვირას მიმდინარეობდა პროცესი და მომქანცველი ოცდაერთი დღის შემდეგ, უმაღლესი სასამართლოს გადაწყვეტილებით, იმ კდემამოსილ ბანოვანებს, სამუდამოდ კატორღა მიესაჯათ. (გვირისტით ნაქარგ მიტკლის გახამებულ ტოპრაკში გადასახლებით). სასამართლო არავითარ შეწყალებას და აბსოლუციას არ ითვალისწინებდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ისინი დღესაც უნდა იხდიდნენ სასჯელს, ჩუმად რომ არ გაგვენთავისუფლებინა ყველასი.

— შენ რომ ვერც ერთი იმედი ვერ გაგიმართლე?! რამოდენა ჭაღარა გამოგერია, დედა.

— !!!

— სათნოებით აღსავსე, ჩვენი პაწაწინა მეხამრიდი მეშინია, დედა.

— ნუ გეშინია!

— მართლა ფერფლად რომ იქცეს, დედამიწა?

— ეგ არ მოხდება. სანამ მიწას „დედა" ჰქვია, ეგ არ მოხდება არასოდეს.

## 11 დეკემბერი. ოთხშაბათი.

### ანას

პირველი თოვლი ჩემ დაბადების დღეს მოვიდა და თითქო, რაც სიხარული ებადა ცას, სულ მე გადმამაყარა თავზე. ნეტავი გენახე ანა, როგორ დაუდგრომლად ვიმუშავე. შენც მოგეწონებოდი და ყველასაც. აუტანლად სასიამოვნო, გაუსაძლისი დღეები იყო. რამოდენა ღვთის წყალობაა, რომ საყვარელი საქმე გვაქვს, ძალა და მხნეობა, იმედი და მოლოდინი გვაქვს. მეტი არც არაფერი გვინდა. ხოდა აბა ერთი მითხარი, რაღას დაგვაკლებს „თითო-ოროლა" დარდიანი წუთი. სადარდელ-საფიქრალის გარეშე, ერთი დღეც ნუ ამყოფა ადამიანი. გაუმარჯოს საყვარელ საქმეს, იმედს და მოლოდინს! ხევდასაც გაუმარჯოს, ანუკი. თავისი სიმწარითა და სიტკბოთი ხევდაც ხომ ისეთივე კეთილშობილური, ნაზი და მთრთოლვარე გრძნობაა, მოწიწების მომგვრელი გრძნობა, როგორც ვთქვათ, მონატრება, სიკეთე, ავადმყოფის სასთუმალთან ღამეების თევა. ეს უკანასკნელი ჩემგან არ გესწავლება. ნეტავ მე თუ შევძლებდი ექიმობას. უგულისხმიერესი მკურნალი, ელვარე ექიმი ვიქნებოდი? რა ვიცი. ალბათ, როგორიც ვარ და ვინცა ვარ, ყოველთვის იმად დავრჩები. და თურმე, „ცხოვრებას რომ ღიმილი აჩუქო, საჭიროა ჯერ ერთი, გაწონასწორებული ხასიათი, მეორეც — ფული, მესამეც — მე რომ მაქვს, იმაზე მაგარი ნერვები". რას იტყვი, ანგარიშგასაწევი აზრია.

მე კვლავ ჯიუტიცა ვარ და დამჯერიც, ანუკი, კვლავ მღელვარებით გათანგული. ვცდილობ, რაც შეიძლება ბევრი დავინახო, დავიმახსოვრო. ვკითხულობ, ვფიქრობ, ვუსმენ წვიმის წვეთებს, ფირფიტებს. ზოგჯერ... ზოგჯერ წა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რმოვიდგენ, როგორ მივიდოდი, მკერდზე თავს დავადებდი, ავტირდებოდი... ნაზად, ფრთხილად, ათრთოლებული ხელის ცეცებით უნდა მოძებნო, ალბათ გზა.

* * *

მუსიკა გრძელდება.
თვითმფრინავის ფრთაზე შემდგარი თეთრფრაკიანი მაესტრო ჯადოქარივით სწევს ჯოხს მაღლა ...

## 19. ზღვა

ისინი ათი წლის შემდეგ შეხვდნენ ერთმანეთს და ახლა პატარა, ოქროსფერ ყურესთან, თბილ, მოყვითალო ქვიშაზე ისხდნენ. თითქო არაფერი შეცვლილიყო. ქალს კვლავ მბზინავი თმა და კამკამა თვალები ჰქონდა. სარაფანშიც ისევ მზით ატკრეცილი სრიალა მხრები მოუჩანდა და მღელვარებისგანაც ისევ ოდნავ აუდ-ჩაუდიოდა მკერდი. მხოლოდ გაცინებისას, პაწაწინა ხაზები ემჩნეოდა თვალებთან და ტუჩებზედაც მქრქალი. მქრქალი ვარდისფერი პომადა ესვა კაცს ჭაღარა მოხძალებოდა საფეთქლებთან. ჩუმად ისხდნენ.

ჭიოფლიან კენჭებს ლოკავდნენ, აწყდებოდნენ ტალღები ნაპირს და ორივენი ზღვის ხმაურს უგდებდნენ ყურს.

— ფრრრ !!! — უცებ შეიფრთხიალა ნავის კიჩოზე წამით ჩამოსკუპებულმა თოლიამ და გაფრინდა...

ცა ლურჯად იყო გადასარკული. ზღვა, — კიდევ უფრო განსაცვიფრებლად ლურჯად. ჯად.

— ახე მგონია, შინა ვარ! — ჩურჩულით თქვა ქალმა და თავით ნაზად მიეყრდნო კაცს მკერდზე.

შორს, გრძლად გაწოლილი კრიალა სანაპირო და საღამოს მათრობელა ბინდში აციმციმებული ქალაქის სინათლეები მოჩანდა.

1985 წელი. დეკემბერი.
დეკემბერი.

დასასრული

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## დავით ჩიხლაძე

# რასაც დაჰკარგავ, ვეღარ იპოვნი

ჩიბუ ლალიტას

ბომ! — კალი-კალი: მღერის მრიდანგა[1], მრიდანგა მზეა,
მრიდანგა ფეთქავს, მრიდანგა გულია!
ბომ! — ვისი კვალიც წაიშალა დედამიწაზე, სადღა ვიპოვო?
ბომ, ბომ, ბომ! — ბუდდა[2],
შეიძლება მილიონ წელს იჯდე ლოტოსში და ვერასოდეს იხილო
ჩიბუ.
რადგან არსებობს დიდი ქალაქი და ქალაქში შენსავით რთული მეტროა,
მეტრო ქვეცნობიერია ქალაქის. მეტრო ის არის, სადაც მე ერთხელ
თვალი მოვკარი ზურგიდან კრიშნას[3] — ეს მოხდა მოსკოვში და მაშინ
ჩიბუმ სულ პირველად ამოყვინთა სიზმრის ქვაბიდან. კრიშნაც და
ჩიბუც ისე ადვილი გასაგებია, როგორც ვარსკვლავი ქალაქთა თავზე,
როგორც ყვავილი მინდორთა გულში.
ათასი ქალიც რომ იხილო მილიონ წელში — ყველა ერთია: ის ერთადერთი —
ვისაც ეკუთვნი.
ბომ! — გაიხსენე რამდენი მზე დაგინახავს და ყველა ერთია!
ბომ! — გაიხსენე რამდენი მთვარე გინახავს და ყველა ერთია!
ტრიალებს კოსმიური კარუსელი...
საიდანღაც გაჩნდება გურუ[4] და ასე ამბობს:
დღეს რასაც კარგავ, ხვალე იპოვნი.
ბომ! — მე კი თქვენ დღესვე გეუბნებით: ჩემი გული გამოქვაბულია
ნეანდერტალელის. სადაც ისევ შემოვა ჩიბუ, როგორც პირველად,
მილიონობით წლების წინათ.
ჩემი გული ჩუმია და ძალიან ღრმაა, როგორც უცნობი ჭა დაფლული
დავიწყებული მიწის წიაღში.
ბომ! — ეს ღრუბლები, მდინარეები, მანქანები და გალაქტიკები საით
მიდიან ძმური სიმღერით?
ბომ! — ქალაქის ქუჩები და ცეცხლის საყვირი:
არ დაკარგო წამი ერთადერთი,
არ დაკარგო არცრა ერთადერთი.
ბომ! — ახლა სიზმრის ჰორიზონტებზე გამოჩნდება პირველი თოვლის
ქორწინება პირველ წვიმებთან.
ბომ! — ხედავ? გული გაზაფხულივით დაგუბებულა, როგორც ფიფქიას მძინარე
მკერდი.
ბომ! — ტემპირებულ სიკვდილის ინსტანქტს

---

[1] მრიდანგა — ინდური დოლი, გამოიყენება რელიგიური სიმღერების კოლექტიური შესრულებისას.

[2] ბუდდა — უმაღლესი პიროვნული ღმერთის ერთ-ერთი მიწიერი გამოვლინება.

[3] კრიშნა — ვედური ლიტერატურის მიხედვით უმაღლესი პიროვნული ღმერთი.

[4] გურუ — სულიერი მოძღვარი (ინდ.)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვინ გადაურჩა?
აბორტები კოსმიურ გზაზე — რომელიც წრეა.
დანაკარგები ავტოსტრადაზე — რომელიც წრეა კოსმიური წმინდა ნათების:
არ დაივიწყო წამი ერთადერთი, არცრა ერთადერთი...
ბომ! — ჩემი გული უმანკოა მზის ამოსვლამდე, მტაცებელივით უკან მისდევს
ელვის გაქროლვას, ნორჩ ელვას, ცეცხლს და მზის ნერვებს ყლაპავს.
ბომ!—ჩემი გული ცეკვა არის გაუგონარი, მზის აღდგომაა, როცა შენ გხედავს...
(ის ახლა ხედავს ხვეულ კიბეებს გარდასული ცხოვრებისას შენს
მჭვირვალ მკერდში. ამ კიბეებზე მე მირბენია კისრისმოტეხით ზევით და
ქვევით ანტიკური თაიგულებით დაღლილ ხელებში).
ხვეულებისა და გარყვნილების გამხმარ ლანდშაფტში დღეს ჩემი გული ის
გემი არის, რომ გაივლის მზეთა თამაშებს და დაგვაბრუნებს მშობლიურ
სახლში.
და მერე მარშებს წინ წარუძღვებათ ბრძოლის ნაღარა და საბოლოოდ
დაეშვებიან დაბინძურებულ ზღვათა ფსკერისკენ.
ჩვენ კი ერთმანეთს უკეთესად შევიყვარებთ და აღარასდროს გაგვახსენდება
ჩვენი სულების მეტამორფოზა სატრფოობიდან მარადიულ მონატრებამდე,
კოცნიდან ტანჯვამდე, განშორებამდე.
ამიტომ ვამბობ: ომ აჰ ჰუმ ბუდდა — სულ ადვილია მილიონ წელს იჯდე
ლოტოსში
და ვერასოდეს იხილო ჩიბუ.
მე შემიძლია წარმოვიდგინო, როგორ ცხოვრობდა უიტმენი პრეისტორიულ
მედუზების გარემოცვაში, ზღვების ფსკერზე, როცა ის იყო უზარმაზარი ლურჯი
რვაფეხა პოეტური, ოკეანეთა დიდი რისხვა, პოსეიდონის საფრთხობელა და
მეგობრობდა ზღვის მამალ კუსთან, ახლა კი ალბათ აირბინა ცის კიბეებზე
და ქალთა დასში ხალვასთან ერთად ჰაშიშსაც სინჯავს ინდოეთისას, ზუსტად
ისეთს, მთელი ცხოვრება რომ აბოდებდა ღარიბ უიტმენს. ამ ხილვის მერე
მოვალ და ვიტყვი: შეუცვლელია უკანასკნელი სიყვარულის ცხელი საუზმე —
დავიწყებულ დღეთა რადიო, დედები, მამები, ძმები, დები, და საერთოდ
ბენზინი, ნავთი და ზეთი სიყვარულის.
ომ აჰ ჰუმ ჩიბუ. ჩვენ გვაქვს[1] ეს მანტრა გერმანული სიტყვა Liebestod,
ფეთქვა: Liebestod და კიდევ მანტრა — შეყვარებულთა მიმართვა
კალის:[2]
ბომ! — კალი-კალი (მღერის მრიდანგა, მრიდანგა ფეთქავს, მრიდანგა მზეა,
მრიდანგა გულია): აიღე ჩვენი ბოლო ლუკმა, შენთვის მოგვიცია საჩუქრად,
ოღონდ ცოტა ხანს დაგვანებე ერთმანეთი (სული სულთან და სხეული სხეულს).
ბომ! — კალი-კალი: აჰა, აიღე ჩვენი სისხლი, ოფლი, ცრემლები, თორემ ვინ
იცის
როდის გაგვწირავ აჰა, აიღე ბოლო ლუკმაც...
მღერის მრიდანგა: ომ ჰუმ[3] ბუდდა,
სულ ადვილია მილიონ წელს იჯდე ლოტოსში და ვერასოდეს იხილო ჩიბუ —
ვისი გულიც ყვავილია დილის,
ვისი გულიც მერცხალია ცაში...

---

[1] მანტრა — მაგიური ლოცვა დაკანონებული ფორმულით.

[2] კალი. — დამანგრეველი ქალღმერთი, რომელიც უეცარ სიკვდილს, მოურჩენელ სნეულებებსა და უბედურობებს მოუვლენს ადამიანებს.

[3] ომ აჰ ჰუმ — ტიბეტური ბუდიზმის საკრალური ფრაზა.

* * *

ეს ტბა, საღამო, სადაც მე და შენ ჩამოვსხდებით ნაძვის ძირას,
მზის გვირგვინებს დავიდგამთ თავზე და ზეთოვანი
სხეულებით ავაწკრიალებთ ვერცხლისფერ სივრცეს.

ეს კოცნა, ღამე. ჰორიზონტიდან გამოვა დიანა
და ხმამაღლა იტყვის: იცეკვეთ, იმღერეთ! (თქვენ ალბათ
მოგწონთ ერთმანეთი)...

მოდი, გავექცეთ! სადმე დავმალოთ ეს სიყვარული, ეს
თაიგული: გვირილები, ზაფრანები, ვარდი, ეკალი
და ერთი წმინდა, ნათელი

ცრემლი: მცირე, რომელიც არც მოწყდება, არც ამოშრება
არასოდეს.

მერე — ქალაქი,
ვიტრინები: თუ აირეკლე, იცოდე, რომ ცოცხალი ხარ
და შეგიძლია იდგე მანდ და დამელოდო,
თუნდაც არასდროს აღარ მოვიდე: ან არ ვიცოდე,
რომ შენც აქა ხარ, ამ ქალაქში და შენც ჩემსავით კარგად
გახსოვს...

ჩემო ძვირფასო, ეს
ტბა, საღამო (სადაც მე და შენ ჩამოვსხდებით ნაძვის ძირას,
მზის გვირგვინებს დავიდგამთ თავზე და ზეთოვანი
სხეულებით ავაწკრიალებთ ვერცხლისფერ სივრცეს)
მხოლოდ ნისლია
გაუხსნელ ვარდში.

## ცვლილება

მოვიდნენ:
ავტომობილები წარღვნამდელი უდარდელობის და ანტიკური
მთვარეები,
სადაც ახლა დროშებია ამერიკის და
სსრკ.
ქარი მდინარესავით გვებრძვის ქუჩებში.
ალქიმიამ შვა ქიმია და ქიმიამ შვა:
უბედურება..
მე გავრბივარ.
სირბილი დიდი შრომაა.
მაგრამ მეშინია,
შემთხვევით სადმე ფეხი არ წამოვდო
მორფინისტის უხილავ ნერვს და არ გავწყვიტო.

ახლა ღამემ შეიძლება დღისითაც კი მოგიქნიოს ფრთა.
და ვხედავ მხოლოდ დეტალებს:
ამიტომაც დავკარგე ქალი.
მე რომ გავრბივარ,
თან უმჭახეს მუსიკას ვიტენი ტვინში,
რაღაც უაზროს, კატასტროფულს,
რომ თქვენი ნაბიჯების ხმა არ გავიგო.
ისედაც ვიცი, დინჯად მომყვებით
და მაინც მეწევით.
ასევე გაურბიხართ ერთმანეთსაც...
ერთი და იგივე პოლუსებით ძალისძალით
რომ შეაერთებ ორ მაგნიტს და
უცნაურად გსიამოვნებს.
რაღაც ისეთი დრო მოვიდა.
მთვარე კი (თუმცა წავიდნენ პოეტები და ჯადოქრები და
სატრფონი) კვლავ ჩვეული სიზუსტით ერთ თვეში
შემოწერს ზოდიაქოს —
ამჯერად უკვე:
ნამდვილი ამსოფლიური დიდების
ორი მაღალი დროშით.

## აპოლონ ადონია

ეროვნული ბიბლიოთეკა

### ენა

ენა ჰგავს ერის გულს და ხასიათს,
ერის ხედვას ჰგავს იგი მთლიანად.
ენა ციმციმა სულის თასია,
სიტყვა — ყვავილა ფიქრთა ხვიარა.

უსასრულობა და სისადავე
არის მის ფსკერზე ამოსირმული:
უფრო წმინდაა ენის სათავე
ვინემ ანკარა მთების ბინული.

* * *

ვინ უნდა გასწვდეს შენს გზას
ბოლომდე,
ყველგანმყოფელო, ნათელო ყოვლის?
შენს სრულ წიაღში ვინ განმხოლოვდეს,
ვინ უნდა გსდიოს, რა გზების მოვლით?

მე შენი ერთი ლამაზი სხივი
გამომიწოდეს სიცოცხლის ნიჭად;
ის მიკრთის ფიქრში, გარშემო მივლის,
მზრდის და მინათებს ცასა და მიწას.

შენი იმედით დგას გულში სისხლი,
შენით ვარ. ქვეყნად თუ ვარ ძლიერი!
ვარ ავსებული შენეულ სივრცით,
ვარ უბედურიც და ბედნიერიც.

ცის ირგვლივ ვავლებ ათასგვარ ხაზებს,
ვარსკვლავებიდან ვაგროვებ ვარდებს
და წუთისოფლის უცნაურ გზაზე
მეც ჩემებურად ჰოროსკოპს ვადგენ.

მზე ჩვეულებრივ შორსაა ჩემგან,
მე იგი შენი თვალებით მშველის.
ყველა სინათლე ჩნდება და ქრება
უქრობელია სინათლე შენი.

შენ მუდამ უნდა იარო ლაღად,
ყოველი ფერის მჯობნი ფერებით:
კაცის განმწმენდო, ამყვანო მაღლა,
დიდო ნათელო, ცნობიერების.

### თავშესაფარი

*ნიკო ფიროსმანაშვილს*

მუდამ სხივი კრთის შენს სახედველში,
და რაც არა გაქვს, იმით ივსები:
სივრცე შემოგყავს დახშულ
კედლებში,
მთვარით ნათდება საგბოლისები.
ნისლიდან ჩნდება შენი ფერები,
მარგალიტები — ობლის კურცხლიდან.
მიწას რიჟრაჟულ ეცეერები,
სულიც ცად ავა, თუ გაუჭირდა.

სულ არ გადარდებს ირგვლივ რაც
ხდება
და რა როგორი იქნება მერე.
სადღაც არყოფნის ყოფნაში დგები,
ცნიაზები უსმენელ ბგერებს.
დრო აღარ გრჩება, რომ მოიდროვო,
გზა აღარა გაქვს, რომ გაესწრაფო.
ქუჩის ლანდი ხარ და უთვისტომო,
უსახლკარო და უთავშესაფრო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოყვასი ვერ გრძნობს შენს სისათუთეს,
მუდამ მზადაა გიმტროს, გაგწიროს.
სანამ სიკვდილი დაგისაკუთრებს
უნდა ითმინო და იჯახირო...
წამსვლელნი წავლენ, მომსვლელნი
მოვლენ,
ჩაინავლება ვაივალალი.
დროს მუდამ ასე სჩვევია ხოლმე,
წარსულს სიცხადეს ფენს მომავალი.

ამოხვალ მზეზე კაცი, რომელსაც
შენი დრო გთვლიდა არარაობად,
შეცდომილსაც და შეუცდომელსაც
ნათლად მომდევნო იგრძნობს თაობა.
ხმელეთს გასწვდები გაურიყავი
მზერის შუქით და ხედვის ნაქნარით
და მიხვდებიან რომ შენ იყავი
შენივე დროის თავშესაფარი.

* * *

მე არაფრის არ მქონდა რიდი!
ვიდექი ჩემთვის და ვუსმენდი საათის წიკწიკს, —
ამ უცნაურ, ამ გასაოცარ მეყების თვლას
ვუსმენდი მთელი ჩემი არსებით.
მერე შევნიშნე, საათი კი არა,
ეს ჩემი გულის ძგერა იყო
მუსიკის ბგერებს აყოლილი.

ეს იყო ერთხელ, მხოლოდ ერთხელ და მხოლოდ ერთხელ!
ჩემი სიცოცხლის გარიჟრაჟზე...
მე არაფრის არ მქონდა რიდი
და ერთ წერტილად ვიყავ შეკრული,
სმენის წერტილად...
და იყო წამი, გულის ძგერა, ერთი წერტილი
ტვინის ფსკერზე ამოქსოვილი
და კოსმიური ჰარმონიის უმთავრესი ერთი ბგერა
უსასრულო ხმის ნაპერწკალი.

ეს იყო ერთხელ, მხოლოდ ერთხელ.
რამდენიმე დღე...
მერე უეცრად მოვწყდი ჩემს გულს, მოვწყდი წერტილს
ჩემში ჩაქსოვილს...
გავცდი წამის ხმას, განვთავისუფლდი...
და ჰარმონიის ამ უმთავრეს ერთ ბგერად ვიქეც,
მას შევუერთდი, შევედი მასში და გავყევი მას...

ამ ბგერას ცეცხლი აღარა სწვავს,
ქარი არ აქრობს.
გალაქტიკები ვერ აჩერებენ მის მიმორხევას,
ქაოსი ვერ ნთქავს.
მე მასში ვპოვე მარადიული სამყოფელი ჩემი ოცნების.

მას შემდეგ ოთხი ათეული წელი გავიდა
და ახლა ვხვდები გულისტკივილით;

სჯობდა მიწაზე რომ დამედგა ერთი პაწია თავშესაფარი
და ვარსკვლავებით მომეხატა მისი ჭერი, მისი კედლები...

## ადამი და ევა

ღამის თერთმეტი საათია.
ივლისის ბუღი ჩაგუბდა თბილისში.
ევროპის რომელიღაც ცენტრიდან ჩამოხეტებული
ადამი და ევა შემოვიდნენ მეტროს ვაგონში
სადგურ „რუსთაველზე."
და აქ ტონანახევრიანი მამრი რომ გაგორდა ვაგონიდან
იმის ადგილზე დასხდნენ;
ჯერ ევა დაჯდა ჩემს პირდაპირ,
მერე ადამი მიუჯდა მარცხნივ.
ერთი იმხელა ადგილი კიდევ დარჩა,
ის მესამეც რომ მოსულიყო
თავისუფლად დაეტეოდა ადამის გვერდით.
ცისფერი და თხელი, ძალიან მოკლე შორტები აცვიათ.
ვერ უშოვიათ ლეღვის ფოთლები...
რა გასაკვირია!
დღეს ჩვენს პლანეტაზე
სართავ-საქსოვი დაზგები უფრო მეტი დგას,
ვინემ ლეღვის ხეები.
ამ მხრივ წინ წავედით ძალიან;
ძაფის ნაქსოვით ტანს ვიფარავთ,
სიტყვის ნაქსოვით — სულს...
ჰოდა, სხედან ჩემს წინ ახლა ევა და ადამი.
ძალიან საყვარელი მეჩვენა ორივე;
რა თქმა უნდა,
სექსუალურად არა!
ევას სულაც არ ახსოვს თავისი სექსუალობა
როგორც ეტყობა, —
წამწამები და უპეები მოლაღურის ფრთების ფერად
შეუღებავს მაინც.
ადამი კი სულ სხვაა:
არც მოწყენა იხატება მის გამოხედვაში, არც სიხარული,
უხსოვარი დროიდან მომავალი და შუა ასაკში
გარინდული მისი სახე ერთ წერტილს მისჩერებია.
სხედან ასე — მოჩუნდრულნი, უპრეტენზიონი.
მგზავრებს არ მოსწონთ მათი ჩაცმულობა.
მე კი ჩემი ბავშვობა მაგონდება, მოკლე შარვლით
რომ დავრბოდი ჭანისწყლის ჭალებში
რძიარძიას ეკლებით წვივებდაჩხვლეტილი,
და უზომო სიხარულს განვიცდი ბავშვობაში დაბრუნებით.
მიგრიალებს მატარებელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„მარჯანიშვილს“ გავცილდით,
„სადგურის მოედანს“ ვუახლოვდებით.
ისინი ჩასასვლელად ემზადებიან.
ჩემი ტვინის რომელიღაც წერტილში ჩვენი ავბედითი გზის
დასაწყისი და დასასრული მიეჯგლითნენ ერთმანეთს:
გადაუარეს წლებს, ათასწლეულებს...
ღრჭიალებულ კბილთა ტევრებს, სისხლის, ცრემლის
ოკეანეებს...
ნაჯახებით, მშვილდ-ისრებით, ხელმეხებით,—
ზარბაზნებით, ბომბებით ჩახერგილ სივრცეებს გადაუარეს
და ერთმანეთს მიეგლისნენ.
წინ, გზაჯვარედინზე, აილანდნენ;
დიდი ზომის, ძალიან დიდი ზომის,
ცისკენ აღმართული, თავწათლილი რკინის ფანქრები...
ამ ფანქრებმა სთქვეს ერთხმად და არაორაზროვნად:
თქვენ თუ არ ამოირეცხავთ
თქვენი არსების გულისგულიდან
ერთურთის ძლევის ძველისძველ შხამს,
მაშინ ჩვენ თქვენს სიცოცხლეს წავშლიდითო...
ძგრიალით გაჩერდა მატარებელი.
ადამი და ევა ჩავიდნენ.
ვაგონის სარკმლიდან ხელები დამიქნიეს.
მშვიდობით ძვირფასო ადამ!
მშვიდობით ძვირფასო ევა!

* * *

რა ჩუმად დადის სიკვდილი ქვეყნად!
რა უჩინრად დადის სიკვდილი!

წუხელ ელექტროდენის სადინარი
მავთული
გამწყდარა ჩვენს უბანში,
ჩამოვარდნილა და ძაღლი მოუკლავს.

დღეს მთვრალი კაცი
ავტომობილით კლდეს შეეჯახა
და დამსხვრეული
საავადმყოფოში მიუყვანიათ...

— რა ვქნათ!
ჩვენ მკვდარს ვერ გავაცოცხლებთო.—
უთქვამთ ექიმებს.

რა ჩუმად დადის,
რა უჩინრად დადის სიკვდილი!
რა შემზარავად გაიზარდა
მისი უგულო საასპარეზო!

და მაინც, მაინც
რა დიდებულად,
რა უნაღვლელად,
რა ზეიმურად
ეფინება მზის სხივები
სახლებს, აივნებს,
ქუჩებს და ხიდებს!..
ისეთნაირად შემოგვღიმის
ცა და ბუნება
თითქოსდა სიკვდილს
აქ არასდროს არ გამოევლოს...

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ნოდარ შამანაძე

### ქართველი ერი

დაჰყვა ბალახის შეუპოვრობა,
თიბავდნენ,
კიდევ ამოდიოდა;
გვირგვინად ედგა მზის სხივოსნობა,
აქრობდნენ, მაინც ამოდიოდა.

დაეცემოდნენ ელვა-მეხადა,
ბუხარში კვამლი ამოდიოდა,
მტერს სურდა, სული ამოეხადა,
სული თვითონ მტერს ამოდიოდა.

### მე მგონია

სიმაღლის შიში ადრიდანვე დამბედებია,
რომ დამებედა,
მე მგონია, ესეც ბედია.
ვინც სიმაღლეებს ესწრაფვოდა,
მანაც ინანა,
მწარეა, მწარე ჩამოვარდნა
სიმაღლიდანა!

### შამილის შვილი

ჯემალ-ედინი სულკადში სულს ლევს,
შვილი შამილის-იმამთ იმამის,
იმ მამის,
ვინაც არწივთა ბუდეს
გულის ძარღვებზე წლობით იმაგრებს.

სულს ლევს ჭაბუკი — ბორგავს და
ღელავს,
გული თავდება,
თვალი ინამვის,
ნისლი ედება დაღესტნის მწვერვალს,
მზე იბინდება იმამთ იმამის.

### ორი სიტყვით

დღეს ვინ რას მირჩევს ხვალის
თავდებად,
ზოგჯერ ერთ წამში გული თავდება.
ორი სიტყვის თქმას მოვასწრებ, ნეტავ,
ცრემლით შენაფერს,
ნაღვლით შენაფერს?
აღარ წამყვება უთქმელი სევდა,
ორი სიტყვითაც გეტყვი ყველაფერს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მამა

მზეს ასწრებდა, ცისკრის
შუქზეც წამომდგარა,
მე მძინარი მამა არ მინახავს, არა.
თუმცა, როგორ არა,
ვნახე ერთხელ, ვნახე.
მის ქარვისფერ შუბლზე სხივი დამდნარიყო;
ეძინა უნაღვლოდ,
გულმშვიდად ეძინა,
მაგრამ ის ხომ... ვაი, ძილი აღარ იყო!

## ჩიტო ჩიორავ

ჩიტო ჩიორავ,
ამ დილითაც ასალამურდი,
ჩამომჭიკჭიკებ რა ლამაზად, რა საამურად!
პაწაწა ყელში ვით გეტევა ეს სიხალისე,
სიხარულს აფრქვევ,
ტკბილი ხმებით ეზო ამივსე.
რა გიხარია,
რა გამღერებს, ჩიტო ნაცარავ,
გუშინ არ იყო: ვიღაც ავზნემ თოფი დასცალა,
დედა მოგიკვდა, გულისტოლიც გამოგაცალა,
ფისომაც გვიმტრო, ბარტყებისგან სულ მთლად გაგცალა,
გაგაბოროტა,
გაგამწარა,
ჩიტო ნაცარავ!
სასიმღერო და მოსალხენი მეც მაქვს არც არა,
სიკვდილმა დამკრა,
დამადაბლა,
დამზრა,
დამცარა,
მამა წამართვა,
ახლა დედაც გამომაცალა,
გულს ანთებული ჩირაღდანი გამინაცარა.
გამატიალა,
გამამწარა,
ჩიტო ნაცარავ!
შვილები კი მყავს, იზრდებიან განგების მადლით,
მაგრამ გავთავდი, აღარა ვარ ელდით და დარდით,
ვაითუ, მართლა უგნურება წლებს ავად გვათვლის
და მდუმარება გვემუქრება ბირთვული ზამთრის?!
...ასალამურებ ჯადოსნურ ყელს, ჩიტო პაწიავ,
სიმღერამ ზეცა აგიმაღლა, ცად შენც აგწია.
ბედნიერი ხარ,
ნეტავი შენ, ჩიტო ჩიორავ,
დარდსა და ნაღველს რომ იქარვებ ასე იოლად!

## ნეტავ

საქართველო-სამზისყანო,
ნეტავ, ხელში ავიყვანო,
მოვეტკბო და მოვეფერო,
ვეალერსო, ვეთაყვანო.
ვკოცნო, ვკოცნო, ვკოცნო, ვკოცნო,
კოცნით გული მოვიჯერო,
სიცოცხლეს რომ მირჩევნია,
მსურს, როგორმე დავაჯერო.

# ჯემსი კეპულაძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ახალგაზრდაზე, ან საერთოდ დამწყებზე, რაიმეს გადაჭრით, სრული პასუხისმგებლობით თქმა ძნელია. ნიჭიც კი, რაც გამონაკლისთა შორის გამონაკლისია, ყველაფერს არ ნიშნავს...

უთუოდ მაინც იმაზე უნდა ვილაპარაკოთ, რაც ხელთა გვაქვს.

კოლორიტული, ცოცხალი სახეებითაა დაწერილი ჯემსი კეპულაძის მოთხრობები, „მასალის“ ცოდნით, ერთგულებით და სიყვარულითაა ნაამბობი.

კოხინჯრობა ერთ დროს რელიგიური და მერე სახალხო დღესასწაული, რომელიც ამ ბოლო დროს დავიწყებას ეძლევა, ამ მოთხრობაში სხარტად, გონებამახვილურადაა გადმოცემული და, სხვა სიკეთესთ ერთდა, ეთნოგრაფიული ღირებულებაც გააჩნია.

ოტია იოსელიანი

## კოხინჯრობა

(ციკლიდან — „დედულეთი“)

— ბალი ხომ იქნება მწიფე, ბალი... მაისის ბალი? — მოსვენებას არ ვაძლევ ლეკიას და მთელი გულისყურით მამაჩემთან საუბარში გართულს, სახელოზე ვქაჩავ.

— აჰ, ბიძია, ბალი?.. არის, ალბათ, უკვე...

ბიძაჩემი კოხინჯრობის წინა დღეს გვესტუმრა. დიდის ამბით გვეპატიჟება დღესასწაულზე:

— მოუსვლელობა არ გამოვა, არც იფიქროთ, რაცხა წელიწადში ერთხელ ვიკრიბებით ახლობლები... არ გამოვა სხვანაირად... თუ არ მოვედით და მოხვედით, ხომ დავკარგავთ ერთმანეთს...

— ბალი ხომ იქნება დამწიფებული? — ჩემსას არ ვიშლი.

როგორც იქნა, მოიცალა, ნახევრად შემობრუნდა სკამზე და ჯორკოზე მოკუნტულად მჯდარს, თავზე გადამისვა ხელი.

— კი, შეთვალებულია, უკვე ვარგა საჭმელად, ოღონდ შენ შეიძელი და...

კისერზე ჩამოვეკიდე, სუფთად გაპარსული ლოყები დავუკოცნე, უსათუოდ მისვლა აღვუთქვი.. ბლის მოლევამდე დარჩენასაც დავპირდი. — კარგით, — მითხრა, სათამადო კაცი არ გვეყოლება მოსაძებნი, ხათაბალას გადავრჩებით...

ხვალ ოცი მაისია, კოხინჯრობის დღე! ჩვენს მეზობლობაში კიდევ ორი ოჯახია მიწვეული თავიანთ ნათესავებთან... როგორც კი მზე დასალიერს მიუახლოვდება, დუქნებზე გავალთ. მანქანას დავიჭერთ და, ჰაიდა — მესხეთისაკენ! მაგრამ ხვალ საღამომდე არ გინდა გაძლება?!

კოხინჯრობა ძველისძველი დღესასწაულია, მაგრამ იგი საღმრთოსავით ეკლესიაში კი არ იმართება, — ოჯახებში აღნიშნავენ.

ყოველთვის სიხარულით მიმიწევს გული დედულეთისკენ, სადაც ჩემს გაკვირვებას იწვევენ ამაყი, თავმომწონე მოქეიფეები, რომელთა საქციელი თავბრუს მახვევს. ღმერთო ჩემო, რა გაბედულად წარმოთქვამენ სადღეგრძელოებს!.. იმგვარი სითამამით მღერიან, ნამდვილად ვერ წარმომიდგენია, ჩემზე რომ მიდგეს ჯერი, ხმის ამოღება შევძლო, ამდენ ხალხში რიხიანად ავწიო ღვინით სავსე ჭიქა და მშობლების სადღეგრძელო ვთქვა, ანდა, თვალებგადმოკარკლული მეარღნე ცეცხლოვან საცეკვაოს რომ დაუკრავს, მაგიდას გადმოვევლო, ბრახუნით დავასკდე იატაკს, მკლავები ფართოდ გავშალო და ჩვენებური ქართული ჩამოვუარო!.. საოცარია პირდაპირ, როგორ არ რცხვენიათ!.. მერე რანაირად მანჭავენ სახეს და ათამაშებენ ბეჭებს! წრიდან რომ გადიან. ზოგიერთები, წელში წაიხრებიან და თეძოებს უცნაურად აყოლებენ მუსიკას, თან ტაშს უკრავენ თვალმინაბულები!..

როცა ამგვარ სანახაობას შევყურებ, ერთი პატარა ამბავი მახსენდება. ზუსტად ვერ გეტყვით, რამდენი წლის ვიყავი... ალბათ, ექვსის ან შვიდის. ჩემზე უფროსმა გოგო-ბიჭებმა მხიარული სანახაობის გამართვა განიზრახეს. ამ კონცერტს თუ სანახაობას წინ უძღოდა მოსამზადებელი პერიოდი, როცა „მსახიობებსა“ და „მომღერლებს“ არჩევდნენ, ლექსებს აკითხებდნენ. ლექსს კიდევ ჰო, რალაცას მოვახლაფორთებდი, მაგრამ ჩემთვის ყველაზე უსიამოვნო იყო, როცა მოცეკვავეებს დაუწყეს ძებნა. მარტო მე კი არა, უმრავლესობას ეუხერხულებოდა საჯაროდ მსახიობობა, ყველაზე მეტად ის აფიქრებდათ, მშობლების, ნათესავებისა და მეზობლების თვალწინ რომ მოუხდებოდათ „სცენაზე“ გამოსვლა. მაგრამ კონცერტის მოთავეები (მათ შორის ქალებიც იყვნენ) თხოვდნენ,

აგულიანებდნენ, აძალებდნენ კიდეც. ხოლო თუ მაინც ვერ დაიყოლიებდნენ, ემუქრებოდნენ — ვინც წარმოდგენის გამართვაში არ დაგვეხმარება, საყურებლად არ შემოვუშვებთო.

მთელი კვირა ფეხი არ გამიდგამს ჭიშკარგადაღმა, მხოლოდ მაშინ გამოვჩნდი, როცა უკვე მომღერლებიც და მოცეკვავეებიც საკმარისად შეარჩიეს. წარმოდგენის დაწყებამდე ძელსკამზე ჩამოვჯექი და, მოკუნტული, გაფაციცებით შევცქეროდი თანატოლებს, ამ საკონცერტო გაწამაწიაში ერთობ სასაცილოდ რომ გამოიყურებოდნენ.

სეირი მაშინ დამემართა, როცა წარმოდგენა დაიწყო და სპილენძის ტაშტზე საცეკვაო დასცხეს. მეზობლის კოინდრიან ეზოში ორ ხეს შუა გაბმულ თოკზე ფარდებად ჩამოკიდებული თეთრი ზეწრები გადასწიეს და იქიდან გამოსრიალებულმა ქალაქელმა გრძელკიკინებიანმა გოგონამ „სცენაზე“ ლამაზად ჩამოუარა და წინა რიგიდან მეზობლის გოგო გაიწვია. თურმე ეს ასე ყოფილა ჩაფიქრებული, მე კი ამისა არაფერი ვიცოდი და გულგახეთქილი — არ მაცეკვონ-მეთქი, წამოვხტი და სულ მივატოვე იქაურობა. კარგა ხნის შემდეგ ძლივს გავბედე ბუხუტის ფართო ეზოში შეპარვა, უკანა რიგში მივიკუნჭე და გავინაბე. არასდროს დამავიწყდება, როგორ გამაწითლა ოჯახის უფროსმა:

— შენ რას იმალები, ბიჭო, აქ?.. მიდი, იცეკვე, იმღერე, რისა გრცხვენია? შენხელა რო ვიყავი, ქვიჯას ვახტებოდი, ბიძია...

მას შემდეგ ოთხი თუ ხუთი წელიწადი გავიდა. მე მაინც არაფერი მეშველა, თუ სადმე ცეკვა-თამაშია, ისევ შიში და დაბნეულობა მეუფლება: ვინმე რომ არ მომეშვას და ამდენი მოციცინებული მოსეირის თვალწინ ძალით გამაშლევინოს მკლავები ყურებიანად გაწითლებულს... ყველაზე მომსპობი, ალბათ, მაინც ისაა, წრეში რომ მიგატოვებენ, ერთხანს მარტომ უნდა იცეკვო, მერე კი ვინმე გამოითამაშო... მაგრამ ყველამ თუ უარი გტკიცა, რამდენ ხანს უნდა გაძლო?.. ბოლოს, თუ უსაშველო გაჩნდა, როგორმე უნდა მოახერხო, რომ მოხდენილად დაუკრა თავი დამკვრელებს და, გამოჩენად რომ ღირდეს, იმდენი ფული მიაფარო შუბლზე!.. რა წარმოუდგენელი გამბედაობაა! თავის დაკვრას კიდევ შეძლებს კაცი, — უცბათ დაიქნევ, მოწყვეტილად, იქნებ მტკივნეულადაც, მაგრამ, როგორც იქნება, გაუძლებ, შებრუნდები მაშინვე, მოუსობ და სულის მოსაბრუნებლად სადმე მიიმალები.... ეეჰ, რამდენი გამბედაობა უნდა ქვეყნის დასანახავად ჯიბიდან ფულის ამოღებას, მეღოლე-მეგარმონესთვის, გინდ მეარღნისთვის ჩუქებას და, ბოლოს, მშვიდი, კმაყოფილი იერით სუფრასთან დაბრუნებას!... ხო, ხო, რა უცნაური ხალხია ეს მოქეიფეები, როგორ არაფრის რცხვენიათ და ერიდებათ!..

ბიძაჩემი რომ ცეკვავს, მე ამდის სახეზე ალმური. როგორ თავისუფლად შლის ისიც მკლავებს და ათამაშებს ბეჭებს, ისე გაუს-გამოუს-ობს, გეგონება, მოცეკვავედ არის დაბადებულიო... მე რა ეშმაკი მემართება, მისი დისწული არა ვარ?!. თუმცა, ლექსის ხნის რომ ვიქნები, ესე იგი, შვიდი წლის მერე, ალბათ, არ უნდა გამიჭირდეს ასეთი რამეები... მაგრამ რა ჯანდაბად მინდა! — აგერ ჩემთვის თავშეუწუხებლად ჯდომა და ყურება არ მირჩევნია?.. ცეკვას რომ მორჩება და სუფრას მიუჯდება, მაშინვე კაი-კაი სადღეგრძელოებს გაჭიმავს, ღვინოსაც ბლომად სვამს... მღერის კიდეც. ერთხელ ამხანაგები მოიყვანა სახლში. თექვსმეტი წლის თუ იქნებოდა მაშინ ლეკია, შეიძლება — ჩვიდმეტის... ჰა და ჰა! ქალაქის ტექნიკურ სასწავლებელში სწავლობდა. კოხინჯრობა იყო. ბებიამ ეზოში, ხასხასა მოლზე გაუშალათ სუფრა. ბიძაჩემი ნასვამი ჩანდა,—ისეთ რაღაცეებს ამბობდა, რაც მისგან მანამდე არასდროს არავის გაუგონია:

— მოდით, ბიჭებო, ამ სასმისით ჩვენი მშობლები ვადღეგრძელოთ!...

ბებია სუფრაზე სასმელ-საჭმელს ამატებს, თან ჩუმჩუმად იღიმება, ცდილობს, ლეკიამ არ შეამჩნიოს, თვალები კმაყოფილებით უბრწყინავს... უი, შენ დეიდუპე ბარემამო! — ჩურჩულებს და აფოფინებული, ჩემ გასაგონად ამბობს: —შეხედე, შეხედე, ბიძაშენი რავა დაკაცებულაო... ბოლოს მოიარებით არიგებს ახალგაზრდებს:

— კი არ მენანება, შვილებო, მარა, ბევრს მაინც ნუ დალევთ... ჯერ კიდევ ბალღები მგონიხართ...

— ვინ არის ბაღანა! — წამოხტა ლეკია, დედას მივარდა, ხელები მაგრად მოხვია, არცთუ ტანმჩატე ბებიაჩემი მაღლა აიტაცა, ერთი შემოტრიალდა, დაუშვა ძირს და გაიქცა. ოდიდან პატეფონი გამოიტანა, ისეთი საცეკვაო „დაუკრა“, ფეხები ამითამაშდა...

მაშინაც ვინატრე: ნეტა, როდის ვიქნები ლეკიასხელა, რომ მასავით ასე თამამი სადღეგრძელოები, ცეკვა და სიმღერა შევძლო-მეთქი. ეს იყო ბიძაჩემის პირველი სერიოზული შეთამამება ცხოვრებასთან და უფროსებიც ღიმილით შეხვდნენ კაცობაში ფეხშედგმული ბიჭის საქციელს. მაგრამ, როგორც მაშინ მეჩვენებოდა, თითქოს ყველაფერი ეს ჯერ კიდევ ადრე იყო თექვსმეტი წლის ყმაწვილისათვის და უხერხული ღიმილისა და დაცინვის მეტს არაფერს იმსახურებდა.

კაცმა რომ თქვას, რა უნდა იყოს მოსარიდებელი ცეკვასა და სიმღერაში... მთავარია, გაბედო, პირველი ნაბიჯი თუნდაც თვალდახუჭულმა გადადგა, მერე ყველაფერი, ალბათ, თავისით წავა. საჩქარო, ჯერჯერობით არაფერია, მერე და მერე ეს უცნაური შიში და რიდი გამივლის... არადა, როცა ეს მოხდება, უსათუოდ მთელი სოფელი შემომაჩერდება

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ჩუმად იცინებს! რაღა მაინცდამაინც ჩემზე უნდა იხორხოცონ და იმაიმუნონ...

ჰო, კოხინჯრობის დღესასწაულზე ლეკიამ რომ მიგვიპატიჟა, იმას ვყვებოდი...

დაგვიგვიანდა მანქანის შოვნა... რა სასიამოვნო და დაუვიწყარი იყო მსუბუქი მანქანით მესხეთისკენ მგზავრობა!.. შეღამებულში მივადექით ბაბუას ჭიშკარს.

მამაჩემმა სანამ ტენტიანი „პობედის" მძღოლი გაისტუმრა, ეზოში შევირბინე. მთელი სახლობა აღფრთოვანებული გამოგვეგება; ბებია, ბაბუა და ჩემი ბიძები — ლეკია, გივი და ვალოდია, ზოგიერთი სტუმარიც, ტუსკა და აბდულა ხომ მხიარული ყეფით მიაწყდნენ ჭიშკარს.

. . .

არც იმდენი დაგვიგვიანია, — ის-ის იყო ვახშმობას აპირებდნენ. მე კი სულაც არ მეპრიანება ვახშამი, — გულდაწყვეტილი შევყურებ სახლის უკან ბნელაში ქუშად დაყუდებულ ბლის ხეების მაღალ კენწეროებს და იმაზედა ვფიქრობ, ჩვეულებრივ მალე გათენდება თუ, როგორც ასეთ დროს ხდება ხოლმე, მთელ საუკუნედ იქცევა ღამე. შენს ჭკუაზე ვინ გაგიშვებს, თორემ ადრე დაწოლა ყველაფერს სჯობს. როგორმე თუ ჩაძინებას მოახერხებ, როცა თვალებს დააჭყეტ, მზეც აკაშკაშებული იქნება და მერე რაღა უნდა ხეზე აძრომას.

მაგრამ ჯერ ვის სცალია ჩემი ლოგინისთვის. ბაბუას, ჩვენს გარდა, სხვა ნათესავებიც ჰყავს მოპატიჟებული, ოჯახიც მრავალრიცხოვანია. სტუმარ-მასპინძლები რომ სუფრას მიუსხდებიან... ეეუუ, რამდენი ამბავი უნდა ამას!..

თამადად მამაჩემი ჯდება, როგორც უფროსი სიძე, სუფრის თავში, საპატიო ადგილზე. იწყება პურის ჭამა...

გულის მომკვლელად მიიზლაზნება დრო, არადა, არის ერთი ხუმრობა და სიცილ-ტკარცალი. მალე შემთვრალი ზაური და კიკია გვემატებიან, სამ ჭიქას აძალებენ ერთად. შემოსწრებულები ჯერ უარობენ, ხმამაღლა როხროხებენ, ბოლოს მაინც სვამენ.

ქეიფი ეშხში შედის, ხმაური მატულობს, რასაც დროდადრო ომახიანი სიმღერები ენაცვლება.

გაშუაღამდა, რული მერევა, თვალები მეპლიტება... პატეფონის მაგიდასთან მიდგმულ სკამზე ვყვინთავ... მეტი აღარ შემიძლია, დაწოლას ვითხოვ.

მეორე ოთახში ჩელტებქვეშ მიშლის ბებია ლოგინს. ჩემს ზემოთ აბრეშუმის ჭია შრიალებს წყნარად, წვიმასავით, დამამშვიდებლად. იქ ისევ რუზრუზია. ბალიშზე თავის დადებისთანავე ვიძინებ... მერე ხმამაღალი შეძახილები ჩამესმის, არღნის ჰყვიტინიც მიბურღავს ტვინს... ვწრიალებ, ძილმღვიძარი ვდგები ფანჯარაში ვიხედები, — ხომ არ გათენებულა, ხომ არ დამდგარა ჟამი ჩემი სიხარულისა?.. გაგიგონია! იქით, კარის ღრიჭოში ვიჭვრიტები. შაქრო მოსულა მეარღნესთან ერთად. ღვინოსმული ქანაობს, დროდადრო ქაღალდის ფულს უცოცებს მეარღნეს ჩამოფხატულ ქუდქვეშ და ვითომ ცეკვავს, — ფორხილებს, თავის შეკავებას ცდილობს, ბოლოს მაინც თავისი ემართება — მაგიდასთან იშხლართება... ფეხზე ძლივს აყენებენ და შინისკენ ექაჩებიან უკან გამოდევნებული ცოლი და შვილები. ჯიუტობს შაქრო, ვითომ წელშიც სწორდება, მეარღნეს აგინებს, როგორ გაბედე და დაკვრა შეწყვიტეო... ქანცგაცლილმა მეარღნემ აღარ იცის, რა ქნას, ისევ მთელი ძალით ატრიალებს არღნის სახელურს და, ეტყობა, გაპარვას აპირებს... მაინც ვერ გადაუწყვეტია საბოლოოდ... შაქროს მიცემულ ყოველ მანეთს თვალებგადმოკარკლული შემოსცქერის მთვრალ კაცს დადარაჯებული ქალაბი, მაგრამ ვერ ბედავენ ხელი შეუშალონ თავაწყვეტილ მოქეიფეს.

სანამ უნდა ვუყურო მთვრალი კაცის მაიმუნობას. ისევ ვწვები და დაძინებას ვცდილობ... ქალების ჩოჩქოლი მაღვიძებს. დაფეთებული ვახელ თვალებს. შეშფოთებულები მამშვიდებენ: — ნუ გეშინია, შვილო, მიწა იძრა... პირველად კი არ ხდება, უკვე გაიარა, გადავრჩით!... მაგრამ ვინ უთხრა მათ, რომ მიწისძვრის მეშინია, სრულებითაც არა, ბუმბულა ბალიშს თავზე ვიდებ და წამით ჩამოვარდნილ სიჩუმეში ნანასავით ჩამესმის აბრეშუმის ჭიის შრიალი.

— იცოდეს მტერმა ვერაგმა, რომ მომავალი ჩვენია — ხმამაღლა გაჰყვირის ვიღაც. ცოტა ხნის შემდეგ ისევ იმეორებს. ომახიანი ხმა აქვს, შთაბეჭდილების მომხდენი, არ შეიძლება, არ გაიგონო ან დაგავიწყდეს...

დილაადრიან მეზობელი ოთახიდან ხმამაღალი ხვრინვა მაღვიძებს. გარეთ ჩიტების საამური ჟღურტულია.

გვერდს ვიცვლი და... შიშით ვიხედები საბანქვეშ: რა ჯანდაბა შემოძვრა! რა არის ეს?!. ღმერთო ჩემო, მწიფე ბლით აუვსიათ აქაურობა, ლეკიამ იცის ასე, რაღაცით უნდა გაგახაროს მოულოდნელად, ვერაფერი დაავიწყებს სტუმრის პატივისცემას. აღტაცებული ვიტენი პირში გაზაფხულის ამ საოცარ ხილს და ვფიქრობ, ალბათ, სხვების საწოლებიც ასეთივე ცვრიანი ბლით იქნება ავსებული-მეთქი.

ლოგინში რაღა გამაჩერებს, მართლა ჭამაზე ხომ არ არის საქმე — საკუთარი ხელით დაკრეფილს მაინც არაფერი სჯობს!.. ფეხშიშველი გავრბივარ...

ორღობეში ამ დილაუთენია ვიღაც ხმაჩახრინწული მღერის, დოლ-გარმონის ხმაც ისმის... რამდენი ვინმე არ მოხუჭავდა თვალს წუხელ, გადაპატიჟება-გადმოპატიჟება, ეზოდან ეზოში, ოჯახიდან ოჯახში... ჭიქა, ჭინჭილა, ყანწი, კუ-

ლა... მერე კისერმოტეხილები ნაშუაღამევს სადმე მიეყრებოდნენ, ხოლო ქეიფით გულდაუმცხრალნი ისევ გააგრძელებდნენ სმას...

ა, აგერ ჩვენს ქიშკარს მოადგნენ. კაპიტან ბუხაიძის გმირობაზე მღერიან, მარჯვედ წელავენ გარმონს და დაუზოგავად ცემენ დოლს. სწრაფად იშლება სუფრა, მოარბენინებენ ბუხარში შეცხელებულ ხორცეულს, შეფიცხებულ მჭადებს და ხაჭაპურებს... ჩინჩხლებს ჭყრის ქარვისფერი ცოლიკოურით გალიცლიცებული ჭიქები... „ვინც დამხედოთ, გადაეცით საქართველოს მთებს და ველებს, რომ მისი ძე ბუხაიძე, აქა ვულეტდი უვითელ გველებს... მე საფლავში არა ვწევარ, აქ დარაჯად დამაყენეს..."

სიმღერას ჯერ დაბალ ხმაზე იწყებენ, დარდის ბურუსში ხვევენ; თავიდან მძიმედ განიცდიან გმირის ტრაგიკულ ბედს, მაგრამ მალე ყელს ილერებენ და გრიალი გააქვს საკოხინჯრობო სუფრას... უყვართ ბუხაიძე მესხეთში; ქართველი ვაჟკაცის გმირობით ალტაცებულნი, სიამაყით იხსენებენ, რომ კაპიტანი ბუხაიძე მესხეთლების სიძე იყო, სულაკაძის ქალი ჰყავდა ცოლად...

როცა თამადა ფეხზე დგება და ჭიქას იღებს, მაშინვე ჩუმდებიან. სუფრას უკვე მასპინძლები და წუხანდელი სტუმრებიც უსხედან. ითქმება თუ არა სადღეგრძელო, მჭახედ გაისმის:

— იცოდეს მტერმა ვერაგმა, რომ მომავალი ჩვენია!..

მე უკვე ვიცი, ვინც არის ეს ოპტიმისტი, — ჩვენი შორეული ნათესავია, ინჟინერი კაცი, მუდამ ჟამს მოუსვენარი და ქეიფისმოყვარული... ომში რომ ყოფილიყო, ალბათ, ბუხაიძეზე ნაკლები გმირი არ იქნებოდა...

მერე ორღობეს მივუყვებით, იქვე ახლოს ვართ გადაპატიჟებული.

ლეკია შემთვრალა, გვერდიდან არ მიშორებს. ხელი ჩემს ბეჭებზე აქვს გადადებული; ბარბაცით მიუყვება გზას, ვითომ გადამთვრალი იყოს, მაგრამ მე კარგად ვიცი, ამას რატომ აკეთებს. დაუცხრომელი სურვილი აქვს, უფროსებს მიჰბაძოს, თითქოს დიდი მოქეიფე ვინმე იყოს. წინ „აზიური" მიგვიძღვის, მედოლე გვარიანად გადაკრულშია, ძლივს მიჩანჩალებს და რამდენჯერაც შემოჰკრავს დოლს, იმდენს წაიბორძიკებს. წუხანდელი ლამენათევი უმეტესწილად თვალებდახუჭული უკრავს.

ორღობიდან ორღობეში ვუხვევთ. ვიღაც მაღალი, თმაგაჩეჩილი ახალგაზრდა ზურგზე არღანმოგდებულ ჩია კაცს ეკინკლავება:

— გეუბნები, ჩემთან წამოხვალ, თვარა გიჩვენებ სეირს... მარილივით დაგიფშვნი მაგ არღანს!..

— მიხეილა, მიხეილა... შენმა გვარმა იხეირა! — ჩაიმღერა ჩვენგან ვიღაცამ.

მიხეილა შემობრუნდა, გრძელი, კაუჭა ცხვირის ნესტოები ნერვიულად დაბერა და შემოგვჩივლა:

— ეს ოხერი მარწმუნებს, დოლ-გარმონით მოქეიფე ხალხთან მეარღნეს რა ხელი აქვსო... რა ვუყო ახლა მე ამ მართლა მეარღნეს, ეს ჭრელი ყუთი თავზე არ დავაჩეჩქვო?

— დააჩეჩქვე, ახია მაგაზე! — წააქეზა გალიმებულმა მეგარმონემ.

— რავა დააჩეჩქვო, შე კაცო, წამეიყვანე ჩვენთან, — არღანიც ვატრიალოთ. დოლიც ვაბრახუნოთ და გარმონიც ვწელოთ! — მოახელკეთილა საქმე ზაურმა, თან მარჯვენა შემართა, ცერა და შუა თითები გაატკაცუნა, რასაც ომახიანი, მისთვის საყვარელი შეძახილი მოაყოლა: — აჰაა, ბოცორი!

კინაღამ წაიქცა ლეკია, იმდენი იცინა... ზაურთან ნადირობის ამბავი მოაგონდა...

მიშა რის მიშა იქნებოდა, თავისი არ გაეტანა. ძალისძალად დაიყოლია დარჩენებული მეარღნე და, უსაზღვროდ კმაყოფილმა, სიმღერა წამოიწყო...

ორღობე ერთ დროს მოუხრეშავთ, მაგრამ რადგანაც გზის სივიწროვის გამო, არც ურემს და არც მანქანას გადახვევ-გადმოხვევა არ შეუძლია, ორ ბილიკად ჩატკეპნილა, გზის შუაგული კი მაღლა დარჩენილა, ზედ დაბალი, ხასხასა ბალახი წამოსულა და მწვანე ზოლად გასდევს მთელ სიგრძეზე. ორღობის ორივე მხარეს ეზოებია. ზოგს ყორე ამოუყვანია, ზოგსაც ბროწეული და ეკალბარდი მიუშვია თავის ნებაზე. აქაიქ ჯარჯულ ღობესაც წაჰკრავს თვალს კაცი. ერთს აგერ ცხენიანი კაცის სიმაღლეზე წაწვეტებული მესრით შემოუკავებია კარ-მიდამო... ჭიშკრებიც უმეტესად ხისაა. ბოძებზე ალაგ-ალაგ ცხენის თავის ქალა ჩამოუცვამთ, რომ ავ თვალსა და ბოროტებას გაარიდოს... წნელის ღობესაც შეხვდებით, უმეტესად ჩამპალსა და ჩამტვრეულს, ხავსმოდებულს, რასაც ქოჩორივით გადმომფენია ეკალბარდი, რომლის ქვემოთ ჭინჭარი მოსდებია. ასეთი ღობეები საუკეთესო საშუალებაა მოჩხუბრებისთვის — საკმარისია ხელის გაწვდენა და წვალების გარეშე შეძლებ სარის ამოძრობას ან მოტეხას, მერე შენზეა დამოკიდებული — გინდ შესაშინებლად გამოუნთები, ვინც თვალში არ მოგდის, გინდა, ვისაც გაიმეტებ, ბეჭებში მოსდებ. თუ ამ საქმეში დახელოვნებული ხარ და აქაურობასაც კარგად იცნობ, მეტისმეტად სავალალო შედეგის მოლოდინი არც უნდა გქონდეს. სარების უმეტესობა ხმელი, ჩამპალი და დახავსებულია, დარტყმისას უეჭველად დაიფშვნება... ამის შემდეგ თავს უნდა უშველო, რადგან სოფელში ძნელად მოიძებნება კაცი, კეტი სთხლიშო და თუ იმანაც სარი არ დააძრო, რიყის ქვები მაინც არ დაგაყაროს.

მოსახვევში კაცი გამოჩნდა. ნელა მოდის, კი არ მოდის, — მოიღლადება; ერთობ სასაცილო სანახავია. ჯერ გაუბედავად დგამს ნაბიჯს, მერე თითქოს წიხლი ჩაარტყესო, წელში იკეცება... ნელ-ნელა, ძლივძლივობით გამოირბენს ორ-სამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაბიჯს წინ და, რომ გგონია, სადაცაა მიწას დაასკდებაო, სადღაც ჯერ კიდევ შემორჩენილი ძალით ღობისკენ მიბანცალებს. ცალი ფეხი ეღვლიჭება, თითქოს წამოწოლას აპირებსო, მაგრამ, ეტყობა, იმ ხასიათზეც არაა, ჩემისთანა ლლაპები აცინოს. ორივე ხელით აფრინდება ღობეს და მორყეულ სართან ერთად ქანაობს.

— ვაი შენს პატრონს, უბედურს, საშაია აბდალაძე! — ვითომ სერიოზულად ამბობს ლეკია, მაგრამ მაინც ეღიმება.

ეს ის საშაა, სიფხიზლეში რომ ოქრო კაცია, მაგრამ ქეიფში ცერის ფრჩხილზე უყვარს დაცლილი სასმისის დაკაკუნება; ნაღდი მსმელი თუ ხარ და ამ დალოცვილ სითხეს რამედ აგდებ, ჩემისთანა უნდა იყოო... ამბობენ, ქალის გადასანახულებლად რომ წაიყვანეს, მაშინ დაემართა, რაც დაემართაო. თურმე იმდენი სვა, ძლივს ააგლიჯეს სკამიდან, გვერდზე გაიყვანეს და ჰკითხეს წამყოლებმა:

— საშაია, თუ ქალი არ მოგწონს, მაშინ ამდენი ღვინის სმა კი არა, პირი არაფრისთვის არ უნდა დაგეკარებინა, სირცხვილია, რას იტყვის უცხო ხალხი!.. თუ მოგწონს, დროზე თქვი და ჩვენც მოვილხენთ, ყელზე ლუკმა მაინც არ დაგვადგებაო.

— მომწონს, რავა არ მომწონს, შესახედავად ნამდვილად არ ვწუნობო... — ამოუღერღია, მაშინვე უკან შემობრუნებულა და სასიმამროსათვის უხარებია:

— ჩემო კეთილო, გულწრფელად უნდა გითხრა, რომ შენი ქალიშვილი ნამდვილად მომწონს, მარა მაგისი სულიერი მხარე როგორია არაფერი ვიცი... ვაითუ ერთმანეთს ვერ შევეგუოთო...

სასიმამრო კეთილი და ბუნჩულა კაცი ყოფილა, სასიძოს უბედობისთვის ყური არ უთხოვებია, გაღიმებულს უპასუხნია:

— მაგი ნუ გეფიქრება, მწყერივით უწყინარი შვილი მყავსო...

დღეს კი ის „მწყერივით უწყინარი" ქალი აგერ, ა, ოცი წელიწადი მაინც იქნება საშა აბდალაძის ცოლი, ხუთი შვილის დედაა და მას შემდეგ თავზე ქოქოლას აყრის ბახუსის თაყვანისმცემელ ქმარს...

დოლ-გარმონის ხმის გაგონებაზე საშა ძალამოცემული მოშორდა ღობეს, ხელები გაშალა, ცეკვაინდომა, თუმცა დამკვრელები „ჩემო ტკბილო მეგობაროს" აცოდვილებდნენ.

— შეუბერე, საშაიი ვარ, აბდალაძე!..

მაინც განწირული იყო, თუ ამ წამოძახილმა ძალა გამოაცალა, ხელებგაშლილმა, დიდი წვალებით შენარჩუნებული წონასწორობა დაკარგა და სწორედ იმ დროს მიუსწრო ზაურმა, როცა პირქვე დახეთქებას აპირებდა. წამოაყენა, მარცხენა ხელი იღლიაში შეუცურა, მარჯვენა ბეჭზე შემოაჭდო, — გამართა წელში, თან ისე ალალად შეჭლიმოდა, მართლა საშასავით გამოლენჩებული უნდა ყოფილიყავ, ამისთვის გამოგელანძღა. ერთი სიტყვით, აბდალაძემ გასაჭირის დროსაც არ იკადრა, მის ფართო ბეჭებს ვინმე შეშველებოდა. ასეთი უმადურობა კი ვეღარ მოითმინა გრიშა ფხაკაძემ, ზორბა ტანის გამო მეტსახელად „ძონძს" რომ ეძახდნენ, საყელოში ჩაავლო ხელი და მაგრად შეაჯანჯღარა.

— წეეთრიე, საშაია, სახლში!.. ასე გატიალებული რომ არ იყო, ცხვირ-პირი გაქვს დასამტვრევი... — მოსწია, გვერდულად უბიძგა და თედორე სულაკაძის ჭიშკართან მიაგდო.

ზაურს არაფრად ჩაუგდია გადამთვრალი კაცის სისულელეები, — ხელები დაიფერთხა, თითქოს რაიმე ჭუჭყიანს შეხებოდა და წინ წასულ მოქეიფეებს დაეწია; „ჩემო ტკბილო მეგობაროს" მოტივს სულ სხვა ლექსი მიამღერა:

წავალ ბაღში, დავკრეფ იას.
გოუგზავნი გოგოიას... ჰეეე...

— შე კაი კაცო, ბაღში წასვლა რად გინდა, აგერ ყორის კიდეები ყვავილებითაა სავსე! — შეუბღვირა ლეკიამ.

ზაურმა თავისი არ დაიშალა და გააგრძელა: —„იას დავკრეფ, ვარდს არაო, შენ გაკოცებ, სხვას არაო..." კინაღამ ბიძაჩემიც აიყოლია.

პირველსავე გზაბოძალზე ცნობილი მოქეიფე და ჩხუბისთავი შალიკო სულაკაძე შემოგვხვდა. ვიღაც ჩასუქებული მეარღნე გამოეჭირა, მარცხენა ხელი კისერზე შემოეხვია, მარჯვენა არღნის ჭყვიტინზე გაეშალა და მთელი სიმძიმით აწვებოდა ისედაც სიქაგაცლილ კაცს. ხანდახან „კორბას" უტაცებდა ხელს, ვითომ წახმარებას ცდილობსო, მაგრამ როცა ამჩნევდა, არაფერი გამოდიოდა, მკლავებს ფართოდ შლიდა და მთელი ორღობე მოჰქონდა. რაღაც გაუგებარ ჰანგზე მღეროდა. როგორც კი ჩასამღერს ჩაიმღერებდა, თითებს გაატკაცუნებდა, მერე ის თითები რიგრიგობით მიჰქონდა პირთან და დაუზოგავად კბენდა... სევდიანდებოდა და წუხდა:

ცივ ზამთარში უსახლკაროოოდ
სიცივე....შიი გავატარეეეე,
რად... არ დასწვით... ის აკვანიიიი...
რომელშიც მე გავიზარდეეეეეე!.. ჰოპ...

ცოტა ხანიც და ბებიდას ეზო-კარს მივადექით. ფართო ჭიშკარი ღიაა, პატარა ფიცრული სახლის წინ, უზარმაზარი ბულის ჩრდილქვეშ სუფრა გაუშლიათ.

კოტე სიყვარულით ეხვევა მასპინძლებს, ხელს მაღლა სწევს და გრძნობამოჭარბებული შესძახებს:

— იცოდეს მტერმა ვერაგმა, რომ მომავალი ჩვენია!..

ღობის მარგილს ცალი ხელით ვიღაც კოხტაპრუწა ახალგაზრდა ჩასჭიდებია, მეორე თეძოზე შემოუდგამს, განზე გახრილა, მარჯვენა ფეხის წვერს დარდიმანდულად ათამაშებს და თავალერილი უკიჟინებს დამკვრელებს. „მუსიკას"

თავის გემოზე არჩევს და თვალს უპაჭუნებს ჭიშკართან შეჯგუფებულ გოგონებს, ალტაცებით რომ შესციცინებენ დარდიმანდ მოარშიყეს.

...მაინც ჩემი გოგონა ხარ,

ჩემი დარდი ხარ,

ახლოს აღარ მეკარები,

შორ-შორ გარბიხარ...

გოგონები თავშეკავებით ფხუკუნებენ და ერთმანეთს ეჩურჩულებიან.

ლეკია რაღაცას გატაცებით უყვება ზაურს, თან ნელი, მოზომილი ნაბიჯებით მიიწევს მაგიდისკენ, რომლის თავში მჯდარი თამადა მთელი სულით და გულით ეპატიჟება შემოსწრებულ სტუმრებს. მე ფეხდაფეხ მივდევ ბიძაჩემს და ერთი სული მაქვს, სუფრას როდის მივუსხდებით...

არღანმა საცეკვაო გაახურა, სისხლის ამფორიაქებელი ცეცხლი დაანთო მაისის მოალერსე მზის ქვეშ. ეს საცეკვაო დარდიმანდი ყმაწვილის შეკვეთა გახლდათ. კოხტად გამოწკეპილი მოულოდნელად ორივე ხელით აფრინდება ლობის სარებს, ტანს იმჩატებს და მოხდენილად, პირდაპირ მეარღნის ცხვირწინ ხტება ეზოში. როგორც კი დააკარა ფეხი მიწას, მაშინვე გაუსვგამოუსვა და ჩამოუარა, ისედაც წვრილი წელი კიდევ უფრო დაიწვრილა, სახეზე გამომწვევი ღიმილი მოირგო გოგონებისკენ პირმიქცეულმა. ალბათ, ერთი თავის დაკვრა და გამოწვევა იქნებოდა საკმარისი, მჭიდროდ შეჯგუფებულებში ვისაც თვალს დაადგამდა, მაშინვე გამოფრენილიყო. მაგრამ ყმაწვილი კაცი არ ჩქარობდა, ფეხებს ასარსალებდა და არჩევდა, ამ ახალი ალტკინების ჟამს არაფერი შეშლოდა და უკეთესთა შორის უკეთესი გამოეხმო. მაგრამ მოულოდნელობის პირისპირ კი აღმოჩნდა: ზაური ჯერ ადგილზე აცმუკდა, მერე ნელ-ნელა მოიხარა წელში, თითქოს ვინმეს ეპარებაო, მეარღნეს ეშმაკურად გადახედა, ასე ჩუმჩუმელა გაცუნცულდა, თავი დაუკრა, წელში ორივე ხელის თითების გატკაცუნებით გასწორდა, დასჭყივლა: — აჰა, ბოცორი! — და ცხვირწინ აეტუზა ცეკვის აზარტში შესულ დარდიმანდს, რომელმაც, როგორც იქნა, ამოირჩია მასავით ტანწერწეტა, სანდომიანი გოგონა, თვალი ჩაუკრა და გამოწვევა დაუპირა.

როგორღაც ყველა გაინაბა. ამ უეცარ, თავხედურ ჩაჭრას შეიძლება ჩხუბიც მოჰყოლოდა. მაგრამ საქმეს ამჯერად იმან უშველა, რომ გოგონას ჯერ არც გამოწვევა მიეღო, და, მით უმეტეს, არც საკეცვაოდ შემოსრიალება მოესწრო.

კოხტაპრუწა დარდიმანდს სახეზე ლაღად გადაფენილი აშიკის ღიმილი გაუქრა, ყინჩად შემაღლებული ტანი დაუდაბლდა, წელი დაუმსხვილდა, თითქოს მკლავები ჩამოუცვივდა, თუმცა აყალ-მაყალი არ გაუმართავს. ძლივსშესამჩნევად დაუკრა თავი ზაურს და ხანმოკლე ტაშისკვრით „საცეკვაო მოედანს“ შუბლშეკრული გაშორდა. ძალზე მახვილი სმენა იყო საჭირო, მისი უკმაყოფილო ჩალაპარაკება რომ გაგეგონა: — ვინაა ე შტერი! მერე დამკვრელებს მიუბრუნდა და დოლ-გარმონზე შეუკვეთა საცეკვაო. მათაც არ დაუხანებიათ: მედოლემ მარცხენა მხარზე თასმით ჩამოკიდებულ დოლს მარჯვედ მიარტყა ხელი, ზურგიდან გადმოიგდო, თვალისდახამხამებაში მოიმარჯვა და დასცხო. შესაშური ოსტატობით აჰყვა მეგარმონეც და უკვე ცეკვის ეშხით გახელებული კოხტაპრუწა ისევ გაფრინდა. ამჯერად მართლა საცოდაობა იქნებოდა, ვინმეს ჩაეჭრა და ჩაეშალა მოწონებული ლამაზმანის გამოწვევა. მაგრამ რას იზამ, — როცა ბედი არ გწყალობს, არ გწყალობს...

კოტე ჯერ კიდევ გატაცებით ელაპარაკებოდა მასპინძელს, ღვინოშემოჩენილი აუტანლად ენაწყლიანობდა და ბებიდას, ალბათ, ისლა დარჩენოდა, როგორმე დასხლტომოდა ხელიდან აბეზარ სტუმარს. დიდი ლოდინი არ დასჭირვებია. როგორც კი საცეკვაო მოესმა, სახეგაბრწყინებულმა კოტემ ჯერ ადგილზე შეათამაშა ფეხები, მერე ბეჭებიააყოლა. ერთ წამს თითქოს კიდეც შეჩერდა, მაგრამ ეს თურმე გაჭრის წინა დაოკება იყო, — მკლავები გადაფინა მისეული შეძახილით: — იცოდეს მტერმა ვერაგმა, რომ მომავალი ჩვენია! — და სწორედ იმ დროს აეტუზა წინ დარდიმანდ მოცეკვავეს, როცა, უკვე ჭკუანასწავლმა, აჩქარებით გამოიხმო თვალდადგმული ქალიშვილი!..

ეს მართლაც მეტისმეტი იყო!

ვაუს ბრაზით ისევ ჩამოუცვივდა მკლავები, ტუჩები ჩაულურჯდა და ეს გატანჯული მდგომარეობა ბოლოს იმით განმუხტა, რომ ელვისებურად ჩაიხარა, მომუშტული მარჯვენა ისეთი გამეტებით მოიქნია, როგორც ამას აკეთებენ სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილი ადამიანები. მაგრამ რაც ამ დროს მოხდა, სწორედ რომ ბედის დაცინვას ჰგავდა: კოტეს სულაც არ უფიქრია, პარტნიორი გავანაწყენეო, მით უმეტეს, ვერ წარმოიდგენდა, თუ აცეკვებულ შუახნის კაცზე თავმომწონე ახალგაზრდა გასარტყმელად აღმართავდა ხელს. სწორედ იმწამს კოტემ ძალზე მოხდენილად ჩაბუქნა და მისდა უნებურად საშინელი დარტყმა აიცდინა. კოხტაპრუწამ წონასწორობა დაკარგა და თავზე დაეცა გამხელებელსა და გამგიჟებელს, დამკვრელების გარშემო ბუქნა-ბუქნით წრის დარტყმას რომ აპირებდა. ის იყო მოემზადა არაფრისმომლოდინე კოტესთვის კბილებში ეთხლიშა, მაგრამ ლეკიამ მსუბუქად ისკუპა, ორივე ხელით აიტაცა კაფანდარა მოჩხუბარი და მაგიდის ფეხებთან მიაგდო. ადვილი წარმოსადგენია, მოციცინებული ქალიშვილების თვალწინ ასეთი მარცხი რა ხასიათზე დააყენებდა თავმომწონე კაცს. იგი დაფეთებული წამოხტა, ერთიანად გაფითრებულმა მანძილი მოზომა და თავგანწირული ნახტომით ლეკიასთან გაჩნდა. ეს იყო ის, რაც დამარცხებულს და შერცხვენილს უსათუოდ

ეროვნული ბიბლიოთეკა

უნდა გაეკეთებინა, — ან გალახოს და ამით აღიდგინოს შელახული თავმოყვარეობა, ან კიდევ ბოლმა და ბრაზი ძლიერი მოწინააღმდეგისგან მიყენებულ ტკივილებში ჩაიხრჩოს.

კოტეს არაფერი შეუტყვია, არც რაიმეს გრძნობდა, ცეკვისგან მიღებულ სიამოვნების გარდა.

ღვინისა და ბოლმისგან შეძრულმა ახალგაზრდამ ლეკიას ერთ დარტყმასაც ველარ გაუძლო და თავდაღმა გაიშხლართა. ქალების კივილსა და კაცების აურზაურში კოტეც გამოერკვა, დამკვრელები გაყუჩდნენ.

მონასტერი მაშინ აირია, როცა მასპინძელმა იყვირა: — თუ საჩხუბრად ხართ მობრძანებული, ახლავე გადადით ჰიშკარგადაღმა და ისე გიქნიათ, ერთმანეთი დაგიხოციათო!..

ლეკიას დეიდას ქაქანზე გაეღიმა, მოეხვია და მაგრად მიიკრა გულზე, შუბლზეც აკოცა აპილპილებულ ქალს. მარუსა დეიდა ამან ვერ დააშოშვიდა: — ბიჭო, ასე გამეტებით რო თხლიშე, იცი, ვინაა მაგი?!. ჩემი მაზლიშვილის ნათლიაა... ახალი ჩამოსულია ჯარიდან... მტერი და მოყვარე ვერ უნდა გაარჩიო ერთმანეთისაგან, შე მიწაგასახეთქო?!..

ლეკია შეცბა, ამას სწორედ რომ არ მოელოდა. დარცხვენილმა მიიხედა იქითკენ, სადაც ქალებს გაკავებული „მოყვარე" ეჭირათ და ემუდარებოდნენ, დამშვიდებულიყო.

— რა ვიცოდი მერე მაგი მე? — ამოილუღლუღა ლეკიამ და გალახულს ერთხელ კიდევ შეავლო თვალი. — დროზე ვერ გამაცანით, თქვე ოჯახაშენებულებო? კინაღამ მომაკვლევიეთ მოყვარე კაცი!.. შემთხვევით შემოხეტებული მეკოხინჯრობე მეგონა... რა ვიცოდი!..

დეიდა შეუყოყმანდა, მაგრამ მაინც უკმაყოფილოდ ჩაიბუზღუნა:

— ღმერთმა არ იცის თქვენი თავი! ორივე გიჟი რო ხართ და გადარეული, კი ვხედავ ამას... მარა ჩემ ეზოში არ მოგცემთ ერთმანეთისთვის ცხვირ-პირის ნაროვის ნებას... ჯანდაბას თქვენი თავი!..

მოჩხუბრების შერიგება წმინდა მოყვრულ საფუძველზე მოახერხეს და რამდენიმე წუთის შემდეგ ერთმანეთის გვერდით დასხეს სუფრასთან. ამას მოჰყვა გულის გადახსნა, ჭიქის ჭიქაზე მიჭახუნება და ცოტა ხნის შემდეგ ვერავინ იფიქრებდა, ერთმანეთისგან თუ ოდესმე რაიმე სწყენოდათ.

კოტემ, ბოლოს და ბოლოს, გაიგო, რომ მთელი აყალმაყალი მისი გულისთვის მოხდა, მსუქანი, სიკეთით სავსე სახე გაუბრწყინდა, ჯერ ჩაიღიმილა, მერე ხმამაღლა გაიცინა. მორიგი სადღეგრძელო ბოლომდე დალია და ყინჩად დასძინა:

— იცოდეს მტერმა ვერაგმა, რომ მომავალი ჩვენია!..

სუფრას თანდათან ემატება შეცხელებული მწვადები, გოჭის ხორცი, შებრაწული ვარიები, ბუხართან გაფიცხებული მჭადები და ხაჭაპურები, სქლად დათლილი მარილნაკლული ყველი და ინდაურის საცივი... ხილი და ტკბილეულიც არ ავიწყდებათ: თხილსა და გემოდაკარგულ ზამთრის ვაშლს კანფეტებს უმატებენ, შემოაქვთ მაისის ბალი, რომელსაც ფოთლებიც შეჰყოლია და გაზაფხულის სურნელით ავსებს აქაურობას. მატულობს მხიარულება, ხმაურით, ხითხითით, ხორხოცით უსხდებიან სუფრას დაგვიანებულები. მიკითხვა-მოკითხვა, გულის გადაშლა... ყველას უნდა სითბო და სიყვარული უჩვენოს ნათესავებს, ახლობლებს, ნაცნობებს, გაზაფხულს...

თამადა გავლას ითხოვს, რისი უფლებაც არა აქვს, და მიდის. მიდის და აღარ ჩანს...

— სადაა, კაცო, ამდენ ხანს ჩვენი ტოლუმბაში?! — კითხულობენ გაფაციცებით.

— გადაყვა ხელს, მიიღო უფალმა... — ქირქილებს ვიღაც.

— ავირჩიოთ ახალი... გამიშრა, კაცო, ყელი!— ვერ ისვენებს ზაური.

— ვაცალოთ ცოტა ხანს, იქნება ქე გამოჩნდეს! — მოთმინებას ამჯობინებს კოტე.

ბოლოს ახალ თამადას ირჩევენ. ახალგაზრდა, ჯანიანი კაცი უნდათ. ლეკიას დაადგეს თვალი. ლეკია უარზეა:

— სადა მაქვს მაგდენი გამოცდილება... ოჯახის სიძეს — ილუშას გაუმარჯოს!

ილუშაც უარობს, სუფრიდან გაქცევით იმუქრება, სავსე ჭიქას იღებს და აჩქარებით ულოცავს ბიძაჩემს:

— ვინც პირველად თქვეს, თამადაც ის იყოს, არ უნდა ამას ზედმეტი ფლისტი-ფლუსტები!

სხვებიც ლეკიას უჭერენ მხარს და სუფრის უფროსობას ულოცავენ, მომავალში ათას კაცში თამადობას უსურვებენ, ღმერთმა ჯანი და ღონე მოგცეს, ჭამა-სმის შნო გქონდეს... შენ იცი, აბა, რა სასახელოდ წარმართავ სუფრასო.

ლეკიაც იწყებს სუფრის „წარმართვას". პირველი ჭიქით კოხინჯრობის სადღეგრძელოს ამბობს. ოდნავ წითლდება, უხერხულობისგან ხმაც უკანკალებს, თუმცა სასმისს გაბედულად ცლის და მაშინვე კოტესთან გადადის ალავერდს. კოტე ფეხზე დგება, ყურადღებას ითხოვს, აშკარაა, გრძელი სიტყვის თქმას აპირებს. კოხინჯრობას გაუმარჯოსო... იმის გამარჯვებაც იყოს, ვინც ეს დღესასწაული დააწესაო... კოხინჯრობა რომ არ ყოფილიყო, კი ვიქნებოდით ახლა ჩვენ-ჩვენ სახლებში შეყუჟულები და ცხვირჩამოშვებულები, ოჯახურ დავიდარაბაში ყელამდე ჩაფლულებიო... ქართველი გლეხიკაცი ისე დროს ვერ შოულობს, ნათესავებს ესტუმროს, მოესიყვარულოს, უძნელდება საქმეს მოსწყდეს... რა გინდა, კაცო, მეტი, ხო მოხანი, ხო დათესე და დაფარცხე... გაზაფხულს ხო შეხვდი მომზადებული, პირნათელი... ახლა, თოხნამდე, შე კაცო, ადექი, დაიფერთხე მტვერი, დაიბანე ხელ-პირი, გადაივარცხნე ქოჩორი,

შეჯექი ცხენზე და გამოიხედე თვალებში... თუმცა, ვილა ჯდება ახლა ცხენზე!.. მანქანაში ჩაბრძანდი, ბატონო, და ესტუმრე ნათესავებს, მოყვრებს, ამხანაგებს, მეგობრებს, გპატიჟებენ, რატომ უნდა გააწბილო... რა სჯობია ამ მოხარშულ-მოხრაკულ -შეფიცხებულ-გაფიცხებულ-გაცხელებულს. ხო ხედავთ, სუფრა წელში იზნიქება... ესენი ყველაფერი ჩვენთვისაა მოტანილი. თუ არ მიირთვი, მასპინძელს ეწყინება, თუ არ დალიე — გული არ გიზამს...

— კოტე-ბატონო, თუ ღმერთი გწამს, დაამთავრე, — აწყვეტინებს ზაური, — სხვაგანაც ვართ მისასვლელნი, ერთი საათია ლაპარაკობ!..

— მოიცა, გენაცვალე, ზაურ-ბატონო, რას ვამბობ მე ახლა ისეთს, საქმესთან არ იყოს ახლოს...

— ჭკუასთან უნდა იყოს ახლოს, კოტეს ვენაცვალე, ჭკუასთან! — ნახევრად ხუმრობით ჩაერია თამადა და სალერღელაშლილ ნათესავს შეაჩერდა. კოტეს არ სწყინს, პათოსით წარმოთქმულ სადღეგრძელოს ნერვების მომშლელი აკვიატებული შეძახილებით ამთავრებს:

— იცოდეს მტერმა ვერაგმა, რომ მომავალი ჩვენია...

არღნის ჭყვიტინი ერთბაშად ედება ეზოს, ახლომახლო შუკებსა და ორღობეებს, მაგრამ თამადა აწყვეტინებს:

— ვაცადოთ, კაცო, ხალხს სადღეგრძელოს თქმა, მერე დოუკარი!..

მეარღნემ ჭამა-სმის საქმე უკვე მოაგვარა და ახლა იმ თუმნიანის „გამრავლებას" ჩქარობს, საცეკვაოს პირველი შემკვეთისგან რომ მიიღო, მაგრამ არ ანებებენ და რა ქნას!.. მედოლე და მეგარმონე ჯერჯერობით თავს იკავებენ, პურმარილს ეძალებიან, მერე, ცეკვა-თამაში რომ გახურდება, ამისთვის ვერ მოიცლიან.

ეზოში არცთუ ისე ახლაგაზრდა კაცი შემოდის. ლაღად აშოლტილი ტანი აქვს, მოდურად აცვია. ერთი შეხედვით დარდიმანდი გეგონება, მაგრამ არა, უფრო მბრძანებლური იერი დაჰკრავს. რაც უფრო ახლოვდება, მით უფრო გაოცებს. ალმოდებული მზერა და თავდაჯერება სახიდან ძლიერ ბეჭებზეც ეფინება თითქოს. ყოველი ნაბიჯის გადმოდგმისას თავმომწონეობა ეუფლება მთელ სხეულს და, უკვე ჩვენს გვერდით მჯდარი, ტანსაცმლიანად მბრძანებელია. თუ ნებისყოფა გლალატობს, გაგტეხავს, დაგიმონებს ან შურს ალგიძრავს... უკან მაჩანჩალასავით მოსდევს დაბალ-დაბალი, უშურველად ჩამრგვალებული, ასე, ორმოცს მიტანებული კაცი. ასეთები, ჩვეულებრივ, მხიარული გუნებისანი არიან, არც ის წარმოადგენს გამონაკლისს და უმიზეზოდ უცინის სახე, ებრება ლოყები, მწვანე, ეშმაკური თვალები მაქოსავით დაურბის. ეტყობა, მწარედ გრძნობს თავის ნაკლს და უხერხულობის დასაფარავად, მეტწილად დაბლა იხედება. ზოგჯერ მუხლისთავებზე გაიკრავს ხელს, პიჯაკის სახელოებს იფერთხავს, მოჩაჩულ შარვალს ისწორებს. სანამ თვითონ დაჯდებოდეს, თანმხლებს უდგამს სკამს, ზურგზე უთათუნებს ხელს; არამც და არამც არ ჯდება მოპირდაპირე მხარეს — აგერ, ჩემი უფროსის გვერდით მირჩევნიაო. იქვე მსხდომთ აიძულებს, მიიწ-მოიწიონ, „ერთი პატარა კაცის" ადგილიც გამონახონ.

გაჯგიმული „უფროსი" მეფრინველეობის ფაბრიკის დირექტორია, ჩასუქებული მელოტი კი — მთავარი ეკონომისტი. თვალნათლივ ჩანს, რომ ერთმანეთის უსიტყვოდაც მშვენივრად გაეგებათ.

შემოსწრებულებს „ჯარიმას" აძალებენ, ცოტა შეხურდი, „დაგვეწიეო". დირექტორი ჯერ უარზეა, „ჯარიმას" გაურბის თუ ღვინის სმას, მაგრამ მთავარი ეკონომისტი ერთგულად აწვდის სავსე ჭიქას, თანაც კი არ ეხვეწება, ემუდარება:

— დალიეთ, დიმიტრი ბატონო, თქვენი ამბავი რო ვიცი, ღმერთი შეგარგებთ...

— მაცალე, შე კაცო, ცოტას წავიხემსებ... დახრჩობა ხომ არ არის! — უარობს უფროსი და საცივიანი ჯამიდან ინდაურის ბარკალს იღებს. ეტყობა, მთავარმა ეკონომისტმა ზედმიწევნით იცის, რომ ბატონ დიმიტრის ხვეწნა და თავპატიჟი უყვარს. არადა, ჭამის წინ აუცილებლად გადაჰკრავს ხოლმე ერთ ჭიქას ყელის ჩასაწმენდად, ამიტომ ხაზგასმული ერთგულებით უმეორებს: — თქვენი ამბავი რო ვიცი...

— ოოჰ, ერთი თქვენც! კაცს სულის მოთქმას არ დააცლით... — პეწენიკად იწმენდს ხელებს დირექტორი, მიწოდებულ სასმისს მაღლა სწევს და სრულ სიჩუმეში რიხიანად ამბობს:

— ამ ჭიქით ყველა იმათ გაუმარჯოს, ვინც თქვენ აქამდე ადღეგრძელეთ და, ჩვენი შეხვედრისა იყოს, ამავე დროს... პატივცემულო თამადა, მე ვფიქრობ, ჯარიმისთვის ეს ერთიც საკმარისი იქნება, თქვენ მიყევით და მეც აგერ ვარ!..

— დალიე ჯერ მაგი და მერე თვითონ იცის თამადამ! — ბუზღუნებს ზაური. არც თამადას ეკითხება რამეს, არც დირექტორის თავპატიჟს აქცევს ყურადღებას, მაშინვე უვსებს სასმისს, აწოდებს და აძალებს. მაგრამ არავინ ართმევს და ჭიქა ხელში უშეშდება, თვალებმოწკურული იხედება თამადისკენ. საქმეში მაშინვე ერევა ეკონომისტი:

— დალიე, დიმიტრი ბატონო. შენთვის ერთი და ორი ჭიქა რაა. დალიე, დრო გაატარე... ზაურს კი ხამდაბლა ამუნათებს:

— ვინ გკითხავს. კაცო, შენ, ამ სუფრას თამადა ჰყავს, თვითონ იცის, რა დავლიოთ და რა — არა. შენ შენ თავს მოუარე!...

ეროვნული ბიბლიოთეკა

— შენი ჭირიმე, ჩემო მეგობარო, საწყენად კი არ მითქვამს, ნეტავი, ვინმე დამაძალებდეს, ფუთ ღვინოს დავლევ, რა საწყენი მაგია... დალიე, დალიე, თუ კაცი ხარ!...

— აბა, მორჩით ბაზარს! — ამდენი ველარ მოითმინა დირექტორმა, მთავარი ეკონომისტისკენ იდაყვი გაიქნია, ზაურს თვალებში შეაჩერდა. ალბათ, საკმარისი იყო კიდევ ერთი შეკამათება და სუფრასაც ააყირავებდა. ზაურმა, ეტყობოდა, „ბაზარს მორჩენა" მხოლოდ მთავარი ეკონომისტის მოვალეობად ჩათვალა და ჩაიქირქილა:

— აბა რა, კაცო, რად უნდა ღვინის დალევას ამდენი ჩიჩინი!..

ლეკია ხმას არ იღებდა, რაც არავის გაჰკვირვებია. მან ერთი თუ ორი თვის წინ მეფრინველეობის ფაბრიკაში დაიწყო მუშაობა და ახალ უფროსს აგრერიგად ვერ აწყენინებდა. გამოცდილებაც არ ჰყოფნიდა, დაძაბულობა განემუხტა. ბოლოს მაინც მოახერხა რაღაც:

— ვისაც რამდენი უნდა, იმდენი დალიოს... მართლა დახრჩობა კი არ არის! — სახეზე სიწითლემ გადაჰკრა, ახალბედა თამადის დამთმობმა სიწითლემ.

ამასობაში მიშამ „ჩემო ტკბილო მეგობარო" შეუკვეთა დამკვრელებს; მიუხედავად იმისა, რომ შეკვეთა სიტყვიერი იყო და გასამრჯელოს არ ითვალისწინებდა, მედოლე-მეგარმონეს თავი არ დაუზოგავთ. მშვენივრად დანაყრებულები ისედაც სიმღერის ხასიათზე იყვნენ მოსულნი.

დირექტორმა ის ერთი ჭიქა ღვინო უსიტყვოდ დალია, ქათმის ფრთა გაწიწკნა და თითები ფაქიზად შეიწმინდა. მაშინვე ჯიბეზე იკრა ხელი, ერთი ცალი თუმნიანი ამოაძვრინა, თითების საოცრად შთაბეჭდილების მომხდენი მოძრაობით დაჭმუჭნა და „მუსიკოსებს" ესროლა:

— დამიკარით „კაპიტანი ბუხაიძე".

მიშას ნიშნის მოგებით გადახედა, იგი ჩახრინწული ხმით მღეროდა: — ჩემო ტკბილო მეგობარო, შენი ნახვა მენატრებააა...

ყველას ეგონა, დამკვრელები სანამ დაწყებულ მელოდიას არ დაამთავრებდნენ, ახალ შეკვეთას არ შეასრულებდნენ, მაგრამ როგორც კი დაჭმუჭნილი ათმანეთიანი მეგარმონეს სუფთად გაპარსულ ნიკაპზე მოხვდა, და თან დირექტორის რიხიანი შეძახილიც გაისმა, „ჩემო ტკბილო მეგობარო" შეწყვიტეს და „კაპიტანი ბუხაიძე" დააგუგუნეს. მიშა ჯერ კიდევ „თავის" სიმღერას მღეროდა, რომ მისდა უნებურად ახალ მელოდიაზე გადავიდა. ერთხანს სიამოვნებითაც აჰყვა, თუმცა მალე გამოერკვა, თვალები დააჭყიტა და მაგიდის კიდეს მუშტი გამეტებით დაჰკრა. მოსალოდნელი იყო, გაელვებას მეხის გავარდნა მოჰყოლოდა, მაგრამ ამჯერად ყველაფერმა მშვიდობიანად ჩაიარა. მიშა ფეხზე წამოვარდა, ჯიბე კინაღამ ჩაიხია, თუმნიანი ამოგლიჯა, ნერვულად დაჭმუჭნა და ღრიალით ესროლა მედოლეს: დაუკარით „ჩემო ტკბილო მეგობარო", თქვე ლაზღანდარებო თქვენი... — მაშინვე დაჯდა სრულიად დარწმუნებული, რომ თუმნიანით და შემზარავი ღრიალით შეფუცხუნებული დამკვრელები იმედს ვერ გაუცრუებდნენ. სკამის საზურგეზე გადაწვა, მარჯვენა ხელის თითები გაატკაცუნა, შეწყვეტილი სიმღერის გასაგრძელებლად შეემზადა.

სახედაბიყვინებული მეგარმონე მთელი მონდომებით მღეროდა, თან თვალს არ აშორებდა მიშას, თითქოს ეუბნებოდა: — ჯერ პირველი ათმანეთიანის საქმეს მოვითავებთ, მერე შენი შეკვეთის ჯერიც დადგებაო. მიშამ, როგორც ჩანს, ავტორიტეტის შელახვის შიში იგრძნო, ქურდულად მიმოიხედა, ყურადღებით შეათვალიერა თანამეინახენი, დამცინავ ღიმილს დაუწყო ძებნა მათ სახეებზე, მაგრამ მისთვის არავის ეცალა, ყველანი აღტაცებით შესციცინებდნენ დირექტორს, რომელიც ნებივრად გადაწოლილიყო სკამის საზურგეზე და დაბალი ბოხი ხმით ღიღინებდა.

ცეცხლი შემოენთო მიშა კუჭუხიძეს, სახე მოეღრიცა, ყბები აუცახცახდა, ტანი წამოისროლა წამოსახტომად, გესლიანად გადახედა დირექტორს. კინაღამ ისევ ჩხუბის მისებურ ინსტინქტს აჰყვა. ცხადლივ წარმოიდგინა, როგორ ააყირავებდა სუფრას და ღვინიან ბოთლს ელვის უსწრაფესად დააფშვნიდა თავზე თანამდებობით გათავხედებულ კაცს. ღმერთმა იცის, მოქიშპის უდარდელმა, საკუთარ ძალებში დარწმუნებულმა გამოხედვამ შეაჩერა თუ გარემოების აწონ-დაწონა მოინდომა, მიშა კუჭუხიძემ, თავის ცხოვრებაში, ალბათ, პირველად, დაუფიქრებელი გადაწყვეტილება ვერ მიიღო. გამჭოლი მზერა უეცრად მოსწყვიტა სამსხვერპლოდ მიჩნეულს და დაუფარავი ზიზღით ამღვრეული თვალები დოყლაპია დამკვრელებს მიასო, რომლებმაც გაბედეს და „შავი მიშაიის" დაკვეთა არად ჩააგდეს! აი, ვინ არიან ყბების დამტვრევის ღირსნი, სავსებით სამართლიანადაც დაიმსახურეს... რას ერჩის დირექტორს, რა იცის მან, ვინაა მიშა, დღეს შეხვდა პირველად. მისთვის ჩხუბისთავი კუჭუხიძე სუფრის ისეთივე უბრალო წევრია, როგორიც ყველა დანარჩენი...

მედოლეს დაატეხოს რისხვა თუ მეგარმონეს, რომელია პირველ რიგში გასამეტებელი?.. მედოლე ცოტა ბოთე კაცია, თანაც იგი უმეტესწილად მხოლოდ მაშინ შემოსცხებს თავის გორდოყა დოლს, როცა უკვე მეგარმონეს დაწყებული აქვს საქმე. მათებურად რომ ვთქვათ, მეგარმონე ამძრავია, მედოლე — ამყოლი... იშვიათად პირიქითაცაა... ახლა, თუ მეგარმონეს დაამტვრევ ცხვირ-პირს, მედოლე ან გაჩერდება და გაშტერდება, ან კიდევ თავის დოლიანად მოკურცხლავს... თუ გაქცევა არ ხერხდება, მა-

სპინძლის სახლში საწოლქვეშ იციან დოლის შეგორება, ამის შემდეგ დიდად არ ენაღვლებათ, ცხვირიდან ძმარს თუ გაადენ. დოლია მათი მარჩენალი... თანაც ამ მართლა ბოთემ შემოხედვაც უცნაური იცის! — თუ მართლა თვალში სინათლე არ გაქვს კაცს სიბრაზისგან დაკარგული, მის თავზე აღმართული ხელი აგიკანკალდება, წახდები და მოეშვები... ერთი სიტყვით, ალალი ბიჭია... სად არ გაგყვება საქეიფოდ! მაგრამ დღეს არ იცნობა რაღაც — როგორ გაბედა ამ მათხოვარმა მიშას შეკვეთილი სიმღერის შუა გზაზე გაწყვეტა!.. არა, ერთი მაგასაც უნდა გაულაწუნო ყბაში, დოლი კი თავზე დაამტვრიო.

სახეშეშლილი მიშა მაგიდას დასწვდა, ის იყო, უნდა აეყირავებინა, რომ მეგარმონის სიფათს ჩაგეზებული მზერა მოულოდნელად „აზიურზე" შეუჩერდა. თითქოს გველმა დაგესლაო, ისე გააჟრჟოლა. გულის ცემაც კი შეუწყდა, მკლავები ჩამოუცვივდა: გარმონის ღვედში ოცდახუთმანეთიანი შეეცურებინა ვიღაცას! ისე ფაქიზად და გამოსაჩენ ადგილას, ალტაცებას ვერ დაფარავდი!.. თურმე რაში ყოფილა საქმე! სად თუმნიანი, სად კიდევ ორთუმან-ნახევრიანი! მოიკლავენ თავს ეს შობელძაღლები, აბა, რას იზამენ! მაინც რა დროს შეეძლო ჩიტირეკია დირექტორს ოცდახუთმანეთიანის გარმონის ღვედში გაკვეხება?! თუ სხვა ვინმემ გააკეთა ეს? მიშა კუპუხიძეს რაღაც არ ახსოვს, წინ ასე თავხედურად გადადგომოდეს ვინმე! არა, ნამდვილად არ ახსოვს... არ მომხდარა ასეთი რამ და რა უნდა ახსოვდეს?!.. ყველაფერი გასაგებია! ახალი ჩიტია მოფრენილი და ახალმა ძალამ იჩინა თავი! ახლა თუ დაჯაბნეს, სხვა დროსაც არ მოერიდებიან!

მრისხანედ წამოიმართა, თითქოს ელვისებურმა გადაწყვეტილებამ აქამდე უჩვეულო ძალა შემატაო; სანამ თვალებდაფეთებულ მეგარმონესთან გაჩნდებოდა, ყველას დასანახად ერთმანეთზე დააწყო სამი თუმნიანი, მიიჭრა, ოცდახუთიანს დააფარა და დასჭყივლა:

— ახლავე შეწყვიტეთ „ბუხაიძე" და ჩემი შეკვეთილი სიმღერა დაუკარით, თქვე მაიმუნებო! — სრულიად დარწმუნებული, რომ გაიმარჯვა და აწი არავინ იყო მისი მომრევი, ამაყად გამობრუნდა, ორივე ხელის თითები თავს ზემოთ გაატკაცუნა და თავის ადგილზე დაჯდა.

დამკვრელებმა დირექტორს მიაპყრეს მზერა: რა ვქნათ, მეტზე გაიქაჩები, თუ „ჩემო ტკბილო მეგობარო" გავაგრძელოთო.

ბატონმა დიმიტრიმ იქედნურად ჩაიცინა, მწვადის ლუკმა არ შეუწყვეტია, ისე შეაცურა მარჯვენა ხელი გულის ჯიბეში და ხუთთუმნიანი ამოაფრიალა. ყველას დაანახა, ორად მოკეცა, კიდეები ერთმანეთს გაუხახუნა და მარცხენათი ხაჭაპურს მისწვდა.

დამკვრელებს ყელი ისე გაუშრათ, ნერწყვის გადაყლაპვა ვერ შეძლეს და, ცდუნებას აყოლილებმა, „კაპიტანი ბუხაიძე" ახალი ცეცხლით დააგრიალეს. მთელი სუფრა დაიძაბა, სტუმრებს სუნთქვა შეუჩერდათ, კისრები წაუგრძელდათ, კრინტი არავის დასცდენია; ბავშვებიც კი შიშნარევი ცნობისწადილით მიუახლოვდნენ მაგიდას და დირექტორის „ვაჟკაცობით" მოგვრილ აღტაცებას ვერ მალავდნენ, დროდადრო დაცინვით გადახედავდნენ ქეიფის კერპად აღიარებულ „შავ მიშაიას".

ასეთ დროს მაინც ბევრი რამის გაკეთება შეუძლია თამადას, თუ იგი გამოცდილია და სუფრის თავკაცის ყველა უფლებას საზრიანად გამოიყენებს. მაგრამ ლეკია იმდენად დაიბნა, თამადის უფლებები სულ გადაავიწყდა, და სხვებზე ჭრანაკლები ინტერესით შესცქეროდა ამ საოცარ სანახაობას, სუფრა დიდიან-პატარიანად რომ აეფორიაქებინა და, ღმერთმა თუ იცოდა, საქმე როგორ დამთავრდებოდა.

წამიც და, მიშამაც მოიქექა ჯიბე, კბენარშეყრილივით დაიწყო ფათური. წკიპზე შემდგარი თანამეინახენი ერთბაშად მისკენ მიტრიალდნენ,

— ერთდროულად ყველამ შვებით ამოისუნთქა, რაც ზაურმა ხმამაღალი შეძახილით გამოხატა:

— აჰააა, ბიცორი!..

კოტეს ღვინო მოსძალებოდა, სახეწამონთებული ყველაფერს ბუნდოვნად ხედავდა, უკვე თავისი აკვიატებული შეძახილით აღარ გვაწუხებდა.

არავინ მოელოდა, მიშა თუ ასე ბავშვურად მოიქცეოდა და საქმეში მუშტს არ ჩარევდა: ფული ამოყარა, მაგიდაზე მოფანტა, ათმანეთიანები ამოარჩია და ხმამაღლა დაუწყო თვლა:

— ერთი, ორი, სამი, ოთხი, ხუთი, ექვსი... შვიდი!.. შეჩერდა, მარცხენა ხელში შვიდი თუმნიანი დაიჭირა, კარტივით გაშალა, თან ისე, რომ მოწინააღმდეგისკენ არც გაუხედავს, დამკვრელებს აჩვენა: — ხომ ხედავთ, რა ბიჭი ვარ, ჩემი საყვარელი სიმღერა დაუკარითო. და სანამ მათ თვალებში მიაყრიდა, დირექტორს ერთი ქურდულად გახედა... ელდა ეცა: იმ ღმერთძაღლს მაღლა შემართულ ხელში ლაზათიანად ეჭირა ასმანეთიანი. მაყურებელთა აღტაცება სრულიად ბუნებრივი იყო. როგორც კი მიშას მზერა დაიჭირა, ცერა და სალოკი თითების დახვეწილი მოძრაობით ფული მოკეცა და მისი კიდეები ზუსტად იმგვარად გაუხახუნა ერთმანეთს, როგორც წეღან ხუთთუმნიანს.

კვლავ „კაპიტან ბუხაიძეს" მღერიან... მოქეიფეთა არიფიონს ორი წევრი ყოჩად უზის, სადაცაა, ერთ-ერთი უნდა გამოაკლდეს და თანასწორთა რიგებში მოძებნოს ადგილი.

მთავარი ეკონომისტი სიხარულით აღარ არის, აფოფინებული შესციცინებს უფროსს, რომელმაც ერთხელ კიდევ გაიმარჯვა და სრულიად დამშვიდებულმა ლანგრიდან მსხვილი წითელი ვაშლი გადმოიგორა.

...რვა, ცხრა, ათი..., თერთმეტი... თორმეტი!—

ისევ ფალათვალა მიშამ თავისი ავლადიდება, წამოდგომა დააპირა, დამკვრელებისთვის სიფათზე რომ მიეფარებინა და „მტრებისთვის" თვალები დაეთხარა, მაგრამ ამჯერადაც წაუხდა საქციელი! ნეტავი, მოქიშპისკენ სულაც არ გაეხედა, დაბრმავებულიყო, დაყრუებულიყო და მზერა იქით არ გაქცეოდა: ბატონი დიმიტრი ცალი ხელით ვაშლს შეექცეოდა, მეორე, მაღლა აღმართული მრგვალბეჭდიანი მარცხენათი წყვილ ასმანეთიანს ერთმანეთზე აცურებდა და ხილით სავსე ლანგარს გულმოდგინედ ჩასჩერებოდა — უბრალო შეხედვის ღირსადაც არ თვლიდა თორმეტი ათმანეთიანის პატრონს!.

ყველაფერი თვალისდახამხამებაში მოხდა.

მიშამ ფული დამკვრელებს მიაყარა, ღვინიან ბოთლს ჩააფრინდა და უდარდელ, ნერვების მომშლელად აღზევებული დირექტორისკენ გატყორცნა. ბატონ დიმიტრის თითქოს არც შეუმჩნევია ბოთლი რომ ესროლეს, გაუნძრევლად იჯდა. სამაგიეროდ, ეკონომისტს არ გამოჰპარვია მიშა კუჭუხიძის გაბოროტება, ყველა წვრილმანს გაფაციცებით ადევნებდა თვალყურს. მგონი, იმაზე ადრეც წამოხტა, სანამ გაბიაბრუებული კაცი ბოთლის ტყორცნას განიზრახავდა, მერე კი არაადამიანური შეძახილით უფროსს აეფარა. ამაზე უკეთესად და უსწრაფესად, ალბათ, ძნელად თუ შეიძლება გამოხატოს ვინმემ სიყვარული და ერთგულება. საცოდავს საფრთხეზე არც უფიქრია, ღონივრად გატყორცნილი ბოთლი თავში რომ მოხვდა და ქალების წივილ-კივილში გრძნობადაკარგული გადაესვენა სუფრაზე.

ამან ხულ გადარია გაცეცხლებული მიშა, ხანძარი წაეკიდა, როცა დირექტორმა სულ არაფრად ჩააგდო მისი გაცოფება. წარბიც არ შეიხარა და ბოთლის აცილებაც არ უცდია; მთავარი ეკონომისტი აფორიაქებულ ქალებს მიანდო, თვითონ ზანტად წამოდგა, დარდიმანდულად მოუკიდა სიგარეტს და გააბოლა.

— თქვენი დედა, თქვენი მამა! — იბღავლა მიშამ, მთელი სუფრა პირქვე დაამხო; ატყდა ღრიანცელი, შეიქმნა ვაი-უშველებელი. მაგრამ საკვირველი ის იყო, დირექტორს კი არ მივარდა, დამკვრელებს დაერია... მუშტის ერთი დარტყმით მიწაზე გაშხლართა მეგარმონე. ამასობაში მედოლემ დოლი მიაგდო, იშვირა ფეხი და საყანეებისკენ ქნა პირი. მიშასაც არ დაუხანებია, ერთი თავგანწირულად იკივლა და შესაშმელად გამოენთო. მიფრინავს მედოლე, ფეხს მიწაზე არ აკარებს შურისგებად ქცეული მდევარი...

—მოგკლავ, შე ვირიშვილო! ნუ გარბიხარ, გაჩერდი, თვარა მოგკლავ... ღორივით გამოგჭრი კისერს!

ვინაა გამგონი. მაგრამ სიკვდილის შიშმა თუ ააცახცახა და მოკვეთა მუხლი განწირულს, რომ მალე წამოეწია მიშა. კიდევ... კიდევ... კიდევ ერთი ნახტომი და, მკლავებში მოიქცევს, ქალების წივილ-კივილში ადევნებული სხვა მშველელები კი არა, ლეკია და ზაურიც ვერ მიუსწრებენ! გაუსწორდა კიდეც, დაეწია! კი, კი... და გათავდა ყველაფერი, დაიღუპა კაციშვილი! მაგრამ სასწაული, დაუჯერებელი, წარმოუდგენელი... მიშამ ზექით უბიძგა, უხეშად, უდიერად გაჰკრა მხარი საშინელების მოლოდინში აცახცახებულ მედოლეს, თითქოს იგი მხოლოდ გზას ულობავდა, მის სრბოლას აფერხებდა და ჩამოიშორაო... სისწრაფეს უმატა. მედოლე უკან ჩამოიტოვა, ახლა თითქოს მიშა გარბოდა და მედოლე მისდევდა...

გასცდა ყანებს, სოფელს და ორიოდე წამში მახლობელ ეკალბარდიან ტყეს მისცა თავი...

წავიდა და წავიდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ვიქტორ კახნიაშვილი

## განდოგა

გარეთ ქარია და ავდარია,
ზღვა ღელავს, სულში სევდა იჭრება,
ჩემი ცხოვრება არივ-დარია
ლექსთან ჭიდილის თავდავიწყებამ.

ვერ ვიტან ტირილს ქალის და ქარის,
მგონია, ჭერი თავზე მემხობა,
ადამის მოდგმას ჭინკა დაჰხარის,
როცა მზეს ნატრობ და უმეხობას.

ბიჭვინთის ზეცავ, გახსენი შუბლი,
ზღვაო, ღრუბელი მთისკენ დასძარი,
შენს ძველ მონასტერს გარს
შემოვუვლი,
ნუგეშად გვექნეს წმინდა ტაძარი.

ამ ცას და მიწას ღმერთს შევავედრებ,
მაგრამ გადიქცეს თუნდაც ედემად,
ქვეყნად ვერაფერს ვერ შევადარებ
შვილის ყოლას და შემოქმედებას.

შვილმა — სრულქმნილმა სისხლმა და
ხორცმა
ჩემი ცოდვა და მადლი ატაროს,
ლექსმა — წვითა და დაგვით ნაშობმა
შემოიაროს მთელი სამყარო.

ორივ ბუნების შემოქმედია,
უთუოდ ღმერთმაც ასე ინება,
რა ვუყოთ, ალბათ ჩემი ბედია
წუხილი, წვა და არდაძინება.

როცა ჩაქრება სიცოცხლის ალი,
გაივლის ტანჯვა და სასოება,
ისე წავიდე, არ გამყვეს ვალი
და შევუერთდე უსაზღვროებას.

## ჰიმნი ქალსა და სიყვარულს

შორიდან ვიწყებ, იდუმალ გზებით
უნდა ვიარო ანთებულ გზნებით,
რომ გადავლახო მთები და ზღვები,
გავტეხო მწუხრი და განთიადი,
ვერ შემაშინოს წვიმამ და ქარმა,
ვერრა დამაკლოს წარღვნამ, ავდარმა,
გზა გამინათოს მზიანმა დარმა,
რათა მოვიხმო სული დიადი.

სიყვარულს აჰყვა ქალი გრძნეული,
მთელ სამეფოში გამორჩეული,
კოლხი ასული, სულით, სხეულით,
გამოეთხოვა მშობლიურ მიწას,
არ აპატია ღალატი ბოლოს,
სამაგიერო მიუზღო მხოლოდ
და ევრიპიდემ თუნდაც ჩაქოლოს,
შურისძიების სიმბოლოდ იქცა.

როცა ამქვეყნად იშვა თამარი,
გადასხვაფერდა ჩვენი მთა-ბარი,
ქართულ მიწაზე მაინც მთავარი
წრფელი გრძნობა და წმინდა გულია,
„ვეფხისტყაოსანს" თუ სხვა დაწერდა,
იმ ვნებათღელვას სად ჩაატევდა,
ან ჩვილთა აკვანს ვით დაარწევდა,
ვისაც ეს ტანჯვა არ გაუვლია.

ბევრჯერ ჩამოწვა ღრუბელი შავი,
ქარმა წაიღო განზრახვა ავი,
ვაი-ვაგლახით გაგვქონდა თავი,
რადგანაც ხალხი მოიმედეს,
ურჯულოდ ტანჯეს, ისეც ტანჯული,
ვერ შეუცვალეს დედოფალს რჯული,
ასულდგმულებდა წინაპრის სული,
წინაპარი კი იყო მედეა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯვარი ვაზისა — ერის ნიშანი,
მუდამ ჭირდება ხალხს გულთმისანი,
ჩვენი მიზანიც სწორედ ის არის,
ხეს ცხოვრებისას ყოველდღე რგავდეთ.

სიტყვა და საქმე — ოქროცურვილი,
ქართველი ქალის მარად წყურვილი,
ეს ნატვრაა და ჩუმი სურვილი, —
მედეას, თამარს, ქეთევანს ჰგავდეთ!

## კავკასიონის მთების იმედით

კავკასიონის მწვერვალებო, მთებო, ქედებო,
მედიდურებო, ზვიადებო, ყოყლოჩინებო,
გათეთრებულნო, შევერცხლილნო, მაგრამ ჭარმაგნო,
დღეს რომ ვსულდგმულობთ და ვბოგინობთ დედამიწაზე,
თქვენი წყალობით, მფარველობით გვიდგია სული.
მტკვარმა, რიონმა, ლიახვმა და გიჟმა არაგვმა,
ალმა დენა თუ მოინდომონ, მოისურვილონ,
არ დაეთანხმოთ, არ დაუთმოთ, არ დაანებოთ,
გზა შეუკარით, შეაჩერეთ, გადაელობეთ!
რაკი თქვენს იქით გზა არ ჰქონდათ და შეივრდომეთ
მხნე ამირანი და უშიში, გმირი პრომეთე,
მაშინ ის ცეცხლიც არ ჩაუქროთ, დაე, ღვიოდეს,
მარად იმედის ნაპერწკალი ხალხის გულებში!
ჩვენი გულისთქმა, ამოოხვრა და ჭირ-ვარამი
გაიზიარეთ, მაგრამ უცხოს არ გამოუტყდეთ,
თქვენს კლდე-ღრეებში ერთმანეთში მიმოაბნიეთ,
წაიჩურჩულეთ, არ წამოგცდეთ ხმამაღლა რამე,
თორემ წუწუნით მტრის გულს უფრო ასიამოვნებთ.
ხანდახან იქნებ ყვარლის მთებსაც შეეხმიანოთ,
უყვავ-ყორნებოდ ანავარდოთ ვაჟას არწივი,
გვაცილოთ ბუქი, გრიგალი და ქარტეხილები,
რათა ლურჯ ცაზე სულ ცხრათვალა მზემ იკიაფოს.
ამაყო მთებო, თქვენი ნდობით, თქვენი იმედით...

## თუ ნატვრაა, ნატვრა იყოს

„გადავაქციოთ თბილისი სანიმუშო წესრიგისა და კულტურის ქალაქად..."
„აღვადგინოთ მცხეთა — ძველი დედაქალაქი..."
„მივხედოთ ვარძიას..."

გაზეთებიდან

ბევრი უნახავს ქართველს ვარამი,
შენ უპატრონე, ღმერთო ძლიერო,
რომ დაუფასონ ყველას ამაგი,
თავის და მოძმის საბედნიეროდ.

და არა მარტო სიტყვით ლიტონით,
გადავეჩვიოთ ბუქს და ნაღარას,
და არა მარტო კლდეზე ლითონით,
პატრონი უნდა ქალაქს ჭაღარას.

ტაშფანდურობის დრო კი წავიდა,
უნდა ილვაწო, რომ რამეს ჰგავდე,
ჩრდილოეთიდან, სამხრეთიდან და
აფშერონიდან დარუბანდამდე.

რუსი,
სომეხი,
უკრაინელი,
აფხაზი,
ოსი
და ებრაელი,
თათარია თუ აისორია,
ყველანი ღვიძლი ძმები არიან.

მთაზე დამდგარო დედაო, წმინდავ,
გვითხარი, იქნებ ყველაფერს ჯობდეს,
რაღა თქმა უნდა, ყველას ის გვინდა,
თბილისი მართლა რომ თბილისობდეს.

ვერც სვეტიცხოვლის, გვიშველის ძალა,
ვერც მრავლისმნახველ ჯვარის ძიება,
თუ არ მივხედეთ დღევანდელ ქალაქს,
რა გვემცხეთებ და გვევარძიება!

## შემოდგომა მალეევკაში

### სურათი

უდაბური ტყე, გაუვალი ტევრი,
მიმობნეული ნაძვნარი და აქოჩრილი შიმალი;
ალაგ-ალაგ ფესვმაგარი მუხაც გაფარჩხულა;
დაცემულ ადგილას გაყუჩებულა მდინარე;
ცაში ატყორცნილა წელწვრილა არყნარი;
ტანადობით და მოხდენილობით,
თითქოს ერთმანეთს ეჯიბრებიანო,
ტანშოლტილი, წელადვერა არყის ხეები
მალ-მალ იცვლიან ჭრელჭრულა კაბებს.
სულ მაღლა — კენწეროები ჩურჩულებენ,
დაბლა, მიწაზე კი, ჩამიჩუმი არ ისმის.
ბარაქიანი, ხელხვავიანი შემოდგომაა.
მზე ხშირ-ხშირად იმალება ღრუბლებში.
ცქრიალა ქალწული ნება-ნება სამოსს რომ იხდის
და თანდათანობით აჩენს უზადო სხეულს,
ისე ყოველდღე აშიშვლებენ ტანკენარ ხეებს წვიმა და ქარი,
მაგრამ ფოთლები ფარავდნენ თურმე მათ სილამაზეს,
უკუნ ღამეშიც ქათქათებენ ტანწერწეტები.
იმ უსიერში თეთრი გედივით შეჭრილა
მწერალთა შემოქმედებითი სახლი.
ქალი თუ კაცი სულ ერთიავად დაფიქრებული დაბორიალობს
და ყოველი ფეხის გადადგმაზე სულმოუთქმელად ელის
დიადი შემოქმედი როდის ჩააგონებს იმ ერთადერთ სტრიქონს,
დანარჩენი კი, თუ ის მართლა პოეტადაა დაბადებული,
მერე ხომ როგორმე უნდა განაგრძოს?!

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ამირან ახობაძე

### თუ რამ კარგი მაქვს...

ელვად მოქნეულ ბილიკს
ფრთხილად მივყვები მთა-მთა,
მინდა რომ ვიყო ნაღდი
შენს წინაშე და თავთან.
ისე თუ ვერ ვთქვი სიტყვა
ვით გეკუთვნის და გშვენის, —
ვის დავაჯერებ მაშინ
რომ მძრავს გენები შენი.

რასაც ვთესავ და ველი
ადრე თუ გვიან მოვა...
მალხენს ვიღაცის ლხენა,
მზარავს ვიღაცის გლოვა.
რადგან ამ რწმენით დავალ
ცუდსაც არ ველი ბოლოს...
თუ რამ კარგი მაქვს ქვეყნად
მხოლოდ შენს გამო, მხოლოდ.

### ისე გაუსხლტა....

რომ მისცემიხარ ასე
რაღაც უმიზნო ფიქრებს,
შენ ჰაერივით ამ დროს
ვინმეს ჭირდები იქნებ.
ამ ნაღდ ღელვას და ქროლვას
ვინც მოუხუჭა თვალი —

როგორც თითებშუა უცებ
დაცურებული წყალი, —
ისე გაუსხლტა უმალ
დიდი ცხოვრების ზვირთი
და წარსულს შერჩა, როგორც
ჟანგმოდებული ნივთი.

### დიდი ტკივილი

თუ სულს აწუხებს რაღაც
თავი ღმერთკაცად იგრძენ, —
ამ წუხილშია შველა,
ამ წუხილშია სიბრძნე.

და თუ ამ განცდით ივლი
ნუ დაგაფიქრებს ბოლო....
ქვეყნად დიდ სათქმელს ჰბადებს
დიდი ტკივილი მხოლოდ.

### ასე მგონია

დედის ხსოვნას

სიკვდილი მაინც მწვანე ველს
რა შემპარავად ძოვს...
მე შევესწარი სული რომ
ეთიშებოდა ხორცს.
გულში ჩავარდა ქვასავით
უცებ მომსკდარი სევდა,

გაშეშებული თვალებით
შველას ითხოვდა დედა...
მიუწვდომელის მიწვდომას
მოვიფიქრებდით ვიდრე,
ელვის სისწრაფით ხელიდან
გამოგვეცალა კიდეც...

ფიფქივით ჩაქრა, ფიფქივით
გვერდს რომ იმედად მედგა, —
ჩემი სათნო და დაღლილი
თმებდათოვლილი დედა.
ვაი, რომ ზოგჯერ სიცოცხლეს
ვერაფრით ვეღარ ვიხსნით,

დავდივარ და ცეცხლს მიკიდებს
ბოლო კურცხალი მისი.
ასე მგონია, დღეიდან
მის სიყვარულს და სითბოს, —
პატარა ძეგლი დავუდგი
ამ სტრიქონებით თითქოს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ჩემს თანამგზავრს

ამ ძნელ გზაზე
რაც ნაღდია,
რაც კარგია მირჩევ,
სულგრძელობა გამიგია
მაგრამ შენ რომ იჩენ?!

ეგ თვალები
სარკესავით
სულ არაფერს მალავს,
შენ გულითაც რომ გინდოდეს
ვეღარ შესძლებ ღალატს.

და ხარ ხატი —
საფიცარი,
ჩემი მზე და მთვარე,
ახლა თავს ვთვლი ბედნიერად
შენ რომ დაგემგზავრე.

ანგელოზის
ფრთები გაქვს და
სახმილივით იწვი,
პატიება გამიგია,
მაგრამ შენ რომ იცი?!

## ადამიანის მონოლოგიდან

ეს დღე,
ყველაფერს
კარგს მეუბნება,
ბედნიერი ვშლი ხელებს,—
მაგრამ ვაი, რომ
უბედურებაც
კარს მომადგება მერე....

ბევრი დღე
ისევ სიმღერით მოვა
გადვირბენ
მთებს და ველებს...
მაგრამ ვაი. რომ
ცრემლიც და გლოვაც
აღარ ამცდება მერე.

ვხედავ, სახეებს
შუქით მოფენილს,
თან მჭვრეტს
საფლავის ლოდი...
დასაბამიდან წუთისოფელი
ასე მიდის და მოდის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# როსტომ გიგაური

●

ცივია ზეცა,
სითბო და ხვატი
აქვს უცხო მხარეს გადამალული,
დამცქერის, როგორც ყინულის ხატი,
თითქოს სხვის თვალით ვნახე მამული.

ცხოვრება ჩემი — მზეფასეული
თუ უსარგებლო. დღეთა წვალება?
„სიცოცხლე მოვა კვლავ ასეული
და უსახელო გარდაცვალება".

## ძეგლი სასაფლაოზე

შენ ხარ სიმურლი,
ქვის ჯვრებს ზემოთ უძრავად მჯდარი
და როგორც კი მოგაცლი მზერას,
გრძნეული თვალით გადახედავ
საფლავებად აქნილ მიდამოს,
შეუმჩნევლად ამოძრავებ
უფერულ თვალებს,
ამაოდ ეძებ შორს გაქცეულ
მარადისობას
და განწირულის ძალით გინდა,
მე ჩამასო შენი ბლაგვი,
ცივი ბრჭყალები,
თუმცა იცი, რომ ამითაც
არ გეშველება.

## აშექალას ნატირალი

აღარ დაიბადებისა. ნეტავ, გამახელაი,
ან და დათვიაი, მგელიკაი?
აღარვინ წავა განა ხაროვანში
ან და სამკალშია, არასდროსა?
აღარვინ დაფქავსა, განა, ნათავთვის
პურს, საჯეროსა?
აღარ თუ აგუზგუზდება ბუხრის
ცეცხლი კეცის პურით,
გადაშენდება ტოროლა და ცასწავალა?!
— რობოტებ დასწურვენა გუდის
ყველსა.
რკინებ თუ შესცვლიან დედის ხელთა
სათონეჩი?!!
დედაილამა, მეტირება!
ესე ვერ დამღლიდა ნახირთ დევნა,
ანდა თითო ცხვარათ ძუძუს წკეწტვა,
გინდაც თექა-ნაბადის გამოთელვა.
აღარ თუ ითქმის „ვეფხვ-მოყმეთა",
ან და ხვარამზეს ნამღერებ თუ
ნატირები —
დარდის ლექსი?
ხომ არ გეთხოვებით, ბუნებაო?
მენამც კი მამკლა შენამდინა!!!

ეროვნული ბიბლიოთეკა

# არჩილ ბიჭაშვილი

* * *

შენ ისევ ელი მგზავრებს გვიანებს,
მშვიდად აცილებ დღეებს შფოთიანს,
ჭიშკრის შეხედვა გასევდიანებს,
ნეტავ რა იქნენ? რად არ მოდიან.

სიო არ გართობს, ისე იღლები,
სუნთქავ, ოცნება სევდით სავსეა,
თუმც შრიალებენ ტყეში წიფლები,
ყველგან მწუხრია, ყველგან ხავსია.

დაწყნარდი, გზები მწუხრმა დაბინდა,
შუქი კი წაჰყვა ცაზე წეროებს,
ბნელ აივანზე შენი მაგიდა
უსმენს სევდიან სადღეგრძელოებს.

* * *

ქუჩებს ქარი, ქარი ქუჩებს,
თოვლი ქარს და ქარი თოვლს,
მითხარ, ის რა ალურჯებს,
რატომ იწყებს ვარდი გლოვას.

სხივი მზეს და სხივი ზეცას,
ზარი ზარს და გრგვინვა ზარებს,
მითხარ, გული ფრთებს რად ჰკეცავს,
როცა გრძნობას ასამარებს.

ცრემლი ლოცვა, ლოცვა ხატებს,
ფერი მუქი, ფერი ღია,
მითხარ, ღმერთს რად შეჰღაღადებს,
ცა რად უყვარს ადამიანს?!

* * *

მე დავიღალე შენს მოლოდინში,
უკვე დავბინდდი, უკვე დავღამდი,
როგორ არ გინდა, მითხრა ბოდიში,
როგორ არ მინდა, გითხრა, ნახვამდის.

როგორ არ მინდა, სხვას ეკუთვნოდე,
თრთის ელვარება ღამის სურების,
ნუთუ ნექტარი შესვი ბოლომდე, —
საწყისი ყველა უბედურების.

* * *

მინდა, ველს წვიმად ვეწვიმო,
ტყეში ვეფინო ხავსად,
ბრძენს უთქვამს: სხვა საქართველო
რომ არ არსებობს არსად.
მეც იმ სენით ვარ სნეული,
მხარევ ფირუზის ცისა,
მთებზე ნისლივით მოვსულვარ,
ჩამთვალე მეც შენს ღირსად.
თუ მტერმა ავად შეგბედოს,
თუ დაგჭირდება შველა,
ერთ ჯარისკაცად მიგულვე,
დავბადებულვარ მცველად.
თუ მტერმა ხელგყო, შევებმი,
არ დავფიქრდები, ვფიცავ,
გმირ სამასიდან, მშობელო,
ერთ არაგველად მიცან.
თუ დამარცხება გელოდეს,
რისხვა, მუქარა, წყევლა,
მე გამაგზავნე, მე წავალ
პაატასავით მძევლად.
გამარჯვებული მოგივალ,
საქმეს არ ვიზამ უგვანს,
მე მიწა გადამაფარე, —
სხვა გაუძღვება გუთანს...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ცისანა უტარაშვილი

## გვალვა

გვალვა იყო და წვიმას ელოდა,
წვიმას ელოდა თავთავის ღერი,
წვიმას ელოდა თუთის ფოთოლი,
წვიმას ელოდა ფითრი.

წვიმა ზეციდან მოდის სიმღერით
და მინდორს ცხრილავს ირგვლივ,
არ დაიწრიტა მინდვრის საბანი,
არ დაიწრიტა ფიქრი.

## სიზმარი

განთიადისას ვნახე სიზმარი,
ცაში მივყავდი ღრუბლის ფერიებს,
დავემორჩილე, როცა ვიგრძენი
ჩემს ნაფერებში შენც შეერიე;

ააფრიალა ღრუბელმა ფარდა,
სულში ნაღველი რად ჩამისახლე?!
გამომეცხადე სიზმარში ნათლად,
ცხადში კი სიზმრად გარდაისახე.

## გაზაფხული

გადასწია თხილმა ღერი
ტოტი შეკრთა ალალგულა,
და კვირტიდან მწვანე ფარჩა
გამოსწია გაზაფხულმა.

მზე შემოჯდა შუბისტარზე
წყარო შეკრთა და მალულად,
სხივებს ოქროს ნაწნავები
გაუშალა გაზაფხულმა.

ჩიტბატონამ ბუდე შეკრა
ჩაუფინა ჩალა-ბულა,
მზემ მძივებში ჩადგმულ ვენახს
ზეცის მადლი დააწურა.

წყაროს მგზავრი დაეწაფა
და წყურვილი დაისრულა
ეს მერცხალი მოფრენილა
შემოსძახა გაზაფხულმა.

აებურცათ ატმებს ტოტი
საფოთლედ და საყვავილედ,
ვეგებები უცნობ ლოდინს
და მომავალ გაზაფხულებს.

## ზენონ...

ზეცამ აზიდა და გაუფითრა
სახე აქილევსს და სერაფიტას,
დილა აეშვა და სიზმრებს მშვიდად
ცის ღამეული ძირს დაეზიდა.

დღე გავათენეთ მე და შენ, ზენონ
უსარეცელოდ ტაძრის გუმბათზე,
მე მედო შენი ყვავილის მტვერი,
შენ ჩემი მუზის უცხო სინაზე.

●

ერთხელ ცოცხლობს კაცის სული
ერთხელ მოდის ამა ქვეყნად,
ერთხელ წავა გულისსწორი,
უკან აღარ მოიხედავს.

მუხა მეხის ნაკვალევმა
ერთხელ დასცა ძირიანად,
ერთხელ გატყდა კოკა წყალზე,
წყარო გაათიხიანა.

ერთხელ ტყდება კაცის გული
უიმკაცოდ უნაიროდ,
ერთხელ რჩება ფიქრი მარტოდ,
უგულოდ და უყვავილოდ.





ჰერბერტ უელსი

# თანამედროვე რომანი

სხვადასხვა ვითარებაში ბევრი მიფიქრია რომანზე, კერძოდ, იმაზე, თუ როგორ იქმნება რომანი. რა მნიშვნელობა აქვს მას, რას წარმოადგენს და, როგორი შეიძლება იყოს; ამიტომ, დიდი ხნით ადრე, ვიდრე პირველ რომანს გამოვაქვეყნებდი, უკვე პროფესიონალი კრიტიკოსი გახლდით.[1] ახლა კი ოცი წელია რომანებსა და რომანებზე ვწერ. მაგრამ, მგონია, თითქოს მხოლოდ გუშინ გამოვაქვეყნე რეცენზია „სეთერდეი რევიუში" მისტერ ჯოზეფ კონრადის წიგნზე „ოლმეიერის ახირება"[2] — ეს პირველი დიდი და დადებითი წერილია მის შემოქმედებაზე. როდესაც კაცი რომანს ამდენ დროს დაუთმობს, უაზრობა იქნება, მისგან შემრიგებლური და წინდახედული ტონით საუბარს ველოდეთ. მიმაჩნია, რომ რომანი ჭეშმარიტად მნიშვნელოვანი და აუცილებელი მოვლენაა მოუსვენარი ძიებების იმ რთულ სისტემაში, რასაც თანამედროვე ცივილიზაციას უწოდებენ. მე რომანს ამაღლებულ და ფართო მოთხოვნებს ვუყენებ. ვფიქრობ, ხშირ შემთხვევაში, მის გარეშე იოლად ვერ გავალთ.

ვიცი, ჩემი აზრი გაბატონებულ შეხედულებებს ეწინააღმდეგება. ვიცი, რომ არსებობს თეორია, რომელიც რომანის ერთადერთ დანიშნულებად მკითხველის გართობას მიიჩნევს. ეს შეხედულება ბატონობდა იმ დიდი მწერლების მოღვაწეობის პერიოდშიც, რომელსაც ჩვენ ვიქტორიანულ ეპოქას ვუწოდებთ. ეს თვალსაზრისი დღესაც ცოცხლობს. იგი თავის წარმოშობას, ალბათ, უფრო მკითხველ მამაკაცებს უნდა უმადლოდეს, ვიდრე მკითხველ ქალებს. მას შეიძლება „დაღლილი გიგანტის" თეორია ვუწოდოთ. მკითხველი წარმოდგენილია საზრუნავით დატვირთულ, მძიმე გარჯისგან წელში გაწყვეტილ ადამიანად, რომელიც ათი საათიდან ოთხამდე თავის კანტორაში იჯდა, მხოლოდ ერთი ან ორი საათით თუ შევიდოდა კლუბში წასახემსებლად ან გოლფის სათამაშოდ. შესაძლოა, ამ „დაღლილმა გიგანტმა" პარლამენტში გაატარა მთელი დღე, თემთა პალატის სხდომაზე იყო და ხმას აძლევდა; თევზაობდა, მონაწილეობდა კანონის რომელიღაც მუხლის გამო გაჩაღებულ ცხარე კამათში, წერდა ქადაგებას ან დაკავებული იყო ათასი სერიოზული და მნიშვნელოვანი საქმით, რომელიც უზრუნველყოფილი ადამიანის მთელ ცხოვრებას შეადგენს. და აი, ბოლოს და ბოლოს, დგება ნანატრი დასვენების წუთები და „დაღლილი გიგანტი" წიგნს იღებს. არ არის გამორიცხული, რომ ის ცუდ ხასიათზე იყოს — შესაძლოა მას გოლფში მოუგეს, ან ანკესის მკედი გაიხლართა ხის ტოტებში, ან ყველაზე საიმედო აქციები დაეცა, ან, დღისით, როდესაც სასამართლოზე სიტყვას ამბობდა, სხვაზე გაბრაზებული მოსამართლე უკმეხად მოექცა. იგი ცდილობს დაივიწყოს ყოველდღიური გასაჭირი. გული უნდა გადააყოლოს. ელოდება, რომ მას გაამხნევებენ, ანუგეშებენ და გაართობენ, წიგნშიც პირველ რიგში გასართობს ეძებს. მას არ სჭირდება არც ფიქრები, არც ფაქტები, მით უმეტეს პრობლემები. მას სურს, ოცნებით მიეცეს მოჩვენებით სამყაროს, — ხატოვანი, ნათელი და მხიარული მოჩვენებების, მხედრებისა და ბედაურების, მაქმანიანი ტანსაცმლისა და განსაცდელიდან თავდახსნილი მომხიბლავი პრინცესების სამყაროს, — სადაც თავად იქნება გმირი. უნდა, რომ მოუთხრონ გასართობ ჯურღმულებსა და მხიარულ გლახაკებზე, ახირებულ მეთევზეებსა და ჩვენი ცხოვრების შემლამაზებელ კეთილ სწრაფვებზე. „გიგანტს" სწყურია რომანტიკა განსაც-

---

1 ჰერბერტ უელსის პირველი რომანი „დროის მანქანა" 1895 წელს გამოქვეყნდა, რეცენზიებსა და კრიტიკულ წერილებს კი მწერალი ჯერ კიდევ 90-იანი წლების დასაწყისში ბეჭდავდა.

2 იგულისხმება „სეთერდეი რევიუში" გამოქვეყნებული ჰერბერტ უელსის რეცენზია ჯოზეფ კონრადის პირველ რომანზე „ოლმეიერის ახირება" 1895 წ.

დელის გარეშე და იუმორი ირონიის გარეშე; მას მიაჩნია, რომ მწერალმა სწორედ ამგვარი საკითხავი უნდა შესთავაზოს. აი, როგორ თვალსაზრისს გვაწვდის რომანზე „დაღლილი გიგანტის“ თეორია. ჩვენი კრიტიკა ამ თეორიით ხელმძღვანელობდა ანგლო-ბურების ომამდე, შემდეგ ჩვენ, უფრო სწორად კი, ზოგიერთ ჩვენგანს, რაღაც დაემართა, და ამ შეხედულებებმა ძველებური სიმტკიცე დაკარგეს. შეიძლება მათ ეს ძალა კვლავ შეიძინონ, ისიც შესაძლოა, მსგავსი რამ უკვე აღარასოდეს განმეორდეს.

დღეს მხატვრული ლიტერატურაცა და კრიტიკაც აუჯანყდა დაღლილ გიგანტს — შეძლებულ ინგლისელს. ვერ დავასახელებ ვერც ერთ ცოტათი მაინც ცნობილ მწერალს — უ. უ. ჯეიკობსის გარდა, რომელიც საშინაო ტანსაცმელში მოხერხებულად გამოწყობილი, გართობისა და სეირის მოყვარულთა სამსახურით კმაყოფილდება. ჯერჯერობით მხოლოდ ის ვიცით, რომ ჩვენი დაღლილი გიგანტი, ეს მოწყენილი მკითხველი, — აუტანლად ზარმაცი, გაფანტული და უსიცოცხლო ადამიანია, ჰოდა, მივედით ერთ დასკვნამდე, რომ ყველანაირად უნდა ვაიძულოთ იგი ავარჯიშოს გონება. ამგვარად, მეტს აღარას ვიტყვი იმ არსებულ შეხედულებაზე, თითქოს რომანი რაღაც უწყინარ ბანგს წარმოადგენს, რომელიც შეძლებულ კაცს ულამაზებს მოცალეობის წუთებს. სინამდვილეში, იგი არასდროს შემოფარგლულა მსგავსი როლით და ვეჭვობ, ოდესმე ამით დაკმაყოფილდეს, ამას თავად რომანის, როგორც ჟანრის ბუნებაც მოწმობს.

ვფიქრობ, ქალები ბოლომდე არასდროს იზიარებდნენ დაღლილი გიგანტის თეორიას. ქალები, ხომ ბევრად უფრო სერიოზულად ეკიდებიან არა მარტო ცხოვრებას, არამედ ლიტერატურასაც. მათ არ ახასიათებთ ამაო და თავდაცვითი ჰკუანაკლულობა, რომელსაც დაღლილი გიგანტის თეორია ეყრდნობა, და 90-იანი წლების დასაწყისში, — როცა რესპექტაბელურმა ინგლისურმა ქარაფშუტობამ განსაკუთრებით ღრმა კვალი გაავლო ლიტერატურაში — გახშირდა მასზე აღშფოთებული მითქმა-მოთქმა, ყველაფერი გულწრფელი და შეურიგებელი მკითხველისა და მწერლების წრეში რომ გამოვლინდა, ძირითადად ქალებიდან მოდიოდა, იგი ამხელდა იმ ზიანს, რაც მხატვრული ლიტერატურისადმი იმ დროს გავრცელებულმა ზედაპირულმა დამოკიდებულებამ მოგვაყენა. ყველა ასაკის მკითხველი ქალები და ახალგაზრდა მამაკაცები ჯიუტად მოითხოვენ შინაარსიან და რეალისტურ რომანებს. მწერალმა სწორედ საზოგადოების ამ მუდმივ მზარდ მოთხოვნილებებს უნდა მიუგდოს ყური, მხოლოდ ასე შეძლებს იგი ყველასთვის ხაკმაოდ მოსაბეზრებელი, მაგრამ თანამეროვე ინგლისში მაინც ფრიად გავრცელებული იდეებისგან თანდათანობით თავის დაღწევას.

იმისთვის, რომ რომანი მივიჩნიოთ არა უბრალო გასართობად, არამედ სერიოზულ ჟანრად, ვფიქრობ, იგი უნდა გავათავისუფლოთ იმ გახელებული პედანტების შეზღუდვებისგან, რომლებიც ცდილობენ შექმნან ყველა რომანისთვის ერთი სავალდებულო ფორმა. ჩვენს დროში ხელოვნების ყველა ნიმუშმა გზა უნდა გაიკაფოს, ერთი მხრივ, ჩვეულებრივი და გადაგვარებული სტანდარტების კლდეებსა და, მეორე მხრივ, თვითნებური და უგუნური კრიტიკის მორევს შორის. როდესაც მხატვრული კრიტიკის ახალი დარგი იქმნება ან, უბრალოდ რომ ვთქვათ, როდესაც სწავლულთა გარკვეული ჯგუფი ერთიანდება, რომლებიც თავს უფლებას აძლევენ დაარიგონ სხვები, მაშინ ეს მწიგნობრები ერთად გამოდიან. ისინი ნაწარმოებზე უშუალოდ წიგნიდან მიღებული შთაბეჭდილებებით არ მსჯელობენ და, რომ არ ჩამორჩნენ მეცნიერებას, პირიქით, რომ აჯობონ კიდეც მას, ქმნიან მეცნიერების მსგავს თეორიებს, კლასიფიკაციებს, ეტალონებს, შედარებით მეთოდებს, აუცილებელ წესებს. უვითარდებათ სტილის თავისებური გრძნობა-მისწრაფება, თავს მოახვიონ მწერალს თავსატეხი ხერხები ან ისეთი საშუალებები, რომლებსაც თავისებურების პრეტენზია აქვთ, რაშიც პროფესიონალი კრიტიკოსი ღირსებებსაც კი არ ეძებს, უბრალოდ, ისინი შექების ღირსად მიაჩნია. ამ შეხედულებამ რომანსა და დრამაზე კრიტიკულ მსჯელობებშიც ღრმად გაიდგა ფესვები. ყველას გაგიგიათ ყურადსაღები გამონათქვამი, რომ ესა და ეს სპექტაკლი თუმცა თავიდან ბოლომდე ძალზე ამაღელვებელი, საინტერესო და თავშესაქცევია, საიდუმლო ტექნიკური მიზეზების გამო, მაინც „პიესად არ ითვლება“; ასეთივე გაურკვეველი მიზეზით აღმოჩნდება, რომ ესა და ეს წიგნი, რომელიც თქვენ ნამდვილად სიამოვნებით წაიკითხეთ „არ არის რომანი“. მოითხოვენ, რომ რომანის ფორმაც სონეტივით მკაცრად იყოს განსაზღვრული. დაახლოებით ერთი წლის წინათ ერთ ყოველკვირეულ ჟურნალში, რომელიც, თუ არ ვცდები, სხვადასხვა რელიგიური და დისიდენტური ორგანიზაციების ინტერესებს გამოხატავდა, ცხარე კამათი გაჩაღდა იმაზე, თუ როგორი მოცულობისა უნდა იყოს რომანი. სანტიმეტრმომარჯვებული კრიტიკოსი საკმაოდ ძნელ ამოცანას ისახავდა. პასუხისმგებლობით მოეკიდა ამ საკითხს „ვესტმინსტერ გეზეტი“: გამოკითხეს ორივე სქესის უამრავი ლიტერატორი, მოითხოვდნენ „ტომ ჯონსის“, „ვეკფილდელი მოძღვრის“, „მეშჩანური ისტორიის“ და „ცივი სახლის“ პუბლიკაციებიდან გამომდინარე მოეცათ განსაზღვრული და ზუსტი პასუხი, თუ როგორი უნდა ყოფილიყო რომანის მოცულობა. ჩვენ სხვადასხვანაირად, მეტ-ნაკლები თავაზიანობით ვპასუხობ-

დით, მაგრამ თავად ამ პრობლემის განსჯის მცდელობა ჩემი აზრით, იმას მოწმობს, თუ რამდენად ფართოდ გავრცელდა ჟურნალ-გაზეთებში, საზოგადოებრივი აზრის შემქმნელ წრეებში განსაზღვრულ ფორმასა და მოცულობაში რომანის მოქცევის ტენდენცია. ჩანაწერებსა და სტატიებში, რომლებიც ამ გამოკითხვას მოჰყვა, კვლავ გამოკრთა ჩვენი ძველი ნაცნობის, დალლილი გიგანტის აჩრდილი. გამოგვიცხადეს, მას ისეთი რომანი სჭირდება, რომელსაც სადილიდან ღამის თერთმეტ საათამდე, ბოლო სირჩა ვისკის დალევამდე წაიკითხავს.

ეჭვგარეშეა, აქ ნოველაზე ედგარ ალან პოს ნახევრად მივიწყებული მსჯელობის გამოძახილი ისმის.[1] ედგარ ალან პო ამტკიცებდა, ნოველა მხოლოდ მაშინაა ნოველა, როცა მისი წაკითხვა ერთი ამოსუნთქვით შეიძლებაო. მაგრამ, რომანი და ნოველა აბსოლუტურად განსხვავებული ფენომენებია და ის არგუმენტები, რომლებმაც ამერიკელი მწერალი აიძულეს ნოველა განესაზღვრა, როგორც მაქსიმუმ ერთი საათის საკითხავი, აღარ გამოგვადგება დიდი მოცულობის ნაწარმოებებზე საუბრისას. ნოველა ფორმის მიხედვით მარტივი ნაწარმოებია, ყოველ შემთხვევაში, ის ასეთი უნდა იყოს; მისი მიზანია ერთიანი და მთლიანი შთაბეჭდილების მოხდენა, მან ჯერ კიდევ ექსპოზიციაში უნდა გაიტაცოს მკითხველი; რათა არ დაუშვას მისი ინტერესის მოდუნება, თავს უნდა უყრიდეს შთაბეჭდილებებს, განუხრელად მიდიოდეს კულმინაციისკენ და, რადგან ადამიანის ყურადღებას საზღვარი აქვს, ამიტომ ნოველა განსაზღვრულ ჩარჩოში უნდა ჩაეტიოს. ის უნდა აენთოს და ჩაქრეს მანამ, სანამ მკითხველი დაიღლება და კითხვას თავს დაანებებს.

რაც შეეხება რომანს, მიმაჩნია რომ იგი მრავალპლანიანი ნაწარმოებია, მასში თხრობის მხოლოდ ერთი ხაზი არ არის, არამედ სახეების მთელი გამაა; თქვენ თავიდან ჯერ ერთი რამ გხიბლავთ, გაინტერესებთ, შემდეგ მეორე. თავს ანებებთ წიგნს და კვლავ უბრუნდებით მას. ამიტომ მე ვერ ვხედავ რომანის მოცულობის განსაზღვრის აუცილებლობას. რომანი მხატვრული ლიტერატურის სხვა ჟანრებიდან ერთი განსაკუთრებით ფასეული თვისებით გამოირჩევა — ეს სახეების შექმნის ხელოვნებაა, ხელოვნურად შექმნილ სახეში კი მისი განვითარება გვხიბლავს. ჩვენ არ ვცდილობთ მალე გავიგოთ გმირის ბედი, მე თუ მკითხავთ, სიამოვნებით ვაღიარებ, რომ დიკენსის ყველა რომანი, როგორი ვრცელიც არ უნდა იყოს ის, ძალზე მოკლე მეჩვენება; საწყენია, რომ დიკენსის გმირები ასე იშვიათად გადადიან ერთი რომანიდან მეორეში, სიამოვნებით შევხვდებოდი მიკობერს, დიკ სვიველერს და სარა ჰემპს[2] სხვა რომანის ფურცლებზეც. გავიხსენოთ, როგორ გა[illegible] შექსპირმა რამდენიმე პიესაში მთელი სიდიადით საუცხოო ფოსტაფი[3] დიკენსმა, მხოლოდ ერთხელ მიმართა ამ ხერხს, როცა „პიკვიკის კლუბი" გააგრძელა „მისტერ (ბიძია) ჰამფრის საათებში"[4] ექსპერიმენტმა არ გაამართლა და მწერალს მეტჯერ აღარ უცდია იგი. დიკენსის შემდეგ რომანის მოცულობამ შემცირება იწყო, სიუჟეტმა სახეები დაიმორჩილა და გართობის სწრაფვამ აჯობა აღწერას; ამბობენ, რომ ამის მიზეზი ანგარებიანი ხასიათი — გინეის, შილინგისა და პენსის[5] მოსაზრებაა, რომლითაც ჩვენ ვერ დავინტერესდებით, — მაგრამ დღეს ძალიან მახარებს, რომ ამ შეზღუდულობისა და სივიწროვის ბატონობის დრო წარსულს ჩაბარდა, რომ ყველა წინაპირობაა შექმნილი მოქნილი და თავისუფალი ფორმის რომანის შემდგომი განვითარებისათვის. მხატვრულ ოსტატობაზე შეუწყნარებელი შეზღუდულებების წინააღმდეგ ინგლისში, როგორც პროტესტი, ისე აღმოცენდა ეს ახალი მიმართულება (ამაზე ჩემს წერილში კიდევ ვიმსჯელებ), იგი ისწრაფვის აალორძინოს მოქნილი, თავისუფალი ფორმა, ერთი თემიდან მეორეზე გადასვლის ბუნებრივი მანერა, განაახლოს ძირითადი აზრიდან გადახვევის უფლება, რაც ახასიათებდა ადრეულ ინგლისურ რომანს „ტრისტამ შენდის" ან „ტომ ჯონსს". ნაწილობრივ ყველაფერი ეს სხვა ქვეყნებიდან მოდის და ძალას ისეთი უჩვეულო და თამამი წამოწყებებით იკრებს, როგორიც, მაგალითად, რომენ როლანის „ჟან კრისტოფი". ეს ორი წყარო განსაზღვრავს თანამედროვე მიმართულების ორმაგ ხასიათს: თუ ინგლისში თანმიმდევრულ და მრავალფეროვან აღწერას ეტანებიან, ახალ ფრანგულ მოძრაობას ამომწურავი ანალიზისკენ სწრაფვა განასხვავებს. მისტერ არნოლდ ბენეტიმ სინამდვილის ფართო გამოხა-

---

[1] ე. პოს (1809-1849) ეკუთვნის რამდენიმე სტატია ნოველის ჟანრზე.

[2] ჩარლზ დიკენსის რომანების „დეივიდ კოპერფილდის", „სიძველეთა დუქნის" და „მარტინ ჩაზლუიტის" მოქმედი პირები.

[3] შექსპირის პიესების „ჰენრი IV"-ის და „უინძორელი მხიარული ქალების" პერსონაჟი.

[4] ჩარლზ დიკენსმა 1840 წელს გადაწყვიტა დაეწერა რომანი „ბიძია (მისტერ) ჰამფრის საათები", სადაც მკითხველი „პიკვიკის კლუბის ჩანაწერების" პერსონაჟებს უნდა შეხვედროდა. მაგრამ მალე ავტორმა თავად უარყო ეს გეგმა. ზოგიერთი ეპიზოდი, რომელიც ამ რომანში უნდა შესულიყო, ცალკე რომანებში „ბარნები რაჯის" და „სიძველეთა დუქანში" აისახა.

[5] გასული საუკუნის 80-90-იან წლებში გამოქვეყნებული რომანების საშუალო მოცულობა და შესაბამისად მათი ფასიც თითქმის სამჯერ შემცირდა. აქ, უელსი ასახელებს ძველ და ახალ ფასებს შორის სავარაუდო განსხვავებას.

ტულების ეს ორივე ფორმა გამოიყენა. მისი საუცხოო „ამბავი ორი დედაბრისა“, სადაც ავტორი თავისუფლად გადადის ერთი სახიდან მეორეზე, სცენიდან სცენაზე, იმ დროისთვის ინგლისურ ენაზე და ინგლისურ ტრადიციებზე დაწერილ რომანებს შორის საუკეთესოა. ახლა კი „კლეიჰენგერში“[1] და ამ ციკლის დანარჩენ რომანებში ავტორი დაწვრილებით და მრავალფეროვნად გვიჩვენებს ერთი ან ორი ხასიათის განვითარებასა და ცვლილებას, — ეს მეთოდი დიდი მოცულობის რომანისკენ თანამედროვე ევროპული მწერლობის მიდრეკილების მთავარი თავისებურებაა. თუ რომანისთვის „ამბავი ორი დედაბრისა“ დამახასიათებელია მრავალმხრივი აღწერები, „კლეიჰენგერის“ თავისებურება ამომწურავი ანალიზია; მწერალი სრულყოფილად გვიჩვენებს ორ ახალ ლიტერატურულ მიმდინარეობას.

„ჟან კრისტოფს“, რომლის ჩინებული თარგმანით მისტერ კენანისგან ვართ დავალებული, აქ იმიტომ ვახსენებ, რომ მას ახალი მიმართულების რომანის ტიპიურ ნიმუშად ვთვლი. მაგრამ, ამ რომანს, სადაც მთავარი გმირის გარდა მხოლოდ ორი სამი პერსონაჟი თუ გამოჩნდება და თავად გმირი, მისი ფიქრები და განცდები ასე სრულად და მხატვრულად არის ასახული, გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი წინამორბედი ჰყავს, წინამორბედი, რომელმაც საფრანგეთიდან მისტერ ბენეტის და მისტერ კენანის წყალობით მოაღწია. „ჟან კრისტოფი“, სხვა ამგვარი ნაწარმოების მსგავსად, სათავეს იღებს ფლობერის დიდებული წიგნიდან, რომელიც ავტორმა ვერ დაასრულა, — მე „ბუვარი და პეკიუშეზე“[2] მოგახსენებთ. თითქმის მთელი ცხოვრება შეალია ფლობერმა ამქვენად ყველაზე მკაცრი და თავდაჭერილი პროზის შექმნას, — ტურგენევის პროზასაც კი ვერ ვუწოდებთ უფრო თავშეკავებულსა და მკაცრს, — და მისი შემოქმედება ამ სასიხარულო და სევდიანმა სასწაულმა, სიბრძნის ჭეშმარიტმა წყარომ დააგვირგვინა. ჩვენთან ეს წიგნი ნაკლებად არის ცნობილი, მგონი არც ინგლისურად უთარგმნიათ, მაგრამ ის არსებობს, და თუ მკითხველმა არაფერი იცის ამ წიგნზე, მაშინ მე მათ კარგ საჩუქარს მივუძღვნი, — გავუმჟღავნებ საიდუმლოს, რომ არსებობს წიგნი, რომლის წაკითხვაც სასწაულებით სავსე ტყეში ხეტიალს უდრის. თუ ფლობერი იყო ის ევროპელი მწერალი, რომელმაც რომანი მკაცრი ფორმების ბორკილებიდან გამოათავისუფლა, მაშინ, ჩვენ, მრავალპლანიანი რომანის სკოლის ინგლისური მიმართულების მიმდევრები, მადლობის ნიშნად ქედს უნდა ვიხრიდეთ ჭეშმარიტი რომანის შემქმნელის ლოურენს სტერნის წინაშე... იმის წინაშე, ვინც, ჩემი აზრით, ყველაზე შეუდარებელ, უდიდეს ხელოვნად რჩება, — ვიმეორებ, ხელოვნად, — იმ შემოქმედთა შორის, დიდმა ბრიტანეთმა რომ მისცა მსოფლიო ლიტერატურას.

ნოველას და რომანს აბსოლუტურად განსხვავებული მოთხოვნები უნდა წავუყენოთ, რადგან ამ საკითხზე უთავბოლო მსჯელობას „ვესტმინსტერ გეზეტის“ მსგავს დარიგებასთან — აბა, მეტი რა შეიძლება ვუწოდო ამას? — მივყავართ, როდესაც გვასწავლიან: რას უნდა ესწრაფოდეს მწერალი და რა მოცულობის უნდა იყოს რომანი, ლიტერატურულ ხერხებსა და სტილზე უაზრო შეზღუდვებსა და კანონებს თხზავენ და აკეთებენ მცდარ დასკვნას, რომ რომანის, ისევე, როგორც ნოველის მიზანიც ერთიანი, დიდი შთაბეჭდილების მოხდენაა. ასეთი დასკვნები ყველანაირი შეცდომის წინაპირობაა. მხატვრულ ნაწარმოებებზე დაწერილ რეცენზიებში გამუდმებით ვკითხულობთ შენიშვნებს, რომ ამა თუ იმ რომანში, ესა თუ ის ეპიზოდი უადგილოა. ნოველაში ძალიან ადვილად აგაბნევს გაუმართლებელი დეტალები, ეს კი ნაწარმოებს ღუპავს. ნოველა ისე უნდა მიჰქროდეს მიზნისკენ, როგორც ვეფხვდადევნებული კაცი: არა მგონია, როდესაც ადამიანი ვეფხვს გაურბის, იგი ბილიკთან აყვავებული გვირილების მოსაკრეფად შეჩერდეს. ისიც საეჭვოა, რომ იმ ხის ხავერდოვანი ხავსით ტკბობის დრო დარჩეს, რომელზედაც საფრთხისგან გადასარჩენად ფაციფუცით მიძვრება. ნოველის მიზანი დაძაბული მოქმედების ილუზიის შექმნაა, ხოლო რომანის თხრობა, პირიქით, აუჩქარებელი უნდა იყოს, ისევე, როგორც ზაფხულის თბილ დილას — საუზმე ბაღში; თუ მწერალი კარგ გუნებაგანწყობაზეა, მაშინ ყველა დეტალი გამართლებულია, შაშვი ბაღის ბილიკზე და ყვავილის ფურცელი, რომელიც აყვავებული ვაშლის ხიდან ყავის ფინჯანში ვარდება, ისევე დროულია, როგორც საუზმისას კვერცხი ან კარაქიანი პურის ნაჭერი მაგიდაზე, ხოლო ისეთი რამ, რაც ამ ილუზიას არღვევს, როგორიც არის, მაგალითად, ავტორისეული წიაღსვლები და რაღაც შენიშვნები, რომლებიც გვახსენებენ, რომ საქმე სინამდვილესთან კი არა, მონაგონთან გვაქვს, ამასთან სტილისტური გადახვევები, ფარსი, პაროდიულობა, სალანძღავი სიტყვები — ყველაფერი ეს შეიძლება ხელთ ჰქონდეს მწერალს, როცა საქმე რომანს ეხება. ისიც ხდება, რომ ყველაფერ ამას ავტორისთვის სარგებლობა კი არ მოაქვს, პირიქით, ნაწარმოებს ვნებს კიდეც;

---

[1] როდესაც ჰერბერტ ჯორჯ უელსი თავის ესეს წერდა, ა. ბენეტის ტრილოგიის მხოლოდ პირველი რომანი „კლეიჰენგერი“ (1910) იყო გამოქვეყნებული.

[2] „ბუვარი და პეკიუშე“ („Bouvard et Pecuchet“) გუსტავ ფლობერის (1821-1880) დაუმთავრებელი რომანია, გამოქვეყნდა ავტორის გარდაცვალების შემდეგ, 1881 წელს.

ასეთი ადგილები მკითხველს ყურში ხვდება, ეჩოთირება, მას აღარ უნდა კითხვა გააგრძელოს; მაგრამ ეს მხოლოდ ის სიძნელეებია, რომლის წინაშეც ჭეშმარიტი ხელოვანი ისევე არ შედრკება, როგორც კარგი მონადირე ყველაზე მაღალი ბარიერის წინ. თითქმის ყველა რომანში, რომელმაც დროის გამოცდას გაუძლო და უბრწყინვალეს მსოფლიო ლიტერატურულ ქმნილებებს შორის დაიკავა მტკიცე ადგილი, მთელი ნაწარმოების მანძილზე მარტო ავტორის პიროვნებას კი არ ვგრძნობთ, არამედ მის გულწრფელსა და გამჟღავნებულ გულისნადებსაც ვხვდებით, ავტორისეული ჩარევის ყველაზე უხეირო მაგალითი, რომელიც გვაშინებს კიდეც, თეკერეის ლირიკული წიაღსვლებია; ვფიქრობ, თეკერეის უბედურება ის კი არ არის, რომ მას ლირიკული გადახვევები უყვარს, არამედ ის, რომ ავტორისეული ჩარევის დროს, იგი საოცრად ყალბ ხერხებს იყენებს. ვეთანხმები აწ გარდაცვლილ მისის კრეიგის“,[1] რომ თეკერეიში იყო სიუხეშის მსგავსი რამ. ყალბად გამოიყურება მისი თვალთმაქცურად ჩაფიქრებული მაღალი წრის ადამიანის ხელოვნური პოზა — ბუხრის წინ გამოჭიმული აგრესიული, მოურიდებელი და შარიანი ადამიანი, რომელიც სადილის შემდეგ, სიმაძღრითა და ქედმაღლობით გაბერილა, თითქოს და დიდი მდგომარეობა მოეპოვებინოს ლიტერატურისა და მაღალი საზოგადოების წრეში, — აი, ვინ ლაპარაკობს თეკერეის რომანებში პირველი პირით. იგი არ გახლავთ ნამდვილი თეკერეი. ეს არაგულწრფელი ადამიანია, რომელიც თვალებში გიყურებთ, გულის ნადებს გიმხელთ და თქვენს თანაგრძნობას ელოდება. მაგრამ თეკერეის რომ ვაკრიტიკებ, მე სრულებით არ უარვყოფ ავტორისეულ წიაღსვლებს.

უნდა ვაღიარო, რომ ავტორისეული ჩარევები, მკითხველთან პირველ პირში საუბარი, მწერლისთვის დიდ რისკთან არის დაკავშირებული; მაგრამ, როცა ამას სიყალბის გარეშე, გულწრფელად აკეთებენ, ისე, თითქოს სახლში სიბნელიდან შემოსული ადამიანი გიყვება კარს მიღმა მომხდარ განსაცვიფრებელ ამბებს, — როგორც, მაგალითად ძალზე პრაქტიკული მოსაზრებებით იქცევა მისტერ ჯოზეფ კონრადი „ლორდ ჯიმში“, — მაშინ ეს გარკვეულ სიღრმეს, სუბიექტურ რეალობას ქმნის, რომელსაც ვერ მიაღწევ, თუ იმ თითქმის ცივ, ირონიულ, განზრახ მიუდგომლობის პოზიციას დაიკავებ, რომელიც, ვთქვათ, მისტერ ჯონ გოლზუორთის ნაწარმოებებს ახასიათებს. ზოგჯერ კი რომანის მთელი ეშხი, მწერლის მთელი ოსტატობა, სწორედ ასეთ ჩარევებშია, რასაც რომანები „ელიზაბეტი და მისი გერმანული ბაღი“ და „ელიზაბეტი რიუგენში“[2] მოწმობენ.

ამრიგად, რადგან გააფთრებით ვილაშქრებ იმის წინააღმდეგ, რაც რომანისთვის დამღუპველია და რაც მის შესაძლებლობებს ზღუდავს, ამიტომ მე მისი ფორმის თავისუფალი განვითარებისა და დანიშნულების მომხრე ვარ; მაგრამ, გარდა ამისა, მინდა ვისაუბრო ზოგადად რომანზე, იმაზე — თუ როგორ უნდა განვსაზღვრო იგი, თუკი ამის პრაქტიკული შესაძლებლობა არსებობს. არც ისე ადვილი ამოცანაა რომანის რაობის განსაზღვრა. მას წინასწარ შემუშავებული წესებით არ ქმნიდნენ.

რომანი მოვლენაა, რომელიც ღრმად შეეზარდა თანამედროვე ცხოვრებას, მას იმოდენა პასუხისმგებლობა აკისრია, ისეთ შედეგებს აღწევს, რომელსაც მისი შემქმნელები ვერც კი იწინასწარმეტყველებდნენ. დიადი ქმნილებების უმრავლესობამ დაკისრებულისგან განსხვავებული მნიშვნელობა შეიძინა. გავიხსენოთ, როგორი შთაგონების, ემოციისა და ესთეტიკური გრძნობების წყაროდ იქცა ჯვრის გოთიკური ტაძრის მონახაზი, აბა, დავფიქრდეთ, თავის დროზე ხომ ვერავინ წარმოიდგენდა, რა აღტაცებასა და აღფრთოვანებას გამოიწვევდა შთამომავლობაში ანტიკური საბერძნეთისა და რომის ფერგადასული თეთრი მარმარილოს ქანდაკებები. ძველებურ ავეჯს და ნაქარგებს ჩვენ ახლა ხელოვნების ნიმუშად აღვიქვამთ, ხოლო ის ოსტატები, რომლებიც მათ ქმნიდნენ, მათში მხოლოდ მორთულობის საგნებს ხედავდნენ. რომანი, ყოველგვარი ეჭვის გარეშე ჩვეულებრივი ზღაპრიდან, მისდამი დიდისა და პატარის ჩვეული სიყვარულიდან აღმოცენდა. საკმაო დრო დაგვჭირდა იმისათვის, რომ შექმნილიყო ნაწარმოებები ჩვეულებრივ, რეალურ, გონიერ ადამიანებზე, რომლებიც დაუპირისპირდებოდნენ სარაინდო რომანების ზღაპრულ არსებებს, რომელთაც ავტორი აშკარად საკვირველი მომხიბვლელობით აჯილდოებს, ბრწყინვალე სალებავებით გვიხატავს იმათ, ვინც არცთუ ისე პირქუშ, საოცრებებით სავსე სამყაროში ცხოვრობენ. რომანი ისეთი ნაწარმოებია, რომელსაც არ სჭირდება ან, ცდილობს გვაჩვენოს, რომ არ უნდა აშკარა მონაგონი. ავტორის მიზანია ასახოს არა ნაკლებად რეალური გარემო და ადამიანები, რასაც თქვენ ყოველდღე ომნიბუსებში ხვდებით. ვფიქრობ, რომ შეიძლება შეიქმნას რომანები, რომლებიც მხოლოდ და მხოლოდ ამ

---

[1] მისის კრეიგი (1867-1906) ინგლისელი მწერალი და დრამატურგი. იგი ჯონ ოლივერ ჰობსის. (John Oliver Hobbes) ფსევდონიმით წერდა.

[2] „ელიზაბეტი და მისი გერმანული ბაღი“ (1898) და „ელიზაბეტი რიუგენში“ (1904) ელიზაბეტ მერი რასელის, გრაფინია ფონ არნიმის (Elisabeth Mary Russell, Countelss von Arnim) (1866-1941), იმ დროს ძალზე გახმაურებული რომანია.

მიზანს მოემსახურებიან. ასეთი რომანი თქვენ გაგართობთ, ისევე, როგორც ფანჯრიდან ცქერა ან მსუბუქი მუსიკის მოსმენა. და ალბათ, ეს უნდა იყოს რომანის ზემოქმედების ზღვარი. მაგრამ რომანი თითქმის ყოველთვის უფრო მეტი რამ არის და მისი ზემოქმედებაც გაცილებით უფრო დიდია. რომანი გარკვეულ მორალს შეიცავს. მკითხველს შთაბეჭდილება არამარტო აღწერილი მოვლენებიდან რჩება, არამედ მიმზიდველი ან მიულებელი მოქმედებისგანაც. ბოლოს და ბოლოს, შეიძლება მორალი, დარიგება ან ჭკუის სწავლება არადამაჯერებელი, შთაბეჭდილება კი ზედაპირული გახდეს, მაგრამ ამის მიუხედავად, ნებისმიერი რომანისთვის იგი მაინც გარდუვალად ნიშანდობლივია; როგორი მიუკერძოებელიც უნდა იყოს მწერალი, მისი სურვილის გარეშე, მისი ნაწარმოების გმირები მაინც ერთგვარ ნიმუშად იქცევიან, რომანის დედააზრი კი, როგორც ცნობილია, მკითხველს ათასგვარ საფიქრალს აღუძრავს. რაც უფრო დიდია მწერლის ოსტატობა, რაც უფრო დამაჯერებელია მხატვრული ხერხები, მით უფრო სარწმუნოა მისი შთაგონების ძალა. მწერალი ვერ ახერხებს დაფაროს თავისი დამოკიდებულება ამა თუ იმ გმირის მიმართ: ერთი გმირის საქციელი მას მოსწონს და აღაფრთოვანებს, მეორეს მოქმედებას კი კიცხავს და განსჯის. ვფიქრობ, მისტერ ბენეტი ამას თავის დამსახურებად არ ჩათვლიდა, მაგრამ მიუკერძოებელი მკითხველისთვის ცხადია, რომ თავისი კარდი მას მთელი სულითა და გულით უყვარს, და ისევე აღტაცებულია ამ გმირით, როგორც რიჩარდსონი სერ ჩარლზ გრანდისონით, ან კიდევ მისის ჰამფრი უორდი მარსელათი, რომელსაც იგი მშვენიერ და მეტად პატივსაცემ ქალად თვლის. ვფიქრობ, რომ, სწორედ ამიტომ, რომანი გამოგონილი შემთხვევების უბრალო თხრობა კი არ არის, არამედ მოვლენების განხილვა და შეფასება, და მაშასადამე, იმ აზრების, იდეების გარკვევა და გარჩევაა, რომლებიც ამ მოვლენებს დასაბამს აძლევენ. სწორედ ამაშია რომანის ჭეშმარიტი და ყოველმხრივ მზარდი ღირებულება, — ან, კამათის თავიდან ასაცილებლად სჯობია ჩემი შეხედულება ასე ჩამოვაყალიბო — ამით გამოიხატება თანამედროვე ცხოვრებაში რომანისა და მწერლის ჭეშმარიტი და ერთთავად მზარდი მნიშვნელობა.

ალმოჩენა არ იქნება თუ შევნიშნავ, რომ რომანი ისევე, როგორც დრამა ზნეობრივი ზემოქმედების მძლავრი იარაღია. ინგლისში ეს მას შემდეგ გაიგეს, როცა რომანმა საზოგადოებრივი ცხოვრების სხვა მოვლენებს შორის თავისი ღირსეული ადგილი დაიკავა. ამას ერთხმად აღიარებენ მწერლები, მკითხველები და ისინიც კი, ვინც არასდროს და არანაირ გარემოში რომანებს არ კითხულობენ. რიჩარდსონი განზრახ ჭკუის სასწავლებლად წერდა, ხოლო „ტომ ჯონსი" — აქტიური და ძლიერი მოწოდებაა — იყო გულუხვი და მოწყალე იმათ მიმართ, ვისაც ცხოვრების გზა გაუმრუდდა. თუ არ ჩავთვლით ფილდინგს და კიდევ რამდენიმე გამონაკლისს, ასეთი გამონაკლისები კი კრიტიკული განზოგადების დროს აუცილებლად გვხვდება, უნდა ვაღიაროთ, რომ წარსულის რომანსა და, ნება მომეცით, ასე ვუწოდო, თანამედროვე რომანს შორის გარკვეული განსხვავებაა. ეს სხვაობა საზოგადოებრივი აზრის ცვლილებას არეკლავს, რაც იმაში მდგომარეობს, რომ ახლა მორალის პრინციპებზე და ქცევის ნორმებზე ადრე დადგენილი შეხედულებების სახსენებელიც კი არ არის. ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ადრე ამ საკითხებზე სრული ერთსულოვნება სუფევდა, — ყოველთვის აზრთა დიდი სხვადასხვაობის მოწმე ვიყავით, — უბრალოდ, მაშინ თავის შეხედულებებს დაჟინებით, მტკიცედ იცავდნენ, რასაც ჩვენს დროში ვერ ნახავთ, ჩვენი საუკუნე ბალფურიანული[1] საუკუნეა... წარსულშიც, ალბათ, აზრთა ასეთივე სხვადასხვაობა იყო, როგორც ეხლა, მაგრამ მაშინ ეს განსხვავება მნიშვნელოვნად უფრო უკომპრომისო, მისი საფუძველი კი, ჩვენი აზრით, სისასტიკემდე მისული სიმტკიცე გახლდათ. თქვენ თუ კათოლიკე იყავით, პროტესტანტებზე, თურქებზე, ურწმუნოებზე არაფრის მოსმენა არ გსურდათ. მაშინ თქვენ ზუსტად იცოდით, რა იყო ავი და კარგი. ამ ინფორმაციას მღვდელი გაწვდიდათ, რომანიდანაც ამ მძიმე, თუმცა ნაკლებად მიმზიდველი, მაგრამ წრფელი ცდომილებების ურყეობის პირდაპირ ან ირიბად დამტკიცებას ითხოვდით. ხოლო პროტესტანტის ადგილას ადვილად ვერც თქვენ აგიბნევდნენ თავგზას. და თუ ვინმეს ეცოდინებოდა ჭეშმარიტება, ალბათ, ისევ თქვენი თანამოაზრეების ვიწრო წრეს, იმ წრეს, სადაც გაერთიანებული იქნებოდა იმ დროის ყველა უპატიოსნესი ადამიანი, ვისთვისაც ქვეყანაზე ყველაფერი ნათელია და ვინც ამ ვიწრო ფარგლებს გარეთ რაიმეს შესწავლას საჭიროდ არ თვლის. თქვენ წარმოიდგინეთ, ურწმუნონიც ასევე გულმოდგინედ იცავდნენ თავიანთ კრედოს, — მხოლოდ საჭიროების შემთხვევაში „არას" უმატებდნენ. სხვადასხვა რწმენის ადამიანებმა — კათოლიკებმა, პროტესტანტებმა, ათეისტებმა თუ სხვებმა, — კარგად იცოდნენ, რომ სიკეთე სიკეთეა, ბოროტება კი ბოროტება, იცოდნენ, რომ სამყარო ავ-კარგზეა აგებული, კარგმა პიროვნებამ უნდა აღგაფრთოვანოს, იგი უნდა გიყვარდეს, მას უნდა დაეხმარო,

---

[1] ბალფურიანული საუკუნე ბალფურის ეპოქაა; არტურ ჯეიმს ბალფური (1848-1930) ინგლისელი სახელმწიფო მოღვაწე, მთელი რიგი ფილოსოფიური ნაშრომების ავტორია.

ხოლო ცუდი — სიკეთის სამსახურისთვის, — უნდა ამხილო, თუ ამას საჭიროება მოითხოვს, მოატყუო კიდეც, დათრგუნო, არ დაზოგო ძალები უწმინდურობაზე გასამარჯვებლად. ასეთი იყო ეპოქის სული. რომანი ამ ურყევ სულს ასახავდა და უმაღლეს კაცთმოყვარეობას იმით გამოხატავდა, რომ გვიჩვენებდა ზოგჯერ არამზადას ნიღაბს ამოფარებულ ჭეშმარიტ და იშვიათ კეთილშობილებას და, ზოგჯერ, პირიქით, წმინდანის გარეგნობის მიღმა თვალთმაქცს. ჩვენი დროის ადამიანთა უმრავლესობისაგან განსხვავებით მაშინ, კაცურ ღირსებებს და სათნოებას ღრმად ფესვგადგმული ეჭვით, კრიტიკული შეფასებით და ამავე დროს თანაგრძნობით ვერ ეკიდებოდნენ.

ამიტომ, იმ დროის მკითხველი, პროვინციული ინგლისური ქალაქების დღევანდელი მკითხველის მსგავსად, რომანზე ოჯახური აღზრდითა და მღვდელთმსახურების: პასტორისა და კათოლიკური პატრის მიერ ჩანერგილი რწმენით მსჯელობდა. მკითხველს რომანი მოსწონდა, თუ მისი მრწამსი რომანის იდეას ემთხვეოდა, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი მას გმობდა, ზოგჯერ საკმაოდ მკაცრადაც. თუ რომანს, როგორც სავსებით ზედმეტს და საზოგადოებრივი მღელვარების გამომწვევს, უდავოდ და უსიტყვოდ არ უარყოფდნენ, მაშინ მას პატრის, პასტორის ან სხვა მოძღვრის მიერ შთაგონებული იდეების მეგზურად მიიჩნევდნენ. რომანი ამტკიცებდა დოგმის სარგებლობას და მას ეს დოგმა უნდა დაეცვა. რომანს დადებითად აფასებდნენ იმ შემთხვევაში, თუ იგი მისტერ ჩედბენდის[1] მაღალ შეხედულებებს აკმაყოფილებდა. ხოლო თუ ის მისტერ ჩედბენდის არ მოსწონდა, სდევნიდნენ და უარყოფდნენ. რომანი მხოლოდ მაშინ შეძლებს დამამცირებელი ბორკილებისაგან თავის დაღწევას, თუ იგი ასეთ უნდობელ და უკმაყოფილო ჩედბენდების გვამებს გადააბიჯებს.

რაც შეეხება კონფლიქტს ავტორიტეტებსა და კრიტიკას შორის, ეს ადამიანთა საზოგადოების ძველისძველი წინააღმდეგობაა, წინააღმდეგობა დადგენილ წესსა და ახალ მიმართულებებს, წესრიგსა და თავისუფლებას შორის. ასეთი იყო წინააღმდეგობა ქურუმსა და ძველ იუდეველ წინასწარმეტყველს, მაცხოვარსა და ფარისეველთა შორის, რეალისტისა და ნომინალისტის კონფლიქტი, ეკლესიის დაპირისპირება ფრანცისკანელსა და ლოლარდებთან, განხეთქილება ხელოვანსა და იმ პატივცემულ ობივატელს შორის, ვინც წესრიგის გულისათვის მზადაა დათრგუნოს ყველაფერი ახალი, რაც, დაბრკოლებების მიუხედავად, გზას მაინც იკვლევს. დღეს, როცა საზოგადოება მტკიცდება და იზრდება, როცა ჩვენ ვცხოვრობთ გაბედული აზროვნების პერიოდში, ჩვენი აზრი ისეთ უჩვეულო აყვავებას განიცდის, რომლისთანაც ჯერ არ ახსოვს ისტორიას. ახლა ბევრს წერენ პატიოსნებაზე, ადამიანთა ცხოვრების საფუძველზე, სხვადასხვა შეხედულებებზე, ნორმებსა და ქცევის წესებზე. და აუცილებელია, რომ რომანმა გარდუვალი ზომიერებით, გულწრფელობითა და თავისი შესაძლებლობებით ასახოს ყველაფერი ის, რაც ჩვენს გარშემო ხდება, საქმიანად ხელი შეუწყოს იმ ცვლილებებსა და სიახლეებს, რომელსაც ჩვენი მშფოთვარე და შემოქმედებითი საუკუნე შობს.

მაგრამ ყოველივე ზემოთ თქმულით მხოლოდ იმას არ ვგულისხმობთ, რომ რომანი თავიდან ბოლომდე აუცილებლად ასეთი ვრცელი და სასწაულთმოქმედი წინააღმდეგობების მოტივებით უნდა იყოს დატვირთული. რომანი, უბრალოდ, ამ კონფლიქტების აუცილებელი ნაწილია. დიდი რევოლუციის არსი, რომელშიც ჩვენ ახლა ვართ, იმ რევოლუციისა, რომლის ფილოსოფიურ ასპექტს პრაგმატიზმის სახელით ნომინალიზმის აღორძინება და გამოცხადება წარმოადგენს, იმაში მდგომარეობს, რომ იგი განზოგადების ნაცვლად აღიარებს ინდივიდუალური გამოცდილების დიდ მნიშვნელობას. ყველა ჩვენი სოციალური, პოლიტიკური და მორალური პრობლემა განიხილება ძიებისა და ექსპერიმენტის სულისკვეთებით, რომლისთვისაც უცხოა განყენებული მიდგომა და დედუქციის წესი. ჩვენთვის სულ უფრო ცხადი ხდება და გვესმის, რომ მაგალითად, მხოლოდ სოციალური სტრუქტურის გაცნობა — ფუჭი და უაზრო საქმეა, თუ მას არ შევისწავლით, როგორც ცალკეული პიროვნებების კავშირებს, გაერთიანებებს და მათ წინააღმდეგობებს, რომელსაც იწვევს ყველაზე განსხვავებული მოტივები, რომელთაც ძველი ტრადიციები ზღუდავს და გონებრივი ძიებების დაძაბული ვითარებით წარმოშობილი წინადადებები მართავს. და ამიტომ, ადამიანების ურთიერთობებზე, სამართლიანობაზე, საზოგადოებრივი თვალსაზრისით გონივრულ და აუცილებელზე, ყველა ჩვენი წარმოდგენა შეუფერებელი და უადგილოა. ჩვენი შეხედულებები შეიძლება ისეთივე შეურაცხმყოფელი და უხერხული აღმოჩნდეს, როგორც სხვა ზომის ტანსაცმელი და ვიწრო ფეხსაცმელი.

ხსნა კი თანამედროვე რომანის ღირსებასა და შესაძლებლობაშია. ვთვლი, რომ მხოლოდ რომანი გვაძლევს იმ პრობლემათა უმრავლესობის განხილვის საშუალებას, რომელიც ახლა ასე მრავლად წარმოიშობა თანამედროვე სოციალურ ვითარებაში. თითქმის ყველა მათგანის საფუძველი ფსიქოლოგიური პრობლემაა, უფრო სწორად, ფსიქოლოგიური კი არა, არამედ ისეთი, რომლის არსს „ინდივიდუალურობის“ გაგება წარმოადგენს. ამ საკითხთა უმრავლესობაში გარკვევა რაღაც განსაზღვრული ხერხებით ან

[1] მისტერ ჩედბენდი — ჩარლზ დიკენსის რომანის „ცივი სახლის“ — პერსონაჟი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განზოგადებით — ჯუნგლებში კორდონის ჩადგმას უდრის — ნადირობა მხოლოდ მაშინ იწყება, როცა კორდონი უკანაა და თქვენ ულრან ტყეში ხართ შესული.

მაგალითისთვის ავილოთ წინაალმდეგობათა მთელი ხლართი, რომელიც ჩვენი სახელმწიფო აპარატის მუდმივი გართულების ნაყოფია. განკარგულებებით ჩვენ წოდებებს ვანიჭებთ მოხელეებს. ბოლო რამდენიმე წელთან შედარებით კი ბევრი ახალი დარგი წარმოიშვა, რომელშიც ადამიანის ყოველდღიური ცხოვრება მჭიდროდ დაუკავშირდა კანცელარიულ ფორმალიზმს. მაგრამ, ჩვენ ჯერ კიდევ პრაქტიკულად არაფერს ვაკეთებთ იმისათვის, რომ დავაკვირდეთ იმ საინტერესო ცვლილებებს, რომელიც საერთო ბრბოდან გამოყოფილ ამა თუ იმ ადამიანში ხდება, როცა მას წესებს, მოვალეობებს და სრულ უფლებებს ვუბოძებთ და თუ ძალით მუნდირით ვერ შევმოსავთ, მაშინ ვაიძულებთ უსულგულოდ იაზროვნოს. ეს მოვლენა საზოგადოებისა და პირადი თვალსაზრისით აშკარა, ღრმა და ნიადაგ მზარდი ინტერესის სფეროს წარმოადგენს. სოციალურ-პოლიტიკური კონსოლიდაციის პროცესი, რომელიც უკვე მეოთხედი საუკუნეა მიმდინარეობს, ახლა სულ უფრო და უფრო დიდ ინტენსიურობას იძენს და ხშირად ენერგიული, ერთობ ღირსეული, ბევრად თუ ნაკლებად სათნო ხალხი, რომელთა აშკარა კულისებს იქითა პოლიტიკურ საქმიანობას ამგვარ ცვლილებებთან მივყავართ, არც კი ეჭვდება, რომ ამ პრობლემების საბოლოო გადაწყვეტა მთლიანად დამოკიდებულია, ერთი მხრივ, სახელმწიფოსა და, მეორე მხრივ, სუსტი, გაუბედავი, ერთმანეთისაგან განსხვავებული ადამიანების კავშირზე. ისინი თვლიან, რომ ჩინოვნიკად, რომელშიც შერწყმული იქნება ღვთისმაგვარი სათნოება, გონება და ერთგული. მექანიკური მორჩილება, შეიძლება აქციო ნებისმიერი შენი ნათესავი. ვიცი, რომ მხოლოდ რომანს შეუძლია დაარწმუნოს ხალხი, ისიც ვიცი, რომ ასეთი თვალსაზრისი გამართლებული არ არის, რომანს ძალუძს გამოვიდეს სახელმწიფო აპარატის გონივრული და ქმედითი კრიტიკით, რომელიც მიგვიყვანს მისი საქმიანობის ნაყოფიერ ანალიზთან, საერთოდ ყველა ოფიციალურ სფეროში ჯანსაღი და ახალი ატმოსფეროს შესაქმნელად. მაგრამ, ჩვენი ცხოვრების ამ მხარეზე რომანს ჯერ კიდევ სავსებით არ მიუტანია იერიში, არ უჩვენებია მრავალგვარი და მიმზიდველი ადამიანური მისწრაფებები.

დიახ, ჩვენ გვაქვს ბამბლის[1] სახე, — ამ უვიცი, წვრილი მოხელის ოსტატურად და უწყალოდ დახატული პორტრეტი. ინგლისელი მკითხველისთვის ეს ერთი ფიგურაც კმარა, რომ შეამჩნიოს, თუ ვინ ანხორციელებს ცხოვრებაში ღარიბ-ღატაკთა კანონის[2] დებულებებს. ეს მაგალითი კი ცხადყოფდა, რომ საზოგადოებაზე კარგ ინსტრუქციებს და ცრუმეცნიერულ ჩანაფიქრებს სისხლითა და ხორცით უნიჭო, თავდაჯერებული, ამპარტავანი და თავხედი ადამიანი გამოხატავდა. ამ ერთმა სახემ ას სამეფო კომისიაზე უფრო მეტის გაკეთება შესძლო. თქვენ შეგიძლიათ შექმნათ ისეთი წესდებები, როგორიც გნებავთ, ამბობდა დიკენსი, მაგრამ, რა ყრია ამაში, თუ სინამდვილეში მათ ასეთი ბამბლი შეასხამს ხორცს. ბამბლი თითქმის ერთადერთი ასეთი ლიტერატურული მაგალითია. ჩვენ გვავიწყდება, რომ ეს წვრილი მოხელე ბიუროკრატიული სისტემის მხოლოდ ერთ ასპექტს განასახიერებს. ამიტომ ამ სახეში ხშირად საერთო წვრილმოხელეობის გამოხატულებას ვხედავთ და, როგორც კი რომელიღაც ქალაქში მუნიციპალიტეტი ქუჩების ელექტროგანათებაზე გამართავს დავას, რომელიმე მოწინააღმდეგე მას მაშინვე გააფთრებით სდებს ბრალს ბამბლერიზმში. ბამბლის მხრებს მეტად მძიმე ტვირთი დააკისრეს და გვინდა, რომ თანამედროვე რომანმა უამრავი სხვა სახეც შექმნას, რომლებიც ბამბლთან ერთად ჩადგებიან რიგში და გვიჩვენებენ ამ ურთულესი პრობლემის — ბიუროკრატიზმის სხვა მხარეებსა და თვისებებს. ბამბლი იმ სიჩლუნგისა და სისასტიკის უბადლო განსახიერებაა, რომელსაც ამჟღავნებს ის წვრილი მოხელე, თავისი მოვალეობები რომ ვერ შეუგნია. სამუშაო სახლის მმართველის თანამდებობის ყველა კანდიდატს „ოლივერ ტვისტის" მიხედვით მკაცრ გამოცდას მოვუწყობდი. მაგრამ მწერლისგან არც მხოლოდ კარიკატურებს და სატირებს მოვითხოვ. ჩვენ უნდა ვაჩვენოთ სახელმწიფოებრივი სამსახურის ყველა მხარე, ზოგჯერ მისი აბსურდულობა და მანკიერება, ისიც, თუ როგორ შეუძლია მას ადამიანის სულის დამახინჯება, როგორ ბადებს მასში პატივმოყვარეობას და, ამავე დროს, არ უნდა დავივიწყოთ მასზე დამყარებული იმედები, ნაყოფიერი შემოქმედებითი საქმიანობა და მისგან მიღებული სიამოვნება, მისი მიზანი — საზოგადოების სამსახური და მისი დიადი დანიშნულება. შეგიძლიათ თქვათ, რომ რომანს ბევრ მოთხოვნებს ვუყენებ, რომ ჩვენი რომანებისგან და მწერლებისგან არ შეიძლება ასეთ ოსტატობას, ნაწარმოების დედააზრში ასეთ ღრმა წვდომას ველოდეთ. მით უარესი ჩვენთვის. მაინც არ უარვყოფ ჩემს დებულებას, რომ ჩვენი დროის რთულ საზოგადოებრივ სისტემას ზუსტად ასეთი თვისებების მქონე რომანი სჭირდე-

[1] ბამბლი — ჩარლზ დიკენსის რომანის „ოლივერ ტვისტის" პერსონაჟი.

[2] პირველად ეს კანონი ინგლისში 1601 წელს მიიღეს და მიზნად ისახავდა ღარიბ-ღატაკთათვის დახმარების აღმოჩენას.

ბა, მხოლოდ ასეთი რომანი შეძლებს ადამიანებს შორის ურთიერთგაგების გზის გაწალდვას, ადამიანური ურთიერთობების არსის წვდომას. ცივილიზაციის წარმატებები ხომ საბოლოოდ სწორედ თანაგრძნობასა და ურთიერთგაგებას ეყრდნობა. თუ არ შეგვწევს იმის ძალა, რომ დავაინტერესოთ ერთმანეთით ხალხი, გავუჩინოთ სურვილი, რათა, დღევანდელთან შედარებით, უფრო გონივრული კავშირები შექმნან და მიუთითონ ერთმანეთს ნაკლზე; თუ არ შეიძლება მიაღწიო იმას, რომ საზოგადოებრივმა კლასებმა თავისი მოთხოვნილებების, გამოცდილების გაზიარება, ურთიერთპატივისცემა და მოკეთეობა ისწავლონ, — მაშინ ზედმეტია ლაპარაკი იმაზე, რომ ჩვენ ოდესმე დავძლევთ არსებულ წინააღმდეგობებსა და არაკომფორტულობას; ადამიანური ცხოვრების სიძნელეები კი ისევე დარჩება, როგორც ახლაა, როცა ის იმ უზარმაზარ ზვავს ჩამოჰგავს, გრგვინვით რომ მოექანება მთის კალთაზე. ჩემი აზრით, ხალხთა გაერთიანებისა და ურთიერთგაგების დიად საქმეში სწორედ რომანს უნდა შესწევდეს ბევრის ცდისა და მიღწევის უნარი.

თქვენ შეიძლება ასეთი პასუხი გაგვცეთ: გეთანხმებით და ვიღებთ მთავარ წინაპირობას, მაგრამ რადა მაინცდამაინც მარტო მხატვრულმა პროზამ უნდა ითამაშოს მთავარი როლი ამ გარდაუვალ პროცესში, რომელსაც ე. წ. მეგობრულ საწყისებზე ადამიანთა გაერთიანება ჰქვია? განა გაცილებით ეფექტურად არ გააკეთებს ამას, ვთქვათ, ბიოგრაფიული და ავტობიოგრაფიული ჟანრი? განა ჩვენ არა გვაქვს პოეზია ან, ბოლოს და ბოლოს, დრამატურგია? რაც შეეხება თეატრს, ვთვლი, რომ იგი შემოქმედების მომაჯადოებელი და ქმედითი ფორმაა, რომელიც მაყურებელს ადვილად გასაგებ და მიმზიდველ სიტუაციებს გადაუშლის. თუმცა დრამა ჩაგვაფიქრებს, ხშირად უჩვეულო დასკვნების გამოთქმის საშუალებასაც კი გვაძლევს, — ამ მეთოდს კი სრულყოფილად ფლობს მისტერ შოუ, — დრამა მაინც ცოტას აკეთებს ჩვენი ურთიერთგაგების გასაფართოებლად, ცოტას მატებს იმ წარმოდგენებს, რომელიც ჩვენ გვამოძრავებს; და თუ თეატრს განვიხილავთ როგორც უჩვეულო აზრის გამოთქმის და ფიქრის აღძვრის ხერხს, მაშინ, ჩემი აზრით, იგი საკმარისად რთულ და ძვირადღირებულ საშუალებად წარმოგვიდგება. ასეთივე წარმატებით შეგიძლიათ მოიმარჯვოთ ფანქარი და სურვილისამებრ, ყველგან, კედლებზე, წეროთ ორიგინალური გამონათქვამები. დრამა ჩვენზე ძლიერ ზემოქმედებას ახდენს, მაგრამ, ეს ჩემი აზრით, ზემოქმედების ძალზე ობიექტური მეთოდია, მას არ შეუძლია საზოგადოებაზე ნამდვილი გავლენა იქონიოს, ცივილიზაციის ამოცანა კი სწორედ იმაშია, რომ გააფართოოს ადამიანთა ინტერესების სფერო, ილვწოდეს ადამიანებს შორის ჭეშმარიტი ურთიერთგაგების დამყარებისათვის. რომანს თუ ბიოგრაფიული და ავტობიოგრაფიული ხასიათის ნაწარმოებებს შევადარებთ, მაშინ თავიდანვე უნდა ვაღიაროთ, რომ რომანი პოზიციებს თმობს. მკითხველს შეუძლია თქვას: რა საჭიროა მწერლის წარმოსახვა, ეს შეთხზული ილუზორული არსებები, გამოთქმული აზრები, ქცევები, როდესაც არსებობს წიგნები ჭეშმარიტ მოვლენებზე, ჭეშმარიტ შემთხვევებზე, რეალურ ადამიანებზე? ამაზე შეიძლება ასეთი პასუხი მიიღოთ: „დიახ, მაგრამ ეს ასე არ არის". სწორედ იმიტომ, რომ ბიოგრაფიული ნაწარმოები ნამდვილ ადამიანებსა და მოვლენებს აღწერს, იმიტომ, რომ იგი ისწრაფვის შეეხოს საკითხს, რომელსაც ჯერ კიდევ დიდხანს უწერია მკითხველის აღელვება, იმიტომ, რომ ითვალისწინებს იმათ ინტერესებს, ვინც გმირზე დიდხანს იცოცხლა, სწორედ ამ მიზეზით ასეთი ნაწარმოები ასე არადამაკმაყოფილებლად და არასარწმუნოდ გვეჩვენება. იგი სინამდვილეს ამახინჯებს და ამას ძალზე საშიში საშუალებით, მიჩქმალვით ახერხებს. აბა, დაფიქრდით, ალბათ, როგორი ძლიერი, უჩვეულო და გასაოცარი პიროვნება უნდა ყოფილიყო გლადსტონი[1] და გაიხსენეთ ლორდ მორლის „გლადსტონის ცხოვრება" — ეს ცივი და დიადი პორტრეტი: აქ სიცოცხლის სახსენებელიც კი არ არის, უფრო დაბალზამებული ნარჩენებია; არც გრძნობა, არც განცდები, არც ვნებები, ყველაფერი ეს გულდასმითაა გადაჩქმალული. ყველა ბიოგრაფიულ ნაწარმოებში არის ნეკროლოგისებური სიცივის და მოწიწების მსგავსი რამ, რაც შეეხება ავტობიოგრაფიას, თუმცა ადამიანს შეუძლია ათასნაირი გზით გვიჩვენოს საკუთარი თავი, ბოლომდე მაინც არავის არ შესწევს უნარი, გაერკვეს თავის თავში და შეიცნოს საკუთარი მე; ეს ჟანრი თუ ვინმეს მაინც ხელეწიფება, ალბათ, მხოლოდ ბუნებით ტრაბახებსა და მატყუარებს, თქვენს ჩელინისა და კაზანოვას,[2] რომლებიც თავის თავს გულწრფელი აღტაცებით უმზერენ. მეორე მხრივ, რომანისთვის უცხოა უკიდურესი შებოჭილობა და ბიოგრაფის პასუხისმგებლობა. რომანი თავისუფალი და დამოუკიდებელი ნაწარმოებია. მისი პერსონაჟები გამოგონილი და წარმოსახვითია და, ამდენად, ისინი შეიძლება ისე აღწერო, რომ არ დაფარო საკუთარი აზრი, რამდენადაც

---

[1] გლადსტონი უილიამ უარტი (1809-1898) ინგლისელი სახელმწიფო მოღვაწე.

[2] ბენვენუტო ჩელინი (1500-1571) ფლორენციელი იუველირი, სკულპტორი, მწერალი; მას სახელი მისმა მემუარებმა მოუხვეჭა.

ჯოვანი ჯაკომო კაზანოვა (1725-1798) იტალიელი ავანტიურისტი მწერალი. წერდა ფრანგულ ენაზე, მის კალამს ეკუთვნის ცნობილი მემუარები „მოგონებები".

ეროვნული ბიბლიოთეკა

თქვენ ის თავად შეთხზეთ, თქვენ იცით, რომ ისინი არაფრით არ შეუშლიან ხელს თქვენს შემოქმედებით ფანტაზიას და ასეთი პერსონაჟები გაცილებით უფრო დამაჯერებელნი არიან, ვიდრე ნამდვილი ადამიანები და მოვლენები. რომანის წარმატება და წარუმატებლება დამოკიდებულია იმაზე, ირწმუნებს თუ არა მას მკითველი ან დაეჭვდება თუ არა იგი მის ცხოვრებისეულ სიმართლეში. ხოლო ისტორიულ, ბიოგრაფიულ ნაწარმოებებში, ლურჯ წიგნებში[1] და მის მსგავს ლიტერატურაში ერთადერთი ჭეშმარიტება, რასაც მკითხველი შენიშნავს, — ეს მშრალი ფაქტებია.

ახლა თქვენ იცით ყველა მოთხოვნა, რომელსაც რომანს ვუყენებ: ის სხვადასხვა ფენის საზოგადოების შუამავალი, ურთიერთგაგების იდეის მქადაგებელი, თვითშემეცნების იარაღი და მორალის კოდექსი უნდა იყოს, იგი უნდა ემსახურებოდეს აზრთა გაცვლა-გამოცვლას, ქმნიდეს კეთილ ტრადიციებს, აკრიტიკებდეს კანონებს და ინსტიტუტებს, სოციალურ დოგმებსა და იდეებს. რომანი საშინაო სააღმსარებლოს უნდა წარმოადგენდეს, იგი უნდა განანათლებდეს; სთესდეს მარცვალს, რომლიდანაც საკუთარი თავის შეცნობის ნაყოფიერი სწრაფვა აღმოცენდება. ნება მომეცით, უფრო გასაგებად გამოვთქვა ჩემი თვალსაზრისი. სულაც არ მინდა იმის თქმა, რომ მწერალმა კალმით ხელში უნდა დაისახოს მასწავლებლის, მქადაგებლის ამოცანები, დაარიგოს ხალხი თუ რა ირწმუნონ და როგორ მოიქცნენ... მაგრამ ხელოვანთაგან მწერალი ყველაზე ძლიერი უნდა გახდეს, რადგან ეს მან უნდა გვირჩიოს, მან უნდა შექმნას სახეები, იმსჯელოს, გააანალიზოს, შთაგვაგონოს და ყოველმხრივ გააშუქოს ის, რაც ჭეშმარიტად მშვენიერია. ის კი არ ასწავლის, არამედ დაარწმუნებს, მოუწოდებს, მიუთითებს, დაამტკიცებს და ხსნის. ეს არის ჩემი შეხედულება და, აქედან, მოთხოვნაც, რომ მწერალს სრული თავისუფლება უნდა მიეცეს თემის, მოვლენების და ლიტერატურული ხერხების არჩევანში; თუ თავს ნებას მივცემ, ვილაპარაკო ყველა მწერლის სახელით, უფრო სწორი იქნებოდა მეთქვა, რომ ჩვენ მოთხოვნებს კი არ ვაყენებთ, არამედ გაცნობთ ჩვენს განზრახვებს, რომ ცხოვრების ყოველმხრივ და ნათლად საჩვენებლად ყველა ღონეს ვხმარობთ. მწერლები საზოგადოებრივი პრობლემებით, რელიგიითა და პოლიტიკით დაინტერესებას ვაპირებთ. რადგან არ შეგვიძლია შევქმნათ ადამიანთა სახეები ისე, რომ ამ თავისუფლებას, ამ განუსაზღვრელი მოქმედების არეს არ ვგრძნობდეთ. რა აზრი აქვს წერო ხალხზე, თუ დაუბრკოლებლად არ შეგიძლია განსაჯო ის რელიგიური შეხედულებები და ის წყობა, რომელსაც ან არ შეუძლია პიროვნებაზე ზეგავლენის მოხდენა, ან, პირიქით, მასზე ზემოქმედებს. რა აზრი აქვს წერო ქალის და მამაკაცის სიყვარულზე, ერთგულებაზე, ღალატზე, უთანხმოებაზე, თუ არ შეჩერდები ტემპერამენტის სხვაობაზე და ადამიანურ თვისებებზე, იმ ღრმა ვნებებზე და ტანჯვებზე, რომელიც ასე ბობოქარს ხდის ჩვენს ცხოვრებას. მწერლები ყველა ამ პრობლემას მოვკიდებთ ხელს და იმისთვის, რომ გზა გადავუღობოთ აგრესიულ რომანს, უფრო სერიოზული წინააღმდეგობა დაგვჭირდება, ვიდრე პროვინციული ბიბლიოთეკარის უკმაყოფილება და ზოგიერთი ლონდონელი გავლენიანი პიროვნების გაკილვა, ერთი გაზეთის დამცინავი ხუმრობა და მეორეს ჯიუტი დუმილია.[2] მწერლები ვაპირებთ ვწეროთ ყველაფერზე: საქმიანობაზე, ფინანსებზე, პოლიტიკაზე, უთანასწორობაზე, პრეტენზიულობაზე, ზრდილობაზე, ზრდილობის წესების დარღვევაზე მანამ, სანამ ჩვენი მხილებით ათასობით თვალთმაქცობა და გაუთავებელი სიცრუე არ აღიგვება პირისაგან მიწისა. დავწერთ გამოუყენებელ საშუალებებზე, შეუმჩნეველ სილამაზეზე და ყველაფერ ამაზე ვწერთ მანამ, სანამ ადამიანების წინ არ გადაიშლება ახალი ცხოვრებისკენ მიმავალი სხვადასხვა გზა. ჩვენ მოგმართავთ ახალგაზრდა, ცნობისმოყვარე, დაიმედებულ ადამიანებს, ვიბრძოლოთ მედიდურობის და სიფრთხილის რუტინის წინააღმდეგ; და თუ ჩვენ ამას შევძლებთ, ჩვენივე რომანის ფურცლებიდან ყოველდღიური ყოფა, ცხოვრება ალაპარაკდება.

ინგლისურიდან თარგმნა ეთერ გალიაშვილმა

[1] ლურჯი წიგნი (Blue Book) ოფიციალური დოკუმენტების, პარლამენტის სტენოგრამების და ა. შ. კრებული.

[2] იგულისხმება გაზეთები „ვესტმინსტერ გეზეტი“ და „ზე სფექტეიტორ“. ამ უკანასკნელში უელსის რომან „ენნ ვერონიკაზე“, უარყოფითი რეცენზია დაიბეჭდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვლადიმერ კორტავა

# პიროვნების მორალურ შესაძლებლობათა რეალიზაცია

ადამიანის, როგორც საზოგადოებრივი არსების ერთ-ერთი ატრიბუტია მორალი, იგი წარმოადგენს ადამიანთა ურთიერთობების იმ „ნაშთის" მმართველ საწყისს, რომელიც იურიდიული რეგულირების სფეროს გარეთ რჩება, თუმცა მისი ბუნება არ ამოიწურება ამ ობიექტური, საზოგადოებრივი ფუნქციით.

ნათქვამიდან ცხადი უნდა იყოს, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს მორალს, როგორც საზოგადოების სტაბილურობისა და განვითარების ფაქტორს. განსაკუთრებით დიდია მისი მნიშვნელობა დღეს, როდესაც სულ უფრო აქტუალური ხდება ადამიანის მოღვაწეობის საზოგადოებრივი რეგულირების საკითხი.

„დღეისათვის მორალი სულ უფრო და უფრო ხშირად განიხილება როგორც ნორმატულ-ღირებულებითი სისტემა, რომელიც სხვა მმართველ სისტემებთან ერთად სოციალისტური საზოგადოების მეცნიერული მართვის გლობალური სისტემის ქვესისტემას წარმოადგენს" (ვ. გ. აფანასიევი). საზოგადოების მეცნიერული მართვა გულისხმობს იმ კანონზომიერებათა კვლევას, რომელთაც ექვემდებარება მორალურ პოტენციათა გამოვლენა, რამდენადაც ეს უკანასკნელი ჩართულია სოციალურ და ბუნებრივ მიზეზ-შედეგობრივ ჯაჭვში, — და შეცნობილ კანონზომიერებებზე დაყრდნობით ისეთი პირობების შექმნას, რომლებიც უზრუნველყოფენ ზნეობრივ შესაძლებლობათა მაქსიმალურ გახსნას.

ასეთი გახსნისათვის საკმარისი არ არის ინდივიდუუმის მხოლოდ ინტელექტუალურ-ფსიქიკური მზადყოფნა ზნეობრივი ქცევისათვის, ე. ი. განვითარებული მორალური ცნობიერება და შესაბამისი ფსიქიკური წყობა. ნათქვამის დამაჯერებელ მხატვრულ ილუსტრაციას წარმოადგენს შექსპირის სიტყვები, რომლებსაც იგი ლედი მაკდუფს ათქმევინებს:

მაგრამ ხომ ვიცი,
რომ ამ ბიწიერ ქვეყანაში ვცხოვრობ,
ვტრიალებ,
სადაც ბოროტის მოქმედს ხშირად ქებას
უძღვნიან
და კარგის ჩამდენს დასწამებენ საშიშ
სიგიჟეს.

ინდივიდუუმის ამგვარი მორალური (ფართო აზრით) განწყობა განპირობებულია იმ წინააღმდეგობით, რომელიც არსებობს საზოგადოების მიერ სანქციონირებულ ნორმებსა და მის ცალკეულ ფენებში ფაქტიურად გაბატონებულ ღირებულებებს შორის.

პრინციპულად განსხვავებულ ხასიათს ატარებს ეს წინააღმდეგობა სოციალისტურ საზოგადოებაში. იგი გვევლინება წინააღმდეგობად, რომელიც სოციალისტური საზოგადოების მიერ აღიარებულ ნორმებსა და იდეალებს და მიკროგარემოში მათ შესაძლო დეფორმაციებს შორის არსებობს.

საზოგადოება ფორმალური თვალსაზრისით შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც მიკროგარემოთა ერთობლიობა. ასეთი განხილვა, რა თქმა უნდა, აბსტრაქციას ემყარება, მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ ადამიანი ყოველთვის გარკვეულ მიკროგარემოში მოქმედებს, თუმცა ამ „მიკრო"-ს განზომილებები ადამიანის სიცოცხლის სხვადასხვა პერიოდში არსებითად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან.

ადამიანის სოციალიზაციის პროცესი იწყება ოჯახში, რომელიც სწორედ მიკროგარემოს

ეროვნული ბიბლიოთეკა

წარმოადგენს. ადამიანის ზრდასთან ერთად მიკროკავშირების რაოდენობა იზრდება და ამასთან თვით მიკროკავშირები განიცდიან თვისობრივ ცვლილებებს.

საჭიროა გამოიყოს ორი წყარო, რომლებითაც საზრდოობს ადამიანის სოციალური (თავის მხრივ მორალის შემცველი) ბუნება. ამ ფაქტორების მოქმედება იწყება ადამიანის მიერ სხვა ადამიანებთან უმარტივესი კომუნიკაციების დამყარების მომენტიდან და გრძელდება სიცოცხლის ბოლომდე.

1. საზოგადოების შესახებ მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების ამოსავალი დებულებაა დებულება საზოგადოებრივი ყოფიერების პირველადობის შესახებ საზოგადოებრივ ცნობიერებასთან მიმართებაში. „საწარმოო ურთიერთობათა ერთობლიობა შეადგენს საზოგადოების ეკონომიკურ სტრუქტურას, რეალურ საფუძველს, რომელზედაც იურიდიული და პოლიტიკური ზედნაშენი აღიმართება და რომელსაც საზოგადოებრივი ცნობიერების განსაზღვრული ფორმები შეესაბამება" (კ. მარქსი). ეს უკანასკნელნი დიალექტიკურ კავშირში იმყოფებიან მათ განმსაზღვრელ საწყისთან და თუ საზოგადოების მორალური ცნობიერება დეტერმინირებულია მისი რეალური საფუძვლით, მეორეს მხრივ, საზოგადოების ეკონომიკური სტრუქტურა თავად გამოხატავს საზოგადოების მიერ მიღწეულ ზნეობრივი განვითარების დონეს. ეკონომიკურ ურთიერთობებში თავის კონცენტრირებულ გამოხატულებას პოულობს საზოგადოების ფაქტიური ღირებულებების სისტემა, მისი მორალური განწყობები.

ეკონომიკურ და მორალურ საწყისთა ურთიერთობის ეს ასპექტი ნათელყოფილ იქნა მარქსის მიერ ჯერ კიდევ „1844 წლის ეკონომიკურ-ფილოსოფიურ ხელნაწერებში" (ბურჟუაზიული საზოგადოების მაგალითზე:) „...პოლიტიკური ეკონომია — ეს მეცნიერება სიმდიდრის შესახებ, არის ამავე დროს მეცნიერება განდგომის, გაჭირვების, მომჭირნეობის შესახებ, და ის მართლაც მიდის იქამდე, რომ ასწავლის ადამიანს ეკონომიურად იხმაროს თვით მოთხოვნილება ჰაერისა და ფიზიკურ მოძრაობაში. ეს მეცნიერება სასწაულებრივი მრეწველობის შესახებ არის ამავე დროს მეცნიერება ასკეტიზმის შესახებ და მის ჭეშმარიტ იდეალებს წარმოადგენენ ასკეტური, მაგრამ მევახშეობით დაკავებული ძუნწი და ასკეტური, მაგრამ მწარმოებელი მონა... ამიტომ პოლიტიკური ეკონომია, მიუხედავად მთელი მისი სეკულარიზებული და გრძნობადი სახისა, სინამდვილეში არის მორალური მეცნიერება, უმორალურესი მეცნიერებათა შორის. მისი ძირითადი თეზისია — თვითგანდგომა, ცხოვრებაზე და ყველა ადამიანურ მოთხოვნილებაზე უარის თქმა".

ეკონომიკურ ურთიერთობათა ეს „მორალურობა". ცხადია, არ ნიშნავს ამ ორი განსხვავებული ფენომენის ერთმანეთში გათქვეფას. უფრო მეტიც, მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოების ეკონომიკური სტრუქტურა გარკვეულ მორალურ ინსტიტუტს წარმოადგენს, მათ შორის შეიძლება წინააღმდეგობრივი მიმართებაც არსებობდეს.

სოციალისტური საზოგადოების მორალური კანონმდებლობა ასახვას პოვებს მის ეკონომიკურ სტრუქტურაში და ამ უკანასკნელით დეტერმინირებულ იურიდიულ და პოლიტიკურ ინსტიტუტებში.

ამ ინსტიტუტებთან მუდმივ ურთიერთობაში ყალიბდება ადამიანი, მისი ინდივიდუალური ზნეობრივი ცნობიერება.

ინფორმაციას მათ შესახებ ადამიანი იღებს ცხოვრების პირველი წლებიდანვე. წლითიწლობით, და განსაკუთრებით შრომითი საქმიანობის დაწყების შემდეგ, ეს ინფორმაცია რაოდენობრივად მატულობს და განსაზღვრულ საფეხურზე ადეკვატური ხდება.

საზოგადოებრივ დადგენილებათა სისტემამ არ შეიძლება გავლენა არ იქონიოს ადამიანზე, დამოუკიდებლად მისი „თანდაყოლილი" ხასიათის თვისებებისა. მაგრამ სოციალური ინფორმაცია, თუ საკითხის გენეზურ ასპექტს განვიხილავთ, ადამიანთან უშუალოდ კი არ მიდის და შეითვისება მის მიერ, არამედ გაშუალებულია მისი უახლოესი გარემოთი — ოჯახით, სკოლით, საწარმოო კოლექტივით და ა. შ.

2. ადვილი მისახვედრია, რომ ეს ინფორმაცია, გასაგნებული საზოგადოებრივ ურთიერთობებში, შეიძლება გარკვეულად გარდაქმნილ იქნას მიკროგარემოთი შექმნილ პრიზმაში, მაშასადამე, უნდა გამოიყოს ადამიანის მორალური ფორმირების მეორე ფაქტორი, სიტუაციებისა და კოლექტივების ის ერთიანობა, რომლებშიაც ადამიანი ფუნქციონირებს.

განსაკუთრებული ხაზგასმა არ სჭირდება მიკროგარემოს როლს ადამიანის ზნეობრივი სახის ჩამოყალიბებაში. და ეს მნიშვნელობა ადეკვატურად უნდა იქნეს გათვალისწინებული დღეს, საზოგადოებრივი განვითარების ტემპების უპრეცედენტო ზრდის პირობებში, რომლებიც ერთობ სერიოზულ მოთხოვნებს უყენებენ საზოგადოების ყოველ წევრს. ამ მოთხოვნათა მოქმედების სფერო ძალზე ფართოა — ფიზიოლოგიური, ფსიქიკური და სოციალური ადაპტაციის უნარების ზრდა, ობიექტური ვითარებით გამოწვეული პროფესიული დონის მუდმივი ამაღლების აუცილებლობა, სოციალური აქტიურობა, ზნეობრივ შესაძლებლობათა სულ

ეროვნული ბიბლიოთეკა

უფრო და უფრო სრული გამოვლენა, — აი არასრული სია ამ მოთხოვნებისა.

ეს მოთხოვნები, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დეტერმინირებულია საზოგადოებრივი განვითარებით (რომელიც დღეს მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის ფონზე მიმდინარეობს), მაგრამ მათი რეალიზაციისათვის საჭირო ობიექტური და სუბიექტური პირობების შექმნას ისევ საზოგადოების განვითარების ობიექტური კანონები მოითხოვენ. ცხადია, უკვე მიღწეული მეცნიერული და ტექნიკური პოტენციალის ბაზაზე. ამ მოთხოვნების რეალიზაცია გულისხმობს მიკროგარემოთა როლის გათვალისწინებას, მართვას და კონტროლს, განხორციელებულს საზოგადოების მიერ.

კაცობრიობას ჰქონდა საშუალება მრავალ მაგალითზე დარწმუნებულიყო, რომ მეცნიერულ-ტექნიკურ რევოლუციას, რომელიც წარმოადგენს მეცნიერული და ტექნიკური რევოლუციების ერთიან პროცესად შერწყმას, მიმდინარეს მეცნიერების წინმსწრები განვითარებით, მეცნიერების წამყვან ფაქტორად გადაქცევას წარმოებისა და ტექნიკის მიმართ — ტექნიკური ძლიერების, ცხოვრების დონის ზრდასთან ერთად ბევრი გაუთვალისწინებელი და არასასურველი შედეგიც ახლავს თან.

მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის გაშლის პროცესი წინააღმდეგობრივ ხასიათს ატარებს. ერთ-ერთი ამ წინააღმდეგობათაგანია მატერიალური კომფორტის ფონზე ადამიანთა ფსიქიკური დაძაბულობის ზრდა. ჩქარი ტემპებით მიმდინარე ცხოვრების განსაზოგადოებრიობის პირობებში მიკროსოციალური კავშირების რღვევა, ადამიანთა შორის ურთიერთობებში ახალი პრობლემების წარმოება. ამის ნათელი მაგალითია ე. წ. „აბის ფსიქოზი", გამოწვეული ზემოთნახსენები ფსიქიკური დისკომფორტით, რომელიც თავის გამოხატულებას პოვებს ადაპტაციის, შრომისუნარიანობის და სოციალური აქტივობის დაქვეითებაში, ან, პირიქით, არაადეკვატურ სოციალურ აქტივობაში.

საზოგადოებრივი მოღვაწეები, მეცნიერები, კერძოდ მედიკოსები, ეხებიან რა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის არასასურველ შედეგებს, ეკოლოგიური ბალანსის დარღვევასა და ადამიანის სასიცოცხლო გარემოს გამოფიტვის ნიშნებთან ერთად ასახელებენ ადამიანის „ენერგეტიკული ბალანსის" დარღვევასაც და ხშირად მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის საუკუნეს „ნევროზების საუკუნეს" უწოდებენ.

ამაზე ხშირად მიუთითებენ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დასავლეთელი მოწინააღმდეგეები და უნდა აღინიშნოს, რომ სტატისტიკა როგორც დასავლეთში, ასევე ჩვენშიც, არც თუ ისე იშვიათად, ამაგრებს მათ პოზიციას. მაგრამ ფაქტების კონსტატაციის იქით ჩვენ მათთან ვერ ვნახავთ სახეზე მყოფი და კაცობრიობისათვის სახიფათო მოვლენების გადალახვის, მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის წარმართვის, მისი ყველა შედეგის განჭვრეტისა და მაქსიმალური გათვალისწინების რაიმე კონკრეტულ პროგრამას.

ფაქტებმა, რომლებზედაც ჩვენ ვლაპარაკობთ, დღის წესრიგში დააყენეს საკითხი მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის, (რომელიც დღეს საზოგადოებრივი განვითარების ატრიბუტს წარმოადგენს) გლობალური მართვის შესახებ.

შესაძლებელია თუ არა ასეთი მართვა? დასავლეთის მეცნიერები, მიუხედავად იმისა, რომ დღეს მათთან გასავალი აქვს ე. წ. „მანიპულირების" თეორიებს, რომლებიც გულისხმობენ საზოგადოებრივი განვითარების ნაწილობრივი მართვის შესაძლებლობას, პრინციპში უარყოფით პასუხს იძლევიან ამ კითხვაზე. „საზოგადოებრივი განვითარება, მათი აზრით, საერთოდ არ შეიძლება გეგმაზომიერი იყოს. იგი წარიმართება „უხილავი ხელით", როგორც ადამ სმიტი ამბობდა. სოციალური პროცესების წარმმართველი უხილავი ხელის მოშველიება გამოხატავდა კაპიტალისტური მეურნეობის სტიქიური რეგულირების რწმენას. ასეთი რეგულირება მართლაც იყო შესაძლებელი ასი წლის წინათ, თუმცა კი წარმოშობდა ეკონომიკურ კრიზისებს და სხვა კატაკლიზმებს. კაპიტალისტური მეურნეობის თანამედროვე ტემპები და მეთოდები აჩქარებენ ბუნებრივი რესურსების გამოფიტვის, ეკოლოგიური ბალანსის რღვევის, ბიოსფეროს დანაგვიანების პროცესებს, რაც საფრთხეს უქმნის კაცობრიობას. ამ საფრთხის თავიდან აცილება შეიძლება მხოლოდ მთელი სამეურნეო მოღვაწეობის გონიერი ორგანიზაციით, საზოგადოებრივი განვითარების მიზანდასახული მართვით" (ჯ. მ. გვიშიანი).

საზოგადოებრივი განვითარების მართვა მოიცავს არა მარტო საწარმოო, არამედ „წარმოების მიღმა" (მარქსი) ადამიანის მოღვაწეობასაც, რამდენადაც ეს უკანასკნელი სერიოზულ გავლენას ახდენს პირველზე, — და საწარმოო კოლექტივის იმ ურთიერთობებს, რომლებიც უშუალოდ არ არიან დაკავშირებული საწარმოო საქმიანობასთან.

მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს ამ ფაქტორების როლის ნათელსაყოფად. ისინი მიგვითითებენ აგრეთვე ადამიანის ზნეობრივი პოტენციების გამოვლენის ხელის შემწყობ თუ ხელის შემშლელ პირობებზეც.

„ადამიანური ურთიერთობების" გახმაურებული თეორიის შემქმნელი მაიო 1922-1932 წლებში კომპანია „ვესტერნ ელექტრიკის" საწარმოებში იკვლევდა განათების გავლენას შრომის ნაყოფიერებაზე. როგორც გამოირკვა, ეს მუშებმა ადმინისტრაციის მხრიდან ყურადღებად ჩათვალეს და ეს ფაქტი შრომის ნაყოფიერების

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზრდის მიზეზი გახდა. მაიო მივიდა დასკვნამდე, რომ საჭიროა საწარმოებში შეიქმნას ისეთი სოციალურ-ფსიქოლოგიური ატმოსფერო, რომელიც ხელს შეუწყობდა შრომის მაქსიმალურ ნაყოფიერებას მუშებისა და ადმინისტრაციის სულიერი ერთობის წარმოდგენის საშუალებით.

საბჭოთა მეცნიერი ბელიაევი, რომელსაც ჩვენ ეს მაგალითი დავესესხეთ, ამბობს: „მათი ამოცანაა, ერთის მხრივ, მოაშორონ მუშები თავიანთი უფლებებისათვის ბრძოლას, მეორეს მხრივ, გაზარდონ საწარმოთა მფლობელების შემოსავალი. მიუხედავად ამისა, საწარმოების მუშებისა და ადმინისტრაციების ურთიერთობათა გარეგნული მხარეები და ფორმები გარკვეულ ყურადღებას იმსახურებენ“. იგი აღნიშნავს აგრეთვე, რომ ბოლო წლებში საწარმოო კონფლიქტებით გამოწვეული ნევროზები ადგილს უთმობენ ნევროზებს, დაკავშირებულს პირად ცხოვრებასთან. „მიუხედავად ამისა, წარმოებაში კოლექტივის წევრთა შორის, ხელმძღვანელთა და ხელქვეითთა შორის ურთიერთობის არასწორი ფორმებით გამოწვეულ ფსიქიკურ ტრავმებთან ბრძოლის ამოცანა შორსაა გადაწყვეტისაგან. ეს ამოცანა ძალზე რთული და მრავალწახნაგოვანია. მისი გადაწყვეტა შორს სცილდება მედიცინის ფარგლებს“. რა თქმა უნდა, ადამიანურ ურთიერთობათა პრობლემა არ შეიძლება გადაიჭრას ერთი რომელიმე მეცნიერების საშუალებებით.

ვერავითარი მედიცინა ვერ უზრუნველყოფს ადამიანთა საზოგადოებაში სტენიური ემოციების (ამხანაგობის გრძნობა, აქტიურობა, შემოქმედებითი აღმავლობა, მიღებული შედეგებით კმაყოფილების განცდა და ა. შ.) ასტენიურზე (ბოღმა, წყენა, შიში, ძრწოლვა, სასოწარკვეთილება და ა. შ.) სისტემატურ სიჭარბეს. ეს ადამიანის, როგორც გვარის, გლობალური ამოცანაა და, ბუნებრივია, ის არ შეიძლება გადაიჭრას ცალკეული, თუნდაც ძალზე რადიკალური მეცნიერული მიღწევების ხარჯზე.

ამერიკელი მწერალი პოლ დე კრუი, რომელსაც საბჭოთა მკითხველი ჯერ კიდევ 20-იან წლებში გაეცნო და რომელსაც სინკლერ ლუისმა თავისი რომანი „ეროუ სმიტი“ მიუძღვნა, შეეცადა დაედგინა ადამიანზე, მის მორალურ ქცევაზე მეცნიერული და წმინდა ადამიანური ფაქტორების ზემოქმედების საზღვრები. იგი ცდილობს ამ პრობლემის გაშუქებას ერთი ამერიკელი ფსიქიატრის ცხოვრების ისტორიით („სიგიჟესთან მებრძოლი კაცი“, თარგმანი ფილიპე ბერიძისა). ეს ნიჭიერი და ენერგიული ადამიანი (რომანის გმირი) ვერ უძლებს რა თავისი სამსახურებრივი მოვალეობებით გამოწვეულ დატვირთვებს, მიმართავს ნარკოტიკებს (ბარბიტურატებს). მათ ხანგრძლივ ხმარებას იგი სულით დაავადებულთა სახლში მიჰყავს.

მწერალი ასე აღგვიწერს თავისი გმირის არანორმალურ მდგომარეობას, მდგომარეობას, რომელშიაც ადამიანი ერთი შეხედვით მიუწვდომელი ხდება ზემოქმედების წმინდა ადამიანური, საუკუნეებით გამოცდილი მეთოდებისათვის: „ეს მძაფრი ბარბიტურატული ფსიქოზი კი არა, მწვავე მელანქოლია გახლდა. ჯეკი ბუნდოვნად გრძნობდა, რომ მთელი მისი ცხოვრება, მჩქეფარე ენერგია ქრებოდა და არარაობად იქცეოდა, თუმცა შინაგანი ძალა მაინც ყოფნიდა ბოროტებისა და აგრესიულობისათვის“.

აქ ყურადღება უნდა გამახვილდეს მორალური, შემაკავებელი ინსტანციის ნგრევაზე. და თუ შესაძლებელი გახდა ამ ინსტანციის აღდგენა ექიმებისა და სამედიცინო პერსონალის მეცადინეობით, — მწერალი ამის მიზეზს ხედავს ადამიანის მუდმივმოქმედ უნარში მოახდინოს ისეთი ფენომენების აპერცეფცია, როგორიცაა სიყვარული და გულისხმიერება. იგი გვეუბნება (N. B. მწერლის პოზიციას ამაგრებს მდიდარი საყოფაცხოვრებო და კლინიკური მასალა). „შევაერთოთ ეს ცნებები ოთხასოიან სიტყვაში „Love“ (სიყვარული“) და მივიღებთ ახალ წამალს. სამედიცინო ლექსიკონში ყურადღებით დავაკვირდი ასო L-ს და სიტყვა „Lovade“-ს მივადექი. მას ასე განსაზღვრავდნენ: ქოლგოსანი მცენარის ფესვი, მენსტრუაციის ხელშემწყობი ექსტრატი, მუცლის ბერვის საწინააღმდეგო საშუალება, მაგრამ დოლენდის სამედიცინო ლექსიკონში სიტყვა „Love“ „ვერ ვიპოვე...“

ჩვენ არ ვიცით, რამდენად ეფექტურია სიყვარული, როგორც სამედიცინო საშუალება (როგორც პათოლოგიაში, ასევე ნორმის ფარგლებში), მაგრამ ეჭვს გარეშეა, რომ ის არსებითი პარამეტრია ადამიანთაშორისი ურთიერთობებისა და ამდენად მისი იგნორირება ტოლფასი იქნებოდა ადამიანთა ქცევის რეგულირების ერთ-ერთი მამოძრავებელი ბერკეტის გამოუყენებლობისა.

ეს გარემოება კარგად ჰქონდათ შეგნებული ბურჟუაზიული სამყაროს იმ მეცნიერებს, რომლებიც ხშირად სარგებლობდნენ სიტყვა „სიყვარულის“ არაერთმნიშვნელობით. ასე მაგალითად, ფროიდი თავის ყოფილ მოწაფე ადლერთან პოლემიკაში იყენებს ასეთ „Argumentum ad hominem“: „ცხოვრების სურათი, რომელიც ადლერის სისტემიდან გამოიკვეთება, მთლიანად აგრესიულ ლტოლვაზეა დაფუძნებული და სიყვარულისათვის ადგილს არ ტოვებს. მე მიკვირს, თუ როგორ გახდა ამდენად პირქუში მოძღვრება ყურადღების საგანი“.

ფროიდის მეორე მოწაფე, კარლ გუსტავ იუ-

ნგი ცდილობდა დაედგინა სოციალური და ვიწროპიროვნული ფაქტორების ურთიერთმოქმედების კანონზომიერებები. „იუნგი ამტკიცებდა, რომ თანამედროვე ადამიანი თავისი სულის უშედეგო ძიებაში დაიბნა მორალურადაც და გონებრივადაც“.

მწერალი დაინტერესდა ამ ცნების მეცნიერული სტატუსით და კვლავ სამედიცინო ლექსიკონს მიმართა: „Soul“ — სული. აი, „Souffle“-იც, რომელიც იმ სუსტ შრიალს აღნიშნავს, სტეტოსკოპიდან რომ ისმის. ესეც „Soulal“, ურთულესი ფორმა მუნისა, არაბული ქვეყნების ულატაკეს მოსახლეობას რომ სჭირს. „Soul“ — კი სამედიცინო ლექსიკონში ვერ ვიპოვე.

აგრეთვე არ არსებობს ადეკვატური მეცნიერული დეფინიცია ცნებისა „რწმენა“, ავტორი კმაყოფილდება ლოგიკურად არაკორექტული, მაგრამ საქმის არსამდე უშუალოდ მისული განმარტებით: „რწმენა არის ჩვენი იმედის დედაარსი, ცხადი სურათი იმისა, რის დანახვაც არ ძალგვიძს“.

დასავლეთის სოციალურ პრაქტიკაში ცდილობენ მთელი სისრულით გაითვალისწინონ „ადამიანური ფაქტორი“. ამ ცდების გროტესკული გამოხატულება მოგვცა რეი ბრედბერიმ ფანტასტიკურ რომანში „451 ფარენგეიტით“, სადაც აღწერილია მომავლის შესაძლებელი საზოგადოება. სატელევიზიო გადაცემები ისეა დაგეგმილი, რომ ერთი და იგივე გადაცემებში დიქტორები ან მოქმედი გმირები ყოველ შესაძლებელ შემთხვევაში მაყურებელს მიმართავენ საკუთარი სახელით; გათვალისწინებულია მისი ასაკი, სქესი, ოჯახური მდგომარეობა, მიდრეკილებები და ა. შ.

ადამიანთა სოლიდარობის ხელოვნური სტიმულირების ცდები დამახასიათებელია თანამედროვე დასავლეთისათვის. ისინი გარკვეულ შედეგებს აღწევენ, მაგრამ ძნელია მოსპო ასეთი სოლიდარობის სიყალბის განცდა.

სულ სხვა ვითარებაა რეალური სულიერი ერთიანობის პირობებში. ასეთ პირობებს ხშირად ქმნიან დიდი ისტორიული მოძრაობები. კ. მარქსი ასე ახასიათებს კომუნისდროინდელი პარიზის მოსახლეობის მორალურ-სოციალურ პოლიტიკას: „სასწაულს ჰგავდა ის ცვლილება, რომელიც კომუნამ პარიზში მოახდინა! მეორე იმპერიის მეძავი პარიზი უკვალოდ გაჰქრა. პირველად 1848 წლის თებერვლის შემდეგ პარიზის ქუჩები უშიშარი შეიქნა და ამისათვის საჭირო არ ყოფილა არავითარი პოლიცია... მშრომელმა, ჭრილობებით დაფარულმა პარიზმა, განათლებულმა თავისი ისტორიული თაოსნობის შეგნებით, ახალი საზოგადოების მზადებაში თითქმის დაივიწყა ის კაცისმჭამელები, რომელნიც მის კარიბჭეებთან იდგნენ და ენთუზიაზმით მიეცა ახალი საზოგადოების აგებას“.

პიროვნებათშორისი ურთიერთობების მეორე პარამეტრად აქ წარმოგვიდგება ნდობა, დაფუძნებული სოციალურ პრაქტიკაზე. ორივე პარამეტრის გათვალისწინება აუცილებელია საზოგადოების, ადამიანის ოპტიმალური მართვისათვის. „ვმართოთ ადამიანი — ეს ნიშნავს აგრეთვე მაქსიმალურად ხელსაყრელი პირობების (უპირველეს ყოვლისა სამუშაოზე, აგრეთვე საყოფაცხოვრებო პირობების) შექმნას სოციალური ფუნქციის საუკეთესოდ შესრულების მიზნით, საზოგადოებისა და კოლექტივის ინტერესების შესატყვისი ქცევის უზრუნველყოფისათვის“ — (ვ. გ. აფანასიევი).

ასეთ ხელსაყრელ პირობათა რიცხვს მიეკუთვნება კოლექტივის გარკვეული მორალურ-ფსიქოლოგიური მდგომარეობა, ასე ვთქვათ, წინასწარი კეთილი განწყობა კოლექტივის წევრებისა ერთმანეთის მიმართ.

კოლექტივები, სადაც ჰარობს აგრესიულობა, — ვერ უზრუნველყოფენ შრომის მაქსიმალურ ნაყოფიერებას, კოლექტივის წევრთა სულიერ სიმშვიდეს, კონტროლის საშუალებათა მიზანდასახულ გაუქმებას. საწარმოო სტრესებს ემატება ურთიერთობების მიუღებელი ფორმებით გამოწვეული უარყოფითი ემოციური ფაქტორები და ხშირად პირველი პროვოცირებულია ხოლმე ამ უკანასკნელით.

ჩვენ არ გავჩერდებით სპეციალურ რეკომენდაციებზე. დასმული პრობლემების გადასაჭრელი ზოგიერთი რეკომენდაციის შემუშავება უდავოდ შესაძლებელია საკითხის ფილოსოფიური კვლევის ფარგლებშიც. აქ ჩვენ შემოვისაზღვრებით იმ პირობებზე მითითებით, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდნენ მსგავსი რეკომენდაციები.

ისინი მიმართული უნდა იყვნენ: 1. ისეთი მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის შექმნისაკენ, რომელიც უზრუნველყოფს დადებითი ემოციური განწყობით თანხლებულ ადეკვატურ საწარმოო-სოციალურ აქტივობას და ამავე დროს, 2. ზნეობრივი შესაძლებლობების მაქსიმალური გახსნისაკენ. ისინი სრულად უნდა ითვალისწინებდნენ (ეს შეიძლება ჩაითვალოს მესამე პირობად) თანამედროვე მედიცინის (ფსიქიატრია, ფსიქოპათოლოგია), ფსიქოლოგიის (შრომის ფსიქოლოგია, სოციალური ფსიქოლოგია), სოციოლოგიის მიღწევებს.

მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის სვლა გვიჩვენებს, რომ საზოგადოების მართვის პრობლემების გადაჭრისას დაუშვებელია ინტუიციითა და ადრე ცნობილი მეთოდების მარტივი მოდიფიკაციებით შემოსაზღვრა. საზოგადოებრივი მეცნიერებების წინ აქ იშლება ახალი პერსპექტივები და ამავე დროს დგება ახალ პრობლემათა რიგი. „მეცნიერების გარდაქმნა უშუალო საწარმოო ძალად საზოგადოებრივი მეცნიერებებისათვის მანიშნებელია იმისა, რომ მათ უმნიშვნელოვანეს ამოცანად იქცევა არა მარტო მსოფლმხედველობის ჩამოყალიბება... არამედ მატერიალური წარმოებისა და სოციალური პროცესების მართვაც და საზოგადოებრივ ურთიერთობათა სრულყოფაში უშუალო მონაწილეობაც“ (ჯ. მ. გვიშიანი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ერის საზრისის საკითხები ოციან წლებში

მეცხრამეტე-მეოცე საუკუნე მასობრივ მოძრაობათა, სოციალურ ძვრათა და გადატრიალებათა სიმრავლით ხასიათდება. არენაზე გამოდიან ახალი ძალები და ახალ მიმართულებას აძლევენ ისტორიულ პროცესს, შესაბამისად, ტრანსფორმირდება სოციალურ ცვლილებათა ამსახველი ცნობიერებაც. განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს სოციალურ ერთობათა არსისა და დანიშნულების გარკვევა, იქმნება მასების თეორიული განაზრებანი ორი საპირისპირო მიმართულებით: ერთი მხრივ მასების მოძრაობათა დამაკნინებელი ცნებების და კატეგორიების მოაზრებით, რომელთა სათავეში ექცევა ბრბოს ცნება ყველა იმ უარყოფითი ნიშნით, რაც შეიძლება მიეწეროს მასობრივ მოძრაობებს. აზროვნების ამ მიმართულებით წარმართვაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს ტოკვილმა, ლებონმა, ნიცშემ, სიგელემ, ტარდმა, ედგარ და ბრუნო ბაუერებმა და სხვამ. მეოცე საუკუნეში ამ ტრადიციას აგრძელებენ ორტეგა გასეტი და მასთან ახლო მყოფი მოაზროვნეები. მეორე მხრივ მარქსიზმი და მასთან დაკავშირებული თეორიები პოზიტიურად გაიაზრებენ მასების სოციალურ აქტივობას, მათ გადამწყვეტ როლს სოციალურ ცვლილებებში, უპირისპირდებიან არაკრიტიკული ბრბოს და კრიტიკული თვითცნობიერების თეორიებს. სოციალური მოძრაობის და ცნობიერების შემობრუნების პროცესში ტრადიციული ფილოსოფიური გააზრებანი შინაარსს იცვლიან. ისტორიის ფილოსოფიურ თეორიათა გვერდით საფუძველი ეყრება სოციალურ ანთროპოლოგიურ ძიებებს, ასევე სოციალურ ფსიქოლოგიას, თავდაპირველად მასების თუ ხალხების ფსიქოლოგიად წოდებულს, ყალიბდება ადამიანის გაუცხოებისა, მისი არსებისა და არსებობის შეუსაბამობის თეორია, მკვიდრდება სოციალური მოძრაობის ფილოსოფიურ განაზრებათა სხვადასხვა ნაკადი, განსაკუთრებულ სიმწვავეს იძენს სოციალურ ერთობათა ყოფიერებისა და დანიშნულების საკითხები, ეს ეხება როგორც კლასებს, ასევე ერებსა და ხალხებს მათ მიმართებაში კაცობრიობასთან. ლოკალურ ისტორიათა მსოფლიო ისტორიად გარდაქმნის კვალობაზე პრობლემურ სიტუაციათა განაზრებაში მსოფლიო ისტორიის ერთიანობის გაცნობიერებით ისმის კითხვა, რატომ და რისთვის არსებობს კაცობრიობა? როგორია მისი მოძრაობის მიმართულება? რაშია კაცობრიობის ყოფიერების საზრისი? ამ საკითხის გარკვევა მოითხოვდა სოციალურ ერთობათა ისეთი ფორმების, როგორიცაა კლასები და ერები, ღირებულებისა და დანიშნულების გარკვევას. შეიქმნა სოციალურ ერთობათა, მასებისა და კაცობრიობის დანიშნულებისა და ყოფიერებაში მათი როლის განმსაზღვრელი თეორიები. ყოფიერებისა და ცნობიერების ყოვლისმომცველ მოძრაობას, ბუნებრივია, ასახვა უნდა ეპოვა ერების გააზრებაშიც. ეროვნული ცნობიერება კითხვას სვამდა კაცობრიობის გვერდით საკუთარი ერის დანიშნულებასა და ხასიათზე. ეროვნულ მოძრაობათა მომძლავრების და არნახული გაქანების ვითარებაში აუცილებელი გახდა ერებისა და ხალხების ხასიათის, ეროვნული ტიპების, კულტურაში ამა თუ იმ ერის წვლილისა და დანიშნულების, თუ მისიის გარკვევა. ყველაფერი ეს აისახა ქართულ სინამდვილეშიც. ეს ბუნებრივია, რადგან ის ერთიანი კულტურის ორგანული შემადგენელი ნაწილია. ქართული ეროვნული მოძრაობის მესვეურებმა არა მარტო ამ სოციალური მოძრაობის მოთავეობა იკისრეს, არამედ მისი გაცნობიერებაც, ე. ი. იმის გარკვევა, ვინა ვართ, რისთვის მოვსულვართ ამ სამყაროში და რა აგური მიგვიტანია კულტურის ნაგებობასთან. დაისვა საკითხი „ერისა და ისტორიის", „ერისა და კაცობრიობის", „ერისა და კულტურის" მიმართების შესახებ. ისე როგორც ეროვნულ მოძრაობას, ეროვნულ ცნობიერებასაც ილია ჭავჭავაძე წარმართავდა. სწორედ მან დასვა ერის ყოფიერების და საზრისის, მისი დანიშნულების პრობლემები და დასვა ისე ნათლად და საფუძვლიანად, რომ ამ პრობლემათა თანამედროვე განაზრებანი იმეორებენ იმ პრინციპებს, რომელნიც ილიამ საუკუნის წინ წამოაყენა. ავიღოთ ერთი კონკრეტული ნიმუში, თანამედროვე ანთროპოლოგიური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი მარტინ ბუბერი,

როდესაც ახასიათებდა გაუცხოებულ, გაარაადამიანურებულ სამყაროს და უპირისპირებდა მას წარსულს, აღნიშნავდა, რომ ისინი ერთმანეთისაგან განსხვავდებიან, როგორც **Behaustheit** და **Iauslosigkeit** ეპოქები, თუ წარსულში ადამიანი სამყაროში ისე გრძნობს თავს, როგორც საკუთარ სახლში, აწმყოში ის ემსგავსება ველზე მდგომ უსახლკაროს. მის წინაშე ისმის კითხვა: ვინ არის, რისთვის არის ამ სამყაროში? მაგრამ ამ კითხვაზე მას პასუხი არ გააჩნია, რადგან არა აქვს მეობა. ილია ჭავჭავაძე ამას საუკუნის წინ ამტკიცებდა მთელი ხალხების მიმართ, აფიქსირებდა რა მათ კრიზისულ ვითარებას და იმ გარემოებას, რომ მათ კრიზისის ცნობიერებაც არა აქვთ. „ამისთანა ხალხი უბინაო კაცსა ჰგავს, რომელმაც არ იცის ვინ არის, საიდამ მოდის“ (ერი და ისტორია, ილია ჭავჭავაძის რჩეული ნაწარმოებები ხუთ ტომად, ტ. 4, თბილისი 1987, გვ. 165), ილია მოითხოვდა დავფიქრებულიყავით ჩვენი ერის ყოფიერებაზე, აგვეხსნა როგორ შევძელით გაგვეძლო ისტორიის ქარტეხილებისათვის, გაგვეგო დღევანდელი ვითარება, რათა დაგვესახა ხვალის სამოქმედო გეგმა, ის გვსაყვედურობდა იმის გამო, რომ „არ ვიცით — რანი ვყოფილვართ, არ ვხედავთ რანი ვართ, ვერ გაგვიგია — რანი ვიქნებით“. (რა გითხრათ? რით გაგახაროთ? ილია ჭავჭავაძე, ტ. 4, გვ. 175). ილია აცნობიერებდა იმ დიდ საფრთხეს, რომელიც ერს მოელოდა, თანაც ხედავდა, რომ ეს საფრთხე არატრადიციული იყო, ტრადიციულად მტერი მოდიოდა ცეცხლით და მახვილით და ერი იარაღს იარაღით უპირისპირდებოდა. „რა გადაგვხდენია თავზე, რა მტრები არ შემოგვსევია, რა ვაი-ვაგლახი, რა სისხლისა ღვრა, რა ღრეჭა კბილთა არ გამოგვივლია, რა წისქვილის ქვა არ დატრიალებულა ჩვენს თავზედ და ყველას გავუძელით“ (იქვე, გვ. 174) გავუძელით იმიტომ რომ „ვიცოდით იმ დროს რა უნდოდა“. დღეს კი ეს ცოდნა არ არის, არ ვიცით დღევანდელ ეპოქაში როგორ მოვიქცეთ, რა ვაკეთოთ. ვითარება შეიცვალა, ხმლით და იარაღით მოსეული შეცვალა ცოდნით და ხერხით მოსეულმა. „ხმლით მოსეულმა ვერა დაგვაკლო რა — შრომით და გარჯით, ცოდნით და ხერხით მოსეული კი თან გაგვიტანს, ფეხქვეშიდამ მიწას გამოგვაცლის, ხალხს გაგვიქრობს, გაგვიწყვეტს, სახსენებელი ქართველისა ამოიკვეთება და ჩვენს მშვენიერ ქვეყანას, როგორც უპატრონო საყდარს, სხვები დაეპატრონებიან“ (იქვე, გვ. 176) კრიზისული სიტუაცია წარმოშობს კრიზისულ განაზრებებს, ილიას განაზრებანი სწორედ კრიზისულ სიტუაციაზე პასუხი იყო. ის საყვედურობს ერს იმის გამო, რომ არაფრის გაგონება არ სურს, არ უნდა გააცნობიეროს კრიზისული სიტუაცია და ძველებურად უდარდელად ცდილობს დროის მოკვლას. „არც არაფერს ვხედავთ და არც არაფერი გვესმის, უზარმაზარი თხრილია ჩვენ, ქართველების წინ და აინუნშიც არ მოგვდის. ამ თხრილის პირას ვდგავართ და საკმაო ხელი გვკრან და შიგ გადავიჩეხებით დღ[illegible]ნად“ (იქვე, გვ. 177).

ისტორიის ფილოსოფიური განაზრებანი განსაკუთრებულ აქტუალობას იძენს კრიზისულ სიტუაციებში. ასე იყო ეს ქართველი ერის ყოფიერებაშიც. კრიზისულმა სიტუაციამ დაბადა ერის ყოფიერებისა და დანიშნულების, მისი საზრისის გააზრების აუცილებლობა. კრიზისის ცნობიერება და სამოქმედო პროგრამა დასახა ილიამ. ამიტომ გახდა ის ერის ყოფიერებისა და დანიშნულების გამააზრებელი, ეს მემკვიდრეობით გადაეცა შემდეგ თაობებს. ყოველი მათგანი სვამდა ილიას მიერ დასმულ კითხვას, როგორია ჩვენი ვითარება, რა უნდა ვაკეთოთ და რისთვის ვაკეთოთ? ამ კითხვების სისტემურ-თეორიული განაზრების ცდა იყო მიხაკო წერეთლის „ერი და კაცობრიობა“. სამწუხაროდ, უკვე რამდენიმე თაობა ისე მიდის სამოღვაწეო ასპარეზიდან, რომ ეს წიგნი არ უნახავს და ბუნებრივია არ იცნობს იმ პრობლემატიკას, რომელიც მასშია დასმული. ერის ყოფიერების და დანიშნულების გარკვევა იყო არჩილ ჯორჯაძის ნააზრევი, მისგან ამოდიოდა დიმიტრი უზნაძე ერის ყოფიერების საზრისის ძიებაში, როცა არკვევდა ერისა და კულტურის მიმართებას, ამ საკითხის გადაწყვეტაში მან გამოავლინა ახალი ნაკადი, როცა ერის დანიშნულება დაინახა კულტურის შენებაში.

ყოფიერების საზრისისა და დანიშნულების გარკვევა არა მარტო კრიზისული სიტუაციის შედეგია, არამედ კრიტიკული ცნობიერებისაც. ამ უკანასკნელის გარეშე დოგმატური წანამძღვრებიდან ამოსვლით არც იმის გაცნობიერება იქნება, რომ ერს გამოფხიზლება სჭირდება, რომ მას არა აქვს მოძრაობის იმპულსი და მიმართულება და ვერც სწორ ორიენტირს მოვუნახავთ ერს. ალბათ ყველაზე უბედურია ერი, რომელსაც არა აქვს კრიტიკული ცნობიერება თვითკმაყოფილებისა და უზრუნველობის ვითარებაში. თავისთავით კმაყოფილი კულტურა შემოქმედების იმპულსს მოკლებულია და განწირულია დასაღუპავად, რადგან მას არა აქვს მოძრაობის სტიმული, ამ მხრივაც ილია იყო პირველი, ვინც არა მარტო მოძრაობის და მიმართულების აუცილებლობა გააცნობიერა, არამედ ერის საქმიანობას და მოღვაწეობას კრიტიკული შეფასება მისცა. ის რაც დოსტოევსკიმ და ნიცშემ გააკეთეს რუსი და გერმანელი ერების მიმართ, ილიამ გააკეთა ქართველებისათვის. მან გამოამზეურა ჩვენი ერის წყლულები და გააკრიტიკა ერის მთვლემარე ცნობიერება.

ყველაზე ნიშანდობლივი ამ მხრივ არის „რა ვაკეთეთ? რას ვშვრებოდით?“ და „ბედნიერი ერი“. ილიას მიერ შთაგონებულმა ერის შემომქმედი ინტელიგენციის წარმომადგენლებმა გააგრძელეს ეს ტრადიცია და ქმედითად შეუტიეს ყოფიერების მატერიალურ განზომილებამდე დაყვანას, კარიერიზმსა და ფარისევლობას, და-

ლატსა და მუხანათობას. იმდენად ძლიერად შეუტიეს, რომ ილიას პოზიციაც არ აკმაყოფილებდათ. ამ მხრივ ყველაზე რადიკალური იყო არჩილ ჯორჯაძე. ამ ნიადაგზე აღმოცენდა საუკუნის დასაწყისში ნიჰილიზმის ზღვარამდე მისული კაპანელის მსოფლმხედველობა, რომელშიც განმხაზღვრელია ქართული ტიპის, ქართველი ქალის, ქართული სულის და ქართული სინამდვილის დახასიათება. ამ ნიადაგზე აღმოცენდა რობაქიძისა და დანელიას კრიტიკული განაზრებანი ქართული სინამდვილის მიმართ. ამ კრიტიკული ცნობიერების ერთ-ერთი ფორმა აღმოჩნდა ნიკოლო მიწიშვილის წერილები თურქეთიდან, რომელიც საქართველოში დაბრუნების შემდეგ გამოქვეყნდა ჟურნალში „ქართული მწერლობა“ 1926 წლის მეოთხე-მეხუთე ნომრებში სათაურით „ფიქრები საქართველოზე“. გაიმართა დისკუსია. სადისკუსიო წერილები დაიბეჭდა „ქართული მწერლობის“ 1927 წლის მეშვიდე ნომერში. ავტორები იყვნენ გრიგოლ რობაქიძე, ხეით დევდარიანი, სიმონ ჩიქოვანი, ბენო გორდეზიანი. აქვე დაიბეჭდა ნიკოლო მიწიშვილის „ჩემი პასუხი“.

ამ მასალების ხელახლა გამოქვეყნებით მიზნად ვისახავთ ვაჩვენოთ როგორ ესახებოდათ ერის ყოფიერებისა და საზრისის საკითხები ოციან წლებში, რა პოზიციები ჰქონდათ ამ საკითხების მიმართ. უნდა აღინიშნოს, რომ აქ ყველა პოზიცია არ არის მოცემული და მაინც ეს ერთი ნიმუშიც საინტერესო სურათს ქმნის თავისუფალი დისკუსიის, ოპონენტთა ურთიერთპატივისცემის და განსხვავებული პოზიციების მიუხედავად, ერთი საყოველთაო მიზნის, ქართველი ერის სიკეთის სამსახურისას, განსაკუთრებული ინტერესის საგანია გრიგოლ რობაქიძის პოზიცია, რომელიც მისი მსოფლმხედველობის და ქართველი ერისადმი სიყვარულის მკაფიო სურათია. დღეს ამის გამომზეურება სჭირდება როგორც ქართველ ერს, ისე გრიგოლ რობაქიძეს.

ედუარდ კოდუა.

## ნიკოლოზ მიწიშვილი

# ფიქრები საქართველოზე

„ეს წერილი გამოეგზავნა „ცისფერ ყანწებს“ ნ. მიწიშვილის მიერ სტამბოლიდან 1922 წლის 30 აგვისტოს. ვინაიდან მასში აღძრულია ბევრი საინტერესო საკითხი — რედაქცია აქვეყნებს მას ავტორის თანხმობით. „ქართული მწერლობის“ შემდეგ ნომერში დაიბეჭდება გ. რობაქიძის პასუხი ამ წერილზე.

„ქართული მწერლობის რედაქცია“

ძვირფასო ამხანაგებო!

ეს წერილია თქვენზე და პოეზიაზე. — შეიძლება ხვალ ამის გამოგზავნა მოვახერხო და ამალამ მინდა გესაუბროთ თქვენ, მითუმეტეს, რომ ეს ჩემი უკანასკნელი დღეებია სტამბოლში და შემდეგ არ ვიცი, როდის შევძლებ რამეს მოწერას. ეს სამი თვე, რომელიც დავყავი ამ გარყვნილ ქალაქში — გავატარე მარტო კითხვასა და ჩვენზე ფიქრში. და ამ წერილში მინდა ამაზე გელაპარაკოთ. ხომ გახსოვს ტიუტჩევი:

«Но вам, друзья, знакомо вдохновенье
На краткий миг в сердечном умиленьи
Я жребий свой невольно забывал
И радость пел когда о вас мечтал».

სიხარული, როგორც ამას დაინახავთ — აქ აღარაა, მაგრამ ფიქრები თქვენზე და საქართველოზე — არის. და ეს მინდა თქვენ დაგიბაროთ.

თქვენ დაინახავთ, რომ ჩემი შთაბეჭდილება არაა სრული, ყოველმხრივი და დეტალური. მაგრამ ესაა პირველი შთაბეჭდილება და ვნახოთ შემდეგ რა იქნება.

გარდა ამისა მე ჩემს დაფასებაში მივყვები იმ თვისებას, რომელიც წამომყვა საქართველოდან და შეიძლება ეს ვიხმარო უმთავრეს საბუთად და ჩემს გასამართლებლად.

საქმე იმაშია, რომ პოეტმა უნდა გაიგოს თუ რაშია საქმე.

პოეტისთვის მე მგონია, ესაა უმთავრესი და სავალდებულო. მან ერთი შეხედვით უნდა გასინჯოს პულსი, ჩავიდეს „ძირს“ და არ „დაადოს ხელი იქ, სადაც არ უნდა“.

ამას იქით იწყება უკვე „დოხტურობა“, დიაგნოსტიკა, ქირურგია და ლეჭვა. ესე იგი ყველაფერი ის, რაც სწოვს პოეზიას, რაც საზრდოობს მითი, ხოლო რასაც პოეზია არასოდეს არ დაერქმევა.

ამ გრძნობას მივყვები მეც და ყველაფერი, რაც აქ ითქმება — ამის ნეგატივია.

ეს არის თქვენი გრძნობაც პოეზიის, მე მგონია.

ყოველ შემთხვევაში ეხლა, როცა მე ასე თუ ისე უკვე შევადგინე ერთგვარი წარმოდგენა უცხოეთის ლიტერატურის შესახებ და ვეკითხები ჩემს თავს: ჩამოვრჩით, თუ არა ჩვენ პოეზიას — მე უსათუოდ ერთი პასუხი მაქვს: არა, ჩვენ არ ჩამოვრჩენილვართ, მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელი ხუთი წელი დახურულ ყუთში ვზივართ.

შეიძლება ჩვენ ვერ გავთელეთ ბერგსონი, უცნობია ჩვენთვის ეინშტაინის თეორია, ბუნდოვანი იყოს შპენგლერი (და ის მართლაც ბუნდოვანია ისე, როგორც მისი გვარი), უფრო აშკარად ამბობდა გერცენი თავის დროზე: «Прощай буржуазная Европа»-ო, მეტად სუსტნი ვიყოთ კანტებსა და სხვა ამისთანებში. ეს მართალია. მართალია, რომ ყოველივე ეს, როგორც აზროვნება, როგორც ცეხვა და ცოხნა—მიდის ჩვენს გარეშე და ჩვენში შეიძლება ვერ სტოვებს კვალს. ამ მხრივ, შეიძლება, მართლა ჩამოვრჩით და, — ეს ჩვენი ნაკლია, მაგრამ ის, რაც ამ ცოხნიდან გამომდინარეობს, რისთვისაც ყველაფერი ეს გაჩენილია და რასაც ყველა ეძებს — ამას ჩვენ ვგრძნობთ. თუ მაგ. შპენგლერი მექანიკური სეისმოგრაფია, მაჩვენებელი დღევანდელი კულტურის შექანების და შენგრევის — ჩვენ ვართ ის ხარი, რომელიც სეისმოგრაფზე ადრე გრძნობს მიწისძვრას. ეს არის კოსმიური გრძნობა ყოველი პოეტის; მიკრობი, რომელიც შედის მის სისხლში და უცვლის მას ფერს.

ევროპის ხელოვნება და პოეზია, როგორც ხედვითი სანახაობა, როგორც წაუკითხავი წიგნი, უნახავი გამოფენა, ან მოუსმენელი მუსიკა, მიდიოდა შორს ჩვენგან. მაგრამ ის მარადიული სინათლე, რომლითაც ანათებს ხელოვნება ყოველ დროს, და ის შეუსხლეტელი სისხლი, რომელიც საუკუნეებით სჩქეფს ყველა პოეტის ძარღვებში — ვგრძნობ, გადმოსხმულია ჩვენშიაც.

ეს გრძნობა და თვისება გვაერთიანებს ჩვენ უცხოეთთან და, ალბათ, ეს იყო მიზეზი იმისა, რომ მე აქ არ ვიგრძნე თავი ჩამორჩენილად.

მივყვები შემდეგ.

ამრიგად — ჩვენ ვიცით ის „ლჯილო“, სადაც შესულია პოეზია.

ჩვენ მხარდამხარ მივყვებით იმ შეგნებას, რომელიც დღეს არსებობს სხვაგან და შეიძლება ჩვენში ზოგიერთი უპირატესობანიც კი ვიპოვოთ.

მაგრამ, როცა ვფიქრობთ ჩვენზე, ჩვენს გზებზე და ჩვენს მიღწევებზე — მე ვხედავ, რომ ჩვენ ეს შეგნება, ეს ძალა, ვერ ავიყვანეთ იმ სიმაღლემდე, რამდენზედაც ეს შეგვეძლო. ვერ გავზარდეთ, ვერ გამოვიყენეთ. და რომ ჩვენი შემოქმედება არ არის გამართლებული.

მე მჯერა ჩვენი პოეტური ინტუიცია და პოტენცია. მაგრამ მე ვხედავ იმასაც, რომ ჩვენი შემოქმედება შეკვეცილი, ფრთაშეჭრილი, დამცირებული და გაუშლელია.

ეს ჩემთვის უდავოა და აქ წერტილს დავსვამ.

და აქ იწყება ჩემთვის საშინელი ფიქრები. თუ ერთია — რატომ მეორე არაა?

მე მინდა ვნახო ამის მიზეზი და ჩემი ეჭვები გადადის თვით ჩვენს ყოფნაზედ, იმ წვენის სიმშრალეზე, რომლითაც უნდა ვსაზრდოებდეთ ჩვენ, როგორც ქართველი პოეტები,

აქ არის, ჩემის ფიქრით, ჩვენი კრიზისი, რომლიდანაც მე გამოსავალს ვეძებ.

მე არ ვიცი — ვის უყვარს საქართველო ჩვენზე მეტად. დღეს ყოველ გაკოტრებულ პოლიტიკოსს თავისი თავი წმინდა სებასტიანე ჰგონია, რომელიც დაისრულა სამშობლოთი და სამშობლოსათვის ყოველი მეშჩანინი, რომელიც ვერ ახერხებს ნამდვილი საქონლით სპეკულაციას, სპეკულიანტობს დღეს საქართველოს სიყვარულით.

საქართველო და პატრიოტობა დღეს ჩვენში შეიქნა ყოველი კარიერ შერყეულ ქართველის ჯაგლაგათ, რომელსაც მიაჩანჩალებს დონ კიხოტივით.

მე არ ვიტყვი აქაურებზე, რადგანაც, გერცენის არ იყოს, ემიგრანტობა თავის თავად მეტად ცუდი ავადმყოფობაა, და ქართველ ემიგრაციას, რომ განსაკუთრებული ტკივილი მართებს — ცხადია.

მაგრამ მე ვიცი ხალხი, რომელიც აქაურებში მიწასთან ასწორებს ქართველ ბოლშევიკებს და საქართველოში კი იმავე ბოლშევიკურ ხელისუფლების ქვეშ მილიარდებს აკეთებენ. საქართველოში ბოლშევიკებს უძვრებიან უკანა კარებიდან და ყოველ შემთხვევისათვის, რომელიმე რესტორანში მენშევიკებსა და ნაცდემ-თან მაინც მოიწმენდენ ხოლმე კეთილშობილ ცრემლს.

და ყველა ასეთებს, ალბად, ჩვენზედ მეტად „უყვართ“ საქართველო.

თქვენ იცით ბევრი ქართველი, რომელიც ტკბილად ემსახურება საბჭოთა ხელისუფლებას, შერიგებით და მორიგებით, „არ იკლებს არაფერს“, მაგრამ „დღიური წესრიგის“ ამოსაწურავად ყოველ შემთხვევისათვის მაინც გააჩერებს მოსახვევში თავისიანს, ჰკითხავს „თუ რა ისმის“, და დამშვიდებული სინდისით წავა შინისაკენ.

თქვენ იცით ასეთი ხალხი და ამგვარი „ტიპები“ ყველაზე მეტს გვიყვიროდენ ჩვენ და წრიპინობდენ ჩვენს ბოლშევიკობასა და კომუნისტობაზე (რამაც სტამბოლამდე და პარიზამდეც კი ჩააწია).

ეს ქართული „თილისმობაა“, ეს ყოველთვის ქართული ჩვეულება იყო. და თუ ეხლაც ჩვენში ეროვნული მორალი და კეთილშობილება ამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხაზით უნდა წავიდეს — დეე ღმერთმა ხელი მოუმართოთ და ხეირი ანახოს. მე ამ გზით ვერ ვიარ.

დღევანდელ ხანაში ეს უსინდისო სპეკულიანტური, გაიძვერული ფსიხოლოგია, რომელიც წალმა-უკუღმა „ეტორღიალება“ საქართველოს სხეულს — განსაკუთრებით ძლიერია.

ასეა აქაც.

და როცა ფიქრობ ასეთ ფიქრებს, როცა თვალწინ გიდგება ასეთი ხალხი და საქართველო — მე ვერ ვპოულობ ვერც ერთ სახეს, რომელიც ღირსი იყოს საქართველოსი და მინდა ვიყვირო: «Тьфу, сволочи!»

თქვენ იცით ეს თავდასხმა ჩვენზე, რომელიც, ალბათ გრძელდება, რომ ჩვენ არ გვიყვარს სამშობლო, რომ არ ვართ პატრიოტები. ამას ყრანტალობს ხოლმე ერთიანად, როგორც ვინმე ფილისტერი, ისე „პატრიოტი“ უკმაყოფილო და გულმოსული იმით, რომ ჩვენ არ დავდივართ ქუჩა-ქუჩა და სიმონა ჭლამაძესავით არ ვყვირით „მზეო, ამოდი, ამოდი“-ს.

გამიგრძელდა ამაზე წერა, მაგრამ აქეთ წამომიყვანა სიტყვებმა, საცა მე გავჩერდი ჩვენს შემოქმედებაზე, ჩემს იჭვზე და საქართველოზე და განვაგრძობ.

დიახ, მე ვამბობ, რომ ჩვენმა ჯგუფმა მიუხედავად იმისა, რომ მასშია დიდი გრძნობა პოეზიის გაგებისა და ათვისების, ვერ აიმაღლა თავი შემოქმედებაში იმდენად, რამდენადაც ეს შესაძლებელი იყო თვითეული ჩვენი ამხანაგის პოტენციის მიხედვით. ამას ვუწოდე მე ჩვენი კრიზისი და არა თავის გასამართლებლად ვახსენე მე საქართველო და მისი სიმშრალე.

ჩვენი მტრები იტყვიან, რომ ჩვენ „ამოვიწურეთ“, ან რომ ჩვენ ვართ, ზარმაცები, ან კიდევ სხვა რამეს. მაგრამ ეს არ მიმაჩნია საყურადღებოდ და ამაზე არ გავჩერდები.

ჩემი ფიქრი ებჯინება საქართველოს, და იგრიხება ასე:

ჩემს წინ დგას კითხვა: კითხვა დედაშვილობის და ვკითხულობ: სამშობლო პოეტისათვის (ხელოვანისათვის) თუ პოეტი სამშობლოსათვის.

საზრდოობა სამშობლოსაგან, თუ „რჩენა“ სამშობლოსი.

იმ სახით, როგორც მე ამას ვკითხულობ, ეხლა ევროპაში ეს საკითხი არ დაისმის. შეიძლება რუსეთში დაისვას ეს კითხვა. ეს იქ მართლაც არის, მაგრამ განსაკუთრებით კი ეს ჩვენი ქართული საკითხია.

და მე მივდივარ იმ დასკვნამდე, რომ „სამშობლო-პოეტისათვის“. (ხელოვანისათვის) ე. ი. რომ სამშობლოში (არამარტო ზოოლოგიურ ცნებებსა და ეტნოგრაფიულ ფერებში) უნდა არსებობდეს ის ენერგია, ის სხვადასხვაობა, რომელიც ბადებს დიდ შემოქმედებას. სამშობლოში უნდა იყოს სტიქია, ატმოსფერო, წოყიერება, რომელიც აღმოაცენებს შემოქმედებას.

სწორედ აქ მეეჭვება მე საქართველო. აქ მეჩვენება მე ის იმგვარ ქალად, რომელსაც, სოფელში, რომ იტყვიან „უშვილობის წამალი აქვს დალეული“.

ბოლოს და ბოლოს ეს სიტყვა უნდა ითქვას, და მისი არ უნდა გვეშინოდეს, თუმცა დღეს გახურებულ ქართულ ატმოსფეროში ძნელია ამის თქმა...

აქ გვეტყვიან. შეიძლება, რომ ეს არის თვითმკვლელობა ჩვენი და მოიყვანენ ძველი ჩექმასავით გაცვეთილ მაგალითს იმ შტოს გადაჭრის შესახებ, რომელზედაც კაცი ზის. რა გაეწყობა.

და მე ვფიქრობ, დიახ, ჩვენ და დღევანდელი საქართველო (და შეიძლება საქართველო საზოგადოდ) ვართ ორი ანდროგინი, და ჩვენგან არ შეიქმნის შთამომავლობა და თუ საქართველოს წარმოვიდგენთ — სულიწმინდის მიერ დაორსულებულ არსებად, რომელსაც „ბებია“ სჭირდება, რათა მიიღოს ხელთ „ნაყოფი მუცლის მისისა“, მაშინაც ჩვენ ვერ გამოვდგებით ასეთ ბებიად, ვინაიდან ნაყოფი იგი არ არის და არც იქნება გამართლება ჩვენი წარმოდგენის, ჩვენი სურვილების, ჩვენი შეგნების და იმ დიდი სიყვარულის, რომლითაც გვიყვარს საქართველო.

ჩვენი მოწინააღმდეგეები აქ ახსენებენ სხვა სახელებს ჩვენს გარშემო. იტყვიან, რომ ეს მარტო ჩვენა ვართ უვარგისი, რომ არიან სხვები. კი ბატონო.

— რაა? ვინაა?

აქ იტყვიან, რომ პოეტი, მაგალითად, „დახეული დროშის“ ლექსით სამშობლოს ემსახურება. როგორ? განა მასზე ნაკლებად ემსახურება სამშობლოს უცხო ვინმე რუსთაველის პროსპექტიდან, რომელიც „ანტანტის ფლოტის“ შესახებ გავრცელებულ ჭორებით ნაკლებ კი არა, უფრო მეტად აღელვებს „პატრიოტების“ გულსა და „ემსახურება“ ქვეყანას?! ეს მეჭორე და ეს პოეტი ერთნაირად ღელდებიან და აღელვებენ, მაგრამ რა შუაშია აქ პოეზია?

ესაა, ჩემის ფიქრით ის უკუღმართი მოვლენა, რომელზედაც ზევით ვლაპარაკობდი, როცა სამშობლო არ აძლევს პოეტს რასმეს და, პირიქით, პოეტი ცდილობს მისცეს მას.

პოეზიაში და, საზოგადოდ, ეს დამარცხების ამბავია და ჩვენ ვიცით რომ ეს სიყალბეა, გაუგებრობაა და მართლა სირცხვილი იმ პოეტს, რომელსაც შეეხარბება ასეთ გაუგებრობაზე აშენებული ძეგლი.

ჩვენში დღეს ვერც ერთ პოეტზე „კვანჭს ვერ მოკიდებ“ და ვერ ნახავ მასში ვერც პოეზიას და ვერც საქართველოს.

ასეთი ჟუმი და უმია ჩვენი პროზაც. აძიგ-

ძიგებული, როგორც ციებიანი ქათამი სამეგრელოში.

მე მეშინია ამაზე ფიქრი.

კი, ბატონო, ჩვენ ვიყვეთ დეგენერატები; დეე, საქართველო არ გვიყვარდეს; დეე, ჩვენ გაგვრიყოს საქართველომ და ეთაყვანოს თუნდა რწყილს. კი, მაგრამ სხვები სადაა? სხვებს რაღა დაემართა? რომ არც სხვა სჩანს!

და შემდეგ, ჩვენთვის, ჩვენნაირად ხომ გვიყვარს საქართველო. ხომ გვინდა ის, ჩვენი საქართველო, რომელიც ჩვენს ოცნებაში ზის, მუდამ ვეალერსებით და სხვანაირია. რომ არც ამ საქართველოზე გვაქვს ჩვენ კონკრეტული წარმოდგენა?!

ჩვენს ოცნებას საქართველოზე ელაპარაკება მხოლოდ ჩვენი გული და სიყვარული, ჩვენი სურვილი, მაგრამ არის სურვილი, ნდომა და არ არის რეალობა...

ჩვენ საქართველოს მზე არ გაგვანათებს: მაგრამ, როგორც ვთქვი, ის ვერც სხვამ ნახა. და თუ მარტო ჩოხა-ახალოხია საქართველო, უტიეთ მას, წამოდით აქეთ, დავიკარგოთ, წყალში გადავარდეთ!!

ჩვენ ამხნაგებო, დიდი დეფექტები გვაქვს, მაგრამ ერთი ცხადია, რომ პოეზია უსათუოდ გვესმის, ვგრძნობთ მას სხვაზე მეტად. ამას მიმტკიცებს მე მთელი ის თანამედროვე ლიტერატურა, რომელშიაც ვბუნაგობ აქ. და სწორედ ამიტომ ჩვენ ყველაზე ადრე უნდა მოვსულიყავით საქართველოს მიგნებამდე.

ეს ჩვენ ვერ ვქენით. ვერ შევძელით. აქაა ჩვენი საფრთხე და ჩვენი უბედურება. ამის მეშინია მე და აი რატომ:

როგორი ინტერნაციონალურიც არ უნდა იყოს პოეზია და ხელოვნება ის, ჩემის ფიქრით, მაინც ატარებს ეროვნულ სახეს. თვით ვერლენი, რომელსაც ნაკლებად ახსენდება სამშობლო და რომელიც ამბობს — **«Я равнодушен к судьбе народа»**-ო (ჯერ კიდევ ვერ მომყავს ფრანგული ციტატები) ეროვნული მოვლენაა. შექსპირიც, დანტეც, ეროვნულია „ომი და ზავი“, „ჟან კრისტოფი“ (რომელიც მხოლოდ ეხლა გადავიკითხე), მაგრამ ამ ერის და ეროვნების სახე იმდენად ძლიერია შემოქმედებაში, რომ მას სრულიად არ სჭირდება ლაპარაკი: „გაუმარჯოს საფრანგეთსო!“ და სხვა. ამას ყვირის თვითეული სტრიქონი ყოველი ავტორისა. ეს წვრილმანი არ სჭირდება ავტორს, რადგან მის ერს იმდენი ქონი აქვს, იმდენი სხვადასხვაობაა მასში, იმდენათ თვალსაჩინოა და გრანდიოზულია ის, როგორც ერი, რომ რაც უნდა არა ეროვნული ხასიათის იყოს ნაწარმოები — მისი ქვეყანა მაინც შიგაა. ის ყვირის და იძახის.

ამას წინათ აქ იყო კლოდ ფარერი, რომელსაც სტამბოლმა დიდი ზეიმი გაუმართა. ოსმალეთს ეძახიან „პიერ ლოტის და ფარერის ქვეყანას“ — სულ ამ თათრებზე სწერენ, მაგრამ ისინი მაინც საფრანგეთის ლიტერატურაში არიან, საფრანგეთის ხალხი არიან.

აიღეთ რუსეთი. რუსის ხელოვნებამ მთელი ევროპა დაიპყრო. არსად იმდენი ხალხი არ დადის, როგორც რუსების გამოფენებზე პარიზში. არც ერთი ლიტერატურა ისე არ აინტერესებთ, როგორც რუსული. პირდაპირ შურით ივსები, როცა ხედავ წიგნის მაღაზიებს ავსებულს მერეჟკოვსკით, ბუნინით, დოსტოევსკით და სხვა — ფრანგულ ენაზე. სუდეიკინი ვერ აუდის თეატრების შეკვეთებს და მისი სურათები მიაქვთ ამერიკაში. ერენბურგი გამოდის რუსულად, ფრანგულად, გერმანულად. ესენინი და კლიუევი ყვირიან ბარბიუსის „კლარტე“-ში ბევრი ჩვენი ნაცნობი რუსი მწერალი იბეჭდება თითქმის ყოველთვიურად „მერკურ-დეფრანს“-ში და სხვ.

რა არის ეს?

ეს არის რუსეთი, რომელიც ნახა რუსის შემოქმედმა. ესაა რუსეთი, რომელიც მონახეს კირეევსკებმა და აქსაკოვმა; რომელიც აკურთხა „რაინდმა ბერმა“ სოლოვიოვმა; რომელსაც მიახეთქა თავისი გამსკდარი თავი ჩაადაევმა; რომელზედაც სტიროდა გერცენი — ეს ბაყბაყ-დევი რევოლუციის ათოსისა; რომელმაც დაარწმუნა ბელი თავის მესიანობაში და სხვა და სხვა. ეს რუსეთი აყვირებს და ასაზრდოებს თავის პოეტებს, შემოქმედებს...

აქ არის ხაზიც ძიების და განდგომისა. ტირილისა და ძაგვის. მაგრამ ტირის პოეტი, რომელსაც აწევს რაღაც გრანდიოზული, რომელსაც ახრჩობს თავის ქვეყნის სიდიდე, სხვანაირობა, საკვირველობა, თავის სამშობლოს ღმერთი.

მოიგონეთ დოსტოევსკის მსჯელობა ერებზე და სახელმწიფოებზე: ხომ არარაა ის ერი, რომელსაც არა ყავს და არა სწამს საკუთარი, თავისი ღმერთიო.

ეს ღმერთი ყველასა ყავს, მართლა. ეს ღმერთი ყავს საფრანგეთს, რომელიც კურთხევადა სდგამს მარნაზე და ელენეს კუნძულზე; ბასტილიაზე და მარსელიეზაში. ეს ღმერთი ყავს გერმანეთს (და მარტო ამ ღმერთს ეხებოდა ის შტამპი, რომელიც დაკრული ქონდა სამხედრო საგნებს ომის დროს „ღმერთო, დასაჯე ინგლისიო“) ინგლისს, რომლის ღმერთი ვენერასავით ამოდის ზღვიდან, შემდეგ იქცევა ოფელიად, რომ გაცოცხლდეს ინდოეთში...

ჩვენ ყველა ვხედავთ სკვითების ღმერთს... და ასე ყველგან.

სხვებსაც ყავს და თუ არ ყავთ შედიან სხვის საყდარში. ეს ღმერთები აკურთხებენ მათ პოეზიას. მათ ხელოვნებას, ასუქებენ და ანავარდებენ მას.

და ჩვენც, თუ გავშლით ფრთებს — გავშ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლით, როგორც ეროვნული მოვლენა. თუ გავალთ ევროპაში — გავალთ, როგორც და მარტო ქართველები, რომელნიც გავიტანთ და გამოვაჩენთ საქართველოს სახებას.

და როცა კვლავ ვუბრუნდები საქართველოს, მე მას ვერ ვხედავ, ვერ ვნახულობ და მეშინია: ნუთუ საქართველო მარტო ეთნოგრაფიული მოვლენაა, თანდათან გადაგვარებაში გადასული?

როცა გადავხედავ ჩვენს ისტორიას — იქ მე ღვთის ხელს ვერ ვნახულობ. ჩვენი არსებობა დაცინვაა განგებისა ჩვენს თავზე. ჩვენშია ჩამჯდარი ლომი და რწყილი, ეშმაკი და ანგელოზი, ნიჟი და ყიყვი... არის რაღაცა შეკოწიწებული და გადაყრილი. მიბნეულ-მობნეული. ხერხემალს ქართულის იდეისა მე ვერ ვპოულობ და ვერც აზრს საქართველოისას წარსულში.

იქნება საქართველო წარსულში გაამართლოს ჯვარმა, რომლისთვისაც ის იგლიჯებოდა ყოველ მხრიდან. მაგრამ ჯვარისაგან ხომ კურთხევა უნდა გამოდიოდეს და სადაა ეს კურთხევა? ნუთუ ჩვენი აწიოკებული ისტორია კურთხევაა? ნუთუ ორიათასი წლის განმავლობაში ამ ჯვრის ძალამ ვერ შვა მოვლენა, რომელიც გამოირკვევდა საქართველოს, როგორც მოწოდებას, საკუთარის აზრით და დანიშნულებით. ნუთუ საბოლოოდ და სამუდამოთ მოკლებულია საქართველო იმ „ნათლის სვეტს“, რომელიც წინ მიუძღვის ყოველს ხალხს ახალი სიტყვისა და შემოქმედებისაკენ. ორიათასი წლის განმავლობაში მე ვერ ვხედავ ამას და მეეჭვება თვით რუსთაველიც: თუ ის ჩვენი ცხოვრებისაგანია — უსათუოდ გაუგებრობაა ის; თუ არა და — ან რუსთაველი არაა ქართველი, ან და მისი პოემა ადვილად ნაშოვნია სადმე.

მე ვიბნევი და მეშინია ასეთი კითხვების; მაწუხებს ეს აქ, ისე როგორც არასოდეს და ირყევა ჩემი სიმტკიცე და გული.

მე არ მინდა უარვყო საქართველო წარსულში და მომავალში. მაგრამ ესე ხდება ეს. თუ ერის სახე იხატება მის შემოქმედებაში — საქართველოს სახე დღეს განსაკუთრებით ძნელი სანახავია. ხოლო ჩვენს შემდეგ რა მოდის ხელოვნებაში და პოეზიაში ეს თქვენ იცით. ეს საუკუნე ვერ მისცემს საქართველოს ვერც ერთ პოეტს, ვერც ერთ ჭეშმარიტ მწერალს...

შეიძლება ვერც ჩვენ ავამაღლოთ ხმა, როგორც შემოქმედმა, შეიძლება ჩვენც ჩაგვყლაპოს ამ არარაობამ, რომელიც სვამს საქართველოს ბედს, მის სულს და სისხლს საუკუნეთა განმავლობაში.

მე მგონია, რომ ყველა ჩვენგანი ამას ვგრძნობთ.

ჩვენ რომ ვეძებდეთ დაფასებას დღევანდელს, სახელს იაფს — ამას ყოველი ჩვენგანი შესძლებს. ეს ადვილია. მაგრამ ეს იქნება ღალატი სინდისისა და პოეზიისა. და ის, რაც მარადიულია ყველგან, რასაც უხვად აძლევს სხვა ხელოვნებას სხვა სამშობლოები — ჩვენ საქართველოში მას ვერ ვხედავთ და ვვარდებით სკეპტიციზმში, რომელიც, ალბათ, მიგვიყვანს ცინიზმამდე.

სადაც არ უნდა წავიდეთ, ამ მიზეზის გამო, ჩვენ თავს მაღლა ვერ ავწევთ და ვერც ერთ ჩვენგანში დღეს ვერ ალაპარაკდება საქართველო ისე, როგორც ალაპარაკდა იტალია მარინეტის ინტერნაციონალურ მანიფესტებში.

ისეთი ინტერნაციონალური მოვლენა, როგორიცაა რევოლუცია, უაღრესად ეროვნულ სახეს ამოისვრის ხოლმე პოეტში. საუკეთესო პოეტები რუსეთის რევოლუციისა, რომელიც იშვენ რევოლუციით და მესამე ინტერნაციონალის ვარსკვლავსაც უგალობენ — ყველაზე მეტად ეროვნული არიან მაიაკოვსკი, ესენინი, კლიუევი.

ტატლინის ძეგლი, მესამე ინტერნაციონალისათვის ეროვნული პოტენციის შედეგია, რომელიც გააქანა, აამოძრავა და გამოაჩინა რევოლუციამ.

დროა გავათავო წერილი!

ჩვენი გემი, რომელზედაც მე ვცხოვრობ სდგას „ოქროს რქაზე“. ღამეა და ამ სიწყნარეში უკვე მესამედ ყივის თათრის მამალი ნაპირიდან.

მეც დავიღალე.

სტამბოლი ხომ ისტორიული პუნქტია, სადაც სტიროდნენ ქართველები. ეს წყლები „ბაბილონის მდინარეებია“ და იქნება ოდესმე ქართველი პოეტიც დასტიროდა აქ თავის ბედს და სამშობლოს ისე, როგორც მე. იქნება ისიც ეძებდა საკუთარ ვარსკვლავს ამ მინარეთების წვეტიან თავებში. და ეს მთვარიანი მინარეთები მასაც უფარავდნენ სამშობლოს სახეს ისე, როგორც ჩემთვისაა ის დაფარული და მიუგნებელი...

ვინ იცის.

ვიჩქარი დასკვნებს. მეშინია ამ „ერესი“-ს. მაგრამ ესაა და რა ვქნა.

საქართველო პასიური მოვლენაა.

მისი ენერგია გამოწვეული იყო სხვა, მისი გარეშე მყოფ მოვლენისაგან. (ენერგია ჭიის, როცა მას ფეხს აჭირებენ).

საკუთარ, შინაგან აქტივობას მოკლებული იყო საქართველო და მოკლებული იყო, მაშასადამე, შემოქმედების გენიასაც.

მოკლებულია აქედან გამართლებას, მსოფლიო

გამართლებას, საკუთარ რელიგიას, მოწოდებას, აზრს, შინაარსს.

ამითია, რომ მშრალია და ფუყე საქართველო. აქედანაა მისი „უშვილოსნობა“, თუ ბერწობა.

ამის შედეგია, ჩემის ფიქრით, სიმჩატე ქართველი არსებისა. ქართული ჭკუისა. განწირვა ქართული ხელოვნების, პოეზიის.

მე მგონია ესაა მიზეზი იმისა, რომ ყველაფერი ქართული უდღეოა. რომ ქართული ბედი სწყდება და ტყდება ყოველთვის შუა გზაზე დაუმთავრებელი, მიუღწეველი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

## გრიგოლ რობაქიძე

# საქართველოს ხერხემალი

ნ. მიწიშვილის წერილის „ფიქრები საქართველოზე“ — საპასუხოთ

მწარეა ეს სიტყვები:

„როცა გადავხედავ ჩვენს ისტორიას — იქ მე ღვთის ხელს ვერ ვნახულობ. ჩვენი არსებობა დაცინვაა განგებისა ჩვენს თავზე. ჩვენშია ჩამჯდარი ლომი და რწყილი, ეშმაკი და ანგელოზი, ნიჭი და ყიყვი... არის რაღაც შეკოწიწებული და გადაყრილი, მიბნეულ-მობნეული. ხერხემალს ქართული იდეისა მე ვერ ვპოულობ და ვერც აზრს საქართველოსას წარსულში“.

მწარეა ეს სიტყვებიც:

„იქნება საქართველო გაამართლოს ჯვარმა, რომლისთვისაც ის იგლიჯებოდა ყოველი მხრიდან. მაგრამ ჯვარისაგან ხომ კურთხევა უნდა გამოდიოდეს, და სადაა ეს კურთხევა? ნუთუ ჩვენი აწიოკებული ისტორია კურთხევაა? ნუთუ ორიათასი წლის განმავლობაში ამ ჯვრის ძალამ ვერ შვა მოვლენა, რომელიც გამოარკვევდა საქართველოს როგორც მოწოდებას, საკუთარის აზრით და დანიშნულებით? ნუთუ საბოლოოდ და სამუდამოთ მოკლებულია საქართველო იმ „ნათლის სვეტს“, რომელიც წინ მიუძღვის ყოველ ხალხს ახალი სიტყვისა და შემოქმედებისაკენ?!“

თავისმკვლელობაა დასკვნა:

„საქართველო პასიური მოვლენაა. მისი ენერგია გამოწვეული იყო სხვა, მის გარეშე მყოფ მოვლენისგან. (ენერგია ჭიის, როცა მას ფეხს აჭირებენ) საკუთარ, შინაგან აქტივობას მოკლებული იყო საქართველო და მოკლებული იყო, მაშასადამე, შემოქმედების გენიასაც. მოკლებულია, აქედან, გამართლებას, მსოფლიო გამართლებას, საკუთარ რელიგიას, მოწოდებას, აზრს, შინაარსს“.

ამას სწერს ნიკოლოზ მიწიშვილი.

არ არის საჭირო არც გაბრაზება და არც აღშფოთება, როცა ასეთ სიტყვებს კითხულობ. არც ის უნდა იფიქრო, რომ ავტორი ბოროტი აზრით არის „ატროკებული“. აქ უფრო „ტკივილია“ ვიდრე „აზრი“. ეს სულის კრიზისია და ასეთი კრიზისი ბევრს განუცდია.

მხოლოდ არ შემიძლია დავმალო, რომ ეს კრიზისი ბოლომდე არ არის დაწურული და ამოწურული. ავტორის „ტკივილში“ არის „წყენაც“ (აქა-იქ), სულის „ტკივილს“ მაშინ აქვს ნამდვილი სიმართლე, „როცა ნაწყენობა არ არის არავისაგანო.

მაგრამ ავტორის სულისკვეთებას მე მაინც ვილებ როგორც „ტკივილს“,

არ არის საჭირო არც კამათი. აქ მხოლოდ ჩვენებაა საჭირო. (თუ შეჩვენება არა).

შესაძლებელია ამ „ჩვენებაში“ ბევრი რამ გადავაჭარბო — როგორც ქართველმა, ამისათვის ვირჩევ სხვა გზას. ვეცდები ისე ვილაპარაკო, თითქო უცხოელი ვიყო. მაშინ ჩემს სიტყვას მეტი სიმართლე ექნება.

წინ ისევ წყეული კითხვა მეჭრება: აქვს თუ არა გენია საქართველოს?

ძველად ასეთი საკითხის გადაჭრა უფრო ძნელი იყო. დღეს კი ცხადია ყველასათვის, რომ ქვეყანაზე არ ყოფილა არა თუ ხალხი, უბრალო თემიც კი, რომელსაც თავის გენია არ ჰქონოდეს — (დიდი თუ პატარა, ეს მეორე საკითხია). პრეისტორიული ხალხების დანატოვარში ჩვენ ხშირად გვხვდება თევზის თუ მამონტის ძვალი, რომელზედაც ამოჭრილია შველი, თუ უბრალო დანა ისეთი არტისტიზმით, რომელსაც სასახელოდ ჩაითვლიდა ჩვენი დროის დიდი ხელოვანი, თვითონ რომ გაეკეთებია იგი. დღეს „ველურებსაც“ ეწაფებიან; ქვისაგან თუ ხისაგან გამოჭრილ აფრიკის კერპებს გაოცებაში მოჰყავთ ამდროული ხელოვანნი:

კიდევ უფრო ყურადსაღები მოვლენაა. ზან-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გებს მრავალი თეთრკანიანი ადამიანადაც არ თვლის, მაგრამ ზანგების რიტმებმა დაიპყრეს დღევანდელი ევროპა. ეს რიტმები შეიჭრნენ სიმფონიურ ფანტაზიაშიც. მოდიან რიტმები, როგორც მზის თვალები გაჩენის პირველ დღეებში. ალბად აქ არის პუშკინის საიდუმლო — (პუშკინიც ხომ ზანგი იყო სისხლით). მოვა დრო (არც ისე შორსაა), როცა რომელიმე ავტორი პუშკინის ჯადოსნობას ზანგების ატეხილ რიტმებიდან გამოიყვანს (ეს სხვათა შორის),

და თუ პრეისტორიულ ხალხებს და თანადროულ „ველურებს" ვანიჭებთ გენიას, დავიჯერო, რომ საქართველოს ასცდა ასეთი მადლი?

მაგრამ ეს არაფერი.

საქართველოს გენია სხვა მასშტაბითაცაა გამართული.

მიწიშვილი საქართველოში „ღვთის ხელს ვერ ნახულობს". „ღვთის ხელი" აქ მეტაფორული თქმაა და მეც ამ სახით ვიხმარ მას. მართლაც არ არის „ღვთის ხელი" საქართველოში?

რა არის მაშ „ქართლის ცხოვრება?"

მე ვლაპარაკობ სერიოზულად და ჩემი თქმა არ არის „ფრაზა". მთელს ქვეყანაზე ძვირად მოიპოვება სადარი „ქართლის ცხოვრების". ეს არის არა მარტო „ისტორია", არამედ ნამდვილი „ეპოსი" — (დიდი ეპოსი დიდი ხალხის). და იშვიათია ისეთი პოემა (არა მარტო ჩვენში), რომელსაც შეეძლოს დაუპირისპირდეს ამ მხრით „ქართლის ცხოვრებას". აქ ყოველი სიტყვა თითქო მითოლოგიური ტაციტის მიერ არის დაწერილი. და თავი და თავი: სიტყვასა და სიტყვას შუა დარჩენილია უთქმელი, რომელსაც სიტყვა არ სჭირდება და რომელსაც ისუნთქავ მხოლოდ. აქ არის „სურნელი" გარდასულ ხანების — (ნამდვილი ნიშანი გენიის) როგორც ბერძნების „ილიადაში" და როგორც ბაბილონების „გილგამეშში"! გეკითხებით მე თქვენ: ნუ თუ „ქართლის ცხოვრების" ანნალები გენიის ცეცხლის ნატეხები არ არიან?

მაგრამ ეს კიდევ ცოტაა.

„ქართლის ცხოვრება დიდია როგორც „ეპოსი", მაგრამ უფრო საოცარია იგი როგორც „ისტორია".

და მართლაც „ისტორია" არ არის უბრალო გროვა ამბების. კაცი ცხოვრობს, ჭამს, სვამს, ცოლს ირთავს, სადილს მიირთმევს, ეს აინტერესებს, იმას ყურადღებას აქცევს, შემდეგ კვდება, ჰქრება — ეს კიდევ არ არის „ისტორია", „ისტორია" არის „მთელის" გზნება, თითქო ყოველი შენი კუნთი ნაწილია ამ მთელის, რომლის ცენტრი შენს გარეშეა — (ერთი მწერლის ფრაზა რომ ვიხმარო სხვა საგანზე თქმული). „ისტორია" პირადი განცდაა. ამბავი, მომხდარი ათას წელს უკან — თითქო შენი საკუთარი ამბავი და შენი საკუთარი ამბავი, მომხდარი ეხლა — თითქო შორეული ამბავია შენი ხალხის. პლატონის გენიალი თქმა რომ ვიხმაროთ, „ისტორია" არის „მოგონება" (ანამნეზის), მართალს იტყვის ამდროული გერმანელი ავტორი. წარსული მისი (ადამიანის) ხალხის მისი პიროვნული ხსოვნაა, ხოლო მომავალი მისი ხალხის — მისი პიროვნული საქმე" (მარტინ ბუბერ). დიახ „ისტორია" ქმედითი ხსოვნაა.

დააკვირდით ეხლა „ქართლის ცხოვრებას" — არის თუ არა მასში ასე გაგებული „ისტორია". უთუოდ და აუცილებლად. ასეთი გზნება „ისტორიისა" ჰებრაელებს (უფრო ვიდრე რომელიმე სხვა ხალხს) აქვთ. ასეთი გზნება „ისტორიისა"აქვთ ქართველებს, და ეს გზნება გაღველფილია „ქართლის ცხოვრებაში". ამ გზნებით არის იგი ამწვარი მთელი თავისი ტანით. და ის სიტყვასა და სიტყვას შუა დარჩენილი „სურნელი", რომელსაც სიტყვა არ სჭირდება და რომელსაც იუნოსავ მხოლოდ, არის სწორედ ეს ისტორიული გზნება, „ისტორია", როგორც ქმედითი ხსოვნა, „ისტორია", როგორც გზნება „მთელის" რომლის ცენტრი შენს გარეშეა.

ასეთია „ქართლის ცხოვრება".

ეგებ „გამოხედვაც" გინდათ დაინახოთ „ქართლის ცხოვრებიდან".

აი თუ გინდ ერთიც. ევროპაში თავი მოსწონთ მარკ ავრელით, რომელიც ომშიაც „ჭვრეტდა" სამყაროს. ჩვენში დავით აღმაშენებელი ომის დროს „სამოციქულოს" კითხულობდა, — (ეს ზნე კინაღამ საბედისწერო გახდა მისთვის). გეკითხებით: რით ჩამოუვარდება დავით აღმაშენებელი მარკ ავრელის?

ან კიდევ სხვა. ევროპაში ლეგენდათაა გადაქცეული „კალეს მოქალაქეთა" რაინდობა. როდენმა ქვაც კი აამეტყველა მათი რაინდობით. ჩვენში — ასეთი მონუმენტალი სურათი: მონღოლთა ნოინნი სჯიან ქართველ შეთქმულებს. მათთან მიდის მაღალი და ნათელი კაცი: დადიანი ცოტნე. იგიც შეთქმულთაგანია, მაგრამ არ დაუჭერიათ (სხვაგან იყო). ცოტნე ამცნევს ნოინებს, რომ მისი ნდომაა — შეთქმულთა ბედი გაიზიაროს, რადგან იგიც შეთქმულია. მონღოლებს უკვირთ ასეთი სიმართლე ქართველების — და შეთქმულებს ანთავისუფლებენ. რით არის ეს ამბავი ნაკლები „კალეს მოქალაქეთა" ამბავთან შედარებით? არაფრით: შესაძლებელია მეტიც იყოს.

ჩვენში აქა იქ გაისმის ხმა, თითქო ქართველობაში შინაგანი სიმართლე არ იყოს, რა არის ცოტნე დადიანის ამბავი თუ არა შინაგანი სიმართლე და რამდენია ასეთი სიმართლე „ქართლის ცხოვრების" ანნალებში. მარტო სარგის ჯაყელი ციხისჯვარელი რად ღირს! და რამდენი კიდევ სხვა. მაგრამ აქ უნდა შევჩერდე, რადგან მაგალითების მოყვანა შორს წაგვიყვანდა.

ნიკოლოზ მიწიშვილი სწერს:

„ორიათასი წლის განმავლობაში მე ვერ ვხე-

დავ ამას და მეეჭვება თვით რუსთაველიც: თუ ის ჩვენი ცხოვრებისაგანაა — უსათუოდ გაუგებრობაა ის, თუ არა და — ან რუსთაველი არაა ქართველი, ან და მისი პოემა ადვილად ნაშოვნი საქმეა“.

კიდევ კარგი, რომ ავტორს „ვეფხისტყაოსანი“ გენიალ ქმნილებად მიაჩნია. მხოლოდ — როგორც ჩვენი ცხოვრების ნაყოფი — იგი მისთვის „გაუგებრობაა“ უკეთეს შემთხვევაში. უცუდეს შემთხვევაში? ან რუსთაველი არაა ქართველი, ანდა მისი ქმნილება „ნაშოვნი“ საქმეა და ისიც „ადვილი“.

აქ კი ავტორი „დისკუსიას“ მიმართავს და ჩემი სიტყვა ცოტა სხვანაირი იქნება.

ნუ თუ ავტორს ჰგონია, რომ რუსთაველით ამოიწურება ქართული გენია? (ეგებ სხვებსაც ჰგონიათ). 1902 წ. ნიკო მარმა იერუსალიმში იპოვა ხელნაწერი „ცხოვრება წმ. გრიგოლ ხანძთელის“ ავტორი გიორგი მერჩული.

გამოდის: მეოცე საუკუნის თაურამდე არავინ იცოდა, თუ რა საუნჯე ჰქონიათ ქართველებს. ქმნილება ეკუთვნის მეათე საუკუნის ნახევარს. ზედმეტია იმის მტკიცება, რომ ეს ქმნილება ქართული გენიის ხალასი ნაყოფია. ქართული სიტყვა აქ მოცემულია ისე, თითქო პირველმიწას რძე სდიოდეს კვლავ ძუძუებიდან, თქმა — მოკლე: ნაკვეთი. სიტყვა — თითქო შედედებული სუბსტანცია, რომელიც წარმოთქმის შემდეგ იშლება, როგორც მდინარის სარკეული ზედაპირი, როცა ფრთებგაშლილი გავაზი დაეცემა მას! არავითარი ხორცმეტი, არავითარი მეჭეჭი. სიტყვა ისეთი, რომელსაც აქვს ქალწულური დარცხვენა და ამავე დროს მორკინალის შემართება: სწორედ ისეთი, რომლითაც ძველად წირვადს ჰქმნიდნენ. არც გასაკვირია: გიორგი მერჩულს ჰყავდა წინამორბედი იაკობ ხუცესი (მეხუთე საუკუნე), რომელმაც გასაოცარი აღწერა დაგვიტოვა „წმინდა შუშანიკის“ ცხოვრებისა. გიორგი მერჩულმა, ცხადია, ქართული „საგალობლებიც“ იცოდა, საცა ქართველი ავტორები ფსალმუნობაში დავით წინასწარმეტყველს ედავებიან.

მაგრამ ამით არ ამოიწურება გიორგი მერჩულის ქმნილება. აქ არ არის მოცემული ჩვეული აღწერა ჩვეული წმინდანის, საცა სიცოცხლე მლაშეა და წუთხე. აქ მთელი მსოფლგზნებაა — სრულიად თავისებური. გრიგოლ ხანძთელი (მერჩულის აღწერით) — ისე დადის დედამიწაზე, თითქო უკანასკნელი სიმინდის ჯავარი იყოს, რომელიც დატაროებას ელის. მიწა მისთვის არ არის „ბერწი“, პირიქით, მისი ყოველი ნაყოფი „წყაროს თვალია“, რომელსაც მოაქვს ბუნების მადლი.

ამის შემდეგ რასაკვირველია რუსთაველი აღარ არის „გაუგებრობა“.

მაგრამ რუსთაველამდე კიდევ იყვნენ სხვებიც, რომელთაც ქართულ სიტყვაში გენია გაალვიძეს. ექვთიმე მთაწმინდელი, იოანნე მთაწმინდელი, გიორგი მთაწმინდელი, ეფრემ მცირე. თვითეულს მათგანს ცალკე მონოგრაფია [illegible]დება. თუ გერმანელები ლუტერს „ბიბლიის“ გერმანულად თარგმნისათვის გენიალობას აწერენ, რა დააშავეს ჩამოთვლილ მამებმა, რომლებმაც იგივე „ბიბლია“ ქართულად სთარგმნეს. და მერე როგორ? ლუტერის თარგმანი თუ არის ენის-ქმნა, მთაწმინდელების თარგმანიც ენის-ქმნაა ნამდვილი. თუ რომელი უფრო მძაფრი ქმნაა, ეს კიდევ სადაოა.

ასეთია მაგისტრალი, რომლის ბოლოს რუსთაველი მოჩანს, როგორც დამთავრება და როგორც ასეთი — ხანდახან როგორც გადახრაც (ოდნავი დეკადანსი). ამის შემდეგ რა აზრი აქვს ასეთ დილემას: „ან რუსთაველი არაა ქართველი, ან და მისი პოემა ადვილად ნაშოვნი საქმეა?“

რუსთაველი ქართველია და მის პოემას უდიდესი სიტყვის კულტურა უძღვის წინ. რასაკვირველია, „ადვილად შოვნაზე“ ლაპარაკი ამ კულტურის არცოდნაა. (მაინც წამცდა პოლემიკური სიტყვა).

კიდევ სხვა მაგალითი.

მთელი ლათინური ევროპა ამაყობს ფრანსის ასიზელით. ფრანსის ასიზელს დარჩა ოცი სტრიქონი, ამ სტრიქონებიდან იტალიელებს გამოჰყავთ მთელი იტალიური პოეზია. განსაკუთრებით უყვარს ეს სტრიქონები დ“ანუციოს. რასაკვირველია, მარტო ამ ოცი სტრიქონისათვის არ არის ფრანსის ასიზელი საოცარი. იგი ბავშვია და თან ბრძენი. იგი „ჩიტის გულშია“ და ცოცხლობს ჩიტის გულით, იგი ბუნების ძალთა მხილველია და მათი დამურვებელი. (ხოლო — არა ძალადობით).

საკმარისია აქ წერტილი დავსვა, რომ ქართველმა იმავ წამს მინდია გაიხსენოს. და მართლაც: მინდია იგივ ფრანსის ასიზელია, მხოლოდ საქართველოს მთებში აღმოცენებული, როგორც იშვიათი ყვავილი ალპების. განა მინდიას მითოსი გენია არ არის თვითონ? განა აქ არა სჩანს „ღვთის ხელი?“

კიდევ ერთი მაგალითი.

კათოლიკური ევროპა თავის თავს აღმოსავლურ ქრისტიანობას უპირისპირებს. აღმოსავლურ ქრისტიანობაში მარტო განდგომაა და ლოცვა. თითქო აქ „მიწა“ არც არის. დასავლურ ქრისტიანობამ აღადგინა „მიწა“. იქ „ღვთის საქმე“ თითქო „მიწიერ“ სხეულს იღებს. აქედან — გოტიკა, მადონნა, მარადი ქალწულობის კულტი, გადასული „მარად ქალურობის“ გზნებაში.

ცხადია, დღეს ეს ბევრისათვის „გადასული ამბავია“ მაგრამ ყოველი ნაშთი კულტურისა „გადასული ამბავია“ — და მე მხოლოდ კულტურის მხრივ მაინტერესებს ეს „ამბავიც“.

საქართველომ შექმნა „ჯვარი ვაზის“, ჯვარი

— არც ხისაგან, არც ქვისაგან, არც რკინისაგან, რატომ მაინცა და მაინც ვაზის ნასხლავისაგან ალბათ იმისთვის, რომ ვაზი სახეა „მიწის“ ნოყიერების და ნაყოფიერების. ეს კიდევ არაფერი. ჯვარი ვაზის შეკრულია ქალის თმებით — (ლეგენდარულ გადმოცემით: ღვთიშობლის, თუ თვითონ ნინოსი). აქ “მარადი ქალწულობა“, თუ „მარადი ქალურობა“ უკვე უკანასკნელი სიმძაფრით არის მოცემული. კათოლიკურ ევროპას ასეთი რამ არ გააჩნია. ეს არ არის გადამეტება.

ასეთია საქართველო და მისი გენია.

საუკუნიდან საუკუნეში მეორდება „ოქროს ვერძის ამბავი და მედეას ლეგენდა. და არგონავტები ჯერ კიდევ არა სცხრებიან. ამისათვისაა, რომ უცხოელს იზიდავს საქართველო, არქანჯელო ლამბერტი, პიეტრო დელლა-ვალე, შარდენი — მოდიან საქართველოსკენ, როგორც მზის ბადეში გაკვალთულ დედოფლისაკენ. დიუმას ფრანგული სიტყვები აღარ ჰყოფნის საქართველოს ქებისათვის.

მაგალითები სხვაც ბევრია.

ხოლო ერთი სამუდამო ღერბად სჭრის ამ მხიბლაობას.

პიეტრო დელლა-ვალეს ეუბნებიან, რომ ისფაჰანში ულამაზესი ქალია ქართველი („მაანი“, ალბად „მანანა“). გაეშურება ამ ქალაქისაკენ. გაიცნობს ამ ქალს. შეუყვარდება. შეირთავს. რაინდი შაჰ-აბასს უახლოვდება. ჰსურს — ისპაჰანისაგან შექმნას ახალი რომი აღმოსავლეთში. შემდეგ, უეცრად სამშობლოს ნაღველი აუტყდება. გაეშურება — ცოლით. თან მიჰყავს ქართველი გოგონა „მარუკია“, გზაზე ცოლს საშინელი ხაშმი შეეყრება. ცოლი არც იმჩნევს ავადობას, ისე მძლე აქვს რასსის გრძნობა. „მაანი“ კვდება. რაინდი ხელდება, მიაქვს ცხედარი რომში და იქ ასაფლავებს. შეირთავს „მარუკიას“, რომელიც ამიერიდან იწოდების „თინათინ ზება“.

ამ ამბავს მოგვითხრობს (იცით ვინ?) თვითონ გოეტჰე, ერთი შვიდთაგანი, თუ ცხრათაგანი შობილთა შორის. მოგვითხრობს როგორ? სიტყვასა და სიტყვას შუა სტოვებს სურნელს ქართველი ქალით აღტაცებისას.

და როცა თვითონ მისი ბაგედან გადმოვარდება ქართული სახელი „თინათინ“ — მაშინ ვინ არ იგრძნობს საქართველოს მადლს?

„ქართული მწერლობა“ 1927 წ. № 1.

მასალები პუბლიკაციისთვის მოამზადა

ᲗᲐᲛᲐᲠ ᲚᲐᲚᲘᲫᲔᲛ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვაჟა ხორნაული

# „რიწა" მკითხველის იმედს ამართლებს

შვიდი წელი დიდი დრო არაა, მაგრამ იქ, სადაც საქმის სიყვარულია, სადაც ტრადიციების პატივისცემა და სიახლის წყურვილია, რამდენიმე წელიც საკმარისია იმისათვის, რომ ათასი ინფორმაციითა და სენსაციით დაღლილი თვალი შენსკენ მოაბრუნო და სიხარული განაცდევინო...

მეშვიდე წელია, რაც გამოდის საქართველოს მწერალთა კავშირისა და აფხაზეთის მწერალთა კავშირის ლიტერატურული ალმანახი „რიწა", ამ ხნის განმავლობაში მან არაერთხელ გაახარა მკითხველი საინტერესო პოეტური და პროზაული ქმნილებებით, თარგმანებით, პუბლიცისტური წერილებით; მართალია, როგორც ნებისმიერ ლიტერატურულ ორგანოს, მასაც ჰქონია შეცდომები, მის ფურცლებზედაც დაბეჭდილა ლოდქვეშ მოყოლილი ფოთოლივით ფერმკრთალი ლექსები თუ სხვა ჟანრის ნაწარმოებები, მაგრამ ყოველთვის მისაღები იყო ალმანახის ჯანსაღი პოზიცია; „რიწა" მთლიანობაში გახლდათ საინტერესო და ეს ინტერესი არც დღეს განელებულა, პირიქით, უფრო გაიზარდა და გადამდები გახდა.

ახლახან „რიწას" სათავეში ჩაუდგა ნიჭიერი პოეტი გურამ ოდიშარია. გამოვიდა ალმანახის პირველი ნომერიც. იგი გადახალისებულია, ძველ რუბრიკებს რამდენიმე ახალი დაემატა, შეიცვალა ფორმატი, მაგრამ, რაც განსაკუთრებით სასიამოვნოა, მან შინაგანი ცვლილება განიცადა.. .

მიუხედავად მისი დაუსრულებლობისა, ალმანახის ამ ახალ ნომერს სულ სხვა შუქსა და სიმაღლეს მატებს გრიგოლ რობაქიძის რომანი „ფალესტრა". რომანს წამძღვარებული აქვს ავთანდილ ჩხიკვიშვილის პატარა ანოტაცია, სადაც ვკითხულობთ: „გრიგოლ რობაქიძის პიროვნებაზე და შემოქმედებაზე წერა და საუბარი უდიდეს პროფესიულ და მოქალაქეობრივ პასუხისმგებლობას მოითხოვს. ამ განცხადებას მრავალი მიზეზი აქვს, უპირველესი კი მწერლის საზოგადოებრივი ღვაწლის და შემოქმედების მთელი სისრულით არცოდნა გახლავთ. ათეული წლების განმავლობაში ტაბუდადებული მწერლის შემოქმედებაზე დღევანდელ მკითხველსა თუ ლიტერატურულ მკვლევარებს ძალზე ზედაპირული, ეფემერული წარმოდგენა გვაქვს".

ძნელია, არ დაეთანხმო ამ სტრიქონების ავტორს; წერო დიდ მწერალზე (ამ შემთხვევაში — გრიგოლ რობაქიძეზე) — ეს იმას ნიშნავს, სასწაულის შეცნობა სცადო, ბეწვის ხიდზე იარო; ეს იმას ნიშნავს, ერთდროულად აღმოაჩინო მწვერვალების თავზე თუ ქვესკნელების სიჩუმეში არსებული ოქრო.

გაზეთმა „ახალგაზრდა კომუნისტმა" (№ 47, 1988 წელი) რუბრიკით „დაბრუნებული სახელები" გამოაქვეყნა აკაკი ვასაძის საინტერესო წერილი „ტაბუახდილი ღირებულება", რომელშიც, სხვათა შორის, ნათქვამია: „ამ ჟაიდის რომანების (იგულისხმება „ფალესტრა" — ვ. ხ.) ღირსება-ღირებულება ვლინდება და ირკვევა მათ მთლიანობაში. ამ სახით იგი საინტერესო აღმოჩნდება მხოლოდ სპეციალისტებისათვის, რომლებიც გრიგოლ რობაქიძის პროზის ანალიზს მიჰყოფენ ხელს. ასე ვგონებ, ფართო მკითხველისათვის რომანის ექვსი თავის გამოქვეყნება ვერ არის გამართლებული". ამ შემთხვევაში აკაკი ვასაძე თავისებურად მართალია, ვინაიდან იგი ითვალისწინებს მკითხველის იმ სულიერ მდგომარეობას, რომელშიც იგი აღმოჩნდება „ფალესტრას" წაკითხვის შემდეგ: მის არსებაში ერთდროულად გახმიანდება დიდი მწერლის ნაწარმოებთან შეხვედრის სიხარული და ამ ნაწარმოების მხოლოდ ფრაგმენტის დაბეჭდვით გამოწვეული უკმარისობის მტკივნეული გრძნობა... მაგრამ ხომ შეიძლება, რომ ერთ ლიტერატურულ ფაქტთან დაკავშირებით ორი, ერთმანეთისაგან განსხვავებული, თვალსაზრისი არსებობდეს და ორივე ახლოს იდგეს ჭეშმარიტებასთან? ჩვენ მიგვაჩნია, რომ „ფალესტრას" მხოლოდ ექვსი თავის გამოქვეყნებაც გამართლებულია... ამ შემთხვევაში „ფალესტრა" იმ ოკეანეს მოგვაგონებს, რომლის დიდი ნაწილი ბურუსშია გახვეული, მცირედი კი ჩვენს წინაშეა... და მონატრებული ოკეანის სულ უხილველობას, ალბათ, სჯობია, რომ მისი, თუნდაც ერთი მხარე ვიხილოთ...

კითხულობთ „ფალესტრას" და გრძნობთ, რომ მშობლიური ენის მარადიულ საიდუმლოსთან უფრო მეტი მიახლოება თითქმის წარ-

მოუდგენელია. გრიგოლ რობაქიძე, რომელიც თითქოს ნათელმხილველის ნიჭით დაუჯილდოებია ბუნებას, ხედავს იმ ულამაზეს, ტკივილების შუქით გასხივოსნებულ გზას, მისმა ხალხმა, მისმა ენამ რომ გამოიარა. რაც უფრო დიდია მწერალი, მით უფრო ძნელია მასზე ლაპარაკი. გრიგოლ რობაქიძე მკითხველს აჯადოებს, როგორც სიტყვის ოსტატი, მის სალაროში ყველა მარგალიტს თავისი ადგილი აქვს, საოცარია მისი ანალიტიკური ნიჭი; ამის დასტურად ეს ნაწყვეტიც იკმარებდა: „პუშკინი ზანგი იყო ნახევრად... ანატომიურად მისი სახე ზანგურია უთუოდ... კიდევ მეტი: იგი იმდენად იყო ფიზიკურად ზანგი, რომ მისი ქალიშვილი სადღაც, მგონი, ლონდონში, „მეტისად" მიიღეს... და მერე? სწორედ ეს ზანგური ელემენტია, რომელიც ჰქმნის პუშკინის ფენომენს და რომელიც ასხვავებს მას ყველა სხვა პოეტებისაგან. ხასიათი მისი ზანგისაა: იგი არა ჰგავს სლავს, რუსს... ცეცხლიანი, ამწვარი მუდამ, უსვენარი, ჩქარი, ცელქი, ხალისიანი, ანჩხლი, უცბური (მიხვედრაშიაც), სენსუალური, ბავშვი, პირველი ცქერითა და პირველი ხილვით, — განა ეს სლავის ან რუსის ბუნებაა?.. შთაგონება მისთვის „გონება" კი არა, „ფიზიკა" იყო, მეხის ელემენტი... რუსებს ყველაზე უფრო პუშკინი უყვართ... როგორც „თავისიანი"?.. არა: როგორც „უცხო", როგორც „სხვა", რაც არა ხარ და რადაც გსურს იქცე, გსურს ნაღვლით, თნევით, სიამით... პუშკინის სიცოცხლე ცეცხლია ზანგის და მისი ატეხილობა... დააკვირდით მის დუელს, მის სიკვდილს... განა ეს ზანგური წინ-ხედვა არაა?.. ბევრმა კიდეც გაიგო, რომ მისი სიკვდილი იყო თითქმის თავისმკვლელობა: იგი თითქო მიდიოდა სიკვდილის მიმართ, უცნაურ „ატროვებული".. ახლა მისი პოეზია... ცოტაა აქ ზანგური? ნუ შფოთავთ. აიღეთ, თუ გნებავთ „დამა პიკ"... ეს საშინელი აზარტი და ნდომა კარტის საიდუმლოს დაჭერისა — **«три карты, три карты»**, რაიც ასე ფიცხელ იგზნო ჩაიკოვსკიმ — რაა ეს, თუ არ გაღეზება ბედის, თუ არ „ლიტინი", თუ არ „ჩქმეტა" ბედისწერის, თუ არ გახელება სიცოცხლის საზღვრის?.. ეს ხომ ზანგური რამაა პირწავარდნილი... ან ეს ზარდამსხმელი მელანქოლია სიკვდილის — გრაფინია, ულამაზესი ქალი ძველად, ეხლა მოხუცი, რომლის წუთხე სევდა ასე იგზნო იმავ ჩაიკოვსკიმ — რაა ეს, თუ არ ბოლმა ნადირის, რომელმაც იგრძნო სიკვდილის სიახლოვე, თუ არ მძიმე მელანქოლია. იშვიათი, მაგრამ ბასრი მხეცური სიტიტვლით, იმავ ველურის?.. ეს მელანქოლია ხშირია ხალისიან პუშკინის ხალას სიტყვაში... რაა „ეგვიპტის ღამეები", თუ არ იგივე „ცდა ბედის", თუ არ იგივე „გაბედვა" ველურის, ერთ კარტზე რომ დაადო მთელი სიცოცხლე: ოღონდ იგემო ერთი ღამით კლეოპატრას ტანი, ერთადერთი ღამით, დილას კი თავმოკვეთილი ფანჯრიდან გადაგისროლონ?.. მერწმუნეთ: ეს ზანგური ცეცხლია..."

შედიხართ გრიგოლ რობაქიძის სამყაროში და სრულიად ბუნებრივად გეჩვენებათ გერმანელი კრიტიკოსის რუდოლფ კარმანის სიტყვები: „გრიგოლ რობაქიძის ღვთისგან მონიჭებული მშვენიერი შემოქმედება... გადაიქცა, ვითარცა სიმბოლო ქართული ლიტერატურისა, რომელმაც სათანადო და ჯეროვანი ადგილი დაიკავა მსოფლიო ლიტერატურაში. რაბინდრანატ თაგორის სახელი იყო პირველი სახელი, რომელიც აღმოსავლეთიდან დასავლეთში შემოშუქდა. მას მოსდევდა გრიგოლ რობაქიძე, უფრო პირველქმნილი, უფრო დაკავშირებული ბუნებასთან, ვიდრე ნობელის პრემიის მქონე ინდოელი"...

უთუოდ მრავლისმეტყველია ის ფაქტიც, რომ ოციან წლებში შექმნილი ნაწარმოებებით (პოეტურით, პროზაულით, დრამატულით, წერილებით) გრიგოლ რობაქიძე უფრო თანამედროვეა, ვიდრე ბევრი ამჟამად მოქმედი მწერალი, რომელთა გამოც ხშირად გაუმართლებელი ხმაურია ატეხილი, რომელთა შემოქმედებაც მრავალ უცხო ენაზეა თარგმნილი, რომლებიც, სამწუხაროდ, იმ სიყვარულის მეასედსაც კი არ ამჟღავნებენ გრიგოლ რობაქიძის მიმართ, რაც ზემოთ მოხსენიებული გერმანელი კრიტიკოსის სიტყვებშია გაცხადებული...

ვლადიმერ ჯოლოგუასთან შეხვედრას მკითხველი ყოველთვის ინტერესით მოელის. ალმანახ „რიწის" ამ ნომერში მისი სამი ახალი მოთხრობაა დაბეჭდილი. ვლადიმერ ჯოლოგუა დამაჯერებლად ძერწავს ხასიათებს. სულ ორგვერდიანი მოთხრობაა „მამა", მაგრამ მისი წაკითხვა სევდიანი სიხარულის გარეშე შეუძლებელია. ლოგინს მიჯაჭვული, დამბლადაცემული მამის არსებაში თითქოს მისანი ჩასახლებულა: მან იგრძნო, რომ მისი შვილი „ცუდმა ბიჭებმა" აიყოლიეს და საოცრად მშვიდად უთხრა ყველაფერი, სიტყვის ჯადოთი აუხილა თვალები გზასაცდენილ მემკვიდრეს. მამის გულსა და გონებაში უძვირფასესი განძივით დაბუდებულმა სიყვარულმა იხსნა მომავალი. როგორც საინტერესო ხელწერისა და ხედვის ოსტატი, ვლადიმერ ჯოლოგუა კიდევ უფრო იგრძნობა მეორე მოთხრობაში „თვალი შეაჩვიე სიბნელეს"... ამ ნაწარმოებში მოთხრობილია მშრომელი, საოცრად კეთილი, ოჯახისათვის თავგანწირული ხელოსნის ტრაგიკული ამბავი; მან თანდათან, კარგ ცხოვრებას დახარბებული ცოლის გავლენით, დაკარგა გავლენა და სადავეები, ხოლო ბოლოს, როდესაც უკვე გვიან იყო, მოხდა ის, რაც უნდა მომხდარიყო: ხელოსანი დაიღუპა. სულ სხვა პრობლემის გამო-



ეროვნული ბიბლიოთეკა

ძახილია ვლადიმერ ჯოლოგუას მესამე მოთხრობა „უჩვეულო სერობა“... საჩინომ ვერ იხსნა უფსკრულის პირას დაკიდებული მეგობარი, სცადა კიდევაც მისი გადარჩენა, მაგრამ, როდესაც იგრძნო, რომ თვითონაც მასთან ერთად გადაიჩეხებოდა, „დანა იშიშვლა, მკლავზე დაჭკრა დასაღუპავად განწირულს და ისიც საზარელი ღრიალით გადაეშვა უფსკრულში“... ამის მერე იწყება საჩინოს ტანჯვა ცხადში თუ სიზმარში; სავსებით ლოგიკურია მწერლის ჩანაფიქრი, როდესაც გვაგრძნობინებს, რომ საჩინოს ტანჯვას ბოლო არ უწერია... ცოდვა ჩადენილია და ეს ცოდვაა საჩინოს უსასრულო წამების მიზეზი...

ვლადიმერ ჯოლოგუას ნაწარმოებებში არაფერია ხელოვნური, მოვლენების განვითარება ბუნებრივი და გამართლებულია, ენობრივი ქსოვილი ნათელია და ამ სინათლის ფონზე უფრო იგრძნობა ვნებების ჭიდილი, ადამიანის ფიქრისა და გულის ფორიაქი.

„ჩანაწერები ძველი სკივრიდან“ — ამ სახელწოდების ციკლშია გაერთიანებული მურმან ხურცილავას რამდენიმე პატარა მოთხრობა. თქვენ აქ გაეცნობით ლუკას, ნერგების გამომყვანსა და გამყიდველს, რომლისთვისაც ბუნებას მხოლოდ სიმართლის თქმის ნიჭი მიუცია („მართალი კაცი“); თქვენ აქ მოისმენთ ბიდუს სევდიან ამბავს, რომელმაც საკუთარი სიამაყის შელახვას სიკვდილი ამჯობინა („შეხვედრა ხიდზე“); აქ იხილავთ კაცია ბედიას საოცრად ნაღვლიან თავგადასავალს, რომელსაც ორივე ფეხი მოჭკვეთეს და მაინც „სიცოცხლეს ებღაუჭებოდა“, რომელსაც „მარტოობის უფრო ეშინოდა, ვიდრე სიკვდილის“ („ტვირთი“)... აქ კიდევ ერთხელ იგრძნობთ, თუ რა ძალა აქვს შორეთში, არაქათგამოლეული ჯარისკაცების წინაშე მდგარი, სამშობლოს სივრცემონატრებული ქართველი მეომრის სიმღერას („სიმღერა“); აქ შეხვდებით კოწიას, სიბერე რომ ვერ მორევია, გამოგონილ, დაუჯერებელ ამბებს რომ ჰყვება, სიკეთეს რომ თესავს და სხვებისგანაც ამას მოითხოვს: „ჭეშმარიტებისაკენ მიმავალმა გზამ კეთილშობილებაზე თუ არ გაიარა, მაშინ რაღა ფასი აქვს ჭეშმარიტებას?“ („კოწია“).

სვანეთის ულამაზეს სამყაროში შევყავართ აკაკი გასვიანის ნოველებს. შვიდი ვაჟკაცის მამაა გემა. იმისათვის, რომ მისმა მომავალმა იხაროს და იმრავლოს, გემა უდიდეს მსხვერპლს სწირავს, მის ჩანაფიქრს ეწირება მისი შვილი გერე. „...დაცოლშვილდნენ გემას ვაჟები. კმარობდნენ უკვე მიწას, მაგრამ თვითონ გემა მარადიული ტანჯვისა და სინანულისთვისაა განწირული („საოხარი“). ვაჟკაცობასა და სიყვარულს წინ ვერაფერი აღუდგება; ამ ვაჟკაცობისა და სიყვარულის სინათლეში დგანან ბექა და თინათინი, მიქელი და მახვში ბიმუ („გავეღგავხე“...).

ეროვნული ბიბლიოთეკა

აკაკი გასვიანის სტილი ენერგიული და ფერადოვანია, ლექსიკა — მდიდარი, მაგრამ დაკვირვებული თვალი იმასაც შეამჩნევს, რომ იგი განიცდის კონსტანტინე გამსახურდიას კეთილნაყოფიერ გავლენას: „ხალდელთა მწკრივს ეახლა ქეთევანი, ეამბორა თითოეულს, არ გამორჩენია ყორეზე წამოსკუპებული გოგონაც, დაკონკილი კაბა რომ ეცვა. გოგონას ზღვისფერ თვალებში ამოუთქმელი სევდა უკრთოდა. ობოლიაო დედ-მამით, უთხრეს. თავისი შალის მოსასხამი მოახურა, შალის კაბასაც მოგიქსოვო, შეჰპირდა. ცრემლი და ღიმილი ერთად მოერიათ გოგონას და ხალდელებს“.

საყურადღებო და მრავალფეროვანია „რიწაში“ წარმოდგენილი პოეზია; ალმანახის რედკოლეგიამ მკითხველის სამსჯავროზე ერთმანეთისაგან განსხვავებული, სხვადასხვა ხელწერისა და განწყობილების პოეტთა ნაწარმოებები გამოიტანა.

„არ მომიშალოთ კვალი ნათელი, ცის სიზმარ-ცხადი და მისტერია და, სანამ ქვეყნად ცოცხლობს ქართველი, ჰყვაოდეს ჯვარი და ივერია“, — ამბობს გენო კალანდია ერთ-ერთ ლექსში. მისი ფიქრი იმ ცასა და მიწას დასტრიალებს, რომელთა ნათელშიაც ჯვარი და ივერია დგანან, იმ ჰაერს შეხარის, რომელსაც წინაპრის სუნთქვა და მზერა შეხებია. გენო კალანდია თავისი პოეზიით ჩინებული ფერმწერია, იგი არ გვთავაზობს რთულ ქვეტექსტებსა და პოეტურ გამოცანებს, თქვენ გხიბლავთ ლამაზი ზედაპირი, ხოლო ამ ზედაპირის მიღმა ხშირად ის სიღრმეც იგულისხმება, რომლის გარეშეც პოეზია წარმოუდგენელია, რომელიც უნდა იგრძნო და განიცადო; მისი ლექსი ზოგჯერ ადამიანური ტკივილით დამძიმებულია, ზოგჯერ კი — სინათლის ფოთოლივით მსუბუქი; უმრავლეს შემთხვევაში ფრაზა გამჭვირვალეა და მუსიკალური: „ა, ანგელოზო, სიტყვა ფრთიანი, — ტყით გაჩენილი წყარო სიამის. ა, თეთრი ვარდის თეთრი საყელო, ღვთისმშობლის წმიდა ცრემლის მნახველო. ა, ჩემი ქნარი, — შუქი უშქარი, — უფლის ნაკურთხი და ნაჩუქარი!“

ჯარჯი ფხოველმა ჯერ კიდევ პირველი ნაბიჯებით დაამახსოვრა მკითხველს თავი, როგორც სხვებისაგან მკვეთრად განსხვავებულმა პოეტმა, მას შემდეგ საკმაოდ დიდი ხანი გავიდა და მისი გზა, რომელიც ადვილი არასოდეს ყოფილა, კვლავ აღმართს მიუყვება, პოეტის შემოქმედებითი ზრდა გრძელდება, ადამიანის სულის სიღრმეებისაკენ მიმართული მზერა ახალ-ახალი მიგნებებით ახარებს მკითხველს. ბოლო წლებში ჯარჯი ფხოველის პოეზიას უფრო მეტი სინათლე და უბრალოება

შეემატა. მისი სტრიქონებიდან დაიკარგა ლამაზი სიმძიმე. უფრო მკაფიოდ გამოჩნდა ადამიანური ტკივილების შუქით გაბრწყინებული წახნაგები... ჯარჯი ფხოველის პოეზია — ეს არის მზიანი ბურუსით დამშვენებული სიღრმე, მისი მრავალი ლექსი ღია ჭრილობაა, მარადიულ კითხვებზე პასუხის გაცემის ცდაა. ყოველივე ამაში კიდევ ერთხელ დარწმუნდებით, როდესაც „რიწაში“ გამოქვეყნებულ მის ახალ ლექსებს წაიკითხავთ. ადამიანის ბედისწერაზე ბევრი მშვენიერი ლექსი დაწერილა, ეს თემა ნებისმიერი ნიჭიერი პოეტისათვის სასინჯ ქვას წარმოადგენს. აი, ჯარჯი ფხოველის პატარა ლექსი, რომელშიც ისმის, თუ რა იდუმალი, ლამაზი და ტკივილიანია ის კავშირი, რომელიც ადამიანსა და მის ბედისწერას შორის არსებობს: „მე შენ გეძახდი, მაგრამ ქარმა ჩემი სიტყვა სულ სხვა მხარეს წააფარფატა... და სულ სხვა ვინმე წამოვიდა ჩემს შესახვედრად... და სულ სხვა ვინმემ ქვედამხობილს მხსნელი ხელი გამომიწოდა“. ჯარჯი ფხოველს შეუძლია, სულ რამდენიმე სტრიქონით გვაგრძნობინოს შორეული ფესვების ტკივილიანი ფეთქვა და ამ ფესვების სითბოთი გაზრდილი თაობების სულიერი მდგომარეობა: „საქართველოში მწარეა მიწა... აქ სიყვარულიც მწარე იცის: დასაბამიდან ბევრმა იგემა და გაშორდა ცრემლის თქრიალით!“.. მაგრამ მხოლოდ სამშობლოს სიყვარული არაფერია, მთავარია მისთვის ამაღლების, მისთვის თავგანწირვის ნიჭი: „თავისუფლებას ამოაცენებს ამაყი გულების მიწა. თავისუფლებას ამოაცენებს უშურველად დაღვრილი სისხლი“.

კარგი საქმე გააკეთა ალმანახმა „რიწამ“, როდესაც მკითხველებს შესთავაზა უდროოდ გარდაცვლილი პოეტის იზოლა გურგულიას ლექსები. როდესაც ამ ლექსებს ეცნობით, ასე გგონიათ, ჩამავალი მზით განათებულ ტაძარში დგახართ და მის სიჩუმეში გესმით სიცოცხლეზე ტკივილამდე შეყვარებული ქალის ხმა, რომელიც მხოლოდ იმისთვის დაიბადა, რომ სიყვარულის ღვთაებრივი გრძნობის კარნახით ეცოცხლა, ეწერა და ეგალობა: „სიცოცხლე მრწამსის სიმღერას ჰგავდა, თუმცა მრავალჯერ გამაკრეს ძელზე... ვაზის ლერწისგან გაგითლი ჯვარს და თმებით შეკონილს დაგკიდებ მკერდზე, თუ შენ ირწმუნებ იმას, რაც მწამდა“... ან კიდევ: „ნამი ვარ პაწია, ცრემლი ვარ პაწია, ტანზე მარგალიტის სამოსი მაცვია. როცა სიშორის მზე ზღვაში ჩაცურდება, ეს ჩემი სიმღერა არც მაშინ დასრულდება“...

მირიან მირნელმა დიდი ხანია, მიიპყრო მკითხველის ყურადღება, როგორც საინტერესო თვალთახედვის პოეტმა; იგი იმ ასაკშია (მას ახლახან შეუსრულდა სამოცი წელი), როდესაც ცხოვრებისეული და ლიტერატურული გამოცდილება სასურველ ნაყოფს იძლევა; მირიან მირნელის პოეზია ხასიათდება გულწრფელობითა და სისადავით, მის ლექსებში იმატა პოეტურმა განსჯამ: „ბალღი ვიყავ — შორიდან გიმზერდი, ჭარმაგი ვარ — შუაგზიდან გიყურებ, მხცით შევიმოსები — საიდან შეგხედო, თუ ცოტას იქით არ მიდგები... სიბერევ?“

მოვლენების თავისებური აღქმის ნიჭით გამოირჩევა აპოლონ ჯინჯოლიას ლექსები. მისასალმებელია ამ ავტორის ჯანსაღი მოქალაქეობრივი პოზიცია, ცხოვრების უარყოფით მოვლენებზე რეაგირება; ამის კარგი ნიმუშია მისი ლექსი „აი, ეს კაცი“, რომელშიც არის ასეთი ადგილი: „თავს სავარძელში გრძნობდა ხალვათად, სანამ სავარძელს არ მოაშორეს. ის არ უშვებდა კანონს ხალხთან და, პირიქით, თავის კანონთან — მშრომელს, თავისად თვლიდა ყველა სიკეთეს, ნაპატივები და ნებიერი, ანდა როგორი ჰქონდა იერი, სა[illegible]ის იერი, ვით ბარიერი“.. .ასევე საინტერესოა ამ ავტორის ლექსები „ხეები“ და „გზები“.

ჯემალ შონია მიმართავს როგორც ვერლიბრს, ასევე კონვენციურ ლექსს. ჩვენი აზრით, მისი პოეტური შესაძლებლობანი რითმიან ლექსში უფრო მჟღავნდება; აქ იგი უფრო თავისთავადი და დაწმენდილია: „მომევლინება მერე სხვა დილა, სულ სხვა სიმდიდრე, სხვა ოქრო-ვერცხლი. ვთიბე ორმოცი აგვისტოს თივა, -- შენ წაუკიდე ერთბაშად ცეცხლი“.

მშვენიერი საჩუქარი უძღვნა „რიწამ“ ტერენტი გრანელის პოეზიის მოყვარულებს (პუბლიკაცია რედაქციას მიაწოდა ლერი ალიმონაკმა). პოეტის ლექსებს წინ უძღვის გელა მამფორიას პატარა, მაგრამ საქმის ცოდნითა და სიყვარულით დაწერილი წერილი „სული გაფრინდა თეთრი მტრედივით“... ამ წერილში არის ასეთი ადგილი: „რა ძნელია სანთელივით გაჩერება“, — წერს ერთ მინიატურაში ტერენტი გრანელი. ჭეშმარიტად, ძნელია ხელოვანისათვის პოეზიის საკურთხეველზე სანთელივით დგომა და წვა. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ტერენტი გრანელი ფანატიკური ერთგულებით იდგა და იწვოდა პოეზიის საკურთხეველზე, რომელზეც დღესაც ბრწყინავს „დათოვლილი სანთლის“ მშვენიერი ნაღვენთი — პოეტის უნაზესი ლირიკა, მისი მოუსვენარი სულის სევდიანი მელოდია“. ჩვენ ამ სიტყვებს აღარაფერს დავუმატებთ. მკითხველი კიდევ ერთხელ შევა ტერენტი გრანელის სამყაროში, როგორც ტკივილის ქვებით აშენებულ უწმინდეს ტაძარში, სადაც თითოეული ყვავილი და ეკალი პოეტის ტანჯვის შუქითაა გასხივოსნებული: „მოდის ქარი და ცხოვრებაჯვარცმა და მე ახლა სხვა ოცნებას ვხედავ.

---

ვაჟა ხორნაული

„რიწა“ მკითხველის იმედს ამართლებს

ჩემი სევდა ვერ გაიგო კაცმა და გავმართე საუბარი ხესთან. ჩემს გარშემო შუაღამე დაწვა და სიზმარში ანგელოზი ვნახე. ირგვლივ ვხედავ პაპიროსის ნამწვავს, ირგვლივ ვხედავ ქაღალდების ნახევს. რა ვქნა, ისევ სიცოცხლეზე ვდარდობ. ამაღამაც დათარეშობს ქარი. მე ოთახში დავიმალე მარტო და შიგნიდან ჩავიკეტე კარი“.

ალმანახში დიდი ადგილი აქვს დათმობილი თარგმანებს. მრავალმხრივაა წარმოჩენილი აფხაზეთის ლიტერატურული ცხოვრება. კიდევ ერთხელ ვრწმუნდებით გიორგი ნიშნიანიძის, როგორც მთარგმნელის, ნიჭიერებაში, მის მთარგმნელობით ოსტატობაზე და ნაყოფიერებაზე ბევრი თქმულა და დაწერილა. ამჯერად მან შესანიშნავად თარგმნა ბაგრატ შინქუბას ლექსები, რომლებშიც თანაბრად იგრძნობა წარსულისადმი პატივისცემა თუ ჩავლილი დროისა და დღევანდელობის ურთიერთკავშირი: „ქვეყნად რომ არ დავრჩე საწყლად, მტერმა რომ არ დამცეს უცებ, ჩემი მამა-პაპის ფაცხა დგას და ყველა დელგმას უძლებს. თავზე კვამლის ლურჯი თივა, ვით ნამუსის ქუდი, ადევს, შევდივარ და გამოვდივარ — რაღა მომკლავს სიკვდილამდე?!“

დიდი შემოქმედის ერთი ლექსიც საკმარისია იმისათვის, რომ საოცარ სამყაროს ვეზიაროთ. ალმანახში დასტამბულია რაინერ მარია რილკეს „მეშვიდე ელეგია“ (ციკლიდან „დუინური ელეგიები“), რომელშიც ვხედავთ, თუ რა ლამაზი სულიერი განძი მოაქვს გერმანელ პოეტს სამყაროსეული იდუმალების მხარეებიდან: „ნუ გეგონებათ, რომ ბედისწერა მეტია, ვიდრე სიყმაწვილის შრეთა სიმკვრივე. თქვენ კი რა ხშირად გადაგისწრიათ მიჯნურისათვის, გულამოვარდნილთ, ნეტარ სროლისას, სიარაფრისკენ რომ მიილტვოდით, ღია სივრცეში“ (გერმანულიდან თარგმნა ლულუ დადიანმა).

რუსი პოეტების: ალექსანდრე ბლოკის, ვლადისლავ ხოდასევიჩის, ნიკოლაი გუმილიოვის, იგორ სევერიანინის, მაქსიმილიან ვოლოშინის, მარინა ცვეტაევას, სერგეი გოროდეცკის ლექსები უთარგმნია ოთარ მიქაძეს. ყველა ლექსი ერთნაირი სიძლიერით არაა თარგმნილი, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ეს თარგმანები მაინც განგვაცდევინებენ რუსული პოეზიის ხიბლს.

რენე კალანდია არ ერიდება ძნელად სათარგმნელ პოეტებს. ასეთ პოეტად ითვლება თანამედროვე ესტონეთის აბსურდული ლიტერატურის საინტერესო წარმომადგენელი ანდრეს ეჰინი, რომლის უცნაურ, ჭეშმარიტი პოეზიის მშვენიერებით აღბეჭდილ ლექსებსაც გვთავაზობს „რიწა“. ჩვენი აზრით, რენე კალანდიამ ხანგრძლივი დაკვირვების შემდეგ გაითავისა და ქართველ მკითხველსაც დაანახა ის თავისებურებანი, რაც ანდრეს ეჰინის პოეზიისთვისაა დამახასიათებელი; ანდრეს ამბობს, რომ, მართლაც, ძალზე ორიგინალური ხელწერის პოეტია, ამის საილუსტრაციოდ ეს პატარა ლექსიც იკმარებს; „დაღვრემილი თევზი მიცურავს ჰაერის ჭავლში, ავრცელებს წყვდიადს. მას კი უეცრად ჩააგდებენ და ტენიან ზეცის ფსკერში — ცოდვილ მიწაზე, სადაც ვსეირნობთ ჩვენ, ხელებში გვიჭირავს მძიმე პორტფელები და ქოლგები. წყვდიადი ხდება ჩვენი ალაფი. ჩვენ ქებას ვუძღვნით უფალს“.

ნიკოლოზ კვიწინიას ლექსებში (აფხაზურიდან თარგმნა გენო კალანდიამ) ვხედავთ ადამიანის შინაგან მღელვარებას, დროის წარმავალობის მტკივნეულ განცდას და სამყაროსთან, ბუნებასთან სიახლოვით დაბადებულ აღფრთოვანებას.

მკითხველს უთუოდ დააინტერესებს ჯუმა ახუბას მოთხრობა „სიზმარი“ (აფხაზურიდან თარგმნა ანა წვინარია-აბრამიშვილმა), რომელშიც მწერალი მსუბუქი იუმორით გადმოგვცემს რედაქციის ლიტმუშაკისა და პენსიონერი მწერლის გულისამაჩუყებელ ამბავს.

მწარეა სამშობლოდან შორეთში გადაკარგული ადამიანის ყოფა, მისი ძილი გატეხილია და ცხადი — ნაღვლიანი, მას არ ასვენებს შორეული ფესვების ძახილი. მარადიული სიბრძნე ღაღადებს სირიაში მცხოვრები აფხაზის ბაგით: „შვილო, ადამიანი სულით ყრუ არ უნდა იყოს და მუდამ უნდა ახსოვდეს მისი ფესვები“... სწორედ ამ ფესვების მაგიური ძალა და ცხრა მთას გადაღმა დარჩენილი მამულის მონატრება ისმის ალექსი არგუნის მოთხრობიდან „ატმის კურკა“ (აფხაზურიდან თარგმნა მზია გელაშვილმა).

ინტერესით იკითხება ივანე გაგუას მოთხრობა „კვარცხლბეკი“ (რუსულიდან თარგმნა გიორგი მაჭუტაძემ), მკითხველს დიდხანს ჩარჩება მეხსიერებაში „ბრინჯაოს პეტრარკას“ თავგადასავალი, დიმტროსა და ლუიზას ტრაგიკული ბედი თუ უმწეო ბერიკაცის, უხორცო არსებასავით მოარული ისტორიკოსის სიტყვები: „ყველაფერს, რაც იწყება, დასასრული აქვს“...

ძალზე საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ ალმანახი „რიწა“ სამოცდათხუთმეტი წლის შემდეგ პირველად ბეჭდავს რიწის ტბასთან დაკავშირებულ ლეგენდებს, რომლებიც „გაგრის გაზეთში“ 1913 წელს გამოაქვეყნა უცნობმა მკვლევარმა „მგზავრის“ ფსევდონიმით (პუბლიკაცია მოამზადა სტანისლავ ლაკობამ, რუსულიდან თარგმნა მარი ულენტმა). ეს არის უაღრესად მნიშვნელოვანი მასალა, რომლითაც მდიდრდება ჩვენი სულიერი საგანძური.

ალმანახი „რიწა“ ითვალისწინებს თანამედროვე მკითხველის დონეს, მის მდგომარეობას;

ეროვნული ბიბლიოთეკა

იგი უმეტესწილად ისეთ ნაწარმოებებს გვთავაზობს, რომლებიც ადამიანს შინაგანად ამშვიდებენ და ამაღლებენ, რაც ასე საჭიროა დღევანდელ დღეს — სამყაროს პირველყოფილი მშვენიერების მონატრების ხანაში; ალბათ, სხვა მიზეზებთან ერთად, ამ გარემოებითაც აიხსნება ფრანსის ბეკონის ესეების გამოქვეყნება (ინგლისურიდან თარგმნა გია ჭუმბურიძემ). ცხოვრების დიდ სიბრძნეს ნაზიარები და ამ სიბრძნის თავისებურად, ნათლად გადმოცემის ნიჭით დაჯილდოებული შემოქმედია ფრანსის ბეკონი; დღევანდელი, განათლებული მკითხველის გაოცება ძნელია, მაგრამ, როდესაც იგი ფრანსის ბეკონის ნააზრევს ეწაფება (სულ ერთია, რაზე გვესაუბრება მწერალი: სიკვდილზე, შურისგებაზე, ჯანმრთელობაზე, იჭვნეულობასა თუ მშვენიერებაზე), აღტაცებულია და, უბრალოდ, უხარია, რომ ადამიანის თვალსა და გონებას ასეთი სიმაღლეების წვდომა შეუძლია.

უდროოდ გარდაცვლილი ნიჭიერი მწერლისა და პუბლიცისტის ზურაბ ნაყოფიას შემოქმედებაზე გვესაუბრება ევგენი აქუბარდია წერილში „ხსოვნის ბილიკები". ზურაბ ნაყოფიამ ბევრის გაკეთება მოასწრო; ამას რომ ვამბობთ, ვგულისხმობთ მის მოთხრობებს, რომანს „პირველი სიყვარული", ნაწყვეტს დაუმთავრებელი რომანიდან „ნაკიფუ", „ნარკვევების... ევგენი აქუბარდია იგონებს, თუ როგორი მაღალი შეფასება მისცეს ზურაბ ნაყოფიას რომანს „პირველი სიყვარული" ქართველმა მწერლებმა დემნა შენგელაიამ და აკაკი ბელიაშვილმა. მით უფრო გულდასაწყვეტია სიკვდილი ნიჭიერი კაცისა, რომელსაც ბევრი ჩანაფიქრი დარჩა განუხორციელებელი...

მიუხედავად იმისა, რომ წერილებისა და რეცენზიების განყოფილებას მცირე ადგილი აქვს დათმობილი, იგი მაინც სასიამოვნო შთაბეჭდილებას ტოვებს. ვლადიმერ წვინარიას წერილში „ნიკოლოზ ბარათაშვილი აფხაზურად" (აფხაზურიდან თარგმნა გიორგი ამიჩბამ) ხაზგასმითაა აღნიშნული ის წვლილი, რაც ბაგრატ შინქუბას მიუძღვის ქართული პოეზიის აფხაზურ ენაზე თარგმნაში. წერილის ავტორი სამართლიანად აღნიშნავს, რომ ბაგრატ შინქუბას მიერ აფხაზურად ამეტყველებული ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეზია აფხაზი ხალხისათვის დიდი კულტურული შენაძენია: „ჩვენ მივიღეთ თვალის ჩინივით გასაფრთხილებელი, მეტად გამორჩეული, საამაყო, აფხაზური პოეზიის განვითარების ხელშემწყობი წიგნი".

ვიანორ ფაჩულია წერილში „ლიხნის ტაძრის საიდუმლო" (აფხაზურიდან თარგმნა იზა კიკაბიძემ) ლიხნის ტაძრის — ერთ-ერთი უმნიშვნელოვანეს საკულტო ნაგებობასთან დაკავშირებით აღნიშნავს (ტაძარი აგებულია X-XI საუკუნეების მიჯნაზე): „მეცნიერ-მკვლევართა და რესტავრატორთა მზრუნველი ხელი სჭირდება დადუმებულ კედლებს — თავის მდუმარებაში ბევრის აღმთქმელსა და მომცემს".

„ო, აფხაზეთო ჩემო, შენი უძველესი სახელი — აფსნი ჟღერს, როგორც ძახილი შორეული და ახლობელი, როგორც ექო, როგორც ფოთოლთა შრიალი, როგორც ტკბილი მოგონება... ო, აფხაზეთო, დედაო ჩემო!" — ეს სიტყვები ეკუთვნის ას წელს მიტანებულ მოხუცს, პირველ აფხაზ პროფესიონალ მხატვარს ალექსანდრე ჩაჩბა-შერვაშიძეს, რომელმაც სიცოცხლის უდიდესი ნაწილი შორეთში გაატარა, რომელმაც, ნოსტალგიით ასე დაღლილმა და გატეხილმა, თქვა გამაოგნებელი ტკივილის შემცველი სიტყვები: „მესიზმრა: სამშობლოში მიმასვენებდნენ"... მოხუცმა მხატვარმა სამშობლოს, როგორც უძვირფასესი განძი და უმშვენიერესი სახსოვარი, უძღვნა ხუთასამდე ნამუშევარი. ალექსანდრე ჩაჩბა-შერვაშიძის შემოქმედებაზე, სამშობლოს წყურვილში გალეულ მის სიცოცხლეზე მოგვითხრობს ბიძინა ღოღობერიძე წერილში: „მესიზმრა, სამშობლოში მიმასვენებდნენ" (პუბლიკაცია მოამზადა გულიადა ჭკადუამ).

ანდრო ჟვანიას „ოქროს დილა", ჯანო ჯანელიძის „ფერისცვალება", ნოდარ ხუნდაძის „ცისარტყელას დაბადება" და რენე კალანდიას „ნერვიული ქვაფენილი" — აი, ის ახალი წიგნები, რომელთაც მოკლედ, უმთავრეს თვისებებზე და ტენდენციებზე ყურადღების გამახვილებით ახასიათებს ბადრი ჯინჯოლია. ვინც ჯანო ჯანელიძის პოეზია იცნობს, დაეთანხმება ბადრი ჯინჯოლიას აზრს, რომ იგი ყოფნაარყოფნაზე ჩაფიქრებული პოეტია, „რომელსაც ბევრი რამ უნახავს, განუცდია, ყოფიერების არსზე თავისი შეხედულება შეუმუშავებია"... რეცენზენტი კარგად გრძნობს რენე კალანდიას პოეზიის თავისებურებას, მის პოეტურ სამყაროსა და პრინციპებს, მის მაძიებელ, მიღწეულით დაუკმაყოფილებელ ბუნებას. ბადრი ჯინჯოლიას რეცენზიაში, მიუხედავად მისი მცირე მოცულობისა, შეძლებისდაგვარად ზუსტად და ლოგიკურადაა ახსნილი ის თავისებურებანი, რომლებითაც გამოირჩევიან მხცოვანი პოეტის ანდრო ჟვანიას დრამატული პოემები („ოქროს დილა", „ამირანი") და ნოდარ ხუნდაძის რომანი „ცისარტყელა", რომელიც 30-50-იანი წლების ვითარებას ასახავს.

„რიწის" ახალი ნომერი მრავალმხრივ არის საინტერესო. სასურველია, მან მომავალში გარკვეული ადგილი დაუთმოს ახალგაზრდა მწერლებსაც; ასევე სასურველია, რომ მის ფურცლებზე ვიხილოთ პუბლიცისტურად მწვავე, დროითა და გარემოებით ნაკარნახევი, მტკივნეული პრობლემების წარმომჩენი მასალები; ალმანახის დონე და პოზიცია ისეთია, რომ ამ მხრივ იგი უთუოდ იტყვის თავის სათქმელს. ამას გვაფიქრებინებს მისი ლიტერატურული სახე; გზა, რომელიც არცთუ ისე დიდი ხნის წინათ დაიწყო, ლამაზად გრძელდება და უფრო საინტერესო შეხვედრების იმედს გვიტოვებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამირან გომართელი

# რუსული ფილოსოფიის გამოძახილი უახლეს ქართულ პროზაში

«Спасибо, что Вы полюбили не меня, а мое», — ეს სიტყვები დიმიტრი მერეჟკოვსკიმ — პოეტმა, ბელეტრისტმა, ფილოსოფოსმა — ნიკოლოზ ბერდიაევს მისწერა. ეს იყო მადლობა არა პიროვნული სიყვარულისათვის, არამედ შემოქმედებითი თანამოაზრეობისათვის. თანამოაზრე კი მერეჟკოვსკისათვის გაცილებით მეტს ნიშნავდა ვიდრე მოწაფე ან მიმდევარი — „მე არ მსურს მყავდეს მიმდევრები, მოწაფეები. მადლობა ღმერთს, რომ არ მყავს და იმედი მაქვს არც არასოდეს მეყოლება ისინი. მე ვისურვებდი მხოლოდ თანამგზავრებს...“ იოლი მისახვედრია, რომ ამ სიტყვების ავტორი „თანამგზავრებში“ თანამოაზრეებს გულისხმობდა.

ერთ-ერთი ასეთი თანამოაზრეთაგანი დიმიტრი მერეჟკოვსკის საქართველოშიც ჰყავდა — ვასილ ბარნოვი. ოღონდ ამ თანამოაზრეობის შესახებ მერეჟკოვსკის არასოდეს სმენია. ვ. ბარნოვს, ბერდიაევივით, არც მიმოწერა ჰქონია მასთან და ვერც ჩვენი მწერლის ლიტერატურულ წერილებში იპოვით პირდაპირ მითითებას მერეჟკოვსკიზე ან მის თანამოაზრე რომელიმე რუს ფილოსოფოსზე, XX საუკუნის დასაწყისში საკმაოდ დიდი გავლენა რომ მოახდინეს არა მარტო რუსულ ლიტერატურაზე, არამედ, საზოგადოდ, ევროპულ ფილოსოფიურ აზროვნებაზე. ვ. ბარნოვის მსოფლმხედველობრივი თანამოაზრეობა რუს რელიგიურ ფილოსოფოსებთან, ე. წ. „ბოგოისკატელებთან“, მისი შემოქმედების სიღრმეშია საძიებელი. სამწუხაროდ ქართულ ლიტერატურათმცოდნეობას ამ საკითხისათვის ჯეროვანი ყურადღება არ მიუქცევია. მხოლოდ იპოლიტე ვართაგავამ აღნიშნა ერთხელ „ბოგოისკატელებთან“ ვ. ბარნოვის მსოფლმხედველობრივი კავშირის შესახებ („გალაკტიონ ტაბიძის ჟურნალი“, 1922 წ. № 1).

„ახალი რელიგიური ცნობიერება“ (ასეც უწოდებენ „ბოგოისკატელობას“) XIX საუკუნის დასასრულსა და XX-ის დასაწყისში ჩამოყალიბდა. იგი ვლადიმერ სოლოვიოვიდან (1853-1900) იღებს სათავეს. ვ. სოლოვიოვმა დასახა გზები ქრისტიანობის განახლებისა და გააქტიურებისა. ვ. სოლოვიოვის გარდაცვალებიდან 2-3 წლის შემდეგ სწორედ მის იდეებს დაეყრდნობა და საბოლოოდ გაფორმდება ახალი მიმართულება რუსული აზროვნების ისტორიაში.

„ბოგოისკატელობას“ საფუძვლად, უპირველეს ყოვლისა, ქრისტიანობის გადარჩენის წადილი უდევს. ეს მიზანი არამც თუ გამოსჭვივის „ბოგოისკატელთა“ ნააზრევში, არამედ არაერთგზის შეხვედებით მის აშკარა გაცხადებასაც: „რომ არ ყოფილიყო ეს საშინელი რელიგიური ცინიზმი ევროპაში, მე, ალბათ, მთელი ცხოვრება წყნარად ვიდგებოდი ანთებული სანთლებით ხელში და მექნებოდა მხოლოდ ქრისტიანული (მართლმადიდებლური) სათნოების განცდა“, — წერდა გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე ვ. როზანოვი მეგობარს (1,30). დ. მერეჟკოვსკიც ახალი რელიგიური ცნობიერების მიზანდასახულობას შერყეული ქრისტიანული რწმენის დამკვიდრებაში ხედავდა: „მომავალი ქაოსის, „უნიადაგობის აპოთეოზის“, სტიქიური შეუგნებლობისა და ურწმუნოებისაგან მხოლოდ ახალი რელიგიური ცნობიერება, დოგმატის ახლებური გაგება თუ გვიხსნის“ (2, 15, 108).

„ბოგოისკატელები“ სახარებისეული ქრისტიანობისაკენ მიბრუნების მოთხოვნით გამოდიან, რადგან მიაჩნიათ, რომ საეკლესიო მოძღვრებამ შთაკლა და დაივიწყა ადამიანი, შეცვალა რა ანთროპოსოფია — უმთავრესი არსი ქრისტიანობისა — ღვთისმეტყველებით. ისტორიულმა ქრისტიანობამ თანდათან არა მარტო მიუღებლად აქცია ამქვეყნიური, მიწიერი იდეალები, არამედ ყველანაირად შეეცადა მათ აღმოფხვრას ასკეტიზმის ქადაგებითა და უმკაცრესი დოგმატიკით. ყოველივე ეს რუსი რელიგიური მოდერნისტების აზრით სქოლასტიკური დანამატი იყო და არაფერი ჰქონდა საერთო პირველქმნილ («Первозданное», «Первобытное»), შეურყვნელ, ახალიაღთქმისეულ ქრისტიანობასთან. ასე მიიმართა „ბოგოისკატელების“ კრიტიკის მახვილი ისტორიული ეკლესიის, როგორც სოციალური ინსტიტუტისა და მის მიერ შემუშავებული ქრისტიანული დოგმატიზმისა და სქოლასტიკის წინააღმდეგ. როგორც ვ. როზანოვის შემოქმედების მკვლევარი ე. გოლლერბახი აღნიშნავს „როზანოვი შეუპოვარ ანტიპათიას გრძნობდა ყოველგვარი დოგმატიზმისადმი“ (3, 71). ვ. როზანოვის აზრით, სწორედ მკაცრმა კანონისტიკამ და დოგმატურობამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაბუნდოვანა და ჩამუქა მაცხოვრის ნათელმოსილი იერი (ამიტომ ჰქვია მის ერთ-ერთ თხზულებას „ჩაბნელებული სახე“ — **«Темный лик»**).

ვასილ ბარნოვიც აშკარა წინააღმდეგია დოგმატებში მოქცეული, საეკლესიო კანონისტიკით შემოსაზღვრული ქრისტიანობისა. ამ თვალსაზრისს იგი მკაფიოდ და გარკვევით აყალიბებს მხატვრულ თხზულებებში — „ის (იგულისხმება შუა საუკუნეების ქრისტიანობა — ა. გ.) აღარ იყო აღფრთოვანებული სარწმუნოებრივი ცეცხლით. ქრისტიანობას უკვე გაევლო აღტყინების ხანი, მიეღო სახე უძრავი სჯულის დებაში, დაწმენდილიყო კანონთ კრებებში, შემოეფარგლა თავის სამზღვრები, აღსრულებასღა მოითხოვდა აწ, მორჩილებას განაწესებდა“ (4, 5, 191).

„ბოგოისკატელები“ ქრისტიანობის გადარჩენის მიზნით მის რეფორმაციასა და ლიბერალიზაციას ცდილობენ. აქედან მოდის ადამიანის ამქვეყნიურ მისწრაფებებსა და მის ღვთაებრივ, ზეციურ მოვალეობას შორის გამთიშველი უფსკრულის ამოვსების მცდელობა, რაც კონკრეტულად წარმართობისა და ქრისტიანობის სინთეზში გამოიხატა.

„არსებობს ორი ჭეშმარიტება: ქრისტიანობა — ზეციური ჭეშმარიტება და წარმართობა — ჭეშმარიტება მიწიერი, — წერდა დ. მერეჟკოვსკი თავისი თხზულებების პირველი ტომის წინათქმაში და დასძენდა, რომ არსი რელიგიური ჭეშმარიტებისა მომავალში ამ ორი ჭეშმარიტების შერწყმაშია“. თუმც ორივე ჭეშმარიტება ზეციურიც და მიწიერიც უკვე შერწყმულია იესო ქრისტეში, მხოლოდშობილ ღვთის ძეში“ (2, 1, V). ასე რომ ზეციური და მიწიერი ჭეშმარიტების გათიშვა ისტორიული ეკლესიის მიზეზით მოხდა და მიზანი მათი ხელახალი შერწყმაა, „სინთეზირებაა“, როგორც მერეჟკოვსკი ამბობს.

ვ. ბარნოვის მსოფლმხედველობის უმთავრესი თავისებურებაც წარმართობისა და ქრისტიანობის მორიგებაა. იგი თითქოს ხიდს დებს ორ სამყაროს — წარმართულსა და ქრისტიანულს — შორის. ვ. ბარნოვის აზრით, ქართულ წარმართობაში, რომელსაც იგი „ნათელთა თაყვანისცემას“ უწოდებს, მკაფიოდაა გამოვლენილი ამქვეყნიური ცხოვრებით ტკბობა. ქართული წარმართობა, ჩვენი მწერლის სიტყვით, „აწმყო ცხოვრებისა, სხეულთა სიმშვენიერისა, მიმზიდველის სიყვარულ-სიხარულისა, ქვეყნიურის არსებობის ყოველგვარი სამკაულისა“ და ლხენის რელიგიაა (4, 10, 92).

ამქვეყნიური ლხენითა და სიამით ტკბობას ხედავს ვ. ბარნოვი პირველქმნილ ქრისტიანობაშიც — „ქრისტიანობაც, პირველყოფილი ქრისტიანობა სქოლასტიკისაგან ხელშეუხებელი და შეურყეველი თავის ძირითად დებულებებში უარს არა ჰყოფდა ნათელთა თაყვანისცემის საფუძვლებს მხიარულთ“ (იქვე).

უნდა ითქვას, რომ სოფლისა და ზესთასოფლის გამთიშველი უფსკრულის ამოვსებაში ვ. ბარნოვს ქართული აზროვნების ტრადიციაც უმაგრებდა ზურგს. იგი ის კაცია, რომლის მხატვრული აზროვნებაც რუსთაველის რენესანსულ თეზისს ეყრდნობა — „ვისთვის ჰკვდები, ვერ მიჰხვდები, თუ სოფელსა მოიძულებ“.

„ბოგოისკატელთა“ მოდერნიზებული რელიგია უარს ეუბნება ასკეტიზმს, მონაზვნობას, ამქვეყნიური სინამდვილიდან გაქცევას. როზანოვისეული კრიტიკა ასკეტიზმისა იმდენად მძაფრია, რომ იგი სარკასტულად ხუმრობს ქრისტიანული ქორწინებითი სამართლის ნორმაზე —მეოთხე ქორწინების დაუშვებლობის შესახებ, მაშინ როცა, მისი სიტყვით, მეუდაბნოე ბერები ფრინველებთან და ცხოველებთან თანაყოფით იმაყოფილებდნენ ვნებას (5, 33). ანტიასკეტური სულისკვეთებითაა გამსჭვალული დ. მერეჟკოვსკის ტრილოგიაც „ქრისტე და ანტიქრისტე“.

ვ. ბარნოვის შემოქმედებაშიც აშკარად იკვეთება ანტიასკეტური სულისკვეთება. ამის ნიმუშად მარტოოდენ „ტრფობა წამებული“ იკმარებდა; გრიგოლ ხანძთელისა და დედათა მონასტრის წინამძღვრის — თებრონიას მოქმედება ადამიანის ამქვეყნიურ მისწრაფებათა წინააღმდეგაა მიმართული. მონაზონნი ხორციელი წადილის დათმობას მოითხოვდნენ სულის სალხენად.

„ბოგოისკატელების“ მიხედვით, პირველქმნილი ქრისტიანობა არამცთუ ხორციელი წადილის დათმობას მოითხოვს, არამედ მათ ნათელქმნილი, გასპეტაკებული „ხორცი“ სულიერების რანგში აჰყავთ. დ. მერეჟკოვსკი ლაპარაკობს „სულიერ ხორციელებაზე“ (**«Духовная плоть»**), როგორც განვითარების საბოლოო მიზანზე (2, 12, 264).

ვ. ბარნოვის თვალსაზრისი საოცარ თანხმიერებაშია მერეჟკოვსკის ნააზრევთან: „სული, სული, რა იცით, რომ სული იგივე ხორცი არ არის, „მხოლოდ წმინდა, გასპეტაკებული, ჰაეროვანი, გამშვენებული, ნათელქმნილი?“ (4, 2, 83).

ვ. ბარნოვთანაც საბოლოო მიზანი მძიმე და ბნელი მატერიის სრულქმნაა („მძიმეა და ბნელი პირველარსი მატერია“, — წერდა ბარნოვი). ამ სრულქმნასა და განვითარებას კი, „ამ უძლეველ წარმოშობას და მოსპობას, სიკვდილსიცოცხლეს საკუთარი ჰაზრი სტანჯავს“ და ეს მანამ, „სანამ ისე ჰაეროვნად შეიქმნება ნივთიერება, რომ ძალას შეიმოსს უცვალებლად წარმოშობის პირველსახენი, მაშინ მოისპობა დაშლა, სიკვდილი და გამეფდება სანეტარო არსებობა უცვლელ-უხრწნელი“ (4, 7, 124).

ვ. ბარნოვის ეს „არსებობა უცვლელ-უხრწნელი“ თუ „ნათელქმნილი ხორცი“ ფაქტიურად

იგივეა, რაც ვ. სოლოვიოვის «Святая телесность» თუ «Нетленное тело», ან დ. მერეჟკოვსკის «Духовная плоть». და ამ ზეაღმავალ, ღვთაებრივ გზაზე რუსი რელიგიური ფილოსოფოსებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სიყვარულს.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ სიყვარულის ღვთაებრიობის იდეა ყველაზე დიდი დებულება ქრისტიანობისა და უმთავრესი ადგილი უკავია ყველა ქრისტიან მოაზროვნესთან. იგი დასაბამს ახალ აღთქმაში იღებს. იოანე ღვთისმეტყველი გვასწავლის „სიყვარული ღვთისაგან არს... რამეთუ ღმერთი სიყვარული არს“ (იოანეს I ეპისტოლე, 4, 7-8). რუსი რელიგიური ფილოსოფოსების ნააზრევშიც დიდი ადგილი უკავია სიყვარულის ღვთაებრიობის იდეას. ვ. სოლოვიოვისათვის სიყვარულის აქტის მეშვეობით ადამიანი არა მარტო თავისუფლების ობიექტურ რეალიზებას ახდენს, არამედ მას სუბიექტურადაც შეიგრძნობს; სიყვარულის მეშვეობით იქცევა ადამიანი მეკავშირედ ღვთაებრივსა და მიწიერ საუფლოს შორის.

ვ. ბარნოვი ასე იწყებს აკაკი წერეთლისადმი მიძღვნილ წერილს: „კაცობრიობაშიც ხორციელდება იგივე შეუსაზღვრელი სიყვარული, რომელიც ისწრაფვის საცნაურ იქმნას მთელ სამყაროში“ (4, 10, 50). მაგრამ ეს „მოქმედი ძალა“ (სიყვარული) მხოლოდ ადამიანშია გაცნობიერებული და სწორედ ისაა „მოწოდებული ცნობიერად და შეგნებულად აწარმოოს მოქმედი სიყვარული... მძლავრად წარუძღვეს ქმნილებათა კრებულს ბედნიერებისაკენ“ (იქვე). აქაც, არსებითად, ისევე მოიაზრება ადამიანის მისია, როგორც ვ. სოლოვიოვთან. ისიც უნდა ითქვას, რომ ვ. სოლოვიოვისაგან განსხვავებით „ბოგოისკატელებმა“ ყურადღება უფრო მეტად სიყვარულის გრძნობად-სექსუალურ ასპექტზე გაამახვილეს. ეს განსაკუთრებით ვ. როზანოვზე ითქმის. თუ სოლოვიოვი მარადქალურობის იდეას მარიამის ქალწულებრივ უმანკოებაში ხედავდა, როზანოვი, ვიტყვით ე. გოლლერბახის სიტყვით, ამას იზიდასა და ასტარტეში ეძიებდა. სოლოვიოვი „მარადიულ დობილთან“, ღვთისმშობელთან პაემანზე ოცნებობდა (ეს თემაა გაშლილი მის პოემაში „სამი შეხვედრა“) და შორეულ ლაჟვარდს თვალებმიპყრობილი სასოებით ელოდა მას აფრიკის მცხუნვარე უდაბნოში, როზანოვი კი თავისი სულიერი წინამორბედისაგან განსხვავებით ქალს თუ არა, ძროხის ჯიქანს მაინც ნატრობდა (ამგვარი სურვილი გაუმხელია მას ერთ-ერთ ბოლო წერილში გოლლერბახისათვის). ბავშვის შობა სახიერება, ხოლო სქესობრივი თანაყოფა ბოროტება — აი, ის ანტინომია, რომლის წინააღმდეგაც აღსდგა როზანოვი.

ვ. ბარნოვი როზანოვივით არ მისულა ვნებით აღსავსე ხორციელ მისწრაფებათა გაღმერთებამდე, მაგრამ მანაც წინ წამოსწია სიყვარულის გრძნობად — სექსუალური ასპექტი. ამქვეყნიური სიყვარულიც ღვთაებრივი სიყვარულის ნაწილად მოიაზრება ვ. ბარნოვთან. „მიმქრალი შარავანდედის“ ავტორის აზრით, სიყვარულის მეშვეობით პიროვნების გაზნესრულება, ღვთის ხატების აღდგენა ხდება. ამისი აუცილებელი პირობა კი ცოდვით დაცემამდელი პირველადამიანის, ე. წ. ადამ-კადმონის ბისექსუალური (ანდროგინული) ბუნების აღდგენაა. დაკარგული ანდროგინიზმი კი სქესობრივი სიყვარულის მეშვეობით ხორციელდება, რომელიც აერთებს ოდესღაც ერთარსებად მყოფ მიჯნურთ: „მიჯნურნი მთლად ერთარსებას წარმოადგენენ ქვეყნად ჩენამდინ. იყოფიან განკაცების ჟამს ქალად და ვაჟად. ცხოვრებაში იგი ორი ნახევარი ეძებს ერთმანეთს“, — ნათქვამია რომანში „დედოფალი ბიზანტიისა“. ამგვარ შეწყვილეებს „მოცალეებს“ უწოდებს მწერალი: „კიდევ იცოცხლებს მისი არსება მის ც ა ლ ი ს სულში განსახებული“ (4, 5, 165). ეს ტერმინადქცეული სიტყვა — „მოცალე“, ვ. ბარნოვს რუსთველიდან აქვს აღებული („მიჯნურსა... მართებს... სიუხვე, სიყმე და მ ო ც ა ლ ე ო ბ ა“).

ვ. ბარნოვის პერსონაჟთა ამქვეყნიური ცხოვრების მიზანი ძალზე ხშირად ამგვარ მოცალე (მეწყვილე) სულთა ძიებაა. ასე ეძებენ და უხმობენ ერთმანეთს მწერლის თხზულებებში მიხაკო და ქეთეთო, ოთარი და გულნაზი, აშოტი და შუქია... ასე მიილტვიან ისინი დაკარგული ანდროგინიზმისაკენ. „ანდროგინული ხატის ამგვარ განაწამებ ძიებაში მდგომარეობს სიყვარულის მთელი ტრაგედია“ (6, 208), — გეგონებათ ვ. ბარნოვის ტანჯული გმირების ბედი გაიაზრაო, ისე იტყვის „ბოგოისკატელთა“ სხვა ცნობილი წარმომადგენელი ნიკოლოზ ბერდიაევი.

ვ. ბარნოვის მხატვრულ ნააზრევში სიყვარულის უნივერსალურ კონცეფციასთან გვაქვს საქმე და იგი საზოგადოდ ყოველი არსის, ყოველი ქმნილების სიყვარულს გულისხმოს: „ადამიანის პიროვნებაში ჰფეთქავს მთელი არსის სიცოცხლე. იგი ცხოვრობს ერთსა და იმავე სიცოცხლით მთელ მსოფლიოსთან ერთად... სიყვარული ყოველი არსის, მასთან ძმური თანამშრომლობა“ (4, 10, 155); „ყოველ არსთა შორის დამყარებულია ბუნებრივი კავშირი განუკვეთელი“ (იქვე, 154). ეს „განუკვეთელი კავშირი“, რომელიც ყოველი არსის სიყვარულს ეფუძნება, არის სწორედ კოსმიური ჰარმონიის უმთავრესი პირობა, ან როგორც ნ. ბერდიაევი იტყოდა „სიყვარული ყოველთვის კოსმიურია, იგი კოსმიური ჰარმონიისათვის, ღვთაებრივი დანიშნულებისათვის არის საჭირო“ (6, 211).

ვ. ბარნოვისათვის რეალურსა და ხელოვნების მშვენიერებას შორის არ არსებობს პრინციპული განსხვავება, — ორივე კოსმიური მთლიანობის განუყოფელ ნაწილად მიაჩნია მწერალს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„სიმშვენიერე ნივთიერი და სულიერი... ყველგან და ყოველთვის სათაყვანებელია, სადაც და როდესაც უნდა გამოკრთეს იგი“ (4, 8, 72). ჩვენი მწერლის თეურგიული მრწამსის თანახმად, ხელოვანის წმინდა ვალი მშვენიერების, როგორც ღვთაებრივი გამოვლინების სამსახურში მდგომარეობს. მეტიც, ვ. ბარნოვის აზრით, ხელოვნება (მხატვრული შემოქმედება) დემიურგის მიერ დაწყებული საქმიანობის გაგრძელებაა: „შემოქმედმა შეუსაზღვრელმა, რა განისვენა საქმეთაგან სამყაროს შექმნისა, უწოდა რჩეულთ, აზიარა თვის შემოქმედ სულს და განუწესა... სრულ იქმნეს თქვენგან საუკუნეთ უწინარეს დაწყებული შემოქმედება!“ (4, 10, 418).

ვ. სოლოვიოვიც ადამიანურ შემოქმედებას მოიაზრებდა, როგორც ბუნების („მსოფლიო სულის“) მიერ დაწყებული შემოქმედების გაგრძელებას, განვითარებას. ეს თვალსაზრისი რელიეფურადაა გადმოცემული მისსავე მხატვრულ ნაწარმოებში, ლექსში „სამი გმირობა“.

მხატვრული შემოქმედება, როგორც დემიურგის მიერ დაწყებული საქმიანობის განგრძობა, ვ. ბარნოვისათვის, ამავე დროს, ღვთაებრივის წვდომის საშუალებაა — „საბოლოო მიზანი გონების დაუშრეტელი მილტოლვისა არის ჭეშმარიტება სრული, სიმართლე ღვთაებური, სინამდვილე ნათელი და სამარადისო“ (4, 10, 42). აქედან გამომდინარე, ჩვენი მწერლის მრწამსით, „სიტყვიერების სალაროში ღირსშესანიშნავია მხოლოდ ის ნაწარმოები, რომელსაც ცხადად ატყვია კვალი გარდუვალის ჭეშმარიტებისა, შეურყეველი კეთილისა და დაუჩრდილავი სიმშვენიერისა“ (იქვე, 53).

ამგვარი მრწამსი გარკვეულ შესატყვისობაშია მერეჟკოვსკის თვალსაზრისთან, რომლის თანახმად, ლიტერატურის მომავალი „ღვთაებრივ იდეალიზმშია“. სტატიაში — „დაცემის მიზეზებსა და ახალი მიმდინარეობის შესახებ თანამედროვე რუსულ ლიტერატურაში“ მერეჟკოვსკი მოითხოვს ახალი ლიტერატურული მიმართულებისაგან, რომ მან „ყოველდღიურობის სცენებშიც კი აღმოაჩინოს გამოცხადება ჩვენი სულის ღვთაებრივი მხარისა“ (7, 43), ანუ იმისა, რასაც ბარნოვი „გარდუვალ ჭეშმარიტებას, „შეურყეველ კეთილს“ და „დაუჩრდილავ სიმშვენიერეს“ უწოდებს.

მიუხედავად შეხედულებათა ამგვარი თანხვედრისა, არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ვ. ბარნოვი, ბუნებრივია, ყველა საკითხში არ მისდევს კვალდაკვალ „ბოგოისკატელებს“. ჩვენ მხოლოდ საერთო მომენტები აღვნიშნეთ, ეს კი, რა თქმა უნდა, ვ. ბარნოვს საკუთარი მხატვრული სამყარო და საკუთარი მწერლური ამოცანა აქვს, რომელიც, ძირითადად, ჩვენი მწერლის ღრმად ეროვნული მსოფლგანცდის გადმოცემას ემსახურება. არის მთელი რიგი საკითხებისა, რომელთა მოაზრებისას ჩვენი მწერალი ძალზე შორდება რუსულ რელიგიურ ფილოსოფიას. მაგალითად, საკუთარ ეთიკურ შეხედულებებს იგი მნიშვნელოვანწილად ანტიკური ეპოქის კორიფეთა ნააზრევს დააყრდნობს. ორფიკულ-პითაგორული რწმენის კვალობაზე განსწავლული პლატონის მსგავსად ვ. ბარნოვიც სულთა გარდასხეულებას (მეტემფსიქოზს) აღიარებს და თავის ეთიკურ მრწამსსაც ამაზე დააფუძნებს. ასევე, „ბოგოისკატელებისაგან“ განსხვავებით, ვ. ბარნოვისათვის საოცრად მახლობელია რჯულშემწყნარებლობის იდეა, ეს იდეა თავიდან ბოლომდე მსჭვალავს ჩვენი მწერლის მხატვრულ ნააზრევს. ვ. ბარნოვის ისტორიული მოთხრობის „სვიმონ ხელის“ პერსონაჟი — ზაქარია მოძღვარი ამბობს: „ყოველი სჯულის დედააზრი ერთი და იგივეა, ყველა ეს მოძღვრებანი თავიანთ არსებით ნაწილში ჰგვანან ერთმანეთს. ყველა ესენი აღიარებენ მიუწვდომელ არსებას, რომელიც არის შემოქმედი ყოველის და დასაბამი კეთილისა. თანაც ყველა მოძღვრება იმასა თხოულობს ქმნილებისაგან, რომ ის ზნეობით და მოქმედებით უახლოვდებოდეს ყოვლად სრულ შემოქმედს“ (4, 1, 82). ამგვარი ტოლერანტიზმით ვ. ბარნოვი მეტ საერთოს XIX საუკუნის დასავლეთ ევროპელ რელიგიურ მოდერნისტებთან (მაგალითად, ერნსტ რენანთან) პოულობს, ვინემ „ბოგოისკატელებთან“, მაგრამ ეს ცალკე მსჯელობის თემაა.

ასევე საგანგებო ინტერესის შემცველია ვ. ბარნოვის მიმართება რუსულ სიმბოლიზმთან. დ. მერეჟკოვსკი ითვლება რუსული სიმბოლიზმის აღიარებულ თეორეტიკოსად და პრაქტიკოსად. განსაკუთრებით სიმბოლისტთა უმცროსი თაობის (ე. წ. „თეურგების“) იდეურ წინამძღოლად. დ. მერეჟკოვსკის თეორიულმა შეხედულებებმა გარკვეული კვალი ვ. ბარნოვის, როგორც მწერლის, შემოქმედებით მეთოდსაც დააჩნია. ოღონდ ეს საკითხიც, ვ. ბარნოვის მიმართება სიმბოლიზმთან ცალკე მსჯელობის საგანია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## დამოწმებული ლიტერატურა


1. Розанов В. Письмо Э. Голлербаху от 9. V. 1918 — «Стрелец. Сборник третий и последний», Спб., 1922
2. Мережковский Д. Полное собрание сочинений, т. 1—24. М., 1914
3. Голлербах Э., В. В. Розанов (Жизнь и творчество). Спб., 1922
4. ვ. ბარნოვი, თხზულებანი ათ ტომად, თბ., 1961-1964.
5. Розанов В. Люди лунного света. Спб., 1911.
6. Бердяев Н. Смысл творчества, М., 1916
7. Мережковский Д. О причинах упадка и о новых течениях современной русской литературы. Спб., 1893

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიორგი მჭედლიშვილი

# საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოს პრობლემა

სამშობლო ქვეყნის ისტორიის შესწავლა საძირკველია მისი სიყვარულისა, ნამდვილი მამულიშვილობისა, ხოლო მამულის სიყვარული, მხურვალე ეროვნული გრძნობა კი უპირველესი პირობაა ქვეყნის ბედნიერებისათვის.

მიუხედავად იმისა, რომ არსებობს სხვადასხვა ფორმა და საშუალება ისტორიული ცოდნის მიღებისა, მათში მაინც ერთ-ერთი მთავარი და გადამწყვეტი ადგილი სასკოლო სახელმძღვანელოს უჭირავს, რადგანაც ის ფუძემდებლური იდეები, რომელიც უნდა იქცეს რწმენად და განსაზღვროს ახალთაობის დამოკიდებულება საზოგადოებრივი ცხოვრებისადმი, უპირველესად წარმოდგენილია ისტორიის სასწავლო სახელმძღვანელოებში, სწორედ ამიტომ. მათი მნიშვნელობა მეტად დიდია.

სასკოლო განათლების სისტემაში ისტორიის სწავლების განუწყვეტელი სრულყოფა მნიშვნელოვანი ნაწილია იმ მუშაობის, რომელიც ტარდება ჩვენი დღევანდელობის მოთხოვნილებათა შესაბამისად.

საქართველოს რესპუბლიკაში ისწავლება მსოფლიოს, საბჭოთა კავშირის ხალხთა და მშობლიური ქვეყნის ისტორია. საქართველოს ისტორია ორ კონცენტრად არის წარმოდგენილი. პირველი კონცენტრი — IV კლასში (ცისთავი ლ., მახარაძე ი., ჩვენი სამშობლო, საკითხავი წიგნი IV კლასისათვის, გამოც. მე-5, მარიამ ლორთქიფანიძის რედაქციით. — თბ., განათლება, 1980-87 გვ.), მეორე კონცერტი VII-X კლასებში (მესხია შ., გუჩუა ვ., საქართველოს ისტორია, VII-X კლასების სახელმძღვანელო, გამოც. მე-8, თბ., განათლება, 1975, 323 გვ.).

ამჟამად ჩვენს რესპუბლიკაში მიმდინარეობს მუშაობა საქართველოს ისტორიის ახალი სასკოლო სახელმძღვანელოს შესადგენად, რაც თავისთავად მოითხოვს წარსულის გამოცდილების გათვალისწინებას. საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოების შედგენას დიდი ტრადიცია აქვს. იმისათვის, რომ უფრო და უფრო სრულვყოთ სასწავლო წიგნები, მხედველობაში უნდა მივიღოთ წინაპართა მიერ გაწეული მუშაობის მდიდარი გამოცდილება. ეს ნათლად დაგვანახვებს თუ როგორ, რა საშუალებითა და გზებით ახერხებდნენ ძველ, შუა, ახალ და შემდეგდროინდელი პერიოდის საქართველოში ისტორიული ცოდნისათვის აღმზრდელობითი და იდეოლოგიური ფუნქციების მინიჭებას.

ქართველი ერი ძველი კულტურის მქონე ხალხია, საუკუნეთა სიღრმიდან ახსოვს მას საკუთარი თავგადასავალი. სწორედ ამ ათასწლოვანი მემკვიდრეობიდან იღებს სათავეს საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოების შედგენის მრავალსაუკუნოვანი ისტორიაც.

წარსულის ცოდნა მწყობრად გამართული თხრობის სახით, უპირველეს ყოვლისა, აისახებოდა უძველეს თქმულებებში. ისტორიის ზეპირგადმოცემის ტრადიციამ ფეოდალური „ქართლის ცხოვრების" გვერდით არაოფიციალური, ხნოვანებით უფრო ძველი ხალხური „ქართლის ცხოვრება" შექმნა, რომელშიაც მშრომელი საქართველოს ცხოვრება იყო ასახული.

ქართული ხალხური ისტორიული თქმულებანი იმ პირველ დაუწერელ სახელმძღვანელოს წარმოადგენდა, რომლითაც ისტორია შეისწავლებოდა.

საქართველოში წიგნებს სახელმძღვანელოებად უძველესი დროიდან იყენებდნენ, ბერძნული მითოლოგიის მიხედვით ქართულ (კოლხურ) დამწერლობას ძველი ფესვები აქვს და თანაც რიგ შემთხვევაში ეს დამწერლობის ნიმუშები სახელმძღვანელოების კონტექსტშია მოხსენიებული.

საქართველოში „აკადემიური" განათლების adრინდელ კერას, რომელიც ტაციტუსის მოწმობით, ჯერ კიდევ I ს-ში უნდა არსებულიყო, აგრძელებს ფაზისის ე. წ. რიტორიკული სასწავლებელი (III-IV სს.), რადგან ანტიკური სამყაროს ამ ტიპის სასწავლებლებში ისტორიის სწავლებას მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა, შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ საქართველოში მჭერმეტყველების სამჭედლოც ასევე დიდ ადგილს დაუთმობდა მომავალ ორატორთა აღზრდისათვის საჭირო დისციპლინას — ისტორიას, რაც მოგვიანო ხანისათვის კიდევ უფრო თვალსაჩინო ხდება. აგათია სქოლასტიკოსის (536-582 წწ.) ცნობა, რომელიც ეხება ბიზანტიელი სარდლების მიერ გუბაზ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეფის ვერაგულ მკვლელობასთან დაკავშირებით კოლხეთში მოწვეულ სახალხო კრებაზე ქართველ ორატორთა გამოსვლას, ცხადყოფს, თუ როგორ საფუძვლიანად იცნობდნენ კოლხთა სახალხო წინამძღოლნი ისტორიას.

ქრისტიანობის დამკვიდრების შემდგომ, გარკვეული დროის მანძილზე, მშობლიური ქვეყნის წარსულის შესასწავლად ძირითადად გამოიყენებოდა ჰაგიოგრაფიული ჟანრის თხზულებები, რომლებიც შინაარსითა და ხასიათით წარმოდგენას უქმნიდნენ როგორც მოსწავლეებს, ასევე მრევლს საქართველოს ისტორიის მთელ რიგ მნიშვნელოვან საკითხებზე.

სხვადასხვა საგნებისათვის განკუთვნილი სახელმძღვანელოები თავმოყრილი იყო კრებულებში. მათ გარკვეული შემეცნებითი და საგანმანათლებლო მნიშვნელობა ჰქონდათ და მოიცავდნენ ცოდნის იმ დარგებს, რომელთაც წამყვანი ადგილი ეკავათ იმ დროისათვის. ამგვარ „სასწავლო წიგნებს" განეკუთვნება X საუკუნის ცნობილი „შატბერდის კრებული". ამ ენციკლოპედიური ხასიათის ნაწარმოებით სხვა საცოდნელად საჭირო საგნებს შორის ისწავლებოდა ისტორიაც, რომლისთვისაც განკუთვნილი იყო საზღვარგარეთულ ქვეყნებზე ქრონოლოგიური ცნობების შემცველი იპოლიტე რომაელის ქრონიკონი და საქართველოს წარსულის აღმნუსხველი „მოქცევაჲ ქართლისაჲ".

თუ იპოლიტე რომაელის ქრონიკონი, ბერძნულიდან თარგმნილი ნაწარმოებია, საქართველოს სამოქალაქო და საეკლესიო ისტორიის შემცველი „მოქცევაჲ ქართლისაჲ" ეროვნულ ძეგლს წარმოადგენს. თვით ის ფაქტი, რომ „მოქცევაჲ ქართლისაჲ"-ს უმეტესი ნაწილი საეკლესიო ცხოვრებას ეთმობა, იმ დროის საქართველოს ვითარებით აიხსნება. პოლიტიკურ ერთეულებად დაქუცმაცებულ საქართველოში ეკლესიის ერთიანობა ქვეყნის მომავლის სიმბოლოა. ეს მოტივი „სასწავლო წიგნში" თვალსაჩინოა.

„შატბერდის კრებულში" წარმოდგენილი ისტორიის სასწავლო ტექსტები ამ დროის საისტორიო მწერლობის განვითარების მაღალი დონის მანიშნებელია, ამის უცილობელი მოწმობაა ის გარემოებაც, რომ მათში ასახვა ჰპოვა მსოფლიო ისტორიის იმ პერიოდიზაციამ, რომელიც დამკვიდრებული იყო ფეოდალურ-ქრისტიანულ ისტორიოგრაფიაში. მათში გამოვლინდა, აგრეთვე, საქართველოს ისტორიის მრავალი მნიშვნელოვანი საკითხი, რომელმაც მომდევნო საუკუნეებში, ისტორიული მოვლენების განვითარების შესაბამისად, მთელი რიგი ცვლილებები განიცადა.

„შატბერდის კრებულში" შესული ისტორიის სასწავლო ტექსტები როგორც ფორმის, ასევე იდეური მიმართულებისა და შინაარსის თვალსაზრისითაც საფუძველს უმზადებს ურთულეს და მაღალგანვითარებულ დიდ საისტორიო ნაშრომს „ქართლის ცხოვრებას".

„ქართლის ცხოვრების" სრულიად განსაკუთრებულ მნიშვნელობას შუა საუკუნეების ქართული ცივილიზაციისათვის შესანიშნავად ახასიათებს აკად. ნ. ბერძენიშვილის სიტყვები: „ეს ძეგლი ერთი იმ სამ ბურჯთაგანი იყო (სახარება, ვეფხისტყაოსანი და ქართლის ცხოვრება), რომელზედაც ქართველთა ფეოდალური სახელმწიფოს ძლიერება ისტორიულად ემყარებოდა".

აშკარაა, რომ ძველად ეს წიგნი ფეოდალური საზოგადოების მრავალგვარ მოთხოვნილებას აკმაყოფილებდა. მას უდიდესი სასწავლო-აღმზრდელობითი მნიშვნელობაც ჰქონდა.

ისტორიული თვალსაზრისით, „ქართლის ცხოვრების" შექმნა იყო თანადროული და, შეიძლება ითქვას, ერთგვარი იდეოლოგიური გამოხატულება იმ დიდმნიშვნელოვანი საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროცესისა, რომელიც ქართველი ხალხის ისტორიაში „გაერთიანების" სახელით არის ცნობილი". თუ აქამდე ისტორიკოსები თავიანთ ყურადღებას ამახვილებდნენ საქართველოს ისტორიის ერთ რომელიმე საკითხზე ან მომენტზე, ამიერიდან ჩნდება მოთხოვნილება, შეიქმნას უფრო ფართო მოცულობისა და განმაზოგადებელი ხასიათის შრომები, რომლებშიაც საქართველოს ისტორიული წარსული მოთხრობილი იქნებოდა უძველესი ხანიდან თანადროულობამდე. სწორედ ამ ცოდნის შეკრებასა და განზოგადებას შეეცადნენ ისინი, ვინც ამ კრებულის შედგენა ითავეს.

დასაწყისში „ქართლის ცხოვრება" მარტო ლეონტი მროველისა და ჯუანშერის თხზულებებს შეიცავდა, რომლებიც მოგვითხრობდნენ ქართველი ერის ისტორიას უძველესი დროიდან VIII საუკუნემდე.

XII-XIII საუკუნეებში სახელმძღვანელოს დაუმატეს VIII-XII საუკუნეთა ისტორიის შემცველი თხზულებები, რომელთაც საყოველთაო სახელმწიფოებრივი აღიარება ჰქონდათ მოპოვებული, ხოლო უფრო გვიან შეავსეს XII-XIII საუკუნის დამდევის ისტორიით.

განათლების განვითარების საქმეში დიდი როლი მიეკუთვნებოდა, აგრეთვე, საზღვარგარეთულ ქართულ სავანეებს, რომლებიც მნიშვნელოვან საგანმანათლებლო დაწესებულებებს წარმოადგენდნენ.

ისეთ მრავალეროვან ქვეყანას, როგორიც მაშინდელი საქართველო იყო, ბუნებრივია, თუ ერთ-ერთ სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის პრობლემად ერთა შორის თანამშრომლობა და თანამეგობრობა ექნებოდა.

ამ დროის „ქართლის ცხოვრების" ავტორებისათვის (ლეონტი, ჯუანშერი, „მატიანე ქართლისაის" ავტორი, დავითისა და თამარის ხანის ისტორიკოსები...) კავკასია ერთი კულტურული სამყაროა. კავკასიის პოლიტიკური გაერთიანე-

ბისათვის. მათი მოწმობით, იბრძვიან არა მარტო ქართველები, არამედ ამ დიდ ბრძოლაში მხურვალედ მონაწილეობენ ქართველთა მოძმენი: სომხები, ალბანელები, კავკასიელი მთიელები. „ქართლის ცხოვრების" საბრძოლო ჟიჟინა სცილდებოდა ძველი საქართველოს ფარგლებს. ის ურყევი მეგობრობისაკენ მოუწოდებდა კავკასიის ხალხებს და რაზმავდა საერთო მტრის წინააღმდეგ საბრძოლველად.

„ქართლის ცხოვრება" დიდი გატაცებით გვინერგავს ქართული ენისადმი პატივისცემის გრძნობას. ამ წიგნის მიხედვით, ქართველები უძველესი მწიგნობარი ხალხია, რომელსაც ოდითგანვე უყვარს წიგნი — ცოდნის წყარო. „ქართლის ცხოვრება" აქებს და ადიდებს წიგნიერ ადამიანებს, ცდილობს მათი წიგნიერება და ცოდნისადმი სიყვარული ყველასათვის სამაგალითო გახადოს.

დიდი და მრავალმხრივი იყო საკითხთა ის წრე, რომელთა გადამუშავებას „ქართლის ცხოვრების" ავტორებისაგან ყოველი ახალი ეპოქა მოითხოვდა. მათ შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი — ქართველთა თავდაპირველი სამშობლოს შესახებ საკითხის დაყენება იყო, რომელმაც, ისტორიული მოვლენების განვითარების შესაბამისად, მნიშვნელოვანი ცვლილება განიცადა. ჯერ კიდევ „მოქცევაჲ ქართლისაჲს" ქრონიკის იმ რედაქციაში, რომელიც X ს. შატბერდულ კრებულშია შესული, ქართველთა თავდაპირველ სამშობლოდ სომხეთის სამხრეთით მდებარე ქვეყანაა მიჩნეული, ხოლო ქართველების ქართლში მოსვლა და დამკვიდრება ალექსანდრე მაკედონელის კავკასიაში ლაშქრობასა და აზოს სახელთანაა დაკავშირებული.

XI ს-ის „ქართლის ცხოვრების" ავტორებმა ქართველები კავკასიის მკვიდრებად გამოაცხადეს უძველესი, ბაბილონის გოდოლის აშენების დროიდან, რითაც, ქართველთა წარმომავლობა — ნათესაობისა და მკვიდრობის საკითხს ეროვნული ნიადაგი მოეძებნა.

წიგნის ავტორებს კარგად ესმოდათ, რომ ერის აღზრდისათვის ქვეყნის წარსულის გადმოცემა არ კმაროდა. არანაკლებ საჭირო იყო სხვა ხალხთა ისტორიის ჩვენებაც. ქართველი მემატიანენი, ამ მხრივ, საყოველთაო დაინტერესებას იჩენდნენ.

ისტორიული პროცესის მეცნიერული ცოდნის აღნუსხვა „ქართლის ცხოვრების" ერთ უპირველეს დანიშნულებათაგანი იყო. ქართველი ისტორიკოსები ზრუნავდნენ მოთხრობის უეჭველობისათვის და სანდო წყაროებით სარგებლობდნენ.

ძლიერი და მდიდარი ფეოდალური ქვეყნის ნორმალურ განვითარებას XIII ს-ის 20-იანი წლებიდან გზა გადაუღობეს ჯერ ჯალალედინმა, ხოლო შემდეგ მონღოლთა ურდოებმა.

საქართველოში მონღოლთა ბატონობამ მძიმე შედეგები დატოვა. ხანგრძლივი ბრძოლებით მოქანცულ, ეკონომიკურად დაუძლურებულ ქვეყანაში სწავლა-განათლებისა და კულტურის ცენტრები თანდათანობით დაქვეითების გზას დაადგა, მოიშალა უმაღლესი განათლების კერები. მიუხედავად ამისა, ქვეყნის შიგნით ცხოვრების მაჯისცემა მაინც კიდევ ძლიერი ყოფილა. სკოლები კვლავ განაგრძობდნენ არსებობას. ამასვე მოწმობს ჩვენამდე მოღწეული ერთი დოკუმენტი, რომელიც სწორედ მონღოლთა ბატონობის მიწურულს განეკუთვნება. მისი ცნობით, 1310 წლისათვის საქართველოს მარტო ჩრდილო-აღმოსავლეთ ეპარქიაში არსებულა შვიდი სასწავლებელი: უდავოა, ასევე იქნებოდა ქვეყნის სხვა მხარეებშიც. ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა, რომ ამ სკოლებში, როგორც ამას ნათელყოფს აღნიშნული დოკუმენტი, სხვა საგნებთან ერთად, ისწავლებოდა ისტორია: საეკლესიო და სამოქალაქოც. ამასთან, როგორც საზოგადო ქვეყნის ერთიანი ისტორია — „ქართლის ცხოვრების" მიხედვით, ისე ადგილობრივი კუთხის „ალვანის ისტორია", რომელიც დაწერილი ყოფილა ვინმე პეტრე ლაგაძის მიერ. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მიუხედავად მონგოლთა ბატონობის მძიმე შედეგებისა, „ქართლის ცხოვრება" კვლავ რჩებოდა ფართოდ გავრცელებულ სახელმძღვანელო წიგნად, რომელიც სწავლა-განათლებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებდა.

საქართველოს სამეფოს დარღვეული ერთიანობის აღდგენამ, რომელიც 1314 წლიდან გიორგი ბრწყინვალის სახელს უკავშირდება, საშუალება მისცა „ქართლის ცხოვრების" გაბმული ისტორიული თხრობის განგრძობას. ეს შრომა გაუწევია ჟამთააღმწერელს, რომელსაც საქართველოს პოლიტიკური თავგადასავალი თამარის გარდაცვალების შემდეგ, ლაშა გიორგის გამეფებიდან გიორგი ბრწყინვალის გამეფებამდე მოუყვანია.

ჟამთააღმწერლის ისტორიით, XIV ს-ში, თუ შეიძლება ასე ითქვას, დასრულდა „ქართლის ცხოვრებაში" შესულ საისტორიო თხზულებათა პირველი ციკლი, რომელიც ცნობილი და გავრცელებული ყოფილა ჩვენში ვახტანგ VI-ის დრომდე.

XIV ს-ის 80-იანი წლებიდან საქართველოს დიდი უბედურება დაატყდა თავს, მოიშალა ის საფუძველი, რომელზედაც დამყარებული იყო ერთიანი ქართული სახელმწიფო.

შექმნილმა ისტორიულმა სიტუაციამ შეაფერხა „ქართლის ცხოვრების" შემდგომი განგრძობის ბუნებრივი პროცესი. „ჟამთა ვითარებისაგან არღარა წერებულ იყო".

ქვეყნის ერთიანი ისტორიის ნაცვლად ფეხი მოუკიდებია „ძეგლი ერისთავთას" მსგავს ცალკეულ დიდ ფეოდალთა საგვარეულო მატიანეებს, ერთი სიტყვით, ყველა იმ ოპოზიცი-

ურ საისტორიო თხზულებას, რომელნიც მანამდე სამეფო ხელისუფლების მიერ იდევნებოდნენ, როგორც ერთმეფობის უარმყოფელნი.

„ქართლის ცხოვრების" შემდგომი განვითარება გულისხმობდა ქართული ისტორიული აზროვნების აღორძინებას, რათა ისტორიას კვლავ შეესრულებინა თავისი სოციალური ფუნქცია, გამოსულიყო ეპოქის მოწინავე ძალთა იდეოლოგიურ იარაღად. ამით იყო ნაკარნახევი XVIII ს-ის დასაწყისში მეფე ვახტანგის ბრძანებით „სწავლულ კაცთა კომისიის" შედგენა „ქართლის ცხოვრების" შევსებისათვის, რაც ამ „პატიოსანი წიგნის" დიდი ღირსების, ფეოდალური საზოგადოებისათვის მისი აუცილებლობის საყოველთაო აღიარება იყო.

თუმცა, ვახტანგისეულმა კომისიამ დაწყებული კვლევა-ძიება ბოლომდე ვერ მიიყვანა და ბევრი შეცდომაც დაუშვა, მის მიერ ჩატარებულმა მუშაობამ „ქართლის ცხოვრების" სახე შესამჩნევად შეცვალა, ეს განსხვავება იმდენად დიდი ყოფილა, რომ ვახუშტი ბატონიშვილმა და XVIII ს-ის სხვა ავტორებმაც ვახტანგისეული რედაქციის, „ქართლის ცხოვრებას" „ახალი ქართლის ცხოვრება" უწოდეს, ხოლო ვახტანგამდე არსებულს კი ძველი.

დაახლოებით 20-30 წლის შემდეგ კომისიის ამ ნამუშევარმა განიცადა ახალი რედაქციული გადამუშავება. ამჯერად ეს საქმე ითავა დიდმა მეცნიერმა ვახუშტი ბატონიშვილმა. ვახტანგის დროს მოღვაწეობდა, აგრეთვე, ისტორიკოსი სეხნია ჩხეიძე, რომელმაც მოკლედ აღწერა 1653-1739 წლების ამბები.

ამრიგად, ვატხანგისეულმა კომისიამ, და განსაკუთრებით ვახუშტის პირადმა ღვაწლმა, კვლავ აღუდგინა „ქართლის ცხოვრებას" სოციალური ფუნქცია — ყოფილიყო ფეოდალური საქართველოს მოწინავე ძალების იდეოლოგიური იარაღი და, ამდენად, გაბატონებული კლასის წერილობითი სახელმძღვანელოც. ამან, თუ შეიძლება ასე ითქვას, სალათას ძილისაგან გამოაღვიძა „მრავალი საქართველოები" და „ქართლის ცხოვრება" ცხოველი ყურადღების საგნად აქცია.

„ქართლის ცხოვრების" შედგენის ისტორია ნათელყოფს ამ წიგნის უნიკალურ ხასიათს, რომელიც საუკუნეთა განმავლობაში იწერებოდა XI საუკუნიდან მოყოლებული XVIII ს-ის პირველი ნახევრის ჩათვლით, აქედან გამომდინარეობს მისი მრავალავტორიანობაც.

გაერთიანებული ფეოდალური სახელმწიფოს შექმნა იყო მიზეზი ასეთი წიგნის შედგენისა და მომავალშიც ერთიანი შეუზღუდველი მონარქიის აღორძინების შესაძლებლობა განაპირობებდა მისი თხრობის შემდგომ განგრძობას.

წერის ხანგრძლივი პერიოდი აღსავსე იყო ისტორიული ქარტეხილებით, რომელთა გამოცდასაც გაუძლო „ქართლის ცხოვრებამ".

სამეფო ხელისუფლების შესუსტებასთან ერთად წიგნიც კარგავდა სახელმწიფოებრივ აღიარებას და ფეოდალური დაქსაქსულობის პირობებში მის შემდგომ გაგრძელებაზე აღარავინ ფიქრობდა. ასეთ დროს ქვეყნის ერთიანი ისტორიის გადმოცემაში ჩნდებოდა წყვეტილები და ხანგრძლივი პაუზა; ამის შედეგია წიგნის დაყოფაც ძველ და ახალ „ქართლის ცხოვრებად", რაც მათ შორის გამოტოვებულმა ხანგრძლივმა პერიოდმა განაპირობა.

„ახალი ქართლის ცხოვრება", ისევე როგორც ძველი, მოუწოდებდა ერთმეფობისაკენ. ასეთი იდეების ქადაგება ორივე შემთხვევაში ფეოდალური საქართველოს დაცვის ინტერესებით იყო განპირობებული. „ქართლის ცხოვრება "ვერ ურიგდებოდა პოლიტიკურად დაშლილ საქართველოს, ქვეყნის ერთიანობის ქადაგება იყო ამ წიგნის მთავარი მიზანი, რომელიც ამასთანავე ერთმეფობას გულისხმობდა. აქედან გამომდინარე ამ წიგნში ძირითადად მოცემული იყო სამეფო ხახლის ისტორია, რომელიც მისმა მემატიანეებმა აპოლოგიამდე მიიყვანეს. მართლაც, თუ მედასეობის თვალსაზრისით გადავხედავთ „ქართლის ცხოვრების" ავტორებს, დავრწმუნდებით, რომ ყველა ისინი მეფის მომხრენი იყვნენ. ასეთი ტრადიციის მიმდევარი ავტორები, ბუნებრივია, ვერ იქნებოდნენ საზოგადოებრივი მოვლენების მიმართ ობიექტურნი. მეფის განდიდება, მის მოწინააღმდეგეთა სიძულვილი იყო „ქართლის ცხოვრების" შემდგენელ ისტორიკოსთა მიზანი.

„განა იმ დროს უგანათლებულესი საზოგადო მოღვაწე, ვთქვათ, რომელიმე ეფრემ მცირე, სარგის თმოგველი, ან, თუ გნებავთ, შოთა რუსთაველი პრინციპულად სხვარიგ „ქართლის ცხოვრებას" დაწერდა?" ნ. ბერძენიშვილის ეს სიტყვები დამაჯერებლად ცხადყოფენ, თუ რატომ იყო „ქართლის ცხოვრება" მეფეთა ისტორია და ამდენად ფეოდალური საქართველოს გამართული ისტორია.

ამდენად, „ქართლის ცხოვრება" ნერგავდა ერთმეფობისადმი პატივისცემის გრძნობას, რომელიც ქართველთა ერთიანობასთან იყო დაკავშირებული.

საქართველოში მონგოლთა ბატონობამ და მისმა შედეგებმა ქვეყნის პოლიტიკურ და ეკონომიკურ ძლევამოსილებას თანდათან ძალა გამოაცალა, შეარყია მეფის ხელისუფლება და საზოგადოებაში ერთგვარი სასოწარკვეთილებაც კი დაბადა, სახელმძღვანელოში ამ ეპოქის აზრის საერთო სურათის გამომხატველია ჟამთააღმწერელი. ჟამთააღმწერლის ეპოქის ავტორები მეფეთა ბოროტ საქმეებზე თვალს აღარ ხუჭავენ. მაგალითად, ჟამთააღმწერელი გულისტკივილით გადმოგვცემს „განსაკრთომელი მოთხრობის" იმ საზარელ ამბებს, თუ როგორ ცდილობდა რუსუდანი დაეღუპა თავისი ძმისწული დავითი, რომ საკუთარი შვილისათ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვის, ნარინ დავითისათვის გაეკაფა გზა სამეფო ტახტის დასაჭერად. ასეთივე პირუთვნელია ის, როდესაც ლაშა-გიორგის ალვირახსნილ პირად ცხოვრებაზე ლაპარაკობს, რასაც საუკუნენახევრის წინათ მეფის თანამედროვე ისტორიკოსები იშვიათი სიფრთხილით უვლიდნენ გვერდს.

ჟამთააღმწერლის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ „ქართლის ცხოვრების" სხვა ავტორების მსგავსად, ისიც ერთიანი ძლიერი საქართველოს მოტრფიალეა. მაგრამ თავისთავად ის ფაქტი, რომ „ქართლის ცხოვრების" ავტორი თავს უფლებას აძლევს მეფეთა მოღვაწეობა კრიტიკულად შეაფასოს, მეტად მრავლისმთქმელია. ეს იყო პოლიტიკური კრიზისი, რომელიც ცენტრალური ხელისუფლების შესუსტებაზე მეტყველებდა. ფეოდალურმა დაქუცმაცებულობამ, რაც მრავალი მიზეზის გამო საკმაოდ დიდხანს გაგრძელდა, მეფის ავტორიტეტი საფუძვლიანად შეარყია.

სწორედ ამიტომ XVIII ს-დან, როცა ერთგვარი პირობები შეიქმნა საქართველოს გაერთიანებისათვის, განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭა ქვეყნის ოდინდელი ერთიანობის პროპაგანდას და, ამდენად, სამეფო ხელისუფლების ავტორიტეტის წარმოჩენას.

ამ მეტად დიდი საქმის მოთავე და ინიციატორი იყო ვახტანგ VI. მას ჯერ კიდევ ჭაბუკობის დროს დაწერილი ჰქონია ნაშრომი; „ნათესაობის წიგნი", რომელშიც გაშუქებული ყოფილა ქართლის სამეფოს საგვარეულოს (დინასტიის) — ბაგრატიონების გენეალოგია — წარმომავლობა — ბიბლიური იესე-დავით-სოლომონისაგან მოკიდებული თავისი მამის ლეონისა და მისი შვილების დრომდე, ე. ი. XVIII ს-ის დამდეგამდე.

მოგვიანებით ამავე საკითხებზე გაამახვილა ყურადღება მეფის მიერ მოწვეულმა სწავლულ კაცთა კომისიამაც, რომლის დაინტერესების უპირველეს საზრუნავად XIV-XVIII საუკუნეების საქართველოს ისტორია ქცეულა. ეს არა მარტო იმიტომ, რომ ამ ხანის შესახებ გაბმული თხრობის შემცველი ისტორია არ არსებობდა, არამედ განსაკუთრებით იმიტომ, რომ სწორედ აქ იყო საძიებელი საქართველოს სამეფო-სამთავროებად დაყოფის დრო და მიზეზი — როდის და როგორ „იქმნა განყოფილება".

ისტორიის ამგვარად გამართვა სავსებით შეესაბამებოდა „ქართველობისათვის" ბრძოლის იდეურ-პოლიტიკურ მიზნებს, რასაც კიდევ უფრო თვალსაჩინოს ხდის ვახუშტი. მისი მტკიცებით, „ერთმეფობა" ქართველი ხალხის ჩვეულებაა, „წესი დასაწყისითგანვე", ბუნებრივი და თავდაპირველი, რომლიდანაც გადახვევა და „განყოფილება" მუდამ „შინაური შფოთით" და „გარეშე მტერთა" პოლიტიკით იყო გამოწვეული. ასეთი დასაბუთებით ავტორი, პირველ რიგში, თავის თანამედროვეთა მისამართით ამახვილებდა ყურადღებას, რომლის მიზანია დაამტკიცოს, რომ მეფისა და ტახტის ერთგულება საწინდარია სამშობლოს ერთიანობისა და ძლიერებისა.

ვახტანგ VI-ის და მისი პოლიტიკური დასის ბრძოლა ქვეყნის განთავისუფლებისა და გაერთიანებისათვის მარცხით დამთავრდა, რის შედეგადაც იმედგაცრუებული მეფე იძულებული გახდა ამალის თანხლებით სამუდამოდ გაშორებოდა საქართველოს, უმეფოდ დარჩენილი ქართლის სამეფო ირან-ოსმალეთის ბატონობის ქვეშ აღმოჩნდა.

ქართველი ხალხის თავგანწირულმა წინააღმდეგობამ „ძნელბედობის ხანაში" და მაჰმადიანური სამყაროს დასუსტებამ ხელსაყრელი პირობები შექმნა ქართული სახელმწიფოებრიობის ხელახალი აღორძინებისათვის, ერეკლე II-ისა და სოლომონ I-ის მოღვაწეობამ განაპირობა ქართული სამეფო-სამთავროების პოლიტიკური და სამხედრო უპირატესობა ამიერკავკასიაში. საერთო წარმატებები როგორც საგარეო, ისე საშინაო პოლიტიკაში ქვეყნის სანუკვარი გაერთიანების იმედს ბადებდნენ და ისტორიკოსებს „ქართლის ცხოვრების" ახალი ფურცლების შექმნისაკენ მოუწოდებდნენ.

ამდენად, ბუნებრივი იყო, როდესაც ამ დროის ქართველი ისტორიკოსების პაპუნა ორბელიანისა და ომან ხერხეულიძის შრომები XIX საუკუნემ „ქართლის ცხოვრების" ძეგლებად გამოაცხადა და ტრადიციულ ტექსტთან ერთად მოათავსა.

ისტორიკოსთა მშრალ თხრობას კიდევ უფრო აცოცხლებენ ამ ეპოქის ლიტერატორები: სულხან-საბა ორბელიანი, დ. გურამიშვილი, ბესიკი.

საქართველოს და, განსაკუთრებით, ქართლ-კახეთის დაწინაურება სამეფო ხელისუფლებას საკმარისად არ მიაჩნდა და ერეკლე II, ისე როგორც ვახტანგ VI, ახალ-ახალ ღონისძიებებს სახავდა ქვეყნის შემდგომი წინსვლისათვის.

ერეკლე მეორეს, რუს მოხელე ბურნაშოვის მოწმობით, „არაფერი ისე არ სწადდა, როგორც თავისი სამეფოს ევროპულად გამართვა". ამ საქმეში მეფეს გვერდით ედგნენ იმდროინდელი სწავლულები და მათ შორის ანტონ კათალიკოსი. სკოლების რიცხვის გამრავლება, მწიგნობრობის გაუმჯობესება ამ საქმის მოგვარებისათვის უპირველესი ღონისძიება იყო. 1756 წ. გაიხსნა სემინარია თბილისში, 1758 წ. სკოლა თელავში, რომლის საფუძველზეც 1782 წ. დაარსდა სემინარია. 1778 წ. თბილისში დაარსდა სპეციალური სკოლა რუსული ენის შემსწავლელთათვის. მოგვიანებით იყო პროექტი საქართველოში უმაღლესი განათლების აღდგენისათვის და ა. შ. ამ სასწავლებელთა უპირ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ველეს ამოცანას მეფისა და ეკლესიის ახალ, დამწყებ მსახურთა აღზრდა წარმოადგენდა.

სკოლების დაარსებას თან ახლდა ზრუნვაც მეცნიერების სხვადასხვა დარგში სასკოლო სახელმძღვანელოების შესაქმნელად. განსაკუთრებული ინტენსივობით წარმოებდა ჟამთა სიავისაგან გადარჩენილი წიგნების აღდგენა, რაც ფაქტიურად ვახტანგ VI-ის კულტურული დასის მუშაობის გაგრძელება იყო, აგრეთვე, ახალი წიგნების თარგმნა, რომლებსაც ძველად არსებული და დაკარგული წიგნების მონაცვლეობა უნდა გაეწიათ. იქმნებოდა ახალი ორიგინალური სახელმძღვანელო წიგნებიც. მათ შორის ისტორიის დარგში, 1762 წელს ანტონს უთარგმნია კვინტოს კურციუსის (I ს. ახ. წ.) „საქმეთათვის ალექსანდრე დიდისა მეფისა მაკედონელისა“ ანუ „ისტორია ალექსანდრე დიდის“, ორ ტომად.

სავარაუდოა, რომ ისტორიას „ქართლის ცხოვრებასთან“ ერთად ამ წიგნებიდან შეასწავლიდნენ XVIII ს-ის მეორე ნახევრის ქართულ სკოლებში.

ყოველივე ზემოთქმული აშკარად მიგვანიშნებს ერეკლე II-ის, ანტონ კათალიკოსისა და მათ გარშემო შემოკრებილ ქართველ მოღვაწეთა საგანმანათლებლო მუშაობის ფართო ხასიათზე.

სასკოლო ქსელის გაფართოება, ბუნებრივია, მოითხოვდა სასკოლო სახელმძღვანელოთა გარკვეულ რაოდენობასაც.

მარტო კალიგრაფიული ხელობა ველარ აკმაყოფილებდა მკითხველი საზოგადოების გაზრდილ მოთხოვნილებას და თანაც გადამწერის ნამუშევარი ძვირი ჯდებოდა. ასეთ შემთხვევაში სტამბის გამართვა და სახელმძღვანელოთა დაბეჭდვა აუცილებელ საჭიროებად იქნა მიჩნეული. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ სანამ ერეკლე და ანტონ კათალიკოსი სტამბას განაახლებდნენ, საზოგადოებისათვის ქართულ ენაზე დაბეჭდილი წიგნები და სტამბის საქმეც კარგა ხნის ცნობილი იყო ერეკლე II-ის ხანაში მას განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო, რამაც სახელმძღვანელოს გამოყენებაში სრულიად ახალი ეტაპი დაიწყო: იმ დროს, როცა ხელნაწერი სახელმძღვანელო უფლებას გვაძლევს ვილაპარაკოთ ადამიანების ერთეულებსა და ათეულებზე, რომელთაც ის ემსახურებოდა, ნაბეჭდი სახელმძღვანელო უკვე ასეულების ხელში უნდა დატრიალებულიყო. მეტის თქმაც შეიძლება: სახელმძღვანელო, ამ სიტყვის ნამდვილი გაგებით, მხოლოდ ნაბეჭდი შეიძლებოდა ყოფილიყო და ნაბეჭდი სახელმძღვანელოს საჭიროების წარმოშობა, ასეთი სახელმძღვანელოს გამოცემის ფაქტი — სწავლა-განათლების ფეოდალური ზღუდეებიდან გამოსვლის ერთ-ერთ „პირველ მერცხალთაგანად“ შეიძლება ჩაითვალოს.

ნაბეჭდი სახელმძღვანელოს არსებობის ფაქტს სასკოლო მეთოდების და სისტემის ძიებამდე მივყავართ.

XVIII ს-ის მიწურულში შექმნილმა მძიმე მდგომარეობამ, რაც აღა-მაჰმად-ხანის შემოსევასთან იყო დაკავშირებული, ქართული წიგნის ბეჭდვის საქმე კარგა ხნით შეაჩერა.

ქრისტეფორე კეჟერაშვილის მეცადინეობით 1800-იან წლებში განახლებულა სტამბა, სადაც დაიბეჭდა დავით ბატონიშვილის „ნარკვევი“. მისი ავტორი იყო გიორგი XII-ის შვილი, ერეკლე II-ის შვილიშვილი ქართლ-კახეთის სამეფო ტახტის უკანასკნელი მემკვიდრე დავით ბატონიშვილი. იგი ამ შრომაში იყენებს ფრანგ განმანათლებელთა ხერხს, ე. წ. „ენციკლოპედიის“ მეთოდს. ისტორიის „შესამეცნებლად“ ზოგადი თხრობით წარმოუდგენს მკითხველს მსოფლიო ისტორიას უძველესი დროიდან მის თანადროულობამდე, ე. ი. XIX ს-ის დასაწყისამდე. „ნარკვევი“ მთავრდება ერეკლესა და რუსეთის იმპერატორის პავლეს გარდაცვალებით და „ღენერალ ბუონაპარტეს“ დაწინაურებით.

დავითის ეს ნაწარმოები სკოლებისთვის შედგენილი ისტორიის სახელმძღვანელოთა შორის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ადგილს იკავებს, მისი სახელმძღვანელოდ გამოყენების კვალი ატყვია საქართველოში XIX ს-ის პირველი ნახევრის სკოლებში სწავლებასაც.

რუსეთთან საქართველოს შეერთებისთანავე მეფის მთავრობა რუსული სკოლების დაარსებას შეუდგა, მაგრამ მათი რიცხვი მეტად შეზღუდული იყო. სასწავლო გეგმაში, სხვა საგნებთან ერთად, შედიოდა ისტორიაც, მონარქიულ ბატონყმურ რუსეთში ისტორიის, როგორც სასწავლო საგნის, პოლიტიკურ-აღმზრდელობით ამოცანას შეადგენდა ერთგულების აღზრდა.

XIX ს-ის 20-იან, 30-იან წლებამდე, როგორც საქართველოში, ისე რუსეთის გიმნაზიებსა და სასულიერო სასწავლებლებში ისტორიის სახელმძღვანელოებად მიღებული იყო ი. კაიდანოვის Руководство к познанию всеобщей политической историй და ნ. კარამზინის «Краткая история Российского государства». 30-იანი წლებიდან მათ ადგილს იკავებენ უსტრიალოვის «Русская история», მ. პოგოდინის «Начертание русской истории для гимназии», სმიროგდოვის «Руководство к познанию средней истории для средних учебных заведении», ნ. პოლევოვის «Русская история для первоначального чтення».

და სხვა სასწავლო წიგნები, რომლებიც სავალდებულო სახელმძღვანელოები იყო იმპერიის ყველა სკოლისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

XIX ს-ში „ქართლის ცხოვრების“ მეცნიერულ შესწავლასთან ერთად ინტენსიურად გრძელდებოდა მის მიხედვით საქართველოს ისტორიის სისტემატური კურსის შედგენაც. ამ მხრივ, საინტერესო ნაშრომები დაგვიტოვეს დავით, ვახტანგ, თეიმურაზ, ბაგრატ, იოანე ბაგრატიონებმა, ნიკო დადიანმა, მარი ბროსემ, პლატონ იოსელიანმა, სულხან ბარათაშვილმა და სხვებმა.

XIX საუკუნეში გაღვივდა ქართული ფეოდალური საისტორიო მწერლობის „რომანტიზმი“ და ეს გასაგებიცაა: საქართველოს რუსეთის მფლობელობაში შესვლამდე ქართველ ფეოდალთა კლასი თავისი თავის პატრონი იყო („მუნ ჩვენ ხელთ იყო ჩვენობა“). ამიერიდან სოციალურად დრომოჭმული ქართველი თავადაზნაურობა განიდევნა პოლიტიკური სარბიელიდანაც: მას ყველა საფუძველი ჰქონდა აწმყოთი უკმაყოფილო ყოფილიყო და არც მომავლის იმედი ჰქონოდა: დღევანდელი დღეც და ხვალეც მას გაქრობა-გადაშენებით ემუქრებოდა... და, გასაგებია, ის მწარედ ატირდა „სოფლის“ ამაოებაზე და თავისი იდეალი შორეულ წარსულში დაიგულა, როცა, ქართველი თავადაზნაურობის აზრით, მისი განუყოფელი ბატონობის ხანა იყო, ხანა ქვეყნის ყოველმხრივი წარმატებისა, — „ოქროს ხანა“... (ნ. ბერძენიშვილი).

გვიანფეოდალური ქართული ისტორიოგრაფიის ასეთი ხასიათი, სრულიად კანონზომიერად შემუშავებული, ფეოდალთა კლასის დრომოჭმულობისა და პოლიტიკური დამარცხების ვითარება, თავის ასახვას ჰპოვებს იმ ავტორთა შრომებში, რომლებიც 1801 წ. ისტორიული აქტის შემდეგ, „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით, საქართველოს ისტორიას აშუქებდნენ. ისინი მიზნად ისახავდნენ ეჩვენებინათ ახლად დამყარებული ხელისუფლებისათვის, რომ ქართველები მდიდარი, მრავალსაუკუნოვანი ისტორიისა და კულტურის მატარებელი ხალხია, რომ ისინი ღირსნი არიან ახალი ცხოვრების პირობებში შესაფერისი ადგილისა და ყურადღებისა. მეორე მხრივ, ამ პერიოდის ქართველი ისტორიკოსები ფიქრობდნენ, რომ ცარიზმის რუსიფიკატორული რეჟიმის ბატონობისას შესაძლებელი იქნებოდა ქართველების გათქვეფა და გადნობა იმ უსაზღვრო ოკეანეში, რომელსაც „მეფის იმპერიას“ უწოდებდნენ, რის თავიდან ასაცილებლადაც საჭიროდ უცვნიათ თავიანთ ისტორიულ შრომებში ეროვნული თვითშეგნების გაღვიძება და ეროვნული კულტურული ტრადიციების განმტკიცება. მაუწებრივია, ამ მიზნით დაწერილი „საქართველოს ისტორიები“, გარდა უმნიშვნელო ცვლილებებისა, „ქართლის ცხოვრების“ მეთოდოლოგიურ ჩარჩოებს არ გასცილდებოდნენ.

არსებული ცნობების მიხედვით, საქართველოს ისტორიის შესასწავლად დამხმარე სახელმძღვანელოდ გამოყენებული ყოფილა დავით ბაგრატიონის „ისტორია, რომელსა ეწოდების ნარკვევი“, თეიმურაზ ბაგრატიონის „ისტორია დაწყებითგან ივერიისა, ესე იგი, გიორგიისა, რომელ არს სრულად საქართველოისა“, დაბეჭდილი 1848 წელს პეტერბურგს, აგრეთვე ვახუშტის ისტორია და გეოგრაფია, რომელიც კვლავ დიდი პოპულარობით სარგებლობდა.

კავკასიაში დანიშნული მეფის პირველი ნაცვალი მ. ვორონცოვი (1844-1854), ადმინისტრაციული ხასიათის სხვა რეფორმებთან ერთად, შეუდგა თავისი პოლიტიკის შესაფერისად სახალხო განათლების სისტემის გაუმჯობესებასაც. ერთ-ერთ მნიშვნელოვან ღონისძიებას წარმოადგენდა მის დროს შემუშავებული ახალი „დებულება“ კავკასიის სასწავლო ოლქისა და მის ქვემდებარე სასწავლებელთა შესახებ“ და ამ დებულების საფუძველზე 1848 წელს დაარსებული „კავკასიის სასწავლო ოლქი“.

„კავკასიის სასწავლო ოლქის“ მმართველობა ეკისრებოდა ოლქის მზრუნველს, რომელსაც ჰყავდა ერთი თანაშემწე და სახელმწიფო სასწავლებელთა ინსპექტორი. მზრუნველთან არსებობდა საბჭო, სახელმძღვანელოების შემდგომი კომიტეტი და საცენზურო კომიტეტი.

კავკასიის სასწავლო ოლქის 1848 წლის დებულება უფრო ფართოდ აყენებდა სახელმძღვანელოთა საკითხს: დაარსდა სპეციალური „სახელმძღვანელოების დასახვის კომიტეტი“ ოლქის მზრუნველის თანაშემწის თავმჯდომარეობით.

„სახელმძღვანელოთა დასახვის კომიტეტთან“ გაიხსნა ქართული სახელმძღვანელოების განყოფილება დიმ. ყიფიანის (თავმჯდომარე), პლ. იოსელიანის, ზ. ყორღანაშვილის, ე. ალექსიშვილის, ივ. თურქესტანიშვილის და ზ. მოლოდინაშვილის შემადგენლობით.

გარეგნულად თითქოს ყველაფერი მზად იყო იმისათვის, რომ ქართული სახელმძღვანელოები შექმნილიყო. მაგრამ ოფიციალური გზით ძალიან მცირე რამ კეთდებოდა.

უცილობლად ვორონცოვის პოლიტიკას ეხმაურება XIX საუკუნის 60-იან წლებამდის ხელისუფლების კეთილგანწყობილი დამოკიდებულება ქართული ენისა და საქართველოს ისტორიისადმი.

1853 წ. კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველად დანიშნულმა ნიკოლაიმ ნება დართო გამოყენებულიყო 1846 წელს სანკტ-პეტერბურგს ორ ნაწილად დაბეჭდილი „ქართული ქრესტომათია, ანუ გამოკრებულნი ადგილები ქართველთა წერილთაგან შედგენილი დავით ჩუბინოვის მიერ“.

პირველი ნაწილი, გამოცემული ცალკე წიგნად, შეიცავდა პროზას, მეორე — პოეზიას. რადგან ქრესტომათიაში ლიტერატურულ მასალასთან ერთად მოთავსებული იყო ნაწყვეტებიც

„ქართლის ცხოვრებიდან“, მოსწავლეებს შეეძლოთ ეს უკანასკნელნი გამოეყენებინათ მშობლიური ისტორიის სწავლების დროსაც.

რუსეთის იმპერიის სკოლებში, კაიდანოვის, უსტრიალოვის და სმოროგდოვის სახელმძღვანელოების შემდეგ, 50-იანი წლებიდან იხმარება და დიდი პოპულარობით სარგებლობს სოლოვიოვის, შულგინის, სტასიულევიჩის ისტორიის სახელმძღვანელოები. რა თქმა უნდა, ამ დროს ისტორიის სხვა სახელმძღვანელოებიც იყო, მაგრამ ისინი ან ნაკლებად იხმარებოდნენ სკოლებში, ანდა, თუ გამოიყენებოდნენ, ისიც დამატებითი მასალის სახით.

60-იანი წლებიდან თვითმპყრობელობის დამხობამდე რუსეთის იმპერიის, და მათ შორის ამიერკავკასიის სკოლებშიც, გაბატონებულ ადგილს იკავებს დ. ილოვაისკის სახელმძღვანელოები.

დ. ილოვაისკის სახელმძღვანელოები აგებული იყო მცდარი პრინციპების საფუძველზე. მათი არამეცნიერულობა, ზერელობა და მეფის მონარქიისადმი ერთგულების ქადაგება ჰქონდა მხედველობაში ვ. ი. ლენინს, როცა წერდა: „სწორედ ბ. კრიჩევსკის მაგალითი, — ვუპასუხებთ ჩვენ ამაზე, — გვიჩვენებს, რომ ზოგჯერ მარქსისტებად ნათლავენ თავის თავს ისეთი ადამიანები, რომლებიც ზედგამოჭრით „ილოვაისკისებურად“ უყურებენ ისტორიას“.

დ. ილოვაისკის სახელმძღვანელოების მონარქსისტულმა მიზანდასახულობამ რეაქციული წრეების მოწონება დაიმსახურა.

რეაქციის გაძლიერებამ განათლების სისტემაში თავისი გამოხატულება ჰპოვა, აგრეთვე, ქართული და სხვა ადგილობრივი ენების თანდათანობით შევიწროებაში.

როგორ ეგუებოდა ქართველი საზოგადოება მშობლიური ენის ასეთ უნუგეშო მდგომარეობას სასწავლებელში? ამ საკითხზე პირველად ხმა აღიმაღლა ივ. კერესელიძის „ცისკარმა“, რომელიც მოითხოვდა ეროვნულ სასწავლებლებს ქართული სახელმძღვანელოებით; მაგრამ მისი სურვილი, განახლებულიყო მონასტრებში სწავლება, დროს უკვე აღარ შეესატყვისებოდა.

ძველ კონსერვატულ და სარწმუნოებრივ იდეებს აღზრდა-განათლების დარგში, ისევე როგორც ენისადმი დამოკიდებულების საკითხში, 60-იანი წლებიდან დაუპირისპირდნენ „დროების“ ირგვლივ შემოკრებილი „თერგდალეულები“.

„თერგდალეულთა“ მოთხოვნა: შექმნილიყო ერთიანი ეროვნული, ყველასათვის გასაგები ლიტერატურული ენა, დაუპირისპირდა საკუთრივ ქართველ თავადაზნაურულ არისტოკრატიას, რომელიც ცდილობდა ტრადიციული ენა გამოეყენებინა თავისი კლასობრივი ფეოდალური ინტერესებისათვის. საბოლოო ანგარიშში ამ დავამ, რომელმაც თაობათა შორის ბრძოლის ხასიათი მიიღო, გამოამჟღავნა საზოგადოებრივ ცხოვრებაში დაწყებული დიდი ქარტეხილები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართველი ერის ცხოვრებაში XIX საუკუნედიდი ეროვნული ძვრების ხანაა. ირან-ოსმალეთ-რუსეთის დიდ ბრძოლებში წარმატებით გრძელდებოდა მტერთაგან მიტაცებული „საქართველოების გამოხსნა, რომლებიც რუსეთის იმპერიაში შემავალ დედასამშობლოს უბრუნდებოდნენ. ქართველი თავადაზნაურობა გადაჭრით დადგა რუსეთის მხარეს, სულ უფრო და უფრო მჭიდრო ხდებოდა მათი კავშირი (1832 წლის შეთქმულების შემდეგ ქართველი დიდებულები იმის ცდაში არიან, ვინ მეტად ისახელებს თავს მეფის სამსახურში, ამ მხრივ კიდევ უფრო მაცდუნებელი იყო ვორონცოვის „ხაფანგი“).

პოლიტიკურად დაშლილი ფეოდალური საქართველო თავს იყრიდა, ერთიანდებოდა, ეკონომიკურად ძლიერდებოდა, ქართველი ბურჟუაზიული ერი ყალიბდებოდა.

ისტორიის მიერ დასაღუპავად განწირულ ფეოდალურ წყობილებას თან უნდა გადაჰყოლოდა საზოგადოებრივ-ფუნქციამოშლილი ფეოდალთა კლასი.

ცხოვრების ახალი გეზის გამონახვის აუცილებლობა განსაკუთრებით დააჩქარა ისეთმა მნიშვნელოვანმა მოვლენამ, როგორიც იყო ბატონყმობის გადავარდნა.

ბურჟუაზიული ურთიერთობის გამარჯვების პირობებში, რაც მოყვა ბატონყმობის გადავარდნას, საქართველოსათვის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მონაპოვარს წარმოადგენდა 1879 წელს ქრთველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დაარსება და მისი უდიდესი კულტურული მისია. მიუხედავად სახელმწიფო აპარატის შეზღუდვებისა, ფაბრიკებისა და ქარხნების ზრდის, ტექნიკის განვითარების პირობებში ცარიზმი იძულებულია დაწყებითი სკოლების ქსელი გააფართოვოს. გაიხსნა სასოფლო ორი ან ოთხკლასიანი სკოლები, სადაც მოწაფეებს ასწავლიდნენ კითხვას, წერას, თვლას და გაჩნდა საჭიროება მშობლიური ისტორიის შესწავლისაც. საუკუნეების განმავლობაში მაღალი საზოგადოებისათვის ფუფუნების საგნად ქცეული მეფეთა და ომების მეისტორიე „ქართლის ცხოვრება“ გარდა დიდმოცულობისა იდეურადაც და შინაარსობრივადაც სახალხო სკოლებში მოსულ გლეხთა შვილებს სათანადოდ ვერ მოემსახურებოდა, არ გამოადგებოდათ თავის შესაცნობად. აქ მათი უშუალო წინაპრების მშრომელი გლეხობის სახე მკრთალად ან თითქმის სულ არ იყო ასახული. ეს განსაკუთრებით შესამჩნევი ხდება XIX ს-ის 80-იანი წლებიდან როცა ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობამ სახალხო სკოლებისათვის სახელმძღვანელოთა შედგენაზე გამოაცხადა კონკურსი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო რ. ძამსაშვილის „შემოკლებული საქარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თველოს ისტორია“. ისტორიის სახელმძღვანელოს განხილვასთან დაკავშირებით წარმოშობილი პრობლემის ძირითადი ასპექტების გამოკვლევა-გამორკვევაში ფასდაუდებელი წვლილი შეიტანა რ. ძამსაშვილის სახელმძღვანელომ და მისმა რეცენზენტებმა: დ. ბაქრაძემ ი. გოგებაშვილმა, თ. ჟორდანიამ, გრ. ყიფშიძემ.

აქ ყურადღების ღირსია ის გარემოება რომ დ. ბაქრაძემ სახელმძღვანელოზე დაწერილ თავის რეცენზიაში კიდევ ერთხელ გაამახვილა ყურადღება „მთელი ხალხის ცხოვრების წარმოჩენაზე“, რომლის შესწავლის აუცილებლობა ჯერ კიდევ 1873 წელს, რუსეთის სამეცნიერო აკადემიაში წარდგენილ მოხსენებაში ჩამოაყალიბა.

ეს თვალსაზრისი საერთო იყო XIX საუკუნის მეორე ნახევრის ყველა დემოკრატისათვის, მათ შორის ი. ჭავჭავაძის, ს. მესხის, ა. ფურცელაძისა და სხვებისათვის. „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით შედგენილმა „შემოკლებული საქართველოს ისტორიის“ განხილვამ დაასაბუთა რომ XIX ს-ის მეორე ნახევრის გამოჩენილ ქართველ საზოგადო მოღვაწეებს, ისტორიკოსებსა და პედაგოგებს უკვე აღარ აკმაყოფილებდათ ამ ძეგლის არა მარტო სქემა და მასალები, არამედ თვით ამ მასალების გადმოცემაც, პოლიტიკური ისტორიის ძირითადი მომენტების მოთხრობა. ამდენად გასაგებია, რომ „ქართლის ცხოვრების“ მეთოდებზე აგებული სახელმძღვანელო ამ არსებით ნაკლს გვერდს ვერ აუვლიდა.

ამრიგად, საჭირო გახდა ქვეყნის შინაგანი ისტორიის, ხალხის ისტორიის პრობლემათა შესწავლა. პრიორიტეტი ამ საქმეში ეკუთვნის აკად. მ. ბროსეს, რომელმაც ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის 30-იან წლებში, კერძოდ, 1837 წელს წამოაყენა თეზისი ხალხის შინაგანი ისტორიის შესწავლის აუცილებლობის შესახებ. მაგრამ ის უცილობელი ფაქტი რომ იმჟამინდელ ქართულ ისტორიოგრაფიაში ამგვარი, სავსებით სამართლიანი მოთხოვნის წამოყენება ეროვნებით ფრანგს ხვდა წილად, არ იყო შემთხვევითი.

კლასთა ბრძოლის ისტორიული განვითარება, ხალხთა მასების ისტორიის შესწავლის აუცილებლობა მ. ბროსემდეც ცნობილი ფაქტი იყო, პირველ რიგში, მისივე ქვეყნის ფრანგი ისტორიკოსებისათვის. ოგიუსტენ ტიერი, ფრანსუა გიზო, ფრანსუა მინიე, ლუი-ადოლფ ტიერი ერთ-ერთი პირველები იყვნენ, რომელთაც კ. მარქსისაგან კლასთა ბრძოლის „მამების“ სახელი დაიმსახურეს. როგორც ცნობილია ეს გრანდიოზული მნიშვნელობის სიახლე დროის მხრივ, ბურჟუაზიული ოპტიმიზმის ხანას განეკუთვნება, კერძოდ, (1815-1830 წ. წ.) ე. წ. „რესტავრაციის პერიოდს“. მაგრამ ქართული ისტორიოგრაფიისათვის ამ საქმეში პრიორიტეტი უდავოდ აკად. მ. ბროსეს მიუძღოდა. მართალია, მოთხოვნა სავსებით სამართლიანია, მაგრამ მე-19 საუკუნის 30-იან წლებში, კერძოდ, 1837 წელს მ. ბროსეს მიერ ხალხის შინაგანი ისტორიის შესწავლის აუცილებლობის საკითხის დასმა რამდენად შეესაბამებოდა საქართველოს იმჟამინდელი სინამდვილის განვითარების ობიექტურ კანონზომიერებებს?

როგორც განვლილმა დრომ გვიჩვენა, ამგვარი მოთხოვნა ჩვენი ისტორიოგრაფიისათვის აშკარად დაუძლეველ პრობლემად იქცა. მაშ რაში იყო საქმე? ნუთუ მხოლოდ იმაში, რომ ჩვენი „მეთოდოლოგია ძალზე შეზღუდული იყო და წყაროთმცოდნეობითი ბაზა სუსტი“.

თავი რომ დავანებოთ წვრილმან წყაროებს, შუა საუკუნეების ასეთი დიდი ძეგლი, როგორიც იყო „ქართლის ცხოვრება“ აკად. მ. ბროსემ გამოსცა 1849 წელს, ...სუმბატ დავითის ძის „ცხოვრება და უწყება ბაგრატიონთა“ დაისტამბა 1851 წელს, „ქართლის ცხოვრების“ მეორე ნაწილი პროფ. დ. ჩუბინიშვილმა გამოსცა 1854 წელს და სხვ. მაშასადამე, რატომ არ შეიძლებოდა „გარდატეხის მოხდენა“ საქართველოს ისტორიის შესწავლაში?

მიუხედავად ყოველივე ამისა, ვერც ძეგლის მეცნიერული შესწავლა წყაროების გამოცემით და ვერც მის მიხედვით წიგნთა შედგენა „გარდატეხის მოხდენის“ შესაძლებლობას არ იძლეოდა.

თუ რესტავრაციის პერიოდის ბურჟუაზიულმა ისტორიკოსებმა გაცილებით ადრე იცოდნენ „კლასთა ისტორია“, კლასთა ბრძოლის ისტორიული განვითარება და ასევე ერთ-ერთმა პირველებმა ისტორიაში მოქმედ პირად შემოიყვანეს მივიწყებული და უგულებელყოფილი უდიდესი ფენომენი — „ხალხი“, ეს განაპირობა პოლიტიკური ბრძოლების ცენტრმა საფრანგეთმა, სადაც ბურბონთა რესტავრაციის პერიოდის ბურჟუაზიამ თავადაზნაურული რეაქციის წინაალმდეგ ბრძოლაში გამოჭედა გრანდიოზული მნიშვნელობის სიახლე — „ხალხის ისტორია“.

1887 წელს მ. ბროსეს მიერ წამოყენებული თეზისი ხალხის შინაგანი ისტორიის შესწავლის აუცილებლობის შესახებ აშკარად დაუძლეველი იყო ჩვენი სინამდვილისათვის. 1887 წლის საქართველო, რომელიც სულ ხუთიოდე წლის წინ თავადაზნაურთა შეთქმულებით ლამობდა ქვეყნის გამოხსნასთან ერთად ბაგრატიონთა დინასტიისათვის ტახტის დაბრუნებას, ხალხის შინაგანი ისტორიის შესწავლის აუცილებლობის მოთხოვნისათვის აშკარად მოუმზადებელი იყო, ისევე როგორც საერთოდ რუსეთის იმპერიაში, ყირიმის ომს ჯერ კიდევ არ ეთქვა გადამწყვეტი სიტყვა ბატონყმობის ალკვეთის საქმეში. მხოლოდ ამ ომის შედეგებმა და მოახლოებულმა რევოლუციურმა სიტუაციამ შექმნა პირობები

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბურჟუაზიული რეფორმებისათვის, რომლებიც, მიუხედავად მათი არათანმიმდევრული, შეზღუდული ხასიათისა იძლეოდნენ საშუალებას ბურჟუაზიული განვითარების გზით რუსეთის წინსვლისათვის.

თავისი ეპოქის რევოლუციურ მოძრაობასთან, ხალხის ცხოვრების მოთხოვნებთან კავშირი — აი, რეფორმისშემდგომი რუსეთისა და მის იმპერიაში შემავალ სხვა ხალხთა კულტურის განვითარების განმასხვავებელი ნიშანი.

როგორც თავის დროზე ო. ტიერიმ თანადროულ ფრანგულ ისტორიოგრაფიას მთავარ ამოცანად დაუსახა: „ჩვენ არა გვაქვს ისტორია მოქალაქეთა, ისტორია ქვეშევრდომთა, ისტორია ხალხისა... თავისუფლებისაკენ ხალხთა მასების მოძრაობა ჩვენ უფრო დიდებული სახით წარმოგვიდგება, ვიდრე დამპყრობთა ლაშქრობები, ხოლო მათი უბედურება ჩვენ უფრო აგვაღელვებს, ვიდრე უბედურება ტახტიდან ჩამოგდებული მეფეებისა", ასევე დიდმა ილიამ სცადა თავისი ეპოქის ინტერესების ახსნა, ხალხი — აი, ვისი ისტორია უნდა იქნეს, უპირველეს ყოვლისა, შესწავლილი.

და დადგა ისტორიული მომენტი, როცა კალმით თუ საქმით ხალხი აღიარეს ბატონობისათვის მებრძოლად. თერგდალეულთა ბელადმა ილია ჭავჭავაძემ დიდი რეალისტი მხატვრის კალმით დახატა ბატონყმური საქართველოს კლასობრივი ურთიერთობის სურათები, პირველმა დააყენა „ჩატეხილი ხიდის" პრობლემა.

ამასთან, არ შეიძლება არ აღინიშნოს ამ მნიშვნელოვანი პრობლემების გადაწყვეტის საქმეც. თუ რესტავრაციის პერიოდის ისტორიკოსებმა ხალხის ისტორიის შესწავლა კლასობრივი დაპირისპირებისა და წინააღმდეგობათა კავშირში წმინდა ბურჟუაზიულ ასპექტში გადაჭრეს, ქართველმა სამოციანელებმა ხალხი ერის განუყოფელ ნაწილად გამოაცხადეს, მის ავანგარდად და ხელმძღვანელად, რომელსაც ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლაში უნდა შეეკავშირებინა ყველა სხვა წოდებები.

თერგდალეულებმა, იმ დროის საქართველოს სპეციფიკური პირობების გამო, არ დასახეს რევოლუციურ გამოსავლად კლასობრივი ბრძოლა და მის ნაცვლად თავს იდვეს კლასთა შეთანხმება. მათი აზრით, ხანგრძლივი დაქუცმაცებულობის შემდეგ, ნანატრ ერთიანობას დაბრუნებული ქვეყანა კვლავ ახალი პოლიტიკური დანაწევრების საფრთხის ქვეშ დადგებოდა. ისინი შიშით აღიქვამდნენ კლასობრივ ომს, რომელიც დიდ ერებში პროგრესის, განახლების ერთადერთ გზად წარმოედგინათ, ხოლო ჩვენისთანა პატარა ერისათვის მომაკვდინებელ ცოდვად.

ამის შემდეგ თერგდალეულთ, რა თქმა უნდა, არ შეეძლოთ, მდგარიყვნენ რევოლუციონერ დემოკრატთა პოზიციაზე, ე. ი. იმ პოზიციაზე, რომლის ერთადერთი შემდგომი განვითარება იქნებოდა მარქსიზმი, ანუ რევოლუციური კლასთა ბრძოლის გზით საზოგადოებრივი პროგრესის მიღწევა, ამდენად, თერგდალეულები ვერ შერჩნენ მარქსიზმის წინამორბედთა პოზიციებს (მიუხედავად იმისა, რომ როგორც ილიამ, ისე სხვა მოთავეებმაც საკმაოდ კარგად იცოდნენ და იცნობდნენ მარქსისტულ ლიტერატურას).

ამრიგად, ხალხთა მასების ისტორიის შესწავლისათვის საკითხის წამოჭრაზე პირველი სიტყვა ეკუთვნის მხოლოდ და მხოლოდ კონკრეტულ ისტორიულ ვითარებას. საფრანგეთისთვის ეს იყო დიდი ბურჟუაზიული რევოლუციისა და ნაპოლეონის ომების შედეგი, ხოლო საქართველოსთვის „დიდი გარდატეხის ფაქტორად" იქცა ბურჟუაზიული ურთიერთობის გამარჯვების პირობებში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა. სწორედ ამიტომ, აკად. მ. ბროსეს შეეძლო ქართველი საზოგადოებისათვის მხოლოდ გაეცნო საკითხი, მაგრამ მისი გარკვევა მარტოოდენ XIX ს-ის მეორე ნახევრის გამოჩენილ ქართველ მესვეურთა სახელებს უკავშირდება.

იმის შესახებ, თუ რა სიახლე შეიტანეს ამ მხრივ, ჩვენმა სახელოვანმა სამოციანელებმა სათანადო სამეცნიერო ლიტერატურასა და ქართულ ისტორიოგრაფიაში იმ სიძნელეთა თაობაზე, რომლებიც არსებობდა იმჟამად ისტორიის სახელმძღვანელოთა შედგენის საქმეში, უწინარეს ყოვლისა კი, სახალხო სკოლებისათვის, ჯეროვან წარმოდგენას იძლევა ი. გოგებაშვილის მიერ „დედა ენისა" და „ბუნების კარისათვის" შედგენილი საქართველოს ისტორია.

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მიერ სახალხო სკოლებისთვის გამოცხადებულმა სახელმძღვანელოთა შესარჩევმა კონკურსმა, მასზე წარმოდგენილმა რ. ძამსაშვილის „შემოკლებული საქართველოს ისტორიის" განხილვამ ცხადჰყო, რომ ამ დროს მხოლოდ იწყებოდა საქართველოს ისტორიის წყაროების გამოვლენა და გამოცემა, არ იყო გამოკვლევები. მონოგრაფიები, მაშასადამე, სათანადო საფუძველიც არ მოიპოვებოდა მეცნიერულად გამართული ისტორიის სისტემატიკური კურსის შესაქმნელად. გარდა ამისა, სახალხო სკოლების დაწყებით კლასებში მოსწავლეები რომ პირდაპირ სისტემატიკური კურსით შედგომოდნენ სწავლას, ძალიან გაუძნელდებოდათ მასალის ათვისება. ამიტომ გამოითქვა აზრი, რომ შეედგინათ ისტორიის ეპიზოდური კურსი. ამ საქმის ინიციატორი და მოთავე დიდი ქართველი პედაგოგი იაკობ გოგებაშვილი იყო.

ისტორიის ელემენტები ლექსებისა თუ მცირე მოთხრობების სახით თავს იჩენდა ი. გოგებაშვილის „დედა ენის" ჯერ კიდევ პირველსავე

გამოცემაში, მაგრამ მასში წარმოდგენილი მასალა მხოლოდ ამზადებდა მოსწავლეთ და ინტერესს უღვიძებდა მომდევნო წლებში ისტორიის უფრო სრული კურსის შესათვისებლად. საქართველოს წარსულის შესწავლის საჭიროებამ სწავლების შემდგომი წლებისათვის სახელმძღვანელოში ისტორიული განყოფილების შექმნა მოითხოვა რის შესახებაც ი. გოგებაშვილი „ბუნების კარის“ მესამე გამოცემის (1876 წ.) წინასიტყვაობაში მიუთითებდა.

ი. გოგებაშვილმა „ბუნების კარის“ მეხუთე, 1885 წლის გამოცემაში, მშობლიური ისტორიისათვის მთელი მესამე განყოფილება შეადგინა. დროთა განმავლობაში ამ წიგნის ისტორიული ნაწილი თანდათან მდიდრდებოდა სათანადო მასალებით და იხვეწებოდა პედაგოგიურ მოთხოვნილებათა შესაბამისად.

„ბუნების კარში“ ისტორიის ეპიზოდური კურსის თხრობის გაზრდამ შესაძლებლობა მისცა ავტორს ისტორიული მასალა „დედა ენაშიც“ გადაეტანა და შეედგინა ისტორიის სწავლების ორი კონცენტრი. 1906 წელს „დედა ენის“ ორ ნაწილად გაყოფის შემდეგ მის მეორე ნაწილში, რომელიც საკითხავ წიგნად იყო გათვალისწინებული, მშობლიური ისტორიის საკითხებისათვის შედგა პირველი კონცენტრი სახელწოდებით — „ქვეყნისათვის თავდადებული ქართველები“, რომელიც წინ უძღოდა მეორე კონცერტს, მოთავსებულს „ბუნების კარში“ განყოფილებით — „მოთხრობანი საქართველოს წარსულიდგან“.

ისტორიის სწავლების გასაუმჯობესებლად ი, გოგებაშვილი კიდევ ერთი დიდი ნაბიჯის გადადგმას აპირებდა. მას განზრახული ჰქონდა, ისტორია გეოგრაფიასთან ერთად („სამშობლოსმცოდნეობა“), სკოლაში ცალკე საგნად გამოეყო. ამის შესახებ იგი აუწყებდა კიდეც მკითხველებს 1906 წლის გამოცემის წინასიტყვაობის შესავალში, მაგრამ ეს სურვილი ი. გოგებაშვილისაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო განუხორციელებელი დარჩა. ამიტომ დიდმა პედაგოგმა „ბუნების კარში“ ჯეროვანი ცვლილებების შეტანის შემდეგ 1907 წელს ისევ აღადგინა გეოგრაფიული და ისტორიული განყოფილებები.

სახელმძღვანელომ საბოლოოდ დასრულებული სახე 1909 წელს მიიღო. ამ დროიდან მას დაემატა ახალი, მეოთხე განყოფილება — „მსოფლიო ისტორიის მოკლე ნარკვევებით“ — კაცობრიობა. ახალი განყოფილება გეოგრაფიულ მიმოხილვასთან ერთად, მრავლად შეიცავდა ისტორიის ელემენტებსაც, საზღვარგარეთის, უმთავრესად დაწინაურებული ქვეყნების ეკონომიკისა და სახელმწიფო წყობილების აღწერას.

„დედა ენით“ და „ბუნების კარით“ ი. გოგებაშვილმა პირველმა ჩაუყარა საფუძველი ისტორიის ეპიზოდური კურსით სწავლებას ქართულ სკოლაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უდიდესი იყო ი. გოგებაშვილის მიერ შედგენილი ისტორიულ მოთხრობათა გავლენა არა მარტო მოსწავლე ახალგაზრდობაზე, არამედ ქართველ ხალხზე. ამ მოთხრობათა მეოხებით ისწავლებოდა საქართველოს ისტორია სკოლებში და ეს მოთხრობები მიმზიდველობას და აქტუალურობას არ კარგავენ ახლაც.

თვით ი. გოგებაშვილი და მისი თაობის სახელოვანი წარმომადგენლები შეუძლებელია კმაყოფილნი ყოფილიყვნენ საქართველოს ისტორიის შესწავლის მაშინდელი დონით, აგრეთვე იმითაც, რაც თვითონ მათ შესძინეს მეცნიერების ამ დარგს, მაგრამ მათ ყოველივე ეს მხოლოდ საქმის დასაწყისად მიაჩნდათ. „საქართველოს ისტორია წარმოადგენს ისეთ ხანგრძლივსა და რთულ დრამას, რომელსაც ასი შექსპირიც ვერ ამოლევს“ და იქვე დასძენდნენ: „...აჰა, მკითხველო, ერთი მეათასედი, ასე ვთქვათ მოქმედება ამ საოცარი დრამისა, რომლის შინაარსი ამოღებულია „ქართლის ცხოვრებიდან“. იაკობი და მისი თაობა, მიუხედავად ამისა, ღრმად იყვნენ დარწმუნებულნი იმაში, რომ ახლო მომავალში საქართველოს მეცნიერული ისტორია დაიწერებოდა. „მოვა დრო, — წერდა ა. წარეთელი — როდესაც მომავალი ჩვენი ისტორიკოსები მოუყრიან თავს მასალებს... და შეადგენენ ერთ ვრცელ ისტორიას ჩვენი სამშობლოსი“.

XIX საუკუნის 70-80-იან წლებიდან რეაქციული რუსიფიკატორული რეჟიმის მკაცრი შემოტევის პირობებში, ქართული საზოგადოებრიობის წინაშე მკვეთრად დაისვა ქართველი ერის გადარჩენის საკითხი. საქმე შეეხებოდა ქართულ ენას, სკოლას, კულტურას. ყველა საზოგადოერივ-პოლიტიკური მიმდინარეობა, მოწოდებული იყო გაერკვია თავისი დამოკიდებულება ამ საკითხისადმი. ესა თუ ის პასუხი, ბუნებრივია, გულისხმობდა საქართველოს როგორც აწმყოსა და მომავლის განმარტებას, ისე მისი ისტორიული წარსულის პრინციპულ შეფასებას.

გვიან თერგდალეულებმა ერის საერთო მოქმედების ნიადაგის თეორია კიდევ უფრო წინ წამოსწიეს, კლასთა ბრძოლა უგულებელყვეს და ქართველი ერის გადასარჩენად, კლასთა თანამშრომლობა იქადაგეს.

ბურჟუაზიის იდეოლოგები ერის გადარჩენის მისიას ქართველ ბურჟუაზიას აკისრებდნენ მაგრამ თავადზანურობის მსგავსად თავის იდეალს შორეულ წარსულში, ე. წ. „ოქროს ხანაში“ იგულვებდნენ...“ ამ ერთის შეხედვით უცნაური გარემოების საფუძველი ის იყო, რომ ახალმოზარდი ქართველი ბურჟუაზია სახელმწიფოებრივ მფარველობას მოკლებული იყო და ძლიერ არაქართველ ბურჟუაზიასთან მეტოქეობაში ის ტანჯვით იზრდებოდა. სიმძიმეებით

ეროვნული ბიბლიოთეკა

სავსე აწმყო ჰქონდა და არც ბრწყინვალე მომავალი ესახებოდა.

ასეთ პირობებში პატრიოტულ-რომანტიკული ფეოდალური ისტორიოგრაფია „ოქროს ხანით" ქართველ ბურჟუაზიას გულზე ხვდებოდა". (ნ. ბერძენიშვილი), ასეთ იდეურ ატმოსფეროში ხშირი იყო ისტორიის გაყალბება, საქართველოს ისტორიული წარსულის უსაფუძვლო იდეალიზაცია. უარყოფილ იქნა ისტორიულ წარსულში ქართული ბატონყმობის სისასტიკე, შემუშავდა ე. წ. „მამაშვილობის" თეორია — ისტორია თავდადებულ პატრიოტთა სარბიელად წარმოდგა. კლასთა სანატრელი თანხმობისა და პატრიოტ თავდადებულთა ქვეყნად დაისახა ისტორიული საქართველო, რომლის ბედნიერებას ხელს ვითომცდა მხოლოდ გარეშე მტერი უშლიდა...

ასეთ პირობებში კანონზომიერი მოჩანს ქართველი ხალხოსნების ნიჰილისტური პოზიცია საქართველოს წარსულის შეფასებაში. ეს იყო პროტესტი ისტორიის უსაფუძვლო შელამაზება — იდეალიზაციის წინააღმდეგ, მაგრამ, ამავე დროს ეს იყო ხალხოსანთა ურწმუნოების მოწმობა საკუთარ გამარჯვებაში (ამ მხრივ, ნიშანდობლივია ნიჰილისტობა პროტესტანტგლეხურისა ჯაბადარის მაგალითზე). ამ ვითარების ერთგვარ პასუხს წარმოადგენდა ივ. ჯავახიშვილის 1904 წ. გამოცემული ნაშრომი „მამულიშვილობა და მეცნიერება", სადაც ჯერ კიდევ ახალგაზრდა მკვლევარმა გაილაშქრა ე. წ. ადვოკატური, გამოსარჩლებითი ისტორიის წინააღმდეგ.

აშკარა იყო, რომ თვალსაჩინო წარმატების მიუხედავად ბურჟუაზიული საქართველოს ისტორია ვერ გაიმართა (ესეც ნიშანდობლივია!...)

დღის წესრიგში კვლავინდებურად იდგა „ქართლის ცხოვრების", როგორც სახელმძღვანელოს, იდეური საკითხი.

ხალხთა საპყრობილეს პირობებში ცარიზმის ტლანქი რუსიფიკატორული პოლიტიკა კოლონიურ ქვეყანას არცთუ იშვიათად შეახსენებდა ხოლმე იმ გაუკუღმართებულ წარსულსაც, რომელიც ირან-ოსმალეთის წინააღმდეგ ეპიკური ბრძოლების პირობებში ჩაისახა. ასეთ პირობებში ქართველი საზოგადოების პროგრესული ნაწილი მტრის სიძულვილში როდი ხედავდა გამოსავალს. ამ მხრივ ნიშანდობლივია ი. გოგებაშვილის სახელმძღვანელოები, კერძოდ „დედა ენა" რომელშიც ნათქვამია: „კაი ხანია, რაც საქართველოს აღარ მტრობენ და აღარ აწუხებენ აღარც ლეკები, აღარც სპარსელები და აღარც სხვა წინანდელი მტრები. ამის გამო ჩვენც, ქართველებს, გვმართებს ყოველგვარს მტრობაზე მათ შესახებ ხელი ავიღოთ (და აღებული გვაქვს საბედნიეროდ) და ვიქონიოთ კეთილი მეზობლობა, მეგობრული განწყობილება" (გოგებაშვილი ი., „დედა ენა", მეორე ნაწილი გვ. 242).

ამავე დროს, ი. გოგებაშვილი მიუთითებს ორ შინაურ მტრებზე, რომელიც ჰყავდა მისი დროის საქართველოს: უსწავლელობასა და სიღარიბეზე. სწორედ ამ მტრების წინააღმდეგ ბრძოლისაკენ მოუწოდებდა მოსწავლე ახალგაზრდობას დიდი ქართველი პედაგოგი. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ქართველი მოღვაწენი რევოლუციურ რუსეთში პოულობდნენ იდეურ ხელმძღვანელობას და ბრძოლაში საიმედო მოკავშირეს, დეკაბრისტებიდან მოკიდებული რევოლუციონერ დემოკრატებითა და სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის წარმომადგენლობით დამთავრებული.

ქართველმა რევოლუციონერ მარქსისტებმა (ალ. წულუკიძე, ი. სტალინი, ფ. მახარაძე) ქართველი ერის აღდგომა, ქართული ენისა და კულტურის დაცვა ლენინიზმის პოზიციებიდან რუსეთის პროლეტარიატის რევოლუციურ ბრძოლას, მის გამარჯვებას დაუკავშირეს.

ქართველმა მარქსისტ-ლენინელებმა ხელში აიღეს საზოგადოებრივი განვითარების იდეური მესაჭეობა, მომავლის მშენებლებმა ქვეყნის წარსულიც განჭვრიტეს და იქ ადვილად დაინახეს არა მხოლოდ ფეოდალები და მათი ბატონობა, არამედ ქვეყნის მატერიალური დოვლათის შემქმნელი მარად მებრძოლი საზოგადოება (ნ. ბერძენიშვილი).

ჩვენი სახელოვანი პროგრესული მოღვაწენი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მეთაურთა ბანაკიდან ჯერ კიდევ რევოლუციამდე აღიარებდნენ ფეოდალური ხანის ქართული ისტორიოგრაფიის უმთავრეს ნაკლს, რომ „ქართლის ცხოვრების" მონაცემები არ იყო საკმარისი იმისათვის, რათა ქართველი ერის ისტორია ახალი დროის მოთხოვნილების შესაფერისად დაწერილიყო. დიდმა ილიამ პირველმა დასვა გადასაჭრელად ქართველი ისტორიკოსების წინაშე ისტორიის ქვაკუთხედად დასადები ამოცანები: ქართველი ხალხის მწარმოებელი საზოგადოება და ქართველი ხალხის ეკონომიკა ისტორიულ წარსულში.

ილიას მიერ დასმული საკითხები არ მოხსნილა ქართული ისტორიოგრაფიის დღის წესრიგიდან და ბურჟუაზიული ხანის ქართველი ისტორიკოსები ახალი საისტორიო მასალების შეგროვება-გამოქვეყნებით ენერგიულად ცდილობენ „ქართლის ცხოვრების" აღნიშნული ნაკლის შევსებას.

XIX ს-ის სამოციანელთა მოღვაწეობას იმ დროისათვის ხელშესახები ნაყოფი უკვე ჰქონდა გამოღებული: საქართველოში კულტურისა და მეცნიერების სარბიელზე მოქმედებდნენ წრეები, სადაც ინტენსიური მუშაობა იყო გაჩაღებული (მ. ჯანაშვილი, თ. ჟორდანია ე. თაყაიშვილი, ივ. როსტომაშვილი, დ. ფურცელაძე, გ. წერეთელი და სხვ.).

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმავე დროს ყალიბდებოდა ქართველთმცოდნეობის პეტერბურგის სკოლა. ალ. ცაგარელი, უფრო გვიან ნ. მარი და შემდეგ ივ. ჯავახიშვილი დიდის წარმატებით მოღვაწეობდნენ „ქართლის ცხოვრების“ შევსება — განახლებისათვის. სწრაფად წავიდა წინ ქართველოლოგიის განვითარება, კერძოდ, საქართველოს ისტორიის წყაროების შემოკრება (იერუსალიმი, სინა, ათონი, პეტერბურგი, მოსკოვი).

პატრიოტ-ისტორიკოსთა მუშაობის შედეგად გამოვლინდა საქართველოს ისტორიის დიდძალი მასალა, შემზადდა მტკიცე მეცნიერული ბაზა ქართული ისტორიოგრაფიის განვითარების შემდგომი ეტაპისათვის. საისტორიო მასალის შეგროვება-გამოქვეყნების გვერდით სულ უფრო და უფრო ღრმავდებოდა თეორიულ საკითხებზე მუშაობა (ი. გვარამაძე, მ. ჯანაშვილი, დ. ბაქრაძე, ვ. ურუშაძე, ვ. ქუთათელაძე, დ. კარიჭაშვილი, ს. ქვარიანი, ს. გორგაძე, ი. ფერაძე, ევ. ნიკოლაძე, ს. კაკაბაძე და სხვ., მაგრამ ეს არ კმაროდა, საჭირო იყო ისტორიკოსი, რომელიც საისტორიო მასალების კვლევა-ძიებისა და კრიტიკულად შემოწმების შემდგომი გაღრმავების გარდა, საქართველოს ისტორიას ზოგადი ფილოსოფიური თვალსაზრისით შეხედავდა და ერთ მონუმენტურ მხატვრულ სურათს დახატავდა.

ჩვენი ისტორიის აურაცხელი საკითხების უჩვეულო სიღრმითა და მოცულობით დამუშავებაში ქართული ისტორიოგრაფიისათვის ახალ ეტაპს ქმნის ივანე ჯავახიშვილი. გარდა იმისა, რომ ჩვენს დიდ ისტორიკოსს თვითონ მოუხდა ეკონომიკის, სახელმწიფოსა და სამართლის, პოლიტიკური და ა. შ. ისტორიის დამუშავება, ბევრი დამხმარე საისტორიო დისციპლინის დაფუძნება, მან დაგვიტოვა მონუმენტური ნაშრომი — „ქართველი ერის ისტორია“ ხუთ წიგნად. ივანე ჯავახიშვილის შემოქმედება, კერძოდ, „ქართველი ერის ისტორია“, ნიშანსვეტად იქცა ქართული ისტორიოგრაფიის განვითარებაში, ხოლო მის მიერ დაარსებულმა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა ერთად შეკრა ქართველი ერის მეცნიერული ძალები, მათ შორის, ქართული ისტორიოგრაფიის სარბიელზე მომუშავე მეცნიერები.

საქართველოში საბჭოთა წყობილების გამარჯვებით, ბუნებრივია, ქართველი ისტორიკოსების წინაშე დიდი ამოცანა დაისვა: აქამომდელი ქართული ისტორიოგრაფიის გადასინჯვა და მისი ახლად, მარქსისტულად გამართვა. დიდმა მუშაობამ, აქამდე ხელუხლებელი არაერთი საკვანძო საკითხის ახლად გაშუქებამ საზოგადოების წინაშე ახალი ამოცანა წამოჭრა — გვქონოდა მარქსისტულად გამართული მთლიანი საქართველოს ისტორია.

1941 წ. მოხერხდა საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოს მაკეტის გამოქვეყნება.

1943 წ. დაიბეჭდა საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელო.

1947 წ. აღნიშნულმა სახელმძღვანელომ სახელმწიფო პრემია დაიმსახურა.

1954 წ. ისტორიკოსთა კოლექტივს საქართველოს ისტორიის ახალი სახელმძღვანელოს დაწერა დაევალა.

1955 წ. სახელმძღვანელოს მაკეტი უკვე მზად იყო. 1956 წ. კი დაიბეჭდა და ფართო საზოგადოების მსჯელობის საგანი გახდა. საჯარო დისკუსიებში, მაკეტის ფაქტოლოგიურ და მეთოდოლოგიურ მიღწევებთან ერთად, აღინიშნა ნაკლიც, რომელიც ის იყო, რომ სახელმძღვანელო XIX ს-ის მიწურულზე წყდებოდა. არსად იყო XX საუკუნის საქართველოს ისტორია. ამ ნაკლის გამოსასწორებლად მიღებულ იქნა ღონისძიებანი. 1959 წ. შესაძლებელი გახდა, პირველად ქართულ ისტორიოგრაფიაში, საქართველოს ისტორიის ისეთი სახელმძღვანელოს დაბეჭდვა, რომელიც მოიცავდა ჩვენი ქვეყნის თავგადასავალს უძველესი დროიდან თანადროულობამდე.

ქართული ისტორიოგრაფიის შემდგომ განვითარებაში უცილობელი წარმატება იყო — საქართველოს ისტორიის რვატომეულის შექმნა (გამოიცა 1970-80 წლებში), ავტორთა კოლექტივის ამ ერთობლივმა შრომამ მორიგი დიდი ამოცანა წამოჭრა — საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოს შემდგომი დამუშავება. ერთიანი კონცეფციით, მეთოდოლოგიური საკითხების სათანადო დამუშავების საფუძველზე გამართული საქართველოს ისტორიის შექმნა ჯერჯერობით კვლავ სამომავლო ამოცანად რჩება.

საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოებზე თვალის გადავლებაც კი ცხადყოფს მეცნიერული დებულების სისწორეს იმის შესახებ, რომ კლასობრივი საზოგადოების ისტორიული აზროვნება ისევე კლასობრივია, როგორც მთელი მისი იდეოლოგია, რომ თითოეულ კლასს ისტორიისადმი თავისებური დამოკიდებულება გააჩნია, ბრძოლა კლასთა შორის, ამავე დროს, ბრძოლაა „სახელმძღვანელოების გარშემო“, მისი შინაარსისა და იდეური გამართულობის გარშემო.

და მართლაც, თითოეული კლასი თავისი სოციაურ-პოლიტიკური იდეალების, თავისი კლასობრივი მიზნების შესაფერის ისტორიის სახელმძღვანელოს ქმნიდა და ქმნის: ფეოდალები — ფეოდალურად, ბურჟუაზია — ბურჟუაზიულად, მშრომელი ხალხი — თავისი ინტერესების შესაბამისად. დადგა შესაძლებლობა მაღალ მეცნიერულ დონეზე საყოველთაო საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოს შედგენისა.

ცისანა კუხიანიძე



# პოეტური ხილვების სამყაროში

ჟურნალ „ლიტერატურნაია გრუზიას“ 1986 წლის მეოთხე ნომერში ერასტ კუზნეცოვი დარეჯან ბერიძისადმი მიძღვნილ წერილში აღნიშნავდა: „მისი თაობის ფერმწერთა გვერდით, იმ ქალთა გვერდით, ვინც სამოცდაათიანი წლების ფერწერაში ლამის წინამძღოლლებად გვევლინებიან — რთული აზრობრივი კონსტრუქციების განლაგებით, ჩამაფიქრებელი, (ხან მოჩვენებითი და ხანაც თვითშექმნილი) სემანტიკით, — მათ გვერდით დარიკო ბერიძე თითქოს მართლაც უბრალოდ და არასერიოზულად გამოიყურება. მაგრამ ამ ბოლო წლებში, დაკვირვებისა და ჩაფიქრების, ამოცნობისა და განსჯის დროს — განა ხშირად განვიცდით იმ სიამოვნებას, რომელიც უნდა მოგვანიჭოს ხელოვნების ნაწარმოებმა თვით მისი არსებობის გულუბრყვილო ფაქტით, განა ხშირად გვიხდება ხელმეორედ ვეზიაროთ შემოქმედებითი პროცესის სიხარულს, რომელიც განიცადა ავტორმა“. (გვ. 223-224). ხელოვნებაში „აზრობრივი კონსტრუქციები“ და „ჩამაფიქრებელი“, ხანაც „თვითშექმნილი სემანტიკა“, ზოგჯერ ისე ვერ ამდიდრებს ადამიანის სულიერ სამყაროს, როგორც უპრეტენზიო, სიყვარულით გამთბარი, ნაკლებად პრობლემური ნაწარმოები. ვერ ვუწოდებთ ხელოვნებას „არასერიოზულს“, რომელმაც მეშვიდე კლასელ მოსწავლეს დ. ბერიძის გამოფენის დათვალიერების შემდეგ ათქმევინა:

„ნოსტალგიის მნიშვნელობა ვიცოდი, მაგრამ პირველად ამ გამოფენის დათვალიერების დროს შევიგრძენიო“. ვერ ჩავთვლით „უბრალოდ“ და „არასერიოზულად“ მხატვარს, რომლის შემოქმედებამაც ლენინგრადელ სტუდენტს ათქმევინა: „თქვენს სამყაროში ჩახედვით გულში მზე ჩამიდგაო“. გულში მზეჩამდგარი ახალგაზრდობა ჭეშმარიტად დიდი მონაპოვარია. აკი, ე. კუზნეცოვიც ეჭვქვეშ აყენებს თავის მოსაზრებას და დასკვნაში მაინც აღიარებს, რომ დ. ბერიძის ფერწერა სიხარულის მომნიჭებელია. წერილის ავტორის მეორე მოსაზრება, რომელსაც არ ვეთანხმებით, ასეთია: „დარეჯან ბერიძის მასწავლებლების ამოცნობა არ არის ძნელი: ეს ნიკო ფიროსმანაშვილი და რაულ დიუფია — მხატვრები, ერთი შეხედვით სრულიად განსხვავებული, ერთმანეთის საწინააღმდეგონიც კი, მაგრამ ფერწერულ ფორმათა ზოგიერთ მომენტში შეუმჩნევლად თანხვედრილი — სწორედ იმ მონაკვეთში, რომელიც ბერიძეს სჭირდება. აქ შემთხვევითი არ არის ერთისაგან ხელოსნურ-ამქრული ფერწერის, ხოლო მეორესაგან დეკორატიული ხელოვნების გავლენა“ (გვ. 223).

თუკი რაიმე შეხების წერტილები შეიძლება მოვუძებნოთ დ. ბერიძის შემოქმედებას ფიროსმანისა და რ. დიუფის ხელოვნებასთან, ისინი სრულიად სხვა სახისა შეიძლება იყოს, ვიდრე ე. კუზნეცოვის მიერ გააზრებული „ამქრული ფერწერის ხელოსნობა“ და „დეკორატიულობაა“.

ფრანგ მხატვარზე მონოგრაფიის ავტორი ალბერტ კოსტენევიჩი აღნიშნავს, რომ რაულ დიუფის სურათებში არსებობს მხოლოდ ის, რაც მას უყვარს, თუმცა მან იცოდა, რომ კაცობრიობას მხოლოდ ულრუბლო ცა არ რგებია წილად, მაგრამ მის შემოქმედებაში იგი არ ასახულაო. ჩვენი აზრით, აი, ეს არის სწორედ ის თვისება, რაშიც შეიძლება ვიპოვოთ მსგავსება რ. დიუფისა და დ. ბერიძის შემოქმედებათა შორის. მათი სული არ იკარებს შემაძრწუნებელს, რომლის სწავლა შეუძლებლად მიგვაჩნია, რადგან ეს არის თვისება, რაც მხოლოდ ბუნებრივად, თანდაყოლილი სახით შეიძლება არსებობდეს მხატვარში.

ქართველი მხატვარი ბავშვური უშუალობით გვაზიარებს თავისი ოცნების სამყაროს. მისი ოცნება კი მზიანი დღეა. გულუბრყვილო ღიმილთან ერთად დ. ბერიძის შემოქმედებაში სევდასაც იპოვით, მაგრამ იგი ლირიკული ასპექტითაა წარმოდგენილი.

რაც შეეხება „დეკორატიულობას“, რომელიც უდაოდ ახასიათებს დ. ბერიძის შემოქმედებას, მკვეთრად განსხვავდება ფრანგი მხატვრის დეკორატიულობისაგან. რ. დიუფის ნამუშევრებში კონტური მკვეთრია და მოძრავი. მათში განსაკუთრებული დინამიურობისა და ცოცხალი რიტმის წარმოქმნას ხელს უწყობს კონტურს გარეთ ფერწერული ლაქების გატანაც. დ. ბერიძის შემოქმედებაში კი წამყვანი რიტმი სტატიკურობას ექვემდებარება, სადაც დინამიკა დაბალი რეგისტრით მიედინება, უმთავრესად ჰორიზონტალურად დაზოლილი პირობითი ფონის საშუალებით. იგი ფერების მეშვეობით აგებს ფორმებს, როგორც ფერწერულ, ასევე ტემპე-

რითა და აკვარელით შესრულებულ გრაფიკულ ნამუშევრებში. დ. ბერიძე ნაწარმოების დეკორატიული გადაწყვეტისათვის აქტიურად იყენებს ფილიგრანულად დამუშავებული ორნამენტის მდიდარ სახესხვაობებს, რაც იშვიათად გვხვდება რ. დიუფის დაზგურ ხელოვნებაში. რაც შეეხება „ამქრული ფერწერის ხელოსნობას“, რასაც ე. კუზნეცოვი მიაწერს ფიროსმანს, სრულებით ვერ ვხედავთ დ. ბერიძის შემოქმედებაში. შეხების წერტილები ამ ორ მხატვარს შორის შეიძლება დავინახოთ მხოლოდ იქ, სადაც პერსონაჟები ანფასით არიან გამოსახული და კონტაქტი პერსონაჟებსა და მაყურებელს შორის უფრო აქტიურია, ვიდრე თვით პერსონაჟთა შორის. საკმარისია შევადაროთ ერთმანეთს დ. ბერიძის „შემოდგომა“, „ლხინი“, „იმერეთი“, ნ. ფიროსმანის სურათებს: „სააღდგომო ქეიფი“, „უშვილო მილიონერი და ღარიბი შვილებით“. დ. ბერიძის შემოქმედებაში არა მხოლოდ პერსონაჟები, არამედ ცხოველები და მცენარეებიც კი თითქოს მაყურებლისთვის არსებობენ, მხატვარი კი მათი მეშვეობით დეკორაციებივით აგებულ გარემოში ცოცხალ სურათებს წარმოგვიდგენს მიზანსცენების სახით. („მეთევზე“, „მწყემსი“, „შემოდგომა“, „იმერეთი“).

თეატრალურობა დ. ბერიძის შემოქმედების მკაფიოდ გამოკვეთილი ნიშან-თვისებაა, როგორც ფერწერასა და გრაფიკაში, ასევე მონუმენტალურ მხატვრობასა და კერამიკაშიც.

სადაო არ არის, რომ დეკორატიულობა ბევრი მხატვრის შემოქმედებას ახასიათებს, მაგრამ დ. ბერიძესთან იგი განსაკუთრებულ თეატრალურ ელფერს იძენს. აღნიშნული თვისება მის ნამუშევრებში ვლინდება სხვადასხვა ხერხების ერთობლიობით. ერთ-ერთია მარტივი, პირობითი ფორმების არარეალური ფერებით აგება. უაღრესად სადა, განზოგადებული ფიგურებისა და საგნების ხან ყვავილნარითა და ხან ფილიგრანული ორნამენტით მოხატვა კი მისი თეატრალურ-დეკორატიული ფანტაზიის დემონსტრირების უმთავრესი ხერხია. გავიხსენოთ თუნდაც ბაიკალის სერიიდან ფერადი გრაფიკის ნიმუშები: „ვერძები“, „მატარებელი“, „გვირაბი“, ბაიკალის სერიიდანვე კალმით შესრულებული ჩანახატები ნატურიდან. მათ წელს თუშეთში შესრულებული ჩანახატებიც დაემატა, სადაც აშკარად გამოიკვეთა მხატვრის ტენდენცია — რაც უფრო მეტად უყვარს და მოსწონს საგანი, ცხოველი თუ პიროვნება, მით უფრო გამორჩევით ამკობს მას ყვავილოვანი ორნამენტით. დასახელებულ ნამუშევრებში კარგად ჩანს მხატვრის განსაკუთრებული უნარი მშენებლობის უხეში ფორმები თუ სამზარეულოს ყოფითი ნივთები, რკინიგზა თუ ეზოებში მობინადრე ცხოველები, სოფლური კარ-მიდამო თუ ქალაქის პეიზაჟები თეატრალური პოეზიით ალბეჭდოს. როდესაც ვუყურებთ ჩვეულებრივი ხის ღობით შემოკავებულ ეზოში წამოწოლილ თხებს, მათი გრაციოზული პოზა ზეაწეულ განწყობას გვიქმნის, რასაც კიდევ უფრო აძლიერებს და საზეიმო იერს ანიჭებს მათი სხეულის მოხატულობა. როდესაც მხატვარი წარმოგვიდგენს თანამედროვე თუში ქალის სამზარეულოს ნივრის გალათი და რძის დაბრეცილი ქვაბითა თუ დაკერებული ყველის გუდით, იგი ყოფით გარემოს მოსავს პოეტური ხილვებით; იქვე კედელზე ვხედავთ დიასახლისის პორტრეტს ხელში თუშური გარმონით, ყვავილებით მოჩითული მინდვრისა და ვარსკვლავებით მოჭედილი ცის ფონზე. თუში ქალის სევდიანი სიმღერით ივსება იქაურობა. როდესაც მის სურათებში მატარებელი მიჰქრის, გზას უჩვეულოდ დიდი პეპლები ამშვენებენ, კვამლში კი ყვავილები ცელქობენ, ყველაფერი საზეიმოდაა მორთული. ვუყურებთ დ. ბერიძის „რკინიგზის გვირაბებს“ და მხატვარი გვაკვირვებს თავისი გამომგონებლობით, ფანტაზიისა და რეალობის თითქოს შეუთავსებელი, მაგრამ ორიგინალური შერწყმით. თუმცა მხატვრისათვის დამახასიათებელი დაუდევარი მონასმები საკმაო რაოდენობით გვხვდება მის შემოქმედებაში. ყოველი დეტალისა თუ ნივთის, ცხოველისა თუ მცენარის საზეიმო მორთულობა ერთის მხრივ და პერსონაჟთა ზეაწეული პოზების მიმანიშნებელი პოზები მეორეს მხრივ, წარმოქმნის თეატრალურობას მის სურათებში.

დ. ბერიძის შემოქმედებაში საყურადღებოა კამერულობისა და მონუმენტალურობის თანაარსებობა. ეს განსაკუთრებით მკაფიოდ ჩანს მოხატულ ქსოვილებში. რაკი ქსოვილებს შევეხეთ, უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ დეკორატიულ ფარდებს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავთ მხატვრის ჟანრულად მრავალფეროვან შემოქმედებაში. მათი დანიშნულება ძირითადად სამ ჯგუფად შეიძლება გავყოთ; 1. დეკორატიული პანოს ხასიათის ფარდებს მხატვარი ქმნის ყრუ კედლებისათვის. მათ რიცხვს ეკუთვნის თბილისის რიტუალების სასახლის ფარდები. 2. ვიტრაჟის ფუნქციის ფარდებს მხატვარი იყენებს შემინული კედლებისათვის, რომლის ორივე მხარე იკითხება, როგორც ინტერიერში, ასევე ექსტერიერში. მათ რიცხვს ეკუთვნის ლენინგრადის სასტუმროს „გავანის“ ფარდები, რომლისთვისაც დ. ბერიძე საპატიო სიგელით დააჯილდოვეს 1980 წელს. ფარდების მესამე ტიპი სასცენო დანიშნულებისაა. მათ რიცხვს ეკუთვნის თელავის თეატრის სცენის ფარდა, რომელიც მხატვარმა საჩუქრად გადასცა თეატრს ორასი წლის საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით, აგრეთვე ქ. როსლავის კულტურის სასახლის სცენის ფარდა.

მისი ფარდები უმეტესად რთული გეომეტრიული ნახატით არის დაფარული, სადაც არ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვხვდებით სტერეოტიპულ გამეორებებს. ფარდა არქიტექტურის ორგანული ნაწილია, როგორც კედლის მხატვრობა. მეორეს მხრივ, მისი თითოეული ფარდა შესდგება ისეთი მონაკვეთებისგან, რომლებშიც ვხედავთ კამერული ხასიათის მხატვრულად დასრულებულ, დამოუკიდებელ ნაწარმოებებს; ზოგიერთ მათგანში ვკითხულობთ ინტიმურ განწყობას, კამერულობისა და მონუმენტალურობის შეხამება დ. ბერიძის შემოქმედების ერთ-ერთი მკაფიო თავისებურებაა.

ზოგჯერ მის დაზგურ ფერწერასა და გრაფიკაშიც შევიგრძნობთ მონუმენტალურობას, რასაც ფართოდ დაზოლილი დაბალი ჰორიზონტისა და მცირე ზომის ფიგურათა მასშტაბური შეფარდებით აღწევს მხატვარი. ამას თან ერთვის პოეტური აღმაფრენა, განცდის თავისებურება, გარინდებული ბუნების იდუმალება, მუსიკალური სიჩუმის შეგრძნება, არავინ მიიჩქარის, ფოთოლიც კი არ იძვრის, სტატიკურ გარემოსა და განმარტოვებით მდგარ ჩაფიქრებულ ადამიანში ლირიკული განწყობა იგრძნობა, სული მღერის, ხან ზეიმობს, ხანაც სევდიანად დუმს. ემოციური შეფერილობისა და მასშტაბური ფონის მეშვეობით სივრცის შეგრძნება ბადებს ერთის მხრივ მონუმენტალურობის, მეორეს მხრივ კამერულობის შთაბეჭდილებას. („მეურმე“, „მარტოსული“, „აალებული ხე“).

მხატვარი სრულიად თავისუფლად ეპყრობა პერსპექტივის კანონებს, დასჭირდება გამოიყენებს, არ დასჭირდება და უკუაგდებს. ეს მისი უშუალობის გამოვლენაც არის და გარკვეული პროფესიონალური სითამამეც; („ბიჭები“, „ბაიკალი-86“, „ანკესით თევზაობა“).

დ. ბერიძის მინიატურული აბრეშუმის პანოები ერთგვარად ჟანრულ სიახლედაც გვევლინება. მხატვარი ცივი ბატიკის წესით მოხატულ აბრეშუმზე აკვარელითა და ტემპერით გამოსახავს დეკორატიულ მოტივებს. აბრეშუმის პანო გადაჭიმულია ხის ქარგაზე, რომელსაც ქალები საქარგავად ხმარობენ. რა თქმა უნდა, თითოეულ პანოს თავისი დამოუკიდებელი კოლორიტი და საკუთარი დეკორატიული გადაწყვეტა აქვს, მაგრამ მათი ერთად წარმოდგენის დროს ფერების განსაკუთრებული შევსება და შერწყმა ხდება, რაც განუმეორებელ შთაბეჭდილებას ახდენს მნახველზე. ესეც დ. ბერიძის ხელოვნების ერთ-ერთი თავისებურებაა, რითიც უნდა ავხსნათ მისი შემოქმედებისთვის დამახასიათებელი სერიულობა. ზოგჯერ მხატვარი შერჩეული თემის გადმოსაცემად ვერ თავსდება ერთ კომპოზიციაში. იგი თავისი ფანტაზიის ძლიერ დინებას ვერ ასრულებს ერთ სურათში, რის გამოც ერთ სეანსში იბადება სერია. სერიულობის პრინციპი დ. ბერიძის ყველა ჟანრში ვლინდება.

ფერწერაში სერიულობის მკვეთრი და საინტერესო მაგალითია „იმერეთი“, „ლხინი“ და „შემოდგომა“. საქართველოს ერთ-ერთი კუთხის თემა მხატვარმა სამ სურათში გაანაწილა: მშრომელი ოჯახი მოწეული ქირნახულით, ქართული სუფრული ლხინის სიყვარული და იმერული პეიზაჟის ფონზე თითქოს სცენაზე სიმღერისათვის გამზადებული, ეროვნულ სამოსში გამოწყობილი ქალ-ვაჟი. სამივე სურათი ერთი განწყობით არის შესრულებული, როგორც მხატვრული და ტექნიკური, ასევე კოლორიტული გადაწყვეტით.

დ. ბერიძის შემოქმედება უაღრესად მრავალფეროვანია, რაც მთავარია, სწრაფად მზარდია. აზრის გამოთქმას ვერ ვასწრებთ და ის უკვე სრულიად ახალს ქმნის. მათ რიცხვს ეკუთვნის ბოლო ხანს პოეტ ანა ახმატოვას პოეზიის მიხედვით შესრულებული სერია, სადაც მხატვრის ნაწარმოებებში ადრე გავრცელებული უშფოთველი, ზოგჯერ სევდიანი მყუდროება აქ შეცვლილია პოეტის ქარიშხლიანი სულის ბერიძისეული ხილვებით. „უგმირო პოემა“ ანა ახმატოვამ მიუძღვნა ლენინგრადის ბლოკადაში დაღუპულ მეგობრებს, რაც საფუძვლად დაედო მხატვრის ახალ სერიას. პოემის შესახებ ანა ახმატოვა წერდა: „ჩემამდე ხშირად მოდის ხმები „უგმირო პოემის“ არასწორი და უაზრო განსჯის შესახებ. ზოგიერთი რჩევასაც კი მაძლევს, უფრო გასაგები გავხადო პოემა. მე თავს შევიკავებ.

ამ პოემას მე ვუძღვნი მის პირველ მსმენელებს — ჩემს მეგობრებს და თანამოქალაქეებს, ლენინგრადის ბლოკადის დროს დაღუპულთ.

როდესაც პოემას ხმამაღლა ვკითხულობ, მე მესმის მათი ხმა, ვიგონებ მათ და ეს იდუმალი ქორალი ჩემთვის გადაიქცა ამ ნაწარმოების სამუდამო გამართლებად“ ((გვ. 144).

ანა ახმატოვას ავტობიოგრაფიული ლირიკა რუსულ აკმეისტურ პოეზიაში გამოირჩევა ზოგადსაკაცობრიო ჟღერადობითა და აზრის სიღრმით; რაც შეეხება მის ფორმისეულ წიაღსვლებს, მათ ზოგჯერ მისტიკური დაღი აძევთ. გრძნობების სამყაროს მომღერალმა მხატვარმა თავისი ახალი სახე იპოვა სწორედ ანა ახმატოვას პოეზიაში. დ. ბერიძის მზიანი ხელოვნების სიმშვიდეს. თითქოს მყუდროება დაურღვია პოემის ტრაგიკულმა სუნთქვამ. აფრიალდნენ ფარდები, თავი დახარეს ხეებმა, რაღაც უხილა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვი ძალა თითქოს ამოძირკვას უქადის ბუნებას, წაქცევამდე გადაზნექილი ხეები მშფოთვარე სულის ხილულ სახედ არის ქცეული. მხოლოდ ადამიანი დგას ურყევად, ყოვლის მომსწრე და ყოვლის ამტანი, რომელსაც ძალუძს ნაიარევი სული პოეზიის ცრემლით განიბანოს. ზოგჯერ ისიც ვერ უძლებს ქარტეხილებს და ზოგიერთ სურათში თითქოს მოვლენათა ქარბორბალა მიაქანებს მას უსასრულობისაკენ.

აღნიშნულ სერიაში კომპოზიციით მიღწეული დრამატიზმი ერთგვარად შერბილებულია კოლორიტით. გაცისკროვნებულ, კამკამა ფერებში აშკარად ვლინდება მხატვრის რწმენა მარადიული სიცოცხლისა, ამაღლებული სულის უკვდავებისა, რწმენა მზიანი მომავლისა და ადამიანური სიყვარულისა.

თუშეთის სერიაში, რომელიც ანა ახმატოვას სერიის შემდეგ შექმნა დ. ბერიძემ, კვლავ იფეთქა მხატვრის მაჟორულმა განწყობამ, მისმა ულრუბლო, ნაივურმა ღიმილმა, რაც მისი ბუნებიდან მომდინარეობს. მიუხედავად იმისა, რომ მხატვარმა მთელი თავისი ადამიანური მგრძნობელობით განიცადა თუშეთის სტიქიური მოვლენებითა თუ ამ კუთხის საუკეთესო ტრადიციების გადა?ჯარება-გაცამტვერებით გამოწვეული უბედურებანი, იქ შექმნილი სერია კიდევ ერთხელ გვარწმუნებს ხელოვანის მისწრაფებაში უპირველესად ეძებოს და მიაგნოს ბედნიერებასა და სიხარულს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გია ბუღაძე

# რამდენიმე მოსაზრება გოეთეს „ფერთა თეორიის“ მხატვრობაში პრაქტიკული გამოყენებისათვის

თუ ფერის წარსულს თვალს გადავავლებთ, აუცილებლად აღმოვაჩენთ, რომ ყველა ეპოქას ფერი თავისებურად ესმოდა; თითქმის ყველა ეპოქაში მას ეძლეოდა განსაკუთრებული, ამ ეპოქისათვის დამახასიათებელი ხასიათი და თვისება.

ძველი ლიტერატურა უხვად გვაწვდის ინფორმაციას ფერის შესახებ. თუნდაც ერთი მაგალითი რად ღირს — ჰომეროსთან ზღვა სპილენძისფერია, ხოლო ცა უბრალოდ შავი. შეიძლება მხოლოდ ტონალობა შეიცვალოს (განათდეს ან დაბნელდეს), თორემ ფერადოვნება იგივე რჩება. როგორც ვხედავთ, ფერითი აზროვნება არც თუ ისეთი მარტივი რამაა, როგორც ეს ერთი შეხედვით შეიძლება ჩანდეს. როგორ აღიქვამდნენ ფერს ძველად, დღეს ეს მართლაც რთული გასარკვევია, მაგრამ ერთი რამ ცხადია, რომ ფერითი აღქმა ადამიანის შინაგანი ცხოვრების ზუსტი გამოხატულება იყო და არის. მაგრამ წინათ, ალბათ, ფერადოვნების აღქმა უფრო ემოციური და სენსეტიური იქნებოდა, გამორიცხული არ იყო ფერის გარკვეული არსების სახით განცდაც. შემდგომში იგი სულ უფრო და უფრო, თუკი შეიძლება ითქვას, მატერიას მიეწება, გამატერიალურდა და საღებავის ფუნქციად, თვისებად გადაიქცა. ამ დროიდან მისი უშუალო განცდა უფრო რაციონალური და ინტელექტუალური გახდა.

სწორედ ამ დაპირისპირებაში იღებს სათავეს ის ანტაგონიზმი, რომელზეც ქვემოთ ვისაუბრებთ. თუმც, აქვე იმასაც დავძენთ, რომ ჩვენი სურვილია, შეძლებისდაგვარად შევიმუშაოთ ფერითი შემეცნების ისეთი სააზროვნო სისტემა, რომელიც შემოქმედს ხელს შეუწყობს მხატვრულ-ფერწერული პროცესის წარმართვაში; ამავე დროს დაეხმარება მას იმ პრობლემების გადაჭრაში, რომელიც მის წინაშე ეგზომ გართულებულმა, ოპტიკის ხერხით მოპოვებულმა ფერითმა გამოცდილებამ დაახვავა.

სხვადასხვა ეპოქაში ფერს სხვადასხვანაირი მნიშვნელობა ჰქონდა. იგი არც ერთ დროს არ ყოფილა ერთმნიშვნელოვანი და ყოველთვის გამოხატავდა ადამიანის შემოქმედებისა და შემეცნების მრავალმხრივობას.

უკანასკნელი დროის განმავლობაში შეიქმნა ფერითი შემეცნების ორი დიდი თეორია, ორი დიდი მოძღვრება ფერზე. ერთი მათგანი ნიუტონის სპექტრალური თეორიაა, რომელმაც იმთავითვე დიდი აღიარება ჰპოვა და შემდგომში ფართოდ გამოიყენებოდა, როგორც მეცნიერებაში, ისე მხატვრობაში. ამ მხრივ ნიუტონის სპექტრალური თეორიის დიდ მიღწევად უნდა ჩაითვალოს XIX ს-ის ორი მიმდინარეობის იმპრესიონისტული და პუნთატელისტური ნამუშევრები, რომლებიც სწორედ ფერთა სპექტრალურ წყობაზე იყო დაფუძნებული. ეს თეორია იქცა ამ მიმდინარეობათა ძირითად მამოძრავებელ პრინციპად.

მეორე თეორია კი ესაა გოეთეს ე. წ. „ფერთა თეორია“, რომელსაც შედარებით ნაკლები პოპულარობა ხვდა წილად, თუმც კი, მასაც ბევრი მიმდევარი ჰყავდა როგორც გერმანულ, ასევე ინგლისურსა და ფრანგულ ფერწერაში. ძირითადად ეს იყო და არის შემოქმედებითი ხასიათის თეორია, რომელიც ითვალისწინებს სხვადასხვაგვარ ცვლილებებს თვით შემოქმედებითი კვლევა-ძიებისას.

ამ ორი თეორიის ერთმანეთთან დაპირისპირებულობა, პირველ რიგში, გამოიხატება იმით, რომ ნიუტონის თეორია აბსოლუტურად უგულვებელყოფს ადამიანის გრძნობიერ თვალს, მის განცდებს. იგი ეფუძნება ვიზუალურ ცდა-

ზე დამყარებულ შედეგებს და ამდენად, მეცნიერულ ობიექტურობაზე აცხადებს პრეტენზიას.

გოეთეს თეორიაში პირველივე, რაც თვალში საცემია, ესაა ადამიანის თვალის მიერ შექმნილი ფერის საკითხის პრინციპული დაყენება. გოეთეს „ფერთა თეორიაში“ უკეთ გასარკვევად, მისივე სიტყვები უნდა გავიხსენოთ. „იმისათვის, რომ მზე დაინახო, თვალი მზისა უნდა გქონდეს“. ე. ი. თვალი ხედავს იმ ფერს, რომელსაც იგი თვითონვე ქმნის და სწორედ ეს სუბიექტურობა აღქმისა არის ობიექტური კანონი. რადგანაც ყველა ადამიანის თვალი თავის არსში ერთ ძირითად კანონს ემორჩილება, ერთი კანონი უდევს საფუძვლად.

თავიდანვე უნდა შევთანხმდეთ, რომ ყველა მოვლენა, რომელიც კაცობრიობის ისტორიაში მომხდარა და მისი შემეცნება გაუფართოვებია, თვით ადამიანის მზადყოფნაზეც იყო დამოკიდებული. უფრო გასაგები რომ იყოს, ვიტყვით — ადამიანს შემეცნებისათვის, ამოსახსნელად სამყაროდან ეძლეოდა ის ამოცანა, რისი გადაჭრაც იმ დროს მას ხელეწიფებოდა. დაახლოებით ამ პოზიციაზე დგას გოეთეს შემეცნებითი მეთოდი. აქ ლაპარაკია არა მარტო ფერთა თეორიის შესახებ, არამედ გოეთეს საერთო სააზროვნო მოტივების გარკვევისა და მასში ჩაღრმავების მცდელობაზე. გოეთეს საოცარი უნარი ჰქონდა ყველა ფაქტში ეხილა მისი ზეფენომენი (თუკი შეიძლება ასე ითქვას). იგი ერთნაირი წარმატებით იკვლევდა მინერალურ, მცენარეულ და ცხოველურ სამყაროს. ხოლო თუ რა შედეგებს მიაღწია ადამიანის შემეცნებისა და შემდგომ შემოქმედებითი გააზრებისას, ეს კარგად ჩანს მის პოეტურ ქმნილებებში და პირველ რიგში, „ფაუსტში“. ის შემოქმედებითი, პარალელურად კი შემეცნებითი, თვითკვლევა, რასაც ჩვენ „ფაუსტში“ ვხედავთ, საგრძნობია გოეთეს ფერთა თეორიის სიღრმეშიც.

მაგრამ, სანამ ჩვენ კონკრეტულად ფერთა თეორიასა და ფერებთან დაკავშირებულ მოძღვრებაზე დავიწყებდეთ საუბარს, მანამდე სასურველია გოეთეს აზროვნების მეთოდის სამყაროში მცირე ექსკურსის გაკეთება.

აქ შემეცნების ობიექტი, შემმეცნებლის გონებაში აეწყობა იმ პრინციპების მიხედვით, რომლითაც თვით ეს საგანია აგებული. უფრო გასაგები რომ იყოს ვიტყვით: გონება ქმნის იმ სააზროვნო კონსტრუქციას, რომელიც საფუძვლად უდევს ობიექტის პრინციპს. ამ ფენომენის შემეცნება საშუალებას გვაძლევს არა მარტო ცდით შევისწავლოთ მოცემული საგანი, არამედ გონების თვალით, როგორც იტყვიან „გამოვიგონოთ დაუსრულებლად“ სხვადასხვა მცენარე თუ მინერალი, გააჩნია, თუ რას შევიმეცნებთ კონკრეტულ სიტუაციაში.

ამავე დროს ხაზი უნდა გაესვას იმასაც, რომ ცხოველს, მცენარესა და მინერალს ერთი პრინციპით ვერ შევიმეცნებთ. შემეცნება თითქოსდა განხორციელების იმპულსის მომცემი იდეის სიმაღლემდე ადის და ამ იდეის შემეცნებაზე აყენებს ცდას. რაოდენ პარადოქსულადაც არ უნდა ჟღერდეს, შემეცნებითი ცდის ობიექტად თვით შემეცნება იქცევა და თავისი კვლევისა თუ ძიების შედეგად მიღებულ ცოდნას იყენებს იდეის გამოვლენისა თუ განხორციელების შესასწავლად.

აქ, ალბათ, შეგვიძლია ვილაპარაკოთ იმ „იდეის“ ხილვაზეც კი, რომელიც წარმოთქვა გოეთემ, შილერთან ცნობილი კამათის დროს, რომელიც მათ პირველი საუბრისთანავე მოუხდათ და წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა ორივე მოკამათეზე, შემდგომ კი, არ შევცდებით თუ ვიტყვით მრავალი თავსატეხი გაუჩინა მომდევნო თაობებს. გოეთე უშუალო დაკვირვებაზე არ ჩერდება; მისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს თვით გრძნობას, განცდას, რომელიც დამკვირვებლის არსში ხდება. აქ გოეთე ცდილობს დაგვანახოს, რომ ადამიანის ყოველი აზრი თვით მოითხოვს დაკვირვებას, შესწავლას, რადგანაც ადამიანის განცდებში ამოტივტივებული გრძნობები სწორედ ამ ძირითადი ფენომენის ინტუიტიური გამოვლინებაა. იგი აკვირდებოდა თავის შეგრძნებებს და შემდგომ ცდილობდა თავის გონებაში მათ განზოგადებას, თვით მასში ჩნდებოდა კვლევისა და რკვევის საგანი.

გოეთესეული აზროვნება ცდილობს საგანს ან მოვლენას, რომელსაც იგი განიხილავს, ჩაუყვეს თავისი გრძნობიერითაც, მიეცეს იმ განცდასაც, რომელიც ამ ცდისმიერი ობიექტიდან ეძლევა. და თუ ამ შემთხვევაში ძალზე უცნაურად არ ჟღერს, მას კვლევაში შეაქვს ადამიანური, მშვინვიერი ელემენტი. შემეცნების ეს მეთოდი ვერ იტანს აბსტრაქციას. ეს ჩვენ ზემოთაც მივუთითეთ, როდესაც ძირითად ფენომენზე გვქონდა საუბარი.

ფერთა თეორიის დასაწყისში გოეთე ამბობს: „რაიმესათვის მხოლოდ შეხედვა, ბევრის ვერაფრის მომცემია, ამისათვის შეხედვა გადადის დაკვირვებაში, ყოველი დაკვირვება — გააზრებაში, ყოველი გააზრება — დაკავშირებაში, ე. ი. შეიძლება ვთქვათ, ირონიის შემოტანით ასეთი მობილურება საჭიროა, თუ კი არ გვსურს რომ აბსტრაქციამ, რომელიც ამდენად საშიშია, ზიანი არ მოგვაყენოს და ცდის შედეგიც, რომლის იმედიც გვაქვს, მართლაც მოქმედი და სასარგებლო აღმოჩნდეს“.

აბსტრაქცია მოწყვეტილია კონკრეტულ საფუძველს, იგი მთლიანად გონების სფეროში გადაინაცვლებს და ამდენადვე შეიძლება არ ჰქონდეს კონტაქტი რეალობასთან, რომელიც შემეცნების საქმეში შეეწეოდა მოაზროვნეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გოეთე მომხრე იყო ადამიანური შემეცნებისა და თეორიაც ძირითადად ამ პრინციპზე აქვს აგებული. იგი აღიარებდა ისეთ შემეცნებას, რომლის დროსაც ანგარიში გაეწეოდა ადამიანისავე რეალურ გრძნობებს და მისი აზროვნება იმ სააზროვნო სტრუქტურას აწყობდა, რომელიც თავისი ხასიათითა და არსით უახლოვდებოდა შესამეცნებელი კონკრეტული საგნის გაფორმებულ ძალასა თუ სტიმულს. ძირითადი, რითაც ნიუტონის ოპტიკური თეორია გოეთესას უპირისპირდებოდა, ეს გახლდათ, ნიუტონის თეორიის მკვეთრად აბსტრაქტული ხასიათი. ჩვენ ვიცით, რომ ამ თეორიამ შექმნა სპექტრის კანონი და შემდგომში ფერთა კონტრასტირებისა და ურთიერთდაპირისპირების გზით გამოიმუშავა საკმაოდ განზოგადებული თეორია დამატებითი ფერადოვნებისა. ეს თეორია დაედო საფუძვლად დიდ ტექნიკურ მიღწევებს მეცნიერებაში და ამავე დროს, გამოკვება მრავალი შემოქმედებითი, კოლორისტული პროცესი დაწყებული დელაკრუადან დღემდე ამ თეორიებს შორის დაპირისპირებულობის საკითხი ძალზე ხშირად გამხდარა კვლევის საგანი. საინტერესოდ მიგვაჩნია მოვიყვანოთ ვერნერ ჰაიზენბერგის გამონათქვამი: „გოეთეს დაკვირვება ბუნებაზე სწორედ ადამიანიდან მომდინარეობს. ნიუტონისაგან განსხვავებით ამ დაკვირვების ცენტრს ქმნის ადამიანი და მის მიერ ბუნების უშუალო განცდა, საიდანაც მოვლენები აზრიან წესრიგში ლაგდებიან... გოეთეს რწმენით ადამიანს ღვთაებრივი წესრიგი ბუნებაში ხილულად წარმოუდგება“. აქ საუბარია გოეთეს შემეცნების ხასიათზე ზოგადად. ეს სწორედ ის წესრიგია, რომელსაც ხანდაზმული გოეთე მიილტვის, ზეფენომენის სახით აყალიბებს მას თავის მოძღვრებაში მცენარეთა შესახებ. ეს წესრიგი უდევს საფუძვლად ფერთა თეორიასაც. მისი შემეცნების მიზნით იგი იკვლევს ობიექტს თავის გონებაში, ცდას აყენებს ცდაზე, ანუ აზროვნების იმ აპარატზე, რომელიც გოეთეს ამ წესრიგის შემმეცნებლად და, არ შევცდებით თუ ვიტყვით, შემოქმედებადაც მიაჩნია.

ეს შესავალი სასურველი იყო გოეთეს აზროვნების პრინციპის შესახებ ზოგადი თვალსაზრისის შესაქმნელად, იმ ურთულეს მსოფლმხედველობაში გასარკვევად, რომელსაც გოეთეს მოძღვრება წარმოადგენს. თუმცა, იმასაც დავძენთ, რომ ეს თითქოსდა რთული სამყარო, ძირითადი ღერძის გარკვევის შემდეგ, ადამიანისათვის საოცრად იოლსა და გასაგებ თეორიად იქცევა ხოლმე. ალბათ, აქ ისიც უნდა ითქვას, რომ გოეთეს ფერთა თეორიას, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში.

ცალკეულ მკვლევართა ერთგვარ ავტორისეულ ჩარევებსაც ითვალისწინებს და დასაშვებს ხდის ინდივიდუალურ ინტერპრეტაციებსაც. ამიტომაც, ჩვენ თავს უფლებას მივცემთ ჩვენეული სისტემით წარვმართოთ ფერთა შემეცნების ინტერპრეტირება.

ამ თეორიის თანახმად ფერს ეძლევა ერთგვარი მორალური დატვირთვა და ამით განისაზღვრება მისი მნიშვნელობა. ურთიერთდამოკიდებულებანი ბადებენ ფერებს, არა კონტრასტის მხრივ, არამედ მეტამორფოზის საშუალებით ერთმანეთში გარდაიქმნებიან და ამით ერთმანეთს ქმნიან. პირველ რიგში, ალბათ, მაინც ფერთა ურთიერთდამოკიდებულების მორალურ საკითხზე უნდა შევჩერდეთ. ვთქვათ, ვაყენებთ ცდას. ფონად დევს ყვითელი ფერი მთელ სიბრტყეზე, მის შუა ნაწილში წრიულად დავდოთ წითელი ფერი. რას აკეთებენ ეს ფერები ერთმანეთთან მიმართებაში? წითელი მაქსიმალურად იკრებს ძალებს და ეგოისტურად დამთრგუნველი ხდება ყვითლისათვის, რომელსაც ფაქტიურად თავისი სიკაშკაშე მთლიანად აკლდება, სამაგიეროდ წითელი ფერი დომინანტი ხდება.

ახლა შევატრიალოთ ცდა: — წითელი დევს ფონად, ხოლო ყვითელი — ცენტრში წრიულად. წითელი ამ შემთხვევაში სრულიად განსხვავებული სახით წარმოგვიდგება. ეს ფერი ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ ძალა მისცეს ყვითელს. წითელი იქცევა თავდადებისა და თვითშეწირვის განსახიერებად. იგი ყველაფერს აკეთებს ყვითლის გაძლიერების მიზნით და ყვითლის სხივოსნობაც იმატებს.

ეს ორი მაგალითი თვალნათლივ გვიჩვენებს ფერთა საოცარ სიცხოვლეს, თითქმის ფსიქოლოგიურ მგრძნობელობას ერთმანეთის მიმართ.

ცდის ჩატარება ყველა ძირითად ფერზე შეიძლება და დასკვნა ყოველთვის ერთი იქნება: ფერები ერთმანეთის მიმართ „მორალურ“, „სულიერ“ დამოკიდებულებაში არიან. ამდენად, ისინი აქტიურნი ხდებიან ადამიანთან მიმართულებაშიც, თვალნათლივ ჩანს ადამიანური ელემენტის სიჭარბე. ეს სწორედ ის ელემენტია, რომელზეც ზემოთ ვისაუბრეთ ფენომენთან დაკავშირებით. ამ ერთი შეხედვით ჩვეულებრივ მაგალითში ამეტყველებულია ფერთა ძირითადი პრინციპი. მათი მამოძრავებელი ძირითადი მუხტი. ყოველი ცალკეული ცდა და მაგალითი ამ ძირითადი პრინციპისა თუ ფენომენის კვლავ ერთი გამოვლინება იქნებოდა. აქ შეგვიძლია ვისაუბროთ დრამატულ მომენტზეც, ფერს ემოციის შინაარსობრივი გახსნის უნარიც ეძლევა. იგი ამხსნელის ფუნქციასაც ატარებს. ყოველივე ეს, ალბათ, შეგვიძლია დავუკავშიროთ იმ ძველ ცოდნას ფერებზე, რომელიც ფერს ძირითადად სიმბოლური მნიშვნელობის დატვირთვას აძლევს. მაშინ ფერი რაღაც ზოგადი აზრის კონკრეტული სიმბოლო იყო. იგი თავს ამჟღავნებდა, როგორც განხორციელებული აზრი, თავისი ასოციაციური შე-

სატყვისობით. მაგალითად: ყოვლისმომცველობა, უკიდეგანობა, უმანკოება — ლურჯი ფერი; სიყვარული, თავდადება და უფრო ღრმად — ზეციური, სფერული ცეცხლი — წითელი ფერი და ა. შ. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ეს სიმბოლოები დაკავშირებული იყო თვით ფერის შინაგან ხასიათთან, ხაზი ესმებოდა ფერის მამოძრავებელ ულრმეს სტრუქტურას. დროთა განმავლობაში ფერი ცდილობდა მოეშორებინა უტილიტარული, სიმბოლური აზრი და გამხდარიყო თვით დამოუკიდებელი ფენომენი.

ფერს ამ შემთხვევაში ენიჭებოდა თვითმყოფი ღირებულება. იგი არაფერს გამოხატავდა თავისი შინაგანი არსის გარდა. ალბათ, ამ დროს იმის თქმაც შეიძლება; რომ ყოველი მნიშვნელოვანი აზრი ძველი ადამიანისათვის გარკვეული შეფერილობისა იყო, უფრო ზუსტად, ყოველ მნიშვნელოვან აზრს თავისი გამომხატველი ფერითი ასოციაცია შეესატყვისებოდა.

დროთა განმავლობაში ფერი ცდილობდა გამოთავისუფლებას, ავტონომიის მოპოვებას და არ შევცდებით თუ ვიტყვით, რომ მან თავის მაქსიმალურ ავტონომიურობას გოეთეს მოძღვრებაში მიაღწია და თან შეინარჩუნა ის სიღრმისეული ტრადიციული მნიშვნელობა. ისიც ფაქტია, რომ ფერის ამ სიღრმეში კვლევა არასდროს გახდებოდა შესაძლებელი, ეპოქალურად რომ არ ყოფილიყო მომზადებული, როგორც ადამიანის თვალი, ასევე მისი ცნობიერება.

გოეთემ პირველმა შემოიტანა მსჯელობის საგნად, და დაასაბუთა თბილი და ცივი ფერების არსებობა.

აქ ერთ რიგში ·აღარ ლაგდებოდნენ ფერები, მათ სხვადასხვა მამოძრავებელი ძალები წარმართავდნენ. ერთნი მიილტვოდნენ წინ, მეორენი კი — პირიქით, უკან. ეს ისეთი მნიშვნელოვანი საკითხია, რომ მასზე ცალკე მსჯელობაა საჭირო, რადგანაც ამ ელემენტების შემოტანამ სახვით ხელოვნებაში — ფერთამეტყველებაში, ახალი სამყარო გააჩინა. ეს საკითხი ერთ-ერთი კარდინალური საკითხია ფერთა თეორიასა და მასზე ცალკე შეჩერება, ალბათ, ურიგო არ იქნებოდა. მაგრამ აქ იმასაც მივუთითებთ, რომ წინამდებარე განხილვა, მხოლოდ ზოგად საკითხებს ეხება და დეტალურ გადმოცემაზე ვერ გამოაცხადებს პრეტენზიას. ის ასპექტი, რომელსაც ჩვენ აქ ვეხებით პრაქტიკაში განხორციელებადია, მხოლოდ არა მეცნიერული თვალსაზრისით, არამედ კონკრეტულად ხელოვნებაში; რადგანაც როგორც ვიცით, გოეთეს შემეცნებითი მეთოდი ძირითადად ადამიანის შემოქმედებიდან გამომდინარეობს და მას აყენებს ყოველი მოვლენის საფუძვლად.

გოეთეს მიხედვით შედგენილი ჩვენს მიერ ჩამოყალიბებული შკალა, რომლის მიხედვითაც ლაგდებიან ფერები, საკმაოდ იოლი აღსაწერია. აქ თვალნათლივ მოჩანს ფერთა მეტამორფოზირების უნარი, მათი შინაგანი აუცილებლობა ერთმანეთად იქცეოდნენ, შემდეგ გარდაიქმნებოდნენ და ამით ბადებდნენ ურთიერთს.

ათვლის ძირითად წერტილად გამოიყენება აბსოლუტური სიბნელე — შავი ფერი, სიჩუმე, სიმშვიდე — თავისი ყოვლისმომცველი უპიროვნობით, ერთმნიშვნელოვანებით. თითქოს ამ შავში იწყება ერთგვარი მოძრაობა, მოძრაობა სინათლისაკენ — თეთრისაკენ, მაგრამ არა ტონის ე. ი. შავის გაღიავების გზით, არამედ მისი გამშვენიერების, მისი თითქოსდა, გაცოცხლებული მგრძნობელობის მეშვეობით.

შავში იწყებს დაბადებას მუქი ლურჯი, ოდნავ მომელნისფრო ჟღერადობით, ეს უკვე კონკრეტული ფერია, თავისი მოქმედების უნარით, თავისი ემოციური წყობით; იგი ვერ იქნება ისეთი გამყარებული და თვითდაჯერებული, როგორც შავი, მისი მოძრაობა სინათლისკენაა მიმართული, იგი ცდილობს თავის თავში სინათლის მოძებნას, მაგრამ ის არ არის ტონი, იგი ჟღერადი ფერია, ამიტომ მასში შემოიპარება ის ფერადოვნება, რომელიც თავისი არსით ყველაზე ახლოს დგას თეთრთან — სინათლესთან, ეს არის ყვითელი, ყვითელი ლურჯთან ქმნის მწვანეს — უფრო სწორედ მომწვანო ფერადოვნებას.

მწვანე ძლიერი ფერია, იგი მიისწრაფის ყოვლისმომცველობისკენ და პირველ რიგში კვლავ სინათლისაკენ, ამის შედეგად ნელ-ნელა ისიც გადაიჭრება იმ არსებით ფერში, რომელიც მას სინათლესთან აახლოვებს — სუფთა ყვითელში.

ახლა ყვითელი იწყებს მოძრაობას, იგი თავისი სიკაშკაშით თითქმის თეთრში გადადის და თავისი ბუნებით მის სინათლეში განზავდება; თუმცა კი ფაქტია, იგი ცდილობს შეინარჩუნოს საკუთარი მეობა და ამიტომ ეძებს ძალებს — ეძებს და მკვიდრდება თავის სიღრმეში, ტონალური თვალსაზრისით მუქისკენ მიდის, ფერადოვნების თვალსაზრისით კი ყვითელი თავის გულში მოიძიებს წითელს, ე. ი. ხდება ნარინჯისფერი.

ნარინჯისფერის ბუნება ისეთია, რომ იგი ცდილობს, მაქსიმალურად გაიშალოს და სიკაშკაშე ყოვლისმომცველობაში გადაზარდოს, იგი ფართოვდება ერთი ძალით, შედეგად ვიღებთ წითელს, წითელიც ძლიერი, განშლადი ფერია. მისი სურვილია არა მარტო გაფართოვდეს, არამედ განიშალოს, განიფანტოს გარემოში, ამ დროს იგი სხივოსნობას კარგავს, სამაგიეროდ უფრო მკვრივი ხდება და ნელ-ნელა თავის სიღრმეში იღებს ძოწისფერს, მოიისფრო ჟღერადობით. იგი კვლავ უბრუნდება სიმუქეს, სიბნელის ამოსავალ საყრდენს. ძოწის-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფერი-მეწამული კიდევ უფრო მეტად მომელნისფრო წითელი ხდება და ამით ჩაეშვება შავში.

აი, ის წრიული შკალა, რომელზედაც გვსურდა საუბარი. აქ შეიძლება ყველაფერი დადგენილი არ იყოს, მაგრამ ძირითადად მაინც ერთი რამ ნათელია, ყოველივეს ამოძრავებს ის ობიექტური ძალა, რომელიც დამკვირვებელ-განმცდელის თვალში ცხოვრობს. ადამიანის თვალი თავის ემოციურ ბუნებასთან ერთად, ახერხებს ჩაწვდეს ფერთა მეტყველებას, ფერთა სიცოცხლით სავსე მეტამორფოზის უნარს. რადგანაც უმოძრაოდ არაფერი არ შეიძლება ცოცხლობდეს, ყოველივე მოძრაობს, გარდაიქმნება.

აქ ფერები კონტრასტებს არ ქმნიან, ისინი ერთმანეთს მიჰყვებიან გარკვეულ წრეზე. ამ შკალის მიხედვით ფერებს შესწევთ უნარი, არა მარტო ერთმანეთი გამოიწვიონ, არამედ ყოველ აუცილებელ შემთხვევაში გამოიცვალონ კიდეც, გაწიონ ერთმანეთის მაგივრობაც, გარკვეულ ფერადოვან სიტუაციაში, იმ მდგომარეობიდან გამომდინარე სადაც დგას შკალაში ფერი და რა მონათესავე ფერადოვნებები აქვს სინათლესთან ან სიბნელესთან მიმართულებაში.

აქ ჩვენ ვიტყოდით, რომ საქმე გვაქვს არა მარტო ჩვენში კარგად დაფუძნებულ მოძღვრებასთან ნახევარტონებზე, არამედ ერთგვარ, გამოუცნობ „ნახევარ ფერებზე“ რომლებიც წარმატებით ცვლიან ერთმანეთს გამომდინარე იმ უნარიდან, რომელიც მათ ამ მეტამორფოზის შკალაში გააჩნიათ.

აქ იღებს სათავეს ფერთამეტყველების ისეთი რთული საკითხები, როგორიცაა ტონი, ჟღერადობა, გამა, რომლებიც, ალბათ, ცალკე, მსჯელობისა და განხილვის საგანს წარმოადგენს.

გოეთეს ფერთა სისტემას წარმატებით იყენებდნენ, რა თქმა უნდა, ისე ხშირად არა, როგორც ნიუტონის თეორიას, მაგრამ მის პრაქტიკულ შედეგებს მაინც ვხვდებით. მაგალითად: ცნობილი გერმანელი მხატვარი ფილიპ ოტო რუნგე თვითონ მივიდა გარკვეულ დასკვნებამდე და შემდგომ მთლიანად გაიზიარა გოეთეს მოსაზრებები, რომელმაც საკმაო წარმატება მოუტანა მხატვარს თანამედროვეებში.

უფრო მეტი წარმატებით ამ საკითხებზე ფიქრობდა და მუშაობდა დიდი ინგლისელი მხატვარი უილიამ ტერნერი, ამ მხრივ მისი ნამუშევარი „მოსეს დაბადების წიგნი (გოეთეს თეორია)“ თვალნათლივი დადასტურებაა იმ კავშირისა, რომელიც მას გოეთეს ფერთა თეორიასთან გააჩნია.

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ აქაც საქმე გვაქვს ამ თეორიის საკმაოდ სუბიექტურ გამოყენებასთან, რაც აბსოლუტურ კავშირშია ამ მოძღვრების ძირითად თვისებასთან.

ამ მოძღვრებას შესწევს უნარი. ფერებს შესძინოს ინდივიდუალური თვისება — გახადოს განცდისმიერი, აზრისმიერი, დააკავშიროს ის მორალურ საწყისთან — აქედან კი დაუდოს მას დრამატული საფუძველი, დრამატული საყრდენი, საფუძველი არა როგორც სიმბოლოსი ან რაიმე განსჯისმიერი სქემებისა, არამედ რეალური განცდისა, რომელიც ფერის არსში იღებს სათავეს.

ფერზე მუშაობის შედეგია სწორედ ის დაკვირვებანი, რაზედაც ხშირად საუბრობს ვინსენტ ვან-გოგი თავის წერილებში, როდესაც ახასიათებს ფერთა განსხვავებულ თვისებებს, აქედან შეიძლება მივიდეთ იმ აზრამდე, სადამდეც მისულა ბევრი მოაზროვნე პრაქტიკოსი მხატვარი, რომ სხვადასხვა ფერთა ერთნაირი ხერხით გამოყენება არ შეიძლება. აქ საჭიროა გარკვევა, ვთქვათ, სუფთა წითელი, რომელიც ცდილობს, როგორც ზემოთ ითქვა, გაიშალოს, ვერ ემორჩილება მოცულობას. იგი იმწამსვე სხვა ფერში გადადის, წითელ სიბრტყობრივ ლაქას ითხოვს. ყვითელი ვერ იტანს საზღვრებს, იგი მფრქვევადი ფერია, რომელიც თავის გულში ნახულობს ძალას ნარინჯისფერი წითლის სახით. ლურჯი კი, პირიქით, ვერ ემორჩილება ფრქვევას, იგი კიდეებს იმუქებს, საზღვრებს იკეთებს და ღიავდება შიგნით და ა. შ.

ამ საკითხზე წლების განმავლობაში მუშაობდა ვასილ კანდინსკი. მან დიდი გამოკვლევა მიუძღვნა ამ თემას, სადაც იგი გოეთეს თეორიას ეხება და არ შევცდებით თუ ვიტყვით, ეფუძნება კიდეც.

თანამედროვე მხატვრობაში, ფერთა შინაგან პრობლემაზე მუშაობდა ამერიკელი მხატვარი მარკ როდკო.

ფერი და მისი ძირითადი მამოძრავებელი ფუნქცია — ამ პრობლემის გარკვევა გოეთეს ფერებზე მოძღვრების მიზანია.

რაღა თქმა უნდა, ჩვენ მიზნად არ დაგვისახავს ამ თეორიისა თუ სწავლების ამოწურვა. ჩვენ შევეცადეთ შეძლებისდაგვარად მოკლედ აღგვეწერა ძირითადი ხასიათი ამ თეორიისა და მისი პრაქტიკული გამოყენების ერთი ან ორი საშუალება დაგვესახა.

რადგანაც მხატვარი ძალზე რთული პრობლემის წინაშე დგას, მან უნდა მოახერხოს სიარული იმ ორ უფსკრულს შორის, რომელსაც მისი აზროვნება და ემოცია ჰქვია. იგი უნდა ფლობდეს აზროვნებისა და ემოციურობის მთლიანობის შემაკავშირებელ ძალებს, რომლის უხვად მოპოვებასაც გვპირდება გოეთეს მოძღვრება ფერებზე.

ტრისტან მახაური

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „ხალხური სიტყვიერება „აკაკის კრებულში“

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველომ“ ამ სახელწოდებით გამოსცა ლალი ბერძენიშვილის მონოგრაფია. უნდა აღინიშნოს, რომ აკაკი წერეთლის მხატვრული შემოქმედებისა და ხალხური წყაროების ურთიერთმიმართების საკითხი შესწავლილია ქსენია სიხარულიძის მიერ, არსებობს სხვა მკვლევართა ნაშრომებიც, მაგრამ აკაკი წერეთლის მრავალმხრივი მოღვაწეობის ეს მხარე და მის „კრებულში“ დაბეჭდილი ფოლკლორული მასალა დღემდე საგანგებოდ არავის უკვლევია.

გასული საუკუნის ბოლოს განსაკუთრებული ყურადღება მიექცა ხალხური სიტყვიერების ნიმუშების შეკრება-პუბლიკაციას. ამ ეროვნულ საქმეში დიდი ღვაწლი მიუძღვის „თერგდალეულებს“ და „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას“, რომელმაც 1882 წელს გამოსცა „პროგრამმა ხალხის სიტყვიერების ნაწარმოების შეკრებისათვის“. ფოლკლორული მასალები სისტემატურად ქვეყნდებოდა „ივერიაში“, „მოამბეში“, „კვალში...“ ხალხური ტექსტების პუბლიკაციის საქმეში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა „აკაკის კრებულმაც“.

ამ კრებულის პირველი ნომერი 1897 წლის ენკენისთვეს გამოვიდა. თავდაპირველად იგი სამი განყოფილებისაგან შედგებოდა, შემდეგ კი ორგანყოფილებიანად გადაკეთდა. ერთი განყოფილება მთლიანად ხალხური ტექსტების გამოქვეყნებას ეთმობოდა.

„კრებულის“ პირველსავე ნომერში დაიბეჭდა აკაკის წერილი „ზეპირ-სიტყვაობის გამო“, სადაც ავტორი ყველა ქართველს მოუწოდებდა, შეეკრიბათ ხალხში გაბნეული ზეპირსიტყვიერი ნიმუშები: „ქართველებს რომ დღეს სხვა-და-სხვა საჭიროება გვაქვს და აუცილებელი საქმეც გვაწევს ტვირთად, ეს ვინ არ იცის? მაგრამ არც ერთი კი მათგანი ისეთი სასწრაფო არ არის, როგორც „ზეპირ-გადმოცემების“ შეკრება-შეგროვება. ჩვენ კი მაინც ამდენი ხანია განზე ვუდგებით ამ საჭირო საქმეს!.. ხალხური პოეზია უტყუარი სარკეა გარდასული ცხოვრების და ისტორიის მტკიცე საფუძველი, და მიტომაც ცნობილია დღეს ყოველ განათლებულ ერისაგან ერთ უპირველეს საჭიროებათ... ამიტომაც მივმართავთ ყველას, ვისაც შეუძლია დახმარება, განსაკუთრებით სოფლელ ახალგაზრდობას, რომ მხარი მოგვცენ ამ დიდათ საჭირო საქმეში...“

შემდეგ ჩამოყალიბებული იყო პროგრამა, რომლითაც უნდა ეხელმძღვანელათ ფოლკლორისტ-ენთუზიასტებს. ამ პროგრამით გათვალისწინებული იყო ყოველმხრივი აღწერა-დახასიათება იმ რეგიონისა, სადაც ისინი ხალხურ მასალას აგროვებდნენ. ჩამწერებს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექციათ ენობრივი ფორმებისათვის და ტექსტი ჩაეწერათ ზუსტად ისე (ე. ი. ფონოგრაფიულად), როგორც მთქმელი გადმოსცემდა.

სამართლიანად მიუთითებს ლალი ბერძენიშვილი: „აკაკი წერეთელი მოითხოვდა ზეპირსიტყვიერების კომპლექსურად შესწავლას, მის მოსაზღვრე დისციპლინათა გათვალისწინებით“ (დასახ. წიგნი, გვ. 9).

აკაკი წერეთლის მოწოდებას ზეპირსიტყვიერი ნიმუშების შეკრებისა და მისი დროული გამოქვეყნების შესახებ ყველა ერთნაირად არ შეხვდა. აღმოჩნდნენ ხელის შემშლელნიც. ერთმა პედაგოგმა რედაქციას ასეთი შინაარსის წერილი გაუგზავნა: „მე, როგორც გამოცდილ პედაგოგს, დამეჯერება, რომ თქვენი „ზეპირ-სიტყვაობის“ განყოფილება უადგილოა ჟურნალში. ჩვენ თქვენგან გამოსაღვიძებელს რასმე ველოდით და არა დასაძინებელს. ზღაპრებს განა სხვაგან კი ვერ გავიგონებთ? სოფელში მაგის მეტი რაღა იციან? აბა, რა დასაბეჭდი იყო მისთანა უშინაარსო და უთავბოლო რამ, როგორც „ბროწოულის წყარო!“ — მაგ გვარი რამ ჩვენ ცოტა გაგვიგონია?!“

„კრებულის“ მეორე ნომერში აკაკიმ გამანადგურებელი პასუხი გასცა უცნობ პედაგოგს, ამხილა მისი უვიცობა და საქმეში ჩაუხედაობა: „ბატონო პედაგოგო! დიდი მოხარული ვართ, რომ ინსტიტუტი გაგითავებიათ და დიპლომიც ხელში გიჭირავთ!.. მოგვილოცავს!. მაგრამ ეგ ქაღალდზე დაწერილი დიპლომი სამსახურში შესვლის დროს დაგჭირდებათ... შეინახეთ!.. და ჩვენ კი მისთანა დიპლომს უფრო ვუჯერებთ, რომელიც ტვინზეა დაწერილი და ნურაფერს უკაცრავად, თუ თქვენი შენიშვნები ვერ მივიღოთ...

მონოგრაფიის პირველ ნაწილში ლალი ბერძენიშვილი აანალიზებს აკაკი წერეთლის თეორიული ხასიათის წერილებს ზეპირსიტყვიერების სხვადასხვა საკითხებზე, მითოლოგიაზე

და მაღალ შეფასებას აძლევს მათ. ამ ნაშრომებს დღესაც არ დაუკარგავთ მეცნიერული ღირებულება.

მონოგრაფიის მეორე ნაწილში „აკაკის კრებულის“ თანამშრომელნი — ზეპირსიტყვიერების მოამაგენი“ განხილულია თითოეული თანამშრომლის შემკრებლობითი საქმიანობა და მათი ფოლკლორისტული შეხედულებანი.

„აკაკის კრებულში“ მრავალი მოღვაწე თანამშრომლობდა, მაგრამ უფრო ხშირად ფოლკლორულ მასალას აქვეყნებდნენ: სოხიკო მერკვილაძე, აფრასიონ მერკვილაძე, სევასტი გაჩეჩილაძე, ალექსანდრე მაჩაბელი, მესხი კონსტანტინე გვარამაძე, გრიგოლ აფშინაშვილი, ზაქარია ჩხიკვაძე, დომენტი თომაშვილი. მონოგრაფიის ავტორიც სწორედ მათ შემკრებლობით საქმიანობას ეხება.

თითოეული შემკრებ-პუბლიცისტი თავის შეკრებილ მასალას გარკვეული წესით ალაგებდა. „კრებულში“ გამოქვეყნებული ფოლკლორული მასალის კლასიფიკაციის ნიმუშებიდან შედარებით უფრო სრული და დღეისათვის მისაღები მესხი კონსტანტინე გვარამაძის პრინციპია: „მესხი კონსტანტინე გვარამაძე ერთი პირველთაგანი იყო, ვინც ჟურნალს მიაწოდა ჟანრობრივი პრინციპით დალაგებული ზეპირსიტყვიერების ნიმუშები, ფოლკლორული ნიმუშების შეკრების ენთუზიასტებს მან ერთმა პირველმა მისცა მაგალითი ფოლკლორული ტექსტების პასპორტიზაციისა“ (ლალი ბერძენიშვილი, დასახ. წიგნი, გვ. 72).

ლალი ბერძენიშვილის მონოგრაფიამ ქართულ ფოლკლორისტიკაში ზოგიერთი სადავო საკითხის სწორად გადაჭრასაც შეუწყო ხელი. დავიმოწმებ ორიოდე მაგალითს:

1. ვახტანგ კოტეტიშვილის მიერ ქართლის სოფელ სასხორში ჩაწერილი „შემომეყარა ყივჩაღის“ ვარიანტის ხალხურობას კატეგორიულად უარყოფდა მწერალი გიორგი შატბერაშვილი. მისი აზრით, ნაძალადევი იყო ბალადაში შეტანილი დიალექტიზმები: „ვასმიე“, „ვაჰმიე“, იგი იწუნებდა აგრეთვე ტექსტში შემავალ სტრიქონებს: „ან კი ცოლს როგორ მივცემდი, შვილსა გაზრდილსა სხვისასა“; „მოზიდნა ნაწნავს თმისასა“; „მოვზიდნე ვადას ხმლისასა“; „ვენდვე მადლს ლაშქრის ჯვრისასა“; მან ქართული ენისათვის არაბუნებრივ მოვლენად მიიჩნია „ლაშრის“ ხმარება. მისი აზრით, უნდა ყოფილიყო „ლაშარის“ (და არა „ლაშრის“). თუკი ეს სტრიქონი მართლაც შედიოდა სადავო ვარიანტში.

ბოლოს, გ. შატბერაშვილი გამოთქვამდა მოსაზრებას, რომლის თანახმად, სასხორული ვარიანტი „გალამაზებული“ უნდა ყოფილიყო ჩამწერის მიერ.

გ. შატბერაშვილის მოსაზრება სასხორული ვარიანტის არახალხურობაზე არ გამართლდა. ლალი ბერძენიშვილმა მიაკვლია „აკაკის კრებულში“ 1899 წელს გამოქვეყნებულ ვარიანტს, რომელიც მნიშვნელოვნად არ განსხვავდება კოტეტიშვილის ჩანაწერისაგან. დასახელებულ ჟურნალში დაბეჭდილ ტექსტში არაა ნახსენები სიტყვა „ყივჩაღი“, ვერ შევხვდებით აგრეთვე დიალექტიკურ ფორმებს: „ვასმიე“ „ვაჰმიე“, მათ ნაცვლად გამოყენებულია „ვასმევდი“, „ვაჰამე“, რაც სალიტერატურო ნორმებით გამართლებულია, მაგრამ დასახელებულ ვარიანტში გვხვდება გ. შატბერაშვილისაგან დაწუნებული სტრიქონებიც: „ან კი ცოლს როგორ მივცემდი, შვილსა გაზრდილსა სხვისასა“; „მოზიდნა ნაწნავს თმისასა“; „მოვზიდნე ვადას ხმლისასა“; „გავჰერი ცხენი და კაცი წვერიც მომიხვდა ქვიშასა“; „ვენდვე მადლს ლაშრის ჯვრისასა“. გ. შატბერაშვილის მტკიცებით, ქართული ენისათვის არაბუნებრივი ფორმა „ლაშრის“ არ უნდა დადასტურებულიყო ხალხური პოეზიის არც ერთ ნიმუშში, მაგრამ, „აკაკის კრებულში“ დაბეჭდილ ამ ვარიანტში მაინც შეგვხვდა.

ლალი ბერძენიშვილი წერს: „ს. მერკვილაძის მიერ ჩაწერილი ვარიანტი ბალადისა ერთი წაკითხვით ხსნის ბრალდებას სასხორული ვარიანტის ჩამწერსა და გამომქვეყნებელს (დასახ. წიგნი, გვ. 27).

2. დავა ატყდა დასახელებული ბალადის იმ ფინალური ვარიანტის გამო, სადაც ქალის სხვასთან წასვლაზეა საუბარი.

ზოგი მკვლევარი ამგვარ საქციელს ქართველი ქალისას („სხვასთან წასვლა“) ეთიკური პოზიციებიდან აფასებდა და ბალადის ასეთ დასასრულს „უხამს ვარიანტად“ ნათლავდა. უმრავლესობა კი იმას აღიარებდა, რომ ხსენებული ვარიანტი ხალხური საწყისებიდან არ მომდინარეობს და პირველად ალექსანდრე გომიაშვილისა და რაჟდენ გვეტაძის რედაქტორობით გამოცემულ წიგნში (ხალხური პოეზია, 1950 წ.) დაიბეჭდაო. მოკამათეებს მხედველობის არედან გამორჩათ (ან არ იცოდნენ!), რომ მათგან დაწესებული ვარიანტი პირველად დაიბეჭდა „აკაკის კრებულში“ (1899 წ., № 1, მეორე განყოფილება, გვ. 20). მთქმელია მ. ჟიჟნიაშვილი, ჩამწერი — ალექსანდრე მაჩაბელი.

აი, ეს ვარიანტიც:

„აქეთ მე მოვკვდი, — იქით ის,
ცოლი წავიდა სხვისასა“.

მაშასადამე, დღეისთვის ცნობილია ბალადის სამნაირი დაბოლოება (1. „ცოლი სიდედრსა მივგვარე, ის კი იქა სჭამს მიწასა“, 2. „ცოლი წავიდა ძმისასა“; 3. „ცოლი წავიდა სხვისასა“; და სამივე ფინალურ ვრიანტს აქვს არსებობის უფლება. ამას გვაფიქრებინებს ტექსტის ჩაწერის ისტორია და მთქმელთა შეხედულებების სხვადასხვაგვარობა აღნიშნულ თემაზე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## „ცოცხალი ნაკადი“. ჩეხური მოთხრობა 1945-85 წლებში

„ცოცხალი ნაკადის“ ანთოლოგია, რომელშიც ორმოცდაათი ჩეხი მწერლის ორმოცდაათი მოთხრობაა გაერთიანებული, მოგვითხრობს ჩეხი ხალხის ისტორიაზე მეორე მსოფლიო ომის შემდეგ.

ომისშემდგომმა მოთხრობამ გაითავისა ჩეხური რეალისტური პროზის თითქმის საუკუნოვანი ტრადიციები. კრებული იწყება მარია მაიეროვას მოთხრობით „წითელი დროშა“.

40-50-იანი წლების ლიტერატურაში ძირითადი ადგილი ჰიტლერული ოკუპაციისა და ანტიფაშისტური მოძრაობის თემას უჭირავს. მილან იარიშის და იანა დრდის მოთხრობებში: „წუნარი ცხოვრება“ და „უმაღლესი პრინციპი“ ასახულია ფაშიზმთან ბრძოლის ეპიზოდები და მათში ნათლად ირეკლება ანტიფაშისტური ლიტერატურის თავისებურებანი.

50-იანი წლებიდან ჩეხური პროზის მთავარი თემა მშენებლობაა: შენდებოდა გზები, ახალი ქალაქები, სოფლები. ეს პერიოდი კრებულში მხოლოდ ერთი მოთხრობითაა წარმოდგენილი.

მესაზღვრეთა საქმიანობა აღწერილია რუდოლფ კალჩიკის მოთხრობაში „დევნა“. ავტორი გვიამბობს მესაზღვრეთა თავდადებაზე, მათ მართლაც გმირულ სამსახურზე.

კრებულში წარმოდგენილი 60-იანი წლების მოთხრობები ძირითადად წინა წლების თემატიკას აგრძელებს: ამხელს ფაშიზმს, ასახავს გარდაქმნას სოფლად. მაგრამ, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ უკვე ამ პერიოდის თემატიკაში სინამდვილის უფრო ღრმა და კრიტიკული ასახვისკენ სწრაფვა შეიმჩნევა.

ის მოთხრობები, რომელიც თანამედროვეობას ეხება, ასახავენ არა მარტო მშენებელთა ენთუზიაზმს, არამედ რევოლუციური გარდაქმნის სირთულეებს და წინააღმდეგობებს. ეს პერიოდი ხასიათდება ადამიანთა ფსიქოლოგიის უფრო ღრმა დაინტერესებით.

60-იანი წლების კრიზისმა მეტ-ნაკლებად განსაზღვრა 70-იანი წლების ჩეხური პროზა. ამიტომ, კრებულში 70-80-იანი წლები უფრო სრულადაა წარმოდგენილი. სწორედ ამ პერიოდში განიცადა ჩეხურმა ლიტერატურამ განახლება, დაუბრუნდა რეალისტურ-დემოკრატიულ ტრადიციებს. ეს კი ძირითადად ისტორიული პროზის ნიადაგზე მოხდა. ამ პერიოდის თვალსაჩინო ნაწარმოებებს მიეკუთვნება ბ. რუიგის ტრილოგია მეფე ირჟის მეფობის ხანაზე, მილოშ ვ'კრატოხვილის, ალექსეი პლუდეკის, ვაცლავ კაპლიცკის, ნორბერტ ფრიდის, იოზეფ ტომანის და სხვათა ისტორიული რომანები. ისტორიულობის პრინციპმა თავისთავად კარგი გავლენა იქონია.

70-იან წლებში ჩეხურ ლიტერატურაში გამოჩნდა ახალგაზრდა ნიჭიერი მწერლების დიდი ჯგუფი, რომლის შემოქმედებით მანიფესტად იქცა 1974 წელს გამოცემული კრებული: „გზა“. ის ახალგაზრდა მწერლები კი დღევანდელი ჩეხური სოციალისტური ლიტერატურის თვალსაჩინო წარმომადგენლები არიან: ბოგუმილ ნოგეილი, იან კოსტრუნგი, ფრანტიშეკ სტავინოგი, ირჟი შვეიდი, პაველ ფრანცოუზი და სხვები.

„სამოცდაათიანელების“ მოთხრობებში იგრძნობა თანამედროვეთა სულიერი სამყაროსკენ ლტოლვა, ჩანს სოციალისტური შეგნების, ძველი მრწამსისა და ცრურწმენის ასახვისკენ სწრაფვა. ამ მხრივ საყურადღებოა მიროსლავ რაფაიას მოთხრობა.

კრებულში შეტანილია რამდენიმე მოთხრობა, რომელიც ადამიანისა და ბუნების დამოკიდებულებაზე, ამქვეყნად ადამიანის დანიშნულებასა და მის ბედზე მოგვითხრობს.

კრებულში შესული ნაწარმოებები იმ მოვლენების, კონფლიქტების, ხასიათების, თემებისა და პრობლემების რთულ მოზაიკას ქმნიან, რომელშიც ისახება სინამდვილე მთელი თავისი სირთულითა და მრავალფეროვნებით, იმ რთული ისტორიული ეტაპით, რომელიც ჩეხმა ერმა გამოიარა ბოლო ორმოცი წლის მანძილზე.

**ჩვენი მისამართი: თბილისი, 380007, დადიანის ქ. № 2.**
**ტელეფონები: მთავარი რედაქტორი — 99-85-81, მთ. რედაქტორის მოადგილე — 72-26-82. პასუხისმგებელი მდივანი 72-48-75, მდივანი — 72-44-78, განყოფილებათა გამგეები — 72-26-85 პროზის — 72-26-80, „ცისკრის“ დამატება — 72-17-01, საკორექტორო — 72-47-62.**

გადაეცა ასაწყობად 07. 07. 88 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 16. 09. 88 წ., ქაღალდის ზომა 70×108, ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 10. პირობით ფორმათა რაოდენობა 14. სააღრ. საგ. თაბახი 15,85. შეკვეთა 1761 უე 09434 ტირაჟი 70.000

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა, თბილისი, ლენინის, 14
Ордена Трудового Красного Знамени типография издательства ЦК КП Грузии, г. Тбилиси, ул. Ленина. 14

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ფასი 60 კაპ.

ინდექსი 76286

*ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ*

# «ЦИСКАРИ»

**ИЗДАТЕЛЬСТВО
ЦК КП ГРУЗИИ**